მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

გივი ელიავა

სამეგრელო
ტოპონიმიკური ატლასი

აბაშის, მარტვილის, სენაკისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტები

რუკები შეასრულა მხატვარმა **როლანდ ადამიამ**

გამომცემელი ბუბა კუდავა

სარედაქციო კოლეგია
მანანა ბუკია
გივი ელიავა
მართა კასრაძე
ნანა კირთაძე
მაია ლომია

საგამომცემლო ჯგუფი
ეთერ ბაიდოშვილი
ეთერ კვანჭიანი
მართა წიკლაური
ალექსანდრე ჯიქურიძე

გარეკანის დიზაინი ილია ხელაიასი

პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
ფინანსური მხარდაჭერით [SP-2-21-361]

© მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, 2022
© გამომცემლობა არტანუჯი, 2022

ISBN 978-9941-494-40-6

ატლასი აერთიანებს სამეგრელოს ერთი ნაწილის – აბაშის, მარტვილის, სენაკისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების ტოპონიმიკურ რუკებს, რომლებიც მოამზადა ისტორიკოსმა და ეთნოგრაფმა, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დამაარსებელმა გივი ელიავამ. ეს უნიკალური მასალა დღეისათვის ამავე მუზეუმშია დაცული.

ავტორის დიდი სურვილი იყო არა მარტო სამეგრელოს, არამედ საქართველოს ყველა კუთხის სრული ტოპონიმიკური ატლასების გამოცემა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მას არ დასცალდა.

წიგნი ტოპონიმიკური მასალის ამგვარი სახით გამოცემის ერთ-ერთი პირველი შემთხვევაა ქართულ სინამდვილეში. ადგილთა სახელწოდებების პუბლიკაცია, სათანადო რუკების თანხლებით, ორიგინალური და ამავდროულად, მომხმარებელთათვის დიდად პრაქტიკული საშუალებაა.

გამოცემაში წარმოდგენილია როგორც ტოპონიმიკური რუკები, ისე ტოპონიმთა ჩამონათვალი და შესაბამისი დოკუმენტური ინფორმაცია. გამოცემა დიდ სამსახურს გაუწევს საქართველოს ისტორიით, გეოგრაფიით, ეთნოლოგიითა და ქართული ენათმეცნიერებით დაინტერესებულ საზოგადოებას.

ატლასზე დართული ტოპონიმები ავტორის სიცოცხლეში ცალკე ნაშრომებად გამოიცა: „აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა“ (1977), „ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმთა ნუსხა“ (1983), „სენაკის რაიონის ტოპონიმია“ (1989).

2018 წელს მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა თავისი დამაარსებლის 100 წლის საიუბილეოდ გამოსცა მარტვილის მუნიციპალიტეტის ტოპონიმიკური რუკები, თანდართული ნუსხებითა და მათი განმარტებებით.

აბაშის, სენაკისა და ჩხოროწყუს ტოპონიმიკური რუკები ქვეყნდება პირველად. ავტორის წინა პუბლიკაციებისგან განსხვავებით, წინამდებარე ატლასში როგორც სოფლები, ისე სოფლის ფარგლებში არსებული ტოპონიმია, ანბანურ რიგზეა დალაგებული.

This atlas combines the toponymic maps of one part of Samegrelo, specifically, Abasha, Martvili, Senaki, and Chkhorotsku Municipalities, prepared by the historian and ethnographer Givi Eliava, the founder of the Martvili Museum of Local Lore. This unique material is now preserved at the museum.

The author aspired to publish a complete set of toponymic atlases not only of Samegrelo, but of all parts of Georgia, but, unfortunately, he failed to do so.

The book is one of the first examples of publishing toponymic material in this format in Georgian. Publishing toponyms, accompanied by proper mapping, is an original endeavour and will doubtlessly provide practical help for users.

This edition presents toponymic maps as well as a list of toponyms and relevant documentary information. The publication will be of great service to those interested in Georgia's history, geography, ethnology and Georgian linguistics.

The lists of toponyms appearing in the Appendix to the Atlas were published as individual works during the author's lifetime: "Toponymy of Abasha and Gegechkori Districts" (1977), "List of toponyms of Chkhorotsku District" (1983), and "Toponymy of Senaki District" (1989).

In 2018, the Martvili Museum of Local Lore published toponymic maps of Martvili Municipality, with attached lists and their explanations, celebrating the 100th anniversary of its founder.

However, the toponymic maps of Abasha, Senaki, and Chkhorotsku are published for the first time. Unlike the author's previous publications, in this atlas both villages and village toponyms are given in alphabetical order.

სარჩევი

სარჩევი 7
ავტორისაგან 9
შემოკლებანი 10

აბაშა 11
ქალაქი აბაშა და მისი მიდამოები 13
გეზათი 15
ზანათი 17
კეთილარი 19
მარანი 21
ნაესაკაო 23
ნორიო 25
ონტოფო 27
პირველი მაისი (გაუწყინარი) 29
სამიქაო 31
სეფიეთი 33
სუჯუნა 37
ქოლოგანი 39
ძველი აბაშა 41
წყემი 43

მარტვილი 45
აბედათი 47
ბანძა 51
გაჭედილი 53
დაბა გეგეჭკორი (მარტვილი) 57
გურძემი 59
დოშაყე 63
ვედიდკარი 65
თამაკონი 67
ინჩხური 71
კიწია 73
კურზუ 77
ლეხაინდრაო 79
ნაგვაზაო 81
ნახუნაო 83
ნაჯახაო 87
ონოღია 89
სალხინო 91
სერგიეთი 95
ტალერი 97
ჭყონი 99
ხუნწი 101
სამეგრელოს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის ტყისა და საძოვრის ზონა 103

სენაკი 107
სენაკის რაიონი 108
ახალი სოფელი 111
გეჯეთი 115
ეკი 117
ზანი 121
ზემო ჭალადიდი 125
თეკლათი 127
ლეძაძამე 131
მენჯი 135
ნოსირი 139
ნოქალაქევი 141
უშაფათი 145
ფოცხო 149
ქალაქი ცხაკაია (ახალი სენაკი) 151
ძველი სენაკი 155
ხორში 159

ჩხოროწყუ 163
შესავალი 164
ახუთი 167
ზუმი 169
თაიას სასოფლო საბჭო 171
კირცხი 175
ლესიჭინე 177
ლეწურწუმე 181
მუხური 185
ნაკიანი 189
ნაფიჩხაო 191
ქვედა ჩხოროწყუ 195
ჩხოროწყუ 197
ჭოლა 201
ხაბუმე 203
ტყე და მთა — რაიონის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე 207

ავტორისაგან

აბაშისა და გეგეჭკორის რაიონები ეგრისის ქედის სამხრეთ კალთებიდან მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირამდე ვრცელდება, მდინარეების – ტეხურისა და აბაშის ხეობებში. ტეხური ერთ-ერთი წყალუხვი მდინარეა. იგი სათავეს იღებს ეგრისის ქედიდან და ცხაკაიას მახლობლად შეერთვის რიონს. ხეობა მეტად საინტერესოა. აგარაკ ლებარდედან ტალერამდე მდინარე მთიან ვიწრობშია, ტალერიდან კი ვაკეზე იშლება, სალხინოსთან უნაგირას მთის ჩრდილოეთ განშტოებას მიუყვება და ჭყონის, თამაკონისა და ლეძაძამის ბორცვიან რელიეფს კვეთს, ნაქალაქევთან კი ისევ ივაკებს და გაშლილ ველზე ლაღად მიემართება მდ. რიონისაკენ. მას რიონთან შერთვამდე, ისულას ქვემოთ, უერთდება მდინარე აბაშა, რომელიც ნაქალაქევიდან ტეხურის პარალელურად მიედინება. ნაქალაქევის ზემოთ, ამ მდინარეთა შორის, უნაგირას მთაა აღმართული. აბაშა ჯერ ბალდის მთიან ვიწრობში მიდის, გაჭედილთან კი უნაგირას, ან კალამუნას მთის მარცხენა კალთას ჩაუვლის და ტეხურის გვერდით მიემართება რიონისკენ. ამ ორი მდინარის ხეობები ლანდშაფტით, ბუნების მშვენიერებით და ისტორიული ძეგლებით უაღრესად მდიდარია.

აღნიშნული რაიონები ისტორიული კოლხეთის ცენტრალური ნაწილია, თანამედროვე სამეგრელოს აღმოსავლეთი მხარე. კოლხები პრეისტორიული ხანიდან სახლობდნენ ამ ადგილებში, ქმნიდნენ თავიანთი ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების შესანიშანავ ძეგლებსა და ტრადიციებს. აქ გადიოდა მაშინდელი მსოფლიოს დიდმნიშვნელოვანი სავაჭრო გზები. აწარმოებდნენ სელის შესანიშნავ ტილოებს. ამზადებდნენ ოქროსა და სპილენძის საუცხოო ნივთებს, აყენებდნენ მაღალხარისხოვან ღვინოებს, მოდიოდა უხვი ხილი. კოლხეთი პურისა და ღვინის სამშობლო იყო. ხალხიც შესანიშნავი ყოფილა თვალტანადობით, სიმხნევითა და გულადობით, სამშობლოს სიყვარულით. მისი წიაღი მდიდარი იყო ოქროთი და სპილენძით და ამიტომაც იზიდავდა ეს ადგილები შორეული ქვეყნების ხალხთა ხარბ თვალს. კოლხეთის სიმდიდრეზე იქმნებოდა მითები, ლეგენდები. აქეთკენ მოისწრაფოდნენ გადამთიელი ბედის მაძიებელნი, სარდლები და ვაჭრები.

ეს მდიდარი მხარე მჭიდროდ იყო დასახლებული ისტორიულ წარსულში. გვიან შუა საუკუნეებში ამ მდინარეთა ხეობების გასწვრივ ფეოდალურ-სამეურნეო ერთეულები – საჭილაო, სალიპარტიანო და საჭყონდიდლო არსებობდა. საჭილაო შემდეგ ძლიერ შემცირდა და მთელი მისი სამხრეთი და დასავლეთი ნაწილი საჭყონდიდლოს შემადგენლობაში გაერთიანდა. ამ ფეოდალურ-სამეურნეო გაერთიანებებს შორის საჭყონდიდლო საეკლესიო ფეოდალურ-სამეურნეო და პოლიტიკური ერთეული იყო. ჭყონდიდის ეკლესია ჭყონდიდელ ეპისკოპოსთა მეთაურობით იყო მისი ფეოდალიც და გამგებელიც. საჭილაო და სალიპარტიანო კი საერო ფეოდალთა სამეურნეო და პოლიტიკური საუფლო იყო. მათ შორის სალიპარტიანო სამთავრო კარის უშუალო კუთვნილება, უფლისწულთათვის და შემდეგში სამთავრო კარისათვის დიდად დამსახურებულ პირთა დასაწინაურებელი სახელოც და ფეოდალური საბატონოცაა. წერილობითი წყაროები ძალზე მცირეა დარჩენილი. მათ სიმცირეს ავსებს არქეოლოგიურ გათხრებში ნაპოვნი მასალა. თუმცა ისიც სრულყოფილად ვერ ასახავს ჩვენი ერის მთელ ისტორიას. მაშინ სად უნდა ვეძებოთ დამატებითი მასალები? ასეთი მასალები თვით ხალხშია დარჩენილი. ლეგენდები, თქმულებები, რომლებიც მრავალ საყურადღებო ცნობას შეიცავს, თაობიდან თაობამდე გადმოცემული მოვიდა დღემდე. ამიტომ ყველა მასალა, რაც ხალხის მეხსიერებას დღემდე შემორჩა, მასობრივად უნდა აიკრიფოს. მათ შორის შედარებით ყველაზე უფრო საშური ტოპონიმიკური მასალაა, მცირე ადგილთა სახელწოდებანი, რაც ხალხს თავისი სამეურნეო თუ კულტურული საქმიანობის, თავისი ცხოვრების მრავალი შესანიშნავი მოვლენისთვის დაუკავშირებია, ამ მოვლენის აღსანიშნავად შეურქმევია.

„მოვუაროთ ჩვენი მშობლიური ქვეყნის გეოგრაფიულ სახელებს, დავიცვათ ისინი ყოველგვარი ხელყოფისაგან. ეროვნული ტოპონიმიკა – ეს უდიდესი საგანძურია, ოქროს ფონდია, რომლის საფუძველზე შეიძლება გაიშალოს დიდი მეცნიერული მუშაობა შორს მიმავალი დასკვნებით, ერის კულტურულ-ისტორიული ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე“, – წერს აკადემიკოსი ს. ჯიქია[1].

ტოპონიმები მოქმედ რუკებზე ძალზე მცირე რაოდენობით არის აღბეჭდილი. ეს მასალა მხოლოდ ადგილების დეტალური, ფეხდაფეხ ჩამოვლით უნდა იქნას ფიქსირებული. ამიტომ მათი შეკრების მეთოდური გზა თვით ადგილების ჩამოვლა და ხალხის გამოკითხვაა. მისი განხორციელებისთვის საჭიროა: 1. სხვადასხვა უწყებრივ დაწესებულებასა და არქივში არსებული მასალებიდან ადგილების შესახებ დეტალური ცნობების ამოკრება; 2. რაიონის დაყოფა მიკროუბნებად, ან სოფლებად და ამ სოფლების დეტალური ჩამოვლა; 3. შეკრებილი მასალების სოფლების რუკაზე აღნიშვნა და მათ შესაბამისად სათანადო სია-ჩანაწერების გაკეთება, რომელთა საფუძველზე შეიძლება შედგეს ტოპონიმიკურ რუკათა ატლასი. ატლასში შევა ყველა ადგილის, ყველა სოფლის დეტალური რუკა, ამ ადგილთა ყველა ნაწილის უძველეს და უახლეს სახელწოდებათა აღნიშვნით, მათი ტერიტორიული მოხაზვით. ატლასი უნდა მოიცავდეს ადგილთა უძველეს და უახლეს ტერიტორიულ სივრცეს, უძველეს და თანამედროვე გზებს, წარმოების კერებსა და ადგილებს, ყველა სახელწოდებას, როგორც დღეს მოქმედებაში მყოფს, ისე უკვე მივიწყებულსაც. იგი აჩვენებს ამ სახელწოდებათა და ადგილთა ტერიტორიული საზღვრების ქრონოლოგიურ გავრცელებასაც. ერთი სიტყვით, ატლასი ტოპონიმიკურ მასალათა ერთ სიბრტყეზე გაერთიანებისა და თვალსაჩინოდ წარმოდგენის საშუალებას მოგვცემს, რაშიც ჩვენმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა. როდესაც ასეთ მუშაობას ვგეგმავდით, მიზნად ვისახავდით, შეგვეკრიბა ყოველგვარი სახის ტოპონიმიკური მასალა და აგვეკინძა რუკის ქარგაზე. ამასთან, ჩაგვეწერა მათ შესახებ არსებული გადმოცემები, ლეგენდები, შეგვედარებინა ერთმანეთთან და წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების მოშველიებით გაგვეანალიზებინა ისინი.

ტოპონიმიკური ხასიათის მასალა (ატლასად შეკრული რუკები, სახელწოდებათა სიები და გადმოცემათა კრებულები) მრავალმხრივ საყურადღებო წყაროს წარმოადგენს ისტორიული მეცნიერებისა და ენათმეცნიერებისათვის. ეს მასალები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ჩვენი ერის ისტორიის მრავალ მოვლენასა და ფაქტზე. ამ მასალის მეშვეობით დგინდება ჩვენი ხალხის უძველესი ეთნიკური შემადგენლობა და მათი დასახლების გეოგრაფიულ-ტერიტორიული საზღვრები, შუქი ეფინება ერის ეკონომიკური და კულტურული განვითარების ისტორიის ბურუსით მოცულ მრავალ მხარეს და თავისებურებას, სამეურნეო ცხოვრების რეალიას. „ჩვენი ქვეყნის ტოპონიმია მრავალმხრივაა საინტერესო, – წერს პროფ. ალ. ღლონტი, – უძველესი ქართული მიწა-წყლის გეოგრაფიული ნომენკლატურის შედარებით სრულად გამოვლენა საშუალებას მოგვცემს, უფრო ახლოს შევისწავლოთ ისტორიული რეალიები და ახალი შუქი შევიტანოთ ძველი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის იმ ბნელით მოცულ საკითხებში, რომლებიც დიდი ხანია აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობის უმთავრესი წყაროა და, მეორე მხრივ, რაც მთავარია, შეკრებილ-შეჯერებული მასალა ხელს შეუწყობს ქართველური ტოპონიმიკის კერძო და ზოგადი პრობლემების ძიების მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას“[2].

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მკითხველს ვთავაზობთ ადგილზე შეკრებილ მასალას, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების სოფლებში ჩაწერილი ტოპონიმების ნუსხას ცალ-ცალკე სასოფლო საბჭოების მიხედვით. ნუსხაში ჩართულ თითოეულ ტოპონიმს დართული აქვს ინფორმატორებისაგან მოწოდებული ხალხური განმარტებები, გარდა საყოველთაოდ ცნობილი ან სრულიად განუმარტავი სახელწოდებებისა. ტოპონიმები დანომრილია. სასოფლო საბჭოების მიხედვით გამოყოფილ ტოპონიმთა ნუსხას წინ უძღვის სოფლის შესახებ მოკლე ისტორიულ-საყოფაცხოვრებო ხასიათის საერთო შესავალი. იგი საჭიროა სოფლის მიგნებისა და ტოპონიმთა ენობრივი, ეთნიკური, ეთნოგრაფიული, ისტორიული და სამეურნეო ხასიათის გასათვალისწინებლად. ჩვენ აქ არ გვიცდია ტოპონიმების დეტალური ანალიზი. მათი მეცნიერული გაშიფვრა. წინამდებარე ნაშრომი მხოლოდ ტოპონიმებისა და მათ გარშემო არსებული ხალხური განმარტებების აღნუსხვას ისახავს მიზნად. შრომის ამ ძირითად ნაწილს მოსდევს ტოპონიმთა ანბანური საძიებელი. აქ ხაზგასმულია ტოპონიმთა მორიგეობა, მათი მრავალგვარობა და სიხშირე, გეოგრაფიული, მეურნეობრივი თუ ისტორიული თავისებურებები. ნუსხაში ტოპონიმების ანბანური წესით დალაგება ვერ მოხერხდა, მათი ჩაწერის თანმიმდევრობის ჩვენების საჭიროების გამო[3]. ანბანური საძიებელი იმ მხრივაცაა საჭირო, რომ მან გააერთიანა მთელ ხეობაში ჩაწერილი მსგავსი და განსხვავებული სახელწოდებები, გვიჩვენა მათი სიხშირეცა და თავისებურებანიც. ამიტომ ორივე სახის ნუსხა-საძიებელი ჩვენ საჭიროდ და აუცილებლად ჩავთვალეთ და ჩავრთეთ კრებულში.

აქვე მადლობით გვინდა აღვნიშნოთ აკადემიკოს სერგი ჯიქიას, პროფ. ალექსანდრე ღლონტისა და დოც. გ. დონდუას მეცნიერული მითითებები, შენიშვნები წინამდებარე შრომის გამოსაცემად მომზადების საქმეში.

ვფიქრობთ, შრომა ამ სახით ერთგვარ დახმარებას გაუწევს ტოპონიმიკით დაინტერესებულ მკითხველებს.

[1] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1960 წლის 28 ივნისი, სტატია „დავიცვათ ჩვენი მშობლიური ტოპონიმიკა“.

[2] ალ. ღლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, I, თბილისი, 1971, გვ. 3.

[3] წინამდებარე გამოცემაში ტოპონიმები დალაგებულია ანბანური წესით (რედ.).

შემოკლებანი

ადგ. – ადგილი,

ნახ. – ნახე,

ს/ს – სასოფლო საბჭო,

სოფ. – სოფელი.

ფრჩხილებში (...) მოქცეულია ტოპონიმის ქართული თარგმანი, სადაც ეს შესაძლებელი და საჭირო იყო, ხოლო ბრჭყალებში („...“) მოთავსებულია ინფორმატორებისაგან მოწოდებული ტოპონიმთა ხალხური ეტიმოლოგიები და გადმოცემები.

აბაშა

მუნიციპალიტეტის ტოპონიმია


მასშტაბი: 1X10000

ქალაქი აბაშა
და მისი მიდამოები

არგვანი (ჭური), ქვევრივით ჩავარდნილი ადგილი.
ბანკიში დიხა (ბანკის მიწა), ადგ. „სახაზინო მიწა“. აქ მსგავსი ტოპონიმი კიდევ ერთია.
ბებურ პიჯი (ბებურის პირი), ღელეს ჭალა.
ბოგაში (ხიდისა), ხიდისთავი და მიდამოები.
გედერუი, საყანე.
გუგუნაცათი, ადგ. გუგუნაში ოხორუ, გუგნაში თი (გუგუნას ნასახლარი).
დაბაი (დაბალი), ჭენჭყობი ადგილი.
დიდკვათანა. სოფ.
დიხაჭითე (წითელი მიწა), ადგ.
დიხაზურგა (მიწაზურგა), ადგ. აქ მსგავსი მიკროტოპონიმი კიდევ ორია.
დოგილო, ადგ. დობერა.
დოგირო, ადგ.
ენწერი, საყანე.
ეჭვანიე, ჟვანიების უბანი.
ვახანა, ადგ.
თხირონა (თხილნარი), ადგ. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.
იანჯონა (კოპიტნარი), ადგ.
ივანაშენი (ივანეს ნაშენი), ადგ.
კაპანა ჭაე (კაპანას ჭალა).
კაპანა, ადგ. „აქ იცოდნენ კაპუნობა“.
კაჭარუი, ადგ. ძველი აბაშის ცენტრი.
კვადაცონა, ტყიანი ადგილი. მსგავსი ტოპონიმი კიდევ ორია.
კვათანა, სოფ. კვათანა.
კიბამული, საყანე.
კოდმე (კბოდე), ადგ.
კოდორა, ადგ.
ლომნო, ჩაქცეული, ქვაბი ადგილი.
მამუყონი (მამულნარი), ადგ.
მარტვიიში შარა (მარტვილის გზა).
მაღალმინდორი, ადგ. „ძველი ნაქალაქარი“.
მაღვაყური, დიდი წვიმების დროს იცოდა მოვარდნა ამ ხშირად ჩამშრალმა ღელემ.
მინდორი, ადგ. „აქ გაუყვანიათ რკინიგზა“.
მთავარანგელოზიშ ოხვამე (მთავარანგელოზის ეკლესია), ადგ.
ნადუქანუ (ნადუქნარი), ადგ. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.
ნაკაზარმუ, ადგ. „ბერძენ ვაჭრებს საპარკე ჰქონიათ“.
ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ადგ.
ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ადგ.
ნარამუ (ნარამალი), საყანე. წინათ რამის პლანტაცია ყოფილა.
ნარცუ (დაქცეული), ადგ.
ნოსირი, ადგ. „სირიების ნამყოფი“.
ნაშენი, „ნაშენი ადგილი, ვაზნარი და ხილნარი“. ასეთი ტოპონიმი კიდევ ორია.
ნაღუმუ (ნაღომარი), ადგ.
ნაღვარუი (ნაღვარევი), ადგ. ნასილარი.
ნოღაში პიჯი (ნოღელას პირი), ჭალა.
ნოღე, ღელე.
ნოღელა, მდინარე.
ნოღეყე პიჯი, მდ. ნოღელას პირი.
ოისირე, ადგ. საისლე.
ონიში, კოდორესთან არის სატივე ადგილი.
ოჩე, უხვი და ნაყოფიერი ადგილი, ჩეშის ვაზის მაღლარის ნაშენი.
ოცუმე, თევზის საყრელი ადგილი.
ოხვამე (სალოცავი), ადგ. ალექსანდრე კაჭარავამ გვიამბო: „თევდორე პაპას ჯვარი მოუტაცნია მთავარანგელოზის ეკლესიიდან და აქ მიუტანია. დავით დადიანს გადაუწყვეტია, სუჯუნის წმინდა გიორგის ეკლესია სალხინოში გადაეტანა. მისი სიკვდილის შემდეგ მისმა მეუღლემ, ეკატერინემ, განაგრძო ეს ცდა. მისი დამხმარე იყო ივაბერი – ივანე ხოშტარია. ხალხი ამ საქმეს წინ აღუდგა. ივაბერი დაახრჩვეს. ეკლესია არ დაანებეს. სალოცავის მიდამოებში ცხოვრობდა დიმიტრი გაბუნია, ამ ეკლესიის მომხატავი, დიდად ნიჭიერი კაცი“.
ოჯარე (საჯარო), თავყრილობის ადგილი.
პაპაში ეზო (მღვდლის ეზო), ადგ.
პუმპულონი. „ძველად პუმპულის მამული ყოფილა, დღეს საყანე მასივია“.
როგა (ხრამი), ღრმაუფსკრულიანი ადგილი. ტოპონიმი ერთგანაც გვხვდება.
რჩქონი, ნახევარკუნძული, მდინარეების თავშესაყარი.
საანგურო, ადგ. „წულეისკირს ჰქონია ძველად აქ სააგურე“.
საგაბიო, გაბელაიების უბანი.
საეკლესიო, საყანე. ეკლესიის მიწა.
საიოგაიო, იობაიების (გვარი) უბანი.
საკაჭარო, კაჭარავების უბანი.
სალიპარტიო, სახლობენ ლიპარტიები.
სატოგო (სატოფო), ადგ. „ტოფი ცოდნია ამ ადგილას ბევრი“.
სათოფურო, თოფურიების უბანი.
საქორჩილო, ქორჩილავების უბანი.
საცვანე, საყანე მასივი. მსგავსი ტოპონიმი სოფელში სხვაგანაცაა.
საჩოჩიო, ჩოჩიების უბანი.
საჭია, სოფ. ჭილაიების უბანი.
სახატე, ადგ. „ჭყონდიდლის მამული ყოფილა. აქ სასახლეც ჰქონია“.
საჯარო, გასართობი, საჯარო და შესაკრები ადგილი.
საჯარო. „თავშეყრის, ჯარობის ადგილი“.
ტეხირწყარპიჯი (მდინარე ტეხურის პირი).
ტოგა, დატბორილი, დაჭაობებული ადგილი, დღეს საყანე.
ტოგოცო, ადგ. ტობოღო.
ტოგოცო, ჭენჭყობი, ჭაობიანი ადგილი, ისლნარი.
ფარნას მიწა (ფარნა კაჭარავას მიწა), საყანე.
ქარიეკარი (ქარიეს კარი), ადგ.
ქვიშონა, საყანე ადგილი.
ქუაყონი (ქვიანი), ადგ.
ღაიანა, პატარა ღელე.
ღანჩარა, ღელე.
ღეყგორძაი, მრავალტოტა ღელე.
ღაჭუ ჭაე, ღელე ღაჭუს ჭალა.
ღაჭუ, პატარა ღელე.
ჩაკუთხეი, ადგ. წყარკურთხეი (კურთხეული წყალი).
ჩახური, ჩახავების უბანი.
ცისარტყელა, ადგ.
ცოცხონა, ეკლიანი, ბარდნარი, ჩირგვიანი ადგილი.
ძონძირი (დაძენძილი). „ტეხური და აბაშა რომ იყრის თავს ისულას მახლობლად, იმ ადგილს ეძახიან“.
წაიკარი, სოფ.
წინური, ადგ.
წყარჭორთი, ადგ.
ჭაე, ჭალა.
ჭოლენა (ჭილნარი), ჭილი იცის ამ ჭალაზე.
ხაგოძგა (ფლატე, კიდე), ადგ.
ჯეგიკარი, ადგ. „ჯები ქორქიას კარი. იოსელიანს ქალი მიუთხოვებია ჯეგისათვის და მისთვის მზითვად ეს ადგილი მიუცია, ხოლო კაჭარავებს წაურთმევიათ“.
ჯვეში შარა (ძველი გზა).
ჯვეში სოშე (ძველი შოსე), გზა.


გეგუთის სასოფლო საბჭო
ტოპონიმების რუკა.
გეგუტკორის ძხარეთმცოდნეობის
მუზეუმი.
მასშტაბი: 1X10,000
ტოპონიმური ნიშნები:
მდინარე,
გზა.
ავტორი: გ. ოლიაკვა

გეზათი

სოფელი ონტოფოს აღმოსავლეთით მდებარეობს, მდინარე ნოღელასა და ცხენისწყალს შორის, ნამდინარევ ველზე. ნიადაგი აქ ოდნავ ქვიანი და შლამიანია, უხვმოსავლიანი. ჭარბობს ბაღჩეულისა და ბოსტნეულის ნაკვეთები; მდებარეობა ვაკეა, ნოღელასა და ცხენისწყლის ხეობათა ვრცელი ჭალებით. სახლობენ უმეტესად იმერლები.

ატამურა. ადგ. „ბევრი ატამი სცოდნია ამ ადგილას. 1914 წელს ცხენისწყალმა გაყო სოფელი. ძველი არხი ატამურას აქეთ დატოვა“.
ბარბალე კარი, ადგ. „წმ. ბარბალეს სახელობის ეკლესია მდგარა“.
ბეგი, მდინარის ხრამიანი ფლატე. მსგავსი მიკროტოპონიმი სოფელში კიდევ ორ სხვა ადგილას გვხვდება.
ბერიახო (ბერის ახო), ადგ. „ბერის მიერ გაჩეხილი და ათვისებული“.
ბუკნარი, ადგ. აქ ბუკები (სკები) მდგარა.
გაკირული, ადგ. „წყალი გადმოდიოდა და გაუმაგრებიათ, „გაუკირავთ“.
გეზათი. „გურიიდან 10-12 კაცი, გვარად ქობულაძეები, წამოსულან და აქეთკენ აუღიათ გეზი, ამიტომ შეერქვა ამ ადგილს გეზათი. ასე წავიდეთ, გეზათაო. ბატონყმობის დროს აქ სვანეთიდან მოსულა ბოკერიანების 10 ოჯახი და მთავრისათვის მიუმართავთ. მთავარს ისინი თავიანთ კაცებად მიუღია. მოსულებს ვაჟკაცობა გამოუჩენიათ. იმ ათი კაცისათვის, რომელთაც ბრძოლაში თავი უსახელებიათ, აზნაურობა უბოძებიათ“, – გვიამბო ლ. ბოკერიამ. არსებობს სხვა ვარიანტიც. გ. ნადარეიშვილმა გვიამბო: „სოფელი გეზ – გეზათაა გამართული. აქ გეზას გვარი სახლებულა. ამიტომ ადგილისათვის გეზას უბანი – გეზათი უწოდებიათ“.
გლახუას ნაეზვარი, ადგ. „აზნაურ გლახუა ღვაბერიძის ნაეზოვარია“.
გულუხეთი, სოფ. „ნაყოფიერი მიწებით, გულუხვი მოსახლეობით, ამიტომ შეერქვა გულუხეთი. ჭყონდიდლის ნასახლარია“.
დოგერა, მაღლარზე მიშვებული ვაზის ნათელტყიანი, დღეს საყანე. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.
დოხორე კარი, ადგ. „აქ ჭყონდიდლის სასახლე მდგარა“.
ეწერი, ეწერი ნიადაგი. დღეს საყანე მასივი. მსგავსი მიკროტოპონიმი სოფელში კიდევ სამია.
ზუგა (ზურგა), მაღალი ადგილი. „ნაფხეკარია. ძველი ნაეკლესიარი, თათრობის დროს ჯარისკაცთა ფეხსაცმლის დანაფხეკიდანაა შექმნილი“.
კაბეტი. „ყამირი ადგილი ყოფილა. დღეს საყანეა“.
კობზა პირი, კობზას ჭალა.
კობზა, ღელე.
კოდარა. ადგ. „აქ გადიოდა სამეგრელოს საზღვარი“.
კოდორე, ადგ. „ტყიანი, მაგარი მიწა, უნაყოფო“. მსგავსი მიკროტოპონიმი სოფელში კიდევ ერთგან გვხვდება.
ლუხური, ადგ.
ლუხური, ადგ. „კარგი მიწა, უხვი მიწა“.
მაღალი მიწა, ადგ. „ნაფხეკასაც ეძახიან“.
ნაარმუ (ნაარამალი), ადგ. „არმად მიღებული, შურითა და ბოროტებით წაგლეჯილი ადგილი, ჩაქცეული, ორმოს პირი“.
ნაბაღვარი (ნაბაღარი), ადგ. „აქ ღვინისა და ხილის დიდი მოსავალი იცოდა“.
ნაეკლესიარი (უძველესი ნასაყდრალი), ადგ. მსგავსი მიკროტოპონიმი სოფელში კიდევ ორ ადგილას გვხვდება.
ნამოსახლევი. „უძველესი ნასახლარი ადგილი“. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.
ნარამუ, ადგ. „ადრე რამი ყოფილა აქ გაშენებული და ადგილს ამიტომ დაერქვა ეს სახელი“.
ნასაყდარი. „ძველი ნასაყდარი ადგილი. აქ ხალხი სახლებულა“.
ნაფაცხარა (დანაფარცხი მიწაა), ადგ.
ნაჭილაუ (ჭილაძეების ნასახლარი), ადგ. „აქ ჭილაიებს უცხოვრიათ, შემდეგ ამოწყვეტილან“.
რიყე, მდინარის პირია, ქვიანი ადგილი.
საგუია (ესებუე), ხშირი ტყე.
საგურია, ადგ. „ხარდანის ყურძენი თხმელასა და ბალზე ყოფილა მიშვებული“.
საკერია ღელე, ღელე. „ტყე ყოფილა აქ. ტახები იზრდებოდნენ. ამ დაბალ, შლამიან ღელეში გორაობდნენ“.
საწოლია, ადგ.
ტეგი (ტყე). „წინათ დიდი ტყე ყოფილა. დღეს საყანე და საძოვარი მასივია“.
ფშანიპირი, ფშანის ჭალა. ფშანი ღელეა.
შავი ღელე. „პატარა ღელეა, იცის შავი ქვები. ჭირიანობის და უბედურების მომსწრედ თვლიან“.
შეთხრილი, ირგვლივ შემოღობილი ადგილი, შემოთხრილი, შემორაგული.
ცხენისწყლის პირი, ადგ. ცხენისწყლის ვრცელი ჭალა.
წყვია ღელე (ჩანაქცევი ღელე), ღელე. ჩამოქცეულ ადგილზე გაჩენილი ღელე.
წყვიები. „ჩაქცეული ადგილები, დღეს ჩირგვნარი“.
ხარდანი, ნახარდნალი ადგილია. „ხარდანზე ყოფილა ვაზი მიშვებული“.


ზანათის სასოფლო საბჭო
ტოპონიმების რუკა
გურჯაანის მხარეთმცოდნეობის
მუზეუმი
მასშტაბი: 1X25000
ტოპონიმური ნიშნები
მდინარე,
გზა,
ტყე
ხატა გ. ოქროიძეს

ზანათი

სოფელი სუჯუნის დასავლეთითაა, ტეხურის ჭალებამდე. იგი გაშლილია აბაშისა და ტეხურის ხეობების სამხრეთ ნაწილში. მის ტერიტორიაზე, ფოფონის მასივზე, მდ. აბაშა ჟიპიჯთან ტეხურს უერთდება. სოფელი გაშლილ ველიანზეა, ქვიშნარი ნიადაგით, დასავლეთით ქვიანი, კადარი მასივებით. სამხრეთით რიონისპირა ჭალები გამოყენებულია საძოვრებად. სოფელში ძირითადი კულტურა სიმინდია. არის ხეხილიც და უძველესი დროიდან ნოყიერი ბალახით დაფარული ვრცელი ველები, რომელიც ოდითგანვე საძოვრებად გამოიყენებოდა.

აბაშაჭაე (აბაშის ჭალა).

ალანიაში მუხური, ალანიას (გვარია) უბანი.

ბანკიში დიხა (ბანკის მიწა), ადგ.

ბაწური, ადგ. „წინათ აბაშა გადიოდა“.

ბერღაი (ბერის ღელე).

ბერძენიში შარა (ბერძნის გზა), გზა.

ბოგვერონი, ბოგვერაბალახიანი ველი, საძოვარი.

ბოხური, ადგ.

ბოხურობა ნოხორიი, მსხვილი ხევი, ნასახლარი ხევი.

ბუჯონი (ბალნარი), ადგ.

გიძე დიხა (გრძელი მიწა), ადგ.

გუდური, საყანე.

დიდიაში ჭაე (დიდიას ჭალა), ადგ.

დიდვეხი (დიდი ვერხვი), ადგ. დიდი ვერხვი ახლაც დგას.

დიხაჭითე (წითელმიწა), სოფ.

დიხაზურგა (მიწაზურგა), ადგ. „აქ ბერძნის ჯარი მდგარა. მიწა ხელით დაუზვინიათ ჯარის სადგომად, ჯარი კი კოლხეთის მეფეს ეხმარებოდა სპარსეთის წინააღმდეგ“. ასეთი ტოპონიმი სოფელში კიდევ სამ ადგილასაა.

დოგერა, ვაზნარი.

დოხორე, ადგ. სასახლე (იგულისხმება დადიანის სასახლე).

ეწერი, საყანე.

ზანათი (ზანაში თი), სოფ. „ზანა გვარი ყოფილა, ზანები სახლებულან აქ“; „ზანა დიდი კაცი ყოფილა, დიდი ოჯახი ჰქონია. ამიტომ ზანაში თის – ზანას ოჯახს ეძახიან ადგილს“.

კაცოგური, საძოვარი.

კოდორე, რიონის და ტეხურის შესართავი ადგილი.

ლადიაში ნაკარუ. ადგ. „საქონლის საზაფხულო საძოვარი და კარავი ყოფილა“.

ლულონა (ლეღვნარი), ადგ. „აქ, აბაშაში რიონიდან შედიოდა არხი“.

მიორიაში მუხური, მიორიას (გვარია) უბანი.

მოლენი ზანათი (გამოღმა ზანათი), სოფ.

მურხვია, ადგ.

ნააგაშუ (ნააგაშარი), ადგ.

ნაგალუ (ნაგალარი), ადგ.

ნაგალუ (ნაგალარი), ადგ. „თოფურიას დიდი ბაღი ჰქონია“.

ნადოხორუ, ადგ. უძველესი ნასახლარი.

ნადუქანუ (ნადუქნევი), ადგ.

ნაეცუ, რიონის მიღმა ადგილი.

ნამანცხვარუ, ადგ. „მაცხოვრის ხატის ნაადგილარი“.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ადგ. ასეთი ტოპონიმი აქ კიდევ სამ ადგილას გვხვდება.

ნაპარონუ (ნაბორნალი), ადგილი, სადაც ბორანი იყო.

ნაპაჭკორუ, პაჭკორიების უბანი.

ნაჭვაგუ (ნაბაყაყარი), ადგ. ასეთი სახელწოდება სოფელში კიდევ ერთ ადგილასაა.

ნარიონუ (ნარიონალი). ეფრემ ძაძამიამ გვიამბო: „ამ სახელწოდების ადგილი ორია: ერთი უფრო ზემოთ, მეორე რიონის მიღმაა, ფიჩორთან. რიონს ჯერ სუჯუნის ქვემოთ უვლია, შემდეგ – ფიჩორას გაყოლებით. უფრო გვიან გურულებს გაუთხრიათ და იმ კალაპოტში ჩაუგდიათ, სადაც ახლა მიედინება. ამიტომ ნარიონუ უფრო ზევითაცაა და რიონის იქითაც, გუეიკარის სამხრეთით.

ნასიჯაფუ. დასილული ადგილი.

ნაქობაი (ნახორბლალი), ხორბლის სათესი ადგილი.

ნაშენი, განაშენიანებული ბაღნარი. ასეთი ტოპონიმი აქ კიდევ ერთია.

ნოტეხი, ტყისაგან განთავისუფლებული, გაჩეხილი ადგილი.

ნოხორობა, ადგ. უძველესი ნასახლარი.

ნოჯიხუ (ნაციხარი), ადგ.

ოკუეში (საკუე), ადგ.

ოჯარე (საჯარო), თავშეყრის ადგილი.

პალოტი, ჭაობიანი ადგილი, საფლობი.

პალური, „თევზის საშენი და საჭერი ადგილი მდ. ტეხურზე“.

პაპაში მუხური (მღვდლის უბანი).

ჟიპიჯი (ორპირი), ადგ.

რუსიაში კარი (რუსიას კარი), ადგ. „უძველესი ნასალოცვარია. აქ სახლებულან ოდესღაც სეფისშვილები. მის მიღმა, აბაშის მიღმა არის ადგილი ხაში. მას თურქის ნორინს ეძახიან. აქ კირცხალიების კარი ყოფილა. დღეობა სცოდნიათ უძველესი დროიდან, შემდეგ აღდგომას იხდიდნენ. ასეთ დღეს მომხდარა დიდი ომი, სადაც 16 ორსული ქალი დაღუპულა. ამის შემდეგ აქ ხალხი ამომწყდარა. უძველესი სასაფლაოცაა. ხშირად მიწიდან ცვივა უზარმაზარი წვივის ძვლები“ (ლ. ქობალავას გადმოცემით).

რჩქონი, „მდინარეებით გარშემოზღუდული ადგილი“.

საგუნიო, გუნიების უბანი.

საკირცხალიო, კირცხალიების (გვარია) უბანი.

სამარღანო, ადგ. მარღანიების ნასახლარი.

საოდიშარიო, ოდიშარიების უბანი.

საღოგი, ადგ.

საუჩანეისძუო, უჩანეიშვილების უბანი. ი. უჩანეიშვილმა გადმოგვცა: „ორი ძმა მოსულა ქიზიყიდან — შავიშვილები ან იაშვილები. ეს ადგილი უღრანი ტყით ყოფილა დაფარული, სადაც ასწლოვანი ხეები მდგარა. მათ შორის უზარმაზარი თხმელის ხეებზე მიშვებული ყოფილა ვაზი, განსაკუთრებით ჩე, ჩეში. ძმებს შორის დავა ამტყდარა და ამ დავაში ორივე ძმას ერთმანეთი დაუხოცავს. აკვანში დარჩენილან ჩვილი ბავშვები. ამის შემდეგ ამ ბავშვებს უჩაში სქუა (შავის შვილი) დარქმევიათ. შემდეგში მათ შთამომავლობას უჩასქუალეფი, უჩანეიშვილები დარჩენიათ გვარად“.

დედა თურმე ასე უმღეროდა ბავშვებს:

მუ რჩა ნანა,	რა გაჭამო, შვილო,
მუ რჩა სქუა,	რა გაჭამო, შვილო,
უჩაში გორჩქინეი სქუა.	შავის გაჩენილო შვილო.

სუჯუნა, ს/ს, „დამდგარი წყალი. სუ – წყალი, ჯუნა – დამდგარი“.

ტეგიძგა (ტყის კიდე, ტყის ნაპირი), ადგ.

ტეგი, დაბურული ტყე. დღეს ჩირგვნარი.

ტურაკელი, საყანე მასივი.

ტყაში ყვანა (ტყის ყანა), ადგ.

უტუში ნოხორიი (უტუს ნასახლარი), ადგ.

ფირცხალაში კარი (ფირცხალავას კარი), ადგ.

ფოფონა, საყანე და საძოვარი ადგილი.

ქორქიაში ჭაე (ქორქიას ჭალა).

ღეეძგა (ღელეს ნაპრები), ადგ.

ღუჯა ჭაე (მოხრილი ჭალა), ადგ.

ყომურჯინჯი (ტყემლის ძირი), ადგ.

ჩედიხა (თეთრი მიწა), ადგ.

ჩიჩუაში ჭაე (ჩიჩუას ჭალა).

ცუდღარი (ნახ.), მდინარე ტეხურს ერთვის ტურაკელის ტერიტორიაზე.

ძიგირი (ეკალი), „გაუვალი ტყე იყო“.

ძონძირი, ახალი სოფელია, რომელიც გრძელდება ცხაკაიამდე.

წალიკარი. „ადგილი, სადაც ადრე ხალხი სახლებულა, ახლა შიშველი ადგილია“.

წყურგილი (წყაროსთვალი), ადგ.

ჭილური, ადგ. „ჭილები სახლებულან ოდესღაც“.

ჭიჯორტი, ადგ. „ჭილების ნასახლარი. ჭილორტი ხაშთანაცაა“.

ხაში, ადგ.

ხომონა (ხურმნარი), ადგ.

ჯაპონა (თუთნარი), ადგ.

ჯვეში შარა (ძველი გზა), ადგ.

კეთილაძრის სასოფლო საბჭო
ტოპონიმების რუკა
გვგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

მასშტაბ: 1X25000

პირობითი ნიშნები:

მდინარე,

გზა.

ავტორი: გ. ელიავა

კეთილარი

რიონის მარცხენა მხარის სოფელია. იყოფა სამ ნაწილად: დასავლეთით – კოდორი, აღმოსავლეთით – **გულეიკარი**, შუა ნაწილს კი **კეთილარს** ეძახიან. კოდორსა და კეთილარს შორის **ნაცხენწყარუ** ხევია. ხალხის გადმოცემით, აქ მიედინებოდა ცხენისწყალი და ფიჩორას ხაზზე მიმდინარე რიონს ერთვოდა, კეთილარის სამხრეთით. ადგილი გაშლილია, ველიანი, რიონისპირა ვრცელი ჭალაა, ძალიან ნოყიერი ნიადაგით. აქ ძირითადი კულტურა სიმინდია. სირიაჩქონი და ანჯერი ოდითგანვე ვრცელი საზამთრო საძოვრებია. ფიჩორას მთელ გაყოლებაზე არის **ნარიონალი** და **ნარნე** ხაზი, რაზეც ცოცხლადაა შემორჩენილი გადმოცემები რიონის ამ კალაპოტით დინების შესახებ. გულეიკარში ახლაც დგას ეკლესია, რომლის მიდამოებში უნდა მომხდარიყო ბრძოლა მურვან ყრუსა და ქართულ ლაშქარს შორის. ხალხის გადმოცემით, აქ დამარცხებულა მურვან ყრუ. გულეიკარის მიდამოებში ჭილაძეებსა და დიდიებს მარანი და მაღლარი ვაზის ფართო მასივები ჰქონიათ.

ანჯერი, საძოვარი ადგილი.

ანჯერობა (ანჯერის ხეობა), ადგ. „მაღალი ნოყიერი ბალახის ხევი“.

ბობა, ადგ.

ბოგვერონი. „გაშლილი იალაღია, საძოვარი, სადაც ბოგვერას მდელოა“.

გაენკოდორი, კოდორი რამდენიმე ნაწილად იყოფა: **მეჯენი კოდორი** რიონის მიღმაა, აბაშის მხარეზე, **მოენი კოდორი** – კეთილარის მხარეს ეტყვიან. თუმცა ასე მარჯვენა პირის კოდორშიც იტყვიან ხოლმე. ანჯერის მხარეს **გაენ კოდორს** ეძახიან.

გიგო დადიაში ნაწისქვილუ (გიგო დადიას ნაწისქვილარი), ადგ.

გიგოში საანგურო (გიგოს სააგურე), ადგ.

გულეიკარი (გულიას კარი). „ეს ადგილი გულიას ნასახლარია, ზოგჯერ მასზე გულედასაც ამბობენ. აქ გულედას სალოცავი ყოფილა უხსოვარ დროს“. „გულეიკარის ეკლესიაზე არსებობს გადმოცემა, რომ აქ მურვან-ყრუ შემოჭრილა. როცა მას ეკლესია შეუმტვრევია და შიგ შესულა, ხატი გაბრაზებულა და უბრძანებია, ხელი აეღო ამ კუთხის დარბევაზე, აეყარა თავისი ლაშქარი და წასულიყო აქედან. მურვანი იძულებული გამხდარა, დამორჩილებოდა ხატს. მისთვის თავისი ხმალი დაუტოვებია მძევლად, აუყრია ლაშქარი, დამარცხებული და შერცხვენილი წასულა აქედან. ხმალი ეკლესიაში დიდხანს ინახებოდა ამ გულოვანი ხატის პატივსაცემად, შემდეგ კი მუზეუმში წაიღესო“, – გვიამბო 76 წლის მოხუცმა ალექსანდრე სიმონის ძე კეკელიძემ.

გულეიკარიში ჭაე (გულეიკარის ჭალა).

დაბაი (დაბალი), ჭალა, საძოვარია.

დადიაში მამუი (დადიანის მამული), გაშლილი ველი. სიმინდის ყანაა.

დიდი ნარინე (დიდი ნარიონალი), ადგ.

დიდიაში ეზო (დიდიას ეზო), ადგ.

დუქანკარი. „ძველი საბაზრო ადგილი“.

ეწერი, ადგ.

ზემო ხეთი, ადგ.

თელონი (თელნარი), მსგავსი ტოპონიმი აქ კიდევ ორია.

კაციაფონი. ადგ. „აქ კაცია ჩაგინას ჰქონია ბორანი“.

კეთილა, სოფ. მიხ. ბურსალიამ და ალექსანდრე კეკელიძემ გადმოგვცეს: „მეტად ნაყოფიერი ადგილი ყოფილა, ნოყიერი ნიადაგითა და ტყით. აქ პირველად კაცი მოსულა, დასახლებულა და დიდად გამდიდრებულა, ამ კეთილი ადგილისთვის **კეთილა, კეთილარი**, სიკეთის ადგილი შეურქმევია. მეორე ცნობით, აქ კეთილად დამთავრებულა არაბების წინააღმდეგ ბრძოლა, ამიტომ კეთილარი შეერქვა. მესამე ცნობით, კეთილარის ნასალოცვარის მიდამოებში ძველი ნიში ყოფილა, ხატის პატივსაცემად სოფელს შეერქვა კეთილარი. ეს ადგილი დადიას გადაუცია ამ კუთხის ბატონ დიდიასათვის“. „**კეთილი ცენს კეთილარს**“ – კეთილი ცვივა კეთილარშიო. ასეთი გადმოცემაც არსებობს: „მოსული კაცი ზარმაცი ყოფილა, სულ ჩრდილში წოლილა და ღვთის ბოძებული სიკეთით უსარგებლია, მაგრამ როცა ბუნების ეს სიკეთე ამოუჭამია და ბუნების სიკეთის მოსაპოვებლად შრომა გამხდარა საჭირო, მას შიმშილით სული ამოხდომია“.

კირცხანოტეხი, საყანე, „კირცხაიას მიერ აღებული ყამირი“.

კოდორჭაე, ჭალაა, საძოვარი და საყანე.

კოდორი, სოფ. გაშლილი, ნოყიერი, ქვიშიანი ადგილი.

ლულფონი (ლეღვფონი), ლეღვის თავთხელი. ლეღვი ამ თავთხელთან მდგარა.

მამუი, ადგ. „ვენახიანი მამული ჯერ ჭილაიას ჰქონია, შემდეგ კი – დიდიას“.

მენიშორი, ადგ. „აქამდე ამოდიოდნენ მენავეები ფოთიდან“.

ნაბაღუ (ნაბაღარი), ადგ. „ძვირფასი ხილნარი იყო თურმე“, უკანასკნელ დროს მაქსიმია კეკელიძეს აქ ბაღი ჰქონია, სადაც ხარობდა ვაზი: პუმპუღა, კამური, ხარდანი, ჩეში მაცური (თეთრი).

ნაგუმარუ (ნაგვიმრალი), ადგ.

ნადაჩუ, განადაჩა (გადამიჯნული ადგილი, გოდაჩუა გადამიჯვნაა), ადგ.

ნადოხორუ (ნასახლარი), ადგ.

ნადუქანუ (ნადუქნევი). ადგ. „აქ ფოთიდან ამოსული ვაჭრები ვაჭრობდნენ თურმე“.

ნაჩხეტუ, ჩხეტიების უბანი.

ნამარანუ (ნამარნალი). „ჭილაძეებს აქ მარანი ჰქონიათ“. ტოპონიმი კიდევ ორ ადგილას გვხვდება.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ადგ. „აქ იდგა მუხა და მას ხალხი თაყვანს სცემდა“.

ნაპარტახუ (ნაპარტახალი), ადგ.

ნარიმელე, გაღმა ნარიონალი. ასეთი ტოპონიმი აქ კიდევ რამდენიმეა.

ნარიონუ (ნარიონალი), ადგ. „აქ წინათ რიონი მიდიოდა, ხოლო სოფელი უფრო ქარსაცავი ზოლისკენ და აქეთ, კოდორესკენ იყო“. ასეთი ტოპონიმი აქ კიდევ რამდენიმე ადგილასაა.

ნოტეხი, ადგ. „გაჩეხილი ტყე და საყანედ გამოყენებული“.

ნოტეხი, გატეხილი ყამილი.

ნაქოგალუ (ნაპურალი), ადგ.

ნაღუმუ (ნაღომარი). „ღომის სათესი ადგილი“.

ნაშენი. „ოდესღაც ხეხილის ნაშენი, დღეს საყანეა“.

ნაცხენწყარუ (ნაცხენისწყლარი). „წინათ ცხენისწყალი გადიოდა და ერთვოდა რიონს ფიჩორთან. მაშინ იქ მიედინებოდა რიონი, დღეს ხევია“.

ნახაჯუ. „ცერცვის სათესი ადგილი“.

ნაჭიავუ (ლეჭიე), უბანი. „ჭია სახლებულა აქ“.

ნაჭილაუ, ადგ.

ნოჯიხენი (ნაციხარი), ადგ. „ნათურქალი ციხე, ნაომარი, ნაბრძოლი. აქ დიდი ბრძოლა მომხდარა. ეს ადგილი დადიანს გურულებისთვის წაურთმევია და მიუსაკუთრებია, მას მოუყვანია დიდკაცი **დიდია**, რომლისთვისაც მიუცია საბატონოდ. აქ უხსოვარი დროიდან ციხე მდგარა“.

ნოჯიხენი, ძველი ნაციხარი ადგილია.

ონგერე (სამგლო). „ტყიანი და ძლიერ საშიში ადგილი“.

ოტიეში დაბაი (ოტიეს დაბალი), ადგ.

ოჭირკეთი (საჭინკეთი), ადგ.

ჟინპიჯი (ზედაპირი), საკმაოდ აწეული ვაკე. საყანე მასივი.

სააკესო, ადგ. „ანკესების ჩასაყრელი ადგილი“.

სამარღანო, კეთილარის სასოფლო-საბჭოს იქით არის სამარღანო – სირიაჩქონი – კაცობური. ახლა ნაკრძალია.

საჩხოულე (ნაბაღარი), ადგ. „დღესაც აქ ბაღია“.

საქორქიოში ჭაე, საქორქიოს, ქორქიების (გვარია) ჭალა.

საღლამო. „ღლავების საბუდარი და ანკესით დასაჭერი ადგილი“. ეს ტოპონიმი ერთგანაც გვხვდება.

სირიაჩქონი. „სირიას ჩქონი, ჩქონი წყლის მიერ მიტოვებული ადგილია, რომელსაც ირგვლივ წყალი უვლის. აქ იოსელიანები სახლობდნენ. ახლა ტყიანი, სანადირო და საძოვარი ადგილია“. „რჩქონუა – მიწის დაღარვა, – დაზღარვა – პირველი დამუშავებაა“.

ურიაჭაე, ადგ. „ურიების, ებრაელების ნაბანაკარი. მათ აქ დუქნები და სავაჭრო უბნები ჰქონიათ.“

ფიჩორა, მდინარე. „წინათ მის ადგილას მდ. რიონი მიედინებოდა, შემდეგ მცირე ღელეს გაუკაფია გზა და მდინარედ ქცეულა“. ფიჩორას მცირე ღელეს სინონიმად ამბობენ – **ფიჩორაე, „ფიჩორაცაი წყარიე“** – ასე იტყვიან.

ფიშორი. „ნარიონალი ხაზია, შემდეგ წყალსავალად ქცეული, საწრეტი არხი დღეს პალიასტომამდე გრძელდება“.

ქუალონი (ქვიანი), გაშლილი ველია, საძოვარი და საყანე ადგილია.

ჩესასიმინდე. „თეთრი სიმინდის ფართო მასივი“. დღეს საყანეა.

ჩეშონა. ადგ. „აქ მაღლარი ჩეში ყოფილა გავრცელებული. აქედან ყურძენი ფარდიანი ურმებით უზიდიათ სოფელში. სულ ჩეშონური ყოფილა გაშენებული“.

ჩეშონა, ჩეშის მაღლარი ადგილი.

ჩიჩუების კარე, ადგ. ჩიჩუების კარავი. სამესაქონლეო კარავი.

ჩქონი, ადგ. „დამბის მიღმა, გულეიკარის მთელი ტერიტორია ნარიონალი ყოფილა. თავდაპირველად ეს ადგილები, სადაც ახლა რიონი მიედინება, ჯერ ნოხორიი ყოფილა, შემდეგ რიონს დაუჭერია. გულეიკარი სამ ნაწილად იყოფა: **ჭაეკუთხე, ნაჩხეტურ კუთხე, ნარიმელე კუთხე**“. მსგავსი ტოპონიმი კიდევ სამ ადგილას გვხვდება.

ძიგური, ადგ.

წვიწვიანი. „სულ წიწვიანი ტყე ყოფილა. დღეს ველია“.

ჭაე, რიონის ჭალა.

ჭალის კუთხე, საყანეა. კუთხესავით შეჭრილია მდინარის მოსახვევში.

ჭიაიაში ნაშარუ (ჭილაიას ნაგზური), მიდიოდა საჭილაოში.

ჭიაიაში ნაშარუ. „ჭიაიას ნაგზური“.

ხატკარი, ადგ. „წინათ აქ სოფელი ყოფილა და დიდი ხატი სვენებულა, შემდეგ სოფელს ადგილი უცვლია. ხატს ხარს უკლავდნენ თურმე“. ასეთი ტოპონიმი აქ კიდევ ერთ ადგილასაა.

ჯვეი ნოდვეი (ძველი ნაყანევი), საყანე.

ჯვეში ნაშარუ (ძველი ნაგზური). „ჯარის გზა იყო. ამ გზით შემოვიდა არაბთა სარდალი მურვან ყრუ“.


მარანის სასოფლო საბჭო
ტოპონიმების რუკა
გვიჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
მასშტაბი: 1X/25000
ძირითადი ნიშნები:
მდინარე,
გზა,
რკინგზა
ავტორი: გ. ოლიაკა

მარანი

სოფელი მარანი ქოლობანსა და პირველი მაისის სასოფლო საბჭოებს შორის მდებარეობს. ოდესღაც საჭილაოს ცენტრი ყოფილა. იგი ოდითგანვე მევენახეობის ძლიერ დაწინაურებულ სოფლად ითვლებოდა. ჭილაძეებსა და დიდიებს თავიანთი მარანი და მამულები ჰქონიათ. სოფელი სულ მარნებით ყოფილა მოფენილი. მოჰყავდათ პუმპულა, ხარანი, ჩეში, ჩერგვალი და სხვ., რომელიც ხურმისა და ვაშლის ხეებზე ყოფილა მიშვებული. ნიადაგი ქვიშნარია, ძალიან უხვნაყოფიერი, განსაკუთრებით ბაღჩეულისა და ბოსტნეულისთვის. რელიეფი სწორი და გაშლილია. მდებარეობს მდ. ნოღელისა და ცხენისწყლის ხეობებში. მოსახლეობა, უფრო მეტად, იმერელია, რომელიც იმერულ კილოზე მეტყველებს.

არგვანი (ჭური), „ადგილის ძველთაძველი სახელწოდებაა“. მსგავსი მიკროტოპონიმი სოფელში კიდევ ერთია.

ბანკის ადგილები, ადგ. სახაზინო მიწები.

ბარცხიში, ადგ. „დიდი სოფელი ყოფილა. ხალხს ქოლერა მოსდებია და სულ ყველა გაუწყვეტია“.

ბერნაყანები, საყანე.

გეგეშიძეების უბანი.

გოგელიძეების უბანი. ილია გოგიშვილმა გვიამბო: „როცა გოგელიძეები აქ ჩამოსახლებულან, ცხენისწყალი შუაზე ჰყოფდა ამ სოფელს, რომელიც მჭიდრო მოსახლეობით იყო დასახლებული. გოგელიძეების ორივე უბანი მაშინ ერთიან სოფლად ითვლებოდა. დღეს მარტო ეს უბანია გოგელიძეებისა“.

გრიგოლური, ადგ. „ვენახის ჯიშია“.

გუგუნაᲮათი, ადგ. „აქ ვინმე გუგუ სახლებულა. ამ ადგილებში სახლ-კარი გაუმართავს, ამიტომ დაერქვა გუგუშინაᲮათი. მეორე ცნობით, გუგუ ყოფილა ლამაზი ქალი, რომელიც კაჭარავას მოუტაცნია, მაგრამ გამოქცევია და თავის სოფელში ჩამოსულა, შინ მისვლა სასირცხვოდ ჩაუთვლია და რუშეში თავი დაუხრჩვია. ამიტომ ამ ადგილს, გუგუნაᲮათი შერქმევია. მესამე გადმოცემით, აქ გუგუნა (გუგუნავა) სახლებულა, დიდი კაცი. მისი დიდი ოჯახი მდგარა და მათ ნასახლარს გუგნაᲮათი შერქმევია“.

გუგუნაყათი. სოფელი.

დიხაზურგა (მიწაზურგა), ადგ. „თათრების ჯარს ტალახიანი ფეხი დაუფხეკია და მისგან მთა დამდგარაო“. მსგავსი ტოპონიმი სოფელში სხვაცაა.

დოგირო (დობილო), ადგ.

დუცვეთი, ადგ.

ვაშლები. „ადრე აქ ვაშლის ტყე ყოფილა, ახლა საყანეა“.

თელიეგის უბანი.

ილორი, სოფ. „წმინდა ადგილია ილორის სახელობისა. იგი ოთხ ნაწილად იყოფა. პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე ილორი“. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ ერთია.

კოპიტნარი, ადგ.

კურდღელია, ადგ.

ლანწრული, ადგ.

მამული. „ვაზის და ხეხილის მამული“, დღეს ტყე და საძოვარია.

მარანი, სოფ. „ამ კუთხეს სულ მარანი ეწოდა დადიანის დიდი ვენახისა და მარნების არსებობის გამო. უფრო ადრეც არსებულა აქ ვენახები და მარნებიც“.

მარანჭალა. „სადაც ახლა კლუბი და კანტორაა, იქ დადიანს იმერეთისა და ოდიშის საზღვარზე ჰქონია მამული და მარანი. იგი პუმპულას ყურძენს წურავდა და ღვინოს აყენებდა“.

ნაზაოდარი. „იტალიელების მიერ აგებული სახერხი ქარხნის ადგილი. ადრე ამ ქარხნის პატრონი ვიღაც სერებრიაკოვი ყოფილა, ამიტომ მას სერებრიაკოვის ზაოდს ეძახდნენ. სახერხი მასალა ცხენისწყლით მოჰქონდათ სვანეთიდან. 1911 წლიდან ქარხანას მოიჯარადე ამხანაგობა განაგებდა, 1921 წლიდან კი სახელმწიფო საკუთრება გახდა, იარსება 1938 წლამდე“.

ნამოსახლარი, ადგ.

ნარმოლა, ჩავარდნილი ადგილი.

ნასერალა. ადგ. „ნოღელაზე ნასერალას ხიდი ყოფილა“.

ნაფაცხები, ადრე ფაცხა მდგარა, დღეს საყანეა.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ადგ.

ნაშალმური, საყანე ადგილი.

რიყე, ჭალის რიყიანი ნაწილი.

რუშე, ღელე.

რუშეისპირი, ღელის პირი.

სადუნდუო, დუნდუების უბანი. დიომიდე თელიამ გვიამბო: „სამი ძმა ჩამოსულა სტამბოლიდან სავაჭროდ, ადგილი მოსწონებიათ და ერთი რიონის პირას დასახლებულა, მეორე – რიონის გაღმა, მესამე – აქ. გვარი თან მოჰყოლიათ. მათი მამა-პაპა მეგრელები ყოფილან. დუნდუები ორ ნაწილად გაყოფილან – მაღალი დუნდუა და დაბალი დუნდუა. მაღალი დუნდუა დადიანის კაცი იყო. დადიანს მარანი ჰქონია. აქაურ მოურავს ბაᲮაჩა დუნდუა გაუგზავნია დადიანთან. დადიანს ის მოსწონებია და იქვე დაუტოვებია“. „წინაც მარანში ჭილაიები ცხოვრობდნენ, ამიტომ მას საჭილაოსაც ეძახდნენ. საჭილაოში მიიღო დადიანმა დუნდუა. დადიანმა მას აზნაურობა უბოძა, ე. ი. მაღალ დუნდუად გახადა. კორძაიებს შეშურდათ ეს და ბაᲮაჩა მოწამლეს. სხვანი დაბალ დუნდუებად დარჩენილან. სადუნდუოში ასათიანებიც სახლობენ. ასათიანების გვარი ასე წარმოდგა: თათრის ჯარი გარემოცვაში მოყვა. აქედან წამოიყვანეს ქართველებმა 110 კაცი. 110 კაცს ასათიანი შეერქვა, ხოლო მეთაურს – ერისთავი“.

საეკლესიო, ადგ. „ეკლესიის მიწები“.

საინჯარო, ადგ.

საᲯაძაშო, ლაქაშიანი ადგილები.

საჩეხი, ადგ.

საჯარო, ადგ. „ფერისცვალების დღეს უამრავი ხალხი იყრიდა თავს (19 აგვისტო ახალი სტილით)“.

ტყემლარი, ტყემლის ტყე.

უდანო, საყანე.

ურეკი, ადგ. „წინათ გაუვალი ტყე და ძლიერ კარგი სანადირო ადგილი“.

ფშანპირი, ადგ.

ფშანიპირი. „გზებს კვეთდნენ და წყალსაწრეტი არხი გაჰყავდათ. ფშანი შემდეგ ღელედ იქცა, მისი პირია“.

ქოლობანი (ჩასაქოლი), სოფ. „აქ, მიწაში, პალო ყოფილა ჩასობილო, სადაც სათემოდ ჩასაქოლი კაცი მოჰყავდათ ქვით ჩასაქოლად. ქოლობანი – ჩაქოლვის ადგილი“.

ღანჩარა. პატარა ღელეა.

ღოგირი, გაღობილი, გადაღობილი, ადგ.

შანპირი, შანის ჭალები.

შოშეპირი (გზის პირი). „ძველი გზა გადიოდა. ეს გზა ორპირში ჩადიოდა“.

ცხენისწყლის ჭალა, ჭალა.

წკუნტუა, ადგ.

ხარდანი, ადგ.

ხუტნატეხი, საყანე. „ხუტუნია მიქალაძეს ტყე გაუტეხია და ადგილი აუთვისებია.


ნაესაკაოს სასოფლო საბჭო
ტოპონიმების რუკა
გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის
მუზეუმი.
მასშტაბი: 1X10,000
ტერიტორიული წყალსაცავი
ზეგეს
ნასოფლარი
ნასოფლარი
ბოლოძეს
ბოლოძეს
ბოლოძეს

ნაესაკაო

სოფელი რიონის ხეობის ველიანზეა, ეწერის მასივზე. დაცემული ველია, რომელსაც აღმოსავლეთით საზღვრავს ნოღელის ფართო ხეობა, სამხრეთით კი – მდ. რიონი. მისი ცენტრია შუაქალაქი, სადაც ზედაპირულად მატერიალური კულტურის ძეგლის რაიმე უმნიშვნელო კვალიც კი არაა შემორჩენილი. ნიადაგი ქვიშნარია, მსუბუქი, უხვმოსავლიანი. ძირითადი კულტურაა სიმინდი. სოფელში ეთერზეთოვან კულტურათა პლანტაციების დიდი მასივებია გადაშლილი.

ბერიშ ჭალე (ბერის ჭალა).

ბერიში დიხა (ბერის მიწა), ადგ.

გედერული, საყანე.

დოგერა, ადგ. „მაღლარი ვაზის ტყე“.

ენწერი (ეწერი), ადგ.

ზუგა (მიწაზურგა), „უძველესი სალოცავი“. ასეთი ტოპონიმი სოფელში კიდევ ერთია.

იანჯონა (კოპიტნარი), ადგ.

იანჯონა (კოპიტნარი), ტყე.

კირცხა ნოტეხი, საყანე.

კოდორე, ადგ. „ღარიბი ხალხი – კოდორები ჩამოსახლებულან“. ასეთი ტოპონიმი სოფელში კიდევ ერთია.

კოდორფონი. „კოდორის თავთხელი რიონზე“.

კოდორქალაქი, ადგ. ნიკოლოზ მიმინოშვილმა გადმოგვცა: „წინათ ქალაქი ყოფილა. იქ, სადაც დღეს გაჭედილია, კოდორი უნდა ყოფილიყო, მაგრამ შემდეგ გადაუტანიათ. წინათ სულ ერთიანი ყოფილა ეს კოდორი. რიონი მაშინ ფიჩორასთან მიედინებოდა. შემდეგ გურულებს რიონი დღევანდელ კალაპოტში გადმოუგდიათ. სოფელი კოდორი წყალს შუაზე გაუყვია და ბევრი ოჯახიც წაუღია“.

კოკიჭალე, ჭალა.

მამული, ადგ. „პუმპულის მამული“.

მანეში, ადგ.

მანეშორი, სავანე.

მანიშორი, ადგ.

მიქელაძეში დოხორე (მიქელაძის სასახლე), ადგ.

მუხურე (უბანი), აქ ასეთი ტოპონიმი კიდევ ორია.

ნაგუმარუ (ნაგვიმრალი), გვიმრიანი ადგილი.

ნაესაკუ, ს/ს. საესაკიო (ესაკია გვარია). „აქ თურმე პუმპულა იყო ყველაზე კარგი ყურძენი. პუმპულის მამულები ჰქონიათ ჭყონდიდლებს“.

ნამარანუ (ნამარნევი), ადგ.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ადგ. ასეთი ტოპონიმი სოფელში კიდევ ერთია.

ნაპარონუ (ნაბორნალი), ადგ.

ნაშენი, ადგ. „განაშენიანებული ბაღნარი“.

ნაწისქვილუ (ნაწისქვილარი), ადგ.

ნიჭინკუ (ნაჭინკარი), ადგილი ცხენისწყლის ძველ კალაპოტთან. ასეთი ტოპონიმი სოფელში კიდევ რამდენიმეა. „აქ ნაცხენწყარუ ხევია დარჩენილი. მასში ჭინკები და ეშმაკები ბუდობენ“.

ნახაჯუ (ნაცერცვალი), ადგ.

ოგერგული, ადგ. თოხით დასამუშავებელი, სათოხნი. მსგავსი სახელწოდება კიდევ ერთია ამ სოფელში.

ოკატუე, ვიწრო და გაუვალი ადგილი (კატის გასარბენი).

ონიშე (სანავო), ნავით გადასასვლელი ადგილი.

ოჩე, ადგ. ასეთი ტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.

ოჩხვარეში (ღომის საცეხვი), ადგ.

ოხვამე (სალოცავი), ადგ.

ოჯარე. „საჯარო, თავშესაკრები ადგილი“.

პუმპუჯონი, ადგ. პუმპულის მაღლარის ვაზი, ვენახი.

საესაკიო, ესაკიების უბანი.

სათანჯი, „გასაყოფი, გასამიჯნი ადგილი“.

საკიზირიო, კიზირიების უბანი.

საკუციო, კუციების უბანი.

საკუჭუხიძო, კუჭუხიძეების (გვარია) უბანი.

საქვილითაო, ქვილითაიების (გვარია) უბანი.

საღლამო, ადგ. „ღლავებს იჭერდნენ წინათ“.

საჩაჩუო, ჩაჩუების უბანი.

ცილორი, სოფ. ძველი სოფელი.

ჯაფარული, საყანე.

ჯოგორე, ადგ.

ღაინა, მცირე ღელე. ხშირად მშრალი, წვიმების დროს იცის ადიდება.

ღაჭუ, ღელეა და ადგილი.

შუაქალაქი, სოფ. „ძველად დიდი ქალაქი, ჩვენს წინაპრებს ეს გადმოცემით ახსოვთ“.

წვინარა, საყანე.

ჭალე, ჭალა.

ხარდანი, ადგ. „ხარდანზე მიშვებული ვაზის ტყე“.

ხუხუერი, ადგ.


ნორიოს სასოფლო საბჭო
ტოპონიმების რუკა
გვიანდელი შუასაუკუნეების
ძეგლები
მასშტაბი: 1X10,000
პირობითი ნიშნები:
მდინარე,
გზა,
რკინიგზა,
ტყე.
ავტორი: ვ. ოლიაკვა

ნორიო

სოფელი გაშლილია რკინიგზის ხაზის ორივე მხარეზე, ძველი აბაშის, დაბა აბაშის, წყემის, ზანათისა და სუჯუნის ს/ს ტერიტორიაზე, მდ. აბაშის ნამდინარევ ჭალაში. ნიადაგი ქვიშნარია, რელიეფურად ადგილი გაშლილი და სწორია. მდინარე აბაშის კალაპოტის ორივე მხარეზე არის ღრმად ჩაჭრილი ფლატე. ჭალა სწორია. ქვიანი რიყე ძალიან შეზღუდულია. ჭალა მაღალი, ბოგვერას ტიპის ბალახითაა შემოსილი და საძოვრად გამოიყენება. სოფლის ტერიტორიაზე თესავენ სიმინდს, მოჰყავთ ეთერზეთოვანი კულტურები. იგი მჭიდროდაა დასახლებული.

ბაკენი, ადგ.

ბანკი, ადგ. „თურქის ვაჭრებს აქ კანტორა ჰქონიათ და ფულს ურიგებდნენ თურმე სერიაჩქონისა და რიონისპირეთის მუშებს“.

ბანკიში დიხა, საყანე. „სახელმწიფო, სახაზინო, ბანკის მიწა“.

ბოხური, ადგ. „ვაზის ძველი ჯიში ყოფილა“.

განკარი, სოფ. განათლების კარი შეერქვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში.

გედერუი, ადგ.

გუგეთი, ადგ. მსგავსი ტოპონიმი აქ კიდევ ერთია.

დადიაში წისქვიი, ადგ. „დადიანის (ბატონიშვილის) წისქვილი“.

დოგერა, ადგ. „მაღლარი ვაზის ნათელი ტყიანი“. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ სამია.

დოგირო, დობერა, ადგ.

დღიგუ, ადგ.

ეწერი (ეწერი), საყანე.

იობური, ადგ. „ვაზის ძველი ჯიში ყოფილა ძველად, დღეს გადაშენებულია“.

კაჭარული, უბანი საკაჭარაო.

კეჭეხი (ქვიანი), კადარი ადგილი.

ლომნოხორი, ადგ. ლომკაც გვაზავას ნასახლარი.

მამუი, საყანე. „დადიას ვაზის მამული“.

ნაანგურუ (სააგურე), ადგ.

ნაჩახუ, ჩახავების ნასახლარი.

ნაფაცხერი (ნაფაცხარი), ადგ.

ნაისირუ (ნაოსლარი), ადგ. ასეთი ტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ადგ.

ნაპატუ, საყანე. „სასუქით, ნაკელით განოყივრებული ნიადაგი. აქ სულ საქონლის ქართები ყოფილა და მით გაპატივებულა“.

ნარნა (ნარიონალი), ადგ. „უძველესი კალაპოტი რიონისა“.

ნაროუ, ადგ.

ნალუმუ (ნაღომარი), ადგ. ასეთი ტოპონიმი სოფელში კიდევ რამდენიმეა.

ნაშენი, საყანე. „ხოშტარიას ვაზის ნაშენი“.

ნახვილა (დაგუბული), ადგ. „გახერგილი ადგილი, ამ ადგილზე წყალი დაუგუბიათ“.

ნორიო, ადგ. „ნარიონალი“.

ომარ ღეჯე, მცირე ღელე, რომელიც გვალვის დროს შრება.

ოთიფური, სათიბი, ადგ.

ოღუე (საბუე), ადგ.

ოხვამე კარი (ეკლესიის კარი), ადგ.

პუმპულონი, ადგ. „პუმპულას მაღლარი ყოფილა მიშვებული ვაშლისა და ხურმის ხეებზე“. მსგავსი ტოპონიმი აქ კიდევ ორია.

საჩაჩუო, ჩაჩავების (გვარია) უბანი.

საჩეხი, ადგ. მცირე საჩეხი ტყიანი. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.

საგვაზო, გვაზავების უბანი.

საქარიო, ქარიანი ადგილი.

საჭირო. „ჭირით ამოწყვეტილი ადგილი“.

სახარასხუი (შაქარმსხალი), ადგ. „ასეთი ჯიშის მსხლის ხეივანი ყოფილა აქ“.

სახოშტარიო, ხოშტარიების უბანი.

საძველაიო, ძველაიების უბანი.

ტები (ტყე), ადგ.

უჩადიხა (შავი მიწა), ადგ. ასეთი ოპონიმი სოფელში სხვაცაა.

უჩადუდი (შავი თავი), ადგ.

უჩადური (შავი ადგილი), ადგ. „ჭირითა და უბედურებით ამოწყვეტილი“.

უჩადური, საყანე. „ამოწყვეტილი ადგილი, ჭირს ამოუწყვეტია ხალხი“.

ფულუეში. „ფაქარი, რბილი ადგილი. აქ მიწა სულ თხუნელების მიერაა დახრული“.

ქუაჯონი (ქვიანი), სოფ. ასეთი ტოპონიმი სოფელში კიდევ ერთია.

ღეეძგა (ღელე კიდე), მისი ნაპირები.

შძაი ფონი (შუა ფონი), დღეს ჭალაა.

ჩეშონა, ადგ. „ჩეშონურის ვაზი ყოფილა აქ გაშენებული“.

ჩიტური, ჩიტაიაში (გვარია) ნოხორიი, ადგ. ასეთი ტოპონიმი სოფელში სხვაცაა.

ჩიტური, საყანე ადგილი.

ცუდღარი, ღელე, არხი, ჭყონდიდელის არხსაც ეძახიან.

ძიგური, უბანი. „მუხისა და რცხილის ტყე ყოფილა, ეკლიანი, ტყიანი, ჩირგვიანი. აქ პირველად ჩოჩიები დასახლებულან, შემდეგ კიზირიები, ბოკუჩავები. სულ 100 კომლია. აქ იცოდნენ დღესასწაული კაპუნობა“. მსგავსი ტოპონიმი კიდევ ორია.

წისქვიი კარი (წისქვილიკარი), ადგ.

ჭიაიაში ნალუ, ჭილაიას (გვარია) ღელე.

ჭაე, მდ. აბაშის ჭალა.

ჭანიორი, ადგ. „ჭანების ნამოსახლარი“. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.

ხარდანი, ხარდანზე მიშვებული ვენახი, დღეს საყანეა.

ჯანიორი, ადგ.

ჯაპანა (თუთნარი), ადგ.

ჯვარიში (ჯვარისი), ადგ. „უძველესი ნასალოცვარი. ადრე აქ ჯვარი მდგარა და მას სცემდნენ თურმე თაყვანს.

ჯვეში ნაშარუ, ძველი გზის ხაზი.


ინტოფის სასოფლო საბჭო
ტოპონიმების რუკა.
გუგეჭკორის მხარეთმცოდნეობის
მუზეუმი.
მასშტაბი: 1X10.000
პირობითი ნიშნები:
მდინარე.
გზა.
ხატა: გ. ოლიაკა

ონტოფო

სოფელი საჭყონდიდლოს სახელითაა ცნობილი. მდებარეობს ნოღელასა და აბაშას შორის, მათ ჭალაში. ნიადაგი აქ შლამიანი და უხვმოსავლიანია. ნოღელას ნაპირები ოდნავ ქვიანია. აბაშისპირა ველები საძოვრებსა და სიმინდის ყანებს უჭირავს. ძირითადად სიმინდი ითესება. მოჰყავთ ეთერზეთოვანი კულტურები და დაფნა.

ATAMAJINJI (ატმის ძირი), ადგ.

ATAMAJINJI (ატმის ძირი), დღეს საყანე ადგილია.

BEGDABAI (დაბალი ბორცვი), ადგ.

BEGIJI NAWISQVILARU (ბეგის ნაწისქვილარი), ადგ.

BEGMALAI (მაღალი ბორცვი). „თურქიანობის დროს სიმაგრე, ნათურქალი, ნაბრძოლი“.

GABILURI (ვაზის ჯიშად თვლის ხალხი), ადგ.

GVALURI, ადგ.

GIOCIBU, ადგ.

GIRZE WVANA (გრძელი ყანა), დღეს საყანე ადგილია.

GOXORGII (დაზვინული), ადგ.

GOXORGII, ნოღელას მიღმა, ნოყიერი ადგილი.

DABAI (დაბალი), საყანე მასივი.

DABAI ČALE (დაბალი ჭალა).

DABAI ČALE (დაბალი ჭალა).

DOBERA (დობილოიანი), ადგილი ვაზიანი, ხილიანი, ხშირი ტყე.

DOXORE (სასახლე), ადგ. მსგავსი მიკროტოპონიმი სოფელში კიდევ ერთგან გვხვდება.

DOXORE KARI (სასახლის კარი), ადგ. „აქ ეპისკოპოსი ჭყონდიდლის სასახლე ყოფილა“.

DOXORE KARI (სასახლის კარი), დღეს საყანე ადგილია.

DOXORE KARI (სასახლის კარი). ადგ. „აქ ჭყონდიდლის დოხორე – სასახლე ყოფილა. სოფელსაც საჭყოინდროს თუ საჭყონდიდლოს ეტყვიან“.

EGUJUE, ადგ.

EGUJUE, გუჯუიების (გვარია) უბანი. ახლა აქ გუჯუიას არც ერთი ოჯახი არ სახლობს.

ENWERI, ეწერი ადგილია, დღეს ჩაის პლანტაცია და სიმინდის საყანე ფართობი.

ESIA FONI, ესიავას (გვარია), ფონი.

TEAJINJI (თელისძირი), ადგ. ტოპონიმი ერთანაც გვხვდება.

KARE (კარავი), ადგ.

KARE, NAKARU (კარავი, ნაკარვალი), ადგ.

KAČANOXORII (კაჭას ნასახლარი), ადგ.

KEKELURI (კეკელური), ადგ. „წინათ კეკეჲური ჯიშის ვაზიც ყოფილა. დღეს მას აღარავინ იცნობს“.

LUKA NOXORII (ლუკას ნასახლარი), ადგ.

MAČIA ONTOFO (მეორე ონტოფო), უბანი.

MALAI (მაღალი), საყანე მასივი.

MARŠIA NOXORII (მარშიას ნასახლარი), ადგ.

MUXURI (უბანი, კუთხე, მხარე).

NADIDCXENWYARU, ადგ. დიდცხენისწყლის სადინარი. ხალხის გადმოცემით, „მოულაპარაკნიათ და წულუკიძეების ადგილში კალაპოტი გაუთხრიათ და გადაუშვიათ მდინარე. იქ ყარაული დაუყენებიათ, რომ იმერლებს აქეთ არ შეებრუნებინათ იგი“.

NADUQANU (ნადუქნარი), ადგ. მსგავსი მიკროტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.

NAECU, ადგ.

NAICU, მცირემოსავლიანი ადგილი. „ცუდენდუ“ – სულ ცუდდუბოდაო.

NATURQU (ნათურქალი), ადგ.

NAMUXALA, საყანე.

NAPACERU, ჭალა.

NAJIXU (ნაციხარი), ადგ. „თურქობის დროსაა აშენებული“.

NAOISIRU (ნაისლევი), ადგ.

NAOXVAMU (ნასალოცვარი). „უძველესი სარიტუალო, სალოცავი ადგილი“. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ სამია.

NAOČKADU (ნასამჭედლარი), ადგ.

NAČKIRA (გაჭრილი), ადგ. „ნიკოლოზ I-ის ჩამოსვლასთან დაკავშირებით გაუჭრიათ ეს გზა“.

NAČKYOINDARU (ნაჭყონდიდარი). „გზა, რომელიც ჭყონდიდლის განკარგულებით გაუჭრიათ“.

NAXARDANU (ნახარდნევი), ადგ. მსგავსი მიკროტოპონიმი სოფელში კიდევ ერთგან გვხვდება.

NAXETURU (ხეთურიების ნასახლარი), ადგ.

NAXVIA (ნამწყვდევი), ადგ. „საქონლის შესადენი და დასამწყვდევი მოედანი“.

NAXUTURU, ადგ. ხუთურიების ნასახლარი, დღეს ხუთურიების არც ერთი ოჯახი აქ არ სახლობს.

NOXORII (ნასახლარი), ადგ.

OBERGUI (სათოხნი), ადგ. თოხით დასამუშავებელი. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.

OISIMEŠI NADUQANU (ონისიმეს ნადუქნარი), ადგ.

ONTOFO (სატოფო), სოფ. ა) „ონტოფოშა ვიდათია, ტოფუეფიში ოჭოფუშა ვიდათია“. ტოფი თევზია კობრის ფორმისა, მრავლდება დამდგარ ტბაში; ბ) „ბალახი ყოფილა აქ ТОФУРИ და იმიტომ შეერქვა სოფელს ონტოფო, ОТОФУРИ ადგილი. საერთოდ, ამ სოფელს საჭყონდიდოს ეძახიან“.

OČARUI, ადგ. დაბალი, ჩავარდნილი. იგივე ტოპონიმი სოფელში ერთგან კიდევ გვხვდება.

OČE. „უხვმოსავლიანი ადგილი“. მსგავსი მიკროტოპონიმი სოფელში კიდევ სამია.

OXVAME KARI (ეკლესიის კარი), ადგ. მსგავსი მიკროტოპონიმი სოფელში ორია.

RČKONI (დაჩიჩქნილი), ადგ. მსგავსი მიკროტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.

RČKONI (წყალმიტოვებული), ადგ. კუნძული ან ნახევარკუნძული.

REKA, ადგ. მდინარის ქვიანი ნაპრია.

SADAVITAIO, დავითაიების უბანი.

SAEŽVANO, ჟვანიების (გვარია) უბანი.

SAEKLESIO, ადგ.

SAGADEIJO, გადელიების (გვარია) უბანი.

SAGOČOLESKUO, გოჩოლესკუების (გვარია) უბანი.

SANADAREISQUO, ნადარეიშვილების უბანი. „ეს გვარი იყოფა ოთხ სახლისკაცობად (დინოდ): 1. ბაბუესქუაეფი; 2. საგარასქუაეფი; 3. ბოშიათურეფი; 4. სეხიეშისქუაეფი“.

SANODIO, ნოდიების უბანი.

SAŠARUXIO, შარუხიების (გვარია) უბანი.

SAČKYOINDRO, სოფელს საერთოდ ასე ეძახიან.

SAYARAULO KARE (საყარაულო კარავი), ადგ.

SURONI (სუროიანი), ადგ.

SXULONA (მსხლიანი), ადგ.

ŠAŠAŠI ŠARA (ფაშის გზა). „ომერფაშას გზა. როცა ამ გზით ფაშა მოსულა, ეკატერინე დედოფალი მარტვილის მონასტერში ყოფილა“.

ŠWANPIJI (წყაროს პირი), ადგ. „ჭყონდიდლის (დადიანის) წყაროსთვალი ყოფილა, ახლა არ არის“.

CUDLARI (ცუდარხი). „იგი ჭყონდიდლის განკარგულებით გაუთხრიათ, ამიტომ ჭყონდიდლის არხსაც ეძახიან“.

WIWBAIAŠI NOXORII (წიწიბაიას (გვარია) ნასახლარი), ადგ.

WYIBU-WYABU, ČIBU-ČABU, ჭაობიანი ადგილი.

ČVAKURI. „ძველი საცეკვაო ადგილი. მესეფობა ღამეს აქ სანთელს ანთებდნენ, ეშმაკებმა არ გაგვთვალოსო“.

ČKYOINDARIŠI NADOXORU (ჭყონდიდლის ნასახლარი), ადგ.

ČKYONA (მუხნარი), ადგ.

ČKYONARI (სამუხე), ადგ. „დიდი სარიტუალო მუხის ხე მდგარა“.

ČKYONKVATIRI (მოჭრილი მუხა), ადგ. „აქ დიდი სარიტუალო მუხა მდგარა, შემდეგ მოუჭრიათ“. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ ერთგან გვხვდება.

XAXUTIAŠI MUXURI (ხახუტიას უბანი), ადგ.

XOMAJINJI (ხურმის ძირი), ადგ.

JVEŠI ŠARA (ძველი გზა), „თურქის გზას ეძახიან“.

ბირკელი მაისის სასოფლო საბჭო
ტოპონიმების რუკა.
გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

მასშტაბი: 1X25000



პირობითი ნიშნები:
მდინარე,
გზა,
ტყეები.

ავტორი: გ. ოლიკვა

პირველი მაისი (გაუწყინარი)

სოფელი ცხენისწყლის გაყოლებაზე მდებარეობს, ქოლობნიდან რიონამდე. მას **გაუწყინარს** ეძახდნენ 1937 წლამდე და იგი შედიოდა მარნის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში. 1937 წელს გამოეყო მარანს, შეიქმნა ახალი საბჭო და პირველი მაისი ეწოდა. ნიადაგი სილიანია. ძირითადად, სიმინდის კულტურა მოჰყავთ. მის ჩრდილოეთით ეთერზეთოვანი კულტურის პლანტაციებიცაა. სამხრეთ-აღმოსავლეთით, რიონისა და ცხენისწყლის შესართავის ახლოს, ისტორიული **ორპირია**, ყოფილი სანავსადგურო ქალაქი, ერთ-ერთი ეკონომიკური ცენტრი რიონისპირეთში. აქამდე ამოდიოდა დიდი გემები ფოთიდან. მოსახლეობა, უფრო მეტად, იმერლები არიან, მეტყველებენ იმერულ კილოზე.

ანაკიძეები, ანაკიძეების (გვარია) უბანი.

ახო, ადგ.

ბოგირი, მცირე ხის ხიდი ღელეზე.

ბოხვა ჭალე (ბოხვა ჭალა).

გაუწყინარი, სოფ. „მოსახლეობა უწყინარი, კეთილი და მუშა ხალხი იყო“.

გოშახი. „ყაჩაღების თავშესაყარი ადგილი, გაუვალი ტყე“.

გრიგალაური, საყანე.

დაუცვეთი, ადგ.

დოგერა, ადგ. ვაზნარი მამული.

ეგოგიშვილე, გოგიშვილების (გვარია) უბანი.

ენოდიე, სანოდიო, ნოდიების უბანი.

ენწერი, „კორძახიების საძოვარი. საქონელს არ გაძოვებინებდნენ, თუ სულზე 10 შაურს არ გადაიხდიდი“.

ეჩიტიე, ჩიტაიების (გვარია) სამოსახლო უბანი.

ეძიგურე, ძიძიგურების უბანი (?).

ეწერი, საყანე.

ზუგა (მიწაზურგა), ადგ.

თხმელნარი, ადგ. „აქ თხმელაზე პუმპულას მაღლარი იყო მიშვებული, კარგი მოსავალი იცოდა“.

კაპანა, ადგ. „კაპუნობის სალოცავი ადგილი“.

კაპეტი (ახო), ადგ.

კაპეტი, ყამირი, ახლა საყანე მასივია.

კელტია, ადგ.

კოპიტნარი. „კოპიტების გაუვალი ტყე ოდესღაც“.

კურდღეია, საყანე.

კუტა ენწერი (მოკლე ეწერი), საყანე.

ლორთქიფანიძის ალაგი, ადგ. პარმენ თურქიამ და ალექსანდრე კობერიძემ გადმოგვცეს: „ლორთქიფანიძე მემამულე ყოფილა. ბატონყმობის დროს ყოველი მისი კაცი ვალდებული იყო პირველ ღამეს ახალმოყვანილი ცოლი მისთვის დაეთმო. ვინც ამ წესს არ დაემორჩილებოდა, სჯიდნენ სასტიკად. ძალიან დიდი ხნის წინათ ბერის წყაროდან გლეხმა თურქიამ ქალი მოიყვანა. პირველ ღამეს ბატონი არ დაპატიჟა და თავის ცოლთან თვითონ დაწვა. ბატონი მეორე დილას შინ მიუხტა და მათრახით ცემა დაუპირა. თურქიამ იგი ცხენიდან ჩამოათრია და მოკლა, შემდეგ ოჯახიანად აიყარა და კახეთში გადაიხვეწა. გავიდა დრო, კახეთს კალიები შემოესია. აქედან ხალხს, მათ შორის თურქიებსაც, კახელების დასახმარებლად გაუწევიათ და იქ უნახავთ ბიძაშვილებს ერთმანეთი“.

მარანჭალა, მარნის ფართო ვაკე.

მუხური, უბანი, კუთხე სოფელში.

ნაბოგირალი, ადგ. „ნახიდარი პატარა ღელეზე“.

ნაეკლესიარი, ადგილი, სადაც წინათ ეკლესია მდგარა“.

ნაზაოდარი, ადგ. „იტალიელებს ქარხანა ჰქონიათ და კაკლის ხეებს ამუშავებდნენ“. ასეთი ტოპონიმი სოფელში რამდენიმეა.

ნაკოინდრუ, ადგ. „კოინდარიანი ველი ყოფილა“.

ნამწარეული, ადგ. „უძველესი სალოცავი“.

ნარამი, ადგ. „რამის პირველი პლანტაცია იყო“.

ნარმოლა, ადგ.

ნასასახლუ, ადგ. „დიდიებისა და ჭილაძეების ნასასახლარი“.

ნატყეუ, ადგ. „ადრე ტყიანი“.

ნაფაცხები, ადგ. „ფაცხები მდგარა თურმე, იქ მიდიოდნენ უცხოელი ვაჭრები და ვაჭრობდნენ“.

ნაფაცხები, ადგ. „კორძახიების ფაცხები ედგათ და მთელ ზაფხულს აქ ატარებდნენ“.

ნაჭურალა, ადგ.

ოჯარე, ადგ. „ძველი თავშეყრის, ჯარობის ადგილი“.

ორპირი. „ძველი სავაჭრო, საბაზრო ადგილი. აქამდე ამოდიოდნენ ფოთიდან დიდი სავაჭრო გემები. მოჰყავდათ გასაყიდი ტყვეები. გემებით მიემგზავრებოდნენ ფოთისკენ და უფრო შორს. აქ იყო გზაგასაყარი. ერთი გზა ციხისძირიდან მარტვილში მიდიოდა, მეორე – ფოთიდან ქუთაისში“.

პირველი მაისი, ს/ს. „1937 წელს მარანი ორ ნაწილად გაიყო და ერთი ნაწილის ცენტრს დაერქვა პირველი მაისი. აქაური იყო უტუ თოდუა. უტუ მიქავას ლაშქარში ბევრი იყო აქედან წასული მებრძოლი“.

პუმპულონი, ადგ. პუმპულის მაღლარი ვაზის ნაზვრევი.

რუსის გზა. „გზა ფოთიდან ქუთაისისკენ. იგი ბანკმა გააკეთა, „კაზიონ“ გზას ეძახდნენ. როცა ორპირი რიონმა წაიღო, გზის ცენტრი სამტრედიაში გადაიტანეს.

სააგურო, ადგ. „უძველესი სააგურე“. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ რამდენიმეა.

სათანაური, ადგ.

სალაქაშო, ადგ. დღეს საყანე.

საწესო, ადგ. „უძველესი სალოცავია“.

საჭილაო, ჭილაძეები ცხოვრობდნენ და ტოპონიმიც აქედანაა წარმოქმნილი.

სიმონიშვილები, სიმონიშვილების უბანი.

ტყემლის პირი, ტყემალა ღელის ნაპირები.

უდანო, ადგ. „აქ მოუკლავთ ირემი და უდანოდ გაუტყავებიათ“.

ურეკი, სოფ.

ფაღური, ადგ. „ფაღავების მამული. აქ ხარობდა ვაზი ფაღური“.

ფარეხი. „ადგ. სადაც ფარეხი მდგარა“.

ქვიშანჭალა, ადგ. ასეთი ტოპონიმი სოფელში რამდენიმეა.

ღელე რუშა, პატარა ღელეა.

ღელე ტყემლარი, პატარა ღელეა.

ღობირი (შემოღობილი), ადგ. ასეთი ტოპონიმი სოფელში კიდევ სამია.

შავი ღელე. „აქ ცხენისწყლის შესართავი ყოფილა, შემდეგ მდინარე გადაუგდიათ და ხალხი დასახლებულა. შავ ჭირს სოფელში არაერთხელ ამოუწყვეტია ხალხი. ამ ღელეს ამიტომ ეძახდნენ შავღელეს“ – გვიამბო პარმენ თურქიამ.

ჩაჩიბაიას ნოხორიი (ჩაჩიბაიას ნასახლარი), ადგ.

ცხენისწყალჭალა, ჭალა.

ცხირიი, ადგ. ოდესღაც ნათელი ტყე.

ძველი გზა, გზა სუჯუნისაკენ.

წულუკიძის ნატეხი, ადგ. „აქ წულუკიძეს ტყე გაუტეხია“.

ხარდანი. „ხარდანზე მიშვებული ჰქონდათ ხარანის ვაზი“.

ჯიმანსოული, ადგ. „ამ ჯიშის მსხლის ბაღები“.

ჯოლოხონი, ადგ.


საქართველოს სასოფლო საბჭო
ტოპონიმების რუკა
ბოლნისის მხარეთმცოდნეობის
მუზეუმი
მასშტაბი: 1X15000
პირობითი ნიშნები:
მდინარე.
გზა
ხუციშვილი გ. ოლიოძე

სამიქაო

ეს საბჭო ორ სოფელს აერთიანებს – მაიდანს და სამიქაოს. მაიდანი ჩრდილო ნაწილია, სამიქაო – სამხრეთი. სამიქაოს სასოფლო საბჭო მდებარეობს სეფიეთის აღმოსავლეთით, მდინარე ცხენისწყლის გაშლილ ჭალაზე. ნიადაგი ქვიანი და შლამიანია, უხვმოსავლიანი. ძალზე განვითარებულია მებოსტნეობა, მებახჩეობა, არის ვაზიცა და ხილიც. მაიდნის ტერიტორიაზე ჩაის პლანტაციებია. სასოფლო საბჭოს მთელი აღმოსავლეთი საზღვარი ცხენისწყლის ფართო, ჩახრამულ ჭალაზე ვრცელდება. მაიდანს ჩრდილოეთით გეგეჭკორის რაიონის სოფელი ონოღია საზღვრავს. მოსახლეობას, უპირატესად, იმერლები შეადგნენ. ტოპონიმები მეგრული წარმოშობისაა, იმერული ელფერით. ზოგან სრულიად ახალი სახელწოდებაა შერქმეული და ძველი შეცვლილია, რაზედაც გადმოცემები არაა შემორჩენილი.

ბალიხე. „ადგილი სადაც დიდი, ასწლიანი ბლის ხე მდგარა“.

ბალის ძირი, ადგ.

ბალხიდე, ადგ. „ბლის ხიდი ყოფილა გადებული“.

ბახიაშ წისქვილი, ადგ. „ბახიას (გვარია) წისქვილი“.

ბეგი, წყლისპირი, ფლატე. ერთგან მას „თათრის ნაბარგსაც“ ეძახიან.

ბიაძირები, ადგ. წინათ კომშის ტყე ყოფილა.

ბოგოგვანი ადგ.

ბოგვერა, ადგ. ბალახი იცის.

ბჟოლის ძირი. „სოფლის თავყრილობის და ჯარობის ადგილი“.

ბუკნარი, ადგ. „ბუკები (სკები) ჰქონიათ ამ ადგილზე“. მსგავსი მიკროტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.

ბურდღუეგის ნასახლარი, ადგ. „ბურდღუები (გვარია) სახლებულან, დევკაცები“.

გვატია ნასახლარი, ადგ. გვატია (გვარია) სახლებულა.

გულუა კარი, ადგ. გულუა გვარია.

დოგერა, ადგ. „ადგილი, სადაც მაღლარი ვაზი ყოფილა“.

ეკლესიის მინდორი, ეკლესიის წინ გაშლილი ველი. თავშეყრის ადგილი.

ელიაში ტყა (ელიას ტყე). „ელია წმინდას სალოცავი“.

ვაშლოგი, ვაშლნარი, ადგ.

ვენახი, ადგ.

თელნარი, ადგ.

თონთუას ნასახლარი, ადგ. თონთუას (გვარია) სამოსახლო ყოფილა.

თხმელნარი, ადგ.

იოსკას ნოხონიი, საყანე. „იოსკა მიქაიას ნაყანარი“.

კაბეტი, ადგ. „ყამირი ყოფილა წინათ, გაუტეხიათ, მაგრამ ადგილს სახელი მაინც შემორჩენია“. ასეთი ტოპონიმი აქ კიდევ ორია.

კაზარმა, ადგ. „ძველად მდგარა აბრეშუმის პარკის საშრობი ფარდული“.

კახური, ადგ.

კვერკვეციეგის ტყე, ადგ.

კოდიფონი, ადგ.

კოვზა, ღელე.

კოწახური. „ადგილი, სადაც ამ ჯიშის ვაზი ყოფილა“.

მაიდანი, მეიდანი (მოედანი). „ტრიალი ველი, აქ ბურთაობა და თავშეყრა სცოდნიათ. სოფლის გულიაო, იტყოდნენ მოხუცები. ღელობურთის კარგი მოთამაშენი ჯანგველაძეები ყოფილან. მათ ჯარგვალი სახლები დაუდგამთ და ამიტომ ჯანგველაძეები შერქმევიათ. წინათ მათი გვარი კიკნაველიძე ყოფილა“, – გადმოგვცა ივანე დოხნაძემ.

მაიდნის ოხვამე (მაიდნის სალოცავი). „წმინდა გიორგის სახელობისა. აქ ძლიერი ხატი სვენებულა. სალოცავი თამარს აუგია“.

მამულონი. „წინათ სამჭაჭიას ვრცელი მამული ყოფილა, დღეს საყანე მასივია“. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.

მიქელაური, ადგ. „მიქელას ნასახლარია, მისი უბანი“.

მაღალი მიწა, ადგ. ოდნავ შემაღლებული.

მიღეური, ადგ.

მუხასაკარია, ადგ. „აქ მუხა მდგარა; ფულს სწირავდნენ, ხოლო შეწირულ ფულს ხელს არავინ აკარებდა“.

მწყერიას ნასახლარი, ადგ. მწყერია (გვარია) სახლებულა.

ნაბერტე, ადგ. „ახალ ხნულზე მსხვილი ბელტები ცვივა. იაგოზი, მაგარი მიწაა, მაგრამ უხვმოსავლიანი“. მსგავსი სახელწოდება სოფელში კიდევ ერთია.

ნაბო, ადგ.

ნაბო. „ჩახურული ადგილი, უგზო და საშიშარი“.

ნადოხორუ, ადგ. (ბატონის) ნასახლარი. მსგავსი ტოპონიმით მინიშნებულია მიქელაძის ნასახლარი.

ნადუქანუ (ნადუქნევი), ადგ.

ნამარილევი. „მარილიანი ადგილი, წყალი ამოდის მარილიანი. საქონელს ძალიან უყვარდა ეს ადგილი“. არის სხვა გადმოცემაც: „აქ მარილი მოჰქონდათ და ყიდდნენ“. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ ერთია.

ნამოსახლარი, ადგ. ასეთი ტოპონიმი აქ სამია.

ნოღა პირი, ნოღის ჭალა.

ნოღელას პირები, ნოღელას გაშლილი ჭალები.

ნაციხვარი (ნაციხარი), ადგ.

ნაოხვამუ (ნაეკლესიარი), ადგ. „ძველი სალოცავია“, მზგავსი მიკროტოპონიმი აქ კიდევ ორია.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ადგ. „თამარის აგებული წმინდა გიორგის ეკლესია ყოფილა. თურქებს დაუნგრევიათ და ადგილობრივ მკვიდრთ ისევ აუშენებიათ. დღეს ნანგრევებიღაა შემორჩენილი“.

ნაციხვარი, ადგ. ამბობენ „თამარ მეფის დროინდელია“ (ნაციხარი).

ნაჭაო. „ჭიების (გვარია) ნასახლარი“.

ნაჭიჯუ, უბანი. „ძველად აქ ჭიაია (გვარია) სახლებულა“.

ნოჯიხევი (ნაციხარი). „ციხე მდგარა მაგარი და ძლიერი“. მემო ნესტორის ასულმა ზაქარაია-თუნგიამ გვიამბო, რომ „ასეთი ციხე ჩემს მშობლიურ სოფელშიც ყოფილა (ნაჯახაო. ნახ.). მამაჩემი როცა სახლს აშენებდა, ბიძაჩემმა უთხრა, წავიდეთ და ციხის ქვა დავუდოთ საძირკველშიო. წაიყვანეს ურმები და იმ ციხის ლოდები წამოიღეს. ფარნა ბიძიას ვკითხე ამ ქვის ისტორია. მან მითხრა, რომ ამას ჩვენ ინტერესით ვაკეთებთ და მიამბო: ნაგებერაოში ვიღაც გაბუნიას ერთადერთი ქალიშვილი ცხენით წაუყვანიათ ქუთაისში, დღეობაზე. ამ ქალს შეჯიბრში გაუმარჯვნია, რასაც საჩხერელი ზაქარია წერეთელი დასწრებია, შემდეგ გაბუნიას ჩასიძებია და აქ სასახლე აუგია.

ნოჯიხევში ყოფილა გეჯეთელი დედისერთა ჯავახია. ახალ წელიწადს ზაქარიას ნათლიდედა სტუმრებია, დანელიას ქალი, და შეუჩივლია, რომ მისი ერთადერთი ვაჟიშვილი ცოლოურს ელის, ხოლო ჯავახიამ იგი ციხის ეზოში, ხუნდზე დასვაო. ზაქარიას უთქვამს: შენ წადი შინ, სადილი გაამზადე, მე მას გამოვაშვებინებო. მაგრამ ზაქარიას თხოვნა – დანელიას ხუნდიდან აშვება – ჯავახიას სასაცილოდ არ ყოფნია. გაბრაზებულ წერეთელს იქვე მოუკლავს ჯავახია და მისი ცხედარი ურმით გაუგზავნია გეჯეთს. ეს ამბავი გაუსაჩივრებიათ. ზაქარიასათვის თავადის წოდება ჩამოურთმევიათ და აზნაურობამდე ჩამოუქვეითებიათ. ამის შემდეგ დაწყებულა ჯავახიასა და ზაქარიას მემკვიდრეებს შორის მტრობა. ზაქარიას მემკვიდრეებს გვარად ზაქარაიები შეერქვათ. ზაქარიას ერთი ვაჟიშვილი – ჩიხუ ჰყოლია, ჩიხუს კი სამი ვაჟიშვილი – გლახუ, იაგორი და ფარნაოზი“.

ოტოგური (სატბაო), ადგ.

ოჩალური, ადგ. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.

ოჩე, ადგ. „ოჩეს ჯიშის ვაზი ყოფილა მიშვებული ხურმის ხეებზე. უხვმოსავლიანი ადგილია“.

ოჩენაგედი, ადგ.

პერტიას ნასახლარი, ადგ. პერტია (გვარია) სახლებულა.

ჟვანიერი, ადგ. ა) „ვაზი ყოფილა. მზისგული ადგილი ყვარებია“; ბ) „აქ ჟვანიები სახლებულან“. მსგავსი სახელწოდება სოფელში კიდევ ერთია.

რიყე, მდინარის ქვიანი ნაპირი.

რვაწყარო, ადგ. „რვა წყაროსწყალი ამოდიოდა: ადგილს სოფლის თვალსაც ეძახდნენ“.

საჯარო, ადგ. „ჯარობისა და თავშეყრის ადგილი“.

სამიქა (სამიქაო), სოფ. „მიქაიები და მიქელაძეები სახლობდნენ, მათი ფეოდალური საბატონო იყო“.

ტეური. „დაცემული ველი ბაღნარითა და ვაზნარით“.

ტოტიას დოლაბი, ადგ. „ტოტია ქობულიას ხელსაფქვავის დოლაბის ადგილი“.

ტყე, ადგილი ტყიანი.

ტყემლარი, ადგ.

უჩაღელე, შავი ღელე.

ქაციგური, ქაციბიების (გვარია) უბანია. დღეს არც ერთი ოჯახია შემორჩენილი.

ქოგულიეგის უბანი, ადგ.

ქორქაშვილეგის კარი, ქორქაშვილების უბანი.

შავი ღელე, ღელის ტოტი.

შანუგური, ადგ. „შავგულიანი მიწა, წულუკიძეების ნაფუძარია“.

ცაცხვის ძირი, ადგ. „ძველი ნამოსახლარი. აქ მურყნის ხეები იდგა, ვენახიანი. ვაზის ჯიში იყო: სამჭაჭია, შავი, მაღლარი, მტევანი – მრგვალი და მჭიდრო, წვრილი მარცვლებით, მწიფდებოდა სექტემბრის ბოლოს. ღვინო კარგი იცოდა. ამასთან, აშენებდნენ მწვანესაც, მისგანაც კარგი ღვინო დგებოდა“, – გვიამბო დუხუ ჩორგოლაშვილმა.

ძველი გზა. „მაიდნისა და სამიქაოს სასაზღვრო გზა“.

წყალსაშვები. „წყლის გადასაშვები ადგილი“.

წყალთაშუა. „მცირე ველი, ქვიშიანი და უხვმოსავლიანი, ოდესღაც მდინარეთა შუა ველი“. მსგავსი ტოპონიმი აქ კიდევ ერთია.
წყაროს თავი, ადგ. „წყაროსწყალი გამოდის“.
წყურგიი კიდე (წყაროსწყლის პირი), ადგ.
ჭუბურონა (წაბლნარი), ადგ.
ჭუბუროვანი (წაბლნარი), ადგ. მსგავსი ტოპონიმი აქ კიდევ ორია.
ხარხინქვა, ადგ. „ხარხინი მდგარა, ყურძნის ჭაჭის სათემო საწურავი“.
ხირჩინე, მცირე ღელეა, ძალიან სუფთა და წყალუხვი.
ხორჩი ყანა, საყანე.
ჯამჭუარი, ადგ. ბაღი ხილისა და ვენახი.
ჯამჭურა, ადგ. „აქ იდგა ათასწლოვანი ცაცხვი, სალოცავი“.
ჯავჯვარი, ადგ. „უძველესი სალოცავი“.

სეფიეთი

სასოფლო საბჭო რაიონის ტერიტორიის ჩრდილოეთით მდებარეობს, აბაშისა და ნოღელის გაშლილ ხეობებში – ვრცელი ჭალაზე. მისი ჩრდილოეთი ნაწილი – მახათის ტერიტორია, ეწერნიადაგიანია. აქ დღეს ჩაის პლანტაციებია გაშლილი, ხოლო დანარჩენ ტერიტორიაზე – შლამიანი ნიადაგები, უხვმოსავლიანი სიმინდის ყანებით. აქვე სათავეს იღებს ნოღელიდან გამოყვანილი არხი – ცუდღარი ან ჭყონდრის ღარი. ჭყონდიდელ ეპისკოპოსს, რომლის კუთვნილებას შეადგენდა ეს სოფელი და, საერთოდ, მთელი აბაშის რაიონი, ამ არხის გაყვანა უბრძანებია, ალბათ, ეკონომიკური თვალსაზრისით. არხზე, სოფ. სუჯუნამდე, 100-ზე მეტი წისქვილი ყოფილა მოწყობილი. მდინარეს მეტად ნაყოფიერი შლამი მოჰქონდა, რომელსაც მიწის გასანოყიერებლად იყენებდნენ.

გვიმარონი (გვიმრიანი), ადგ.

დაბაი ტები (დაბალი ტყე), ჭალაა. „დიდი ტყე ყოფილა“, დღეს ჩაის პლანტაცია და საყანე მასივია.

დოგერობა. ადგ. „მაღლარი ვაზის ხშირი ტყიანი ყოფილა. დღეს ჩირგვნარი და საძოვარია“.

დოხვირი (დახვრეტილი, დამხობილი), ადგ.

ენწერი, გაშლილი ველია (ეწერნიადაგიანი), რომელზედაც დღეს ჩაის პლანტაციაა გაშენებული.

ვერხიანი (ვერხვნარი), ადგ. აქ დღესაც დგას ვერხვის ხეები.

ზანაპიჯი (ზანის პირი), ადგ. ზანა პატარა მდინარეა.

თეალჯინჯი (თელის ძირი), ადგ. „ჯარობისა და თავშეყრის ადგილი ყოფილა ოდესღაც“. ეს ტოპონიმი კიდევ ერთგან გვხვდება.

თელონი (თელნარი), საყანე ადგილი.

იანჯონი (კოპიტნარი), ადგ.

კაროგა (კარვობა). „აზნაურთა თავყრილობის ადგილი“.

კალამონის წისქვიი (კალამონის წისქვილი), ადგ.

კვადაცონი (ქაცვნარი), საყანე. „ქაცვის ბუჩქნარით დაფარული ველი ყოფილა“. ტოპონიმი ერთგანაც გვხვდება.

კორჩხეფონი (თხელი ფონი), ადგ.

კოღური, კოღუების უბანი (დღეს საყანე ადგილი).

მეენი დაბაი (გაღმა დაბალი). „დაბალი ადგილი, ჭენჭყობიანი“

მეიფიშინაოხვამუ (მელიებისნასალოცვარი), ადგ. დ. მელიას გადმოცემით, „გიორგობისთვის 23-ს მელიების მთელი გვარეულობა აქ იკრიბებოდა, სადაც ჰქონიათ თავიანთი ჯინჯიში ხატი (ძირის ხატი). მლოცველებს სხვადასხვა სახის შესაწირავი მოჰქონდათ, მათ შორის ვერცხლისა და ოქროს ფული. აქედან სეფიეთის ეკლესიამდე ჯაჭვი ყოფილა გაბმული და როცა იქ ჩამორეკდნენ ზარებს, აქაც ირეკებოდა. აქ აზნაური მელიები ყოფილან დასახლებულნი“.

მინდორობა (ველობი), ადგ.

ნააბანუ (ნააბანევი), ადგ.

ნააკა, საყანე.

ნადუქანუ (ნადუქნევი), ადგ. მსგავსი მიკროტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.

ნაჯიხუ (ნაციხარი), ადგ. „ოდესღაც დიდი ციხე მდგარა“.

ნამამუღუ (ნამამულევი). ადგ. მსგავსი ტოპონიმი აქ კიდევ ერთია.

ნაჩხუგუ (ნაბრძოლველი), ადგ. „ბრძოლის ველი, ნაბრძოლი ადგილი“ (აქ უნდა იყოს მითითება ადგილზე, სადაც 1856 წლის ნოემბერში მოხდა ქართული და რუსული ჯარის ბრძოლა ოსმალებთან. ოსმალები ამ ბრძოლაში სასტიკად დამარცხდნენ).

ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ადგ. აქ ათასწლოვანი ცაცხვები და ურთხელი მდგარა. დ. დანელიას, ს. ბაღათურიას, ა. ლაბარტყავას და სხვათა გადმოცემით, „ამ ადგილის მეპატრონე ყოფილა ორი ძმა, რომლებიც სალოცავის ორივე მხარეს სახლებულან. ჩვეულების თანახმად, ისინი ერთსა და იმავე დროს უნდა მისულიყვნენ სალოცავად. ძმებს ერთმანეთი ამოუხოცავთ. ადგილი გავერანებულა, ხოლო სალოცავი ტყეს დაუფარავს. გასულა ხანი. ერთხელ წყემიდან (სოფელია მდ. აბაშის გაღმა) ორი ძმა წამოსულა ამ ტყეში გარეულ ღორზე სანადიროდ, ღორი დაუჭრიათ, ნადირი გაქცეულა, ძმები სისხლის კვალს გაჰყოლიან და მისულან იქ, სადაც სეფი (განჯინა, განძსაცავი) უნახავთ. ამიტომ ადგილისთვის სეფიეთი უწოდებიათ (ადგილი, სადაც განძსაცავი იპოვეს). ერთი ძმა აქ დასახლებულა, მეორე – მდინარის გაღმა“. „გოჭვირ ნაოხავამუსაც“ ეძახიან (გადამწვარი ნაეკლესიარი). ი. ლაბარტყავას გადმოცემით, „ეკლესიის ეზო და მიდამოები ტყით ყოფილა დაბურული. მონადირეებს უპოვნიათ გადამწვარი სალოცავი, რომელიც თურქებს გადაუწვავთ ოდესღაც. ერთი მონადირე ძმა, გვარად ოჩიგა, აქ დასახლებულა და მიუშენებია დიდი ეკლესია, ტყე გაუჩეხავს და აქ დაუწყია ცხოვრება. მონადირეები გეჯეთიდან (აბაშის გაღმა სოფელია) მოსულან. აქ სალოცავთან სეფიც უპოვიათ“.

ნაოჭკადურეში (ნასამჭედლარი), ადგ. „რკინა რომ გაემართათ, ხის საუთაო სცოდნიათ. ხის მძიმე მორს ტარზე აკრავდნენ და ოდნავ ცხელ ლითონზე უსვამდნენ და აუთოებდნენ მას, ასწორებდნენ, აბრტყელებდნენ. ხის ნაცვლად ქვის ლოდებიც იხმარებოდა თურმე. ქუალამურის მაგივრად (გრდემლი) ქვის დიდ ლოდს იყენებდნენ, მურუა ქუას (ქვის მორს)“ – გადმოგვცა დავით მაკალათიამ მამა-პაპისაგან გაგონილი.

ნასელუ (ნასელარი), ადგ. „სელი მოჰყავდათ წინათ“.

ნაქალაქუ (ნაქალაქარი), ადგ.

ნაქერუ (ნაქერალი), ადგ.

ნაწისქვილუ (ნაწისქვილარი), ადგ.

ნახაჯუ (ნაცერცვალი), ადგ.

ნახაჯუ (ნაცერცვალი, ხაჯი – ცერცვი), დღეს საყანე ადგილი.

ნახარდანუ (ნახარდნარი), ადგ. „დადიაში ნახარდანუსაც“ ეტყვიან. „ხარდანზე ყოფილა მიშვებული ვაზი“. მსგავსი მიკროტოპონიმი ამ სოფელში კიდევ ორია.

ნახატურიშ ნაშენი (ნახატარის ნაშენი), ტყე. „აქ ბაღი ხატისათვის გააშენეს“.

ნოკარენი (ნაკარვალი), ადგ. „აქ მესაქონლეს კარავი ჰქონია“. მსგავსი მიკროტოპონიმი სოფელში კიდევ ორია. ერთ ადგილას, რ. ლაბარტყავას გადმოცემით, „ტყვეთა მსყიდველების წინააღმდეგ ყარაულები ჰყოლია სოფელს ამ კარვებში ჩაყენებული“, მეორეგან კი წინათ „სათემო კარავი მდგარა, სათემო შეკრება სცოდნიათ“.

ნოკარენი (ნაკარვალი), ადგ. „საყარაულო კარავი მდგარა“.

ნოღა, I – მდინარე; II – მდინარისპირა გაშლილი ველიანი. „აქ წინათ ჯარობა და თავშეყრა სცოდნიათ“.

ლაბარტყეფიში ნაოხვამუ (ლაბარტყავების ნასალოცვარი), ადგ. „ლაბარტყავების ძირის ხატი“.

ოისირე (საისლე), ადგ.

ოჯარე (საჯარო) ადგ. ასეთი მიკროტოპონიმი სოფელში კიდევ ერთია.

ოჯარეში (საჯარო), ადგ. „ცეკვა-თამაშისა და გართობის ადგილი“.

ოტიეში ნოდვეი (ოტიას ნაყანევი), ადგ.

ოხვამეკარი, ადგ. ეკლესიის წინ. „აქ იმართებოდა სოფლის საერთო ჯარობა, მარულა და სხვ.“.

საანგურო (სააგურო), ადგ. „აგურის ქურა ყოფილა ძველად“.

სამაკალათიო (სამაკალათიო), მაკალათიების უბანი, მუხური. დ. მაკალათიას გადმოცემით, „მაკალათიები სამურზაყანოდან უნდა იყვნენ მოსულნი. ჩვენი ძირის ხატი ილორში იყო და იქ მიდიოდნენ სალოცავად“.

სამელიო, მელიების უბანი.

საოჩიგო, ოჩიგავების უბანი. „ეს გვარი ძლიერი, აზნაურული გვარი ყოფილა; შემდეგ თოფურიებთან დავაში უპირატესობა დაუკარგავთ, ჩამოქვეითებულან, თოფურიები ან თოფურიძენი ამაღლებულან. ოჩიგავას აშენებულია სეფიათის ეკლესია“. ეკლესიაში წარწერაცაა „ელაჭიშ ოჩიგავა“. ყოფილა ფრესკაც, რომელიც დღეს შერყვნილია.

სარურუო, რურუების უბანი.

საღვანიო, ღვანიების უბანი. „აქ ღვანიები სახლებულან. დღეს არც ერთი მოსახლე არაა დარჩენილი“.

საღაბარტყაო, ლაბარტყავების უბანი.

საყარაულო (საყარაულო), ადგ.

საძველაიო, ძველაიების უბანი.

სეფიათი, „სეფე ქალი – ლამაზი ქალი – ასე იტყოდნენ. აქ ძალიან ლამაზი ქალები გამოდიოდნენ, რომლებიც სამეფო კარზე მიჰყავდათ თურმე სეფექალებად; ამიტომ დაერქვა ამ სოფელს ეს სახელი. ისიც გამიგონია, რომ აქ სეფია ყოფილა ვიღაც დიდკაცი და ამიტომ შეერქვა ამ ადგილს სეფიაში თი – სეფიათი“.

სუნეჯი, სუმნეძი (სამი კაკალი), ადგ. „აქ ათასწლოვანი სამი კაკლის ხე მდგარა ოდესღაც. სცოდნიათ ჯარობა-თავშეყრა, ცეკვა-თამაში და ღამისთევა“.

ტები (ტყე), ადგ. „სადაც დღეს ყანა და ჩაის პლანტაციაა, წინათ ხშირი და გაუვალი ტყე ყოფილა“. მსგავსი მიკროტოპონიმი ამ სოფელში კიდევ სამ ადგილას გვხვდება.

ტობეში (ტბა, პატარა ტბა), ადგ. „ჩატბორებული და ჩალექილი“.

უჩაღეღე (შავი ღელე), ადგ. „ჭირისა და უბედურების მომსწრეა ეს ადგილი. აქ ქვაც კი შავია“.

ფიჩხერი. „უხვმოსავლიანი ადგილი. დღეს სიმინდის ყანებია, ოდესღაც ქალაქი და წალკოტი ყოფილა“.

ქაჯური (საქაჯია), „ქაჯების ადგილი“.

ქეხორცოშ ტყა (ქეხორცოს ტყე), დღეს ბუჩქნარით დაფარული ველობია.

ქუაუჩა (შავი ქვა), ადგ. ხალხი ამ ადგილს საღვთო ადგილად თვლის. ამბობენ: „ქვები ციდან ჩამოცვივდა, ისინი ღვთიური ქვებიაო. იცის შავი ფერის მაგარი ქვა“.

ღამარკუღა. „ძველი არხია ჭაობის დასაშრობად“.

ყომურჯინჯი (ტყემლის ძირი). ადგ.


საქართველოს სსრ-ის ადმინისტრაციული რუკა
გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.
მასშტაბი 1X10.000
პირობითი ნიშნები:
მდინარე.
გზა.
სკტორი: გ. ელიავა

შხონა, ადგ.

ჩექმაში ნახეკა (ჩექმის ნაფხეკი), ადგ. „აქ ჯარი მდგარა და მათი ფეხსაცმლის ნაფხეკი ტალახისგან აღიმართაო ეს მიწაზვინული“.

ცვარუჯი, დღეს გაშლილი მდელოა.

ცხემურჯინჯი (რცხილის ძირი). ნ. მაკალათიას გადმოცემით: „დიდი რცხილის ხე მდგარა. აზნაურ თოფურიძეების თავშეყრის ადგილი ყოფილა“.

ძერწონა (ტირიფნარი), ადგ.

ჭაე (ჭალა), ასეთი ტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.

ჭითა კოდე (წითელი კბოდე), მდინარის პირას წითელი მიწის ჩამორღვეული ნაპირი. „თათრებს აქ ჩვენები დაუხოცავთ და მათი სისხლით მორწყულ მიწას წითელი ფერი აქვს“.

ჭყონჯინჯი (მუხის ძირი). „აქ დიდი მუხა მდგარა. უძველესი სალოცავი ადგილი ყოფილა“.

ჯაპინჯინჯი (თუთისძირი, ჯაპი — თუთის ხე), ადგ. სეფიეთის ცენტრში დგას; „300 წელზე მეტი ხნისაა. აზნაურები არ აკაფვინებდნენ. აქ იმართებოდა დიდი თავყრილობები, საზოგადოებრივი შეკრებები“.


სუჯუნის სასოფლო საბჭო
ტოპონიმების რუკა
გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.
მასშტაბი: 1X25000
ძირითადი ნიშნები:
მდინარე,
გზა,
ტყე.
ავტორი: გ. ოლიავა

სუჯუნა

რიონისპირეთის ერთ-ერთი ვრცელი სოფელია. იგი ვრცელდება ეწერის მთელ მასივზე. სამხრეთის საზღვარი მდინარე რიონს მიუყვება რჩქონამდე, მდინარე ტეხურის შესართავამდე. რელიეფურად გაშლილი ვაკეა, ჩრდილოეთისკენ ოდნავ შემაღლებული. ამ ნაწილში სუჯუნის ცენტრია გაშლილი. აქ წინათ წყალი რიონიდან არხით შემოდიოდა და ნადუქნევთან (ნაოხვამუსთან), ჭილორტში, სავაჭრო საქონლით დატვირთული ნავები ამოდიოდა. საქონელი სუჯუნაში ნაწილდებოდა მთელ შიდა სამეგრელოში გასაგზავნად. აქ დგას XVIII საუკუნეში ნაგები ეკლესია. სუჯუნაში ჭყონდიდელთა საზამთრო რეზიდენცია იყო. სოფელს მთლიანად საჭყონდიდოს ეძახდნენ. სამხრეთის ნაწილზე ეწერი ნიადაგებია გაშლილი, რომლის ღრმა ფენები ალაგ-ალაგ ქვიშნარით ხასიათდება. ჩრდილოეთი ნაწილი კი სულ ქვიშნარია, უხვმოსავლიანი, ნაყოფიერი. ძირითადი კულტურა სიმინდია. არის ეთერზეთოვან კულტურათა პლანტაციებიც. ეწერი მასივები გამოყენებულია საძოვრებად. დღეს ცუდღარი – ჭყონდიდელთა ღარი – სოფელს ჩაუვლის და რიონამდე მიემართება.

აბაშა ჭალე, მდ. აბაშის ჭალა, ადგ.

ანგარი, მდ. ახლა ამომშრალია.

ანჯერი, საძოვარი მასივი, გაშლილი ველიანი ბოგვერას მაღალი ბალახით.

ასათიანიშ შანი (ასათიანის წყაროსწყალი).

ბარგა, ადგ. აქ, ამ მაღალ ადგილზე ჯოგი მდგარა.

ბაღათურიაში ნაკარუ (ბაღათურიას ნაკარვალი), ადგ.

ბოგაში, ბოგას უბანი. „ამ უბნის ცენტრში ღელეზე ბოგა (მცირე ხიდი) ყოფილა“.

გაასხაპური ღეწე, გასახტომი ღელე.

გედერუი, ადგ.

გოჭვირი (გადამწვარი), ადგ.

გუმონთხორიი (გადათხრილი), ადგ.

დიდი რჩქონი, დიდი კუნძული, მდინარით გარშემოზღუდული დიდი ადგილი.

დიხაჭითე (წითელმიწა), სოფ. ნაყოფიერი, ძლიერმოსავლიანი.

დოგერა, ადგ. მაღლარი ვაზი.

ელაგირდე, ადგ.

ელიაში ბოგა, ადგ. „გოგი ელიავას ნასახლარი, ნადაჩუ, მისი ბოგირი“.

ეწერი, სოფ. მსგავსი ტოპონიმი აქ კიდევ რამდენიმეა.

ზუგა (მიწა ზურგა). „უძველესი ნასალოცვარი“. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ რამდენიმეა.

ზურგა, ადგ. მიწაზვინული.

თელაფონი (თელა თავთხელი). „დიდი თელა მდგარა ამ თავთხელთან“.

ივანაშენი (ივანეს ნაშენი), ადგ. „ვენახიანი, ვაზიანი, ხელოვნულად გაშენებული მაღლარი“.

კაბეტი (ყამირი). „ახლად გატეხილი საყანე“.

კაცოგური, ადგ.

კოკიჭალე (მოკლე ჭალა).

კორძა, ადგ.

კორძახიაში ნაცალა. „კორძახიას მიერ გადაწმენდილი, გაცელილი ადგილი“.

კვათანა. „უძველესი სალოცავი ადგილი“.

ლომნოხორი, ადგ. ლომიების ნასახლარი.

ლულონას ბოგა, ადგ. „აქ დიდი ბრძოლა ჰქონიათ ჩვენს ძველებს თურქებთან. ადგილი ლელვნარი ყოფილა. მცირე ღელეზე კი ბოგა – ხიდი იყო გადგმული“.

მოჭვირი. „ახოდ აღებული ადგილი“.

ნაანგურუ, უძველესი სააგურეა, ადგ.

ნაბიორღეწე, მცირე ღელე.

ნათიფურუ (ნასათიბარი), ადგ.

ნაკარუ (მწყემსის ნაკარვალი), ადგ.

ნარნე (ნარიონალი). „ძველი ნამდინარევი“. მსგავსი ტოპონიმი სოფელში სამ ადგილასაა.

ნატეგუ. „ძველი ტყიანია, შემდეგ გაჩეხილი“. ასეთი ტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.

ნაცვარა (ნაკოდარი), ადგ. „ამ მიწის გამო დასჯის მიზნით კაცი დაუკოდიათ“.

ნაოხვამუ. „უძველესი ნასალოცვარი ადგილი“. ასეთი ტოპონიმი კიდევ რამდენიმეა.

ნაციცუ, ადგ.

ნაწისქვილუ ძგა, ნაწისქვილარი მასივის კიდე.

ნაჭილაუ, ადგ. „ჭილაიების ადგილ-მამული“.

ნახაჯუ (ნაცერცვალი), ადგ.

ნახატუ, ადგ. ხატის მიწა.

ნახელუ. აქ სახლებულა გვარი ხელია. ასეთი სახელწოდება კიდევ ორია.

ნაჯიმუ (ნამარილარი), ადგ. „აქ მარილი იყიდებოდა“.

ნოღა, მდინარე აბაშის გაშლილი ნაპირები.

ნოჭკერი (ნაჭერი), საყანე.

ოგერგული. „თოხით დასამუშავებელი ადგილები“. ასეთი ტოპონიმი სოფელში კიდევ რამდენიმეა.

ოეკეში, ადგ. ლეკი ამოქონდათ, საღებავად იყენებდნენ“.

ონიში, ადგილი რიონის გაღმა.

ოღორჯუე (საღორჯოვე), ადგ.

ოცონე (საყანე).

პეპუ მატკაში ნოხორიი (პეპუ მანტკავას ნასახლარი), ადგ.

ჟორდანიაში მამუი (ჟორდანიას მამული), ადგ.

რიონგაღმა, რიონს გაღმა ადგილი.

როგონე, საყანე ადგილი.

რუსიში შანი (რუსის წყაროსწყალი), ადგ.

საგამზადიო, გამზადიების (გვარია) უბანი.

საგვაზაო, გვაზავების უბანი.

საგიჭალე, საყანე.

საგუგუსქუო. „გუგუსქუაეფიში მუხური, გუგუშვილების უბანი“.

საკისო, ადგ.

საკოჭე, ადგ.

საკუციო, კუციების უბანი.

სარუსიო, რუსიების (გვარია) უბანი.

საჩოჩიო (ჩოჩიების უბანი).

საჭატურიო. „ადგილი, სადაც ჭანტურიები სახლობენ“.

საჭყოინდრო. „ამ ადგილს და მთელს სუჯუნას საჭყოინდროს ეძახდნენ“.

სირიაჩქონი, ტყიანი მამული. „ამბობენ, სერია თუ სირია სახლებულა და მისი ჩქონი, წყლის მიერ მიტოვებული კუნძული და ნახევარკუნძულია, რჩქონუა მიწის დაღარვა-დაზღარვა, პირველი დამუშავებაა“ – გვიამბო 79 წლის მოხუცმა სერაპიონ კორძახიამ.

უჩაღელე ძგა (შავღელეს პირები).

ფირცხა ნოტეხი, საყანე.

ქართა, ადგ. საქონლის საჩიხე.

ღაჭუ, მდინარე იყო, ახლა ამომშრალია.

ღაჭუპიჯი, ღელე ღაჭუს ნაპირები.

ღელეძგა (ღელის ნაპირები), ადგ.

ჩეშონა, ადგ. „აქ მაღლარზე ჩეშონური ყოფილა მიშვებული“.

ჩიქვანიში ნოხორიი (ჩიქვანის ნასახლარი), ადგ.

ჩქონი. „ეს ადგილი ჭყონდიდის ეპისკოპოსისა იყო“.

ცუდღარი, ჭყონდიდელთა არხი.

წალიკარი, სოფ.

ჭანიორი, ადგ. „ჭანების ნასახლარი, ჭიების ნადგომი“.

ჭატურიაში ჭალე (ჭატურიას ჭალა), ადგ.

ჭყონაგოდა (მუხის გორა). „აქ რიტუალური მუხა იდგა; ხალხი მას თაყვანს სცემდა“.

ჭყონსაკარო. „უძველესი სალოცავი ადგილი“.

ხომაჯინჯი, ადგ. „დიდი ხურმა მდგარა. აქ თავშეყრა იცოდნენ“.

ჯეგორე, ადგ. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ ერთია.

ჯვეში სოშე (ძველი გზა), ადგ. „ხონიდან ელიაბოგას გადავლით მოდიოდა“.


ჭოლობნის სასოფლო საბჭო
ტოპონიმების რუკა
ბორჯომის მხარეთმცოდნეობის
მუზეუმი
მასშტაბი: 1X 25000
პირობითი ნიშნები:
მდინარე,
გზა,
სრხი,
რკინიგზა.
ავტორი: გ. ელიავა

ქოლობანი

სოფელი მდებარეობს გეზათის, მარნისა და ნაესაკაოს სასოფლო საბჭოებს შორის, მდინარე ნოღელისა და ცხენისწყლის ხეობებში, გაშლილ ველიანზე. ნიადაგი ქვიშიან-ქვიანია, უხვმოსავლიანი, ნაკლებად ჭენჭყობი. ძლიერ განვითარებულია ბაღჩეულისა და ბოსტნეულის მეურნეობა, მოჰყავთ ეთერზეთოვანი კულტურები, კარგად ხარობს ხილიც. მოსახლეობა აქ უმეტესად იმერელია, მოლაპარაკე იმერულ კილოზე. „ქოლობანი სოფელს საქოლავის გამო შერქმევია“. აქაც და მარანშიც, რამდენიმე ადგილას, შემორჩენილია მიწაზურგები, სადაც, გადმოცემით, დამნაშავეებს თემის შერისხვით ქოლავდა ხალხი.

ატაბუნა, მდინარის პირი, მცირე ბორცვიანზე აღმართი.

ბაკენი, საყანე.

ბერი ახო. ადგ., ბერის ახო. ეს ტოპონიმი კიდევ ერთგან გვხვდება.

ბარცხი, ჩირგვნარი ადგილი.

ბოგვი, ადგ.

ბოგირძგა (ბოგირის, ხიდის კიდე), ადგ.

ბორზია შარა (გზა გასაყარი).

ბულვანი (ბლიანი), ადგ.

დაბალი ჭალა, საყანე.

დიხაზურგა (მიწაზურგა), ადგ.

დოგირა, საყანე.

დოხორე, ადგ. ბონდარია მიქელაძის ნასახლარი.

ეწერი, საყანე.

თხირონა, თხილნარი.

კატუში ფონი (კატის ფონი) ადგ. წყალთხელი.

კატუში ფონი (კატის ფონი), წყალთხელი მდ. ნოღელაზე.

კირილეძესეული, ადგ., კირილე მიქელაძისეული მიწები.

კოკი, ადგ.

კოპიტნარი, ადგ.

ლუხუმი, საყანე.

მამულონი, ადგ. მამული ვაზისა.

მიქელაძესეული, მიქელაძისეული მიწებია. საყანეები.

მოსიას ფონი, მოსიავას წყალთხელი, ფონი.

მუხურე, მუხური, კუთხე, უბანი.

მუხური. 70 წლის მოხუცი მექი ვასილის ძე გიგინეიშვილი გვიამბობდა, რომ „ჩვენთან მეზობელს მეგორავეს ვეტყვით. მეგორავე ჩემი ძირის მეზობელია. ეს ალაგი ჩემი მეგორავეების მუხური იყო“.

ნაბაღარი, ადგ., ბაღი ჰქონიათ წინათ.

ნაბაკენი, ადგ.

ნადუქანუ (ნადუქნევი), ადგ.

ნაეკლესუ, საყანე მიწა, წინათ ეკლესიის მამული.

ნათხორა, ადგ. „რკინიგზის საზვინად აქ თხრიდნენ მიწას“.

ნაიცუ, ადგ.

ნაკარენი (ნაკარვალი), ადგ. „კარავი მდგარა მესაქონლისა“. მსგავსი მიკროტოპონიმი კიდევ ერთია.

ნაკართხუ, ადგ.

ნაკლასუ. ადგ., აქ მდგარა ძველი სკოლის შენობა.

ნამოსახლეგი, ძველი ნასახლარია.

ნამოსახლევი, ადგ.

ნატეგარი (ყამირი გატეხილი), საყანე.

ნაფაცხენი, ადგ. „ფაცხა მდგარა, სათემო საყარაულო“.

ნაფუზვარი. „აყრილი და განადგურებული ადგილი, წინათ ნასახლარი“.

ნაცხენწყარუ, ადგ. „ცხენისწყლის უძველესი კალაპოტი“.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი). „უძველესი სალოცავი ადგილი“.

ნაღომარი, საყანე.

ნაშენი, ადგ. „აქ ვაზი ყოფილა მაღლარზე მიშვებული: პუმპულა, ჩეში, კამური, ხარდანი“. მსგავსი ტოპონიმი კიდევ სამია.

ნახაჯენი (ნაცერცვალი), ადგ.

ნოღელა, მდინარე.

ნოხორობენი (ნამოსახლევი). ადგ. „ეს უბანი სულ საჭყონდიდო იყო. წყალს მოუსილავს, ხალხს სადგომი მიუტოვებია, მაღალზე გადასულა“. მსგავსი ტოპონიმი ერთგან კიდევ გვხვდება.

ნოხორტეგი (ნაახლარი ტები), ადგ. ნასახლარი ტყიანი.

ნოხორტეგი, ნასახლარი ტყიანი, ტყე.

ოკაცე (საკაცე?), ადგ.

ოკოპეშე (საკვახო), ადგ.

ოჩე (დიდი ყანა), ადგ. „აქ ჩეშის მაღლარი ვაზი ყოფილა. ძლიერ ნაყოფიერი ნიადაგია“.

პატარა გეზათი, სოფ.

რიონჭაე, რიონის ჭალა.

რუსას პირი, ღელე, რუსას ჭალა.

საანგურო, ადგ. „უძველესი სააგურე“.

საბუდია, ადგ.

საეკლესიო. „1914 წელს გეზათ-ქოლობანი გაყო ცხენისწყალმა. გაღმა სოფელი აიყარა და გადმოსახლდა აქეთ. ეს ეკლესია ტყეში უნახავთ, გაუწმენდიათ და თავიანთ სალოცავად გაუხდიათ. დღეს ადგილია“.

საციდო შარა (საცილო გზა). „ამ გზის გამო თავადები ერთმანეთს ეცილებოდნენ. ხშირად სისხლი დაღვრილა“.

საიჯარო. „რკინიგზის გაყოლებაზე მიწას მეტი ფასი ჰქონდა. აქ იჯარით იღებდნენ ამ მიწას დასამუშავებლად“.

საჯარიანო, ჯარობის, თავშეყრის ადგილი.

საკობრიო, მდ. ცხენისწყლის მცირე შენაკადია.

საკორძახიო (კორძახიასი), ადგ.

საკუციო, კუციების (გვარია) უბანი.

საქაჯია მუხური, ადგ. „ძლიერ საშიშარი ადგილი, წინათ დიდი სალოცავი“.

საღობი, შემოღობილი, შემორაგული უბანი, წყლის პირი.

საჭია, სოფ. მთელი ეს ადგილი ჭილაიების ყოფილა.

სახალიბანი, ადგ.

საყდეისეული, ადგ. საყდეის მამული.

სილური, საყანე ადგილია.

ტეგი, ადგ. „წინათ დაბურული, უღრანი ტყიანი, დღეს საძოვარია“.

ტილიფნარი (ტირიფნარი), ადგ.

ტოგოური, ადგ.

ტოღოპო, დამპალი, ჭაობიანი ადგილი.

ტოღორი, ადგ.

ტყვირი, სოფ.

ტყვირიში ოხვამე, ადგ. „ძველთაძველი სალოცავი, აქ ყოფილა გვირაბი, რომლითაც რიონში ჩადიოდნენ თურმე“.

ქოლობანი, ს/ს. „ჩაქოლვის ადგილი“.

ცილორი, სოფ.

წაკური, ადგ.

წიფურონი, ადგ. წიფლნარი.

წიფურონი, ადგ. წიფლნარი.

წყლის-პირი, ცხენისწყლის ჭალა.

ჭალა, მდ. ნოღელას ჭალა.

ხერგი. „მდინარის გადმოსვლის საწინააღმდეგო ხერგილია, მიწანაყარით“.

ხომონა (ხურმნარი), ადგ.

ხორგონა. „ძლიერ ნაყოფიერი ადგილია. მოსავალი იხორგუუ (იზვინება)“.

ხუხური, საყანე.

ჯაფარული, საყანე.

ჯვარიში, „სალოცავი ადგილია, აქ ყოფილა მაღლარზე მიშვებული ძველი ვენახი ჯვარისა. დღეს სულ არაა გადარჩენილი“.

ჯვეში ნაცხენწყარუ, ცხენისწყლის ძველი სავალი. „ძველად აქ გადიოდა ცხენისწყალი, შემდეგ სოფლის კიდისკენ უქცევიათ მისთვის პირი. დღეს ამომშრალი ხეობაა“.

ჯვეში ტყვირი (ძველი ტყვირი), უბანი.


ძველი აბაშის სასოფლო საბჭო
ტოპონიმების რუკა.
ბიბლიოგრაფიის მხარეთმცოდნეობის
მუზეუმი.
მასშტაბი: 1X10000
ხმოვანებითი ნიშნები:
ფერიცვალა,
ბზა.
ავტორი: ბ. ელიავა

ძველი აბაშა

ძველი აბაშა სოფელ ონტოფოს სამხრეთით, მდინარე აბაშასა და ნოღელას შორის, გაშლილ ველზეა. მისი მთელი ჩრდილო-დასავლეთი მხარე სოფ. კადარია. აქ უძველესი ეკლესია – ერთნავიანი ბაზილიკა დგას, რომელიც თავისი არქიტექტურული და მხატვრული მორთულობით XIII საუკუნეს ეკუთვნის. სოფელი აბაშის რაიონის ცენტრი იყო რკინიგზის გაყვანამდე. როცა რკინიგზა გაიყვანეს, ცენტრმა (ახლანდელი აბაშა) მის მიდამოებში გადმოინაცვლა, ხოლო ძველი ცენტრი დღესაც ძველ აბაშად იწოდება. მისი სამხრეთ-დასავლეთი უბანი საპერტენაოა. აქვეა ზუგა (მიწაზურგა) და ცენტრი ამ სოფლისა სასოფლო საბჭოთი, კოლმეურნეობის კანცელარიით, კლუბით, ბიბლიოთეკით, სკოლით და სხვ. კადარისა და საპერტენაოს მიდამოებში არის ადგილები, სადაც, გადმოცემის თანახმად, ოდესღაც აბაშთა ლაშქარი დაბანაკებულა და ადიდებულ მდინარეს წაულეკავს. ძირითადი კულტურა სიმინდია. სოფელში ეთერზეთოვანი კულტურებისა და დაფნის ფართო პლანტაციებია გაშენებული. აქ წინათ ბრინჯი მოჰყავდათ. აქა-იქ ბრინჯს დღესაც თესავენ. მიწა ქვიშნარია. კადარის მასივები ქვიანია და მაგარი.

აბაშა, მდინარისა და ადგილის სახელწოდება. ესტატე კორძახიამ გადმოგვცა: „აქ დაბანაკებული მურვან ყრუს ერთ-ერთი ლაშქრის – აბაშების მთელი ბანაკი წყალს წაუღია. ამის შემდეგ ამ ადგილსა და მდინარეს აბაშა შერქმევია. ამბავი მომხდარა ძალიან დიდი ხნის წინათ“.

ატამურა, ადგ.

ბაქვინჯი, ადგ.

ბოგირი. „ქვითკირის ძველი ხიდია ცუდღარზე, სოფლის ცენტრში თავშეყრის, ჯარიანობის ადგილი“.

განაკე, ადგ.

გვალური, ადგ. „ვაზის უძველესი ჯიში ყოფილა, ახლა არავის ახსოვს“.

დიდსაქოიო (დიდი საქოიო), ქოიავების უბანი.

დოგერა. „ადგილი, სადაც მაღლარი ვაზია გაშენებული“. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ ოთხია.

დოგირო, სოფ. მიხეილ კუპრავამ გვიამბო: „დობირო მთლად ამ მუხურს ეწოდებოდა. აბაშის აქეთ სულ დობიროს ეძახდნენ. ეს ადგილი ძლიერ ნოყიერია და ნოდიებს ეკუთვნოდა. ქცევა 80 ან 100 მანეთი ღირდა. აქ ვეებერთელა თხმელის ხეებს მირგული ჰქონდა ვაზი: პუმპულა, ხარდანი. ჩვენი ძველები ყურძენს კრეფდნენ ხეზე. მეგიდლედ – გიდლის დამცლელებად ქვემოთ ბავშვები იდგნენ. ერთხელ კრეფის დროს მოსულა ერთ-ერთი მებატონე ნოდია, ბავშვები გაურეკავს და თვითონ მოუნდომებია გიდელის გამორთმევა. იქვე მდგარა ფარდიანი ურემი, ხეები ნაბადივით ყოფილა ყურძნით დახუნძლული. ნოდიას ყურძნის მკრეფავი ვერ დაუნახავს და გიდელისთვის ხელი ჩაუვლია, აწევისას ზემოთ ნოდიაც თან აუტანია, მაგრამ მას მოუსწრია ჩამოხტომა. ნოდია მამულის პატრონობას იჩემებდა და ყურძნის მითვისებაც მოუნდომებია, მაგრამ შეშინებულა და გაქცეულა თურმე. მას ხატზე დაუფიცნია, რომ ის მიწა მას ეკუთვნოდა და მიუთვისებია კიდეც. ამიტომ ამ ადგილს ნაფუჩერასაც (ნაფიცარს) ეძახიან. ნოდია სუჯუნელი აზნაური ყოფილა, იქ კაცი შემოკვდომია და გამსახურდიებისთვის შეუფარებია თავი. იგი გამსახურდიებს ფიჩხერში დაუსახლებიათ. ბატონიშვილები გაბრაზებულან, მაგრამ ბოლოს უპატიებიათ გამსახურდიებისთვის ეს თვითნებობა და ნოდია ამ ადგილებში დარჩენილა.

გამსახურდიები მკაცრი და გულბოროტი აზნაურები ყოფილან. ერთხელ მათი მოურავი სუხიესთან მისულა და ღორის დაკვლა დაუვალებია. სუხიეს ღორი დაუკლავს, მაგრამ გაკვირვებია, ეს ღორი თავისას რომ ჰგავდა. როცა უკითხავს, ვისი ღორიაო, მოურავს უთქვამს – შენია და, თუ გსურს, თავი წაიღე და წადიო. გამსახურდიას ამის გამო კუპრავასთვის კუჭავა უჩუქნია კაცად.

გამსახურდიები კაცის გამყიდველები – ცურსალებიც იყვნენ. მათ ერთხელ ორი გოგონა მოიტაცეს და, გასაყიდად რომ მიჰყავდათ, პატრონი დაეწია, მაგრამ ახლოს ვერ მიუდგა და ჭყონდიდელთან იჩივლა. ჭყონდიდელმა გააღებინა ხულას (ბეღლის) კარები და გოგონები გამოიყვანეს. ისინი სულ დასიებული იყვნენ. ჭყონდიდელს ისინი პატრონისთვის ჩაუბარებია, გამსახურდიებისათვის კი პასუხი მოუთხოვია და გაუკიცხავს. შემდეგ იმ გლეხის სახლში მისულა, კერაზე ჯვარი ამოუხაზავს და გამსახურდიას ოჯახი დაუწყევლია. არის გამოთქმა: „გამსახურდიაში ნაკვაჲისუ კუჩხი ოკო ვეგიობიჯუევა“ (გამსახურდიას ნაკვალევზე ფეხი არ უნდა დააბიჯო). გამსახურდიების გვარი აქ სამურზაყანოდანაა გადმოსული“.

ეგვიე, გვიაში მუხური (გვილავას უბანი). 70 წლის ერმილე ჯანჯღავამ და ანდრო პაპავამ გვიამბო:

„მამია გურიელს ჰყოლია კარგი ცხენი, რომელიც ნიკოლოზ კალანდარიშვილს მოსწონებია. ნიკოლოზმა გიოიტა გვილავას დაავალა ამ ცხენის მოპარვა. გიოიტა დიდი ვაჟკაცი ყოფილა, უფონოდ გადადიოდა თურმე ადიდებულ მდინარეზე. იგი მდიდრებს საქონელს სტაცებდა, კლავდა და ურიგებდა ღატაკ მეზობლებს. გიოიტა დიდი უშიშარი კაცი ყოფილა და წასულა გურიელის ცხენის მოსაპარად. გურიელს ცხენი ციხის შიგნით ჰყოლია დაბმული, რომელსაც მცველები ჰყოლია მიჩენილი. გიოიტას მოუტყუებია მცველები, შემჯდარა ცხენზე და ციხიდან გამოქცეულა. მდევრები დასდევნებია, მაგრამ მას მოუსწრია რიონზე გადმოსვლა. გურიელს გაუგია ვინც მოპარა ცხენი და ნიკოლოზისთვის შეუთვლია, ის კაცი ეჩვენებინა მაინც. ნიკოლოზს გიოიტა გურიელთან გაუგზავნია. გურიელმა გიოიტა დააჭერინა. ერთ გველეშაპივით კაცს დაუბამს და შემდეგ დაცინვა დაუწყია. გიოიტამ ინატრა თურმე: ერთი შენი თავი მომცა ხელში, მე შენ გაჩვენებდი სეირსო. გურიელს გაუკვირდა და დააჭიდა ისინი. გიოიტამ პირაღმა დასცა დევ-ფალავანი, კიდევ დაეჭიდნენ, კიდევ წააქცია. ასე გაგრძელებულა რამდენჯერმე. გურიელს სიამოვნებია და უთქვამს, ვარგებულაო და დაუსაჩუქრებია. შემდეგ წერილით გამოუსტუმრებია ნიკოლოზთან. ნიკოლოზს გახარებია, რომ გიოიტამ ასახელა და დაჰპირდა საჩუქარს. საჩუქარი არ მინდაო, – უთქვამს გიოიტას, – პატრონი მინდა, თორემ ვინმე დამახრჩობსო. ნიკოლოზს 12 ქცევა მიწა მიუცია. გიოიტას მიწა გვილავებისთვის დაურიგებია, თვითონ კი ნიკოლოზის კაცად დარჩენილა. ამ ადგილს ახლაც „გიოიტა გვიაშ მუხურს“ ეძახიან“.

ერუბინიე (სარუბინიო). ნიკოლოზ კორძახიამ გადმოგვცა: „აქ რუბინიები და გამსახურდიები ჩამოსახლებულან. ორივე გვარი ცურსალები (კაცის გამყიდველები) და ყაჩაღები ყოფილან. ერთხელ რუბინიებს ათი და მოუტაციათ, ანაკლიისკენ წაყვანა ვერც მოუსწრიათ, რომ დადიანის ბრძანება მოსვლიათ, ზუგდიდში გამოცხადებულიყვნენ. რუბინიებს მოტაცებული დები უღრან ტყეში მდგარ ბეღელში ჩაუმწყვდევიათ. დადიანს ზუგდიდში ჩასული რუბინიები დაუმწყვდევია და ერთი თვე ჰყოლია ციხეში. მდევრებს ბეღლისათვის მიუგნიათ, კარი გაუღიათ და საშინელი სურათი უნახავთ: დებს ერთმანეთი დაეკბინათ და ჩახოცილიყვნენ. ამის შემდეგ რუბინიების გვარი ეკლესიას დაუწყევლია და შეუჩვენებია“.

ეჭეიე, საჭილო, ჭილების (გვარია) უბანი.

ზანა, პატარა მდინარე, ამ სოფელში იწყება და აქვე თავდება.

ზუგა (მიწაზურგა). „ნაფხეკასაც ეძახიან. თათრის ჯარის ნადგომია“.

იანჯონა (კოპიტნარი), კოპიტის ტყე. ასეთი ტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.

კადარი. „ქვიანი ადგილი“. ასეთი სახელწოდების ადგილი სოფელში კიდევ ერთია.

კადარიში ოხვამე. „თვლიან ნაპოვნ ეკლესიად. ძველთაძველი ეკლესიაა კადარის ცენტრში“.

კაპანა, „კაპუნობის[1] ადგილი. აქ კაპუნობის დღესასწაული სცოდნიათ“.

კოდორე, ადგ.

კოხტა ნოხორიი (კოხტას ნასახლარი), ადგ. „კოხტა თოფურიას ნასახლარი“.

კუკუიაძეში ფონი (კუკიაძეს ფონი), ადგ.

მამუდონი, საყანე. „აქ მამული ჰქონიათ თოფურიებს“.

მეედნობა (მოედნობა). „დიდი მოედანია, საბურთაო და საჯარო“.

მეიდანი (მოედანი). „საბურთაო და საჯარო ადგილი“. მსგავსი მიკროტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.

მუმუი ნაჩიდერი (მამლის ნაყიდი), ადგ. „მამლით ნაყიდი მიწა“.

ნადოხორუ (ნასასახლარი), ადგ. „აქ ჭყონდიდლის სასახლე მდგარა ოდესღაც“. ასეთი მიკროტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.

ნათურძუ (ნათათრალი), ადგ. „თათრის ჯარის ნაბანაკარია“. მსგავსი სახელწოდება სოფელში კიდევ სამია.

ნაკარუ (ნაკარვალი), ადგ. „მთლიანად ამოკავებული, შემოღობილი ყოფილა და ვენახი ჰქონიათ გაშენებული. აქ ყოფილა ხარდანი, პუმპულა, ჭვიტილური მაღლარზე. ფაჲაგეებში (ეზოს ზღუდარებზე) კარვები მდგარა“.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი). „უძველესი სალოცავი ადგილი“.

ნაურიშუ, ადგ. „ადრე აქ ურიში ყოფილა გავრცელებული“. მსგასი სახელწოდება სოფელში კიდევ ერთია.

ნაშენი. „ვრცელ მასივზე გაუშენებიათ ჩეშის მაღლარი. დღეს საყანეა“.

ნაწისქვილუ (ნაწისქვილარი), ადგ.

ნოდიეფიში დიხა, ნოდიების საყანე მასივი.

ჭაქაშონი, ჭაობიანი ადგილი.

ოკოწიერი (საქანელა), ადგ. „აქ ვაზის საქანელა ყოფილა“.

ოკოწიერი, ადგ.

ოჩე. „უხვმოსავლიანი ადგილი“.

ოჩხვარეში (საცეხველი), ადგ. „აქ, წისქვილთან მდგარა წყლის საცეხველა ღომის საცეხვად“.

ოხვამე კარი. „ეკლესიის წინ ვრცელი მოედანია. წინათ საჯარო და თავშეყრის ადგილი იყო“.

რამინუ, ადგ.

რუსიშ შარა (რუსის გზა). „რუსის ჯარის შემოსვლის შემდეგ გაუჭრიათ“.

---

[1] И. Кипшидзе, Грамматика мингрельского языка, Петербург, 1914, გვ. 252.

საანგურო, ადგ. უძველესი სააგურე. ასეთი მიკროტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.

საბარძღუ, ბარძღუების (გვარია) უბანი.

საჩაჩუ, ჩაჩუების (გვარია) უბანი.

საჩხეკავი, ადგ.

საცხირკარი, უბანი.

საკორძახო, კორძახიების უბანი. „კორძახია აქ მღვდელს მოყოლია ნოქალაქევიდან. კორძახიების ძირის ხატი ნოქალაქევშია. იქ მიჰქონდათ ამ გვარის მოხუც კაცებს შესაწირავი“.

საკუპრო, კუპრავების უბანი. „წინათ საგამსახურდიო ყოფილა“.

სამელიო, მელიების (გვარია) უბანი.

საპერტენო, პერტენავების (გვარია) უბანი. ნიკოლოზ კორძახიას და მიხეილ კუპრავას გადმოცემით, „აქ რაც პერტენავები სახლებულან, სულ გაუყიდიათ ცურსალებს. მხოლოდ ერთი ოჯახი დარჩენილა და ისიც სამ თათარს მოუტაცნია. მოტაცებული ცოლ-ქმარი თურქებს გიოიტა კორძახიას ჭალაში გაუტარებიათ. გიოიტა თურმე მიწას ხნავდა, გაიგონა რა პერტენავას ცოლის ყვირილი: ვერ ხედავ, გიოიტა, დღეის შემდეგ აბაშაში პერტენავების ხსენება არ იქნებაო. გიოიტა სახრით დარევია თათრებს. მას ერთი მოუკლავს, ერთი დაუჭრია და გაუთოკავს, ერთი კი გაქცევია, ხოლო პერტენავები გაუთავისუფლებია. ამის შემდეგ მომრავლებული პერტენავების გვარის ყოველი ოჯახი აღდგომა დღეს ცხვარს კლავდა გიოიტას სულის მოსახსენიებლად“. „გიგი შონია დადიანის მოურავი იყო, მას დიდად აფასებდა და პატივს სცემდა დადიანი. ნიჭიერი და მიხვედრილი გიგი შონია ყველაფერს უსრულებდა დადიანს. ერთხელ დადიანს იმპერატორმა ქალის პერანგის რამდენიმე კომპლექტი გამოუგზავნა. აქედან ერთი გიგიმ მიითვისა თავისი ცოლისთვის. დადიანმა შემთხვევით თვალი შეასწრო, რომ გიგის ცოლს იმპერატორის ნაჩუქარი პერანგი ეცვა. დაიბარა გიგი და თვალები დასთხარა, მაგრამ ისე უყვარდა, რომ უპატრონოდ არ დააგდო და მოსავლელად ხოშტარიას გადასცა. ხოშტარია ცუდად ეპყრობოდა გიგის, ამიტომ მან სთხოვა ყმას საიდუმლოდ, რომ ადრე დილით იმ გზაჯვარედინზე მიეყვანა, სადაც დადიანს უნდა გაევლო. ყმამ გიგი გზაჯვარედინზე მიიყვანა. გიგიმ ქუდი მოიხადა და მათხოვრის სახე მიიღო. დადიანმა ეს შორიდან შენიშნა, გაუკვირდა და ჰკითხა, რატომ მათხოვრობ, გიგი, ეს რა დაგმართიაო? გიგიმ სთხოვა, ხოშტარიას პატრონობა არ მინდა, კორძახიას კაცებთან ვიცხოვრებო. დადიანმა ნება დართო. გიგი შონიას კორძახია კარგად უვლიდა. გიგი ძალიან ჭკვიანი კაცი იყო. თუმცა ბრმა იყო, ადვილად აგნებდა გზას, არსად შეცდებოდა. ამ დროს თათრებს პერტენავების ოჯახი აეყარათ და გასაყიდად მიჰყავდათ. გზაში მათ შეხვდა გრიგოლია, რომელმაც ეს ამბავი გიოიტა კორძახიას შეატყობინა, გიოიტამ კი გიგის გააგებინა. გიგიმ მოითხოვა ცხენზე დაესვათ და გაყოლოდნენ. იგი შეჯდა ცხენზე და გიოიტა გაიყოლია. გზა ადვილად იპოვნეს და ძიგირთან დაეწივნენ თათრებს. ორივენი დაერივნენ თოთხმეტ თათარს, ბევრი დაჭრეს, ოთხი მოკლეს, სხვები კი გაიქცნენ. პერტენავები იხსნეს“ (75 წლის ესტატე კორძახიას ნაამბობი).

საჭატურო, ჭანტურიების უბანი.

სეფაში ჭაე, სეფა ნოდიას ჭალა.

სეფიათი, სეფიეთის განაპირა უბანია. შალვა ქოიავას გადმოცემით, „აქ, უღრან ტყეში, ორ ძმას უნადირია და სეფი უნახავთ. სეფი დიდი განჯინა ყოფილა. ამის გამო ამ ადგილს სეფის ნაპოვნი დაერქვა. აქ ჭია და ჭიოკა სახლებულან. ბრძოლაში მათ ერთმანეთი ამოწყვეტიათ. კადარიანი ველი და ნასახლარი ტყემ მოიცვა და სწორედ აქ იპოვეს ძმებმა სეფი“.

სულური, სელის ადგილი.

სუნეჯი. „სელის სათესი ადგილი“.

სუღირი, ადგ. „ვაშლნარი, რომელიც ვაზით ყოფილა შემოსილი“.

ტები, დიდი, დაბურული ტყიანი ადგილი.

უჩა დიხა (შავმიწა), ადგ. საყანე მასივი.

უჩაღეჯე (შავღელა).

ქუალონი, ადგ. ქვიანი.

ქუაჯონი, საყანე. „იოსელიანის მამული ყოფილა. მისგან ბეგლარ მაცაბერიძეს უყიდია“.

ღელე ღანტკურა. პატარა, მაგრამ წყალუხვი ღელეა.

შქასოფეი (შუა სოფელი), სოფ.

შქაუშქური (ვაშლნარი, შუა ვაშლნარი), საყანე.

ცაცხუჯინჯი, ადგ. „სოფლის ცენტრი იყო“ (ცაცხვძირი).

ცუდღარი, ადგ. ეძახიან, „ჭყოინდარის ღარსაც“.

ცვარუი, ადგ.

ჭაე (ჭალა), ადგ.

ჭაე დიხა (ჭალა მიწა).

ჭილური, ჭიების (გვარია) ნასახლარი.

ჯაფონი, ადგ.

ჯაგუში წისქვილი (ჯაგუს წისქვილი), ადგ. „აქ ჯაგუ ქოიას წისქვილი მდგარა“.

ჯაპანა, თუთის ხეების ტყე, ახლა საყანე.

ჯოლური, ადგ. „აქ დიხაგუძუბაცაა. მას **ნაფხეკას** ეტყვიან, დღესაც ამბობენ, რომ აქ ოქროა დამარხული“.

ჯვეში შარა (ძველი გზა), იგივეა, რაც „მარტვიიში შარა“ (მარტვილის გზა).

წყემი

სოფელი მდინარე აბაშის მარჯვენა მხარეზეა, მდინარეებს – ტეხურსა და აბაშას შორის, ვრცელ ველიანზე. ნოსირის ჩრდილო-აღმოსავლეთით არის მიწაზურგების მთელი წყება, რომელიც ერთგვარ ამაღლებულ, ბორცვის მსგავს რელიეფს უქმნის ადგილს საკმაოდ ვრცელ მასივზე, დაახლოებით ნახევარი კილომეტრის სიგრძეზე. ნიადაგი ქვიშნარია, ჩრდილოეთით ალუვიური ხასიათისა, ამიტომ ოდითგანვე ვაზის გაშენებას მისდევდნენ. დღესაც აქ ვენახებია გაშენებული. კარგად ხარობს ხილი, ბოსტნეული და ბაღჩეულიც. დიდ ტერიტორიაზე გაშენებულია ჩაის პლანტაცია. აქ უძველეს დროში სულ წალკოტები ყოფილა, ამიტომ იგი ბატონიშვილების საზაფხულო რეზიდენციად ითვლებოდა.

ანალური, უბანი. „ანალების ნასახლარი“.

დაბაი ტყა (დაბალი ტყე), ჩირგვნარი.

დაჩა, ადგ. „კარგი წყალი და ჰაერია, აქ რუსის დიდკაცები ისვენებდნენ“.

დადიაში ნოხორიი (დადიანის ნასახლარი), საყანე.

დიახონი (ჩათხრილი), ადგ.

დიხაზუგა (მიწაზურგა), „ოთხი მაღალი ბორცვია ერთმანეთის გვერდით, ირგვლივ ღრმა და ფართო თხრილი ყოფილა. ხალხი მას ნაფხეკასაც ეძახის. მოხუცების გადმოცემით, ეს მაღლობი „თურქი ჯარისკაცების ჩექმის განაწმენდი ტალახისგან აზვინულა“.

დოგერა, ადგ. მაღლარი ვაზი. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ ოთხია.

ეთუნგიე, თუნგიების (გვარია) უბანი. 89 წლის მოხუცმა გუდუ დავითის ძე თუნგიამ გვიამბო: „ჩვენ, თუნგიები, აქ ძველი მოსახლენი ვართ. ჩვენი ძველები სამურზაყანოდან, გალიდან, სოფ. შეშელეთიდან გადმოსულან. იქ მათ რაღაც დაუშავებიათ და გამოქცეულან. ისინი აზნაურ მელიებს მინდობიან და იქვე დაუსახლებიათ. ჩვენი ძირის ხატი ილორის წმინდა გიორგის ხატია, სადაც დავდივართ სალოცავად“.

ეწერი, საყანე მასივი. ასეთი ტოპონიმი სოფელში კიდევ ათია.

ეწერი, საყანე. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ ოთხია.

ზუგა, მიწაზურგა, ადგ. „ნათურქალია. თურქის ჯარის ნაბანაკარი მიწაზვინულია“.

იობური, ადგ.

კადარი, ქვიანი, გაჯარი ადგილი.

მამული, ადგ. „ჩეშის და ხარდანის მამული“.

ნახაჯუ (ნაცერცვალი), ადგ.

ნადუქანუ (ნადუქნევი), ადგ.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ადგ.

ნაშენი, ადგ. „მაღლარი ვაზი ყოფილა აქ გაშენებული“.

ნაცაცხვერა (ნაცაცხვარი), ადგ. „ცაცხვი მდგარა. მის ძირთან ლოცვა იცოდნენ“.

ნახაჯუ (ნაცერცვალი), ცერცვის სათესი. დღეს საყანეა.

ნაჯიხუ (ნაციხარი), ადგ.

ნიმატყა, საყანე. „ოდესღაც დიდი დაბურული ტყე ყოფილა“.

ოთიფური, ძველი სათიბი მასივი.

რუსკარი, ადგ. „რუსის ჯარის ნაკარვალი“.

საკუპრეიშვილო, კუპრეიშვილების უბანი.

სულირი. „სელის სათესი ადგილი“.

ტამური, საყანე მასივი.

ტები, ადგ. „გაუვალი ტყე ყოფილა წინათ“. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ ხუთია.

უშქურონა (ვაშლნარი), ადგ.

ფუღუეში (თხუნელასი), ადგ. „მსუბუქი და უხვმოსავლიანი ნიადაგია“.

ქუა (ქვა), ადგ. „აქ ქვის ხატი სვენებულა ოდესღაც“.

ღელე ტეხური, მდ. ტეხურის ტოტია.

ჩეშონა, ადგ. „ჩე შონური ყოფილა ვაშლისა და ხურმის მაღალ ხეებზე მიშვებული“.

ჩხირონი. „ახალაყრილ ნერგთა ტყიანი. იჭრება ყოველ მეორე-მესამე წელს ჩხირებად“.

ცხირონი (ბუჩქნარი), ადგ. ეკალ-ბარდიანი ჩირგვნარი.

ძიგური, სოფ. ხშირად იტყვიან ძიგირი (ეკალი).

წაკორტი (წალკოტი), ადგ. „ვარდყვავილნარი და ბაღნარი“. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.

წისქვიიკარი (წისქვილკარი), ადგ. ძველი ნაწისქვილარი.

ჭობარი, საყანე ადგილი.

წყემი, სოფ. „ოდესღაც ღრმა ტყე ყოფილა. იგი გაუჩეხიათ მდინარის პირამდე. ამიტომ მას წყემი დაერქვა“.

ჭაე, მდ. აბაშის ჭალა.

ხარდანი. „ადრე ვაზი მიშვებული ყოფილა ხარდანზე. დღეს საყანე მასივია“.

ჯახირი. „ნაწვალები, ნაჯახირალი ადგილი“.

ჯიხირი, ადგ.


ნუციის სასოფლო საბჭო
ტოპონიმების რუკა
ვლეჭორის მხარეთმცოდნეობის
მუზეუმი.
მასშტაბი: 1X10000
ბირობითი ნიშნები:
მდინარე,
გზა.
ასტორი გ. ოლიაკვ

მარტვილი

მუნიციპალიტეტის ტოპონიმია

საქართველოს სსრ პუბლიკის საბინისტრო
ტეტეწყიბრის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ტეტეწყიბრის

რაიონის ისტორიულ-ტოპონიმიკური/ტოპონიმიკური

ლექსიკონი

ტოპი პირველი

ნაწილი პირველი

აკადემ. ტ.ვ. ელიავა

1963–
–1985

დაბა ტეტწყიბრი

აბედათი

ბანძის დასავლეთით, მდინარე აბაშის გაღმა, მარჯვენა სანაპიროზე, უნაგირას მთაზე, მის გასწვრივ და კალთებზე, მდებარეობს სოფელი აბედათი. მასზე გადის მდინარე ტარჩენი, ძლიერ შლამიანი და მდორე, მაგრამ წყალუხვი. სასოფლო საბჭო ორი სოფლისაგან – აბედათისა და ჯოლევისაგან შედგება. აბედათი ჩრდილო ნაწილია, ჯოლევი – სამხრეთი. სოფელი შეფენილია მთის სამხრეთ ფერდობებზე, მუდამ მზისგულია. ნიადაგი აქ, გარდა აბაშისპირა ველებისა, წითელმიწა-ალუვიურია. ხილისა და ვაზის ბაღნარია და დღეს რაიონისა და მეზობელი რაიონების მეკონსერვეთათვის ნედლეულის მიმწოდებელი. ამასთან, ხილით უხვად ამარაგებს ცხაკაიას, ბანძის, გეგეჭკორის ბაზრებს. მარსილის ქვიშნარ მასივებზე მოდის სიმინდის უხვი მოსავალი. აქ დღეს სანერგე მეურნეობაცაა მოწყობილი. სოფელი მდიდარია ისტორიული ძეგლებითაც და ხალხის სამეურნეო საქმიანობის ტრადიციით.

ანჯაფარიაში ნადოხორუ (ანჯაფარიას ნასახლარი) ადგ.

არგვანი (ჭური), ადგ. ნამარნევი, ქვევრის ჩასაყრელი.

აღუნური ვაზის ჯიშად თვლიან. ჯიში აუწერელია.

ბაირაღი (დროშა), ადგ. „ბატონიშვილების მიწების მიჯნაზე მათი დროშა ყოფილა აღმართული, რომელიც უტუ მიქავას ლაშქარს დაუწვავს. მის მაგივრად აჯანყებულთა ბაირაღი-შილა აღუმართავთ“.

ბაკურონი, ადგ.

ბამბე წყარი (ბამბა წყალი), ნაბამბარი ადგილი.

ბახვაში ნოხორიი (ბახვას ნასახლარი), ადგ.

ბიჭინიაში ნადოხორუ (ბიჭინიას ნასახლარი), ად.

ბოგვერა, ბოგვერა ბალახია. საძოვარი.

ბჟერი (მზიური), მთაა. „უძველეს დროში სალოცავი ადგილი, სადაც მრგვალ ქვის ლოდს, რომელზედაც მზე ყოფილა ამოჭრილი, თაყვანს სცემდნენ. აქედან შეერქვა მთას სახელი. ქრისტიანებს ლოდი გაუნადგურებიათ“.

განგიაში ტყა (განგიას ტყე), ადგ.

განთიადი. „ადგილი, სადაც განთიადის სახელობის კოლმეურნეობის კანტორა მდგარა“.

გუგუჩია, ადგ. კურკუზა, გუძუბა, ბორცვი.

გუგური, ადგ. თვლიან ვაზის ჯიშად.

გუმარა ღელე (გვიმრა ღელე), ნაპირები გვიმრიანია.

დადიაში ნაგზითუ (დადიას ნამზითევი), საყანე.

გუქიტიაში ნოხორიი (გუქიტიას ნასახლარი) ადგ.

დადიაში ნადოხორუ (დადიას ნასახლარი), ადგ.

დერეჭანიში გინართუუ (დილიჭნის გადასახვევი), გზა.

დიეკი, დილეგი, ადგ. „აქ ქვითკირით ნაგები საწამებელი დილეგი ჰქონიათ ბატონიშვილებს“.

დინოხონი ჭაე (ჩავარდნილი ჭალა).

დოგერა, დობილოიანი ფერდობი. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ სამია.

დუტუში ნოხორიი (დუტუს ნასახლარი), ადგ.

ენწერი, საყანე მასივი.

ვეეგაში ან ხვეგაში, ადგ. „აქ ყოფილა ძაღლების სადგომი და ძაღლის განავალი დაგროვილა“.

ზაჯანდური, ნავენახარი ადგილი, ვაზის ჯიშად თვლიან.

იზდორეთი (იზდორეში თი), ადგ.

კაეგიძე (მხარგრძელი), „გრძელმხრიანი ადგილი“.

კაკუნოხონიი (კაკუნაყანარი), ადგ.

კოზმახე, ადგ. კოზმახეს ნასახლარი. კოზმას ასულის ნასახლარი.

კარტოზიაში ნოხორიი (კარტოზიას ნასახლარი), ადგ.

კუკიაჭაე (კუკიას ჭალა), ასეთი ტოპონიმი აქ კიდევ მეორეა.

კუკუჯური, ბორცვია. „უძველესი ნაეკლესიარია“.

კურკუზა (მიწაზურგა). „უძველესი ნაეკლესიარი“. ტოპონიმი ერთგან კიდევ გვხვდება.

კურთაში ბორკი (ნიფხვის ტოტი), საყანე.

მარსიი ბეგი, ბეგობი, კბოდე.

მასიათი (მასიას თი), ადგ. შემდეგ მასია ან მაისაია (გვარი).

მეიაგური, ადგ.

მეინჯი, ადგ. „მჟავე მარიალიანი წყალი გამოდის ფერდობზე, რომელსაც საქონელი ძლიერ ეტანება“.

მესარონი, ადგ. მესარონის, მითრას სალოცავი.

მესხეფიში ნოხორიი (მესხების ნასახლარი), ადგ.

მეშქანი (თავშესაყრელი ადგილი). „აქ იკრიბებოდა აჯანყებული გლეხობა“.

მიკოტატაჩერი (მოწმენდილი, მოსუფთავებული), ადგ.

ნადოხორუ (ნასახლარი), ადგ. ტოპონიმი ერთგანაც გვხვდება.

ნადუქანუ (ნადუქნევი) ადგ.

ნაკაზარმუ (ნაყაზარმალი), ადგ.

ნაკულაკუ (ნაკულაკარი), ადგ.

ნამარანუ (ნამარნევი), ადგ. მსგავსი მიკროტოპონიმი აქ კიდევ სამია.

ნანდუ (ნადევარი), ადგ. „დევების ნამოსახლარი“.

ნანიაჭვირი, ადგ.

ნანწყვი, ადგ. გადმოცემით „აქ ღვთის მიერ დაწყევლილი ოჯახი ჩაქცეულა“.

ნაოხვამუ (ნაეკლესიარი), ადგ.

ნაოხვამუ გა (ნაეკლესიარი სერი), ბორცვი.

ნაპაპუ (მღვდლის ნასახლარი), ადგ.

ნარონი (ნადგომი), ნაბანაკარი ადგილი. ტოპონიმი ერთგან კიდევ გვხვდება.

ნაროუ (ნარღვევი), ადგ.

ნარსიაში სუკი, ნარსიას (გვარი) სერი.

ნატეგერა ნატყევარი. „მუხისა და წიფლის ტყე ყოფილა“.

ნატეგუ (ნატყევარი), საძოვარი.

ნაფაცხუ (ნაფაცხარი) ადგ.

ნაქეროუ (ნაქერალი) საყანე.

ნაქვიშა, ქვიშით განოყიერებული ადგილი.

ნაქოგაჯუ (ნახორბლარი), საყანე.

ნაღუმუ (ნაღომარი), ადგ.

ნაჩიაჩუ, ჩილაჩების (გვარი) უბანი.

ნაცხაჯუ (გადანაწვავი, გადარუჯული) ადგ.

ნაჯოგუ (ნახოგარი), საძოვარი.

ნახარდანუ (ნახარდნარი), ველი.

ნაჭკადური (ნასამჭედლარი), ადგ.

ნაჭკიდუ, ნამჭადარი (ნაფეტვარი), ადგ.

ნაჭკირა, ხელოვნურად გაჩეხილი, გაცელილი, ველობად, სახნავად ქცეული, ახო.

ნეძიჯინჯი (კაკლის ძირი), ადგ.

ნოჯიხენი (ნაციხარი), ადგ. ნათურძუსაც (ნათურქალს) ეძახან.

ნოჭკადენი (ნასამჭედლარი), ადგ.

ჯულონა (ლეღვნარი) ადგ.

ოაკაცე (აკაციის ტყე), ადგ.

ოგერგუი, თოხით დასამუშავებელი ადგილი.

ობიშხიაკარი (ობიშხიას კარი) ადგ. „ობიშხია ყოფილა გაბედული, ალალმართალი და პატიოსანი კაცი. მისი შიშით ამ კუთხეში გვიან ღამემდე ვერ გამოდიოდნენ ყაჩაღები, ბავშვების გამტაცებლები და გამყიდველები. ერთხელ მას ორი ყაჩაღი დაუჭერია, რომელთაც ორი გოგონა და ერთი ბიჭი მიჰყავდათ სათათრეთში გასაყიდად. ყაჩაღები თავის ეზოს წინ, მოედანზე, დიდ ხეზე მიუბამს და ასე ჰყოლია მთელი კვირა, სანამ დადიანს არ გამოუგზავნია თავისი მსაჯული და არ წაუყვანია დასასჯელად. ობიშხიას კარი ყველა გაჭირვებულის, შეწუხებულის თავშესაფარი და იმედი იყო. მიუხედავად ამისა, ჩიქოვანები და ფაღავები ძალიან მტრობდნენ მას, მაგრამ ობიშხია დადიანების კარზე ძალზე მიღებული ყოფილა და დადიანიც დიდად მფარველობდა“ – რაჟდენ ყურაშვილის ნაამბობი.

ოთიფური (სათიბი), დღეს საყანე მასივია.

ომუნჩქვეთი (სამაჩვე), ადგ.

ოფირწეში (სასამთითო) ადგ.

ოჯაპე (სათუთე) ადგ.

ოჯარეში (საჯარო) ადგ.

ოჭადარე (ჭადრის ტყე), ადგ.

ოხონაი (სახნავი), ჭალა.

პატონსკუაში ტყა (ბატონიშვილის ტყე), ადგ.

პატონსქუაში გა (ბატონიშვილის სერი).

რეგა (კბოდე), ადგ.

როდაში ნაჯუდუ (როდას ნასახლარი), საყანე.

როკონა, წაბლის როკიანი ადგილი.

საანგურო (სააგურე), ადგ.

საკირე, ადგილი, სადაც ძველი საკირე აღმოჩნდა.

სასერო (ღამესათევი) ადგ. „ფერისცვალების, მარაშონას და ელიობის დღესასწაულების დღეებში (ძველი სტილით აგვისტოს ფერისცვალება, აგვისტოს მარაშონა, ივლისს კი ელიობა, იცოდნენ) ღამისთევა, ჯარობა და ბურთაობა იყო“.

სიანდური (ნასილარი). „ძლიერ ნოყიერი საყანე ადგილია“.

გეგეჭკორის რაიონის აბედათის
სასოფლო საბჭოს ისტორიულ-გეოგრაფიული
(ტოპონიმიკური) რუკა.
გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.
1963 წ.
ძირითადი ნიშნები:
მასშტაბი: 1X25000
სასოფლო საბჭოს საზღვარი;
მდინარეები;
გზები.

სისოში ნოხორიი (სისოს ნასახლარი), ადგ.

სოსელიაში ნადოხორუ (სოსელიას ნასახლარი), ადგ.

ტარჩუ, „ნასახლარი ადგილი“.

ტეხირი, ქვიანი უსწორმასწორო ადგილი.

ტორჩინაში ნოხორიი (ტორჩინავას ნასახლარი), ადგ.

ტურეთი (სატურო), ადგ.

ტყარგვაი (მრგვალი ტყე), ადგ.

უშქურტობა (ვაშლა ტბა).

უჩადიხა (შავმიწა), საყანე.

უჩაღეჟე (შავღელე).

უჩაშონა (შავი სვანური) ადგ. „ვაზის ჯიშია, წინათ აქ იყო გავრცელებული“.

უჭურიეში, ადგ. „ერთგვარი საღებავი მინერალური თიხა. წაბლისფრად ღებავდა შალს“.

ფატური, ადგ. „ადრე სულ ბაღნარი და ვაზნარი ყოფილა“.

ქართაში (ქართასი), ქართას ადგილი.

ქვაბი (გამოქვაბული), კარსტული გამოქვაბულია მთის სამხრეთის კალთაზე.

ქვაბიში ჯინჯი (ქვაბის ძირი), კარსტული გამოქვაბულია. მის კალთას „ქვაბჯინჯი – ქვაბის ძირი ჰქვია“.

ქვაღრა წყარი (ქუაღრა წყალი), ე. ი. ქვაღარიანი წყარო.

ღუონა (ბუების ადგილი).

ღურჯუმი. „ბნელი და საშიში ადგილი, უფსკრულიანი“.

ღუჟა ხვანა (მრუდე ყანა), ადგ.

ღვაჭითა (ლოყაწითელი), ადგ. „ვაშლი ყოფილა გაშენებული“.

შიფე წყარი (წყაროსწყალი), წყარო.

შქაღეე (შუა ღელე), დღეს დამშრალია.

შურიაში ნოხორიი ადგ. შურიას ნასახლარი.

ჩაბური, ადგ.

ჩაფაათი (ჩაფას ოჯახი), ჩაფას ნასახლარი.

ცხაცხვფერდი (ცაცხვის ფერდობი), ადგ.

ცხვატა, გაშლილი საყანე, ოდესღაც ბუჩქნარი.

წაკორტი (წალკოტი). „ხეხილისა და ვაზის ბაღი“.

წყურგიი ჯიხაში (ციხის წყარო).

ჭადარჯინჯი (ჭადრის ძირი), ადგ. „აქ სცოდნიათ ჯარობა, რიკტაფელას თამაში, ჭარკუმობა“.

ჭაე (ჭალა).

ჭითა წყუ (წითელი ჭა).

ჭუჭუში ეზო (ჭუჭუს ეზო), ადგ.

ჭუხერი, ბორცვი. აქ ნაპოვნია ბრინჯაოს იარაღები და ქვევრსამარხი.

ხიარი, მთიდან ხის დასაგდები.

ჯიმსხული (მარილმსხალი), ადგ.

ჯიხა (ციხე), რომელიც „აუგია ძლიერ კაცს, ვინმე ხურციას, რომელსაც დიდი ლოდი იღლიაში ამოუდვია და თმის ვარცხნით ასულა ციხის ფერდზე. ამ ქვაზე თავისი სახელი ამოუჭრია და კედელში ჩაუსვამს. ციხის ეზოში არის ღვთისმშობლის ეკლესია“. კულტურის საინტერესო ძეგლია. მისი გალავანი კარგადაა დაცული. ასევე, ეკლესიაც შედარებით შენახულა. ციხე დგას უძველესი ნაგებობის საფუძველზე. დარჩენილია ამ უძველესი ნაგებობის ორი სართული, სამხრეთ მხარეს.

ჯოჟო, სოფ. „მარხილზე ჩასაბმელი ღვლეჭით ან ჯაჭვით, ე. ი. ჯოჟოთი, მთიდან ხეები ჩამოჰქონდათ. ამიტომ შეერქვა სოფელს ეს სახელი“.

ჯვარი, ნაეკლესიარი ადგილი. „ადრე აქ ქვისჯვარის სალოცავი ყოფილა“.

ჯვარღეე (ჯვარის ღელე), ადგ.

ჯვეში ნაშარუ (ძველი ნაგზური) გზა. „მარსილის გავლით ლეძაძამესა და ზუგდიდისაკენ სადადიო და საფოსტო გზა იყო“.

ჯვეში ნოხორიი (ძველი ნასახლარი). „აქ ორი მოსახლე ყოფილა, ცურუა და ხვითარია, რომელთაც თავიანთი თი, სახლობა ჰქონიათ. ხვითარია და ცურუას გვარი შემდეგ გამრავლებულა. ადგილი მათი უძველესი ნასახლარია“ – იასონ კარტოზიას ნაამბობი.

ჯვეში შარა (ძველი გზა).


გეგეჭკორის რაიონის ბანძის
სასოფლო საბჭოს ისტორიულ-გეოგრაფიული
(ტოპონიმიკური) რუკა.
გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.
1963 წ.
მასშტაბი: 1 X 10000
ძირითადი ნიშნები:
სასოფლო საბჭოს საზღვარი;
მდინარეები;
გზები.

ბანძა

სოფელი აბაშის პირას, მის ნამდინარევ ველზე მდებარეობს. აქ ნიადაგი ქვიშნარია, ადვილად დასამუშავებელი, ნაყოფიერი. ნიადაგიდან აქ მრავალ ადგილას გამოდის წყარო. განსაკუთრებით უხვია უბანი სამოთხე და სამოთხე კარი, ძლიერ ნაყოფიერი ნიადაგით, ცივი და ანკარა წყაროს წყლებით. საერთოდ, მთელი ბანძის ტერიტორია ხალხს წალკოტად, ვაზის, ხილისა და ყვავილნარის ბაღნარად მიაჩნია.

სოფელი პეტრა – ჭყონდიდისა და არგუეთ-კლისორის გზაჯვარედინზე მდებარეობდა და იმთავითვე დიდი სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონია. ვახუშტის ცნობით, აქვე იდგა ციხე, „კეთილნაშენი“. XVIII საუკუნიდან აქ ცხოვრობდნენ ფეოდალი ფაღავები, რომელთა სასახლის კარი წარმოადგენდა განათლებისა და კულტურის კერას. XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოში პირველად აქ დაიდგა შექსპირის პიესა. ბანძაში XIX საუკუნის 70-იან წლებში გახსნილა საშინაო სკოლები, რომელთა ბაზაზე გვიან ჩამოყალიბებულა ორკლასიანი სასწავლებელი. ბანძაში აიგო პირველი ბარიკადები 1905 და 1918 წლებში. ეს სოფელი იყო მხარეში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი სერიოზული კერა.

სოფელში უხვად მოდის ყურძენი, ხილი, სიმინდი, ჩაი. 1965 წლიდან გაიხსნა მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, სპეციალიზებული ოჯალეშის ვაზისათვის.

ანტონიში ნაოჩუ (ანტონის დიდი ნაყანევი), ადგ. „აქ ანტონ კეკელიას ჩეშის მაღლარის ნაშენი ჰქონია, დადიანისაგან ნაჩუქარი. ნაოჩუ ადგილს მანამდე ეწოდებოდა, სანამ ანტონს უბოძებდნენ. ადგილი უხვმოსავლიანი და ძლიერ ნაყოფიერია“.

არგვანი (ჭური), ადგ. „ქვევრების ჩასაყრელი. გვიან აქ წისქვილიც აუგიათ და არგვან-წისქვილსაც ეძახიან“.

ბანძა (ბანიშიძგა – ბანის კიდე), ს/ს. სახელწოდებას უხსოვარი დროიდან ატარებდა თურმე მხოლოდ ბანძის ველი, ადგილი ციხის ირგვლივ. სხვა გადმოცემა არ არსებობს. აქ, არქეოლოგიური თვალსაზრისით, საინტერესოა ბანძის ველზე მდგარი ციხე-დარბაზის ნანგრევები. იგი ორგალავნიანია. მეორე გალავანზე, ჩრდილოეთით, მდგარა წვერწაკვეთილი პირამიდის მსგავსი კოშკი. დღეს მხოლოდ მისი პირველი სართულის ნანგრევიღაა დარჩენილი. ასევე შემორჩენილია სამხრეთის კოშკის მცირე ნაშთი. გალავანს შორის სივრცე სამ მეტრს აღემატება. კოშკის ეზოში, შიდა გალავნის გარეთ, ეტყობა წყარო ყოფილა. არქეოლოგიური დაზვერვის დროს ციხის მიდამოებში აღმოჩნდა შუბის წვერები, მომინანქრებული კერამიკის ნამსხვრევები და სხვ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი იყო სწორედ ბანძის ის კეთილნაშენი ციხე, რომელზედაც მიუთითებს ვახუშტი ბატონიშვილი და იხსენიებს „ქართლის ცხოვრება“.

ბანძაფონი (ბანძის ფონი), მდინარე აბაშაზე ყველაზე გაშლილი ადგილი.

ბანძაში მინდორი (ბანძის მინდორი), გაშლილი ველობია ციხის ნანგრევებით.

ბარდონა, ბარდნარი, ეკალბარდიანი ადგილი.

ბაღდუდი (ბაღის თავი), ადგ. გადმოცემით, „აქ სულ წალკოტები იყო ვენახით, ხეხილითა და წყაროსწყლებით“.

ბუკონა (საბუკე), ადგ.

გაბარა, გადასახედი მაღლობი, ეძახიან გახარასაც.

გახუში აბანო, ადგ.

გიორგიში კოდე (გიორგის კბოდე), ადგ.

გოჩეხი (განაჩეხი), საყანე.

გოჭვიროხვამე (დამწვარი ეკლესია), ადგ.

გუითკარი, ადგ. ა. გაბუნიას გადმოცემით, სადაც „გულოვანის ეკლესია მდგარა, სალოცავი ადგილი ყოფილა. დღესაც დგას აქ ვერხვის ასნლოვანი ხე, რომელსაც ხალხი პატივისცემით ეკიდება, მას ტოტებს არ ჭრიან“. „გუითკარის ეკლესიასთან ოდესღაც ვეებერთელა ქვის ლოდი ყოფილა, რომელსაც თურმე თაყვანს სცემდნენ. მასთან მიჰქონდათ შესაწირავი, მათ შორის ფულიც. ეს ტრადიცია იყო სულ უკანასკნელ დრომდე შემორჩენილი. ქვა თანდათანობით ხავსითა და მიწით დაფარულა. აქ მოტანილი შესაწირავის აღება აკრძალული ყოფილა – ვაშინერდუ“.

გუძუში ეზო (გუძუს ეზო), ადგ.

დადიაში ნოდოხორუ (დადიანის ნასახლარი), ადგ.

დინოხონი (ჩავაკებული), ნაპირი.

დინოხონი დუდი (ჩაღმართის თავი), კბოდე.

ეგაგუე, გაგუების უბანი.

ევახანე, ვახანიების უბანი.

ეტონა. „ტალახიანი ადგილი“.

ზუგა (მიწაზურგა), ადგ.

კაჟონა (კაჟნარი), ნაპოვნია ნეოლითური კაჟის იარაღები. კაჟიანი ველობია.

კეკეღური, ადგ. „კეკელიას ვენახსა და ნაშენებში მოწეული ყურძენი და მისგან დაწურული ღვინო კეკეუ«რად იყო ცნობილი. ადგილსაც შემდეგ ეს სახელი შერქმევია. ახლა კეკელიების უბანი“.

კეჭეხი. „ქვიანი ადგილი, ჭენჭყობი, ზოგან დატბორებული“.

კიწიში ნოხორიი (კიწი ფაღავას ნასახლარი), ადგ.

კოტიაში კარი, ადგ. კოტიას (გვარია) კარი.

მარსიი. ადგ. ფილიპე ვახანიას გადმოცემით: „აქ ისეთი გაუვალი ტყე ყოფილა, რომ ბობოთიდან ნოქალაქევამდე კატა ისე ჩავიდოდა ხე-ხე, რომ მიწას ფეხს არ დააკარებდაო. სახნავ-სათესი მიწები მესრით ჰქონიათ შემოღობილი. აქედან გაჩნდა ადგილის სახელწოდებაც“.

მექი ფაღავაში ნადოხორუ (მექი ფაღავას ნასახლარი), ადგ. იგი ადვოკატი იყო იდაგი მეგობრობდა ილია ჭავჭავაძესთან. ალექსანდრე გაბუნიას ნაამბობი: „როდესაც ილია ზუგდიდში გაემგზავრა, მექისთან ჩამოვიდა სტუმრად ბანძაში. იქვეა ის წყარო, რომლის პირას ილია მჯდარა, ის მუხნარი, სადაც ილიას უსეირნია, ის ქვევრი, რომლიდანაც ილიას ღვინის ჭაშნიკი გაუსინჯავს“.

ნაგურთი, ადგ. ფილიპე ვახანიას გადმოცემით, „გუთების ნამყოფი ადგილია“. ალექსანდრე გაბუნიას გადმოცემით, „ნაგუსთი, ნაგუ დიდი ოჯახის პატრონი ყოფილა, მას ჰქონია თი – დიდი ოჯახი“.

ნადოხორუ (ნასახლარი), ადგ.

ნათურძუ ზუგა (ნათურქალი ბორცვი), მაღალი ბორცვი, „რუსის ჯარის დანაფხეკი“.

ნამარანუ (ნამარნევი), ადგ. „აქ ასამდე ორასკოკიანი ქვევრი იყო, თურმე ჩაყრილი. დღესაც ხვნის დროს მიწიდან ამოყრიან ხოლმე ქვევრის ნამტვრევებს“.

ნანესკუა (ნანას შვილი), ადგ.

ნასაკერუ ან ნასაკირუ (ნასაკირალი), ადგ.

ნაჩიაჩუ (ნაჩილაჩავარი), ჩილაჩავების (გვარია) ნასახლარი.

ნაჭვი (გადამწვარი), მტრის მიერ გადამწვარი, აწიოკებული ადგილი.

ნახაჯუ (ნაცერცვალი), ადგ. ტოპონიმი ერთგან კიდევ გვხვდება.

ნოისირუ (ნაისლარი), ადგ.

ნოტეხი (ნატეხი), ახო.

ნოღა, გაშლილი ველი, წინათ მცირე ღელე ჩამოდიოდა.

ნოხორიი (ნარონი), ადგ.

პუმპუ ღაი (პუმპუს ღელე).

რეხა. „ქვიანი და კაჯარი ადგილი“.

როსტოში კოდე (როსტოს კბოდე), ადგ.

სამოთხეკარი. ადგ. ალექსანდრე ქუთელიას, ალექსანდრე გაბუნიას და სხვათა გადმოცემით: „აქ პირველად მოსახლეობა რომ გაჩენილა, გაუვალი ტყე ყოფილა. იმ ადგილას, სადაც დღეს ნაეკლესიარია, მდგარა ურთხელის ათასწლოვანი ხეები. აქ მოსულ პირველ კაცს სამოთხის ჩიტი აუფრენია, ამიტომ ამ ადგილისთვის სამოთხის კარი შეურქმევიათ“. ალექსანდრე გაბუნიას გადმოცემით, „აქ ბრინჯაოს ნივთებიც უპოვნიათ. ურთხელი წმინდა ხედაც ითვლებოდა უძველეს დროს“.

სამოთხე, უბანი. ალექსანდრე ქუთელიას ნაამბობი: „ბაღნარ-წალკოტები ყოფილა გაშენებული, ვენახით, ხეხილის ბაღებით, ყვავილებით, სურნელოვანი ვარდნარით, დიდებული სასახლეებითა და დარბაზებით. სულ სამოთხე ყოფილა ეს ადგილები. წმინდა და ცივი წყაროსწყლები მოჩუხჩუხებდა ნიადაგიდან. ტყე ირმებითა და შვლებით სავსე იყო. თამარ მეფეს ძლიერ ჰყვარებია ამ ადგილებში საზაფხულოდ ჩამობრძანება“. ადგილი გაშლილი ველობია, ძლიერ ნაყოფიერი. ვაზი და ხეხილი, საერთოდ ხეები და ტყე გაჩეხილა. ნაწილზე ჩირგვნარი და ბარდნარია.

ტაბაკური. „ტაბაკივით გაშლილი ველობია“.

ტურეში. ბუჩქნარი.

ურასაში ჭალე (ურასას ჭალა), საყანე. ადგილი.

ურიაკარი. „ებრაელთა სინაგოგის უბანი. აქ ჩამოუყვანია ფაღავას პირველი ებრაელი ვაჭარი და დაუსახლებია, პატარა ფაცხა დაუდგამს. პირველ ებრაელს სხვაც ჩამოყოლია და საწვრილმანოთი ვაჭრობა დაუწყიათ. სულ მალე ეს პატარა ადგილი ცენტრად უქცევიათ. თანდათანობით დაუწყიათ გადმოსახლება გაბუნიებს, კეკელიებს, ფაღავებს და ასე დასახლებულა ბანძა“.

უშანგიაშ კარი (უშანგიას კარი), ადგ.

უშქურჯვანა (ვაშლიყანა), საყანე.

უშქურტობა (ვაშლის ტბა), ადგ.

უჩადიხა (შავმიწა), ნაყოფიერი, გაშლილი.

ფაღავაში ნოხორიი (ფაღავას ნასახლარი), ადგ.

ფიჩხერი, ნობაღიენი (ნაბაღარი), ადგ. ა. ქუთელიას გადმოცემით: აქ ძველად დიდი ქალაქი ყოფილა, ბაღ-ბოსტნებით. ქალაქი თათრებს გადაუწვავთ, ბაღი აუკაფავთ. იმდენი სისხლი დაღვრილა, რომ დღესაც იმ სისხლით გაპოხილი მიწიდან წითელი წყალი მოჟონავს. დედაჩემი მიამბობდა, რომ ამ ადგილებში ისეთი სამყურა ბალახი იზრდებოდა, რომლის მსგავსს კაცი ვერსად ნახავდა. ბალახი მაღალი, ხასხასა მწვანე და ძალზე ლამაზი ყოფილა. ფოთლებზე ოდნავ შესამჩნევი წითელი ფორეჯები აჯდაო, როგორც კალმახს. ეს მიწიდან ამოწოვილი სისხლის ლაქები იყოო. ამ სამყურას ფოთლებისგან ამზადებდნენ ძვირფას მალამოს, რომელიც სწრაფად ახორცებდა ჭრილობას, აშუშებდა და აამებდა მუწუკებს“. დ. რურუას გადმოცემით, „ჩემი ბებია მკურნალი ქალი იყო. იგი ფიჩხერში

ეძებდა მცენარეს, რომელსაც სწორი და გრძელი ფოთლები ფესვიდან თავამდე მორიგეობით ესხა. მცენარე ერთღეროიანი იყო, რაც არშინის სიმაღლეზე იზრდებოდა, თავზე სისხლივით წითელი ფერის ფართო ყვავილს ისხამდა. ჩემი ბებია ყვავილს ჭრიდა ღეროიანად. ღეროდან წითელი, სისხლივით წვენი მოჟონავდა. ყვავილს ღეროიანად ხარშავდა და სქელ მალამოს ამზადებდა, რომელიც ჩირქიანი ადგილისა და ჭრილობების მოსაშუშებლად მიჰქონდა. ეს წამალი ძალიან აღიარებული იყო. ბებია მას „მედეაში ვარდიში მაჟამოს“ უწოდებდა“.

ᲥᲣᲐᲯᲝᲜᲘ (ქვიანი ადგილი).

ᲦᲐᲜᲙᲣᲔ ᲦᲐᲠᲘ (ღრაკნილი ღელე).

ᲧᲐᲖᲐᲜᲐᲯ ᲜᲔᲫᲘ, ადგ.

ᲨᲐᲣᲠᲙᲐᲠᲘ, ეკლესიის მიდამოებია. „შაური შეუგროვებიათ ყველა მცხოვრებისაგან და მით აუგიათ ეს ეკლესია. ამიტომ შეურქმევიათ ეკლესიისათვის ეს სახელი“.

ᲩᲘᲫᲕᲐᲜᲘᲨᲘ ᲙᲝᲓᲔ (ჩიქვანის კბოდე), ადგ.

ᲪᲘᲜᲪᲐᲨᲘ ᲛᲐᲛᲣᲘ (ცინცას მამული), ცინცა სახელია კაცის.

ᲫᲔᲫᲝᲜᲐ (რბილონი), საყანე. „უძვლო ხორცივით სუფთა, დასამუშავებლად ადვილი“.

ᲬᲐᲙᲝᲠᲢᲘ (წალკოტი), ადგ. „შესანიშნავი ბაღ-ვენახები ყოფილა და სახელწოდება აქედანაა მიღებული“.

ᲬᲘᲡᲥᲕᲘᲘᲙᲐᲠᲘ (წისქვილკარი), ადგ.

ᲬᲧᲣᲠᲒᲘᲘᲓᲣᲓᲘ (წყაროსთავი), ადგ.

ᲭᲐᲙᲐᲗᲐᲛᲣ, ადგ.

ᲮᲐᲠᲓᲐᲜᲘ. ადგ. „ვენახია ხარდანის ჯიშისა. გრძელი, წოწოლა მტევანი სცოდნია, გიშერივით შავი მარცვლებით“.

ᲯᲐᲛᲣᲨᲘ ᲘᲨᲐᲚᲝᲑᲘᲘ (ჯამუს შემოკავებული), საყანე.

ᲯᲔᲒᲔᲔ ᲙᲐᲠᲘ (ჯეგეს კარი). „წმინდა ადგილი. უძველესი ნაეკლესიარი“.

გაჭედილი

სოფელი გაჭედილი აბაშის ხეობის დასაწყისში მდებარეობს, ეგრისის მთაგრეხილის სამხრეთის კალთისეული მთებისა და ბორცვების კალთებზე, რაჩხისა და ჯორწყუს მთების შეფენაზე. სოფელში მდ. აბაშა რაჩხის მთაში, კაღუდან (ადგილია) იღებს სათავეს. აქ იგი 60 მეტრის სიმაღლის შიშველი კლდის გულიდან გადმოსჩქეფს და სოფლის დასასრულამდე ულამაზეს ვიწროებში მოედინება, ჭორომებიან და მცირე ჩანჩქერიან ხეობაში. სასოფლო საბჭო სამ ნაწილად იყოფა: ბალდა ჩრდილო-აღმოსავლეთის მთიანი სოფელია; სკურდი – სასოფლო საბჭოს ცენტრია, სადაც პატარა მდიარე სკურდი ჩამოედინება; შძანთა (ან პატარა თამაკონი) სოფლის ჩრდილო-დასავლეთის უბანია, რომელიც კალამუნას მთის ჩრდილოეთ კიდურზეა შეფენილი. აქ პატარა, მაგრამ წყალუხვი მდინარე – ჯღამანჯღარის ღელე მოედინება. ეს ჯანჯღავების უბანია. XVIII ს.-ის დასასრულს სამეგრელოს მთავრის მიერ მოწვეულმა ბერძენმა ოსტატებმა მდინარე აბაშის ყველაზე ვიწრო ხეობაში, სადაც უნაგირა და ტაბაკონა კიდურებით ერთმანეთს ებჯინება, ააშენეს აგურის ლამაზი ხიდი, ისრის წვერის მოყვანილობის ერთი თაღით. ამით მათ შეკრეს და გააერთიანეს ხეობის ორივე ნაპირი, მაშინ მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილი, ე. ი. გაჭედეს. აქედან შეერქვა სოფელს გოჭკადირი ან გაჭედილი. აქ 1918 წლის 15 აპრილს (ახალი სტილით) მოხდა ძლევამოსილი შეტაკება წითელ პარტიზანელ ლაშქარსა და მენშევიკურ ჯარს შორის. ამ ადგილას გაიჭრა დასავლეთ საქართველოში პირველი ჰესის – აბჰესის სათავის სამანი 1923 წლის ნოემბერში.

სოფელი მდიდარია წყაროებით, ხილითა და ნაირგვარი ნაყოფით. ბალდა მესაქონელობის ოდითგანვე დაწინაურებული სოფელია, ჰაერიც რბილია და მეტად სასარგებლო. ზაფხული აქ საგარაკო პერიოდია. ჯორწყუს ხეობაში მჟავე წყლებიც კი გამოდის.

ბაბიური, ადგ. „აქ ამ ჯიშის მაღლარი ვაზი ყოფილა“.

ბაგე, საძოვარი ადგილი.

ბარდა, სოფ. ბარდნარი, ეკალ-ღიჭისა და მაყვლიანის ბარდნარი.

ბენდეჯა ღაი (ცოფიანი ღელე).

ბეჭოური, „ბეჭისებური ნაკვეთი. ნაყოფიერი და მდიდარი. ზედ შესანიშნავად ხარობდა თურმე ვაზი“.

ბზღიონი (ქაცვნარი), ფერდობი.

ბუჯონა (ბლიანი), ადგ.

ბუიში, ადგ. „ბლის ტყე ყოფილა“.

ბურტყონა, ადგ. „ბურტყაე (ერთგვარი მხალეულია) მოდიოდა თურმე. იგი, გარდა სამარხვო საკვებისა, სამკურნალო მცენარეც ყოფილა, მისგან ქარებით დაავადებულებს კურნავდნენ, მუცელსაც ამსუბუქებდა“.

გაგანოტეხი (ქვის სატეხი), ქვის კარიერი.

გარამი (უფსკრული).

გოგია ღაი (გოგიას ღელე).

გორდიოური. ადგ. „გორდიოური ჯიშის მაღლარი ვაზი ყოფილა გავრცელებული“.

გოჭკადირი (გაჭედილი), სასოფლო საბჭოს საერთო სახელწოდებაა. XVII საუკუნეში „დადიანის ბრძანებით, ორი მხარის – საჭყონდიდლოსა და სალიპარტიანოს დასაკავშირებულად აბაშის ნაპირის ყველაზე ვიწრო ადგილას ქვითკირის ერთთაღიანი ხიდი აუგიათ. ეს ხიდი აბჰესის ახალი ხიდის აშენებამდე ძალაში იყო. ამ ხიდით გააერთიანეს ორივე მხარე, ამიტომ სოფელსაც და ადგილსაც გოჭკადირი ან გაჭედილი შეერქვა“ – გ. წოწორიას ნაამბობი.

გოხორხიი, გზა. გახერხილი, ხელოვნურად გაჭრილი ადგილი.

გურნოხორიი (გულნასახლარი), ადგ. „აქ ჩვენი ძველების თავდაპირველი ნასახლარია“. იორდანე წულაიას ნაამბობი.

დათინუ (გასამართავი). „მოკლეზე გადასაჭრელი ადგილი. ამ ადგილზე მუდმივი დავა ყოფილა დგებიებსა და შავდიებს შორის“.

დიდი გა (დიდი სერი).

დოგერა, დობილოიანი ტყე.

ეგართიე, ბართიების (გვარი) უბანი.

ეგჭაე, ბჟაების (გვარი) უბანი. თ. ბჟალავას და ნ. ჯანჯღავას გადმოცემით, „წინაპრები ბჟის – მზის (ღვთაების) მიმდგომნი ყოფილან“.

ენწერი (ეწერი), საყანე.

ესიაგე, სილაგავების (გვარი) უბანი.

ვაჩეი, ადგ.

ზეგერდე კირდე, კლდე.

თუდონი ფაკვა (ქვემო ფაკვა).

თუნთიხურუ (დათვის ხევი).

იამუტკა (ორმოტყე).

ისკიოდა. „უძველესი სალოცავი ადგილია. აქ ოდესღაც მრავალწლიანი ცაცხვის ხე მდგარა, სცოდნიათ მსხვერპლის შეწირვა. სწირავდნენ წმინდა სანთელს. ისკიოდას ოჯახის მფარველობას შესთხოვდნენ“.

კაგეტი (ნასვენი ადგილი), მრავალი წლის უხნავი. დღეს ჩირგვნარია.

კაროგა (ნაკარვალი), ადგ.

კაღუ (კაკვი), ხევის ჩამკეტი, მაღალი კლდეა. მისი მკერდიდან გადმოსჩქეფს მდინარე აბაშა.

მასვანჯეში, მოსასვენი ადგილი.

მესარონი (ნაეკლესიარი), ადგ. ხვნის დროს ბრინჯაოს ნივთებს პოულობენ. „მისარონის სალოცავს ეძახის ხალხი. მისრა დიდი ღმერთი იყო“ – გადმოგვცემენ მოხუცები.

მოთენა, მოთინილი, წამომართული მთა. ტაბაკონას დასავლეთის კიდურის მარჯვენა მხარე.

ნაგამგუ (ნაბამბარი), ადგ.

ნაგამგუ, ადგ. ნაბამბარი.

ნაგერაღუ (ნადროშალი). „ბატონიშვილების კუთვნილი მიწის გაყოფის მიჯნად ბაირაღი – დროშა ყოფილა აღმართული. ამბობენ, დიდი მეფის ნაბანაკარიც არისო. მას თავისი ბაირაღი დაუსვამსო აქ“.

ნაგურჭუდუ (ნაწალდარი). „შავდიას მიწა მიუყიდია ნაყმევი გლეხისათვის, შემდეგ იგივე მიწა ისევ გაუყიდია. მყიდველთა შორის მომხდარა წალდებით შეტაკება და ერთმანეთი აუჩეხიათ. ამ ადგილს ნაწალდარი ეწოდა“, – ლუკა რუხაიას ნაამბობი.

ნადგეგუ (დგებიას მამული), საყანე.

ნაეშმახუ, უბანი. შომახიების (გვარია) ნასახალრი.

ნათიფურუ (ნასათიბარი), ადგ.

ნათუდუ ფერდი, თუჟების (გვარია) ფერდობი. „ნასალოცვარი ადგილი).

ნათურქუ ქვაბი (ნათურქალი გამოქვაბული), სახიზარია, ქვითკირით პირაკრული.

ნაიპარტუ (ნალიპარტევი), ადგ. იპარტიას ნადგომი.

ნაკარუ (ნაკარვალი), ადგ. „უძველეს დროს ვიღაც გვატის ჰქონია კარავი-მახორობა“.

ნანტკია (მოტკილული), საყანე.

ნოჭკადური, ნასამჭედლარი ადგილი.

ნაურიში (ნაურიშალი), ურიში მარცვლეული მცენარეა.

ნაფარონი (ნაფულარი), ნაყიდი.

ნაფაცხუ (ნაფაცხარი), ადგ.

ნაფაცხუ (ნაფაცხარი), ადგ. ასეთი მიკროტოპონიმი სოფელში კიდევ ორ ადგილას გვხვდება.

ნაქეროუ (ნაქერალი), საყანე.

ნაქუთუ. ადგ. ქუთუს ნოხორიი (ქუთუს ნასახლარი). აქედან წარმოშობილა გვარები ქუთუა და ქუთაია.

ნაღუმუ (ნაღომარი) ადგ.

ნაშენი, წაკორტსაც (წალკოტი) ეძახიან, „ვაზიანი, ბაღიანი ადგილია.

ნაშენი, ხეხილიანი და ბაღნარი ადგილი.

ნაჩაგინუ, ადგ. ჩაგინას ნოხორუ, ჩაგინას (გვარი) ნასახლარი.

ნაძიძოუ (ნაძიძარი), ადგ. „ძიძა გვარია, დადიანს ჰყოლია ძიძა, რომლისთვისაც უჩუქნია ეს ადგილი, ამის შემდეგ გვარსაც და ადგილსაც ძიძა დარქმევია. ასე შემორჩენილა ეს სახელწოდება“.

ნაწაქუ, ადგ. გვარის ნამოსახლარი.

ნაჭვი (ნაჭვავარი), საყანე.

ნაჭკიდუ (ნამჭადარი), ადგ. „ჭადა-ჭადა მოჰყავდათ აქ თურმე“.

ნახეკა (ნაფხეკარი), მიწაზუგაა.

ნაჯიხუ (ნაციხარი), ადგ.

ნაჰეი. „ადგილი, სადაც გადმოცემით, თურქთა ლაშქრისათვის გახიზნულთ „ჰეი“ შეუძახნიათ და შეშინებულნი უკუუქცევიათ. ეს გამარჯვების ადგილია“.

ნემგიერი (ნებიერი), ვაზნარი.

ნოჭახენი (ნასაწურავი), ადგ. „თაქ რკინას ჭახუნდეს“ – ამბობენ გადმოცემებში. აქ რკინას წურავდნენო, ჭახუა წურვაა.

ნოჭახაენი (ნაჭარხლარი), ადგილია მთაში.

ოგჟაე (სამზეო), მზვარე.

ოთიფური (სათიბი), ადგ.

ოისირე (საისლე), ადგ.

ოკანტიეში (საკურკანტლო), ეკალ-ღიჭის ნაყოფი.

ოკატუეში (საკატე). „ხშირი, უღრანი ტყე ყოფილა, სადაც კატა თუ გავიდოდა“ – ამბობენ მის შესახებ.

ოკიტე ღაი (ოკიტეს ღელე).

ომუნჩქვეში (სამაჩვო), ფერდობი. ასეთი მიკროტოპონიმი აქ კიდევ ორია.

გურჯაანის რაიონის გაჭედილის სასოფლო საბჭოს ისტორიულ-გეოგრაფიული (ტოპონიმიკური) რუკა.

გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. 1963 წ.

გაჭედილის სქურდის კოლმეურნეობა.

მასშტაბი: 1 X 10000

გაჭედილის „წინსვლის" სახელობის კოლმეურნეობა.

მასშტაბი: 1 X 25000

ძირითადი ნიშნები:

- სასოფლო საბჭოს საზღვარი;
- მდინარეები;
- გზები.

ონაჭვერი (ნაჭვავარი), ადგ. „წინათ ჭვავს სთესდნენ“.

ონიორე (სანიერე), ადგ.

ორუი (სარბენი). „სამარულო ადგილი. აქ ხედნიდნენ თურმე კვიცებს“.

ოსხაპური (საცეკვაო). „საჯარო და საცეკვაო ადგილი. სოფლის მოედანი“.

ოტურია (სატურო). „საყარაულო ადგილი. ქვაბში შემალული მეთვალყურეები მტერს ზვერავდნენ“.

ოქაჯე (საქაჯე). „საშიშარი ადგილი, ქაჯების, ტყისკაცების საბუდარი“.

ოღუმო (საღომე), საყანე.

ოშქერო (საშქერო), ადგ. ასეთი მიკროტოპონიმი აქ კიდევ ორია.

ოჩე (დიდი ყანა). „უხვმოსავლიანი, ნაყოფიერი ადგილი“.

ოჭინო (საწკნელე), ტყე.

ოჭურჭინეში (ქარიანი ადგილი). „ქარი იჭურჭინუდუ ირო-სულ ქარი ქროდაო“ – იტყვიან ხოლმე.

ოხარანუ, ადგ. „ხარანის ჯიშის ვაზი ყოფილა აქ გაშენებული“.

ოხვამედუდი (ეკლესიის თავი). „ნასალოცვარი ადგილი“.

ოხვამეფერდი (ეკლესიის ფერდობი). ნასალოცვარის აქ არსებობის შესახებ გადმოცემა არაა დაცული.

ოხვამე, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. „აქ სვენებულა წმინდა გიორგის ხატი, რომელიც სვანეთიდან გამოუტაცნიათ შავდიებს და მისი სახელობის ეკლესია აუგიათ. ეს ხატი ეკალ-ღიჭის ბარდებში ჰქონიათ დამალული“.

ოხოპე (სახაპო), ადგ.

ოხოჯური (სახარე ადგილი), გზა.

ოჯარე (საჯარო), თავშესაყრელი ადგილი.

პატონუა, ფერდობია, საბატონო ადგილი ყოფილა.

რაბი, ადგილია მთაში.

რაჩხა, სოფელი მთაში.

რზენი ფაკვა (ველიანი ფაკვა), საძოვარი.

როდი, ქვიანი, ქარაფოვანი ვიწრო ხევი.

როდონიში, ადგ. „როდინის ქვებს ამზადებდნენ. აქ ჩამურსაც თლიდნენ“.

რუხაია კარი, რუხაიების (გვარია) კარი, მათი უბნის წინ მცირე მოედანია.

რღოუ, ხევიანი ფერდობი.

საიარო, „საზიარო იალაღი ყოფილა“.

სიბა, ხერგილი, „გადახიდული ადგილი, რომლის მიღმა გადარეკილი ჯოგი სოფელს ვერ შეაწუხებს“.

სქურდი, ერთი სოფელია ამ სასოფლო საბჭოში. „ღელე ჩამოუდის, მას სქურდის ან სქურდღალის ეძახიან. სქუდიდი ან სქურდიდი“.

ტები, ადგ. ტყე ყოფილა წინათ.

ტებღაი (ტყის ღელე).

ტვებაში. „დამპალი ადგილი, ეძახიან ოწურბეესაც (საწურბლე). ამ გუბურებში უამრავი წურბელა იცის, რაც ადგილობრივ ბაზრებში გასაყიდადაც კი მიჰქონდათ გლეხებს“.

ტორჩა, ადგილია მთაში.

უბადო მიკაი (უბედური გასავლელი), ადგ.

უნაგირა, გზა მთებს შუა გადასასვლელი.

უშქურონა (ვაშლნარი), ტყიანი ფერდობი.

ფაკვა, ადგილია მთაში.

ფაქარი, მსუბუქი, ფხვიერი, ადვილად დასამუშავებელი ფერდობი. ასეთი მიკროტოპონიმი აქ მრავალ ადგილასაა.

ქვაბი (გამოქვაბული). „ნათურქუსაც (ნათურქალი) ეძახიან. სამალავი ყოფილა თურქობის დროს“.

ქვაბი (გამოქვაბული). „ნათურქუსაც ეძახიან, პირაკრულია ქვითკირით. ადგილობრივ მკვიდრთ სახიზრად გამოუყენებიათ თურქობის დროს“. სოფელში ასეთი მიკროტოპონიმი ხუთ ადგილას გვაქვს ჩაწერილი. ჯორწყუშიც სამი ამოქოლილი გამოქვაბულია. ტობას გამოქვაბულები ყველა სახიზრადაა გამოყენებული. აქ ნაპოვნია პალეოლითის ხანის ფაუნის მასალები – დათვის, ბიზონის, დომბრას და სხვა ცხოველთა ძვლები. აქვეა ნაპოვნი პალეოლითური ხანის ადამიანის ქვის იარაღები.

ქვიშა, ქვიშიანი ადგილი

ქუჩერი, ადგ.

ჯომურეში (ტყემლნარი), ჯომური – ტყემალი.

შანგუაში ნოხორიი, ადგ. შანგუას (გვარი) ნასახლარი.

შანდიაში ნოხორიი, ადგ. შავდიას (გვარია) ნასახლარი.

შკაზა-შქაგზა (შუა გზა). „გზაა ბალდიდან გორდისაკენ. აქ შეისვენებდნენ ხოლმე მგზავრები“.

შონიტობა (სვანის ტბა), ადგ. დღეს აქ ტბა აღარ არის.

ჩაჭუ, ჩაცვასავით (ხის ღრმა ჯამია) ჩავარდნილი ადგილი, ხაბოიანი, ტყიანი“.

ჩერი, მთის მდინარე, კირქვის ნაშალზე მოედინება. მისი კალაპოტი სულ თეთრია. (მეგრ. ჩე-თეთრი)

ჩეშონა, ადგ. თეთრი ჯიშის მაღლარი ყოფილა. ქუატახირს (ქვატეხილი) ეძახიან. აქ სამშენებლო ქვის კარიერი ყოფილა.

ჩიტიაში ნოხორიი, (ჩიტიას ნასახლარი), ადგ.

ჩორონი, ჭაობიანი ადგილი.

ჩხოუმალურუ (მომაკვდავი ძროხა), ჩირგვნარი ფერდობია.

ცანცხვი. „ნაცაცხვარი ადგილი. დიდი სალოცავი ცაცხვი მდგარა“.

ცხემურეში (რცხილნარი), ტყე.

ცხირიი. „თხლად, ქაცვით შემოკავებული ადგილი. ღომის სათესი“.

ძიგირონა (ეკლნარი), ადგ.

წინწარონი, ადგ. უძველესი ნასახლარი.

წიფერა, წიფურონა (წიფლნარი), ტყე.

ჭაე (ჭალა), აბაშის ჭალა.

ჭაჭახი. „ქვიანი, კადარი, ადგილი“.

ჭვატეი. ნავენახარი, ნაბაღარი ადგილი. ასეთი ტოპონიმი აქ კიდევ ორ ადგილას გვხვდება.

ჭკიდღაი (მჭადის ღელე). „ღელეს ნაპირის ფერდობებზე ჭადა-ჭადა მოჰყავდათ“.

ჭუგურონა (წაბლნარი), ტყე.

ხაბო (ხრამი), ჩაქცეული ადგილი.

ხეიზერი (ხელით მოზელილი). „აქ ყმები ციხისათვის კირის ხსნარს ხელით ზელდნენ“.

ხეთურეში, ადგ. ხეთურიეფიში ნაკარუ, ხეთურია გვარია.

ხვანჭკირი, ღელე და მისი ნაპირები. „ხელოვნურად ჩაჭრილი ხევია“.

ხორეში, ადგ. „ხორა (გვარი) სახლებულა დიდი ხნის წინათ“.

ხურუ (ჯევი), ბნელი და გაუვალი.

ხურუტუმი. „საიალაღო და საყანე ადგილი. ნასამჭედლარიცაა“.

ჯაგარი, ჯაგნარიანი ადგილი, დღესაც ჩირგვნარი.

ჯვარი, გზაგასაყარია ჯვრის სახით.

ჯვარიში, ადგ. „ჯვარი ყოფილა ამ ადგილას და სალოცავად დადიოდა ხალხი“.

ჯიხა (ციხე). „ბეჟა დგებიას ნასახლარი. ოდესღაც დიდი და ძლიერი ციხე ყოფილა. ციხესთან დიდი ბრძოლა მომხდარა თურქთა წინააღმდეგ. ციხე გვიან ტყვეთა გამყიდველების ბუნაგი გამხდარა. 1957 წელს მიწისძვრამ ძირამდე დაანგრია ჯერ კიდევ საკმაოდ დაცული ციხე“.

ჯიხა კარი (ციხის კარი), პატარა მოედანი, აქვე არის კარის ეკლესია.

ჯორწყუ (ჯორწყარო), დიდი უბანია მთაში.

ჯღამანჯღარი. „მანჯღარი, ჯღა-ორკაკვა, ორკაპა (მანჯღვარი-მეწინავე, მეგზური), ორკაპა მარგილი, ბორზალი, სალოცავი ადგილი ყოფილა“.


გეგეჭკორის რაიონის
დაბა გეგეჭკორის ისტორიული-
გეოგრაფიული (ტოპონიმიკური)
რუკა.
გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის
მუზეუმი.
1963 წ.
ძირითადი ნიშნები:
საქართველოს საბჭოს საზღვარი;
დაბის ცენტრის საზღვარი;
მდინარეები;
გზები.
მასშტაბი: 1X25000

დაბა გეგეჭკორი (მარტვილი)

სოფელს უძველეს დროში ჭყონდიდს ეძახდნენ. ასეა იგი მოხსენებული ისტორიულ წყაროებში, მაგრამ ქრისტიანული ტაძრის აგების შემდეგ ხალხს ამ ადგილისთვის **მარტვილი** უწოდებია და სოფელსაც თანდათანობით **მარტვილი** შეერქვა. ეს სახელწოდება წერილობით წყაროებში XVII საუკუნის დასასრულიდან ჩანს, ხოლო ხალხურ მეტყველებაში, ეტყობა, ამ სოფელს **ნაოღალევსაც** ეძახდნენ. გვიან კი, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, უკვე დოკუმენტებშიც ასე იხსენიება სოფელი. სასოფლო საბჭო რამდენიმე უბნად იყოფა: **ნაესუ, ნახარეგუ, ქვეითი** და **საელიაო**. ქვეითის აღმოსავლეთ ნაწილში, იმერეთთან სიახლოვის გამო და მისი გავლენით, მოსახლეობა იმერულ კილოზე მეტყველებს. სოფელი გაშლილია მდ. აბაშისა და მისი შენაკადის, ინჩხიას ხეობებში, ზეგნებსა და ბორცვებზე. მათ შორის ყველაზე მაღალია ჭვენიას ბორცვი, რომელიც უნაგირათი შუაზეა გაყოფილი. სამხრეთ-დასავლეთის მხარის გორაკზე მარტვილის მონასტრის ანსამბლი დგას, ხოლო უნაგირას ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეზე გორაკს დღესაც **ჭვენიას** ეძახიან და საერთო სამარხია.

ნიადაგი მდინარისპირებში ქვიანია, შავმიწა, უხვმოსავლიანი, ხოლო ბორცვის შეფენაზე – წითელმიწა-ალუვიური. სოფელი ნალეპსაო კალამუნას მთის შეფენაზე და მდინარე აბაშის გაშლილ ჭალებზე მდებარეობს, სადაც კარგად ხარობს ხილი და ვაზი. ბორცვებზე ჩაის პლანტაციებია შეფენილი. იცის სიმინდის უხვი მოსავალიც. ბორცვის თხემზე ტუნგოს ნარგავებია.

ნაოღალევის ველზე ინჩხურიდან მდ. ინჩხიას ტოტია გადმოყვანილი არხად, რომელსაც **ჭყონდიდელთა** არხს უწოდებენ; იგი ქაჯის ნამარნევთან მთავრდებოდა მაღალი წყალვარდნილით და მასზე სამთვლიანი წისქვილი იდგა.

აგიორ ღეჯე, ღელეა.

აჯანიაში გა (ალანიას სერი), ბორცვი.

ბარცხი (ჩირგვნარი), ბარცხნარი ადგილი.

ბაღანეთი. ადგ. „მტერს აქ ბავშვები ჩაუხოცია. ეს ადგილი გაუვალი ტყით ყოფილა დაბურული, ამიტომ, ქვირთუებს (ბავშვთა გამყიდველებს) აქ ჰქონიათ სამალავი“.

ბაღუეთი, „ბაღები ყოფილა ვენახიან-ხეხილიანი“.

ბედინოური. „ბედნიერი მამული, ნაყოფიანი, უხვმოსავლიანი, ვაზიანი და ხილიანი“.

ბიბინო, ადგ.

ბურღონა, „რბილი, ადვილად დასამუშავებელი მიწა“.

გაგოური, „ადგილი სადაც ამ ჯიშის ვაზის მაღლარი იყო“.

გაზუ, გვაზავების ნასახლარი, ადგ.

გვაძაეში, გვაძას ნასახლარი, ტყე.

გოგიათი, გოგიას თი (გოგიას სახლი), საყანე.

გოხორხიი (გახერხილი). „გზის გასაყვანად გაჭრილი ქედი“.

დაუბე (წალკოტი), „ბაღნარი ადგილი“.

დაური, ვენახიანი დობერა.

დიახონი, ადგ.

დიდმინდორი (დიდი ველი) საყანე.

დიხაკურზუჯა (ნახარებაოსი) (მიწაზურგა), ადგილი, სადაც დგას ათასწლოვანი ცაცხვის ხე. სხვა რელიკვიები ან გადმოცემები ჯერჯერობით არ ჩაგვიწერია. ეტყობა, ტოპონიმი ძველია. ასეთივე მიწაზურგა საელიაოშიც არის. იგი ყორღანული სამარხის ტიპისაა, ნასალოცვარია.

დორგანე, ტყე.

დოხორე (სასახლე), ადგ. „წინათ ბატონიშვილის სასახლე მდგარა“.

ერგიდე („ჰერი გიდი“), ადგ.

ესუჯე. სულავების უბანი.

ვაჩინეთი (არსაცნაურეთი), ადგ.

თხინა (თხილნარი) ადგ.

თხირონა (თხილნარი), ადგ.

ირემუი ფერდი, ფერდობი.

კაბეტი (ყამირი), ადოგ.

კაჭონა (საკაჭია), კაჭიანი ადგილია. წითელმიწა, უნაყოფო.

კეხი, ბორცვი, კეხივით ამართული.

კიტონოური, ადგ.

კიფკვათარი (კანაფის ჭრა), ადგ.

კიჭოური. „ადგილი, სადაც ამ ჯიშის ვაზი იყო მაღლარზე“.

კოდოროუ, ადგ.

კოზაათი (კოზაში თი), ადგ. კოზას სახლი.

მაცვიეთი, ადგ.

მათერი, „საყანე და სათიბი ადგილი, იცის მაღალი, ნოყიერი ბალახი“.

მარტვი, მაღალი ბორცვია ნავის ფორმისა, გალავნით შემოზღუდული, გეგეჭკორის რაიონული ცენტრის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ბორცვზე დგას ძველი ქართული ხელოვნების შესანიშნავი ძეგლი – მარტვილის მონასტერი. ამ ადგილის შესახებ მრავალი გადმოცემა არსებობს. იქ, სადაც დღეს მონასტერი დგას, ყოფილა წარმართთა კერპი – დიდი ჭყონი (დიდი მუხა). უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის დასასრულამდე ამ ადგილსა და მის შემოგარენს **ჭყონდიდს** უწოდებდნენ, ხოლო ეპისკოპოსებს – ჭყონდიდლებს. ნ. ოსიძის, ბ. ოსიძის, გ. გაბისონიას და სხვათა გადმოცემით, „მუხას წარმართები თურმე დედისერთა ჩვილ ბავშვებს სწირავდნენ მსხვერპლად. ხალხს სწამდა, რომ თვით ხეში ცხოვრობდა კერპი ან ღვთაება და იგი ითხოვდა მსხვერპლს ადამიანებისაგან. ეს ხე იმდენად დიდი იყო, რომ მისი ერთი ტოტი აბაშის ჭალამდე წვდებოდა, მეორე – ცხენისწყლამდე. სახელწოდება **მარტვი** წარმოსდგა მეგრული სიტყვა მარცვიიდან (მე მოგკალი, შვილო), **მარცვიი, სეუა**“. სხვა გადმოცემებიც არსებობს მონასტრის მშენებლობაზე, კერპზე, თათრების მიერ მარტვილის გადაწვაზე და ა. შ. მუზეუმის მუშაკებმა მარტვილის ფერდობზე აღმოაჩინეს ნეოლითისა და ენეოლითის ხანის იარაღები; აქვე ნაპოვნია მეტალურგიული წარმოების მასალები. ეს მასალები მიმოფანტულია ჩრდილოეთის ფერდობის მთელ შეფენაზე, ამიტომ მისი დეტალური არქეოლოგიური შესწავლა, უდავოდ, საინტერესოა.

მასხური, ადგ.

მაჭყვადური, ადგ. ვაზის ჯიშია. „აქ მისი მაღლარი ყოფილა“.

მახვატურა. „ამ ჯიშის ვაზი ყოფილა მაღლარზე მიშვებული“.

მეინჯი, საძოვარი.

მინჯე დუდი (პატრონი თავი), ადგილი გაშლილ ველიანში.

მინჯედუდი, ადგ.

ნაციდერა (ნაყიდი). „დიდვაჭარს, გვახარიას, გეგეჭკორებისაგან შეუძენია მიწა და მთელ ამ მასივს ამის შემდეგ ნაციდერას ეძახიან“.

ნაბინეხუ (ნავენახარი), ადგ.

ნადოხორუ (ნასახლარი), ადგ. „ელიავების, ადგილობრივი აზნაურების სასახლე მდგარა“.

ნადოხორუ (ნასახლარი). ადგ.

ნაესუ (ნასუ), თანამედროვე ნალეფსუ (ნალეპსაო), სოფ. ნესტორ სილაგავამ გვიამბო: „სახელწოდება სუდან არის წარმომდგარი. ეს ადგილი, ისე როგორც **ესუე**, სელის ნათესებით იყო ცნობილი. ძალიან დიდხანს, თითქმის უკანასკნელ 30 წლამდე, აქ მოჰყავდათ სელი და კანაფი. მათგან ამზადებდნენ თოკებს, ქსოვდნენ ბადეს, ტილოსაც კი. დღესაც სულაბერიძეების და სულავების ოჯახები მისდევენ ბადის ქსოვას სელის ძაფისაგან, ხოლო მარცვლებისაგან ამზადებენ საჭმელს – ქუმუს“.

ნათიფურუ (ნასათიბარი), ადგ.

ნათოფურუ, ადგ. თოფურიების ნასახლარი.

ნათურძუ (ნათურქალი), ადგ.

ნაიდანოუ, ადგ. დანეს გვარის ნასახლარი.

ნაკარუ (ნაკარვალი) ადგ.

ნანოფორუ, ნოფორიების (გვარი) ნასახლარი.

ნაოღალევი, ნაოღაენი (ნამხრევი). ფართო ვაკე, რომელიც დასავლეთით აბაშის კალაპოტითაა შემოზღუდული, ხოლო აღმოსავლეთით ინჩხიას ვრცელი ჭალებით. ეს ვაკე თვით ტაბაკელას მთის ძირამდე გრძელდება და რაიონის ცენტრისაკენ სამკუთხედის წიბოსავით მოემართება. გადმოგვცემენ, „რომ მარტვილის მონასტრის ასაშენებლად ქვა კარიერიდან აქამდე მხრებით მიჰქონდათ ერთმანეთის გვერდით ჩამწკრივებულ ადამიანებს. აქედანაც მშენებლობის ადგილამდე მხრებით აჰქონდათ, ე. ი. ეს ნამხრევი ადგილია (ნაოღალევი)“. არის სხვა გადმოცემა, რომ „თურქობის დროს დაბანაკებული მტრის ლაშქრისათვის ქალებს, ბალღებსა და მოხუცებს მხრით უზიდიათ სამხარი (სანოვაგე)“.

ნაჟდანოუ, ჟორდანიას ნასახლარი, ადგ. ასეთი ტოპონიმი სოფელში რამდენიმეა.

ნარსიუ, ნარსიების (გვარია) ნასახლარი.

ნასიადუ (მოქვიშული), მოსილული ადგილი.

ნაუშოუ ფერდი, ადგ.

ნაქობაჯ (ნახორბლარი), ადგ.

ნაჭადენი (ნასამჭედლარი), ადგ.

ნაჭკადური, წიდა (ნასამჭედლარი), „ადგილი მდ. ინჩხიას მარჯვენა სანაპიროზე ნაოღალევის ველის აღმოსავლეთი ფრთის გადასახედთან. გადმოგვცემენ, რომ თითქოს აქ სამჭედლო ყოფილა, სადაც უჭედიათ მარტვილის მონასტრის რკინა. აქვე ყოფილა დუქნები და უცხოელ ვაჭართა სადგომი“. ამ ადგილას, საკმაო დიდ ფართობზე, დღესაც პოულობენ რკინის ნარჩენებს, მეტალურგიული წარმოების მასალას, სხმულის ნამტვრევებსა და უძველესი მეტალურგიული წარმოების სხვა რელიკვიებს.

ნაჭკიდუ (ნამჭადარი, ნაფეტვარი), ადგ.

ნახარდანუ (ნახარდნარი), მდ. აბაშის ვრცელი ბორცვიანი ჭალა. გადმოგვცემენ, რომ „ამ ჭალაში ყოფილა ვაზის მაღლარი, ხარდანზე მიშვებული“.

ნახარეგუ, დაბალი ბორცვი მარტვილის მონასტრის სამხრეთ-დასავლეთით, სადაც ანტონ ჭყონდიდელს მონასტერი გაუმართავს. გადმოგვცემენ:

„როდესაც ქრისტიანებმა კერპი (ჭყონი) მოჭრეს და წარმართი ქურუმები განდევნეს თუ ამოხოცეს, აქ, ამ ადგილას, მახარობელი შეხვედრია დედას, რომელსაც კერპისათვის შესაწირად მოჰყავდა თავისი ერთადერთი შვილი, და უხარებია, რომ კერპი უკვე აღარ არსებობს, შვილის მსხვერპლად შეწირვა არ მოუწევს. აქვე უქადაგნია და ახალი რელიგიის – ქრისტიანობის გამარჯვება უხარებია ხალხისათვის“.

ბორცვის დასავლეთ ფერდობზე დღესაც არსებობს მრგვალი ფორმის უძველესი საკირე, ფართო და მოგრძო აგურით ამოშენებული. დიდხანს ეს საკირე მიწის ქვეშ იყო დამარხული. ამ ორი წლის წინათ იგი ერთ-ერთ ადგილობრივ მკვიდრს გაუთხრია, აგური წაუღია და საკირე ჩაუნგრევია. აქვე ვიპოვეთ ორნამენტიანი ქვების ნამტვრევები, ქვაზე კვეთის შესანიშნავი ნიმუში.

ნაჯარგვაჲ (ნაჯარგვალი), ადგ.

ნაჯიხუ (ნაციხარი), ადგ.

ნოდარბაზენი (ნადარბაზევი), ქაჯის ნამარანუს სამხრეთ-დასავლეთით მდ. აბაშის გაშლილი ჭალაა. ამ ადგილს უძველესი დროიდან ნოდარბაზენს ეძახიან. მიხა ხელაიას გადმოცემით, „ოდესღაც აქ ქალაქი ყოფილა, დიდი და მშვენიერი სასახლეებით (დარბაზებით)“.

ნოკარენი (მეჯოგეთა ნაკარვალი), ადგ.

ნოღა, მდინარე ნოღელა.

ობჟაე (სამზეო), უბანია. კალამუნას მთის სამხრეთი ფერდობი. ილია ბჟაჲას (ბჟალავა) გადმოცემით, „აქ ოჯალეშის მაღლარი იყო, ხურმის ხეებზე მიშვებული. ვაზს ჩვენ ობჟალეს ვეძახდით. ამ ადგილებსაც ობჟაე ჰქვია“.

ოთიფური (სათიბი), ადგ.

ოთოხინი (გამოთხრილი), ადგ.

ოთხორეში (სასაფლაო), ადგ.

ოკატუეში. „კატის გასახტომი ადგილი. ისეთი დაბურული ტყე ყოფილა, სადაც მხოლოდ კატა თუ გავიდოდაო“.

ოკვანტიეში, საიხვე. „იხვების ადგილი“.

ოკიდია (თავდაღმართი), თავდაღმა ჩასასვლელი, ძლიერ უფსკრულიანი ფერდობი.

ოკოჩე (საკაცე). „ავი სულების, ტყის კაცების ადგილი“.

ომანხურუ, გამოქვაბული.

ონახუეში (ნასარეცხარი). „ადგილი, სადაც სარეცხს რეცხდნენ ხოლმე“.

ოჲაგიძე, ადგ.

ორეკეში (სარეკი). „საზოგადო შეკრებისათვის აქ მდგარა თემის კაცი, ზარს რეკდა და ყრილობაზე იწვევდა ხალხს“.

ოცხენია (საცხენო), გზა.

ოჭიკეთი, საჭინკე. „ჭინკების თავშესაყარი ადგილი“.

ოჭინუე (საწკნელე), ტყე.

პანტეჯინჯი (პანტის ძირი), ადგ.

პაპაკარი (მღვდლის კარი), ადგ.

რახვიი ღეჲე (რახვილის ღელე).

რახვიი. „მდინარის ნაყოფიერი პირი, სულ მაღალი ვაზით დაბურული“.

რღია, ადგ.

საგორაო. „ქვისა და ხის დასაგორებელი ადგილი“.

საკირე. ადგ. „უძველესი საკირე“.

საკირე, ადგ.

საფარონი. საფარი ადგილი.

საჩეხი „საჩეხად მიჩნეული მამული“.

სხუინეში (მსხალნარი), ადგ.

ტეხირ ოხვამე (ტეხირი ეკლესია) ბორცვია ნასალოცვარი.

ფაკუთი, ადგ. „ფაკუში თი, ფაკუ თუ ფაკა სახლებულა. მისი ოჯახის ნასახლარია“.

ფაქარი, რბილი მიწა, საყანე.

ფაცეთი (ფაცეში თი ფაცეს ოჯახი), ადგ.

ფოქორი, საყანე.

ქაჯიში ნამარანუ. ინჩხიასა და აბაშას შორის მდებარე ვიწრო და მაღალ სამკუთხა ბორცვზე არის უძველესი ნაგებობის კვალი. ბორცვიდან ველისაკენ ჩამოდის საფეხურებიანი ჩამოსასვლელი (დღეს მხოლოდ აქა-იქაა შემორჩენილი ქვაფენილები). ამ ადგილს უწოდებენ ქაჯის ნამარნევს. 80 წლის მიხა ხელაია გადმოგვცემს, რომ „აქ ქაჯები ცხოვრობდნენ. ისინი ქრისტიანები არ იყვნენ და კერპებს სცემდნენ თაყვანს. მათი საკუთრება იყო ეს ადგილი და მის ირგვლივ გაშლილი ჭალა. სამხრეთ მხარეზე, რომელიც ბორცვის დიდი ნაწილისაგან უნაგირათია გამოყოფილი და ზედ უნაგირასთან ციხე-კოშკითაა შეკრული, მარანი და სამარხი ჰქონიათ მოწყობილი“. 1949 წელს აქ აღმოჩნდა კრამიტის სამარხის ნაწილი. მიცვალებულის კიდურები და მთელი ქვედა ნაწილი ჩამორეცხილი იყო კრამიტსა და აგურთან ერთად. ფლატეს შერჩენოდა კრამიტისა და აგურის წყობის ნაწილი, ადამიანის თავის ქალიანად. აქვე იყო ხანჯლის ტარი და ქოთნის ნამტვრევები. მსგავსი რელიკვიები შემდეგაც არის ნაპოვნი ამ ადგილას. ნაპოვნია აგრეთვე სამარხი კრამიტი წარწერით ჭ. ბორცვის ირგვლივ არის გალავნის კვალი.

ქვეეთი (ქვეითი), ქვეითი, ქვეითთა გზა.

ქორაჭვიი (მუცელ დამწვარი), ადგ.

ქუაჲონი, ქვიანი ადგილი, საძოვარი.

ქუთადაი (ქუთას ღელე).

ქუქითი (ქუქის სახლი), ადგ.

ღანჯიური, ადგ.

ღეე ჭადონა (სამჭედლო ღელე). „უხსოვარ დროში ამ ღელეს ნაპირებზე სამჭედლო ყოფილა მოწყობილი. იქ თურმე რკინას წურავდნენ“.

ღვჲე სურქანა, ღელე სურქანი.

ღვეითი, ადგ.

შვეტე ჲრი (სვეტივით ჩამოსული, ჩამოთლილი სერი).

შონურა (სვანური). „ადგილი, სადაც სვანური იყო მაღლარზე მიშვებული“.

ჩეში (თეთრი), ადგ. „ამ ვაზის მაღლარი ყოფილა გაშენებული“.

ჩეშონა (თეთრი სვანური), ოჯალეში. ადგილი ინჩხიას სანაპიროზე, გაშლილი ჭალაა. გადმოცემით, „აქ მაღალ, თხმელისა და ხურმის ხეებზე მიშვებული ყოფილა თეთრი ოჯალეშის ჯიშის ვაზი, ამიტომ ამ ველს ჩეშონას ეძახდნენ. შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ვაზი და ხეები გაჩეხეს, სახელწოდება ამ ადგილს მაინც შერჩა“. ჩეში – თეთრი შონური, ე. ი. თეთრი ოჯალეში ყოფილა, ის მკვრივ და შედარებით მცირე, მაგრამ უხვმარცვლიან მტვენებს ისხამდა, გვიან მწიფდებოდა და დეკემბრამდე ხეზე ძლებდა. მისგან დაყენებული ღვინო სქელი, ძალზე მაგარი და სურნელოვანი ყოფილა. მიხა ხელაია გადმოგვცემდა, რომ „ამ ველზე მელიტონ ოდიშარიამ უკანასკნელი ორი ხე მოჭრა ამ ოცდაათი წლის წინათ“. დღეს საყანე მასივია. ასეთი სახელწოდება ამ სოფელში კიდევ რამდენიმე ადგილასაა.

ჩოხათი, ჩოხას თი (ჩოხას სახლი), ადგ.

ჩურგვაი. „ადგილია, სადაც ჩერგვალის მაღლარი იყო წინათ“.

ცაცხუჯინჯი (ცაცხვის ძირი), თავყრილობისა და გართობის ადგილი.

ცხირიი (ჩირგვნარი) ადგ.

ცხირიი, ტყე.

ძუღა, ადგ.

წიდა, ადგ. ღელე ჭადონას მარცხენა სანაპიროზე. აქ ვპოულობთ მეტალურგიული წარმოების ძალზე მდიდარ და მრავალფეროვან მასალას.

წიდა. „რკინა, წიდა ცვივა მიწიდან, გადმოცემით, აქ ძველად სამჭედლო ყოფილა“.

ჭაბოური (მწებარე), ადგ. „ამ ჯიშის ვაზი ყოფილა მაღლარზე“.

ჭვენია, შედარებით დაბალი ბორცვია მარტვილის ფერდობის ჩრდილოაღმოსავლეთით. გადმოგცემენ, რომ ძველად ეს ფერდობი მთლიანად დაფარული ყოფილა მუხის ტყით. დიდხანს ადგილი ჭყონის ფერდის სახელწოდებით იყო ცნობილი, ახლა შიშველი ბორცვია (იტყვიან ჭყონის ჭვეა, ე. ი. მუხის ნორჩი ნერგი). არის სხვა მეტად საინტერესო გადმოცემა, რომ „თითქოს ჭვენია ქრისტიანობის მქადაგებელი და წმინდანი ყოფილა, რომელმაც სძლია მუხას, კერპს. ამის შემდეგ დაწესებულა „სოფიობა“. სოფუა ხის მოთხრაა მიწიდან“.

ჭკადუერფერდი (ნასამჭედლარი ფერდობი). „ძალიან დიდი ხნის წინათ აქ სამჭედლო ყოფილა“.

ჭყონა (მუხნარი), ადგ.

ხატმამუი (ხატის მიწა) საყანე.

ხეირისი (ხეირნანახი), ხეირიანად ნაყიდი, ნაყოფიერი მასივი.

ხერჩონა, ადგ.

ხერხენა. „ხერხალზე, ხარდანზე გადაყვანილი ყოფილა ვაზი“.

ხოჲანდაური, მაღლარი ვაზის ჯიგად თვლიან. აქ მისი დობილო ყოფილა.

ხორგონა. ადგილი საყანე.

ხორიათი, ხორას თი (ხორას სახლი), ადგ.

ჯანაშიაში კარი (ჯანაშიას კარი), ადგ.

ჯაპონა (თუთნარი), ადგ.

ჯვარფერდი. ადგილი, სადაც „ოდესღაც ქვის ჯვარი ყოფილა აღმართული, ნასალოცვარი ადგილია“.

ჯვეში ჩეში (ძველი თეთრია), ადგ. „ვაზის ჯიშია, თეთრი, მსხვილმარცვლიანი, მაღლარი“.

ჯუხუ, საყანე.

გურძემი

სოფელი მდებარეობს ზეგანზე, ნიადაგი აქ ალუვიური ხასიათისაა. კარგად ხარობს ვაზი და ხილი. ეწერი ნიადაგები ჩაის პლანტაციას უჭირავს. ეტყობა, სოფელი უძველესი დროიდან მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. იგი ძლიერ მდიდარია ისტორიული ძეგლებითა და ადგილებით. მეტყველებაში იგრძნობა მარტვილური და ზუგდიდური კილოების შერევის, ხშირად შერწყმის ფაქტიც.

ანთიმონი, „ვაზის ჯიშად თვლიან, ადგ. „აქ მაღლარზე ყოფილა მიშვებული“.

ასათიანიში ნოხორიი (ასათიანის ნასახლარი), ადგ.

ბეხეში, გაშლილი სახნავ-სათესი მასივი.

ბერთემი, ბეთლემი, სოფ.

ბერწყუ (ბერის წყარო).

გაბარი, სერი.

გაბელიხეში ნოხორიი. გაბელიას (გვარია) ქალის ნასახლარი.

გოგიაში ნოხორიი, (დათა გოგიას ნასახლარი), ადგ.

გოლატობა (მთა-ტბა). ახლა აქ არ არის ტბა.

გრიგოლაური, გრიგოლიების ნასახლარი.

გუგერი, ადგ. მისი ნაწილი გურძემის ტერიტორიაზე გადმოდის.

გურძენი, ს/ს, გურირძენი – გული ველობი, გაშლილი ადგილი. ფართო მოედანი. რზენი ან რძენი გაშლილი ადგილი.

დაბალი ჭალე (დაბალი ჭალა). „ქვიშიანი, შავი მიწა, ადვილად დასამუშავებელი, უხვმოსავლიანი“.

დგებიაში ნოხორიი (დგებიას ნასახლარი), ადგ.

დგებიაში ნოხორიი, დგებიას ნასახლარი.

დოგერა, დობილოიანი ტყე.

ენწერი (ეწერი), ადგ.

ეწურწუმე (საწურწუმო), წურწუმიების (გვარია) უბანი.

ეჯახუე (საჯახუო), ჯახუების (გვარია) უბანი.

თარიანგელოზი. მთავარანგელოზის ეკლესიის მიდამოები.

თითქა ღალი, (თითქა ღელე).

თითქა, ადგ.

კადარი, ქვიანი, „კეჭეხი ადგილი, მაღლარი ვაზი ხარობს“.

კაკუცური. ვაზის ჯიშია. ადგ. „მისი მაღლარი ყოფილა აქ“.

კაკუცხური, ადგ. „ვაზის ჯიში ყოფილა“.

კარობა, მეჯოგეთა დიდი კარავი.

კვეციაში ნოხორიი, ადგ. კვეციას (გვარია) ნასახლარი.

კოლოშონა, ადგ. მაღლარი ვაზის ჯიშია.

კორთხონჯიაში ნოხორიი. კორთხონჯიას (გვარია) ნასახლარი. ადგ.

კოჭიღელე, მცირე ღელე, ხშირად მშრალი.

კოხიაში ნამარანუ, ადგ. კოხიას (გვარი) ნამარნევი.

ლებერიძე (საბერიეო), ბერიძეების უბანი.

ლებერიძე, (საბერიძეო), ბერიძეების კუთხე.

ლეგოგიე, გოგიების უბანი.

ლეგოჩოლე (საგოჩოლო), გოჩოლიების (გვარია) უბანი.

ლევანიში ჯიხა (ლევანის ციხე). „შემდეგ ჯოღორია დგებიას ციხე“.

ლეკოხე (საკოხიო), კოხიების (გვარია) უბანი.

ლეკოხიე, კოხიების უბანი.

ლემიორე (სამიორიო), მილორიების (გვარია) უბანი.

ლემირონე (სამირონიო), მირონიების (გვარია) უბანი.

ლეჭური, ადგ. „ვაზის ჯიში ყოფლა“.

ლეშულაიე (საშუალაიო), შულაიების (გვარია) უბანი.

ლეჩილაჩე (საჩილაჩაო), ჩილაჩავების (გვარია), უბანი.

ლეჭყი, ჭეჭყოიანი, ჭაობიანი ადგილი.

ლეხარბედე (სახარბედიო), ხარბედიების (გვარი) უბანი.

ლეხაფე (სახაფაო), ხაფავების (გვარი) უბანი.

ლეხაფიე (სასაფაო), ხაფავების (გვარია) უბანი.

მამათავრის ოხვამე (მამამთავრის ეკლესია), დღეს ნანგრევია, სასაფლაო.

მამათავრის ტყა, მამამთავრის ტყე.

მანცხვარ ოხვამე (მაცხოვრის ეკლესია), ადგ.

მეინჯ დუდი (მეინჯის თავი), ადგ.

მენჯი, ფერდობი. „მარილიანი წყაროს წყალი ამოდის“.

ნაცაჩუ. ცაჩუების (გვარია) ნასახლარი.

ნაბერალუ (ნადროშალი), ადგ.

ნაზაფანუ (ნაპილპილარი). „პილპილი ითესებოდა თურმე წინათ“.

ნაისირუ (ნაისლარი), ადგ.

ნაკვერკუ, კვერკველიების (გვარია) ნასახლარი. კვერკვეია გვარი ყოფილა, შემდეგ კვირკვევია.

ნამარანუ (ნამარნევი) ადგ.

ნამიკოლუ, ნაწილი გურძემის ტერიტორიაზედაც არის.

ნანური, ადგ. „ვაზის ჯიშია. ოდესღაც აქ მისი მაღლარი ყოფილა“.

ნანური, ვაზის ჯიშია ერთგვარი. მისი დობილო ყოფილა.

ნაროუ, ადგ.

ნაფაცხუ (ნაფაცხარი), ადგ.

ნაფაცხუ (ნაფაცხარი), ადგ.

ნაქიაჩუ, ნასალოცვარი, ადგ.

ნაშენი, გაშენებული ყოფილა მაღლარი იზაბელა.

ნაშენი, ხეხილნარია ხელოვნურად გაშენებული.

ნაწისქვილუ (ნაწისქვილარი), ადგ.

ნაწყვი (ჩანაქცევი), ადგ.

ნაჭვი, ჭვავს თესავდნენ წინათ.

ნაჭკადური (ნასამჭედლარი), ადგ.

ნაჭკიდუ (სამჭადო, ნაფეტვარი), ადგ.

ნახანგირუ, ადგ.

ნახურციდუ, ხურციას (გვარია) ნასახლარი. სოფ. ვასილ ხურცილავას გადმოცემით, „ხურციას ორი შვილი ჰყოლია: კუჩია და მაკუჩია. თვითეულ მათგანს დიდი ოჯახი ჰქონია. მათ ოჯახებში ოცდაოთხ-ოცდაოთხი მელოგინე ყოფილა. ერთი ძმა სახლებულა იქ, სადაც დღეს მთავარანგელოზის ეკლესიაა. ეკლესია ზაიკა დგებიას დაუდგამს კუჩიას ნასახლარზე. მას კუჩითისაც ეძახდნენ. მამის სახელი ხურცია მათ გვარად გაუხდიათ. ხურციები ემორჩილებოდნენ ამ მხარის ბატონს, ჯაიანს, რომელსაც აგრეთვე დიდი ოჯახი ჰყოლია. საშინელი შიმშილის წელი ყოფილა. ჯაიანს ხურციებისაგან მოუთხოვია ერთი ბეღლის ავსება ღომის თავთავით. ხურციებს მისი თხოვნა შეუსრულებიათ. ახლა მეორეჯერაც მოუთხოვია. ამჯერად ხურციებს უარი უთქვამთ, მაშინ ჯაიანი შესევია ხურციების სახლ-კარს და ამოუწყვეტია, ზოგი კი გაქცეულა. ოჯახის ერთი რძალი, რომელიც იმ დროს მოსალოგინებლად დედასთან ყოფილა კვაუთში, გადარჩენილა, იქ ვაჟი შეძენია. შემდეგ ამას მოუმრავლებია ხურციები“.

ნაჯარგვალუ (ნაჯარგვალარი), ადგ.

ნოისირუ (ნაისლარი), ადგ.

ნოწინუერი (შენაწირი), ადგ.

ნოწუმერი, ადგ.

ნოჭკადური (ნასამჭედლარი), ადგ.

ნოხორიი (ნასახლარი), ადგ.

ოთუნთე (სადათვე), ადგ. დათვების ბეჩო ყოფილა.

ოკოტუე (საქოთნე), ადგ.

ომუნჩქვეში (სამაჩვო), ადგ.

ონწარე (ჭაობი), ადგ.

ოქაჯე (საქაჯე). „ქაჯების, ავსულების ადგილი“.

ოქოგალე (სახორბლე), საყანე.

ოღუმოლი (საღომე), ადგ.

ოწურბელე (საწურბელე), ადგ.

ოჭადარე (საჭადარე), ჭადრების ტყე.

ოხოჯური (სახარე), გზა.

პეხუში ნოხორიი (პუხუს ნასახლარი), ადგ.

რახა. ქვიანი, კეჭეხი ადგილი.

როგუ (ხრამი).

სალური, ადგ. „ვაზის ჯიში ყოფილა“.

სკალ ჭალე, ადგ. ბერიში დიხასაც (ბერის მიწას) ეძახიან.

სქურდი, სქურდიდი (წყალდიდი).

ტოხრა, ადგ.

უშქურა (ვაშლა), ვაშლნარი.

უჩატობა (შავი ტბა).

ქვარჩელას ღელე, ქუაჩელა – ქვათეთრას ღელე.

ქინოხონი, ჩაღრმავებული ადგილია, ნაყოფიერი, მზისგული ფერდობით. „უძველესი ნასახლარია“.

ქუარჩელა. ადგ. ქუაჩელა (ქვათეთრა).

ქურჩუმი, ადგ.

ღუჭიი, (შევიწროებული, შეკრული), ადგ.

წურული (ოცურია), ჩაქცეული, ყურიანი, ჩაქცეული ადგილი.

შორნამი, ადგ.


გეგეჭკორის რაიონის კუთაისის
სასოფლო საბჭოს ისტორიულ-
გეოგრაფიული (ტოპონიმიკური)
რუკა.
გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის
მუზეუმი.
1963 წ.
ბირობითი ნიშნები:
სასოფლო საბჭოს საზღვარი;
მდინარეები;
გზები;
მასშტაბი: 1 X 13000

ჩერგვალი (თეთრმრგვალი). „ყურჟენია ერთგვარი, ამ ადგილას ყოფილა მისი მაღლარი“.

ჩეშონა, „თეთრი მაღლარი ვაზის ტყე“.

ჩეჩამი (თეთრ-თეთრი), თეთრი ჯიშის ვაზი. მისი მაღლარი ყოფილა აქ ოდესღაც.

ჩვენია, საომარი შეძახილია. „გამარჯვებულ იმერლებს უყვირიათ აწი ჩვენია და შეუტევიათ“.

ძაბური, მიწაზურგა. „ძუძუს მსგავსი, ძაბრის მსგავსი გორაკი. მის თხემზე დგას მთავარანგელოზის ეკლესია, ხოლო შეფენაზე არის მელენტი მხეიძის ეზო, სადაც ნეოლითური ხანის ადამიანის საცხოვრისის რელიკვიები აღმოჩნდა“.

ჭალე (ჭალა). ტოპონიმი ერთგანაც გვხვდება.

ჭითა ღელე (წითელი ღელე).

ჭკადუერი (ნასამჭედლარი), ადგ. აქ სპილენძის და ბრინჯაოს იარაღები არის ნაპოვნი.

ჭყონი ჭალე (სმუხის ჭალა), ჭყონჭირასაც ეძახიან.

ხანგუ, აგდ.

ხიდისთავი, უძველესი ნახიდარი. „გადმოცემით, ომის დროს მთებს შეხიზნულ ხალხს ხიდი ჩაუმსხვრევია. შემონახულა მისი ნაშთი“.

ხორგონა, ხორგის ადგილი, ქვის ყორით შეკრული.

ჯავახიაში დიხა (ჯავახიას მიწა), ადგ.

ჯაპონა (თუთნარი), ადგ.

ჯორომი, მთიდან ხის ჩამოსათრევი ადგილი.

გეგეჭკორის რაიონის დიშაყის
სასოფლო საბჭოს ისტორიულ-გეოგრაფიული
(ტოპონიმიკური) რუკა
გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.
1963 წ.
პირობითი ნიშნები:
სასოფლო საბჭოს საზღვარი;
მდინარეები;
გზები.
მასშტაბი: 1 X 13000

დოშაყე

მდებარეობს ზეგანზე, სამ ტოტად შეჭრილ სამ სერზე. ადგილი მთიანი და ტყიანია, ნიადაგი წითელმიწა-ალუვიური. ვაზი და ხილი კარგად ხარობს. სერებისა და ბორცვების შეფენაზე დღეს სულ ჩაის პლანტაციებია გაშლილი. შედის ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სამეურნეო მასივში. აქ მცხოვრებთა მეტყველებაში უკვე კარგად ისმის ნაწილაკი – ლე, თუმცა სახელწოდება დოშაყე ხაზს უსვამს მარტვილური კილოს გავლენას. ასევეა ზოგიერთი ტოპონიმის სტრუქტურაც, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ აქაური მკვიდრი მოსახლეობა ადრე მარტვილურ კილოზე მეტყველებდა.

ბახვაში ნოხორიი (ბახვას ნასახლარი), უძველესი კერაა. აქ ნაპოვნია ტიგელის ნამსხვრევები, წიდები, სხმულები და სხვ.

ბოხტური, საყანე.

დელფანიშ ნაოხორუ (დელფანის ნასახლარი), ადგ.

დოშაყე, სოფ. ადგილი თოდუების ჩამოსახლებამდე ვერანი და გაუვალი ყოფილა. გადმოცემით, „აქ ძალიან მჭიდრო მოსახლეობა ყოფილა, შემდეგ მტერსა და ჭირიანობას ამოუხოცავს. სოფელი ისე გავერანებულა, რომ მხოლოდ ძაღლები და მამლები დარჩენილა. პირველ თოდუას აქ უღრანი დახვედრია და მხოლოდ მისი მამალი ყიოდაო. აქედან წარმოიშვა გამოთქმა: დოშაყიანდუ – ტყეში ყიოდა. აქედანაა მიღებული დოშაყე“ – გრიშა ღურწკაიას ნაამბობი.

ეჯაგვიე, ლაგვილავების (გვარია) უბანი. ჯაგვია – ლაგვილავა.

ეახალაიე, ახალაიების (გვარია) უბან.

ეგადიჯე, გადილიების (გვარია) უბანი.

ენწერი (ეწერი), ადგ.

ეფარუე, ფარულიების (გვარია) უბანი.

ექობაჯე, ქობალიების (გვარია) უბანი.

ვუწოროდა, ადგ.

ზანა, მდინარე.

კადარი, ქვიანი, კეჭეხი ადგილი.

კაკარა, ბორცვი.

კვაჯია ხინჯი (კვაჯიას ხიდი).

კურკუზა (მიწაზვინული), ნამანცხვარსაც უწოდებენ, ადგ. აქ ნაპოვნია ბრინჯაოს ეპოქის იარაღები.

ლაკეთი, ადგ. ლაკუას (გვარია) ნასახლარი.

ლახვაშია, მდინარე.

ლეკურდღელე, ყურდღელიების (გვარია) უბანი.

ლეფედერა, მდინარე.

მაჩხაპე, მდინარე.

მიქეში ნაყვანეი (მიქეს ნაყანარი), ადგ.

ნალური წყუ (ნამკვდარევი წყარო). „აქ კაცი ჩამკვდარა და აქედან მიუღია სახელწოდება“.

ნაოხვამუ (ნაეკლესიარი), ადგ.

ნაფარცხალაია, ფარცხალაიების (გვარია) უბანი.

ნოღურწკუე, ღურწკაიების (გვარია) უბანი.

ოგამგე, ადგ. საბამბე.

ოგირინე (სავირე), ვირების ადგილი.

ოისირე (საისლე), ადგ. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ რამდენიმეა.

ონოშქვერე (სანახშირო), მიწის ქვემოთ ნახშირის სქელი ფენაა.

ოჭვაგუე (საბაყაყე), ბაყაყების ადგილი.

ოსკალე, ადგ. საფუტკრე.

ოსკიგუე, წისქვილის ქვების სათლელი ადგილი. ფაფალიასაც ეტყვიან.

ოტურეში (სატურია), ადგ.

ოქოთომური (საქათმე), ადგ.

ოწურია, ჩავარდნილი, ჩაქცეული ადგილი. გადმოცემით, „აქ ღვთის მიერ დაწყევლილი ოჯახი ჩაქცეულა“.

ოშქვეთე, მდინარე.

პანეში, ადგ. „ვაზი ყოფილა მაღლარი“.

როკონა, წაბლის როკიანი ადგილი ყოფილა.

სააგურო, ადგ. „უძველესი სააგურე“.

საყარაულო, „ადგილი, სადაც ყარაულები მდგარან“. მსგავსი ტოპონიმი სოფელში სხვაცაა.

უტუნაში ნოხორიი (უტუნას ნასახლარი), ადგ.

ქვაბი (გამოქვაბული). „ნათურქუსაც ეძახიან. ქვითკირით პირაკრულია. შიშიანობის დროს მოსახლეობის საიმედო სახიზარი ყოფილა“. აქ პალეოლითის ხანის ადამიანების იარაღებია ნაპოვნი.

შონური (სვანური), ადგ. „მაღლარი ვაზის ჯიშია“.

ცეკულონი (ცეკულების ნასახლარი) ადგ.

ცივი, მდინარე.

ძაბური, ძაბრივით ამოზიდული გორაკი.

წიდა, ადგ. ნასამჭედლარად თვლიან, მსგავსი სახელწოდება აქ კიდევ რამდენიმეა.

ჭაპანია როგუ (ჭაპანიას ხრამი).

ჭითერი. ადგ, ჭითეების (გვარია) ნასახლარი.

ჭკადუაში, ჭკადუების უბანი.

ჭკადუერი (ნასამჭედლარი), ადგ. ტოპონიმი ერთგანაც გვხვდება

ჭოღა, სოფლის უბანი.

ჭყონა (მუხნარი).

ხუხუნიაში ენალეფი, ადგ. „ხუხუნია გადავარდნილა უფსკრულში“.

1963 წ.
ასხოფლო საბჭოს საზღვარი;
მდინარეები;
გზები.
მასშტაბი: 1 X 10000

ვედიდკარი

სოფელი იყოფა ოთხ უბნად: ვედიდკარი, მახათი, მუხურჩა და ორქა. მას სამხრეთით აბაშის რაიონი ესაზღვრება. მდებარეობს გაშლილ ვაკეზე. მდინარე ნოღელას ჭალაზე ნიადაგი ეწერია, ძლიერ გამოფიტული, უმოსავლო, ასეთია განსაკუთრებით მახათის ვრცელი ველები. ვედიდკარისა და ორქა-მუხურჩის ნაწილის ნიადაგი შედარებით შავმიწაა, ქვიანი, მაგრამ ნაყოფიერი. აქ მასიურად ხარობს ვაზი და ხილი, სიმინდი და სხვა მარცვლეული კულტურებიც. სოფელს აღმოსავლეთით ჩაუდის მდინარე ნოღელა და ცხენისწყალი, დასავლეთით – მდინარე აბაშა. ნოღელასა და ცხენისწყლის ჭალების ნიადაგი ნამდინარევი შლამითაა მოფენილი, ამიტომ უაღრესად ნაყოფიერია. სოფელი ბანძის ერთ-ერთი გარეუბანია, მისი კარი, დიდი ველის კარი, ვედიდკარი. აქ წინათ მარულა და ჯარობა სცოდნიათ. მახათის მასივზე ჭიასა და ჭიოკას გვაროვნულ რეზიდენციათა ნანგრევებია შემორჩენილი. ეტყობა, ეს ტერიტორია საჭილაოს ერთ-ერთი უბანი ყოფილა.

ბუკონა (ძირკვნარი), ადგ. „აქ ოდესღაც გაუვალი მუხნარი ყოფილა. ტყე ფაღავებს უცხო ვაჭრებისთვის მიუყიდიათ. ვაჭრებს ხეები გადაუხერხიათ, გადანახერხზე კი ბუკები, გადანახერხი ძირკვები დარჩენილა. აქ სკაც გვყავდაო, – ამბობს გრიგოლ მაისაია, – და სკის ბუკები გვქონდა დადგმულიო. ამიტომ მას ბუკონას, ბუკების დასადგმელ ადგილს ვეძახდით“.

გაჯარი, ვედიდკარის ცენტრი, ქვიანი ადგილია. უტყეო, მცირე ნაყოფიანი, გაშლილველიანი, დღეს დასახლებული.

დაბაი (დაბალი). „აქ ხარდანის ჯიშის ვაზი ყოფილა მიშვებული ხურმის ხეებზე, ამიტომ მას ნახარდანუსაც ეძახიან. ონწარე, ჭაობიანი, წყლიანი და დაბალი ადგილია“.

დიდი ყვანა (დიდი ყანა), საყანე.

დიხაზურგა, ადგ. ნაოხვამუსაც და ნახეკასაც ეძახიან.

ეფაგირდე, ადგ.

ევახანე, ვახანიების უბანი. „ვახანიები რამდენიმე დინოდ იყოფოდა, ისინი ერთ თურს შეადგენდნენ, მაგრამ, რადგანაც სხვადასხვა პაპისაგან მრავალ შტოდ გაითიშნენ, გამრავლდნენ, ამიტომ ცალკე საჯიმალო – მეკუმოლი სამეძოგლო დინოეგი შექმნეს. მეძოგეი (მეზოგეი) რამდენიმე სახისაა: შორიში მეძოგეი – სოფლის განაპირას მოსახლე მეზობელია, ე. ი. შორეული. არის ხოფოში მეძოგეი – შედარებით უფრო ახლოს მოსახლე. არის ჯინჯიში მეძოგეი – ძირის მეზობელი, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება მეზობლის ეზოს. არის მეკუმოი მეძოგეიც, ე. ი. ისეთი მეზობელი, რომელიც კომლიდან გამონაყოფია. მედაჩხირე მეძოგეი, ე. ი. მეცეცხლე მეზობელი, იგივე ჯინჯიში მეძობელია, რომლისაგან მეზობელი ცეცხლსაც კი ინაწილებს, ცეცხლი, კერაც საერთო აქვთ. კარიში მეძოგეი – იგივე ძირის მეზობელია, რომელსაც მეზობლის კარის პირდაპირ აქვს ეზო. კარი კარს უყურებს, ორღობის მეორე მხარეს აქვს კარი“. სოფელი იყოფა კუთხეებად, მეგრულად კუთხუებად. „მიშ კუთხეშე რეძ სი კუთხუჭვიი“ (ვისი კუთხიდან ხარ შენ კუთხედამწვარო), მუხურეგად – „სონ მუხურიშე რეძ!“ – (სადაური მუხურიდან ხარ). „თქვა მემუხურეეფი ხომ ვარეთ?“ – თქვენ მემუხურეები, ე. ი. ერთი კუთხისანი ხომ არა ხართ. „დიინწყუ სქანი მუხურძ“ (დაიქცა შენი მუხური, კუთხე), ფურეეგად, იგივე კუთხეა. „მიში ფურუშე ირჩქიეძ“ (ვისი კუთხისაკენ იხედები), „მიში ფურეშე მიიჩქარუძ?“ (ვისი კუთხისაკენ იჩქარი, „სოფურეშე მეურძ?“ (რომელი კუთხისაკენ მიდიხარ).

„სოფლის ერთი ფურე, მუხური ან კუთხე ერთ დინოს – საჯიმაყოს ეჭირა. ახლა ეს მდგომარეობა შეიცვალა, ბევრი ოჯახი გადასახლდა, ბევრი ამოწყდა, ბევრი ოჯახი აქეთ ჩამოსახლდა. კუთხეში დინოს შედგენილობა აიშალა. დინოს წევრები გაიფანტნენ. ახლა ერთ ფურეში, მუხურში, რამდენიმე სხვადასხვა გვარის კაცი სახლობს. ასეა აქ, ევახანეშიც“, – დიმიტრი ურიდიას ნაამბობი.

ეკეკეე, კეკელიების უბანი.

ესართანე, სართანიების (გვარია) უბანი.

ეურიდიე, ურიდიების უბანი.

ეფოჩხუე, ფოჩხუების უბანი.

ვასაში კარი (ვასას კარი), პატარა მოედანია. „იცოდნენ ძველთაგანვე თავშეყრა, ჭარკუმის თამაში და ჯარობა“.

ვახანური. „ვახანიების ადგილია. აქ ვენახიც ჰქონიათ ვაშლის ხეებზე მიშვებული, უჩაშონას ჯიშისა (მსხვილმარცვლიანი, მკვრივი, მრგვალმტევანა, შავი მარცვლებით), რომელსაც ვახანურს ეძახდნენ“.

ვედიდკარი, ს/ს. დიმიტრი ურიდიას, მარო კეკელიას, თომა ფოჩხუას ნაამბობი: „სოფლის ცენტრი გაშლილი ველი ყოფილა, სწორი და ირგვლივ მაღალი ხეებით გარშემორაგული, წყაროსწყლებიანი და სუფთა. იგი უძველესი დროიდან თავყრილობისა და ჯარობის ადგილი იყო თურმე. მას ერქვა დიდი ველი ან ველდიდი, ხოლო უძველეს ნაოხვამუს და შემდეგ ოხვამეს ან სალოცავ ადგილს ველდიდის კარს ეძახდნენ. აქ სცოდნიათ ამ კუთხის თავადაზნაურობას და გლეხობას თავშეყრა, ჯარიანობა, ვედიდკარობა (დღეობა), იმართებოდა დიდი ჯირითი, დოღი და ბურთაობა. ჯარიანობაზე (ხშირად გაზაფხულსა და შემოდგომაზე) მოდიოდნენ სტუმრები ზუგდიდიდან, აბაშიდან, სენაკიდან, სამურზაყანოდან, თვით აფხაზეთიდანაც კი“.

ვერხონა (ვერხვნარი), ადგ.

ზუგა (მიწაზურგა), ადგ. ნაოხვამუსაც (ნასალოცვარს) უწოდებენ. აქ რელიგიური წესების შესრულებას ან ეკლესიას არავინ მოსწრებია. ამბობენ, რომ „ეს გორაკი ჯარის ფეხის დანაფხეკისაგან შეიქმნაო“. მის ფერდობებზე უძველესი კერამიკის ნაშთებსაც პოულობენ. მსგავსი ტოპონიმი კიდევ ერთია აქ.

კვადაცონა (კვადაცას ტყე), ადგ.

კუპური, ადგ. ვაზის ჯიში უნდა იყოს. მოხუცები ჯიშის თავისებურებებს ვერ აღგვიწერენ.

მახათი, სოფ. ფოჩხუას ნაამბობით, „აქ მახას გვარი ცხოვრობდა. მათ უხუცესს მახა ან მახარია რქმევია. მახა (მახარია) ძლიერ ჭკვიანი და დიდი ოჯახის პატრონი ყოფილა. აქ მისი თი, მისი ოჯახი იყო“. დიმიტრი ურიდიას გადმოცემით, „აქ ისეთი უღრანი ტყე ყოფილა, რომ კაცი მახათს ვერ გაატარებდა და ამიტომ ადგილს მახათი უწოდესო. აქ გაუვლია მთიდან დაძრულ ტომს, შეუსვენებია მუხნარში (ჭყონარი), სადაც ტომის მეთაურს მახათი დაკარგვია. ეს ტომი მახას გვარისა იყო და თვით ტომის მეთაური მახა (მახარია) ყოფილა“.

მახათი ფართო ველია ცხენისწყლისა და ნოღელას ჭალაზე. აქ გადის ის ხაზი, რომელიც მთელ ნოღელასა და ცხენისწყლის გადასახედს მიუყვება, ხუნწიდან ვიდრე შესართავამდე, და ნარონას (ნადგომის) სახელითაა ცნობილი. არქეოლოგიური მასალები გვარწმუნებენ, რომ ამ ადგილებში, მართლაც, უცხოვრია ენეოლითის ეპოქის ადამიანს. აღსანიშნავია, რომ ზოგან (ლეხაინდრაო, „გოგიას ნაოხვამუ“) ნაპოვნია ანტიკური ეპოქის ნასახლარებიც. ნაჭკადურზე (ადგილია) ენეოლითური კულტურის ნაშთებთან ერთად, ნიშნებიანი ქვები ვიპოვეთ. ისინი რიყის ბრტყელი ქვებია, ზედაპირგაპრიალებულ-გახეხილი. ხელოვნურად შესწორებულ ზედაპირზე არის ხაზობრივი ნიშნები, რაც არც საორნამენტო ხაზებია, არც იეროგლიფები, არამედ მკვეთრად გამოყვანილი ხაზობრივი ნიშებია ეტყობა ბგერის თუ მარცვლის გადმოსაცემად. ამ მასალის შესწავლით დასტურდება, რომ აქ მოსახლე ტომს იმ უძველეს დროს ხაზობრივი ნიშნებიც კი ჰქონია აზრის წერილობით გადმოსაცემად.

მუხურჩა, მუხური (კუთხე) და უჩა (შავი). „უბედური, შავი და გადამწვარი კუთხე, უბანი“. სხვა გადმოცემით, კომპოზიტი შედგება ორი სიტყვისაგან – „მუხურჩე“, ე. ი. თეთრი მუხური. რადგან ქვიანი უბანია, ველები გადათეთრებულია ქვებით“.

ნანტკია (მოტკილული), მერგელით განოყიერებული ადგილი.

ნანწყვი, ჩაქცეული ადგილი. ხალხის რწმენით, „ბოროტი კაცის სახლ-კარი. ზიზღითა და წყევლით ჩაუვლიან ხოლმე ამ ადგილს“.

ნაოჭკადური, ან ოჭკადურეში (ნამჭედლური, ან სამჭედლო), ადგ. „უხსოვარ დროს აქ სამჭედლო ყოფილა“.

ნაპარტახუ (გაპარტახებული), ადგ.

ნაჭვი (ნაწვავი), ადგ. აქ ოდესღაც ქალაქი ყოფილა.

ნაჭკიდუ (ნამჭადარი), ადგ.

ნაჭკიდუ (ნამჭადარი), ჭადაჭადას სათესი ადგილი.

ნახარდანუ. „დაბალი ვაზის ადგილი, სადაც ხარდანის ჯიშის ვაზი ხარობდა. ამ ადგილს ოგინეხესაც ეძახდნენ“. მსგავსი ტოპონიმი სოფელში მეორეცაა.

ნახეცუ, ხეციას (გვარია) ნამოსახლარი, ადგ.

ნოფონიი (ნაყანარი), ადგ.

ნოღაპიჯი (ნოღისპირი). „ნასახლარი ფლატე“.

ნოღა, დიდი ღელე ან პატარა მდინარე. მას უხვად ჩამოაქვს ოდნავ მოწითალო ფერის ქვიშა, რომლითაც განოყიერებული საყანე ნიადაგი ძალზე უხვმოსავლიანია“.

ნოხორიი (ნასახლარი), ადგ.

ნოხორიი ან ნარონი (ნორინი), (ნამოსახლარი). „ადრე დასახლებული ყოფილა“. იგი მთელს ნოღელასა და ცხენისწყალს გასდევს, სეფიეთიდან ხუნწამდე. არქეოლოგიური ძიებით დასტურდება ამ ზოლზე ენეოლითური ხანის კულტურის არსებობა (ლეხაინდრაოში, „გოგიას ნაოხვამუზე“, ანტიკური ეპოქის მასალებიცაა აღმოჩენილი).

ნოჯიხუ (ნაციხარი), ადგ. ასეთი ტოპონიმი სოფელში ორია. ერთი სასოფლო საბჭოს ცენტრის მახლობლად, მეორე მახათის მასივზე, ნაოჭკადურის (ადგილია) დასავლეთით. „ეს ციხეები, მარო კეკელიას გადმოცემით, ორ მოძმე გვარს სჭერია, ორი ძლიერი ფეოდალის სამემკვიდრო ყოფილა. ერთში ჭია მდგარა, მეორეში ჭოიკა. ამ გვარეულობას ერთმანეთი შიდა ბრძოლაში ამოუხოცავთ. ციხეები დანგრეულა“. დღეს მხოლოდ ნანგრევებიღაა დარჩენილი. ნაციხართა მიდამოებში შეინიშნება ენეოლითის ეპოქის საცხოვრისთა კულტურული ფენა. ნაოჭკადურის ციხის საფუძველში მეტად საინტერესო არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა. ამ ადგილს ჭიითსაც ეძახიან, ეტყობა ნაციხარის ზვინული ხელოვნური მიწაყრილი ყოფილა... მიწაყრილში ნაპოვნია ენეოლითის ადამიანის შრომის იარაღები, სასამკაულო და სარიტუალო ნივთები.

ოჯსირე (საისლე), დღეს ჯაგნარი და უკაცრიელია. მსგავსი ტოპონიმი კიდევ ორია სოფელში.

ჯუკაში ტყა (ლუკას ტყე).

ორძა, ადგ.

ოფუჯე (საფურე), გაშლილი ველიანია, ჭალაა. „უშობელთა სადგომი ადგილია“.

ოლუმოი (საღომე), ადგ.

ოწერეში. „წყლიანი, ჭაობიანი ადგილი“.

ოხვამე კარი (ეკლესიის კარი), მოედანი ეკლესიის წინ. გადმოგვცემენ, რომ მაშინ აქ „ხალხი ძელქვისა და ურთხლის ათასწლოვან ხეს სცემდა თაყვანს. აქვე იცოდნენ სოფიობა: აღდგომა დღეს ხალხი მისცვივდებოდა საკმაოდ მოზრდილ ჭველას და ხელით თხრიდნენ მიწიდან. შემდეგ სადღესასწაულო სიმღერით გარს შემოუვლიდნენ ეკლესიას“, – თომა ფოჩხუას ნაამბობი.

პუმპუ ღაი (პუმპუს ღელე).

ჟღვაბუ. „ჭაობიანი, ჩირგვიანი, ისლიანი და ჭილიანი ადგილი. დაჟღვაბული (დაჭაობებული) ადგილი“.

საესვანჯო, ესვანჯიების (გვარია) უბანი.

საჩვანო (საყანე).

საფაღუე, ფაღავების უბანი.

ტები. „ხშირტყიანი ადგილი, უფრო მუხნარი“.

უჩადიხა (შავმიწა), საყანე.

უჩაღეჯე (შავი ღელე).

ფიჩხერი. „ფიჩხანი და ჯაგიანი ადგილია. ფიჩხაია სახლებულა, ძველი ნაქალაქარიცაა“.

ძუა უჩა (შავი ქვა), ადგ.

ძუა უჩაში (შავი ქვისა), ადგ. „ოდესღაც ქალაქი ყოფილა, შემდეგ შავი ქვებითაა დაფარული“.

ქუაჯონი (ქვიანი ადგილი).

ღაიჩა (თეთრი ღელე?) ქვიანი და სუფთა.

ღანკუჯე (დაკლაკნილი ღელე).

ჩქონი. „აჩიჩქნილი, დაღარული ადგილი. ჩქონუა – აჩიჩქვნა, დაღარვა“.

ძერწონა (ტირიფნარი), ადგ.

ძღოკიში კარე (ძღოკის კარავი), ადგ.

წისქვიიკარი (წისქვილკარი). „ძველი წისქვილია“.

წუბა, ადგ. ჭაობი.

წყვირძგა (ჩანაქცევი მხარე), მეწყერიანი ადგილი.

წყურგილი (წყარო).

ჭაე ნაჩონიი (ნაყანარი ჭალა), საყანე.

ჭითა ღეჯე (წითელი ღელე), მოედინება მახათის მასივზე. გადმოცემით, „მას წითელი შლამი ჩამოჰქონდა ხოლმე და სახელიც აქედან შეერქვა. მისი ნაპირები სულ ჟანგისფრად იყო შეღებილი“. ხალხში დარჩენილი თქმულებით, „თურქობის დროს სოფლებიდან აყრილ ხალხს ამ ტყისთვის შეუფარებია თავი. მტერს ტყე გადაუწვავს, ნაჭკადურთან სასტიკი სისხლისმღვრელი ბრძოლა მომხდარა. ხალხს მტერი უკუუქცევია, მაგრამ ისეთი სისხლისღვრა ყოფილა, რომ ღელის ნაპირები სისხლით შეღებილა. ამიტომ მისთვის ხალხს შემდეგ ჭითაღელე (წითელი ღელე) შეურქმევია. დღესაც წვეთ-წვეთად მოჟონავს მიწიდან იმ დროს დაღვრილი სისხლი და ღებავს ღელესა და მის ნაპირებს“. მთხრობელები – დიმიტრი ურიდია, თომა ფოჩხუა.

ჭითადიხა (წითელი მიწა), საყანე.

ჭირაღელე (განაჭირი ღელე), ადგ. „დიდი ჭირისა და უბედურების დროს აქ ამოწყვეტილა მოსახლეობა“.

ჭყონა (მუხნარი). „მახათის ველის მთელი აღმოსავლეთი ნაწილი. აქ მუხის გაუვალი ტევრი ყოფილა“.

თამაკონი

თამაკონის მდებარეობა ბორცვიანია. ცენტრი გაშლილია მდინარე ტეხურის ჭალაში. სოფლის ძირითადი ნაწილი შეფენილია თამაკონის ან კალამუნას მთის დასავლეთის კალთებზე. ნიადაგები ალუვიური ხასიათისაა. სამხრეთისაკენ მიქცეულ ზეგანთა ფერდობების სიჭარბის გამო აქ საუკეთესოდ ხარობს ვაზი და ხილი. განსაკუთრებით მაღალი ხარისხით აღინიშნება აქაური ოჯალეში, დაბლარიცა და მაღლარიც. სასოფლო საბჭო შედგება ნამიკოლაოს ნაწილისაგან, თამაკონის, თარგამეულის და ნახურცილაოსაგან. სოფელი მდიდარია ისტორიული ძეგლებითა და ადგილებით. როგორც მთქმელები გვარწმუნებენ, ეს ადგილი უნდა იყოს ჯანაშიებისა და ხურცილავების უძველესი საცხოვრისი. აქაურ მეტყველებაში მარტვილური კილოა გაბატონებული.

ბამბეწყუ (ბამბის წყარო).

ბჭერი (მზიური), მთა.

ბურღონა (საბურღნავი), ფაქარი, რბილი მიწა.

ბუჯერი, ადგ.

გა (სერი).

გარდეეფიში ნოხორიი, გალდავების ნასახლარი.

გიგუში, ადგ. გიგუს ნაყანევი

გოშირიი (გაცვეთილი), აქ გზა გადის და სერი ამოღარულია. ეტყობა ეს გზა საუკუნეების იქითაა გაყვანილი.

გურურიში, გურიურიში, ადგ. „ურიში თავთავიანი მარცვლეული მცენარეა, რომელსაც საკვებად იყენებენ“, გური-გული.

გურძემია, ღელე გამოდის გურძემის მიდამოებიდან.

გუჯუში ნოხორიი (გუჯუს ნასახლარი), ადგ.

დიახონი, ჭალისაკენ ჩავაკებული ადგილი. მსგავსი მიკროტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.

დოგერა (დობილო), ფერდობი. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ რამდენიმეა.

ეაროსიე (საროსიო), აროსიების (გვარია) უბანი.

ეგვიე (საგვილაო), გვილავების (გვარია) უბანი.

ედგეგე (სადგებიო).

ეკაკასძუე (საკაკაშვილო), კაკაშვილების უბანი.

ეკვაშიე (საკვაშილაო), კვაშილავების უბანი.

ეკურდღეე (საკურდღელიო), ყურდღელიების (გვარია) უბანი.

ენწერი, ადგ. „აქ საქოთნე მიწასაც ვთხრიდით“. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ რამდენიმეა.

ეპირტახე, პირტახიების უბანი.

ესაში ნოხორიი (ესას ნასახლარი), ადგ.

ეფაცაცე (საფაცაციო), ფაცაციების (გვარია) უბანი.

ეფეტეე (საფეტელაო), ფეტეების (გვარია) უბანი.

ეფონა, ტალახიანი, ჭენჭყობი ადგილი.

ექორაიე (საქორაიო), ქორაიების (გვარია) უბანი.

ეჭითანე, ჭითანეების (გვარია) უბანი.

ეხეცერე, ხეციების (გვარია) ნასახლარი.

ეხვიჩიე (სახვიჩიო), ხვიჩიების (გვარია) უბანი.

ეჯანაშე (საჯანაშიო), ჯანაშიების უბანი. „ჯანაშიები ერთი თურია; იგი დინოდ იყოფა: მექიაჩე – ქიაჩის მეხატურნი, მამაშია – მამაშიას მემკვიდრენი, გულასძუალეფი, ჯვარმამა, ჭუკიასძუალეფი, ნანელასძუალეფი. საქართველოში მოსახლე ყველა ჯანაშია ამათაგან ერთერთს ეკუთვნის“.

თამოკო, სოფ. „სამურზაყანოდან გამოქცეული კაცი დადიანს შეხიზვნია, დადიანს მისთვის მიწა უბოძებია. ხიზანს უთქვამს: „თაქ მოკო“ (აქ მინდაო) და აქ მიუციათ მიწა. აქედან გაჩნდა სახელწოდება თაქმოკო ან თამოკო“ (მთქმელი – ლევანტია გვილავა).

თანწყირი (ამოწყობილი), ადგ.

თარგამში, სოფ. „ამ ტოპონიმს თარგამს უკავშირებენ. თარგამური ვაზიცაა“ (მთქმელი – ი. ფაცაცია).

თითბერიაში კარი, თითბერია (გვარია) კარი.

თხომჯინჯი, ადგ. თხმელის ძირი.

კაღამურა, ადგ.

კაჭონა (კაჭნარი), ადგ.

კოტოში (ქოთნის), ონწარესთან ახლოს საქოთნე მიწა.

კურცხია. „მღვიძარა“, მოძრავი ცოცხალი. ადგილი გაშლილი ფერდობია.

ლუხუნა, ადგ.

მაჭყვადინა, ადგ. აქ ამ ვაზის მაღლარი ყოფილა.

მეინჯი. „მჟავე წყაროსწყლის ადგილი“.

მექიაჩეში ოხვამე, ადგ. მექიაჩე ჯანაშიების ეკლესია.

მურზაში ნოხორიი, ადგ. მურზა დგებიას ნასახლარი.

ნაბამბუ (ნაბამბარი), ადგ.

ნაბარძუ (საბარქაიო), ბარქაიების ნასახლარი.

ნაბერალუ, სანიშნო ადგილი.

ნაბერნუ (საბერნაო), ბერნეების (გვარია) უბანი.

ნაბინეხუ (ნავენახარი), ადგ.

ნაბურდონა, ადო.

ნაბურდღონა (გაბრტყვნილი), ადგ.

ნათურძუ (ნათურქალი), ადგ.

ნაინჭუ, ადგ. წინათ ჭა ყოფილა.

ნაისირუ (ნაისლარი), ადგ.

ნაკაროუ (ნაკარვალი), ადგ.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ადგ.

ნასაცოფუ, ოცოფური, მოსავლიანი (საყოფი), საყანე.

ნაშხურენი, ცხვრის ნადგომი ადგილი.

ნაცხადუ, ადგ.

ნაჭვი (გადანაწვავი), საყანე.

ნაჭვი (საჭვავე), ადგ. „ერთ წელს ჭვავს ვთესავდით, შემდეგ ოთხ წელიწადს საუკეთესო სიმინდი მოდიოდა, ანდა მეორე წელს – პურს, ხოლო მესამე წელს – სიმინდს“.

ნაჭირუ (ნაჭირალი), ჭირის მიერ ამოწყვეტილი და აოხრებული ადგილი.

ნახაჯუ (ნაცერცვალი), ადგ.

ნესტორიაში კარი (ნესტორიას კარი), ადგ.

ნეძონა (კაკლნარი).

ნოდიკარი (ნადის კარი) ნადის თავშესაყარი.

ნოისინჯენი. ადგ. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ ერთია.

ნოისირუ (ნაისლარი), ადგ.

ნოშხვენა (ნასხვენი), ნარჩევი ადგილია, უხვნაყოფიერი.

ნოჭკიდუ (სამჭადე), ადგ.

ნოხორენი (ნასახლარი), ადგ.

ნოხორიი (ნასახლარი).

ნოხოჯურენი, ხარებით დასამუშავებელი ადგილი.

ნოჯიხენი (ნაციხარი), ადგ.

ოცარტე, ადგ.

ოღაგვანე (საქვევრო), მიწა ამოჰქონდათ. „ქვევრი, შვილო, სამიდღემიშოა, ამიტომ მისთვის საუკეთესო მიწას ვარჩევდით. იგი წყალშია, ჭეჭყშია, მიწაშია და ადვილად არ უნდა ჩაიშალოს. ოკოტუე, საქოთნე კი უფრო ნაკლებად სარჩევია“ – გვარწმუნებს ალექსი ერქვანია. ამ ადგილს ეჯონასაც უწოდებენ. „ქვევრს განსაკუთრებული მიწა უნდოდა. მას ოჯაგვანეს ვეძახდით, – გვიამბობდა უშანგი ფაცაცია, – ცუდი მიწა კეცს ასუსტებს, ღვინოს აფუჭებს, ღვინოსა და სახლის კეთებაში ღალატი ცოდვაა“. მსგავსი მიკროტოპონიმი სოფელში კიდევ რამდენიმეა.

ოგერგუი (სათოხნი), საყანე.

ოგინე (სახბორე), ადგ. საძოვარი.

ოეკეში, ადგ. ეკი, მინერალური თიხა ამოაქვთ. საღებავად იყენებენ.

ოთიფური (სათიბი), საყანე.

ოთხოროუ, ადგ. უძველესი სამარხი.

ოისირე (საისლე), ადგ.

ოკოტუე (საქოთნე), ადგ.

ოსოკირეში (საკირე), ადგ.

ოტურეში (სატურო), ადგ.

ოქოთომე, ადგ. ბატონიშვილების საქათმე ყოფილა.

ოღუმოი (საღომო), ადგ.

ოყარყაე, ბაყაყების საყიყინო ადგილი.

ოჩე. „ძლიერ ნაყოფიერი, უხვმოსავლიანი ველი“, საყანე მასივი.

ოჩხარჩხაე (საწკანწკარო), წკანწკარა წყარო.

ოცუმუ, თევზის საყრელი ადგილი.

ოჭადარე (საჭადარო), ადგ., წინათ ჭადრები ყოფილა.

ოჭარკუმე (საჭარკუმო), ჭარკუმის სათამაშო ადგილი.

ოჭუბურე (საწაბლე), ამ მიწას საუკეთესო საქვევრე მიწად ცვლიან.

ოხვამე (ეკლესია), დღეს მხოლოდ ადგილია.

ოხვამეფერდი (ეკლესიის ფერდობი).

ოხონაი, სახნავი ადგილი.

ოხოჯური (სახარე), ადგ., გზა. ტოპონიმი ერთგან კიდევ გვხვდება.

ოჯარე (საჯარო), ადგ.

ოჯარე (საჯარო), ადგ. მსგავსი მიკროტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.

გეგეჭკორის რაიონის თამაკონის სასოფლო საბჭოს
ისტორიულ-გეოგრაფიული (ტოპონიმიკური) რუკა.
გეგეჭკორის ძხაროთმცოდნეობის მუზეუმი.
1963 წ.
ჟირობითი ნიშნები:
მასშტაბი: 1X25000
სასოფლო საბჭოს საზღვარი;
მდინარეები;
გზები.

ПАПАШИ ГИННАЕФИ (მღვდლის გადასავარდნი), ადგ.
ПАТОНИШИ НОХОРИИ (ბატონის ნასახლარი), ადგ.
ПАТОНИШИ НОХОРИИ (ბატონის ნასახლარი), ადგ. „ჯოღორია დგებიას ნასახლარი“.
ЖЛЕБИ (ჭენჭყობი), ადგ. ჭაობიანი ადგილი. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.
РАХА ЖВИАНИ, კეჭეხი მდინარისპირი.
РЕХИ, მაღლობია. ჩირგვნარი სერი.
РИКЕ, ტეხურის ქვიანი ნაპირი.
РОГУ (ხრამი).
САНАРОУСЖУО (სანაროუშვილო), ნაროუშვილების უბანი.
СОТКО ЖАЕ (საარყე ჭალა). „აქ იცოდნენ არყის გამოხდა“.
СЕРИШИ. „ვაზის მაღლარი ჯიში ყოფილა“.
СИКОШИ НОХОРИИ (სიკოს ნასახლარი), საყანე.
СУКИ (სერი).
СЖУРЖЕМИА, ღელე და მისი ნაპირები.
ТЕБИ (ტყე).
ТЕХИРЖАЕ (ტეხურ ჭალა).
ТОБАШИ, ადგ. „აქ ტბა ყოფილა, მიწისძვრის დროს ჩაქცეულა“.
УЖАДИХА (შავმიწა), საუკეთესო მოსავლიანია. ტოპონიმი ერთგანაც გვხვდება.
ФАЧИ, ადგ.
ФАТЕ (კბოდე), ОНЧАРЕСАЦ ეძახიან. ონწარე წყლიანი, ჭაობიანი უდგილია.
ФАЖАРИ, ადგ. „რბილი, ადვილად დასამუშავებელი მიწა“.
ФАЛВАШИ НАДОХОРУ (ფაღავას ნასახლარი), ადგ.
ФОЖО, ადგ. უძველესი ნასახლარია.
ЖВИША, ქვიშიანი, ნაყოფიერი ადგილი.
ЖУАЛОНИ (ქვიანი), უმოსავლო ადგილი.
ЛУРЧКАИ, გაშლილი ადგილი, სუფთა.
ЧВАРИА СОШЕ (ყვავის შოსე), ადგ.
ЧАИШИ, ადგ.
ЧУРДЛЕИА ЖАЕ, ყურდღელიების ჭალა
ШЕКЕБУИ (შემოკავებული).
ШОНИШИ НОХОРИИ (სვანის ნასახლარი). გადმოცემით, სვანეთიდან შურისძიებას გამოქცეული კაცი დადიანს შეხიზვნია და აქ დასახლებულა.
ШОНУРИ (სვანური), ადგ. მაღლარი ვაზი.
ШЖАНТА, ადგ.
ЖЕРГВАИ, საყანე. „აქ ამ ჯიშის მაღლარი ვაზი ყოფილა“.
ЖХВИРКЕШИ, ჩხვირკიას (გვარია) ნასახლარი.
ЦАГУРИАШИ КАРИ (ცაგურიას კარი), ადგ.
ЦАШИ КАРИ, ცაას (გვარია) კარი.
ЦУГАРОНИ. „ცუდი მაღლობია, ქარიანი და უმოსავლო“.
ЧЕЕНЖИАШИ НОХОРИИ, უბანი, წეენჯიას (გვარია) ნასახლარი.
ЧИНДАГОЛА, ნაოჭკადური, ადგ. „ძველად აქ სამჭედლო ყოფილა“.
ЧИСЖВИИКАРИ (წისქვილის კარი), ადგ.
ЧКВИА (ნაქცევი), ადგ.
ЖВАТЕРИ, ჭვატურიეფიში მუხური. ჭვატურიას (გვარია) უბანი.
ЖИТА ДИКОХОНИ (წითელი ჩახნული), ადგ.
ЖИТАЛАИ (წითელი ღელე).
ЖИТАЛАИ ПИЖИ (წითელი ღელისპირი).
ЖИТАШИ, ადგ. „ვაზის ჯიშია წითელი, მაღლარზე, აქ მისი დობილო ყოფილა“.
ЖИРКВАТАНА (ჭირისკვატანა), ადგ. „ჭირის სასროლი ჯოხი“.
ЖУРАХАБО (ხრიკის ხრამი).
ХАРДАНИ, ადგ. ხარდანზე ყოფილა ვაზი მიშვებული.
ХЕИШЕРИ, ადგ.
ХОЖА ЖЛАМАНЖЛАРИ. „ხარის ორ გასაყარი გზა“.
ЖАИАНИШИ НАЧИСЖВИЛ (ჯაიანის ნაწისქვილარი), ადგ.
ЖАИАНИШИ ТКЕА (ჯაიანის ტყე), ადგ.
ЖИХАШИ КАРИ (ციხის კარი), ადგ.


სოფ. ინჩხურის
ტოპონიმიკური რუკა.
გეგუტკორის მხარეთმცოდნეობის
მუზეუმი.
1961 წ.
პირობითი ნიშნები:
სოფ. ინჩხურის ტერიტორიაზეური ხაზოვანი;
მდინარეები;
გზები.
მასშტაბი: 1:10000

ინჩხური

სოფელი კალამუნასა და ტაბაკონას შეფენაზე მდებარეობს. ადგილი ბორცვიანი ზეგანია. ნიადაგი ჩრდილოეთ ნაწილში ქვიანია, ქვემო ნაწილში – შავმიწა-ქვიშნარი, უხვმოსავლიანი. სოფელში სათავეს იღებს მდინარე ინჩხია, ხოლო ლებაჩეს ინჩხურის ცენტრისაგან გამოყოფს მდ. აბაშა.

სასოფლო საბჭო სამი სოფლისაგან შედგება: ლებაჩე, ტუტაუჩა (ან დიდი ინჩხური) და პატარა ინჩხური. ლებაჩე კილამუნას მთის აღმოსავლეთის კალთებზეა შეფენილი, პატარა ინჩხური კი ტაბაკონას მთის ძირას, „ტობეშის“ ქვემოთ, ბორცვებზეა გაშლილი, ტუტაუჩა (ან დიდი ინჩხური) – მდ. ინჩხიას ხეობაში, მის ორივე ნაპირას, ბარშიც და მთაშიც.

ნიადაგი აქ ალუვიურია, ჩრდილოეთ ნაწილში ქვანაჭარბი, მაგრამ მზისგული და ხილისა და ვაზისათვის ოდითგანვე გამიზნული. აქ ადგილებს დღესაც ეძახიან შონურს (სვანურს), ნახარდანუს, ჩერგვალს და ა. შ.

ოფუცხოის მიდამოებში არის „თამარის ნადარბაზევი“, სადაც მრავალი შესანიშნავი არქეოლოგიური ძეგლი აღმოჩნდა. 1928 წელს აქ ამუშავდა დასავლეთ საქართველოში პირველი ჰესი – აბჰესი.

ბოგვერონი (ბოგვერნარი), საძოვარი.

ბჟანოური (სამზეო), დობილოიანი ადგილი.

ბუჯონა (ბლიანი), ბლის ტყე.

ბოშძარი, ადგ. სხვანაირად ბოშძანი. „ებაჩიეს თავთან, იქ, სადაც აბჰესის საწნეო აუზი იწყება, თავშესაყარი ადგილი ყოფილა. აქ წყდებოდა თურმე სოფლის საჭირბოროტო საკითხები. აქ შეკრებილა ფარული თავყრილობა უტუ მიქავას ლაშქარში მიმავალი გლეხებისა, აქ უქადაგნიათ 1905 წლის რევოლუციის პროპაგანდისტებს. საღამოობით აქ მართავდა ბოლშევიკურ კრებებს საშა გეგეჭკორი“ – თ. ბაჩილავას ნაამბობი.

დადიაში ნოხორიი (დადიანის ნასახლარი), ადგ.

დგებიაში დიხა, საყანე. „დგებიას (გვარია) მიწა“.

დიეკი (დილეგი), ადგ. „აქ ურჩი ყმის საწამებელი ადგილი ყოფილა“.

დობერარუმე (ბნელი დობერა), გაუვალი, ტყიანი ადგილი.

დოხორე (სასახლე), ადგ.

ებაჩე, სოფ. ბაჩიების (გვარია, დღეს ბაჩილავა) უბანი. „ეს გვარი მიღებულა პირველი წინაპრის საკუთარი სახელიდან. ბაჩიები უშუალოდ დადიანების ყმები ყოფილან. მათ ევალებოდათ თევზის ჭერა აბაშასა და წაჩხურაში, შინ სამსახური და სხვ. ამასთან, მათზე დგებიებიც და ჩიქვანებიც მბრძანებლობდნენ, როგორც კარისკაცები, სახლთუხუცესები და მოურავები. მღვდელთმსახურნი და საეკლესიო აზნაურნი შავდიებიც მათ არანაკლებ აძრობდნენ ტყავს. გამკითხავი არავინ იყო. ამიტომ იძულებულნი იყვნენ მალულად, ბატონებისაგან ჩუმად, ოფუცხოეს გზის პირას დამალულებს, პირადად დადიანისათვის მოეხსენებიათ თავიანთი საჩივარი. ხდებოდა ხოლმე, დადიანი სხვა გზით წავიდოდა გორდს ანდა ზუგდიდს, მაშინ ბაჩილავა იძულებული იყო, თავის ბედს დამორჩილებოდა. ამაზეა გადმოცემა: „დადია მოზოჯუნდუა დო ბაჩია შარას გიაჩოქუდუა“ – დადიანი მობრძანდებოდა და ბაჩილავა გზაზე დაჩოქილი უცდიდა, – ზოსი წოწორიას ნაამბობი.

ერუხაიე, რუხაიების უბანი.

ეფიიე, ფიიების (ფიია ან ფილია გვარია) უბანი.

ზეაგეში, ველიანი.

ზეინდი (დიდი ველობი), ადგ.

თხინა (თხილნარი), ადგ.

ინჩხური, სასოფლო საბჭო ტაბაკელას მთის შეფენაზეა. ამ მთის კალთები წვიმების გამო ხშირად მეწყერიანდება, ჩამოიქცევა ხოლმე. სახელწოდებაც, გადმოცემით, აქედანაა წარმომდგარი ირჩხუუ – ირეცხება. გადმოცემით, თითქოს „ვიღაც ბებერ ქალს რისხვით შეუძახნია: დიირჩხი, აწი, გვაჲო დიირჩხი“ (ჩამოირეცხე, აწი, მთლად ჩამოირეცხე).

კადარი, ადგ.

კაეში, ადგ.

კატუში ხინჯი (კატის ხიდი). მდინარე აბაშის ტინის ვიწროები ისეა ჩახრამული, რომ მილის მსგავსი გლუვი კედლები დგას აქეთ-იქით, ხოლო ერთგან ტინის ორი ფილა ერთმანეთისაკენ ძლიერ არის გადმოხრილი. აქ გაბედული ვაჟკაცი კიდეც გადახტება. ამიტომ მას კატის გასახტომს ან კატის ხიდს ეძახიან“.

კეჭეხი, ქვიანი ადგილი.

კვადაცონა (ქაცვნარი).

კინწმორთეი (კინწმოქცეული, მდინარის მოხვეული კალაპოტი).

კიჭოური, ადგ. „ვაზის ჯიში ყოფილა“.

კონჩხი (კონცხი), მდინარის ნაპირი.

მაჭყვადური, ადგ. „აქ ამ ჯიშის მაღლარი ვაზი ყოფილა“. ასეთი ტოპონიმი კიდევ ორ ადგილას გვხვდება.

მახვარცა, ადგ. „მახას (კაცის სახელია) საცხოვრებელი“.

მენჯი. „მარილიანი წყარო და მისი მიდამოები“. ასეთი ტოპონიმი აქ კიდევ ორ ადგილას გვხვდება.

მესარონი, ადგ. სალოცავი.

მუხაში ჯინჯი (მუხის ძირი), ნასალოცვარი ადგილი.

ნაეკუ (ნაეკარი), საღებავი ეკის კარიერი.

ნათურძუ (ნათურქალი), თურძიში ხინჯი – თურქის ხიდი. დღესაც დარჩენილია ამ ხიდის ქვითკირის ბურჯები, მაგრამ, გადმოცემით, „თურქთა ლაშქარს ვერ გაუტეხია ის ქვითკირის კედელი, რომელიც მდინარის პირიდან მთას მიჰყვება და ქვაბს იცავს. ვერ დაულაშქრავს ქვაბი და ქვაბის მიდამოებს შეხიზნული ხალხი“.

ნაკურტანუ (ნაკურტნარი). „გზა, სადაც კურტნიანი ცხენებით დაჰქონდათ თეთრი მიწა გასაყიდად“.

ნამანცხვარუ. „მაცხოვრის ხატის სასვენი“. დღეს მხოლოდ უძველესი ნაგებობის ნანგრევებიღაა დარჩენილი მაღალ ბორცვზე, რომლის კულტურულ ფენაში ვპოულობთ ნეოლითისა და ენეოლითის იარაღებს. მას თამარის სასახლესაც და სამარხსაც ეძახიან. გადმოცემით, თითქოს „ეს ეკლესია თამარის განკარგულებით აშენდაო. თამარი აქ არის დამარხულიო“. მის ჩრდილოეთ შეფენაზე მოიპოვება უძველესი მეტალურგიული წარმოების რელიკვიებიც.

ნამარანუ (ნამარნალი), ადგ. „უჩავების სათემო მარანი ყოფილა ოდესღაც, 16 ოჯახის სალოცავი ქვევრთა სამანი“.

ნანტკიჯა, მერგელით განოყიერებული საყანე.

ნაისირუ (ნაისლარი), ადგ.

ნაოჭკადუ (ნასამჭედლარი), ადგ.

ნასაონტკუ (ყოფილი საარყე), ადგ. „აქ მრავალი ჭუტა ვაშლი და პანტა მსხალი იყო. ამიტომ, აქვე, წყაროს ნაპირებზე ხდიდნენ არაყს“.

ნასიადუ, სილით განოყიერებული ადგილი.

ნატახა (ნამტვრევი), ქვის კარიერი.

ნატოფუ (ნატოფარი), ადგ.

ნაფაცხუ (ნაფაცხარი), ადგ.

ნაფსია, (მოსილული), ადგ.

ნაქაჯქენი, ნაქალაქარი. „გაჭედილის ხიდის აგებისას, დადიანის განკარგულებით, აბაშის სანაპიროზე, ოფუცხოვოსთან, მოუწყვიათ სამჭედლოები, დუქანი და საწვრილმანო. აქ თურმე ადგილობრივი მკვიდრნი დადიოდნენ სავაჭროდ და მას ქალაქს უწოდებდნენ. ასე შემორჩა ეს სახელწოდება ადგილს“.

ნაქერუ (ნაქერალი), საყანე.

ნაშეფუ (ნასეფარი), ადგ. „დადიანების გზაზე, გორდიდან სალხინოსაკენ, მთაში გაშლილი ველი იყო, სადაც ყმები მართავდნენ სეფას და გზაზე მიმავალ დადიანებს უწყობდნენ ლხინს“. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ ერთია.

ნაშხურეში (ნაცხვარევი), საძოვარი.

ნეძონა (კაკალნარი), ადგ.

ნოთიფურუ (ნასათიბარი), ადგ.

ნოჯიხენი (ნაციხარი), აქ ადგილთა ასეთი სახელწოდება კიდევ ორია.

ოჭურია საყურია, გამოქვაბულის წინ ხრამი.

ობერგუი (სათოხნი), საყანე.

ოთიეში, ადგ. სათიო, სამოსახლო.

ოთიფური (სათიბი), ადგ.

ოისირე (საისლე), ადგ.

ოკაცე (საკაცე). „ოჩოკოჩის საცხოვრებელი ადგილი, გაუვალი ტყით დაფარული. საშიში, ეშმაკების საბუდარი“.

ონოძერი, ქერის სათესი ადგილი.

ოროდინეში, „ამ ღელეში როდინის ქვებს ეძებდნენ“.

ორჩხენა (სარეცხი). „ქაცვიანი ბუჩქნარის ადგილი. ორჩხეში – ქვევრის სარეცხი“.

ოსიმინდე (სასიმინდე), სიმინდის სათესი ადგილები.

ოფუტურე. „ფუტუროიანი ადგილი. ამ მასივზე მდგარა ფუტუროიანი ხეები“.

ოფუცხოი, ფუცხუნით, ჩქარა გასასვლელი, ადგ. „საერთოდ, ხეობის მთელ ამ ნაწილს საშიშარს, მალე გასარბენს ეძახდნენ. ოდესღაც ეს ადგილი ვიწრო, ქვიანი და უფსკრულიანი ყოფილა, თანაც გაუვალტყიანი, მხეცებისა და ყაჩაღების ბუნაგი. დღეს აქ აბჰესი და მისი დაბაა“.

ოცხენე (საცხენე), გზა.

ოძიე (საძებნი). „მდინარეში საკალმახო ბეჩო ყოფილა, სადაც კალმახს იჭერდნენ. ოძიე საძებნს ნიშნავს“.

ოხონაი (სახნავი ადგილები), საყანე.

ოხოჯე (სახარე), გზა.

პაპახირზენი (მღვდლის სახიზარი). „აქ შეუფარებია თავი ჟამიანობის შიშით გადაკარგულ მღვდელს“.

როკია ღელე, ჩანჩქერიანი ღელე.

რუწკუპი, „ვიწრო, უფსკრულიანი ხევი, გასასვლელად ძნელი, ტყით დაბურული.

საჩიქვანო. „ჩიქვანთა სამფლობელო, მათი საძოვარი“.

სუჩე-სუჩხე-სუხჩე. „თეთრიწყალი, თეთრიღელე“.

სქურდღაი, სქურდის ღელე.

ტაბაკოდა გოდა. მთა. „აქ თავს იყრიან ეშმაკები გიორგობის თვეში და მთის გაშლილ თხემზე ცეკვა-ლხინს მართავენ. ამ დღეს ამოდის მთავარი ეშმაკი **როკაპი**, ქალის სახით, რომელიც მგელზე ზის. იგი ჭაში ცხოვრობს. აქ მოდიან მგელზე შემომჯდარი ეშმაკი კაცები და ქალები, რომელთაც ზურგზე საწნახლები ჰკიდიათ. თან მოაქვთ მოჯადოებულ ადამიანთა გულები, ნაწლავები, თმები, ტანსაცმელი და ყრიან ცეცხლისმფრქვეველ ჭაში, როკაპის სამყოფში, რომლის ირგვლივ იწყებენ ცეკვასა და თამაშს, მართავენ ტაბაკონობას. ალიონზე კვლავ ჯდებიან მგლებზე. იკიდებენ საწნახელებს და უბრუნდებიან თავიანთ ადამიანურ საცხოვრებელს. ხალხს ასეთად მინიშნული ჰყავს მათთვის საზიზღარი ადამიანები, მათ ეშმაკებს, ჯადოქრებს ეძახიან და გაურბიან“ – პარასკევა ელიავას და სხვათა ნაამბობი. არის ხალხური ლექსი:

„ეშმაკი დო მაზაკვალი
მამპკითხო სო იკათუნა
ტაბაკონაშა მეუნა დო
როკაპწკუმა სხაპუნა“

ეშმაკი და მზაკვარი
მე მკითხე, სად იკრიბებიან,
ტაბაკონაზე მიდიან და
როკაპთან ცეკვავენ.

როკაპის ადგილსამყოფელს, ტაბაკონას იმოწმებენ ი. ყიფშიძე, თ. სახოკია და სხვ.

ქვაბი (გამოქვაბული), **ნათურქუსაც** ეძახიან. შესასვლელი ქვითკირითაა ამოქოლილი.

ქვაბკარი, გამოქვაბულის წინაპირი.

ქვიშნარი. „ქვიშიანი ადგილი, უხვმოსავლიანი.

ქორთისქუაში ნოხორიი, საყანე, ქართველიშვილის ნასახლარი.

შონაჭაე (სვანის ჭალა). „ამ ჭალაზე სვანურის მაღლარი ვაზი ყოფილა გაშენებული“. გვხვდება მიკროტოპონიმი „შონა“.

შონიფონი (სვანის ფონი). „აბაშაზე ფონი, სადაც შურისძიებას გამოქცეულ სვანს გადაულახავს მდინარე და დადიანს შეხიზვნია სალხინოში“.

შონურა (სვანური), ადგ. „აქ ამ ჯიშის ვაზის მაღლარი იყო“.

ჩერგვალ, ადგ. „სულ ჩერგვალის (თეთრი მრგვალის) მაღლარით ყოფილა დაფარული ეს ველობი“.

ჩეშონა (თეთრი სვანური). „მაღლარი ვაზის ადგილი“.

ჩიქვანიში ნოხორიი (ჩიქვანის ნასახლარი), ადგ.

ცეცხო, ფერდობი. „ბორჯღოლა ბუჩქნარია, რომელსაც აბრეშუმის ცოცხად იყენებდნენ“.

წიდა, ადგ. აქ რკინა-წიდას ხშირად პოულობენ.

წკაათი, ადგ. „წკაების (გვარია) ნასახლარი“.

ჭაბოური. „მაღლარი ვაზის ერთგვარი ჯიში, მისი ადგილი“.

ჭოდინა, ადგ. „აქ ჭოდის ჯიშის მაღლარი ვაზი ყოფილა გაშენებული“.

ხურუ, მთის ნაპრალი (ხევი).

ჯვეში შარა (ძველი გზა). „გადადიოდა გორდიდან მთებით ნაშეფუზე“.

კიწია

კიწიის სასოფლო საბჭო მდებარეობს ზეგანზე. ქრის მუდამ სასიამოვნო ნიავი. სოფელი წყაროებით უხვია. ნიადაგი ალუვიური ხასიათისაა. ვაზი და ხილია უხვად, მოფენილია ჩაის პლანტაციებით. საბჭოში ორი სოფელი შედის: კიწია და ნოღა. მას ესაზღვრება დასავლეთით – ჩხოროწყუს რაიონი, აღმოსავლეთით და სამხრეთით – ჭყონი და გურძემი. მეტყველებაში ზუგდიდური კილოსათვის დამახასიათებელი ნიშნებია გაბატონებული. სოფელი ძლიერ საინტერესო ისტორიული ადგილებით და ძეგლებითაა მდიდარი. აქ, ლეჭეში, ჭიების პირველი ფართო საცხოვრისი მიინიშნება, რაც არქეოლოგიური მასალებით დასტურდება. ეს ამ დიდი ოჯახის პატრონიმული დასახელებაა. ალერტში ალერტობის – ალავერდობის უძველესი სალოცავი ადგილი და ხატი ყოფილა.

ალერტი (ამოხტი, ამოუძვერი, გამოექეცი), სოფ. „ამ ადგილებში სპარსთა ლაშქარი მდგარა, იქ, სადაც ეკლესიაა. შეშინებული ხალხი მთებში გახიზნულა, მხოლოდ რამდენიმე კაცი დარჩენილა. გამოქვაბულიდან ამათ უყვირეს თურმე: „ათაში ალერტი“ – ასე გამოიქეციო, ასე მალულად გამოუსხლტი მტერს ხელიდანო; ამის შემდეგ შერჩა ამ ადგილს ეს სახელწოდება. აქ სალოცავიც ყოფილა, დიდი მუხა, რომელსაც ხალხი მსხვერპლს სწირავდა. გასულ საუკუნეში, გიორგი ბერიძის განკარგულებით, მუხა მოუჭრიათ და მის მაგივრად წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია აუგიათ“ (დავით აფხაზავას, პეტრე ხარბედიას და სხვათა გადმოცემა).

ანგესკური. „მაღლარი ვაზის ჯიშის დობილო“.

აღოცია, ღელე.

ბერიძეჭაე (ბერიძის ჭალა).

ბერიძეში კლასი (ბერიძის სკოლა), ადგ. „ბლაღოჩინ ბერიძეს თავის სახლში გაუხსნია სკოლა. ეს ამ მხარეში პირველი სკოლა ყოფილა. დღეს აქ სკოლა არ არის. ადგილს ნაკლასუს ეძახიან“.

ბერიწყუ (ბერის წყარო), „აქ ბერის ფაცხა მდგარა. ბერს წყარო ამოუყვანია. დღესაც ხმარებაშია“.

ბერწოულა, ბროწეულის ადგილი.

ბურცხეში, ბურცხი ეკლიანი ბუჩქნარია.

გა, სუკი, სერი.

გაგიწყუ (გაგის წყარო).

გვაჩიში ნოხორიი (გვაჩის ნასახლარი), ადგ.

გიგუში ნოხორიი (გიგუს ნასახლარი).

გინაჩამალი (გადასაცემი). „დაწყევლილი ადგილი. აქ, ამ 50 წლის წინათ, მდგარა დიდი მუხა, რომელზედაც გადაცემა ხდებოდა თურმე“.

გოხინტკილი (გამიჯნული), ადგ.

გუგერი, სერი.

დოგერა, დობილოიანი, ვენახიანი ადგილი. ასეთი ტოპონიმი სოფელში კიდევ რამდენიმეა.

დუტუში ტყა (დუტუს ტყე).

ეგადილე, გადილიების უბანი.

ეგოგიე, გოგიების (გვარია) უბანი.

ეკვაშიე, კვაშილავების უბანი.

ელონა (ელნარი).

ენწერი, ეწერი.

ენწერი, ეწერი. ასეთი ტოპონიმი სოფელში კიდევ რამდენიმეა.

ესართიაში ნოხორიი, ადგ. ესართიას ნასახლარი.

ეხუხუე, ხუხუების (გვარია) უბანი.

ვარდიაში ნოხორიი, ვარდია ჯურუაში (გვარია) ნასახლარი.

ზაკალონი, ბზიანი ადგილი. ბზის ტყე ყოფილა ოდესღაც.

თითქა, ადგ.

კადარი (ქვიანი), ადგ.

კაკარო, სერი.

კაკულური, კაკულიების სადგომი, სამოსახლო.

კვინორია (საკვერნე), ადგ.

კვინორიაში წყუ (კვერნის წყარო).

კიბულური, კიბესავით ადგილია, საფეხურიანი, ხრიოკი და კადარი.

კიწია, კონცხი, სერის კიდური.

კოკიში ჭალე (კოკის ჭალა).

კოლოშონა, მწარე სვანურის ოჯალეშის დობილო.

კორჩე, კადარჩე (თეთრქვიანი), ღელე და მისი ნაპირები.

კოსტაში კარე (კოსტას კარავი), ადგ.

კოსტაში წყუ (კოსტას წყარო).

კურკუზა, მაღლობი, ნასახლარი და ნაეკლესიარი ადგილებია.

კუჭუბი. „რუწკუპი და შევიწროებული ადგილი“.

კუჭუიაში ტყა (კუჭუიას ტყე).

კუჭუში ტყა (კუჭუს ტყე).

ლახვაშია, ღელეა.

ლებარამიე, ბარამიების უბანი.

ლევაში ტყა (ლევას ტყე).

ლეკაკულე, კაკულიების უბანი.

ლემირცხვიე, მირცხულავების უბანი.

ლექუთელე, ქუთელიების უბანი.

ლეძაგანე, ძაგანიების უბანია.

ლეწიფურე, წიფურიების (გვარია) უბანი.

ლეჭე (საჭილე). „აქ ჭიები სახლებულან, თუმცა დღეს არავის ახსოვს მათი უკანასკნელი მოსახლეობა. შემდეგ სალუქვაძეები ჩასახლებულან. ადრე აქ მაცხოვრის ეკლესიაც მდგარა. ამბობენ, ჭიები შემდეგ გურიაში გადასახლებულანო. კიწიასაც ლეჭიეს ეძახიან. მთელი კიწია ჭიების უბანი ყოფილა“.

მამულონი, მამულიანი, ვაზნარი. დიდ მასივზე იყო გაშენებული მაღლარი ვაზი.

მაფაში წყუ (მეფის წყარო). „აქ თამარ მეფე მოსულა და დაბანაკებულა. მის ამალას წყარო ამოუყვანია. ამიტომ მას მეფის წყაროს ეძახიან“.

მაფორი. „საფარია, მთით დაფარული სოფელი. ამიტომ მზე დიდხანს არ ჩნდება“.

მედანი (მოედანი).

მეედანი (მოედანი).

მეტერა, ადგ. „დაიხრჩო კაცი და მეტი არაა“.

მიკორთელი (მოღრეცილი).

ნაბერალუ (ნადროშალი), ადგ.

ნაბექუ, დაბექილი, დატკეპნილი ადგილი.

ნადოხორუ (ნასახლარი), ადგ. მსგავსი მიკროტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.

ნადოხორუ, ანჯაფარიების ნასახლარი.

ნადუქანუ (ნადუქნარი), ადგ.

ნაკაზარმუ (ნაკაზარმალი), აბრეშუმის ფარდული მდგარა რევოლუციამდე.

ნაკარუ (ნაკარვალი), ადგ.

ნანაკური (ნანაკურიას ნასახლარი). ადგ. „აქ თხრიდნენ თეთრ მიწას – გუმბრინს და კურტნით მიჰქონდათ ბაზარში. ამიტომ ადგილს ნაკურტანუსაც ეძახიან“.

ნანგერუ, მგლების ბუნაგი.

ნანტკილა, მოტკილული ადგილი.

ნანწყვი, ჩაქცეული ადგილი.

ნაონთხაჲ. „ჩაჩიბაიების მიერ გლეხებისათვის მიცემული საყანე ადგილი“.

ნაოსხაპუ (საცეკვაო), ადგ.

ნაოსხაპუ (საცეკვაო), ცეკვა-თამაშის ადგილი.

ნაოჭკადუ (ნასამჭედლარი), ადგ. ასეთი მიკროტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ადგ.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ადგ.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ადგ. ასეთი მიკროტოპონიმი კიდევ ოთხია აქ.

ნასასამართლუ (ნასასამართლო). „ძველად სასამართლო ადგილი. აქ იკრიბებოდნენ, თურმე, ბრძენი და მოხუცი კაცები და დამნაშავე პირებს საზოგადოების წინაშე ასამართლებდნენ“.

ნაფაცხუ (ნაფაცხარი), ადგ.

ნაშენი. „მონაშენებული, მოშენებული. ბატონთან სანახევრო“.

ნაჭვუ (ნაჭვავარი), ადგ.

ნაჭკიდუ (ნამჭადარი, ნაფეტვარი), ადგ.

ნახატური. „ხატის ადგილი, ნახატარი“.

ნაჯიხუ (ნაციხარი), ადგ.

ნაჯიხური (ნაციხარი), ადგ.

ნესტორიაში ტყა (ნესტორის ტყე).

ნოისირუ (ნაისლარი), ადგ.

ნოსაში გიოლაფუ (რძლის გადასავარდნი). „პატარძალი ცხენიანად გადაჩეხილა ამ კლდეზე“.

ნოღა, სოფ.

ნოღის ჯიხა (ნოღის ციხე). „ჯაიანებს ეკუთვნოდა“. მის სამხრეთ-დასავლეთით ადგილია ნაქიაჩუ, ქიაჩის ღვთაების სალოცავი. ჯვარის სახის ქვის სვეტი ყოფილა.

ოხორანე (საყორნე), ადგ.

ოხურია, ადგ.

გეგეჭკორის რაიონის კიბრის სასოფლო საბჭოს ისტორიულ-გეოგრაფიული (ტოპონიმიკური) რუკა.

გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

1963 წ.

პირობითი ნიშნები:

მასშტაბი: 1 X 25000

- სასოფლო საბჭოს საზღვარი;
- მდინარეები;
- გზები.

ᲝᲑᲠᲘᲜᲯᲔ (საბრინჯო). „ჭეჭყოიანი ადგილი. წინათ ჭალაში ბრინჯს თესავდნენ.

ᲝᲒᲔᲠᲔᲨᲘ (სამგლისი), ადგ. ასეთი მიკროტოპონიმი სოფელში კიდევ ორია.

ᲝᲓᲝᲬᲘᲐ. ადგ. „ბალახის სახელიდან უნდა იყოს წარმომდგარი“.

ᲝᲙᲐᲗᲐᲤᲣᲠᲘ, მდინარეთა თავშესაყარი.

ᲝᲙᲔᲚᲔᲨᲘ (საკალოო).

ᲝᲙᲘᲠᲔ (საკირე), ადგ.

ᲝᲚᲔᲙᲔᲨᲘ, ადგ. „აქ საღებავი ლეკი – ეკი ამოჰქონდათ“.

ᲝᲜᲒᲔᲠᲔᲤᲔᲠᲓᲘ (სამგლო ფერდობი).

ᲝᲜᲝᲨᲫᲕᲔᲠᲔ (სანახშირო), ადგ.

ᲝᲡᲙᲐᲚᲔ (საფუტკრე).

ᲝᲢᲧᲐᲚᲛᲐᲤᲔ, „ტყის მეფე ქალის – ალის ადგილი. ტყაში მაფა – ალი, დალი, ეშმაკეული“.

ᲝᲥᲔᲠᲔᲨᲘ (საქერე), ადგ.

ᲝᲦᲐᲭᲣᲔ, ღაჭუების (გვარი) უბანი.

ᲝᲦᲣᲛᲝᲚᲘ (საღომო), ადგ. ასეთი მიკროტოპონიმი კიდევ მრავალია აქ.

ᲝᲩᲔ, „თეთრი ვაზი იყო მაღლარზე მიშვებული“.

ᲝᲫᲘᲔ, ადგ.

ᲝᲫᲝᲬᲘᲐ, ადგ.

ᲝᲬᲣᲠᲑᲔᲚᲔ (საწურბლე).

ᲝᲭᲙᲐᲓᲣᲠᲔᲨᲘ (სამჭედლო), დღესაც დგას ძველი სამჭედლო.

ᲝᲮᲕᲐᲛᲔ, მთავარანგელოზის ეკლესია, დღეს ნაეკლესიარია.

ᲝᲮᲝᲯᲣᲠᲘ (სახარე), გზა.

ᲝᲯᲝᲦᲝᲠᲔ (საძაღლო). „დადიანის საძაღლო კარავი მდგარა“.

ᲞᲐᲞᲐᲡᲙᲘᲠᲘᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ, პაპასკირის (გვარია) ნასახლარი.

ᲞᲐᲢᲝᲜᲡᲫᲣᲐᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (ბატონიშვილის ნასახლარი), ადგ.

ᲞᲐᲢᲝᲜᲬᲧᲣ (ბატონის წყარო).

ᲞᲔᲠᲢᲔᲛᲘ, საყანე.

ᲠᲔᲕᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (რევაზიას ნასახლარი), ადგ.

ᲠᲝᲑᲣ (ხრამი).

ᲡᲐᲚᲘᲞᲐᲠᲢᲘᲝ, ლიპარტიანების მიწა-წყალი.

ᲡᲐᲜᲐᲝᲜᲗᲮᲝ (სამეოთხედო), „აზნაური ჯაიანები გლეხებს სამეოთხედოდ აძლევდნენ ამ ადგილს“.

ᲡᲐᲪᲘᲚᲝ. „ბატონიშვილებს შორის სადაო, საცილო ადგილი. ყმებსაც ედავებოდნენ დიდხანს“.

ᲡᲐᲯᲕᲐᲠᲝ, ადგ. აქ ყოფილა ქვის ჯვარი, „რომელსაც უძველესი დროიდან თაყვანს სცემდნენ. აქვე ესვენა წმინდა გიორგის ბორზალიც. ამ 40 წლის წინათ ხატს ლითონის ფულს სწირავდნენ. მისი აღება აკრძალული იყო. აქვე უძველესი ნასამჭედლარიც ყოფილა“ – მარუსია ხარბედიას ნაამბობი.

ᲢᲔᲒᲘ (ტყე).

ᲢᲝᲠᲩᲐ, ფერდობი.

ᲣᲥᲕᲘᲜᲯᲔ (უფსკერო), ადგ.

ᲣᲩᲐᲨᲝᲜᲐ (შავი სვანური), ადგ. მაღლარი ვენახი.

ᲥᲐᲑᲣᲠᲮᲐᲜᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ, ადგ.

ᲥᲕᲐᲑᲘ (გამოქვაბული).

ᲥᲕᲐᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ, ქვაცარიას (გვარია) ნასახლარი.

ᲬᲣᲠᲣᲚᲘ. „ჩაქცეული და დაწყევლილი ადგილია“.

ᲨᲥᲔᲠᲝᲜᲐ (შქერნალი).

ᲩᲐᲩᲘᲑᲐᲘᲐᲨᲘ ᲢᲧᲐ (ჩაჩიბაიას ტყე).

ᲩᲘᲢᲘᲐᲨᲘ ᲢᲧᲐ (ჩიტიას ტყე).

ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣ (ცხრაწყარო).

ᲪᲘᲠᲐᲘᲐᲨᲘ ᲒᲐ, ცირაიას (გვარია) სერი.

ᲬᲔᲠᲥᲝᲜᲐ. „წერექო (ერთგვარი ბალახია) იყო გავრცელებული. ცხენების საძოვარი ადგილია.

ᲬᲘᲤᲣᲠᲝᲜᲘ (წიფლნარი).

ᲭᲐᲚᲔ (ჭალა).

ᲭᲙᲐᲓᲣᲐᲨᲘ (ჭკადუასი), ადგ. „ჭკადუები სახლებულან. აქ უძველეს დროში მჭედლობა ყოფილა. ჭკადუები მჭედლები იყვნენ“.

ᲮᲣᲑᲣᲔᲠᲘ, ხუბუების (გვარია) უბანი. ეს გვარი ახლა აქ აღარ სახლობს. მეორე გადმოცემით, „აქ ყოფილა ქვა დაყორილი – ქუა ეხიბირი, დაწყევლილი ადგილია. იტყვიან, „კოჩი ჩააქუესია – კაცი ჩაქოლესო“.

ᲮᲣᲩᲣᲠᲣ, ადგ.

ᲯᲐᲘᲐᲜᲘᲨᲘ ᲜᲐᲛᲐᲠᲐᲜᲣ (ჯაიანის ნამარნალი), ადგ.

ᲯᲐᲘᲐᲜᲘᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ, ჯაიანის ნასახლარი.

ᲯᲕᲐᲠᲛᲐᲛᲐᲨᲘ ᲬᲘᲡᲥᲕᲘᲚᲘ (ჯვარმამას წისქვილი). ჯვარმამა ჯანაშიების გვარის ერთ-ერთი საძმოა, დინოა.


გეგეჭკორის რაიონის კუთხეს
სასოფლო საბჭოს ისტორიულ-გეოგრაფიული
(ტოპონიმიკური) რუკა.
გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.
1963 წ.
ძირითადი ნიშნები:
სასოფლო საბჭოს საზღვარი;
მდინარეები;
გზები.
მასშტაბი: 1 X 10000

კურზუ

სოფელი მდებარეობს ეგრისის მთარგრეხილის სამხრეთ კალთების შეფენაზე, ბორცვებსა და მთის კალთებზე, ზღვის დონიდან 600-800 მეტრზე. აქ ჰაერი მთისა და ზღვის ჰავის ნაზავია და საუკეთესო სააგარაკო ადგილია ძველი დროიდანვე. იგი დადიანთა საგვარეულო რეზიდენციაც ყოფილა. აქ დღესაც დგას დავით დადიანის მეტად საინტერესო სასახლე. სასოფლო საბჭო შედგება ხუთი სოფლისაგან: ДЖВАНА, ГОДОГАНИ, КУРЗУ, САНАЧЧУЕПИО, ДОГЕРАЗЕНИ. ცალ-ცალკე ყველა სოფელს შემოუნახავს მრავალი ისტორიული ძეგლი და ადგილი. მათ შორის ДЕДЖВАРОБА – წარმართული რელიგიის ბატონობის დროიდან მომდინარე სარიტაულო ადგილი.

აქ მოსახლეობა უხსოვარი დროიდან სახლობს. პატრიარქალური ოჯახის მამას – პატერს აქ ჩაუყრია საფუძველი ჭიას გვარისათვის. აქ უნდა იყო აგრეთვე, ГАБИЕБИС თავდაპირველი გვაროვნული საცხოვრისიც. ამ მოსაზრებას, ფოლკლორულ მასალასთან ერთად, ადასტურებს მრავალი საინტერესო არქეოლოგიური განძიც, რომელიც შეისწავლეს და გამოაქვეყნეს დოც. დ. ქორიძემ და წინამდებარე ნაშრომის შემდგენელმა.

ნიადაგი შავმიწაა, ნაყოფიერი. დღვანასა და გოდოგანში ნიადაგი უფრო ალუვიური ხასიათისაა და ამიტომ ვაზის და ხილის ბაღნარად ითვლებოდა და ითვლება დღესაც. გოდოგნური ადესა მთელს ახლომახლო სოფლებში ცნობილი და აღიარებულია.

აქაურ მეტყველებაში უკვე საბოლოოდ ბატონობდა ლე- პრეფიქსი – ლეთოდუე, ლებერუე და ა. შ. მოსახლეობა ზუგდიდურ კილოზე მეტყველებს.

ალშიბაიაშ ნოხორიი (ალშიბაიას ნასახლარი), ადგ.

გაბიში სუკი (გაბის სერი), გაბი გვარის მეთაურია, გაბია კი – გვარი.

გვიმარონი (გვიმრნალი), ადგ.

გიგოდა (გირგოდა), ადგ.

გიორგიში ნაკარუ (გიორგის ნაკარვალი) ადგ.

გოგურძღოლირი (გამურული, გათხპუნული), ადგ.

გოდოგანი, სოფელი გაშლილია ბორცვებზე. გადმოცემით, „აქ პირველი მოსახლე ყოფილა ვინმე გოდო და მთელი ტერიტორია მისი საკუთრება ყოფილა. აქედან წარმოდგება სახელწოდება გოდოსგანი – გოდოს კუთვნილი“.

გოკირილი (შეკრული, გახერგილი), ადგილი მდინარე ტეხურის ხეობაში. „ამ ხერგის მიღმა იხიზნებოდა ხალხი შიშიანობის დროს“.

გოშირილი (გათელილი), ხანგრძლივი მოძრაობით ამოღრუებული გზა.

გოჩინაშ სუკი, გოჩინას (გვარია) სერი.

გოხონი, გამოქვაბულია, შედარებით მშრალი.

გოხორხიი (გახერხილი), ბორცვებს შორის ხელოვნურად გაჭრილი ადგილი გზისთვის.

დადიაში გიორენჯი (დადიანის დასადგომი). „მხოლოდ დადიანის ჯოგი იდგა“.

დგომი (ნადგომი). „ნასახლარი, ნაბანაკარი, ნაკარვალი ადგილი. დარჩენილია ციხისა და მისი გალავნის ნანგრევები. ხარობს ვაზი, ხეხილი, სიმინდი. ძალიან კარგი ადგილია ფუტკრებისათვის“.

დიჭყე. „დიდი ჭეჭყო (დიდი ჭაობიანი ადგილი), დაწყევლილი, დაქცეული. დიჭყე – დაიწყევლე. „ისეთი ადგილია, რომ გასვლისას უნდა დაიწყევლო. ყაჩაღთა საბუდარი ყოფილა“.

დიხაჭუბური (წაბლივით მიწა). „რბილი, ადვილად დასამუშავებელი, ნაყოფიერი მიწა“.

დოგერა, დობილოიანი ადგილი.

დოგერაზენი, უბანი, სიტყვასიტყვით დობილოიანი ველობი.

დოხორე (სასახლე), დადიანის სასახლე. ერთსართულიანი ნაგებობა იყო, ერთი დიდი დარბაზითა და ოთხი გვერდითი ოთახით. ჭერი და ბუხარი შემკული იყო ორნამენტით. სახლის უკან მიშენებული დილეგი დღესაც არის დაცული. „აქ დადიანებს ხუნდზე დაუსვამთ და ხაჯალურით შეუბორკავთ აჯანყების მონაწილე გლეხი ბერულავა“. დილეგს აქვს ერთი შიდა, ერთი გვერდითი კარი და 4 მეტრის სიმაღლეზე სამი ვიწრო სარკმელი. ეტყობა შენობა ქონგურებიანი ნაგებობა იყო. მასში სართულთა შორის გადახურვა თაღისებური ყოფილა.

დღვანა, სოფელი. მიუდგომელი, მიუვალი ადგილი.

ეგაბედე, გაბედავების (გვარია) უბანი.

ენწერი, ადგ. ეწერი.

ენწერი, ეწერი.

ექვაჩალე, ქვაჩალიების (გვარია) უბანი.

ვაღუ, საყანე ადგილი.

თედოში ნაკარუ (თედოს ნაკარვალი), ადგ.

თემყვაში ნაკარუ (თემყვას ნაკარვალი), ადგ.

თომაში წისქვილი (თომას წისქვილი).

კადარი (ქვიანი). „კეჭეხი ადგილი“.

კაჯარი, ქვიანი ადგილი.

კერცხალი, უნაყოფო, ქვიანი ქედი.

კიკიანიში ტყა (კიკიანის ტყე).

კირიალესონი, სალოცავი ადგილი.

კურზუ ან უკეთ КУРЗУКАРЕ, ს/ს. სამსონ ბერულავას, თედო კენჭაძისა და სხვათა გადმოცემით, „კურზუ ძაღლია, КУРЗУВАЛИ – ძაღლის მომვლელი, მეძაღლე, კურზუკარე – ძაღლთა ბინა. აქ დადიანებს ჯიშიანი ძაღლები ჰყოლიათ, რადგან აქვე იყო საუკეთესო სანადირო ადგილები. აქვე ჰქონიათ ძაღლთსაშენი და აქაური მკვიდრნი ძაღლის მომვლელები, მეძაღლეები იყვნენ, განსაკუთრებით გაბისონიას გვარის კაცები. აქედან შემორჩა სოფელს სახელწოდება КУРЗУ. მოხუცებისაგან მოგვისმენია, რომ სოფელს ГУРДУ ერქვაო. „ТАД ГУРი ДУНИА“ – აქ გული ძევსო – განმარტავდნენ ისინი. ამასთან, აღნიშნავენ, რომ „კურზუ დადიანთა მიერ ამ ადგილების ძაღლსაშენად გადაქცევის შემდეგ შეერქვა“. სოფელი დადიანთა საშემოდგომი რეზიდენცია იყო.

ლაჯოჩარია (ლაჯოჩარიას სერი).

ლადიში ნაწისქვილუ (ლადის ნაწისქვილარი), ადგ.

ლებერიეშ ჯიხა. „კლდეშია გამოკვეთილი, ნათურქალი სახიზარი ყოფილა წინათ“.

ლეძობალე, ქობალიების უბანი.

ლიპარტიაში ღალ (ლიპარტიას ღელე).

მაფაწყუ (წყაროთა მეფე), მეფის წყაროსაც ეძახიან. „აქ თამარს დაულევია წყალი და ამიტომ უწოდებს ხალხი ასეო“ – გვარწმუნებდნენ გადმოცემები.

მაღლოკი პიჯი (მაღლოკის პირი).

მაღლოკი, ღელეა.

მეედანი (მოედანი), თავშეყრისა და ჯარობის ადგილი.

მენჯი, დღეს საყანე მასივია.

მიკონწყვილი (ჩამოქცეული), ადგ.

მინგარიე (მტირალა). „მთაა, რომელზედაც მუდამ ღრუბელია. ქარიანი და ქარიშხლიანი, ხშირი წვიმა იცის. სულ ტირისო, იტყვიან. აქედან წარმომდგარა სახელწოდებაც“.

მისარონი, ადგ. ძველი ნასალოცვარი.

ნაალანუ, ალანიების (გვარია) ნასახლარი, ადგ.

ნაბერალუ (ნადროშალი). „დროშით გამიჯნული ადგილი“.

ნაზაფანუ (ნაპილპილარი), ადგ.

ნაკაკუ. „ადგილი, სადაც მუხის, თხმელასა და წაბლის ხის მორებისაგან ნაჯახით თლიდენ ფიცრებს სახლების ასაგებად“.

ნაკარუ (ნაკარვალი), ადგ.

ნაკვათუ, კვათუების (გვარია) ნასახლარი.

ნაკვეცუ, ადგ. კვეციების (გვარია) ნასახლარი.

ნაოხვამუ (ნაეკლესიარი), ადგ.

ნასარგი ან ნასარანჯუ, ადგილი, სადაც ფუტკარი ბუდობდა.

ნაფაცხუ (ნაფაცხარი), ადგ.

ნაქერუ (ნაქერალი), საყანე.

ნაქობალუ (ნახორბლარი), ადგ.

ნაცუ (ნაშუ), ნაშვავი ადგილი.

ნაჭილუ, ჭიითი. „ჭიების სამოსახლო, ჭის თის ადგილი. ჭიები ცხოვრობდნენ დიდ ოჯახში, რომელშიც 24 მელოგინე იყო. თითოეულ მელოგინეს თავისი თია (წილი, ჯერი) ჰქონდა დიარაში (საერთო პურობა, სადილობა) და მახორობაშიც (კარ-მიდამოშიც). მას სათავეში ედგა დიდი კაცი ჭი. ჭიებს ომი მოუხდათ გაბიებთან და ერთმანეთი ამოხოცეს. ამის შემდეგ ამ ადგილს ნაჭილუას ან ჭიითს ეძახიან. მიზეზი ომისა ყოფილა ჭიების გვარის ქალიშვილის შეურაცხყოფა გაბიების მიერ“ – იასონ და მელიტონ ბერულავების, თედო კენჭაძის ნაამბობი.

ნაჭირუ. „ადგილი, სადაც ჭირიანობის დროს ამოწყვეტილა ხალხი“.

ნაჭკადური (ნასამჭედლარი), ადგ.

ნერჩი (ფუძე, ძირი), მთის ძირი.

ნეძმამული, ადგ. „ნიგვზის ტყე ყოფილა, რომელიც უცხოელ ვაჭრებს გაუჩეხიათ“.

ნოხორიი (ნასახლარი), ადგ.

ნოჯიხენი (ნაციხარი), ნათურქუსაც ეძახიან. დღესაც დარჩენილია მაგარი ქვითკირის ნაგებობის ნანგრევები. „აქ თურქის ფაშა მჯდარა დიდხანს, გარდაცვლილა და აქვე დაუმარხავთ. მიცვალებულისთვის საფლავში ოქროთი სავსე ქვაბი ჩაუყოლებიათ“.

ოგერგე, თოხით დასამუშავებელი ადგილი მთასა და მის დამრეც კალთებზე. „ასეთ ნაკვეთებს ხარი და კავი ვერ უდგება, ამიტომ თესენ თოხით. თოხი იციან ვიწრო, პატარაპირიანი“.

ოგვარგვალე, ჭორომიანი ადგილი.

ოკაკეში, ფიცრების სათლელი ადგილი.

ოკეგურე (საკერიო). „კერიის ქვები ამოჰქონდათ თურმე აქედან“.

ოკუეში (საკუე). „ჭაობიანი ადგილი. ბევრი კუ სცოდნია“.

ორიკეში, ადგ. რიკტაფელას სათამაშოდ.

ორიკეში. „რიკტაფელას სათამაშო ადგილი. რიკტაფელას 25-30 წლისა და მეტი ხნის მამაკაცები თამაშობდნენ. 25 წელზე ნაკლები წლოვანების მამაკაცს რიკტაფელას თამაშის უფლება არ ჰქონია“.

ოღაგუე, ადგ. ღაბუების (გვარია) ნასახლარი.

ოღვარია, ლაღვარაია. ღვარის, მეწყერის სავალი.

ოჩხამური (სათევზაო), მდინარე.

ოჩხონაფუ (საცხონებელი), ადგ. „ტეხურის ამ მცირე, მაგრამ საკმაოდ გაშლილ და უაღრესად ნაყოფიერ ადგილზე უხსოვარ დროში სალოცავი ყოფილა. ჟინანთარს მსხვერპლს სწირავდნენ, ოჯახის კეთილდღეობას სთხოვდნენო. ვინც ამ ჭალის ნაკვეთს მოხნავდა, იგი ღვთისგან დალოცვილი, ცხონებული ხდებოდა. სოფლის თითქმის ყველა მკვიდრს ამ ადგილას მცირე ნაკვეთი ჰქონდა სახნავად, საბოსტნედ მაინც. დალოცვილი მიწაა, კაკალი მარცვალი ზედ რომ დააგდო, გაიხარებს და ნაყოფით დაიტვირთება“ – პ. ნაჭყეპიას გადმოცემით.

ოცქვარე, ადგ.

ოხოპუე (სახოპე), ადგ. „ხოპი წყლის ამოსაღები დიდი კოვზია, რომელიც სიმძიმეს მოჰყავს მოძრაობაში და წყალს ხაპავს“.

ოხოჯური (სახარე), ადგ.

ოხოჯური (სახარე), სახნავ-სათესი ადგილი.

ოჯაეში (სახეო). „ადგილის სახელწოდებაა, სადაც ამ უკანასკნელ 40 წლამდეც მაღალ ხურმისა და ვაშლის ხეებზე მიშვებული ყოფილა მაღლარი ვაზი“.

პეხუში ნოხორიი (პეხუს ნასახლარი), ადგ.

რზენი კურზუ (ვაკე კურზუ), სოფ.

როგუ (ხრამი).

როდიდი, რობდიდი (დიდი ხრამი).

სანაჭყეპიო, ნაჭყეპიების უბანი.

სურამიაღალ (სურამიას ღელე).

სუხუღალი (სუხუსღელე).

ტეგი, ტყე.

უჩაშონა (შავი სვანური), ადგ. „წინათ ოჯალეშის ვაზი ყოფილა“.

ფაქარი, საყანე, მსუბუქი, მტვერივით ფხვიერი და ადვილად დასამუშავებელი მიწა.

ქეჯვარი (ქვისჯვარი), ხალხი იკრიბებოდა და თაყვანს სცემდა მას. ქეჯვარობა დიდი დღესასწაული იყო. ათასწლოვან ცაცხვის ხესთან აღმართული ხის ბოძის ძირას ახლაც კლავენ ხარს და ყველა ინაწილებს ხორცს. ეს იყო ყველასათვის სავალდებულო და წმინდა მოვალეობა. ძელთან ლოცვა იცოდნენ. „იმართებოდა ელიობის დღესასწაული. ქეჯვარი სვანებთან სადაო ყოფილა. ერთხელ სვანებს მოუტაცნიათ ეს ჯვარი და უგურყრელში წაუღიათ. დღესასწაულს აწესრიგებს სათემო მოწესე – მახვამური, რომელიც მხოლოდ ლოცვის რიტუალს ხელმძღვანელობს, გადაცემას, წყევლას გაურბის“ – იასონ ბერულავას ნაამბობი.

ქუაუჩა (შავი ქვა), ადგ.

ქუაუჩა (შავი ქვა). „შავქვიანი ადგილია, ქვაც შავია და მიწაც“.

ღუდუშონა, ადგ. „ამ ჯიშის მაღლარი ყოფილა აქ“.

ყაშიოგუნი (ტოტზე ჩამოსაკიდი). „ისეთი გაუვალი ადგილი ყოფილა, რომ მხოლოდ ხის ტოტზე ჩამოკიდებულს თუ შეეძლო გასვლა. ამიტომ გზასაც და ადგილსაც ტოტზე ჩამოსაკიდი დაერქვა“.

შეგეპიჯი, შებე მდინარისპირი.

შეგე, მდინარე.

შქედი, ბნელი, უღრანი ტყით დაბურული ადგილი.

ჩაიგა, მაღალი სერია, ჩეგა – თეთრი სერი.

ჩეშონა (თეთრი სვანური), მაღლარი ვაზის დობილო.

ცენდერი, მდინარე.

ცქიშონა, ვაზის ჯიში, მაღლარი. ადგილი.

ჭყონი (მუხა).

ხიარი. „ხის ჩამოსაგდები ადგილი მთიდან“.

ჯაპონა (თუთნარი).

ჯაპონა როგუ (თუთნარის ხრამი).

ჯვეში შარა. „ძველი გზა ნოქალაქევიდან და გორდიდან მიმავალი, მთებით კურზუში ჩადიოდა. აქედან ნაფიჩხუს გავლით თაიაში მიდიოდა“.

ჯიხა (ციხე).

ჯიხაში კარი (ციხის კარი). გოდოგნის ციხის მცირე მოედანია.

ლეხაინდრაო

სოფელი გაშლილია ვაკეზე, ბანძის, ნაჯახაოს და ნაგვაზაოს სასოფლო საბჭოებს შორის, მდ. ცხენისწყლის ნაპირზე, მისი ხეობის მარჯვენა მხარეზე. ნიადაგი ნოღელასა და ცხენისწყლის ქვიშითა და ლექითაა მოფენილი, ამიტომ უაღრესად ნაყოფიერია. ვაზი, ხილი და ბოსტნეული ძლიერ ხარობს. სიმინდი უხვ მოსავალს იძლევა. აქ არსებული ჩაის ვრცელი მასივები მწვანე დოვლათის დიდი მოსავლის მომცემია; ჩაი კი სოფლის მშრომელი მოსახლეობის შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. მდ. ნოღელას ნაპირზე გრძელდება ენეოლითური კულტურის ხაზი, რაც **კოტორის** მასივზე, „**გოგიას ნაოხვამუს**“ მიდამოებში, მკვეთრად დამახასითაებელი მასალებით გახსნილი იქნა კიდეც ჩვენ მიერ. აქ ნაპოვნი არქეოლოგიური მასალა ინახება გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

აბაშაჭაე (აბაშის ჭალა), საყანე.

აგურძურა, ადგ. სააგურე.

ბაკოსძუაეფიში მუხური, ბაკოსშვილების (დინოა) უბანი. გვარად დანელიები.

ბეჭუკიაში ტყა (ბეჭუკიას ტყე).

ბიტუიაში შეკებული (ბიტუიას შემოკავებული).

გაჯარი, ქვიანი, კადარი ადგილი.

გოგიაში ნაოხვამუ (გოგიას ნაეკლესიარი). „სამი მოზრდილი ბორცვია ველიანზე, ერთმანეთის გასწვრივ. უძველესი ნაეკლესიარებია“. არქეოლოგიური მასალები ადასტურებს მათს შეფენაზე ენეოლითური მოსახლეობის არსებობას.

გოძღოსძუაეფიში მუხური, გოძღოშვილების (დინო) უბანი, გვარად დანელიები.

გუიფური (გულცხელი). „ვენახის მაღლარი ჯიში ყოფილა. ამ ადგილს სიანსაც-სილიანსაც ეძახიან“.

დეიფანღეღე (დეიფანღელე).

დეიფანი, დერეფანივით ადგილია ცხენისწყალსა და ნოღელას შორის.

დიახონი (ჩახნული), ჩათხრილი, ჩავაკებული ადგილი.

დიხაკურზუღა (მიწაზვინული), ადგ.

ეგოგიე, გოგიების (გვარია) უბანი.

ეკვატაიე, კვანტალიანების მუხური.

ეკუპრე, კუპრავების უბანი, მუხური.

ეფუტკარაიე, ფუტკარაიების (გვარია) უბანი.

ეძიძე, ქიქების ან ქიქავების უბანი.

ეხაინდრე (სახაინდრავო), სოფ. ხაინდრავები აზნაურები იყვნენ, ერთი კუთხე მათი დასახლების უბანია, ხოლო მთელი სოფელი ეხაინდრეს სახელს ატარებს, ე. ი. მათი სამემკვიდრეო სამფლობელო ყოფილა. ამ აზნაურთა სამემკვიდრეო სამფლობელოში არის დანელიების, ბართაიების და სხვათა უბნები. ეს უბნები ყმა გლეხთა დასახლების ტერიტორიულ შემოსაზღვრულობას ერქვა, სადაც არსებული ყველა საგვარეულო ხაინდრავას ეკუთვნოდა, გლეხიც მისი სამემკვიდრო საკუთრება იყო. „**ხაინდრა ან ხაინდრავა** რამდენიმე კომლია, მაგრამ მთელი სოფლის ბატონები იყვნენ. ბართაია, დანელია რამდენიმე დინოსგან შედგენილი მრავალრიცხოვანი გვარებია, მაგრამ მხოლოდ დასახლების მიხედვით ეჭირათ უბანი, სადაც მათ ადგილი ან მიწა არ ეკუთვნოდათ. თვითონაც ხაინდრას (ხაინდრავას) კაცებს შეადგენდნენ. ასე იყო ეს ძველად“.

ეჯღარკე, ჯარკავების მუხური.

ზეგანი, ადგ. მომაღლო ბორცვიანი ზოლი მდინარის გაყოლებაზე.

ზუგა, მიწაზვინული, ხელოვნური ბორცვი გაშლილ ველიანზე. „ნაოხვამუსაც ეძახიან“.

კაკუცასძუაეფიში მუხური, კაკუცაშვილების (დინო) უბანი. გვარად დანელიები.

კაჟონა (კაჟნარი), საყანე.

კვადაცონა (ქაცვნარი). „ადრე ეს ადგილი ქაცვით ყოფილა დაფარული. მაშინ ცხენისწყალს კალაპოტის გაღრმავების საშუალებას არ აძლევდა. შემდეგ ქაცვი მოისპო, ტყე გაიჩეხა, მდინარეც ფართოდ გაიშალა და ვრცელი ნამდინარევი ჭალები შეიქმნა.“

კიზირიაში ტები (კიზირიას ტყე), ადგ.

კიჭურიეფიში მუხური, კიჭურიების უბანი, გვარად დანელიები.

კოდე (კბოდე), ადგ.

კოტორი. დიდი ფართობია ნარონას ტერიტორიაზე. სწორედ ამ ადგილზე მიუთითებენ გადმოცემები უძველეს ქალაქსა და ნასახლარს. კოტორის ტერიტორიაზე აღმოჩნდა საინტერესო არქეოლოგიური მასალა. მათ შორის ანტიკური ეპოქის მდიდარი რელიკვიებიც.

კოჩობასძუაეფიში მუხური, კოჩობასქუალეფის (დინო) უბანი, გვარად დანელიები.

მართაში ნახაჯუ (მართას ნაცერცვალი), ადგ.

მაღაი ონგერეში (მაღალი სამგლო), მცირე ზეგანია ამ ველზე.

მოენი ზეგანი (აქეთა ნაპირის ზეგანი), ადგ.

ნაბამბუ (ნაბამბარი), ადგ.

ნადიკონი, ადგ. შონურას მაღლარი ყოფილა აქ.

ნადუქანუ, ადგ. „წვრილმანებით სავაჭრო დუქანი მდგარა ოდეღსაც“. მსგავსი ტოპონიმი კიდევ სამ ადგილას გვხვდება ამ სოფელში.

ნაპაპუ (ნამღვდლარი). „მღვდლის ნამოსახლარი“.

ნაურემუ, საურმე გზა.

ნაქვიშა (მოქვიშული). „ქვიშით განოყიერებული საყანე ადგილები. ქვიშა ნოღელას ნაპირებიდან მოჰქონდათ. ბატონისაგან იძენდნენ მცირე ნაკვეთებს. თხრიდნენ ორმოებს, საიდანაც მოჰქონდათ ქვიშა და გაჰქონდათ სახნავ-სათეს ნაკვეთებზე“.

ნაჭვი (ნამწვარი) ადგ. „აოხრებული ნაქალაქარი“.

ნაჭვუ (ნაჭვავარი), ადგ.

ნახარდანუ (ნახარდნარი). „ხარდანის ჯიშის ვაზის ადგილი“.

ნახაჯუ (ნაცერცვალი). „ცერცვის მოსაყვანი ადგილი“. ასეთი ტოპონიმი სოფელში კიდევ ოთხია.

ნეიჯინჯი, ნეძიჯინჯი (კაკლის ძირი), ადგ. „დიდი კაკლის ხე მდგარა ოდესღაც. ესეც თავშესაყრელი ადგილი იყო, თურმე“.

ნოხორიი (ნასახლარი), **ნარონსაც** ეტყვიან. „მთელი ნოღელას დასავლეთი ნაპირი უძველესი ნასახლარი ადგილია. აქ ძველად ქალაქები და დიდი სოფლები ყოფილა“. მსგავსი სახელწოდება ამ სოფელში კიდევ სამ ადგილასაა.

ნოჯიხენი, მთელი მუხურია. მის ცენტრში ციხე მდგარა.

ნოჯიხუ (ნაციხარი), ბორცვია აბაშის ჭალაში. ზედაპირზე აქა-იქ შეინიშნება ქვითკირის ნანგრევთა ნაშთები. ბორცვი 100 კვ. მეტრზე მეტი ფართობისაა უკიდურეს ნაწილზე. გადმოგვცემენ, რომ აქ თამარის დროს ციხე და დიდი ქალაქი ყოფილა, ლამაზი კოშკებითა და დარბაზებით. მის ირგვლივ ჭალაში კი უამრავი ხალხი ესახლაო – გვარწმუნებენ გადმოცემები. მთელი ნოჯიხენი სულ დასახლებული ყოფილა, ხოლო სადაც ახლა ლეხაინდრაოა, სულ გაუვალი, უღრანი ტყე იყო თურმე.

ოეკეში (სალეკო), ადგ. „აქ იღებდნენ ლეკს ან ეკს, რომელსაც აზავებდნენ ნიგვზის კანთან (ბერწოსთან) და იყენებდნენ საღებავად. ღებავდნენ შალისა და უფრო ხშირად ბამბის ნაწარმს“. მინელარული თიხაა.

ოისირე (საისლე), ადგ. მსგავსი ტოპონიმი კიდევ ოთხია ამ სოფელში.

ოკატუეში (საკატე), ადგ. „გაუვალი ტყე იყო ისეთი, რომ შიგ მხოლოდ კატა თუ გაივლიდა“.

ონგერეში (სამგლო), ჩირგვნარი.

ოჭარკუნეში (საჭარკუმო). „ადგილი სადაც მარულა და ჯარობა იმართებოდა. ჭარკუმის თამაში აქ ძლიერ გავრცელებული თამაში იყო“.

ოხვამე (ეკლესია). „დანელიების ეკლესიასაც ეძახდნენ მას. დანელიებს ახლაც აქვთ ეკლესიის შუა ადგილას ვეებერთელა ქვევრი, რომელსაც ავსებდნენ თურმე, შონურით. ქვევრს მოხსნიდნენ აღდგომა დღეს, ჯერ **ოდუდიას** საოხვამუროს ყველა წესს შეასრულებდნენ, შემდეგ აქვე, ეკლესიაში მოუსხდებოდნენ საერთო სუფრას და ილხენდნენ, ცერემონიალს ხელმძღვანელობდა მორიგეობით გვარის თითო მხცოვანი წევრი“ – პროფ. სერგი დანელიას ნაამბობი.

ოჯარე (საჯარო). „მუხის ხეებით შემოფარგლული მოედანი. ძველთაგანვე თავშესაყრელი ადგილი“.

რიყე, ადგ.

რღია, ღელეა.

საანგურო, სააგურე. „ადგილს **აგურძურასაც** ეძახიან“.

საჩეხი, ადგ. ადრე ტყე ყოფილა, ახლა მინდორია.

სტეფაში დაბაი (სტეფას დაბალი). „სტეფა დანელიასი ყოფილა ეს ადგილი. მოედნის ცენტრში დუქანიც ჰქონია“.

სურანდი, ადგ. ვაზის ჯიშად თვლიან, მაგრამ არავის ახსოვს იგი.

სუხანე, ღელეა.

ტები (ტყე), ასეთი ტოპონიმი კიდევ რამდენიმეა სოფელში.

ქუცონა (ეკლნარი), ადგ.

შეხუეფიში შეკებული (შეხუების შემოკავებული).

ცხემურონი (რცხილნარი) ადგ.

ძორგოში კარი (ძორგოს კარი), უბანი.

წიფურონი (წიფლნარი), ადგ.

წყურგიი, წყუთოი (წყარო ცივი, წყაროსთვალი), ადგ.

ჭადარჯინჯი (ჭადრის ძირი), ადგ.

ჭუბაბრიაში დიხა (ჭუბაბრიას მიწა), ადგ.

ჭყონა (მუხნარი), მინდორი.

ჭყონა (მუხნარი), საყანე.

ჭყონიში ჯინჯი (მუხის ძირი), ადგ.

ჯვეში შარა (ძველი გზა), ნოღელას გაყოლებაზე მიდის.

ჯორიესძუაეფიში მუხური. ჯორიეშვილების (დინო) უბანი. „ჯორიე“ დანელიების ერთ-ერთი დიდპაპა ყოფილა. მისმა შტომ შეადგინა საჯიმალო (საძმო) ჯორიესქუაეფისა. ისინი დანელიების გვარისანი არიან, მაგრამ ჯორიეს შტოს ეკუთვნიან.

გეგეჭკორის რაიონის ლოხაინდრაის
სასოფლო საბჭოს ისტორიულ-გეოგრაფიული
(ტოპონიმიკური) რუკა.
გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.
1963 წ.
ძირითადი ნიშნები:
სასოფლო საბჭოს საზღვარი;
მდინარეები;
გზები;
მასშტაბი: 1 X 10000

ნაგვაზაო

სოფელი მდებარეობს ნოღელისა და ცხენისწყლის ნამდინარევ ვაკეზე. მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი ნოღელასა და ცხენისწყალს შორისაა გაშლილი, ხუნწისა და ლეხაინდრაოს სასოფლო საბჭოების მეზობლად. ნიადაგი ქვიშნარია, ხოლო სოფლის ცენტრისკენ უფრო ეწერი მიწებია, სადაც ძირითადად ჩაის პლანტაციებია გაშენებული. ქვედა ნაგვაზაოს ტერიტორიაზე ალუვიური ნიადაგიც გვხვდება, კარგად ხარობს ვაზი და ხილი.

ნაგვაზაო წარმომდგარია **გვაზა** გვარიდან, ნაგვაზუ სიტყვასიტყვით გვაზავების ნასახლარია. ახლა აქ ოცამდე სხვადასხვა გვარი სახლობს, გვაზავები კი საგრძნობლად მცირერიცხოვანია.

ანტონიში ტები (ანტონ ჭყონდიდელის ტყე), ტყე.

ბუჯონა (ბალნარი).

ბუკონა (საბუკო, სასკო), საფუტკრე ადგილი.

გაზუ. უბანი, გვაზავების ან გაზების (გაზა გვარია) პირველი სამოსახლო.

დილიჟანიში შარა (დილიჟნის გზა).

დიხაკურზუჯა (მიწაზვინული), ნასალოცვარი ადგილი.

დოგერა (ვაზნარი ტყე), დღეს შიშველი ფერდობი.

დოგერარზენი (დობილოიანი ველობი).

დორხვეი (საკუთარი). „გლეხ სურმავას უყიდია ეს მიწა საკუთრად ჩიქვანისაგან“.

ენწერი (ეწერი), ადგ.

ეცერცვე (ცერცვების (გვარია) უბანი), ადგ.

თხინა (თხილნარი), ადგ.

კაკოური, ადგ.

კაჟონა (კაჟნარი), საძოვარი.

კარობა (კარვობა), ადგ.

კოდე (კბოდე), სოფელში ორ ადგილასაა ასეთი სახელწოდება.

მინდორი. საბურთაო, საჯარო ადგილი.

მინჯედუდი (პატრონთავი), ადგ.

ნაგვაზუ, გვაზავების (გვარია) ნასახლარი, ადგ. პირველი საწყისი ფორმა ყოფილა გაზა, გაზუ.

ნადეი (დადებული), ახოდ აღებული ადგილი.

ნამანცხვარი (მაცხოვრის ხატი), ადგილი ნაეკლესიარია.

ნამანცხვარი (ნამაცხოვარი), ადგ.

ნანდუ (დევების ნასახლარი), ადგ. „აქ დევებს გაუთხრიათ დიდი არხი და მის გაყოლებაზე მაღალი ბორცვის ზოლი აღუმართავთ. დღესაც არის კვალი იმ არხისა და ბორცვის ზოლისა“. ბორცვის სიგანე 7 მეტრზე მეტია, ხოლო არხის ფართობი 5 მეტრი. ბორცვის ზოლი 500 მეტრზე გრძელდება, სიმაღლე კი დღეს ორ მეტრამდე აღწევს. აქ გვხვდება ნეოლითური ხანის იარაღები: ცულები, კაჟის დანები, სატევრები, ისრის წვერები, სასრესი ქვები, კერამიკული მასალა და სხვ.“.

ნანტკუ. „საყანე ნაკვეთი, ტკილით (მერგელით) განოყიერებული“.

ნარონი (ნადგომი), ადგ.

ნატყუ, ტყე გაჩეხილი და ახოდ აღებული.

ნაქვიშა (ნაქვიშარი), საყანე.

ნაღუმუ (ნაღომარი), ადგ.

ნაშენი. „ხელოვნურად მონაშენებული ბაღნარი“.

ნაჭკადუ (ნასამჭედლარი), ადგ.

ნახაჯუ (ნაცერცვალი), ადგ.

ნოღა, ღელეა.

ნოჯიხენი (ნაციხარი), ადგ. ნათურძუსაც ეძახიან.

ობრუი (სარბენი). „დოღისა და მარულას ადგილი, გაშლილი მოედანი, სადაც ჯარობა იმართებოდა ხოლმე“.

ოეკეში (საეკო). „მინერალური თიხის (ეკი) მოპოვების ადგილი. იყენებდნენ საღებავად“.

ოძრო მარხია, ადგ. „თურქების შიშით სოფლიდან აყრილ ადგილობრივ მკვიდრთ აქ ოქრო ჩაუმარხავთ“.

ოხვამეკარი (ეკლესიის კარი), ადგ.

ოჯარე (საჯარე), ადგ.

როკონა (ძირკვნარი), ადგ.

რღია, ქვიანი და ჩირგვიანი მდინარის პირი.

საეკლესიო, ადგ. ეკლესიის მამული, მაღლარი ვაზის ნაშენი.

საეჩხომო შარა (ლეჩხუმის გზა). „ლექჩუმიდან ზუგდიდისაკენ მიმავალი გზა მარსილში და აბედათში გადადიოდა. ამ გზით დადიოდა გორდში დადიანი“.

სანაონთხო (სამეოთხედო), ადგ. „მღვდლებისაგან ჰქონიათ გლეხებს ეს მიწა აღებული სამეოთხედოდ, ე. ი. მოსავლის მეოთხედს მათ აძლევდნენ“.

ტები (ტყე), მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ ოთხ ადგილას გვხვდება.

ტობეში, ტბაა, დაგუბული, გაუვალი.

ტყაკიდე (ტყის პირი), ასეთი ტოპონიმი კიდევ რამდენიმეა.

ფერდა (ფერდობი), ადგ.

ქუაჯონი (ქვიანი), კაჯარი ადგილი.

შონა, შონური (სვანური). „ადგილი, სადაც ამ ჯიშის ვაზი იყო მაღლარზე“.

ჩიქვანიში დიხა (ჩიქვანის მიწა), ადგ.

წოწორიაში ნადიხუ, ადგ. „წოწორიას მიწა. წოწორიას ნაყანარი“.

წყუთოი (წყაროსთვალი), ადგ.

ჭვენია, ნორჩი ხეების ტყე.

ჭყონა (მუხნარი), ადგ.

ხონიში შარა (ხონის გზა). „ქალაქის გზა ერთვოდა საფოსტო გზას“.

ჯუჯუ, „გაუნათლებელ, ველურ კაცს ეძახიან“. ადგილის სახელწოდება აუხსნელია.


გეგეჭკორის თაითნის ნაგვაბაოის სასოფლო საბჭოს
ისტორიულ-გეოგრაფიული (ტოპონიმიკური) რუკა.
გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
1963 წ.
ძირითადი ნიშნები:
სასოფლო საბჭოს საზღვარი;
მდინარეები;
გზები.
მასშტაბი: 1 X 10000

ნახუნაო

სოფელი მდ. აბაშასა და თამაკონის (უნაგირას) მთას შორის, მის ფერდობზე მდებარეობს. იგი სამ ნაწილად იყოფა: წინაკვერკვე (წმინდა კვირიკე), ნახუნაო და ჭაბურთა. ნახუნაოს სამხრეთ-აღმოსავლეთი უბანი ეჭილაიეა – „ჭილაიების უბანი“. ნიადაგი ალუვიური ხასიათისაა, ამიტომ კარგად ხარობს ვაზი და ხილი. აქაური ხილი, თაფლი და ღვინო განთქმულია. განსაკუთრებით კარგია „სვანურის“ ღვინო, რაც ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ ამ სოფელში მოდის. კარგი მოსავალი და საუკეთესო ღვინო იცოდა იქაურმა იზაბელამაც. ნახუნაოს იზაბელა მთელ სამეგრელოში არის ცნობილი. ხარობს ჩაი, დაფნა, ტუნგო. სიმინდის მოსავალი მცირეა. ყოველ ოჯახს მრავლად ჰყავს ფუტკარი. წმინდა კოლხური, გრძელხორთუმიანი ფუტკარი იძლევა საუკეთესო თაფლს, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი უხვად იყენებენ საკვებად, სამკურნალოდ, ხშირად არაყსაც ხდიან. ამ სოფლის ერთ-ერთი თავკაცი, ცნობილი პედაგოგი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ დიმიტრის ძე ცანავა მევენახეობასა და მეფუტკრეობაში მდიდარ ტრადიციას ნერგავს მთელ სოფელსა და რაიონში. ამ მხრივ მას წინაპრებიც ჰყავდა, კერძოდ, იოსებ ანჯაფარიძე. იგი XIX საუკუნის მეორე ნახევარში სოფლის სამეურნეო ტრადიციათა თავდადებული პროპაგანდისტი იყო. მისი ხელნაწერი წიგნი, რომელიც გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება, მეტად საინტერესო ნარკვევია ამ მხარის ბუნებისა და მეურნეობის შესახებ.

აკიდონა, მაღლარი ვაზის ჯიში და მისი ადგილი.

ახაში გა (ახაიას სერი). „ახაია მრავალრიცხოვანი ოჯახის პატრონი ყოფილა. უცხოვრია ამ სერზე. გადმოცემით აქედანაა წარმოშობილი გვარი ახაჲია (ახალაია)“.

ბახო, სოფლის ცენტრალური უბანია, გუძუბასებრ ბორცვის შეფენაზე. ბორცვის დასავლეთით არის ნასალოცვარი, უძველესი სამარხით, სადაც ხშირად პოულობენ ბრინჯაოსა და რკინის იარაღებს, მეტალურგიული წარმოების რელიკვიებს და კერამიკულ ჭურჭლებს, საცრემლეებს. სახელწოდება გაურკვეველია.

ბერიწყუ (ბერის წყარო).

ბუიგა (ბლის სერი).

გაგურა, ნასალოცვარი მიწაზურგა.

განაჭკირა. „გზის გასაყვანად გაჭრილი ბორცვი“.

გაფათი, გაფაში ნოხორიი, გაფაშითი (გაფას სახლი), ადგ.

გეგეწყუ (გეგეს ჭა), გეგეში წყუ.

გერიეფერდი (გერიეფერდობი).

გინაჩამაი, ადგ. „გადასაცემი, ნასალოცვარი“.

დიხაკურზუე (მიწაზვინული), ადგ. ნასალოცვარი.

დოგერა, დობილოიანი მასივი.

ენწერი (ეწერი), ადგ.

ესვიე (სასულავო), „სუების (სუჲა გვარია) უბანი“.

ესიგუე (სიგუების უბანი), სიგუების სამოსახლო.

ეცანე, ცანათი. „ცანავების უბანი, ცანების სამოსახლო, მათი თი“. ცანა, ლიტ. ქართ. ცანავა.

თხომურა (თხმელნარი), ადგ.

კირდეში ჯინჯი (კლდის ძირი), ადგ.

კოჯოში (მწარისა), ადგ. „ვაზის ჯიში ყოფილა. დღეს არ არის დაცული არსად. ადგილი საყანე მასივია“. ასეთი ტოპონიმი აქ კიდევ ორ ადგილას გვხვდება.

კოკათი, კოკას თი (კოკას ნასახლარი), ადგ. „აქედან უნდა იყოს გვარი კოკაია“.

კოკულაი (ჯუჯა ღელე).

კონკი, მაღალი ბორცვი.

კოჩიში გიმმაჩამაეფიში შარა (კაცის გამყიდველთა გზა). „ამ გზით დადიოდნენ ყაჩაღები და მოტაცებული ბავშვები და მოზრდილები მიჰყავდათ ზღვისპირეთისაკენ“.

კუტაიერი, მოკლე ასასვლელი, გზა.

მათმამური, ადგ. „მამულიანი, ვენახიანი, ხეხილიანი ადგილი ყოფილა“.

მანცხვარი (მაცხოვარი), ადგ.

მარსიი, საყანე მასივი.

მაფათი, მაფაში ნოხორიი, მაფაში თი (მაფას სახლი), ადგ.

მენჯი, მთის ფერდობია, მარილიანი წყარო გამოდის.

მერიდიაში ფერდი (მარიდიას ფერდობი).

მექალაქეში შარა (მექალაქის გზა). „თამაკონიდან და ტეხურის იქითა სოფლებიდან ამ გზით გადმოდიოდნენ ბაზარში მიმავალი გლეხები. მაშინ ბაზრობა მარტვილში იმართებოდა“.

მორცხენა, ფერდობი. საყანე.

ნაბამბუ (ნაბამბარი), ადგ.

ნაგაგოუ, უბანი. „გაგუების ნამოსახლარი“.

ნადოხორუ (ნასასახლარი), ადგ. „აქ ფაღავების სასახლე და ციხე-სიმაგრე ყოფილა“.

ნადოხორუ (ნასასახლარი), ადგ.

ნათურქუ ჯიხა (ნათურქული ციხე).

ნაინჭუ. „აქ ძველი ჭა ყოფილა, ახლა სახნავი ფართობია“.

ნაკამბეჩუ (ნაკამბეჩარი), ადგ.

ნაკვეცუ (ნაკვეკვეცუ), ადგ. „კვეკვეციას (გვარია) ნამოსახლარი“. ასეთი ტოპონიმი სოფელში კიდევ მეორეა.

ნამადანუ (ნამადნევი). „მარგანეცის მადნის მაღარო“.

ნამარანუ (ნამარნევი), ადგ.

ნაოჭკადუ (ნასემჭადლარი), ადგ.

ნაოხვამუ (ნაეკლესიარი), ნასალოცვარი.

ნარონი (ნადგომი), ადგ.

ნაროუ, ადგ. „ნასახლარია“.

ნასია. „მოსილული ადგილი, უხვმოსავლიანი სახნავი.

ნაუნძუ, ადგ.

ნაფარუჲუ, ადგ. „ფარუჲას (გვარია) ნასახლარი“.

ნალუ, პატარა ღელე.

ნაცაცხვარა (I), ბორცვი. „გადმოცემით, უხსოვარ დროში ნდიების-დევების ნაოჭკადუ. ოდესღაც ბორცვზე ათასწლოვანი ცაცხვი მდგარა და ამ 50 წლის წინათ წაქცეულა“.

ნაცაცხვარა (II) ბორცვია, „რომლის თხემზე ცაცხვი დგას. ასწლოვანი ცაცხვი საკულტო ხედ ითვლებოდა. აქ მოჰქონდათ შესაწირავი. იცოდნენ სათემო ლხინი“.

ნაცქირუ, უბანი, ცქირიების (გვარია) ნასახლარი.

ნაჭითანუ, ადგ. „ჭითანების (გვარია) ნასახლარი“.

ნაჭკირა (განაჭერი), ახო, ადგ.

ნახარდანუ (ნახარდნარი) ადგ.

ნახუნუუ, ს/ს, ამ ტოპონიმის შესახებ მრავალი გადმოცემაა. მათ შორის ერთი ნაწილი მას ნაჰუნაოდან წარმომდგარად თვლის. „ოდესღაც ჩვენს ქვეყანას უცხო წარმოშობის ჰუნები შემოსევია და მათი ჯარი დაბანაკებულა აქ. ამიტომ ადგილს ნაჰუნუ ან შემდეგ ნახუნუუ დარქმევია. ჩვენი ძველები ჰუნებს ხუნებს უხმობდნენო.“ მეორე ნაწილი გადმოცემებისა სოფელს ნახუხუნუს უწოდებს. ეს ადგილი ხუხუნების გვარის ნასახლარი ყოფილა. ხუხუნების გვარის უკანასკნელი ნაშიერნიც (გედეონ ხუხუნი და სხვ.) თვით მათ წინაპართა ნამოსახლარ ადგილებსაც კი უჩვენებენ. ნახუნაო ყოველმხრივ საინტერესო სოფელია. აქ ორ ადგილას აღმოჩნდა პალეოლითის ხანის ადამიანის ნასახლარი, მდიდარი ინვენტარით. ერთ ადგილას ზედაპირულად მოისინჯა ნეოლითური საცხოვრისი. სოფლის 10 სხვადასხვა ადგილას არის მიკვლეული უძველესი მეტალურგიული წარმოების კერა. „ნახუნაოს მთა მდიდარია მარგანეცით და სპილენძით, რომლის ბაზაზე ჩვენს წინაპრებს უწარმოებიათ რკინისა და ბრინჯაოს მეტალურგია. 1900 წელს იტალიელ მეწარმეებს აქედან მარგანეცის გაზიდვაც კი დაუწყიათ საზღვარგარეთ“ (გ. ცანავას გადმოგცემა).

ნოისინჯეი, სახნავ-სათესი ადგილი.

ნოხორიი (ნასახლარი), ადგ.

ოაკაცე (სააკაციო), აკაციების ტყე.

ოგერგუი (სათოხნი), საყანე.

ოთიფური (სათიბი), დღეს საყანე.

ოისირე (საისლე), დღეს საყანე.

ოკატუეში (საკატე), გზა.

ოწყიეში, წყავის, შქერის ადგილი.

ოხვამე ფერდი (ეკლესიის ფერდობი).

საბაკარი (საბას კარი), ადგ.

სამარჭო, ადგ. „წინათ ამ ჯიშის მაღლარი ვაზი ყოფილა“.

საყარაუჲო. „ადგილი, სადაც ტყვეთა მტაცებლობისაგან თავისთავად სოფელს მორიგეობით ეყენა ყოველღამე ყარაული“.

სვანური, ადგ. „აქ მისი მაღლარი ყოფილა“.

სტეფაში ოისირე (სტეფას საისლე), ადგ.

ტარჩენი, მდინარე.

უნაგირა. „თამაკონის და ნახუნაოს მთას ლებაჩიედან ვიდრე სახარბედიომდე ასე ეძახდნენ“.

ფართოღაი (ფართო ღელე).

ფაქვაში, ჩავარდნილი, ჩაქცეული ადგილი.

ქვაციში კოდმე (ქვაცის კბოდე).

ყაიში, ადგ.

შონური, ადგ. ვაზის ჯიშია.


სოფ. ნახუნცოს
ტოპონიმიკური რუკა.
გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის
მუზეუმი.
1961 წ.
ბირობითი ნიშნები:
სოფ. ნახუნცოს ტერიტორიალური საზღვარი,
მდინარეები,
გზები,
ძველი გზები.
მასშტაბი: 1X10000

ჩორგეი. „ეჩოთი დასამუშავებელი ადგილი“.

ჩხეტიაში წყუ (ჩხეტიას ჭა), ადგ.

ცაცხვფერდი (ცაცხვის ფერდობი).

წიდა. ადგილი, სადაც უძველესი მეტალურგიული წარმოების ნაშთებს ვპოულობთ. ასეთი მიკროტოპონიმი სოფელში კიდევ ერთია.

წინაკვერკვე (წმინდა კვირიკე), დიდი სოფელი.

წკანტლაი (მოწანწკარე ღელე), წვეთ-წვეთად მომდინარე.

წკირლაი, ღელე.

წყვია (მეწყერი) ადგ.

წყოფონა, ადგ.

ჭაბურთა (საბურთაო ჭალა), სოფ. გაშლილი ველობი ისკიას, პატარა მთის მდინარის სანაპიროზე. „ოდითგანვე თავყრილობის, საჯარო და სასეირო ადგილი“.

ჭადარჯინჯი (ჭადრის ძირი), ადგ.

ჭეჭყი, ჭაობიანი, ჭეჭყოიანი ადგილი.

ჭკადუროგუ (სამჭედლო ხევი), ადგ. „უძველესი ნასამჭედლარი“.

ჭოდონა, ადგ. „ჭოდი (ვაზის ჯიშია) იყო მაღლარზე მიშვებული“.

ჭუხეთი, ადგ. „ჭუხს, მინერალურ საღებავს იღებდნენ მიწიდან“.

ხაჯიეთი, ადგ. ხაჯიების (შვარია) ნასახლარი.

ხურგა (მიჯნა). „მიწათმფლობელთა სასაზღვრო ადგილი. ამ ადგილისათვის ხშირად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ხდებოდა“.

ხუფერეთი, ადგ. „ხუფერიების (გვარია) ნასახლარი“.

ხუფერეთი, ადგ. „ხუფერიების (ხუფერია გვარია) ნასახლარი. დღევანდელი ხოფერია“.

ჯახიერი (ნაჯახირალი), ადგ.

გეგეჭკორის რაიონის ნაჯახაოს
სასოფლო საბჭოს ისტორიულ-გეოგრაფიული
(ტოპონიმიკური) რუკა.
გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.
1963 წ.
ტარობითი ნიშნები:
სასოფლო საბჭოს საზღვარი;
მდინარეები;
გზები.
მასშტაბი: 1 X 13000

ნაჯახაო

სოფელი ორი ნაწილისაგან შედგება: ნაჯახაო და ნაგებერაო. ორივე სოფელი ძველ ქართულ გვართა ნასახლარია, ერთში ჯახუები და მეორეში გიგიბერიები სახლებულან. დღესაც სახლობენ, ოღონდ მცირე რაოდენობით. სოფელი მდებარეობს ცხენისწყლისა და ნოღელას ნამდინარევ ვაკეზე. ნიადაგი მოფენილია ქვიშით და ძლიერ ნოყიერია. აქ ხარობს ვაზი და ხილი, ბოსტნეული და მარცვლეულიც. განსაკუთრებით ვრცელი მასივები უჭირავს ჩაის პლანტაციებს.

ბარბაეკარი, ადგ. „წმ. ბარბალეს სახელობის ეკლესიის მოედანი. ბარბალობა იმართებოდა ყოველწლიურად. აქ ვეებერთელა, ათასწლოვანი ხეებიც მდგარა. ერთ-ერთი მათგანი წმინდა ხედ ითვლებოდა“.

ბერტონა (ბელტნარი), საყანე. ნახნავზე დიდი ბელტები ცვივა.

ბოგორონი (ბოგვერონი), ბოგვერა ბალახის ადგილი.

განარჯიაში მუხური (განარჯიას უბანი). „ტალახიანი, გაუვალი ადგილი. ცოტას რომ მოწვიმდა, კაცი ცხენით თუ გავიდოდა, თორემ ისე ძნელი იყო გასვლა. ტყე სავსე იყო ნადირით. გადმოცემით, თვით განარჯია ბოროტი კაცი ყოფილა, ამიტომ ყველას ეშინოდა ამ ადგილას გავლაო. ღვთისა და კაცისაგან მოძულებული კუთხეაო, – იტყოდნენ ამ ადგილზე. თურქობის დროს ჯერ მტერს და შემდეგ ჭირს ისე მოუსრავს ხალხი, რომ მხოლოდ ერთი მოსახლეღა დარჩენილა. ხალხი შიშით ვერ ეკარებოდა ამ კუთხეს. ამიტომ გატყიურებულა უბანიც და ის კაციცო“ (პლატონ დანელიას ნაამბობი). ხალხში დარჩენილა წყევლა: „ძუდგოხუნუნი განარჯიაში მუხურს“ (განარჯიას მუხურში დაგსვა).

გაჯარი (ქვიანი), საყანე, წითელმიწა, მაგარი ნიადაგი.

გიორგი წულუკიძეში დიხა (გიორგი წულუკიძის მიწა), ადგ.

გონონთხორიი (გადათხრილი). „თურქობის დროს ადგილობრივ მცხოვრებლებს მინდორში ღრმა თხრილი გაუჭრიათ მტრის შესაკავებლად და უკუსაქცევად. აქ დიდი ბრძოლა მომხდარა. დღესაცაა დარჩენილი მიწაზვინული და თხრილის ზოლი“.

გოჯოში მამული (გოჯოს მამული), ვაზნარი.

გუჯაში მამული (გუჯას მამული), ადგ.

დაბალი ჭალე (დაბალი ჭალა), ადგ.

დეეფანი (დერეფანი), ადგ.

დიახონი, მდინარის პირისაკენ ჩახრილი, ჩავაკებული კბოდე.

დიხაკურზული (მიწაზვინული). „თურქობის დროის ჭირგამოვლილი ადგილი. ბორცვის ფერდობებზე ხვნისას სულ ადამიანის ძვლები, შუბები, ხანჯლები და სხვა ცვივა მიწიდან. ამბობენ, აქ დიდი ომი მომხდარა. მტერს სულ ამოუხოცია მოსახლეობა“.

დიხაკურძული (მიწაგორა), ბორცვია. ნაოხვამუსაც (ნასალოცვარსაც) ეძახიან.

დობერა, მაღლარი ვაზის ტყე. დღეს საძოვარი.

ებახიე (საბახიო), ბახიების (გვარია) უბანი.

ეგოგიე, გოგიების (გვარი) უბანი.

ეკაე, ადგ. „აქ ყოფილა ეკი, რომელსაც საღებავად იყენებდნენ“.

ეძაგანე, ძაგანიების (გვარია) უბანი.

ეწერი, მწირი და უმოსავლო ადგილი.

ეწირქვე, წირქვაიების (გვარია) უბანი. „წირქვა წარმომდგარია წირიი ქუასაგან (დაწურული ქვა). მათი წინაპარი ძალიან ხელმოჭერილი ყოფილა და ამიტომ მის გვარს ასე ეწოდა“.

ვერხონა (ვერხვნარი), ადგ.

ზაკაული, ბზის ტყე.

ზუგა (მიწაზურგა), ადგ.

კიკიანიში ნოხორიი (კიკიანის ნასახლარი), ადგ. ასეთი ტოპონიმი აღმოსავლეთ სამეგრელოს მრავალ ადგილას გვხვდება.

კიმოში დიხა (კიმოს მიწა), ადგ.

მეედანი (მოედანი). „შეკრება-ჯარობის, ჯირითისა და გართობის ადგილი“.

მექალაქეში შარა (მექალაქის გზა), (მარტვიიში შარა) – ეს გზა მარტვილში, ნაოღალევში მიდიოდა.

ნაგიბერუ, ადგ. გიგიბერიების (გვარი) ნასახლარი.

ნადუქანუ (ნადუქნევი), ადგ.

ნაკიფუ (ნაკანაფარი), ადგ.

ნამანტები, ადგ.

ნამუნჩქვერა (ნამაჩვარი), ადგ.

ნამუჩქვერა (ნამაჩვარი), ადგ.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი). „ეს ადგილი და მისი მიდამოები თურქობამდე ჭას გვარს სჭერია, მეორე ციხე ჯახუას ჰქონია. ციხე და ეკლესია მათ გაუშენებიათ. ჭას გვარი ძლიერ შეუვიწროებია მტერს და აქედან აყრილა. დანელიები გვიან ჩამოსახლებულან“.

ნარონა. „ნოღელას ნაპირებზე უძველესი ნასახლარი ადგილები“. მთელი ნოღელას პირის გასწვრივ მიდის ეს ზოლი, ხუნწიდან ვიდრე შესართავამდე.

ნასვანჯია, ნასვენი ადგილი.

ნაჭვი (გადამწვარი). „მტერს გადაუწვავს და აუოხრებია ეს ადგილი“.

ნაჭვუ (ნაჭვავი), საყანე.

ნაჭკიდუ (ნაჭადარი), ადგ.

ნაჭკირა (გაჭრილი), გზა.

ნაჯახაო, ს/ს. მას მკვიდრი მოსახლეობა ნაჯიხუს (ნაციხარს) ეძახის. სხვა გადმოცემით, ტოპონიმს ჯახუების გვარიდან წარმოებულად თვლიან. „ჯახუების გვარი ამ სოფლის უძველესი მკვიდრია. მათი სალოცავი დიდი ჭყონის (მუხის) ძირასაა. გვარის მეთაური ჯახე ყოფილა, ჯაში ხემანწყუ (ხის მსახური), (მსგავსი კომპოზიტი-ტოპონიმი გაჭედილშიც გვაქვს: თოფხე – მეთოფე, თოფის მსახური) – ასე ირწმენუბა ეს გადმოცემა. შეიძლება ჯახუას გვარი ჯახედან არის მიღებული, ხოლო სოფლის თავდაპირველი სახელწოდება ნაჯახუ იყოს.

ნეძიჯინჯი (კაკლის ძირი), ადგ.

ნოღაპიჯი, ნოღელას პირი.

ნოჭკერი (ნაჭერი), ადგ.

ნოჯიხუ (ნაციხარი), ადგ. „ოდესღაც დიდი და ძლიერ გამაგრებული ციხე მდგარა. აქ ხშირი მოსახლეობა ყოფილა თურქების შემოსევამდე. სოფლები გადაუწვავთ და ციხე დაუნგრევიათ“.

ღაღვანა, ღელე და მისი მიდამოები, იანდღვირი (ამღვრეული).

ობამბე (საბამბო), ადგ.

ოისირე (საისლე), საყანე. მსგავსი ტოპონიმი კიდევ ორია აქ.

ოსხუე (სამსხლო), ადგ „ჭუტა მსხლის ხშირი ტყე ყოფილა“.

ოტოფუ (სატოფო), ადგილი მდინარესთან. ტოფუ ქორჭილის ტიპის ბრტყელი, ელიფსის ფორმის თევზია. იზრდება 20 სანტიმეტრამდე. ზურგი დაფარული აქვს ჯაგარივით მაღალი ფარფლით. ხორცი ძალიან გემრიელი აქვს. აქედანაა ტოპონიმი ონტოფუ, ან თავდაპრველი ოტოფუ.

ოტურეში (სატურე), ტყე.

ოფიცერიში დიხა (ოფიცრის მიწა), ადგ. „ფაღავას ვიღაც რუსი ოფიცრისათვის უჩუქნია ეს მიწა, ომერფაშას წინააღმდეგ ომში აქტიური მონაწილეობის გამო“.

ოჩე, „უხვნაყოფიერი, დოვლათიანი ადგილი“.

ოჭარკუმეში (საჭარკუმო). „ჭარკუმის სათამაშო ადგილი“. მსგავსი ტოპონიმი კიდევ ორია ამ სოფელში.

ოხაჯე (საცერცვო), ადგ.

ოხვამე (ეკლესია). „დადგმულია მიწაზვინულზე, რომელიც, გადმოცემით, უძველესი ნაეკლესიარია“.

ოჯარე (საჯარო), სოფლის ცენტრში მოედანი.

პაპაში დიხა (მღვდლის მიწა), ადგ.

პაპაში ნაეზვარი (მღვდლის ნაეზოვარი), ადგ.

პატონსძუაში ნადოხორუ (ბატონიშვილის ნასახლარი), ადგ.

პეტრეში კარი (პეტრეს კარი), ადგ.

რეგა (კბოდე), ადგ.

საეკლესიო, ადგ. ეკლესიის მამული.

საპატონო (საბატონო), ბატონების მამული, საყანე.

საღვთო საოხორო (საღვთო სამოსახლო), ადგ.

სურანდი, პატარა ღელე.

სუხანეპიჯი (მდ. სუხანეს პირი).

სუხანე, ღელე. „სქურდი, სჭურჭემია, სქური, სუხანე, სუხჩე, სურანდი, სუჩელა და სხვა სულ ღელეების სახელებია. სძუ და სუ წყლის, წყაროს წყლის, ან პატარა მდინარის სახელწოდება ყოფილა თავდაპირველად“.

ტები (ტყე), ასეთი ტოპონიმი სოფელში რამდენიმეა.

უსახელო. „სულ სადაო და საცილო ადგილი. ფაღავებს აქ უსახელოური ვაზი ჩაუყრიათ“.

უშძურწვანა (ვაშლის ყანა), ადგ.

ფაქარი (მსუბუქი მიწა), ფერდობია, ადვილად დასამუშავებელი, ხვნისას სულ მტვერივით ცვივა ნიადაგი, საშუალო მოსავალი იცის.

ფუტკარაიაში კარი. ფუტკარაიას (გვარია) კარი, ადგ.

ფუღუთი (ფუღუს ნასახლარი), ადგ. „ფუღუს ნოხორიი, ფუღუს თი“ (გადმოცემა ჩაგვაწერინა აკაკი დანელიამ).

ქუცონა (ქაცვნარი), ბუჩქნარი ადგილი.

შონური (სვანური). „ოჯალეშის ჯიშის ვაზი“.

ცხემურონი (რცხილნარი), ადგ.

ცხენიწყარპიჯი (ცხენისწყლის პირი), ადგ.

ძიკიში ნოხორიი (ძიკის ნასახლარი), ადგ.

წისქვიი წყარი (წისქვილის წყალი), არხია.
წყურგიიში წყარი (წყაროს წყალი), ადგ.
ჭოჭყონა (ჭაობიანი), ადგ.
ჭუბურონა (წაბლნარი), ტყე.
ჭყონა (მუხნარი), ადგ.
ხაჯონა, იგივე ოხაჯეა (საცერცვო), ადგ.
ჯეგეე. „წმინდა ადგილი“.

ჯიხა (ციხე). ვრცელ მინდორზე, ნოჯიხენის, გასწვრივ დგას ციხის პირველი სართულის ნანგრევი. გადმოგვცემენ, რომ „იგი ძველი სამხედრო გზის პირას იყო და ამ გზის მცველთა სადგომს, სადარაჯოს წარმოადგენდა. ასეთი ციხეები ერთმანეთის გასწვრივ გამწკრივებულია ცხენისწყლის პირამდე, აქედან კი ჯოლო-აბედათამდე. გადმოცემების თანახმად, თითქოს ამ გზით გადმოსულა პომპეუსის ლაშქარი ეგრისში, ამ გზით მოდიოდნენ თათრებიც და უცხოელი ვაჭრებიც. იგი საფოსტო ყოფილა ზუგდიდამდე, ჯოლევისა და ფოცხოს გავლით. ციხესთან 1959 წელს ვასილ დანელიამ პოლონური ვერცხლის ფული იპოვნა“.

ონოღია

სოფელი ონოღია ნოღელისა და ცხენისწყლის ველზეა გაშლილი. ნიადაგი ამ მდინარეთა ათასწლოვანი, საკმაოდ სქელი შლამითაა მოფენილი, რის გამოც იგი ძლიერ ნაყოფიერია. კარგად ხარობს ხეხილი, ვაზი, ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურა. ჩაის პლანტაციის ვრცელი მასივები სოფლის მოსახლეობის საიმედო შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. ნოღელის მთელ გაყოლებაზე მოდის ენეოლითური კულტურის მდიდარი ფენილი, სადაც ამ ეპოქის მეტად საინტერესო და მდიდარი რელიკვიებია ნაპოვნი გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაკთა მიერ. არაერთხელ გამოითქვა ვარაუდი, რომ ეს ადგილი შეიძლება ისტორიული ონოგურისი იყოს. ტოპონიმი და აქ ნაპოვნი არქეოლოგიური მასალა, თვით გეოგრაფიული მდებარეობა ადგილისა, ამ მოსაზრების წამოყენებისა და დარწმუნებითი ვარაუდის შესაძლებლობას ქმნის.

ბარცხიერი ან ფარცხიერი. ჯაგნარი, ქაცვნარი ადგილი.

ბეგი. „კბოდეა წყლის პირას, ქვიანი და გაჯარიანი ადგილი“.

ბეჩაში ნოხორიი (ბეჩას ნასახლარი), საყანე.

გახუში ნოხორიი (გახუს ნასახლარი) ადგ.

გვაჩიში ნოხორიი (გვაჩი კიზირიას ნასახლარი), ადგ. „დიდი და ძლიერი კაცი ყოფილა, ძლიერ მკაცრი და სამართლიანიც. ხალხში ახლაც ამბობენ: მეუ ოჩივლებუშა გვაჩი კიზირიაშავა“ (წადი საჩივლელად გვაჩი კიზირიასთანო).

გოხორხიი (გახერხილი, გზა.

დადიაში კარი (დადანის სასახლე), ადგ.

დიდი ყვანა (დიდი ყანა), დიდი საყანე მასივია.

დიდმინდორი, ველი უჩაღელესა და ნოღელას შორის.

დუქანი. „სტეფა დარჯანიას დუქანი ქონია აქ. ახლა საყანეა“.

ეკაე (ამოსასვლელი), ადგ. „ძველად აქ ამოჰქონდათ ეკი, რომელსაც საღებავად იყენებდნენ“.

ენწერი, ეწერი, ხშირი და უმოსავლო ადგილია.

ვატაიაში კარი (ვატაიას კარი), „საჯარო ადგილი, სადაც ბურთაობა და ჯარობა ცოდნიათ. სიმღერაც არის დარჩენილი: „მივშათ ჯარიშა, ვატაიაში კარიშა“ (წავიდეთ ჯარობაზე, ვატაიას კარზე)“.

ზუგა დიხა, ადგ.

თხინა (თხილნარი) საყანე.

თხორიიპიჯი (თხრილისპირი), ადგ.

თხორიი (თხრილი), ადგ.

კოდმე, მდინარის პირა ფლატე, კბოდე.

კორზე მინდორი, ადგ.

კორზეპიჯი (კორზეს პირი).

კოსტაში ნოხორიი (კოსტას ნასახლარი), ადგ.

კუკუში ნოხორიი (კუკუს ნასახლარი), ადგ.

ნაბამბუ (ნაბამბარი), საყანე.

ნაბერტე (ნაბელტარი), მძიმედ დასამუშავებელი საყანე მასივი.

ნადუქანუ (ნადუქნარი), ადგ.

ნაეზვარი, საყანე. „ძველი ნასახლარი, ჭირით ამოწყვეტილი“.

ნარონი (ნადგომი, ნასახლარი), უბანია. მსგავსი ტოპონიმი აქ რამდენიმეა.

ნატეგუ, ადგ. „ადრე ტყე ყოფილა“.

ნაჭკიდუ (ნამჭადარი), საყანე. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდევ სამია.

ნახარდანუ, ადგ. „ადრე აქ ხარდანის ჯიშის ვენახი ყოფილა გაშენებული“.

ნახაჯუ (ნაცერცვალი), საყანე.

ნეძონა, ადგ. კაკალნარი.

ნოღაპიჯი (ნოღელისპირი).

ნოღა, პატარა მდინარეა. „მისი შლამით ანოყიერებდნენ მიწას“.

ნოჭკერი (ნაჭერი), მიწის ნაკვეთი.

ნოხორიი (ნასახლარი), საყანე. მსგავსი ტოპონიმი აქ კიდევ ორია.

ყაღვანა ჭაყე (ლაღვანას ჭალა).

ყაღვანა, ღელე.

ოთხორუუ (სამარხი), ადგ.

ოისირე (საისლე), ადგ. მსგავსი ტოპონიმი სოფელში რამდენიმეა.

ონოღია. ს/ს... „სოფელში ძალიან დიდი ხნის წინათ ჭირიანობა ყოფილა და მაშინ ისეთი ხშირი ყოფილა სიკვდილიანობაც, რომ ხალხი ამბობდა: ონდო ღურაე – სულ სიკვდილიაო. ამიტომ შიშით გარბოდნენ ამ სოფლიდან. ონოღიაც ამიტომ შეერქვა“ – გვარწმუნებენ გადმოცემები.

ოტურეში (სატურია), ჯაგნანი.

ოღუმოი (ნაღომარი), ადგ.

ოჭკირაი (გასაჩეხი, მოსაჭრელი). „ტყე, რომელსაც პერიოდულად ჩეხდნენ ხოლმე“.

ოხვამე კარი (ეკლესიის კარი).

ოჯარე, საჯარო, ადგ.

პატონიში დიხა (ბატონის მიწა), საყანე.

პატონიში ნოხორიი (ბატონის ნასახლარი). „დადიაში ნოხორიისაც ეძახიან“.

პერტიაში ნოხორიი (პერტიას ნასახლარი), ადგ.

საყვანო (საყანე), დიდი, გაშლილი ველია.

საანგურო (სააგურე), ადგ. არქეოლოგიური მასალებით აქ უძველესი კერამიკული წარმოების კერის არსებობა დასტურდება.

საგუბი, დასაგუბი ადგ.

საონდიარო (საბალახო), საძოვარი.

საფარონი. „საფარი ადგილი. მუდმივი ქარების გამო აქ დიდხანს არ გაუჩეხიათ ტყე, რომელიც ერთგვარ საფარს წარმოადგენდა“.

სუმოიაში ნოხორიი (სვიმონის ნასახლარი), ადგ.

სურანდი. ადგ. „ტყიანი ადგილი ყოფილა ოდესღაც, მაღალი და ხშირი ხეებით დაბურული“.

ტყა (ტყე).

უჩაღეყე (შავი ღელე), ვიწრო და ბნელხეობიანი ღელე.

ფარჩხონა, ჯაგიანი ადგილი.

ღაიჩა. „თეთრი ღელე, ღაიჩია, პატარა ღელე, ღელიკა“.

ღელეკორზე, პატარა ღელე.

ცხემურონა (რცხილნარი), საძოვარი.

ცხენწყარპიჯი (ცხენისწყლის პირი), ცხენისწყლის ჭალა.

ცხირაე. „ამოქაცული, ამოცხირული, ოდესღაც ჭადაჭადას სათესი ადგილი“.

წყურგიიპიჯი (წყაროს პირი), ადგ.

ჭითა ღეყე (წითელი ღელე).

ჭყონა (მუხნარი), საძოვარი.

ხორაში ნოხორიი (ხორას ნასახლარი), ადგ.

გეგეჭკორის ობიორის ონთოლიის
სასოფლო საბჭოს ისტორიულ-გეოგრაფიული
(ტოპონიმიკური) რუკა.
გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.
1963 წ.
ძირითადი ნიშნები:
სასოფლო საბჭოს საზღვარი;
მდინარეები;
გზები.
მასშტაბი: 1 X 13000

სალხინო

სოფელი სალხინო გაშლილია ტეხურისა და წაჩხურას ჭალაზე. მას ჭყონის სასოფლო საბჭოსაგან ტეხური ყოფს. აქ მოედინება მდინარე წაჩხურა, რომელიც ქვიბიის მთებში იღებს სათავეს და აქვე, სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდურზე უერთდება ტეხურს. მიუხედავად ასეთი სიმოკლისა, იგი ძლიერ წყალუხვია. მდინარეები მდიდარია ძირითადად კალმახით. ნიადაგი ალუვიურია და ვაზითა და ხილით უხვმოსავლიანი. იგი სამშობლოა ოჯალეშის მაღლარისა. სალხინო ძველთაგანვე ცნობილია სალხინო და სანავარდო ადგილად. აქ ჰქონიათ დადიანებს თავიანთი საზაფხულო რეზიდენცია.

 აეთორია, ადგ. უძველესი ნაეკლესიარი და თეროსანი (თოროსანის) სალოცავი.

არგვანი (ქვევრი). „უძველესი სამარანო ადგილია, თემის საერთო მარანი ყოფილა. საუკეთესო საᲫაგვანო სამანია“. მარანის ფუძე შეიძლება სამანი იყოს, ქვევრთა სამანი.

ატამიში, ადგ.

აფხაზურა, პატარა ღელე შეერთვის წაჩხურას.

ახვლედიანიში ᲓᲘᲮᲐ (ახვლედიანის მიწა), საყანე.

ბაᲬნათურე, ადგ.

ბაზარი, ადგ. „დადიანთა ინიციატივით შექმნილი ბაზარი“.

ბახაში, ადგ.

ბურტყაში (ბურტყალისა), ეს ბალახი ყოფილა ამ ფერდობზე გავრცელებული.

ბურღონა. „ფაქარნიადაგიანი ფერდობი, საშუალომოსავლიანი, ადვილად დასამუშავებელი. ხშირ შემთხვევაში სათოხნი ნიადაგი“.

გაგუადიხა (გაგუას მიწა), საყანე.

გვიტიᲯური, ადგ. „მაღლარი ვაზის Ჯიშია“.

გიარზენა (ჩავაკება).

გიორგიში ოშქერე (გიორგის საშქერო, ანუ დაფნარი), ადგ.

გირძე ოისირე (გრძელი საისლე), ადგ.

გოროჭა, ადგ.

დიდი გა (დიდი სერი).

დიდხრამი (ღრმახევი).

დოგერა, დობილოიანი ტყე. მსგავსი ტოპონიმი აქ კიდევ რამდენიმეა.

დურძანიში. „ნადუქნარი ადგილია მთაში“.

ეახვლედიე (საახვლედიანო), ახვლედიანების უბანი.

ეგაგუე (საგაგუო), გაგუების უბანი.

ეგუᲯე (საგუიო), გულიების (გვარია – გულია) უბანი.

ეგუᲯორდე (საგულორდაო), გულორდავების (გვარია) უბანი.

ეთოდუე, თოდეუბის (გვარია) უბანი ეთოᲬი.

ეიაზარე (საიაზარიო), იაზარიების (გვარია) უბანი.

ეკაᲯანდე (საკალანდიო), კალანდიების უბანი.

ეკეკუტიე, კეკუტიების (გვარი) უბანი.

ეკუხონი, ლეკის ტყიანი ადგილი.

ესკედა, ადგილი ფერდობზე.

ეტეში, ეტა (ტალახი), საერთოდ ტალახიანი ადგილი.

ეფუიარე (საფუიარიო), ფულარიების ან ფუიარიების (გვარია) უბანი.

ექვარცხე (საქვარცხაო), უბანი.

ეშატებული (ჩატოვებული), უხნავ-უთესი. მიშვებული, მიტოვებული ადგილი.

ეჩვეს ღეე (ეჩვეს ღელე).

ეჩიტიე, ჩიტისექუაეფის (საძმო) უბანი.

ეცე (საცაავო), ცაავების (გვარია) უბანი.

ვარჩხიი ტოᲑა (ვერცხლის ტბა), მდინარე წაჩხურას ხეობაში, ადგილი.

ვახა, გამშრალი ღელე, ფართო ნამდინარევი კალაპოტით. წვიმების დროს იცის მოვარდნა. ღელე უხსოვარ დროს გამოხეთქილა მთების გულიდან. იგი, ეშმაკეულთა, დევებისა და ურწმუნოთა ნასუნთქია. მთებში დაბუდებული ავსულები, დევები თავიანთი საშინელი სუნთქვით არყევდნენ მთებს. დიდხანს ესმოდა ხალხს ეს საშინელი ბრდღვინვა მთების გულისა. ლეგენდის თანახმად, მთების გულიდან მოისმოდა მრისხანე სიტყვები: „გეგთოვსოფუნქ დო გეთოვსოფუნქ“ – გამოვხეთქავ და გამოვხეთქავ. ხალხმა ვერ გაუძლო ამდენ ყვედრებას და უყვირა: „გეგთოსოფუნქ და გეგთოსოფი“ – თუ გამოხეთქ, გამოხეთქეო. მართლაც, იქუხა კლდეებმა და გამოანგრია უზარმაზარი ლოდები. მოსკდა დაგუბული, შავი მდინარე, გადმოარღვია სერები და კლდეები და ასე გაიკვლია გზა ტეხურისაკენ. როცა გადმოხეთქა, ერთი საშინელად იყვირა ავსულმა – „ᲕᲐᲘᲘ“, და გაქრა. ხოლო საშინელი შავი ტალღა ბარისკენ დაეშვა. აქედან დაერქვა ღელეს ვახა“ (სოლომონ ნანავას ნაამბობი).

ვახაში ᲓᲣᲓᲘ (ვახას თავი).

თურქიში ნაᲬვია (თათრის მონაკლავი), ადგ. „აქ ყაჩაღებს თურქი ვაჭრები დახოუციათ“.

იაზარონი, ადგ. იაზარიების (გვარია) ნასახლარი.

იანᲯონა (კოპიტნარი).

იაშქიდარე, ადგ.

ისკიოდა, ადგ. სალოცავი.

იფინა (იფნარი), ადგ.

კადარი, ქვიანი ადგილი.

კაიანდიაში ნოხორიი. ადგ. კაიანდიას (კალანდიას) ნასახლარი.

კაიში ნაᲬვანუ (კაის ნაყანარი), საყანე.

კარიში (კარისა). „კარივითაა მთებისაკენ გასასვლელი. აქ ხერგილსაც აკეთებდნენ საქონლის შესაკავებლად“.

კაწარი, კაჟიანი. წვრილ ხვინჭკა ნარევი, შავმიწიანი ველი, წაჩხურასა და ტეხურს შორის.

კახა, ადგ. მსგავსი ტოპონიმი სოფელში კიდე ერთია.

კიბეში, კიბის მსგავსი ფერდობი, საფეხურებიან-სართულებიანი.

კიკიბერი, ადგ.

კოკორეფი (კოკორები). „ცაავები ან ცები იყოფა რამდენიმე საძმოდ, დინოდ, შტოდ: 1. კოკორეფი, 2. ჩიტიასქუაეფი, 2. ვაბია, 4. პაპასქუაეფი, 5. ხუხუსქუაეფი, 6. გუᲫასქუაეფი, 7. კვირიე სქუაᲫეფი, 8. იაგვასქუაᲫეფი და სხვ.

კურკუცა, ხელოვნური მიწაზვინულია.

მანცხვარი ოხვამე (მაცხოვრის ეკლესია). „ადგილი ჟინოს, ჟინანთარის ნასალოცვარია“.

მარუა მეედანი (მარულას მოედანი), სოფლის ცენტრი.

მაჭყვადინა, ადგ. „აქ ამ Ჯიშის მაღლარი ვაზი ყოფილა“.

მეინᲯი, მჟავე წყაროს წყალი.

მისარონი, ადგ. უძველესი სალოცავი.

მოსკე წაჩხურა, ადგ. მდებარეობს ხირზენის (მთაა) კალთაზე, სოფლიდან საკმაოდ მაღლა. „სახელწოდება შედგება ორი სიტყვისაგან – მოსკე, ე. ი. „მეძევე, მეშვილე“, და წაჩხურა – წყალცივი. აქ ესვენა ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც ხალხი განაყოფიერებას უკავშირებდა და ამიტომ შვილოსნობას შესთხოვდა მას. სოფლებიდან ფეხშიშველი, უშვილო ქალები ადიოდნენ ეკლესიის ეზოში და დაჩოქილნი შვილოსნობას შესთხოვდნენ ღვთისმშობელს. ღამით ხატს უწვებოდნენ, თანაც ოქროსა და ვერცხლის ნივთებს მიართევდნენ. აქ უძველესი დროიდან ყოფილა მოსკეს კულტი. მასზე სალოცავად სამურზაყანოდანაც კი მოდიოდა ხალხი“ – სოლომონ ნანავას ნაამბობი.

ნაბერალუ (ნადროშალი).

ნაგეჩუ. „სათევზაო, თევზის დასაჭერი ღობური ყოფილა, რომელსაც გეჩას უწოდებდნენ. ამ ადგილზე დგამდნენ თურმე გეჩას“.

ნადუქანუ (ნადუქნარი), ადგ.

ნაეკუ (ნაეკარი), ადგ.

ნაკაკუ, ადგ. „აქ ფიცრებს ამხადებდნენ“.

ნაკამგეჩუ (ნაკამეჩარი), ადგ.

ნამარანუ (ნამარნევი). „ბატონის მარანი ყოფილა ოდესღაც. დღესაც არის დარჩენილი ქვევრები“.

ნამეშხურუ, მეშხურე (მეხცვარე), ადგ.

ნაოისირუ (ნაისლარი), ადგ.

ნაოჭკადური (ნასამჭედლარი), ადგ.

ნაოხვამუ (ნაეკლესიარი), ადგ.

ნასაკირუ, ადგ. „ნასაკირალი“.

ნასიაგუ (ნასიაგაო), უბანი. სილაგავების (გვარია სიაგა) ნასახლარი.

ნაურემუ, საურმო ადგილია. „წაჩხურისაკენ, მიმავალი ერთადერთი საურმე გზა ყოფილა“.

ნაფაცხუ (ნაფაცხარი) ადგ.

ნაფაცხუ (ნაფაცხარი), ადგ.

ნაქერუ (ნაქერალი), ადგ.

ნაღეᲯერა. „წინათ გარეული ღორი სცოდნია ამ ადგილებში“.

ნაღუმუ (ნაღომარი), ადგ.

ნაჭვუ, საყანე „აქ ჭვავსა თესავდნენ წინათ“.

ნაჭკიდგა (ნაფეტვარი სერი).

ნახვიᲫა, ადგ.

ნაᲯოგუ (ნაჯოგარი), ადგ.

ნეძონა (ნიგვზნარი), ნეძოგუნასაც ეხადიან.

ნოჭადენი (ნასამჭედლარი), ადგ. „ძველად სამჭედლო ყოფილა“.


გეგეჭკორის რაიონის საძლიერის
სასოფლო საბჭოს ისტორიულ-
გეოგრაფიული (ტოპონიმიკური) რუკა.
გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.
1963 წ.
ძირითადი ნიშნები:
სასოფლო საბჭოს საზღვარი,
გზები,
მდინარეები,
მასშტაბი: 1 X 10000

ნოხუენი. „ამ ფერდობზე ფხალი იცოდა თურმე ბლომად. ცეებს საზამთრო სამწნილედ მოჰყავდათ იგი“.

ნოჯიხენი (ნათურქუ), ნაციხარი, ნათურქალი, ადგ.

ნუზფერდი (ნაძვნარფერდობი).

ოგამგე (საბამბო), ადგ.

ოგამგე სუკი (საბამბო სერი).

ოგორღე, ადგ.

ოგჟაე (სამზეო), ადგ.

ოგურღე (საბურღავი) ადგ.

ოეკე, ადგ. „ლეკი ამოჰქონდათ“.

ოთიფური (სათიბი), ადგ.

ოკათაფური (შესართავი), აქ ერთმანეთს ერთვის წაჩხურა და ტეხური.

ომინჯე (სამინჯიო), მინჯიების (გვარია) უბანი.

ომუნჩქვეში (სამაჩვო), ადგ.

ონტყაე, პატარა ღელეს სახელი.

ორუი, ცხენის სარბენი ადგილი.

ოსოხეშ ღეე (ოსოხეს ღელე).

ოსოხეში, ადგ.

ოტორონჯე (სამტრედე), ადგ.

ოქაჯე (საქაჯე). ეშმაკეულთა ადგილი.

ოქირეში, საქირაო ადგილი. „ამ ადგილთა პატრონები მას ქირით ამუშავებდნენ“.

ოლუე (საბუე), ადგ.

ოჩიტე (საჩიტე), ჩიტებზე სანადირო ადგილი.

ოჭკოუ, ოჭიკე, ოჭინკე. „ჭინკებისა და ავსულთა ადგილი“.

ოჭუჭეე (საჯინჭრე), ჯინჭრიანი ადგილი.

ოხვამე კარი (ეკლესიის კარი), ადგ.

ოხოჯური (სახარე ადგილი), გზა.

ოჯარე (საჯარო), ადგ.

პაპაში ნოხორიი (მღვდლის ნასახლარი), ადგ.

რაბი (ხრამი).

რეკა, ადგ.

რეხერზენი, ქვიანი ველობი.

როგუ, ადგ.

როკონა, წაბლის როკიანი ადგილები ყოფილა წინათ.

სალხინო, სასოფლო საბჭოს ცენტრს ვახადან წაჩხურამდე ეწოდება სალხინო. „ეს სახელწოდება ძველია. აქ სალხინოდ და სააგარაკოდ ამოდიოდნენ დადიანები. ადგილები სულ ოჯალეშის მაღლარით ყოფილა დაბურული. ბაღნარი, ხეხილოვანი, ვაზნარი ველი, წალკოტი ყოფილა ცივი წყაროსწყლებითა და საამო ჩრდილოვანი ტყიანებით. გადმოცემით, აქ თამარ და დავით მეფეებიც კი ამოსულან. ხალხის რწმენით, სალხინო სოფელს თამარმა უწოდაო“.

სანეში, ადგ.

სვირონი, ადგ. „სუროიანი ხეები ყოფილა ხშირი“.

სოსეიხეში ნოხორიი, ადგ. სოსელიას (გვარია) ქალის ნასახლარი.

სქურდღაი (სქურდის ღელე).

ტეხირი, მდინარე ტეხური.

ტოგაში (ტბისა).

ტოგაში (ტბისა).

ტოქერი, ადგ.

ტოღვეში, ადგ.

ტურენჯი (ნაეკლესიარი), ადგ.

ტურხენი, ადგ.

უჩაღაიპიჯი (შავღელე პირი).

უჩაღაი, (შავი ღელე).

უწა, მთა.

უწაკადარი, ქვიანი ფერდობია უწას შეფენაზე.

ფაქარი, რბილი მიწა.

ქაცარიში ნაყიდერა. „გლეხებს თიკნები მიუციათ მიწის ამ ნაკვეთში სანადიმოდ გასული გეგელიებსა და დგებუაძეებისათვის და შეუძენიათ“.

ქორთ ნოხორი (ქართველის ნასახლარი) „იმერელი სახლებულა იმერეთიდან გამოქცეული“.

ქუაჩამური. „ამ კადარ ადგილას ქვის საცეცხველებს თლიდნენ თურმე“.

ქუახონი. „ოდესღაც ამ ადგილზე ქვის წვიმა, ქვის კოხი მოსულა“.

ღეედუდი (ღელის თავი).

ღეე ნოღაია (ნოღის ღელე).

ღვაბრა, ღელეა.

ღობერი, შემოკავებული ადგილი.

ღოუფერდი, ადგ.

ყომურეში (ტყემლნარი), ადგ.

შქაღეე (შუაღელე).

ჩეშონა, ადგ. „ჩეშის მაღლარი ყოფილა წინათ“.

ჩეჩო, ჩეჩის ნახვრევი ადგილია.

ცხიმერა (რცხილნარი).

ძეძვი (ჩირგვნარი), ადგ.

ძიგირონა (ეკალნარი), ადგ. ტოპონიმი ერთგან კიდევ გვხვდება.

ძიგირონა ღაი (ეკალნარის ღელე).

წაჩხურა ფერდი (წაჩხურას ფერდობი).

წაჩხურა, მდინარეა. წყარ – წყალი, ჩხურუ – ცივი.

წკირხვატი, ადგ.

წყვია (ჩანაქცევი), ადგ.

ჭაე (ჭალა).

ჭაჭახი, ადგ. ქვიანი, კაჭახი.

ჭიჭე ჟინოთა (პატარა ჟინოთა), ტეხურის აღმოსავლეთ ნაპირზე, ხვანჭკირის ქვემოთ, „ჟინანთარის საპატონო-საბატონო, საუფლო ყოფილა ეს სოფელი“.

ჭოდონა, ადგ. „ამ ჯიშის მაღლარი ვაზი ყოფილა აქ“.

ხერხიში (ჩახრამული ხევია).

ხვანჭკირი. უბანი. „აქ მაღლარზე ყოფილა მიშვებული ვაზი. ამბობენ, ხვანჭკირი ვაზის ჯიში ყოფილა. აღუწერელია. არის ხალხური ანდაზა: „ხვანჭკირს ჭირი მუთ ოკოდუ, თითონ ჭირიდუა“ – ხვანჭკირს ჭირი რად უნდოდა, თვითონ ჭირი იყო.

ხოგა, უფსკრულიანი, ჩაქცეული ადგილი, ხრამი.

ხოგაყონი, ხრამიანი ჩახრამული ადგილი.

ხორგონა, ძლიერ ნოყიერი ადგილი, უხვნაყოფიანი.

ხურუ, ბნელი, უფსკრულიანი ხევი.

ჯაფარიაში ნოხორიი, ჯაფარიას (გვარია) ნასახლარი.

ჯვარიში (ჯვარისა), ადგ. „აქ დგას დიდი, ასწლოვანი ცაცხვის ხე, ხესა და მასთან მდგარ ქვის ჯვარს თაყვანს სცემდნენ. დღეს ქვის ჯვარი არ არის.

ჯიხა (ციხე), ძველი ნაციხარი ლეგულორდავეს უბანში. ნათურქუსაც ეძახიან.


სოფ. სერგიეთის
ტოპონიმიკური რუკა.
გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის
მუზეუმი.
1960 წ.
ბერეთი
ბამბისი
ბაბანეთი
ბაბანეთი
ბაბანეთი
ბ. ბ.
ბ. ბ.
ბ. ბ.

სერგიეთი

აბაშის ხეობაშია, მდინარე აბაშის ნამდინარევ ჭალაზე, გეგეჭკორის, ნახუნაოსა და აბედათის სასოფლო საბჭოებს შორის. სოფლის ცენტრი ველიანია, ხოლო მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ბორცვიან-ზეგნიანი. ნიადაგი ქვიანია, მაგრამ ადვილად დასამუშავებელი, ქვიშანაჭარბი და ნაყოფიერი. იგი ოდითგანვე ცნობილია ვაზითა და ხილის სიუხვით. სიმინდიც უხვ მოსავალს იძლევა. სოფელი მდიდარია წყაროებით. ცენტრში გადის მდინარე ისკია. სოფელს აღმოსავლეთით მდ. აბაშა საზღვრავს. სასოფლო საბჭო ორი სოფლისაგან შედგება, ესენია: ბოგოთი და სერგიათი.

ბათოური, ადგ. „წალკოტი ადგილი ყოფილა“.

ბოგოთჭაე (ბობოთის ჭალა), ბობოთის ვრცელი ჭალა მდ. აბაშის პირზე.

ბოგოთი, სოფ. „აქ სახლი (თი) ჰქონია დიდკაც ბობოს და მის სახელზე ამ ადგილისათვის ბოგოს თი, ბობოთი უწოდებიათ“.

განაჭკირა, გზისთვის გაჭრილი ადგილი.

გეგენიერი, ადგ. გეგენავას (გვარია) ნაშენი.

გოდგინეი. „ადგილი, სადაც ნოღელას გაშლილი ჭაობიანი ჭალა, ლექიანი ტბა ყოფილა დამდგარი“.

დავითიაში კარი (დავითიას კარი), ადგ.

დიხაკურგზუე (მიწაზურგა), ადგ.

ენწერი, ეწერი. საყანე მასივი.

ესუე (სასელე), სოფ. აქ სუ॥ა-სულავას მრავალრიცხოვანი გვარიც სახლობს, რომლებიც ბადისა და თოკის ქსოვის ოსტატები არიან. ისინი ძაფს სელისაგან რთავენ. თ. სულავას გადმოცემით: „გვარი სუ॥ა (სულავა) სუ-საგან არის წარმომდგარი. ჩვენი გვარი სუ-ს (სელი) მთესველები და მწარმოებლები იყვნენ“.

თათიღაი, ღელე ნათათარი, ე. ი. ტორდარტყმული მიწისაგანაა წარმომდგარი. „ამ ადგილას დევს თათი დაუკრავს და ჩაუმსხვრევია, რაზედაც ღელე წამოდინებულა“ – თ. ინჯგიას ნაამბობი.

კარკაიაში ფერდი (კარკაიას ფერდი), ფერდობი.

კახარა მენჯი, მარილიანი მინერალური წყლები. „საქონელი ამ ადგილისაკენ მიდის ხშირად მლაშე წყლის დასალევად. ყოფილა შემთხვევა, რომ საქონელი ჭაობში ჩაფლობილა. გადმოცემით, მლაშე წყლიანობის გამო ადგილს მენჯი ეწოდაო. ზამთარში ჭაობი მკვრივდება, ხოლო ზაფხულობით თხელი და არამკვრივი ხდება“.

კეჭინარი. „კეჭეხი, ქვიანი ადგილი“.

კიკიანი ტყა//ჭყონარი, (კიკიანის ტყე, მუხნარი), ადგ.

კოჯოშონა. „კოლოშონას ჯიშის მაღლარი. დღეს ეს ადგილი მხოლოდ ბუჩქნარია და ამ ჯიშის ვაზის არც ერთი ძირი არა დგას“.

კოდიწყარი. წყარო, რომელიც ხის კოდში ჩადის. წყაროს თვალზე დადგმულია ხის კოდი და წყაროს თვალი მასში არის მოქცეული. იგი ძალზე ცივი და სუფთაა.

კოკათი (კოკას ნასახლარი), კოკას თი. იგი მდინარისპირა ველია. დღეს აქ მოსახლეობს ცანავების რამდენიმე ოჯახი.

მასხუიაში ფერდი, მასხულიას (გვარია) ფერდობი.

მდ. ისკია, წმინდა ღელეა, წყაროსწყლებს ირთავს.

მეენი გა, გაღმა სერი.

ნაყიდური ან ნაყიდერი მამული (ნაყიდი), ადგ. „ბატონიშვილებისგან ნაყიდი მამული“.

ნააბანუ (ნააბანოევი), მდინარის პირი.

ნაბესკუუ, ადგ. ბესკუას (გვარია) ნასახლარი.

ნაგაგუ, ადგ. გაგუას ნასახლარი.

ნათიფური (ნასათიბარი), ადგ.

ნათიფურუ (სათიბი), თივისათვის მიშვებული ადგილი.

ნაკვეცუ, ადგ. კვეციების (გვარია) ნასახლარი.

ნაოხვამუ (ნაეკლესიარი), სამარხიც ყოფილა. აქვე პოულობენ მეტალურგიულ წიდას და მეტალურგიული წარმოების სხვა რელიკვიებს.

ნარგიაზანუ, ბორცვი, დაახლოებით 10-15 მეტრი სიმაღლისა.

ნარდიეი, ნადეი (დადებული), საყანე, სახნავ-სათესი.

ნარონი (ნადგომი), ადგ. მოხსენებულია არაერთ ნასყიდობის წიგნში, სიგელსა და სხვა საბუთებში. მოხუცების გადმოცემით: „აქ უხსოვარ დროს ხალხს უცხოვრია და მტრის შემოსევისას აყრილა და მთებს შეხიზნულა“. მ. კალანდარიშვილის (80 წლის მოხუცი) გადმოცემით, „აქ მდგარა თურქთა დიდი ლაშქარი“.

ნაფაცაცუ (ნაფაცაცარი), მაღალი ბორცვი, ფუძიდან მწვერვალამდე 75-100 მ. სიმაღლისა. ბორცვზე საკმაოდ გაშლილი ტაფობია. ამ ტაფობზე და ბორცვის შეფენაზე ხშირად ვპოულობთ კერამიკულ მასალათა ძვირფას ეგზემპლარებს. მაგ., აქ ვიპოვეთ ფასკუნჯის თავის გამოსახულება ხუფიანი კრამიტის ნაწილზე. ფასკუნჯის თავი გამოსახულია ბარელიეფურად, კაუჭიანი ნისკარტით. ყელის ირგვლივ კრამიტის გონიოებს შეფენილია ყვავილის ჯამის ფოთოლაკების მსგავსად გადაშლილი ფაფარი. აქვე იპოვეს ამფორის ყურები, ორნამენტიანი ქოთნის ნამტვრევები, წარწერიანი ქვის ნამტვრევი, რომელზედაც ჯვარი ყოფილა ბარელიეფურად ამოჭრილი. აქვე, სოფ. სერგიეთში მცხოვრებმა ლადი ბედიამ ამოყარა შესანიშნავად დამუშავებული კვადრატული ქვის წყობა. ქვას ჰქონია მშრალი წყობის ნიშნები, ე. ი. კოტაამოჭრილი მხრები. ნაფაცაცუზე გვიამბობენ, რომ როდესაც ნოქალაქევს მტერი შემოესია, ეგრისის ცენტრი აქ გადმოიტანეს, რადგან იგი დიდი და ძლიერი ქალაქი იყოო. ასევე, ხალხში დარჩენილა ასეთი გამოთქმა: „მარტვილი დაეცეს და ნაფაცაცუ აღდგეს“. სხვა მრავალი გადმოცემაც არსებობს ამ ადგილის შესახებ.

ნაღეი (წაღებული). „მდინარის მიერ წყალდიდობის დროს წალეკილი ადგილი“.

ნახიტუუ, ადგ. ხიტუების (გვარია) ნასახლარი.

ნაჯარგვაჯ (ნაჯარგვალევი), ადგ.

ნეძგიდეა (კაკალ გიდელა), კაკლის ტყე.

ნოღა, ღელე.

ჯუკაში კოჯოში, ადგ. სიტყვასიტყვით ლუკას მწარესი. ხალხის გადმოცემით, „ეს ადგილი ლუკა ქუთაიას საკუთრება ყოფილა. აქ მას გაუშენებია მაღლარი ვაზი შონურის ან ოჯალეშის ჯიშისა, მაგრამ მწარე ყოფილა, კოჯოშინა – მწარე შონური, რომლის ყურძნისაგან მწარე მაჭარი დგებოდა. ამიტომ დაწურავდნენ თუ არა, ღვინოს ქვევრებში ჩაასხამდნენ და ნაშობევამდე არ მოხსნიდნენ. ქვევრში მწარე მაჭარი დაღვინდებოდა და საუკეთესო ღვინო დგებოდა, თურმე. ასეთი ჯიშის ვაზი სერგიათში სულ რამდენიმე ათეული წლის წინათ თომა ინჯგიასაც ჰქონია. დღეს ამ ჯიშის ვაზი გადაშენებულია“.

ოკაეში, ფერდობი ადგილი.

ოკეეში (საკალოო), დღესაც დარჩენილა კალოსათვის მოსწორებული ადგილი.

ოკირეში (საკირე), ადგ. „აქ გამომწვარი კირით აუგიათ ბობოთისა და სერგიეთის ციხეები და ეკლესიები. ამ ოცი წლის წინათ ხვნის დროს კირის ხსნარის საცავი აღმოუჩენიათ, რომელიც კარგად იყო დაცული“ – გვიამბო ერთმა მოხუცმა.

ომუნჩქვეში (სამაჩვო), ადგ.

ონთხუ, საყანე. სანაონთხო, სამეოთხედო. „ასათიანებისაგან გლეხებისათვის სამეოთხედოდ გაცემული“.

პატონიში ნოხორიი (ბატონიშვილის ნასახლარი), ადგილი ეკუთვნის დადიანთა ერთ-ერთ შტოს, გიორგი ბატონიშვილს. უკანასკნელად გასული საუკუნის 60-70 წლებში ამ სასახლეში ცხოვრობდა მრისხანე ბატონი არჩილ დადიანი-ბატონიშვილი.

პერკი, ადგ. ვაზის მაღლარი ჯიშია. „აქ ვაზი ყოფილა მაღლარზე მიშვებული“.

პუპუში კარი (პუპუს კარი), ადგ.

რეგა (კბოდე), ადგ.

როგანი (ხრამიანი), ჩაქცეული ადგილი.

საანგურო (სააგურე), ადგ.

სამარჭო, ადგ. ვაზის ჯიშია. „აქ მაღლარზე ყოფილა მიშვებული“.

საჩახუე, ჩახავების უბანი.

სერგიათი, ს/ს. (სერგიასთი). 70 წლის პროკოფი სურმავამ გადმოგვცა: „აქ ვიღაც სერგია, სახელგანთქმული კაცი სახლებულა დიდი ოჯახით. მის კუთვნილ ადგილს სერგიას თის, სერგიას სახლს ეძახიან“.

უჩა ნოხორიი. „შავნასახლარი, ჭირით ამოწყვეტილი უბანი“.

ფოძორი (ფაქარი). „ობერგული ადგილი. წინათ ღომსა და მჭადისმჭადს თესდნენ“.

ქუთეიაში ნაყუდერა (ქუთელიას ნასახლარი), ადგ.

ცაცხვფერდი. „ცაცხვის ფერდი, ადგილი, სადაც ათასწლოვანი ცაცხვი დგას. ნასალოცვარი ადგილი“.

ჭითური, ადგ. „ვაზის მაღლარი ჯიში ყოფილა“.

ჭუბაბრიეფიში ნოხორიი (ჭუბაბრიების ნასახლარი), ადგ.

ჭუხუ // ჯუხუნა, ადგ.

ხატიში დიხა (ხატის მიწა), საყანე.

ჯანაშიაში ნოხორიი. ადგ. ჯანაშიას ნასახლარი.

ჯიხაჭაე (ციხის ჭალა), მდინარე აბაშის გადასახედთან დგას მე-16-17 საუკუნეების ნახევრად დანგრეული საყარაულო კოშკი. საყარაულო კოშკის გაყოლებაზე ჩადის საურმე გზა მდინარესთან. ამ გზის ორივე მხარეს, მიწის ჭრილში ჩანს უძველესი კედლის ნანგრევები.

გეგეჭკორის რაიონის ტალოის სასოფლო საბჭოს ისტორიულ-გეოგრაფიული (ტოპონიმიკური) რუკა.

გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

1963 წ.

მასშტაბი: 1 X 25000

ჟირობითი ნიშნები:

- სასოფლო საბჭოს საზღვარი;
- მდინარეები;
- გზები.

ტალერი

სოფელი მდინარე ტეხურის პირას, ზეგანზე მდებარეობს. აქ ნიადაგი წითელმიწა, ალუვიური ხასიათისაა, ამიტომ კარგად ხარობს ვაზი და ხეხილი. დღეს სოფლის ტერიტორიის დიდ ნაწილზე გადაშლილია ჩაის პლანტაცია. სოფლის ცენტრი მდინარისპირა ვაკეზე მდებარეობს. ოდესღაც აქ უცხოელ ვაჭრებს ჰქონიათ სავაჭრო სახლები, სახერხი მანქანები, სალაროები და საწყობები. სალხინოს საზოგადოების ცენტრიც ეს ყოფილა დიდი ხნის წინათ, შემდეგ დავით დადიანს ცენტრი სალხინოში გადაუტანია. სოფლის მცხოვრებთა მეტყველებაში მარტვილური კილო კარგად ისმის, თუმცა კურზუს მეზობლობაში მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის მოსახლეობის მეტყველებაში ლე ნაწილაკი ხშირად ჩაერთვის ხოლმე.

ბუიმენჯი (ბლის მჟავე წყარო, ბალთან მდებარე), ადგ.

გაგურუუ, ადგ.

გუტიაში ნოხორიი (გუტიას ნასახლარი), ადგ.

დამიანე, ღელეა.

დღვანა, სოფელი ზეგანზე.

ენანე, ნანების (ნანავა – გვარია) უბანი.

ენწერი (ეწერი), მასივი ორ ნაწილად იყოფა: ქვედა ეწერი და ზემო ეწერი.

ვედიდი (ველდიდი).

თხირონა (თხილნარი).

ისაკიაში ნაცვანუ (ისაკიას ნაყანარი), ადგ.

ლასია, ნასია (მოსილული ადგილი).

ლუღონაში (ლეღვნარი).

მასკური. „ადგილი, სადაც მუდმივ მასკური ქარი ქრის. ვაზისათვის საასარგებლოა“.

ნაგირგოლ (ნაგრიგოლარი), გირგოლიების ნასახლარი.

ნაგუისუ, ადგ. გულისიების (გვარი ყოფილა) ნასახლარი.

ნათუთუმუ. „ადგილი, სადაც თამბაქო მოჰყავდათ“.

ნაფარონი, ფულით შეძენილი ადგილი.

ნაქვიშა (მოქვიშული), ადგ.

ნაჩხოულუ (ნაძროხალი). „ძროხების სადგომი ადგილი“.

ნდიიში ნაორტვინუ (დევების ნაბოსტნარი), ადგ.

ნოგუიენი (ნაბალარი), ბუი – ბალი. მდ. ტეხურის გაღმა უბანი.

ოგერგე (სათოხნი).

ონწარე, ჭაობიანი მასივი.

ოსხაპუე (საცეკვაო), ადგ.

ოტკიე, სატკილო. ტკილი – მერგელი.

ოჩე, უბანი. „ტალერის სამხრეთით. სიტყვასიტყვით თეთრი ვაზის ჯიშია“.

ოჩხონაფუ (საცხონებელი). „ღვთისგან დალოცვილი ადგილი, ნასალოცვარი“.

ოხონაი ცვანა (სახვნელი ყანა).

რკინა ნოხორიი (რკინა ნასახლარი), ადგ. „რკინაჭკადუ ნოხორუე, რკინამჭედელი სახლებულა აქ“.

როგეში, ხრამიანი ფერდობი.

საკირეში (საკირე), ადგ.

საჭაპანო. ამ გზით, „ჭაპანით ჩამოჰქონდათ ყავარი მთიდან“.

სუკი (სერი).

ტაერი, ტალერი. ერასტი თოდუას გადმოცემით: „ამ ადგილას ჰქონიათ თავიანთი ძირითადი ბანაკი უცხოელ ვაჭრებს: ბერძნებს, თათრებს, ფრანგებს, რომელნიც ქვიბიასა და ტეხურის ხეობის მთების კალთებზე ამზადებდნენ კაკლის, ბზის, ურთხლის მორებს და გზავნიდნენ საზღვარგარეთ გასაყიდად. მთებში მათ მოწყობილი ჰქონიათ სახერხი ქარხნები. აქ კი, ამ ადგილზე, მთავარ ბანაკში, მუშებს მის საზღაურად უნაღდებდნენ ფრანგული ფულით – ტაერათი. მუშები ერთმანეთს ეტყოდნენ ხოლმე: „აბა, მივშათ ტაერიშა“ (აბა, წავიდეთ ტალერასათვის, ტალერას მისაღებად). აქედან შერჩა ამ ადგილს სახელწოდება ტაერი ან ტალერი“.

ფეიკერი, ადგ.

ქუა უჩა (შავი ქვა), ადგ. „ეს ქვა ციდან ჩამოვარდნილა“, მეორე გადმოცემით კი „დევს გადმოუსვრია ამ ველზე“.

ღაირი სოფეი (წაღებული სოფელი). „მეწყერის მიერ წაღებული სოფელი. ტეხური ისე მომატებულა, რომ მთელი სოფელი წაუღია ერთიანად“.

ღეე ოძიე (ღელე ოძიე).

ღელე ეფეთქირი, იშაფეთქირი. „ფეთქვით ამოსული ღელე“.

ღელე ოხაეში (საყელოს ღელე).

შქა ჭუხუ (შუა ხევი).

ცხემურონი (რცხილნარი).

ცხვაცხვირი (ნაცაცხვარი), ადგ. ნასალოცვარი.

წყურგიი (წყარო).

ჭაე (ჭალა).

ჭეჭეხი, კადარი, ქვიანი.

ხვიჩარიაში ნოხორიი. ადგ. ხვიჩარიას ნასახლარი.

ხიარი, ხის დასაგორებელი გზა მთაზე.

ხირზენი (სახიზარი). „მაღალ მთაზე, წაჩხურას ზემოთ, ვიწრო მისასვლელის ბოლოს, ძლიერ ციცაბო ადგილის თავზე, არის გაშლილი ველი, ირგვლივ ციცაბო ფლატეებით შემოზღუდული, უღრანტყიანი. დღესაც შეინიშნება ქვითკირის ნაგებობის ნანგრევები. თურქების შემოსევისას ხალხი თავს იცავდა, აქ იხიზნებოდა. რამდენჯერმე მიიტანა მტერმა იერიში სახიზარზე, მაგრამ ვერ აიღო. ამიტომ ამ ადგილს ხირზენი, ე. ი. სახიზარი ეწოდა“.

ჯინჯი ნაკარუ (ძირი ნაკარვალი).


გეგეჭყორის რაიონის დიდი-ჭყონის
სასოფლო საბჭოს ისტორიულ-გეოგრაფიული
(ტოპონიმიკური) რუკა.
გეგეჭყორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.
1963 წ.
პირობითი ნიშნები:
სასოფლო საბჭოს საზღვარი;
მდინარეები;
გზები.
მასშტაბი: 1 X 10000

ჭყონი

სოფელი გაშლილია მდინარე ტეხურის ნამდინარევ ჭალაზე, ვაკე ადგილას, მდ. ტეხურის ნაპირზე. იგი სამ სოფელს აერთიანებს: ნამიკოლოუს, დიდ ჟინოთას და ოჩეს. ნიადაგი აქ ეწერი და წითელმიწაა. მდ. ტეხურის ნაპირას ნიადაგი საკმაოდ ღრმა ტორფიანი ფენითაა დაფარული. წინათ მისი აღმოსავლეთი ნაწილი სულ ტყიანი და ბუჩქნარი იყო, ამიტომ გაუვალი და საშიშარი, ველობი უმოსავლო და მწირი. ნამიკოლუს უბანში უხსოვარი დროიდან მისდევდნენ კერამიკის წარმოებას. აქაური ოკოტუე – საქოთნე და ოჲაგვანე – საქვევრე მიწა ძლიერ გამოსაყენებელია მეურნეობაში. დღეს სულ ჩაის პლანტაციებია აქ, ხოლო მისი დიდი ნაწილი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობას უჭირავს. აქ მეტყველებაში ლე ნაწილაკი არ ისმის, ლეგერიეს და ბურტყალეს არ იტყვიან, არამედ ეგერიეს და ბურტყაეს ამბობენ. ამიტომ, ეს სასოფლო საბჭო თუმცა ამ ზონის ცენტრია, კილო ისევ მარტვილურია. ძველად, მეფის დროს, მდ. ტეხურის პირი კოკაიაშ კარად – კოკაიას კარად იწოდებოდა. კოკაია ძლიერი ვაჟკაცი და საქმიანი ყოფილა. მას ჰქონია სავაჭრო სახლი და დუქნები. აქ გადიოდა გზა ჩრდილოეთის მხარისაკენ. „ამ ცენტრში ფოსტაც იყო, ამიტომ მას ნაფოსტარსაც ეძახიან, ჟინოთა კი ჟინანთარის უძველესი საკულტო ადგილი და ცენტრია. ამ დიდი ღვთაების პატივსაცემად და სალოცავად შორეული აფხაზეთიდანაც კი ჩამოდიოდნენ მორწმუნეები“ – გადმოგვცემენ მთქმელები. სოფელს დიდი ჭყონი 1921 წელს შეერქვა.

ამარწუხა, ადგ.

ანტო დგებიაში ნოხორიი. „ანტონ დგებიას ნასახლარი“.

ატაბუნა, ტერასული ფერდობი.

აფხამიკოჭკადირი (ბეჭმიჭედილი). „ყმის საწამებელი ადგილი ყოფილა“.

ბარგატიაში, „ბაგრატიას (გვარია) ნასახლარი“.

ბეჩოდა. კარსტული, მცირე მღვიმეებით დაკბილული კლდე.

გა (სერი), სოფელში რამდენიმე სერია.

გეგეი, სერია. გეგელიების ნასახლარად თვლიან.

გუდათურეფიში ნოხორიი. „გუჲაანთ ჯანაშიების ნასახლარი. მათი ძირის სამოსახლო. მათი ძირის ხატიც აქვე ყოფილა“ (ჯანაშიების გვარის შესახებ იხ. თამაკონის სასოფლო საბჭოში).

გუგერი, მაღალი ზოლისებური სერი. წინათ ტყიანი ადგილი.

გუგუტური, ადგ. „გუგუთურების სამოსახლოა. გუგუა გვარი ყოფილა“.

გუედაში როგუ (გულუდას ხრამი). „წინათ ვიღაც გუედა გადაჩეხილა. გუედა გვარია, აქედან წარმოსდგენენ გულედავეგი და გულორდავეგი“.

გუჯაში ჭაე (გუჯას ჭალა).

დამიანე. I. ღელე. ერთვის ტეხურს. II. გაშლილი ადგილი. ღელე დამიანეს სანაპიროზე, ძლიერ ნაყოფიერი. უხვმოსავლიანი. დამიანეს გვარად თვლიან.

დგებიაში. „დგებუაძის კუთვნილი მამული“.

დოგერა, დობილოიანი ფერდობი. ტოპონიმი ერთგანაც გვხვდება.

ეგერისქუე, ბერისქუალების, ბერიშვილების ნასახლარი.

ეგეჭვაჲე, ბეჭვაიების უბანი.

ეგაგუე, გაგუების უბანი.

ედგეგე (სადგებიო), უბანია.

ეკეკუტიე, კეკუტიების (გვარია) უბანი.

ენანე, ნანების (გვარია) უბანი.

ენწერი (ეწერი). საყანე. ასეთი ტოპონიმი სოფელში მრავალ ადგილასაა. ეწერი ფართობები აქ სულ ტორფნარია.

ენწერი, ეწერი. საყანე.

ეჩაგინე, ჩაგინავების (გვარია) უბანი.

ეწურბეე (საწურბელე), ადგ.

თეროსანი (თოროსანი), ადგ. „აქ ყოფილა ჟინანთარის სათაყვანებელი ქვა-ვარცლი, სადაც მის პატივსაცემად ხდებოდა მსხვერპლის შეწირვა და ლოცვა. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ჟინანთარი წმინდა გიორგად ჰყავდათ წარმოდგენილი. წმინდა გიორგი თეროსანი, აბჯრიანი მეომარი ყოფილა. ამიტომ ამ ადგილს თეროსანი ან თოროსანი დარქმევია. ნაოხვამუსაც (ნაეკლესიარს) ეძახიან“.

კადარა, ქვიანი ადგილი. ასეთი ტოპონიმი სოფელში კიდევ ერთია.

კოკაიაში კარი (კოკაიას კარი), იგივე ნაფოსტარია. „აქ დიდ ვაჭარ კოკაიას ჰქონია ფართლეულისა და საწერილმანოს დუქნები“.

მათეიაში ნოხორიი (მათეიას ნასახლარი), ადგ.

მეენი ჟინოთა (გაღმა ჟინოთა), სოფ.

ნააფთიაქუ (ნააფთიაქარი). „შამშე ჟორდანიას აფთიაქი იდგა ამ ადგილას“.

ნადაჲ. სადავო ადგილი. დაობდნენ პრინცები და გლეხები“.

ნადოხორუ (ნასახლარი), ადგ.

ნადოხორუ, ადგ. „მურზა დგებიას ნასახლარი“.

ნადოხორუ, ადგ. დგებიას ნასახლარი.

ნადუქანუ (ნადუქნევი), ადგ. ტოპონიმი ერთგანაც გვხვდება.

ნათუთუმუ (ნათუთუნარი). „ბერძნებს თამბაქო ეთესათ თურმე“.

ნაკარუ, ადგ. „ჯარის ნაბანაკარია“.

ნაკირეში (ნაკირალი), ადგ.

ნაკლასუ (ნასკოლარი), ადგ.

ნამიკოლუ (ნაკოლარი), სასოფლო საბჭოში მთელი სოფელია. მისი ნაწილი ლედგებეში, თამაკონში, კიწიაში და გურძემშიაც გადადის. „იგი ძველთაგანვე ცნობილია კერამიკული წარმოებით. მთელი ეს ადგილები ეწერი, ონწარე ადგილებია, საქოთნე და საქვევრე მიწებია მხოლოდ, სხვა მხრივ უმოსავლო, უნაყოფო ადგილებია. სახელწოდების შესახებ არის მრავალი გადმოცემა, რომელიც მიუთითებს, რომ უძველესი დროიდან აქ კერამიკულ წარმოებას მისდევნენ, ამზადებდნენ კოლოს, პატარა სურებს, რომელსაც დიდი მოწონება ჰქონია ყველგან. აქ მოდიოდნენ ზღვისპირეთიდანაც კი ამ კოლოს წასაღებად. კოლოსი და საერთოდ ქოთნის პირველი ოსტატები ამ მხარეში ნიკოჲავები – ნიკოჲას გვარის ხალხი ყოფილა, ამიტომ ამ სოფელს ნაკოჲო შეერქვაო“ – ივანე ახალაიას ნაამბობი. არქეოლოგიური მასალები ამტკიცებენ, რომ ნეოლოთის ხანაში აქ ყოფილა. ამ ეპოქის ადამიანის ნასახლარები, სადაც ფართოდ ყოფილა განვითარებული კერამიკული წარმოება. არის სხვა გადმოცემა: „კოჲოებს – პატარა დოქებს ამზადებდნენ აქ და ამიტომ ნაკოჲ ადგილი დაერქვაო“ – ბიკი ნადარაიას გადმოცემით.

ნანტკია, მოტკილული საყანე მასივი.

ნაოსხაპუ, საცეკვაო, საჯარო და თავშეყრის ადგილი.

ნაოჭკადუ (ნასამჭედლარი), ადგ. ეს ტოპონიმი ერთგანაც გვხვდება.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ადგ. რამდენიმე ადგილას კიდევ გვხვდება.

ნაფოსტარი. „აქ იყო ფოსტა და საფოსტო დილიჟნის მოსასვენი ადგილი“.

ნაქვიშა, მოქვიშული მასივი.

ნაჩაჩანუ (ნაბოშარი), ადგ. „ასორმოცდაათი წლის წინათ ბოშები დაბანაკებულან აქ პირველად და ამის შემდეგ ნაჩაჩანუს ეძახიან“.

ნაჩხვერი, ჩხვერის – ღომის სათესი ადგილი.

ნაცანუ, ცანების (გვარია) ნასახლარი.

ნაჭკიდუ (ნამჭადარი, ნაფეტვარი), ადგ.

ნეძონა (კაკალნარი).

ნეძოღეე (ნიგოზ ღელე). „ღელეა, მის ნაპირებზე წინათ სულ ნიგვზნარი ყოფილა“.

ნოღა, ღელე.

ნოხიონი (ნახილარი). „ხეხილის ბუნებრივი ბაღნარი ყოფილა, ვაშლნარი და მსხლიანი“.

ნოჯიხენი (ნაციხარი), ასეთი მიკროტოპონიმი აქ მეორეცაა.

ნოჯიხუ (ნაციხარი).

ჲახვაშია, ღელეა.

ოწურძენე (საყურძნე). „სავენახე ადგილი. მაღლარზე ოჯალეშის ჯიშის ვაზი ყოფილა მიშვებული“.

ოგურთეში (საბურთაო), ადგ. „ბურთაობა და ჯარობანა სცოდნიათ აქ“.

ოგერეში (სამგლე), ადგ.

ოგვარგვაეში, ჭორომიანი ადგილი.

ოეკეში (სალეკო), ღელე.

ოეკეში, ადგ. „ლეკი ამოჰქონდათ წინათ“.

ოისირე (საისლე), ასეთი მიკროტოპონიმი სოფელში კიდევ ხუთ ადგილასაა.

ოკოტუე (საქოთნე). წითელმიწა, საიდანაც „ქოთანს ამზადებდნენ. ამ მიწას ურევდნენ თამაკონის „შრომის დროშის“ სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიიდან (უწინ ნამიკოლოვოს გაგრძელება), „ოჭუბურედან“ მოტანილ მიწას და ქვევრებს ამზადებდნენ. ბატონყმობის გაუქმებამდე მიწა ბატონისა იყო და მისი ამოთხრისათვის ბატონს ბეგარას უხდიდნენ, ხოლო ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მიწათმფლობელებს ბაჟს აძლევდნენ“ – ივანე ახალაიას ნაამბობი.

ოკოტუე, საქოთნე მიწის ადგილი.

ონწარე, „ჭაობიანი, ჭილიანი, წითელმიწა ველი, თხემლის ჩირგვნარით დაფარული“.

ონწარე, ჭაობი. წყლიანი ადგილი.

ონწყიე (შქერის ტყე).

ოფედერა, ადგ. ფედერების (გვარია) ნასახლარი.

ოღუე (საბუე), ბუების ადგილი.

ოშქედე, ტყე. „ბნელი და გაუვალი ტყიანი ყოფილა“.

ოშხურე (საცხვარო), ცხვრის სადგომი ადგილი.

ოჩე, უბნის ერთი ნაწილი ჭყონის სასოფლო საბჭოშია, მეორე ნაწილი – ტალერში, ხოლო სამხრეთი ნაწილი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზეა. სულ თეთრის (ვაზის ჯიში) მაღლარი ყოფილა. ოჩე, ე. ი. საჩეო, სათეთრო ადგილი. „სულ სახნავი ადგილები ყოფილა, ძლიერ ნაყოფიერი, უხვმოსავლიანი, ოჩე ადგილი“ – გ. გაგუას ნაამბობი.

ოცუმე, „თევზების საყრელი ადგილი“.

ოჭკადურეში. „სამჭედლო ყოფილა ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ“.

ოჭკადური (სამჭედლო), ადგ.

ოხაჩქუ, ობერგული მიწა. თოხით დასამუშავებელი ფერდობი.

ოხვამე ფერდი (ეკლესიის ფერდობი), წმინდა გიორგის ეკლესიის მიდამოები.

ოხოჯური (სახარე ადგილი). ტოპონიმი ერთგანაც გვხვდება.

ოჯარე (საჯარო), ადგ.

ჟინოთა. ჭყონის მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთი უბნის სახელწოდებაა. „წინათ, საერთოდ, სოფელს ჭყონს არ ეძახდნენ. მას მხოლოდ რევოლუციის შემდეგ ეწოდა ეს სახელი. მის დიდ ნაწილს ჟინოთა ეწოდებოდა. ჟინოთა ორ ნაწილად იყოფა. ჟინოთა – ღვთაება ჟინანთარის – ჟინოს საუფლო სოფელია. მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი ახლა სალხინოს სასოფლო საბჭოში შედის. აქ სცოდნიათ ამ ღვთაების დღესასწაულიც, რომელზედაც შორეული სოფლებიდანაც კი მოდიოდა ხალხი“.

რახვიი. „მდინარის პირას კბოდე ჩავაკებული. საკმაოდ დაცული ქარისაგან, რეხიანი ადგილი. აქ მაღალ ხურმის ხეებზე მიშვებული ყოფილა ჩერგვალი – თეთრი რგვალი. იზაბელას ღვინოს მაშინ არ სვამდნენ, რადგან ბაღლინჯოს გემო აქვსო“.

რკინა წიდა, ადგ. „უძველესი ნასამჭედლარი“. ტოპონიმი ერთგანაც გვხვდება.

როხონა (კეჭინარი), ქვიანი ადგილი.

საანგურო (სააგურე), ადგ.

საარიკი, ღელეა.

საგეგეჯო. „გეგელიების უბანი და მამული“.

სანადარო, ნადარაიების (გვარია) უბანი.

ტყაუკია. „ხშირი ტყე ყოფილა პატარა ფართობზე“.

უშქურონა (ვაშლნანრი).

ფაქვაში, სოფლის დიდი უბანია.

ფაცხა ნაჭვი (ფაცხა დამწვარი), ადგ.

ფახვაშია, ღელე.

ქანცხარი, ბარდნარი.

ქვარცხონა სუკი (ქვარცხონა სერი).

ქოჯოში, კოლოში. „მწარეს ვაზის ჯიშის დობილო ყოფილა აქ“.

ქუა უჩა (შავი ქვა), ადგ.

ღაიჩა პიჯი (ღაიჩას პირი).

ღაიჩა. პატარა ღელე.

ღაიძგა პიჯი (ღელის პირი).

ღეე ღვანდარა. მიიღვანდარუ (მორაკრაკე ღელე), სუფთა და გამჭვირვალეა. იცის წვრილი თევზი, ოდნავ მოწითალო ფორეჯებით, ზოგჯერ 10 სმ სიგრძისა, „ჟინოში კითი“ – ჟინოს თითი. „ღვთაება ჟინანთარმა – ჟინომ თითი ჩაყო თურმე ამ სუფთა ღელეში, დალოცა იგი და მისგან მისი თითის მსგავსი და ტოლა თევზები წარმოიშვნენ“ – გიორგი გაგუას ნაამბობი.

ყოინდარი, ადგ.

შქაღეჯე (შუაღელე).

ჩხოუშიაპიჯი, ღელე ჩხოუშიას სანაპიროები.

ჩხოუშია, ღელე. ჩხოუ – ძროხა.

ცხემურონა (რცხილნარი), ადგ.

ცხემურონი (რცხილნარი).

წიდა რკინა (რკინა წიდა), ადგ. „ესეც უძველესი ნასამჭედლარია. წიდას ახლაც პოულობენ“.

წყვანა, ჩაქცეული, მეწყერიანი ადგილი.

წყურგიი (წყარო), „საყაჩაღო ადგილი. აქ გზაჯვარედინი იყო, ჭყონის, კიწიის, დოშაყესა და კურზუსაკენ მიმავალი. აქ იყრიდნენ თავს ყაჩაღები. მუდმივ საშიშარი ადგილი ყოფილა“.

წყუში. წყაროს ადგილი, რომელიც შემდეგ ამომშრალა.

ჭეჭყონა (ჭაობი).

ჭეჭყონა, ჭენჭყობი, ჭაობიანი ადგილი.

ჭითა ფერდი. წითელმიწიანი ფერდობი.

ჭიჭიჯური. ამ ჯიშის მაღლარი ვაზი ყოფილა ამ ადგილას.

ჭკადუაში (ჭკადუასი), უბანი. უძველესი ნასამჭედლარი.

ჭოდინა, ადგ. მაღლარი ყოფილა წინათ.

ჭუბურონა (წაბლნარი), ადგ.

ჭყონი (მუხა), სასოფლო საბჭოს ცენტრი. „სადაც დღეს ფაბრიკა და სკოლაა, ოდესღაც უღრანი მუხნარი ყოფილა. ტყის ცენტრში, პატარა ტაფობზე დიდიჭყონი – დიდი მუხა მდგარა. აქ ყოფილა ოდითგანვე სალოცავი ადგილი... რიტუალი სრულდებოდა ძველი სტილით 8 სექტემბერს. აქ მომხდარა აჯანყებულ გლეხთა ყრილობა. საშა გეგეჭკორიც აქ შეხვედრია თავის რაზმელებს“ (გიორგი გაგუას ნაამბობი). არის ტოპონიმი „ჭყონაც“.

ხუტუტიში (ხუტუტის), საყანე.

ჯვეში შარა (ძველი გზა). „აქ მდინარეზე ვაზის ტოტებისაგან შეკრული ბონდის ხიდი ყოფილა“.

ხუნწი

სოფელი გაშლილია მდინარე ნოღელასა და ცხენისწყალს შორის ხეობაში. მისი ჩრდილოეთი მხარე შეფენილია ტაბაკელას მთასა და მის კალთებზე, ხოლო სამხრეთი ნაწილი გაშლილი ვაკეა. მას **საბეკს** ეძახიან. ძველად აქ მარულა იმართებოდა, იყო ჯარიანობა და თავშეყრა.

სასოფლო საბჭო სამ ნაწილად იყოფა: **ზედა** ხუნწი, ქვედა ხუნწი და **ლეციცხვაიე**. ზედა ხუნწი მდინარე ცხენისწყლის გაშლილ ჭალაზეა, ხოლო ლეციცხვაიე ნოღელას ნამდინარევ ვაკეზეა გაშლილი. ზედა ხუნწში ალუვიური ნიადაგებია, ამიტომ აქ კარგად ხარობს ვაზი, ხილი და ბოსტნეული. სამხრეთის მზისგული მდებარეობაც ძლიერ ხელსაყრელია ბოსტნისა და ბაღის გასაშენებლად. ქვედა ხუნწი ცხენისწყლის გაშლილ ჭალაშია. მისი აღმოსავლეთი ნაწილი ამ მდინარის ნამდინარევი შლამითაა საკმაოდ ღრმად დაფენილი, ამიტომ უხვმოსავლიანია, ხოლო აღმოსავლეთით ეწერი მიწებია. ლეციცხვაიე სულ ეწერ მიწებზეა გაშლილი, მხოლოდ მცირე ზოლი-ნოღელას ნაპირები მისი შლამითაა მოფენილი. ამიტომ ეს მასივები უხვმოსავლიანია. მოსახლეობა იმერეთთან ახლოსაა, მეტყველებს ნაწილობრივ იმერულ კილოზე.

აბანიეში, საბანაო ადგილი.

აჯანიაში გა (ალანიას ბორცვი).

აცანური, ვაზნარი და ბაღნარი.

ბაბიჯური, ვაზნარი.

ბასნადოხორუ (ბას ნასახლარი), ადგ.

ბინურდუდი (წყაროს თავი).

ბუახარი, სათესი.

გეგინეთი, გეგენეთი, გეგენას (გვარია) სახლი, ადგ. არის გეგიაც და გეგენაც, დღეს გეგენავა.

გეგინოური, გეგინას ნაშენი.

გვაზაში ნოხორი (გვაზავას ნასახლარი), ადგ.

გონჯოური, ადგ.

დეიფანი, მდინარისპირა ველი.

დობერა (დობილოიანი ტყე).

ეგოგაიე, გოგაიების უბანი.

ერიში გინნათხეფი (ერის გადანავარდნი), ადგ.

კიბუჯა, გორაკია კიბეების მსგავსი, სართულებიანი.

კიჭურიაში დიხა (კიჭურიას მიწა) ადგ.

კოდმე (კბოდე).

მამფორიაში გორე, მამფორიას (გვარია) გრა.

მაჭყვადური. ადგ. „ამ ჯიშის ვაზი ყოფილა აქ მაღლარზე“. მსგავსი ტოპონიმი ამ სოფელში კიდევ ორია.

მოხოთი, სახნავ-სათესი ადგილი.

ნადუქანუ (ნადუქნევი), ადგ.

ნაისირუ (ნაისლარი), ადგ.

ნაკამციარუ (ნაკანცელარიალი). ადგ. „ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ამ ადგილას აუგიათ პირველი მამასახლისის ხის კანცელარია“.

ნაოხვამუ (ნაეკლესიარი), ადგ.

ნარონი (ნადგომი), ადგ.

ნატახა (ნამტვრევი). „ქვის კარიერი, ქვის სატეხი ადგილი. აქ ცარცის ქვისაგან და ადგილობრივი კირქვის ფილებისაგან ჭრიან ლამაზ სვეტებს ჭიშკრებისათვის, ქვაფენილებისათვის, საფლავის ქვებს“. ქვის მთლელებს ამოჰყავთ შესანიშნავი ქართული ჩუქურთმა წნული გრეხილებით. ხშირად ჭრიან მზის გამოსახულებას.

ნატებერა (ნატყვევარი), სოფ. „აქ ოდესღაც მუხისა და წაბლის შესანიშნავი ტყე ყოფილა, შემდეგ გაუჩეხიათ და ხალხი დასახლებულა“.

ნათოფურუ, ადგ. თოფურიების (გვარია) ნასახლარი.

ნაქერუ (ნაქერალი), ადგ. მსგავსი ტოპონიმი ამ სოფელში კიდევ ორია.

ნაშენი, ადგ. ვენახის ნაშენი ყოფილა.

ნაჭკადუ (ნასამჭედლარი), ადგ.

ნაჯიხუ (ნაციხარი), ადგ.

ნიკოგოშური (ნაკვახარი), ადგ.

ოგუმარე (გვიმრნარი), ადგ.

ოისირე (საისლო), ადგ.

ოკარიე, საკარიო. „საქათმე ადგილი ყოფილა“.

ოკვანტიეში, ადგ.

ორეკეში (დასარეკი), ადგ.

ოსკიბუე (სასკიბუო), ადგ. სკიბუ – წიქვილის ქვა.

ოჩოჯური (დასაცლელი), ადგ.

ოციე, ადგილი სათხაო. აცა ან ცა – თხაა.

ოჭირიე (საჭირო). „მაღალქვიანი ხევია ღელეთი. ჭირისა და ჟამიანობის დროს ხალხი თავს იცავდა ამ ღრმა ხეობაში“.

რეხი, ქვიანი ადგილი.

საბეკი, ადგ. „ცხენების სარბენი, მათი სამარულო და სადგომი ადგილი ყოფილა. ცხენოსნობის განსაკუთრებული დღესასწაულები და ცხენის ლოცვაც აქ ეწყობოდა უძველესი დროიდან. აქ იმართებოდა მარულა და დოღი, ე. ი. ცხენები ბეკნიდნენ ველს. ამიტომ მას **საბეკი** შეერქვა“ – გვიამბობენ მოხუცები.

საეკია (სალეკო), ადგ. „ლეკი ამოჰქონდათ, საღებავად იყენებდნენ“.

საეკლესიო, ადგ. ეკლესიის მიწები.

სამარჭო, ადგ. „ამ ჯიშის ვაზი ყოფილა მაღლარზე მიშვებული“.

სარიკეში, რიკტაფელას სათამაშო ადგილი.

საჩიქვანო, ადგ. ჩიქვანების ნასახლარი.

სიაგაში ნოხორიი, ადგ. სილაგავას ნასახლარი.

სტეფაში ნადოხორუ (სტეფას ნასახლარი), ადგ.

ტაბაკოჯაში ჯინჯი (ტაბაკელას ძირი), მთის ძირი.

ტები, ტყე.

ტორეთი, ტორაში თი (ტორას სახლი), ადგ.

ფაკუთი, ბორცვი. ფაკუს თი, ფაკუს სახლი. „აქედან წარმომდგარა ფარუები“.

ფაქვა, სათესი.

ქუქითი, ქუქის თი (ქუქის სახლი), ბორცვი. „ქუქი ყოფილა დიდი ოჯახის პატრონი. მისი ოჯახის წევრებიდან არის წარმომდგარი შემდეგ **ქუქიას** გვარი“.

ღვეითი, ღვეიში თი (ღევის სახლი), ადგ.

ყორე, ადგ. „ნაჯებირალი. მტრისაგან თავდასაცავად ქვის ჯებირი გაუმართავთ ცხენისწყლის ძირიდან ტაბაკელას მთამდე“.

შონურა, ადგ. სვანურის ჯიშის მაღლარი ყოფილა აქ გაშენებული.

ჩაჩოური, ჩაჩუების (გვარია) უბანი.

ჩერგვიი, ადგ. „აქ ამ ჯიშის მაღლარი ყოფილა გაშენებული“.

ჩეშონა (თეთრი სვანური), ადგ. „ოჯალეში ყოფილა მაღლარზე“.

ჭოჯოკოური, ჭოჯოკაში (გვარია) ნასახლარი. ადგ.

ჭყვეპონა (ჭენჭყობი), ჭაობიანი ადგილი.

ჭყონარი (მუხნარი). ადგ.

ხუნწი, ს/ს. იგი ერთი უბნის სახელწოდებაა, გვიან მთელ სასოფლო საბჭოზე გავრცელებული.

ჯვარფერდი, უძველესი სარიტუალო ადგილია. გადმოცემით, „აქ ქვის ჯვარი ყოფილა აღმართული, რომელსაც ეთაყვანებოდნენ ახლომახლო სოფლის მცხოვრებლები. ნაგებობის არსებობა არავის ახსოვს. რიტუალი სულ უკანასკნელ დრომდეც სცოდნიათ“.


სოფ. ხუნწის
ტოპონიმიკური რუკა.
გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის
მუზეუმი.
1960
პირობითი ნიშნები:
სოფ. ხუნწის ტერიტორიაზეული საზღვარი
მდინარეები,
გზები.
მასშტაბი: 1 X 10000

სამეგრელოს

ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის ტყისა და საძოვრის ზონა

ამ ზონით მთავრდება რაიონის ტერიტორიული შემოსაზღვრულობა ჩრდილოეთით. იგი ესაზღვრება ცაგერის, ქვემო სვანეთისა და წალენჯიხის რაიონებს და სამეგრელოს მთაგრეხილის გულში იჭრება, ტეხირგოლას, მინგარიეს, დგომის, დვირას შეფენაზე. აქ მოედინება მდ. ტეხური. ტყიანი ადგილები ვიწრო ხეობებად იყოფა. ტყე მდიდარია სასარგებლო მერქნით, განსაკუთრებით მუხით, წიფელათი, სოჭით, ფიჭვით, ნაძვით, ურთხელითა და სხვ. მრავალ ადგილას გამოედინება მჟავე წყლები, ხოლო ჩეგოლა და ლებარდე შესანიშნავი აგარაკია თავისი მჟავე წყლებით, ჰაერითა და წიწვოვანი ტყით.

0 მეტრის სიმაღლეზე გაშლილია ალპური ზონა საუკეთესო საძოვრებით. მთის ველობები მდიდარია შავმიწა ნიადაგებით. მოჰყავთ პური, სიმინდი, ხარობს ვაზი და ხილი. განსაკუთრებით განვითარებულია მეფუტკრეობა.

მხარე, როგორც ამას არქეოლოგიური გათხრები ადასტურებს, ძლიერ დიდი ხნიდან ყოფილა დასახლებული. შორეულ წარსულში აქ მისდევდნენ სპილენძისა და რკინის მეტალურგიას, მესაქონლეობას, მიწათმოქმედებას. აქ მცხოვრებთა მეტყველებაში ბატონობს ნაწილაკი ლე. გაბატონებულია ზუგდიდური კილო.

აგვარა. მესაქონლის სადგომი, სამეურნეო კომპლექსი. მისი ძირითადი ნაწილებია: აგვარა, საერთო შესადენი (ძროხების მოსაწველი და მოსავლელი), თგფგ (აგვარას ცენტრალური ნაწილი (ღამით საქონლის მოსასვენებელი), ჯიხური (მწყემსის ბინა), ოჯოღორე (საძაღლე), ოგინე (სახბორე). თგფგ საქონლის სახეობის მიხედვითაა დაყოფილი. ძროხას თავისი თგფგ აქვს, ხარს თავისი და ა. შ. თ. ნაჭყეპიას გადმოცემით, „სერით საქონეი მუშ-მუშ თგფგს გეხე – ღამით საქონელი თავ-თავის თგფგზე ზის“ (თ. ნაჭყეპიას ნაამბობი).

ადამნუზუ (ადამის ნაძვი), ადგ. „ადამი მონადირე ყოფილა. ქარბუქის დროს ნაძვისათვის შეუფარებია თავი, მაგრამ ქარბუქს მაინც დაუხრჩვია“.

აზმახი, საქონლის სარწყულებელი, დამდგარი წყლის ტბორი (ყველა კარავს თავისი აზმახი აქვს ასხის ზეგანზე).

არაბეფიშ ნაკარუ (არაბების ნაკარვალი), „ადგილი ასხში. აქ არაბთა სარდალს ჰქონია კარავი“.

არჩვაში კარე, არჩვას (გვარია) კარავი.

ასმანცხვარი. „ასხის მაცხოვარი, რომელსაც ლეჩხუმელები თაყვანს სცემდნენ, ვერცხლის ფულს სწირავდნენ“.

ასხი, ალპური ზეგანი, მთა. შესანიშნავი საზაფხულო საძოვარი, ნოყიერი ბალახითა და კარგი ჰაერით. „ასხი წარმომდგარია სიტყვა ასხმისაგან – ასხმა, საქონლის საზაფხულოდ ასხმა“. ასხს მეედანსაც (მოედანი) ეძახიან.

აფიცარა. „აფიცარი, ფიცრის სათლელი და დასაგორებელი ადგილი, შემდეგ ფიცარივით შიშველი. დღეს ალპური საძოვარია. მეჯოგეები აქ საძოვრებს დაინაწილებდნენ და ერთმანეთს შეჰფიცებდნენ ხოლმე“.

აჭვი, ადგ. „ჭვავს თესავდნენ თურმე წინათ“.

ბეჩონა, ბეჩოიანი კლდე და ხევი.

გულონფერდი (ბლიანი ფერდობი).

გულონაში დუდი (ბლიანის თავი), ადგ.

გულონი (ბულიების სადგომი), მსგავსი ტოპონიმი აქ კიდევ ორ ადგილისაა.

გირძე გოლა (გრძელი მთა).

გიშახუნაფალ ღალი (გამოსაყვანი ღელე).

გოდირაკიი (გადრეკილი), უღელტეხილი, გადასასვლელი.

გოკირილი (შეკრული, გახერგილი).

გოლაია, მცირე მთა.

გონაკაკა, ადგილი, სადაც ფიცრებს თლიდნენ.

გოხორხილი (გახერხილი).

დავითიში კარე (დავითის კარავი), ადგ.

დგომი (ნადგომი), ადგ.

დვირა, ალპური საძოვარი, შესანიშნავი წყაროებითა და უხვი და ნოყიერი ბალახით. „ძირითადად ძროხების საძოვარია“.

დიარზენა (ჩავაკება), ადგ.

დიდღალი (დიდი ღელე).

დიდი რზენი (დიდი ველობი). ადგ.

დიდი ქვაბიში ღალი (დიდი ქვაბის ღელე).

დიდკარე (დიდი კარავი). „საძოვარი ტყის თავზე. კარგი საკარვე ადგილი, მოფარებული და გაშლილი. წინათ მეცხოველეთა მთავარი კარავი ყოფილა აქ“.

დიდღალის ბოლო (დიდღელეს ბოლო), ადგ.

დოგერარზენი, ტყიანი, დაბურული ადგილი.

ერჯია, „ადგილია, სადაც ერჯებს – ვერძებს, ვაცებს აძოვებდნენ“.

ერჯიაში ღალ (ერჯიას ღელე).

ვედიდი (ველდიდი), საძოვარი.

ზენია გვართა, რზენი იაგვართუ (ვაკე უწევს), ვაკეა გაწოლილი მთის გასწვრივ.

თავაზონი, ადგ. „თავაზონი ერთგვარი ბალახია, საქონელი ძლიერ ეტანება“.

თოდუაში ნოხორიი (თოდუას ნასახლარი), ადგ.

ინჭირონაშ ღალი (ანწლნარის ღელე).

ინჭირონი (ანწლნარი), ადგ.

კალანდიაში კარე (კალანდიას კარავი), ადგ. „მეჯოგე კალანდია აქ მემკვიდრეობით იდგა. ჰქონდა კარ-მიდამო“.

კამონი, ადგ.

კარმეედანი (მოედნის კარი), ასხის შესასვლელი. მისი ყელი, ერთგვარი ხევია სალხინო-ქვიბიის მხრიდან.

კარე (კარავი).

კარე, მეჯოგის კარავია დღესაც.

კემლაკეისარი. „ადგილი, სადაც გადმოცემით, უცხოელი მეფე დაბანაკებულა“.

კოსტაში კარე (კოსტას კარავი).

კოჩურძუა (კაცური ქვა), ქვა კაცის სახისა. თხის საძოვარია მხოლოდ.

ლებარდე (ბარდიანი, საბარდე), აგარაკია წიწვოვან ტყეში, ალპური ზონის ქვემოთ, მჟავეწყლიანი. რკინის წყალი და შესანიშნავი ზღვისა და მთის შერეული ჰაერი საუკეთესო სააგარაკო ღირსებებით მოსავს მას. აგარაკი მე-19 საუკუნის დასასრულიდან არის ცნობილი. ყოველწლიურად აქ 9-10 ათასამდე დამსვენებელი იყრის თავს. ტყე მდიდარია სოჭით, ფიჭვითა და ნაძვით, მთები კი რკინის, სპილენძის, მარგანეცისა და ტყვიის მადნით. „ლებარდე ბარდონადან, ბარდიდან არის წარმომდგარი. პირველ მწყემსს, ვისაც ეს აგარაკი აღმოუჩენია, აქ ბარდნარი დახვედრია და ებარდე, ე. ი. ბარდნარი უწოდებია“.

ლებარდეში დუდი (ლებარდეს თავი), ადგ.

ლეკუდელე (საკუდელიო), კუდელიას (გვარია) უბანი.

ლეკუდელეში სუკი (ლეკუდელეს სერი).

ლეკუდელეში ღალი (ლეკუდელეს ღელე).

ლენჭეხა (საწურავი), წარმომდგარია ჭახუადან – წურვა. აქ ოდესღაც „რკინას ჭახუნდესია“ (რკინას წურავდნენო). არქეოლოგიური დაზვერვით ნაპოვნია უძველესი მეტალურგიული წარმოების რელიკვიები: ტიგელის ნამსხვრევები, სხმულები, წიდები და სხვ.

ლუხონა. „საძოვარი, ლეჩხუმლებს შეურქმევიათ თავიანთი სოფლის სახელი. აქ მათი კარავი ყოფილა“.

მაკეოციე ცა (თხა). „ადგილი, სადაც მაკე თხებს აძოვებდნენ, შედარებით გაშლილი ადგილია“.

მაღარო, ადგ. „რკინის მაღარო ყოფილა ოდესღაც“.

მდ. ჩხოროწყუ (ცხრაწყარო), ადგ. ნაჭყეპიებისა და გაბისონიების ნასახლარი, 1700 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. აქ ხარობს ვაზი, სიმინდი და ხეხილი. არის საფუტკრე ადგილიც. ნაპოვნია ბრინჯაოს ეპოქის ადამიანის იარაღები.

მელენი ოსკალე (გაღმა საფუტკრე), ადგ.

მინგარიე (მტირალა), მთაა.

მინგარიეშ ღალი (მინგარიე ღელე).

მუზერა, ადგ.

მულუზდუდი (მულუზის თავი), მთა.

მულუზი, ღელე. „მუ ღუზი სქუა – რა დალიე, შვილო!“, მთიდან წამოსულ მწყემსს ძალიან მოსწყურებია, წყალი დაულევია ისე ბევრი, რომ გაბერილა და გამსკდარა“.

მუჩერა, მთის გამოქვაბულიანი ფერდობი.

მუხურა, კუთხე შეჭრილია ხეობაში.

მუხურა, კუთხე, ერთი მხარე.

ნაბოგირუ (ნახიდარი), ადგ.

ნათურძუ (ნათურქალი), ადგ.

ნაკარუ (ნაკარვალი), ადგ.

ნაოსკალუ (ნაფუტკრალი), ადგ.

ნასაყარუ, საყარაულო ადგილი.

ნასახუ (სასახუიო), სახუეფის (გვარი) უბანი.

ნასახუ, ადგ.

ნასახურაში ღალი (ნასახურას ღელე).

გეგეჭკორის რაიონის ალპური ზონის
და ტყიანი საძოვრების ისტორიულ-
გეოგრაფიული (ტოპონიმიკური) რუკა.
გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
1963 წ.
ძირითადი ნიშნები:
ცხოვაის რაიონის საზღვარი.
ცოგერის რაიონის საზღვარი.
ხიმშტოდის რაიონის საზღვარი.
მდინარეები.
სოფ. გზები.
ბილიკები.
კარავები.
მასშტაბი: 1 X 25000

ნატაბაკუ (ნატაბაკარი), ადგ. მსგავსი ტოპონიმი აქ კიდევ ერთია.

ნაფსია, მოსილული ადგილი.

ნაცუ, ადგ.

ნაჭვი, გადანაწვავი და გადანაკაფი ადგილი.

ნაჭვიში ღალ (ნაწვავის ღელე).

ნაჭვუ სუკი (ნაჭვავარი სერი).

ნიგაზა ღალი (ნიგაზა ღელე).

ნოჭადენი (ნასამჭედლარი), ადგ.

ნოჭკადუ (ნასამჭედლარი), ადგ. მსგავსი ტოპონიმი აქ კიდევ ორია.

ნოჭკადუს ფერდი (ნასამჭედლარის ფერდობი).

ნოხორზენი (ნასახლარი ვაკე), ადგ.

ნოჯიხენი (ნაციხარი), ადგ.

ნუზუონი (ნაძვნარი), ადგ.

ოგორიე. საბორიო, საძოვარი. „სულ ბორია, გრიგალ-ქარი ქრის მწვერ-ვალებსა და ალპურ ზეგანზე. საქონლის სადგომად საშიშია“.

ოგინე, ცალკე გაშლილი, უშიშარი და მოფარებული საძოვარი. ასეთი მიკროტოპონიმი აქ მრავალ ადგილას არის.

ოდაჩხირე, ცეცხლის ადგილი.

ოზურმეხე, საძოვარი ადგილი.

ოკალმახე ღალი (საკალმახო ღელე).

ორაგვაფუ (მისახეთქი), ადგ. მისავარდნი.

ოსკალე, ადგ. საფუტკრე.

ოქაჯე (საქაჯე), ადგ. „ქაჯების, ავსულების საბუდარი“.

ოქაჯე ღელე (საქაჯო ღელე).

ოღაჭუე (საკრეჭი, საპარსი). „ცხვრის საპარსი ადგილი.

ოღეჯე (საღორე), ადგ.

ოღეჯედუდი (საღორეს თავი), საძოვარი.

ოჩხამური (სათევზაო), მდინარე.

პიტაჭალე (პატარა ჭალა).

რზენსაკარე (ველიანი საკარო), გაშლილი ველიანი ადგილი კარვების დას-ადგმელად.

რზენი ნუზუონი (ვაკე ნაძვნარი), ადგ.

რკინა წიდა, ადგილი, სადაც პოულობენ პრეისტორიული მეტალურგიის ნაშთებს.

რომანა, ადგ.

რუხიში ღალი (რუხის ღელე).

საბეკი, ცხენების სადგომი.

საოდიშო. „ოდიშის ბატონის, მთავრის საძოვარი“.

საოხაფუ, მოსაგები, მოგებული, ჩვილხბოიანი საქონლის სადგომი.

საქაცარო (საციკნო), ადგ.

საჩიქვანო, ჩიქვანების საძოვარი.

საცილო, მთა. „სულ ცილობა იყო ამ საძოვარზე“.

სიდოში კარე (სიდოს კარავი), ადგ.

ტეხირი (დატეხილი), მთაა ალპური ზეგნით, დატეხილი, წახნაგოვანი მწვერვალებითა და გორაკებით. მწვერვალებზე მუდმივი თოვლია. შე-ფენა კი ალპური საძოვარია. უფრო მეტად თხებისთვის იყენებდნენ.

ტეხირი, მდინარე ტეხური, ტეხილი და გიჟმაჟია.

ტოგავარჩხილი დიდი (დიდი ტბა ვერცხლი), დვირას მაღალ ბორცვზე არის 700 კვ. მეტრის ფართობის ტბა, ვერცხლივით ანკარა. ფსკერი სარკესავით ჩანს. ტბა დაუმშრალი და გაუმდინარია. ივსება თოვლისა და ყინულის ნა-ჟურით. ზღვის დონიდან 2200 მეტრის სიმაღლეზეა.

ტოგავარჩხილი პატარა. 200 კვ. მეტრის ფართობის ტბაა, 2300 მეტრის სიმაღლეზე. ჭიფე გოლას თხემზე, ისიც ანკარა და გაუმდინარი.

ტორჩა, დიდი საძოვარი მასივა.

ურთხელონი (ურთხლნარი).

უჩაღალი (შავი ღელე).

უწავი, დიდი ბორცვიანი ველობი ასხზე.

უწყარო, უწყლო ადგილი.

ფეცხონი (ჩირგვნარი), ადგ.

ფიჭვიში ღალი (ფიჭვის ღელე).

ფოსვი წყარი (ფესვის წყარო), ადგ.

ფოქვა, ადგ.

ფშალონიში ღალ (ფშალონის ღელე). „ფშა ერთგვარი ბალახია, რომელსაც საქონელი ძლიერ ეტანება“.

ქართა. „საქონლის შესადენ და დასაჭერ ადგილს ეწოდება“.

ქვარცხია, თხების ალპური საძოვარი, ქარაფოვანი და საშიშარი.

ქვაცაში ნაკარუ (ქვაცას ნაკარვალი), ადგ.

ქვიბია, ქვაბივით ჩავარდნილი ადგილი. „ჯორწყუსაც ეძახიან. ბერს აქ ჯორისათვის წყალი დაულევინებია“.

ქობალიაში კარე (ქობალიას კარავი). „მეჯოგე ქობალია აქ მემკვიდრეობით იდგა, ჰქონდა კარ-მიდამო და აძოვებდა თავის ჯოგს“.

ქუაწყარი (ქვის წყარო). ქვიდან გადმოსჩქეფს წყაროს წყალი.

ქუთუში ნაკარუ (ქუთუს ნაკარვალი), ადგ. აქ უძველესი მეტალურგიული წარმოების რელიკვიებია ნაპოვნი. ქუთუსოროსაც (სოროხევი) ეძახიან.

შაიონი. „გადმოცემით წინათ აქ შალეულს ქსოვდნენ“.

შაქვი, ადგილი და ღელე.

შაქვიში ღალი (შაქვის ღელე).

შუკა-ბილიკი, საქონლის გადასადენი ხევი მთებს შორის.

შქასუკი (შუა სერი), ადგ.

შქვითწელამი (შვიდშალაფა), ადგ. „სასადილოს თავი. აქ მეჯოგეები სადილად სხდებოდნენ ხოლმე, როცა დვირასაკენ მიდიოდნენ“.

შქერონიაში ხინჯი (შქერონას ხიდი).

ჩამურონი (საჩამურე), ადგ. „აქ კირქვის უზარმაზარი ლოდებისაგან ღომის საცეხვ ჩამურებს ამზადებდნენ“.

ჩეგოლა (თეთრი მთა), ნაძვნარია. გამოდის მჟავე წყალი. გასული საუკუ-ნიდან სააგარაკო ადგილადაა აღიარებული. წყალი რკინის შემცველია. მთები მდიდარია ტყვიით, სპილენძით, რკინით, კალით.

ჩეშონა, ჩეში ყოფილა მაღლარზე.

ჩიქონი, ადგ.

ჩხვინდღულა (ცხვირმოღუნული), გადმოღუნული მთა. შემოსასვლელი, გადასასვლელი.

ცხემურონი (რცხილნარი), მდინარე.

წელამონი (შალაფოვანი), ადგ.

წიდა, ადგ. უძველესი ნასამჭედლარი. მსგავსი ტოპონიმი აქ კიდევ რამდენ-იმე ადგილასაა.

წიფურგოლა (წიფლნარი მთა).

ჭიფე გოლა (წვრილი მთა), მაღალი, წვერწამახული მთაა, მდიდარი ალპური საძოვრებით.

ჭიჭე ოქაჯე (პატარა საქაჯო), ადგ.

ჭკადუკარე (მჭედლის კარავი), ადგ.

ხიილი (დარღვეული), ადგ. აქ ღელეცაა, ხიილი ღალი.

ხირხი, ადგ. ხერხივით დაღვრაკნილი კლდე და ასასვლელი.

ხიფა, ადგ.

ხიფაში ღალ (ხიფას ღელე).

ხორგონა, ადგ.

ჯალაგონა, ადგ.

ჯვარი, ბრტყელი მთა, ასხიდან დვირაში გადასასვლელი გზაჯვარედინი მთაზე. „მასზე გზის მაჩვენებელი ჯვარი ყოფილა დასმული“.

ჯვარიში ღალი (ჯვრის ღელე).

ჯიხა (ციხე).

სენაკი

მუნიციპალიტეტის ტოპონიმია

სენაკის რაიონი

სენაკის (ყოფილი ცხაკაიას) რაიონს მეტად საინტერესო რელიეფი უჭირავს. იგი იშლება რიონისპირეთიდან და ისტორიული უნაგირას მთის ორივე კალთაზეა გაშლილი. კოლხეთის დაბლობს მთელი აღმოსავლეთი ნაწილის ცენტრი უჭირავს. მასში შედის ზემო ჭალადიდის ბარი რიონის ორივე ნაპირზე, ახალი სოფლის, თეკლათის, ნოსირის, სენაკის და მენჯის მთელი ტერიტორია, ხოლო ჩრდილოეთის ზონა შეფენილია უნაგირას მთის ორივე კალთაზე. ხორში და ზანა ძირითადად გაშლილია გორაკ-ბორცვებიან, ზეგანური ხასიათის ვაკეზე, რაც ტერიტორიულად დასავლეთით ვრცელდება და ჩხოროწყუს რაიონში მდინარე ხობისწყლის ხეობის დასავლეთის ნაპირს მიუყვება ეგრისის მთაგრეხილამდე. ლანდშაფტი რაიონისა მეტად საინტერესო და მრავალფეროვანია.

რაიონი 1930 წლამდე სენაკის მაზრაში ერთ-ერთი ყველაზე წამყვანი ეკონომიკური და კულტურული ცენტრი იყო. ქალაქ ცხაკაიაში ამ დროს არსებობდა რამდენიმე მსხვილი სახელოსნო საწარმო, საიდანაც აღმოსავლეთ საქართველოს და რუსეთის იმპერიის სხვა მხარეებში იგზავნებოდა 14 სახის პროდუქცია. იგი ქალაქის ტიპის დასახლება იყო. ქ. სენაკის (მოგვიანებით ცხაკაიას) რკინიგზის სადგური იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკვანძო სადგური, რომლის ტვირთბრუნვა XIX ს-ის დასასრულისათვის 57510 ტონას შეადგენდა. XX საუკუნის II ნახევრიდან სენაკი საგანმანათლებლო და თეატრალური კულტურის ცენტრს წარმოადგენდა. აქ XIX ს-ის დასასრულს შეიქმნა თეატრალური დასიც, რომლის ორგანიზატორები იყვნენ და სრულყოფის საქმეში მონაწილეობდნენ თედო სახოკია, ძუკუ ლოლუა, კირილე პაჭკორია, ნოკო ხურცია და სხვა ცნობილი მოღვაწეები.

სენაკი მაზრას გამოეყო და რაიონად გამოცხადდა 1930 წელს. მაზრის რაიონებად დაყოფის პერიოდში მისი ტერიტორია შეადგენდა 521 კვ. კმ, მოსახლეობის რაოდენობა აქ 51 000 კაცს უდრის.

სენაკის რაიონს ესაზღვრება ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩხოროწყუს რაიონი, სამხრეთით – ლანჩხუთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით – აბაშის, დასავლეთით – ხობის რაიონები. რაიონის ტერიტორიის მთელი ფართობიდან 89% სასოფლო-სამეურნეო სავარგულს უჭირავს. მათ შორის სახნავია 10%, მრავალწლიანი ნარგავებია 6%, აქედან ბაღებია 1%, ვენახი 34,39 ჰა-ზე, ჩაის პლანტაცია – 1632, 2 ჰა-ზე, ციტრუსები 0,5%, თუთა 0,1% ჰა-ზე, სხვა დანარჩენი 1,5%. სულ სავარგულთა შორის 22499 ჰა საკოლმეურნეო ნაკვეთებია, 95% საბჭოთა მეურნეობებს უჭირავთ. სარწყავი მიწის ფართობია 0,5%. რაიონში 7 კოლმეურნეობაა და 11 საბჭოთა მეურნეობა. რაიონში ორი სამეურნეობათაშორისო მეცხოველეობის საწარმოა. რაიონის ტერიტორიაზე 14,2 % ტყეს უჭირავს. იგი ხასიათდება მცენარეულ იშვიათობათა მრავალფეროვნებით. აქ არის მუხის, წიფლის, ბზისა და ურთხმელის მრავალწლიანი კორომები. რაიონი მდიდარია სააგარაკო ადგილებით, ცხელი და მჟავე წყლებით, კარსტული მღვიმეებითა და კანიონებით, ბუნების სხვა ღირსშესანიშნაობებით.

როგორც ზემოთ ითქვა, ცხაკაიას რაიონს სამეგრელოს ერთიან რეგიონში ცენტრალური ადგილი უჭირავს. ამიტომ ოდითგანვე აქ თავს იყრიდა კოლხი ხალხისათვის დამახასიათებელი სტრატეგიული, სამეურნეო-ეკონომიკური და კულტურული ტრადიციების მნიშვნელოვანი კერები და შემდეგ ამ რეგიონიდან ვრცელდებოდა მათი გავლენაც და განვითარების მაგისტრალებიც. უდავოდ, ამითაა ნაკარნახევი, რომ ერისმთავარ ქუჯის სტრატეგიული და პოლიტიკური რეზიდენცია სწორედ აქ უნდა ყოფილიყო. ქუჯის ციხე სწორედ ამ რაიონის გულში იდგა. არქეოპოლისი და მისი „ქუეყანაც“ სწორედ მის შემოგარენში ვრცელდებოდა. მეცნიერული ლიტერატურა ამაზე საკმაოდ მიუთითებს (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ს. კაკაბაძე, დ. ბაქრაძე, შ. მესხია, ნ. ლომოური, პ. ზაქარაია, ს. მაკალათია, გ. გოზალიშვილი, თ. მიქელაძე და სხვ.).

აქ, სწორედ ამ ქვეყნის შემოგარენში ვრცელდებოდა წარმართულ ღვთაებათა პანთეონში ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული ღვთაების – მითრას საკულტო-სარიტუალო კერები – „მისარონი“, „ჯგემარიონი“ და ა. შ. ამ ღვთაების საკულტო ადგილებია და მით გარსშემოხვეულია ნოქალაქევი. იქნებ ოთხკუთხა, ღია თაღებით დამშვენებული შენობაც თავდაპირველად ამ კულტის სარიტუალო კერა იყო. რადგან ასეთი ნაგებობაა სწორედ შემდეგ ბაზილიკურ ქრისტიანულ ეკლესიად გადაკეთებული ჯგემარიონში, ბეთლემში. იგი თავდაპირველი ნაგებობა ჩანს, სადაც იქნებ მითრას მისარონობა სწარმოებდა, შემდეგ წმინდა მითრობა და ბოლოს ქრისტიანული წმინდა მარიამობა. ასეა მისარონებით დათაჯული ზემო ნოქალაქევის, გეჯეთის, ლეძაძამეს „ზუგები“ და გაშლილი ველიანები. აქ, სწორედ რიონისპირა მასივებზე გადიოდა „ბერძენიში შარა“ ფაზისამდე. აქ, „ოფაჩაფუში“ უნდა მდგარიყო ქალაქი „ნესოსი“ (ყაუხჩიშვილი). ჩვენ აქ ვიპოვეთ სამი ქვევრსამარხი და მრავალი სხვა მოწმე ანტიკური ხანის ქალაქისა. ეს თვალნათლივ ადასტურებს ჩვენი სასიქადულო სწავლულის, აკადემიკოს ს. ყაუხჩიშვილის აზრს.

აქ, სწორედ გეჯეთსა და ქვემო ნოქალაქევშია მინიშნული მედეას წალკოტიც, ხალხს იგი მტკიცედ სწამს. იქნებ ეს რწმენა უცხოური და ქართული ლიტერატურის გავლენითაა შექმნილი (ნ. ლომოური), მაგრამ თვით სამკურნალო მცენარეთა სიუხვე ამ წალკოტის გულში, მუხურჩის სამარხების ღირსშესანიშნაობანი გვარწმუნებს ამ ქვეყნის დიდ სამეურნეო და კულტურულ ტრადიციებზე. თუ ვივარაუდებთ აიეტის ქვეყნის ცენტრს და საღვთო ჭალას, განა ამ მიდამოებში არ ნახა და არ გამოიყენა პირველად იაზონმა ლითონის გუთანი? ეს უდავოდ სამიწათმოქმედო კულტურის დიდ გაქანებაზე მიგვითითებს კოლხეთში (გ. ჩიტაია, ს. მაკალათია და სხვ.) და ასე შემდეგ, ნაბიჯ-ნაბიჯ მიდის ისტორიული პროცესების კვალდაკვალ ძეგლები და ისტორიული მოწმეები ამ „ქვეყნის“ ტერიტორიაზე. თუნდაც „ნათმელის“ და „ნაციცმელის“ ეკლესიები შუა საუკუნეების ერთ-ერთ თვალსაჩინო ძეგლებად წარმოგვიდგებიან. რაოდენ მისასალმებელი და გასახარია, რომ ნამდვილი მამულიშვილური ქველმოქმედებით გაწმინდა ეს ძეგლები დოც. ი. ადამიამ და კვლავ ადამიანის თვალსაწიერს დაუბრუნა შესანიშნავ მოზაიკურ ელემენტად. დღეს ერთეული ასეთი მამულიშვილები ხვალ ათასებს ამოიყენებენ გვერდით და პატრიოტულ გაქანებას დაუდებენ სათავეს. ესაა სწორედ ამ მოვლენაში ხაზგასმული.

და აი, ჩვენ წლების განმავლობაში სანუკვარ ოცნებად გვქონდა, წესრიგში მოგვეყვანა ამ რაიონის ტერიტორიაზე ჩვენ მიერ შეკრებილი ტოპონიმები, დაგვეტანა ისინი სას. საბჭოების რუკის ქარგაზე, შეგვექმნა ცხაკაიას რაიონის ტოპონიმური ატლასი. სანამ ამ საქმეს შევუდგებოდით, ხელთ გვქონდა ამ რაიონის მკვიდრების, შესანიშნავი მამულიშვილებისა და პატრიოტების, ჩვენი მუზეუმის შტატგარეშე მეცნიერ-მუშაკების – გედეონ ხუხუნის და გიორგი კალანდარიშვილის ჩანაწერები, ჩვენი ექსპედიციის შედეგები, მრავალი საინტერესო სია, რუკების ერთგვარი პირველი მონახაზიც. გვქონდა ამ მხრივ მიხა ცხაკაიას სახელობის მუზეუმის მეგობრული დახმარებაც, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და ინსტიტუტების მეგობრული მითითებაც და მოთხოვნაც (აკადემიკოსები: ა. შანიძე, ს. ჯიქია, გ. ჩიტაია, თ. დავითაია, ა. აფაქიძე, პროფესორები: ალ. ღლონტი, შ. მესხია, ი.მირცხულავა, პ. ზაქარაია, ნ. ლომოური, კ. დანელია და სხვ.). გამომცემლობებმაც გამოავლინეს ინტერესი და სურვილი, რომ შექმნილიყო ჩვენ მიერ დაწყებული „სამეგრელოს ტოპონიმიის“ II ტომი. მტკიცე დასაყრდენი და ანგარიშგასაწევი იყო საქ. კპ ცხაკაიას რაიონული კომიტეტის მისალმება და დიდი ყურადღება ჩვენი საქმიანობისადმი, მეგობრული მზრუნველობა და დიდი ინტელექტუალური რჩევა და მხარდაჭერა. ყველაფერმა ამან გაგვაბედინა, გაგვეგრძელებინა ეს ძნელი და საჭირო საქმე. სანამ ველზე გავიდოდით, ჩვენ საფუძვლიანად შევისწავლეთ წყაროებში, დოკუმენტებში, საარქივო მასალებში და პერიოდულ პრესაში მინიშნებული ტოპონიმები და მათ შესახებ ცნობები. შევადგინეთ რუკის მაკეტები და გავედით ველზე, შემადგენლობით: გ. ელიავა (ხელმძღვანელი), გ. ფარულავა (ხელმძღვანელის მოადგილე) და სხვ. ექსპედიციას თან ახლდა და პრაქტიკულად დიდ დახმარებას უწევდა მუშაობაში ნოქალაქევის მუზეუმის დირექტორი ამხ. ე. კოკაია.

ფეხდაფეხ შემოვიარეთ ყველა სას. საბჭოს ტერიტორია. მივდიოდით ცალკეულ უბნებზე, ცალკეულ ადგილებზე, ჩვენი თვალით ვეცნობოდით და აღვნიშნავდით რუკაზე ადგილთა მდებარეობას. ვხვდებოდით ხალხს, ვიწერდით მათ თხრობას ფონოსაშუალებებით. ექსპედიცია შეხვდა 350 მთხრობელს, სოციალისტ. შრომის და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ვეტერანს, დიდი სამამულო ომის მონაწილეს; მათ დიდ ყურადღებასა და დახმარებაზე ღირს შეჩერება, მაგრამ აქ მათი ჩამოთვლა სიმრავლის გამო ვერ ხერხდება. სამაგიეროდ, ექსპედიცია ამ მთხრობელებს დაასახელებს თანდართულ ნუსხაში, როგორც ხალხური ეტიმოლოგიისა და მასალების ავტორებს.

ჩვენ ძალიან დავალებული ვართ ადგილზე მომუშავე ამხანაგების: შალვა მირგატიასი, თამაზ კანკიასი, სერგო ალანიასი, მურად ოდიშარიასი, შალვა ქაჩიბაიასი, შალვა ოჩიგავასი, ერასტი კოღუასი, გურამ ელიავასი, სპირიდონ ადამიასი, ვენედიქტე ხუბუასი, სერგო გოგიასი, ნოდარ ბარქაიასი, მაყვალა ბოჯგუასი და ა. შ., ყურადღებითა და მზრუნველობით. მადლობელი ვართ ყველა სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელი ამხანაგებისა და აქტივის წევრებისა, რომლებმაც მეგზურობა გაგვიწიეს, სათანადო რჩევა მოგვცეს და თავიანთი მზრუნველობითა და დახმარებით ძალიან სერიოზული საქმე გაგვაკეთებინეს.

ექსპედიციამ თავისი მიზანი შეასრულა. მან შექმნა მეტად საინტერესო კორპუსი, მასალათა მეცნიერული კომპლექსი, მთელი სისტემა, რომელსაც დიდი ღირებულება აქვს ისტორიული, სოციოლოგიური, ლინგვისტური, ანთროპოლოგიური და ეთნოგრაფიული მეცნიერებისათვის. ასე ყოველმხრივი კორპუსის შექმნის მცდელობა პირველია. ამიტომ იგი ხარვეზებს არაა მოკლებული, მაგრამ ხარვეზები შედარებით ადვილად გასასწორებელია მომავალი ექსპედიციების მიერ.

ამ კორპუსის საფუძველზე შედგა მონოგრაფიულად „ჩხოროწყუსა და ცხაკაიას რაიონების ტოპონიმია“ („სამეგრელოს ტოპონიმიკის“ II ტომი).

ექსპედიციამ 2500 ტოპონიმი ჩაიწერა. მათ შორის 1000 ტოპონიმს დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს. ბევრ მათგანში ჩაკირული ცნობა უნიკალური მნიშვნელობისაა. მათი მეშვეობით შეიძლება გაიხსნას კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, შესწავლილ იქნას სოციალური, ეთნოგრაფიული და მეურნეობრივი ტრადიციები, მაგრამ ექსპედიციას ამჟამად მათი მეცნიერული შესწავლის მიზანი არც ჰქონდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა, რადგან ყოველი ტოპონიმის, ხშირად ერთი

შეხედვით ადვილად გასაშიფრის (თუნდაც „ფოცხო“ ან „ზანა“ ავიღოთ), ხალხური ეტიმოლოგია, თანდართული გადმოცემები და ლეგენდები ყალბ გზაზე აყენებენ მკვლევარს, რომელსაც დიდი მეცნიერული თვალთახედვა და ხანგრძლივი რუდუნებით კვლევა სჭირდება.

ექსპედიციის მიზანს შეადგენდა ტოპონიმთა შეკრება, რუკის ქარგაზე დატანა, მათ გარშემო ხალხური ეტიმოლოგიის, გადმოცემების და ლეგენდების სხვადასხვა ვარიანტების ჩაწერა, მათ შესასწავლად საჭირო მეცნიერული კორპუსის შექმნა, მათი სიებისა და თანმყოლ მასალათა მონოგრაფიული გამოქვეყნება. ეს მიზანი ექსპედიციამ წარმატებით განახორციელა. თუ რამდენად საინტერესოა ცალკეული ტოპონიმის შინაარსი, რამდენიმე შენიშვნითაც შეიძლება ნათელვყოთ. ტოპონიმები: ბერაღი, ნაბერალუ, ლომური, ნაომუ, ნაძაერი, ნახანგირუ, განაჭირი, განაჭყვიდა, ნაპარტახუ, ნათურძუ, თურძიშ ჯიხა, ბანკიში ტყა, ნაჭიდერა, ნაჭილუ, ჭილორტო, ნადუქანუ, ნოხორიი, ნაკაზარმუ, ნაჭვი, ზანათი, ჭანიორი, კვაუთი, უშაფათი, ნააფშილუ და ა. შ., საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან წარსულში მშრომელთა სოციალური ყოფის ეთნიკური წარმომავლობისა და შედგენილობის, სოციალური ძვრების, სოციალური მოვლენების შესახებ.

უდავოდ ძალიან საინტერესო მასალებს შეიცავენ ტოპონიმები: მისაროინი, ჯგემარიონი, ნაოხვამუ, ხატმამული, ხატფერდი, ხატდიხა, ჯვარფერდი, საჯვარო, ბუეში, ნაციცმელუ, ნათმელი, ბუეთი, ობუალე, ბუერი, ალერტი, ანთარკარი, ოჩე და ა. შ. თუნდაც მისაროინი, ჯგემარიონი, ბუერი, ალერტი და ანთარკარი მიუთითებენ უძველეს წარმართულ ქართულ ღვთაებათა საკულტო-სარიტუალო კერებზე, მათი თაყვანისცემის წესებსა და ა. შ. ბუერში ხალხი მზის ღვთაებრივ სახეს ხედავს, აქ იგი მზის ღვთაების სალოცავ კერას მიუთითებს. ხალხის გადმოცემით, აქ ესვენა თითქოს მზის გამოსახულების ვარცლი, რაზედაც ხალხი ლოცულობდა, შესაწირავს სწირავდა და ა. შ. ეკში და ხორშში ობუალე ადგილებს: ბუაში, ჩხანაში ჩხორიას (მზის სხივებს) ღვთაებრივ სიკეთედ თვლიდა საუკეთესო ვაზს, ობუალე ვაზს, აქ რგავდა და ძვირფას ყურძენს იწევდა. ობუალე ვაზი, ბუაში, ჩხანაში საზედაშე ვაზი, მისგან დაწურული ღვინო საზედაშე ღვინოდ ითვლებოდა, – გვარწმუნებენ მთხრობელები. მათი გადმოცემით, ობუალე თეთრიც იყო და შავიც. აქვეა ანთარი, ჟინანთარის, ოჩაპატონის, ალავერდის, ჯვარის, მითრას კეთილ ღვთაებათა სათაყვანო კერები. აქვეა ონდიე, ოტყალმაფე, ოქაჯე, საეშმაკო, ოჭინკე ადგილები, დაწყევლილი და საშიშარი, ოფუცხოლარი იწროები და ტყიანი, სადაც წარმართული ავსულების შიშით ადამიანი ღამე ერთ ადგილას ბანაკდებოდა, ირგვლივ ნახშირით წრეს შემოხაზავდა, ცეცხლს დაანთებდა, ჯვარს დახაზავდა და იყო ეშმაკის შიშით დღის ნათელის, ბუაშ ჩხორიაში, ბუაში მარდიში (მზის მადლის) მომლოდინე, რადგან „სერი ეშმაკეფიშიე, დღაშა, ბუაშა ოშქურუნა, დღაშით მიკოფულირიენა, სერით გერს გეხენა, გიერგინა“ (ღამე ეშმაკებისაა, დღისა, მზის ეშინიათ, დღისით დამალულნი არიან, ღამით მგელზე მსხდარნი დაგორავენ“).

ნაძიძუ, ნაპატონუ, პატონიში დიხა, ნადოხორუ, ჭკორნახვილა, ნაჭიდერა, ნადუქანუ, გიმნაჩემუ, სანაონთხო, საგვერდო, ნაბაზარუ, მექაჯაქეში შარა და ა. შ. ფეოდალური ურთიერთობის და კაპიტალიზმის ეპოქის ყოფით მხარეებზე მიუთითებს.

ისტორია ერთ წერტილზე არ დგას, იგი ვითარდება და წინ მიდის, საზოგადოებრივი ურთიერთობა იცვლება. სოციალიზმის ეპოქამ ახალი ყოფითი სინამდვილე მოიტანა; იგი აისახა ტოპონიმიაში. ახლა ადგილებს ოქტომგერს, განთიადს, კომუნას, კომუნაშ შარას, განათლებას, სიხარულს, პირველ მაისს და ა. შ. ეძახიან. აქ ახალი ყოფის შესაბამისი მოვლენები განვითარდა, კომუნა და კოლმეურნეობა შეიქმნა, ადგილი ახალი, სოციალისტური ყოფის შესაბამისი სახელით აღინიშნა. თუმცა ეს სოციალური წარმონაქმნი შემდგომ განვითარდა, გაერთიანდა კომპლექსში მსხვილ სამეურნეო საწარმოდ, მაგრამ მის ცალკეულ უბანს ის წინა სახელი შერჩა. ხალხი დღესაც ამ სახელს ეძახის ადგილს. ასე რჩება სამახსოვროდ ტოპონიმიაში ყოველი ეპოქის ყოფითი სახე. შემდეგ ძველზე ახალი ბატონდება. ძველი დავიწყებას ეძლევა, ხოლო ისტორიულ მეცნიერებას პირველი სარწმუნო წყარო აკლდება. ამიტომ მისი დაჩქარებით აკრეფა და მონოგრაფიული დამუშავება საშური საქმეა. ახლა მსოფლიოში ამ მიმართულებით დიდი მოძრაობაა გაჩაღებული. საბჭოთა კავშირში ეს საქმე სერიოზული მასშტაბებით განვითარდა. საქართველოშიც იგი წარმატებით მიმდინარეობს. ჩვენი ნაბიჯებიც ამ მიზანს ისახავს.

ტოპონიმიაში ძალიან დიდი, უდავოდ საყურადღებო ცნობებია ხალხის ყოფისა და კულტურის ტრადიციების შესახებ: ნაოსხაპუ, ობირეში, ოსხაპურეში, ოჯარეში, ნაფაცხუ, ნაჯარგვალუ, ოშაყარი და ა. შ. ხალხის გართობის, დასვენების, მათი თავშეყრის და მოლხენის, მათი ხალხური კულტურული ტრადიციების დიდებულ კერებს წარმოადგენდნენ. ხალხმა მადლიანი შრომაც იცოდა და გულიანი დასვენებაც.

ხალხის სამეურნეო ყოფაც და კულტურაც ძალიან მკაფიოდაა ასახული მიწათმოქმედება ტოპონიმებში. ობერგე, ოხონალი, ნაყვან, დიდყვანა, ნაქვიშა, ნასილაფუ, ნანტკილა, ოხონაი ფერდი, ოჩე, ხორგონა და ა. შ., მიწათმოქმედების განვითარების თავისებურებაზე, დამუშავების სირთულესა და განოყიერების სისტემაზე, ნაყოფიერ მიწასა და მოსავლიან ადგილებზე მიუთითებს. ეს კი თავის მხრივ მეტყველებს ინტენსიურ მიწათმოქმედებაზე, რითაც ცნობილი და აღიარებული იყო კოლხეთი უხსოვარი დროიდან. მარცვლეულ კულტურათა მრავალ სახეობაზე მიუთითებს ტოპონიმები: ნაჭკიდუ, ნაღუმუ, ნახაჯუ, ნაქერუ, ნაჭვუ, ნაქობალი და ა. შ. ნაბაღუც ღომის მოსავლის სიუხვეზე მიუთითებს. ნოსირში, ღრმა ტყეში ჰქონდა ხალხს ბეღლები, აქ ინახავდნენ ღომის მოსავალს. მტერი რომ სოფელს შემოესეოდა, ხალხი სოფლიდან იხიზნებოდა, ბეღელს მტერი ვერ მიაგნებდა. ხალხი რომ უკან დაბრუნდებოდა, ბეღლებში მათ უხვი საკვები ელოდა, ამიტომ დღესაც ამ ადგილს „ნაბაღუს“ ეძახის. ასეა ეკში, უშაფათში და ა. შ.

მევენახეობის ინტენსიურ ხასიათზე მეტყველებს ტოპონიმები: ნაარგვანუ, არგვანი, ნამარანუ, ნახარდანუ, კოლოშონა, უჩაშონა, ჩეშონა, ჭიფეშონა, ჩერგვალი, ნაკიკაჩუ, კიკაჩე, ტობანიერი, ნაზერდაში, ზედიდი მიუთითებენ ვაზის უძველესი კოლხური ჯიშების გავრცელების არეალზე. აქ ჩვენ დავადგინეთ ძალიან საინტერესო ჯიშები: კიკაჩე, ზერდაში, ტობანიერი, ცქიშონური, ზედიდი (ზედი), ხორშონა, – ეს ჯიშები სამევენახეო ლიტერატურაში სრულიად აღუწერელი და უცნობია.

მესაქონლეობის მაღალ კულტურაზე მეტყველებს ტოპონიმები: ნაჯოგუ, ნაკარუ, ოქართე, ოხოჯე, ოთიფური, საოდიარო, გოგვერონი და ა. შ. რიონგაღმა და გამოღმა მასივები მესაქონლეობის დიდი ტრადიციების მატარებელია. ეს ტრადიციები მკაფიოდაა ასახული ტოპონიმიკაში, ასევე, მესაქონლეობის კულტურაზე ცნობის შემცველი ტოპონიმები მასობრივადაა მინიშნული სხვა სასოფლო საბჭოებშიც.

უდავოდ საინტერესოა ძველი გზების, დიდმნიშვნელოვანი სახმელეთო მაგისტრალების და საფორტიფიკაციო არტერიების ადგილის სახელწოდებანი. მაგ., ბერძენიში შარა, ჯვეში შარა, თურქიში შარა, დილიჭანიში შარა, მექაჯაქეში შარა, მოსასვანჯი და ა. შ. ისინი დიდმნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ ძველი გზების, საერთაშორისო თუ საშინაო მაგისტრალების შესახებ. ჩვენ რუკებზე შემოვხაზეთ ტოპონიმთა დამოწმებით ამ გზების მთელი ხაზი. ესეც კარგ სიტყვად შეიძლება ჩაითვალოს ისტორიულ მეცნიერებაში. ექსპედიციამ ტოპონიმების მითითებით შეისწავლა მატერიალური კულტურის მრავალი ძეგლი: ჯიხა, ნათურძუ, 10 ადგილას. ჯგემარიონის, კვაუთის, ნათმელის, ნაციცმელუს, ხორშის და სხვა ეკლესიები, არქიტექტურული ხელოვნების იშვიათი მოწმეები. ნახა და შეისწავლა კარსტები: მენჯში, საწულეისკიროს უბანში ქვაბი. ხორშში, ლეძაძამეში და შხეფში მოვნიშნეთ ხირზენებიც (შიშიანობის დროს ხალხის ძველი სახიზრებიც). ძალიან ჩაგვაფიქრა „ფაციეთმა“, „ფაცუმ“, კოტაათიმ და ა. შ. ფაცუ და ფაცი ფას ძირიდან ამოსულ ტერმინად ჩანს, ხოლო კოტიანეთი, ხალხური გადმოცემით კოტასთი – კოტათი-დანაა წარმოქმნილი. კოტას გადმოცემებში მეფედ თვლიან, რაც ძლიერ საინტერესოა. ჩაწერილია მრავალი ტოპონიმი, ზოონომი ბოტანონიმი, ჰიდრონიმი და ა. შ.

მეტად ნაყოფიერი და საინტერესო იყო ჩვენი შეხვედრები სახალხო მთქმელებთან, განსაკუთრებით არტემ ნინუასთან, ნიკანდრო ჯღამაძესთან და ა. შ. ექსპედიციამ მოახდინა მათი ლექსების ფონოფიქსაცია, ასევე ექსპედიცია მოხიბლა ნოსირის კულტურის სახლის დირექტორის – მურად ოდიშარიას მხატვრულმა შემოქმედებამ. მისი მხატვრული კითხვის უნარი და ლექსები უდავოდ საყურადღებოა.

შევხვდით და ფონოფიქსაცია მოვახდინეთ სოციალისტური შრომის მრავალი ვეტერანის მონათხრობებისა სოციალისტური ყოფის წარმატებებზე, მათი საქმიანობის შედეგებზე. მათ შორის აღსანიშნავია უშაფათის კოლმეურნეობის თავმჯდომარის, ამხ. ხუბუას და სოციალისტური შრომის გმირის, ამხ. თ. გოგინავას მონათხრობის ფონოჩანაწერები, რომელსაც მუზეუმი, გარდა მონოგრაფიაში ჩართვისა, გამოიყენებს მუზეუმის დარბაზში ფონოფონდში ჩასართავად. აქ დამთვალიერებელი მოისმენს ამ შესანიშნავ ჩანაწერს. ამხ. თ. გოგიგანვამ განაცხადა: „მე შრომამ გამალამაზა, ქვეყანა გამაცნო, ამამაღლა, ჩემი ბედნიერების წყარო ისააო“. ეს უბრალო, მაგრამ ღრმა ადამიანური სითბოთი განცდილი და წარმოთქმული, დიდ აღმზრდელობით გავლენას ახდენს დამთვალიერებელზე. ექსპედიცია შეხვდა კვაუთში შესანიშნავ თვითნასწავლ მექანიზატორს – ნოდარ ბარქაიას. განსაცვიფრებელია მისი ტექნიკური შემოქმედებითი წვა და გაქანება, საყურადღებოა მის მიერ შექმნილი ჩაის კრეფისა და ჩაის ბუჩქის ფორმირების 11 ინვენტარი, უდავოდ ორიგინალური, რაც კოლმეურნე გლეხის ტექნიკური აზრის ამაღლების მაგალითად უნდა ჩაითვალოს. იგი აღიარებას, ფართო პოპულარიზაციას და წახალისებას მოითხოვს.

ექსპედიცია ფოცხოში შეხვდა რესპუბლიკის დამსახურებულ პედაგოგს ზინა ჭითავას, მოისმინა მისი მოგონებები, მოახდინა მათი ფონოფიქსაცია, გაეცნო რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის – ნესტორ ჭითავას პირად არქივს და ძვირფასი მასალა მიიღო საგამოფენოდ. ექსპედიციამ გადაწყვიტა ამ შესანიშნავ გამანათლებელს მოუწყოს დიდი გამოფენა, ხოლო მონოგრაფიაში განსაკუთრებული თავი დაუთმოს მის შემოქმედებას.

ექსპედიციის წევრები იყვნენ ლეხურცილეში (ლეძაძამე), საკოღუოში, საადამიოში (ეკი), კვაუთში (ლეძაძამე) და სხვაგან. ამ შესანიშნავ, ბუნებით გამორჩეულ, მდიდარ და აყვავებულ ადგილებში მხოლოდ სამი-ოთხი მოსახლეა შემორჩენილი. აქ ყველგან სამოთხეა, წალკოტია, მაგრამ მიუვალობა მოსახლეობას გულს უცრუებს აქ დასახლებაზე. თუნდაც საკოღუოს უბანი ავიღოთ; აქ სულ 5 მოსახლეა, ისე ლამაზია აქ მოედანი, ისე დიდებულია სახელგანთქმული მეცნიერის – თეოფანე დავითაიას ეზო, კარ-მიდამო და ისე მოუწყობელია გზა, რომ დაგენანება კაცს, ან

კიდევ კვაუთშის, აბანო და დიდკაც – სტეფანე ძიმისტარაშვილის სასაფლაო. იგი მავზოლეუმად უნდა იქცეს, ადგილი კი სრულიად მიტოვებული, ეკლესია დანგრეული, ეზო გავერანებულია. თუნდაც ლეძაძამეში, ასე ახლო, გზის პირას, ᲯᲖᲔᲛᲐᲠᲘᲝᲜᲘ. ძეგლი საკვირველად მაღალი ხელოვნების და ისტორიის ნიმუშია და მეორეც, ᲜᲘᲙᲝ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ, საქართველოს ერთ-ერთი დიდი ბრძენკაცის საძვალე, ისე მიგდებული და მოუვლელია, რომ ბრაზი გიპყრობს კაცს ასეთი დაუდევრობის გამო. ან თუნდაც ᲮᲝᲠᲨᲘᲡ ᲛᲐᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ორნამენტები, რომლის კვეთის ხანად ჩვენ XI-XII საუკუნეები მიგვაჩნია, გატანილია სხვა დანიშნულებისათვის გამოსაყენებლად. იგი უნდა დაუბრუნდეს ძეგლს და აღდგეს ეს დიდებულად მოჩუქურთმებული ეკლესია. ვფიქრობ, ᲙᲕᲐᲣᲗᲘᲡ ეკლესიაც უფრო ადრეული ნაგებობის პიედისტალზე უნდა იდგეს. აქ ის 6 ორნამენტოვანი ქვა, რაც ეკლესიის კედელშია უსისტემოდ ჩართული, აღებული უნდა იყოს იმ უძველესი ძეგლიდან. ბევრი, კიდევ სხვა, ბევრი გასახარიც, საწყენიც და სათქმელიც აქვს ექსპედიციას, მაგრამ იგი ამჯერად ვერ ხერხდება.

ამ მოკლე შენიშვნებიდანაც კი შეიძლება მკითხველმა გარკვეული დასკვნა გამოიტანოს, თუ რაოდენ დიდი და საშური საქმე შეასრულა ექსპედიციამ, რაოდენ საინტერესო მასალათა ნუსხა წარუდგინა მკითხველ საზოგადოებას, რასაც თანდართული აქვს ხალხური ეტიმოლოგიის, გადმოცემების და ლეგენდების შემცველი მდიდარი სქოლიოები.

ეს ნაკვეთიც ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ჩვენ მიერ განზრახული სამეგრელოს ტოპონიმიის ერთიანი მეცნიერული კორპუსის შექმნის გზაზე, აბაშის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს ტოპონიმიური კატალოგების შემდეგ და მათთან ერთად, იგი შემდგომი მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის საუკეთესო მასალას წარმოადგენს. ვფიქრობ, იგი ამ მხრივ გამოადგება მეცნიერების სხვადასხვა დარგის მკვლევრებს, საქართველოს წარსული მეურნეობის, ყოფის და კულტურის მეცნიერული რესტავრაციის და ნათელ და მართალ სურათებად წარმოდგენის საქმეში. ექსპედიცია მუშაობის პერიოდში ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ ტოპონიმიკისა და მათი თანდართული მასალების შეკრება დიდი მნიშვნელობის საქმეა, რომელიც ზოგან დაგვიანდა კიდეც. ავიღოთ თუნდაც რიონისპირეთის სინამდვილე. აქედან ხალხი განსახლდა ქალაქებსა და მეზობელ სოფლებში, მოხუცები გარდაიცვალნენ. დაიკარგა ბევრი საინტერესო ცნობა, ტოპონიმი, მასალა, რომელთა აღდგენა არავითარი საშუალებით არ შეიძლება. ამიტომ, ვფიქრობ, არა კვლევა, არამედ მათი კორპუსების შექმნა და გამოცემა უაღრესად საჭიროა. იგი დღეს, აუცილებლად დღეს, უნდა მოხდეს, ხვალ უკვე ძლიერ დაგვიანებული იქნება. აი, ეს აზრი გვამოძრავებდა და გვამოძრავებს ჩვენ, როცა ასეთ შრომატევად, მაგრამ საჭირო და სასიამოვნო საქმეს ვკიდებთ ხელს. ვფიქრობ, მკითხველი თვითონ დარწმუნდება ჩვენი ამ კურსის სისწორესა და საჭიროებაში.

ახალი სოფელი

სასოფლო საბჭო რაიონის ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილია. მას აღმოსავლეთით ტეხური ჩაუყვება, რომლის ჭალების დასავლეთი ნაწილი ლენტივით ნოსირის სას. საბჭოს ტერიტორიაში შედის. მხოლოდ სამხრეთის კიდურთან, ტეხურის რიონთან შესართავის მთელი ჭალა, გაღმა-გამოღმა, ახალი სოფლის ტერიტორიული საზღვარია. ნიადაგი ტეხურასა და რიონის ქვიშითაა დაფენილი, ამიტომ ძლიერ ნაყოფიერია. სას. საბჭოს ტერიტორიაზე ტეხურის მეცხოველეობის საბჭოთა და ცხაკაიას ხეხილის სანერგე მეურნეობები მდებარეობს. სოფელი მდიდარია ხილით, ვაზით, ბაღჩეულით, ბოსტნეულითა და ეთერ-ზეთოვანი მცენარეებით. არის უხვმოსავლიანი სიმინდის ყანები და მდიდარი საძოვრები, სადაც მსხვილი სახელმწიფო მეცხოველეობაა განვითარებული. მეურნეობრივი თავისებურება და ტრადიცია სოფელს უხსოვარი დროიდან მოსდევს.

ახალი სოფელი. ს/ს სოფლის ახალი სახელწოდებაა. „ძველად მას მთლიანად ძონძირი რქმევია, ახლა, რევოლუციის შემდეგ შერქმევია ასე. რადგან ცენტრში ახალი დასახლება გაიმართა, ამიტომ ახალი სოფელი ეწოდა“ (ჟ. ხოფერია).

ბურღონა (რბილი ადგილი). ადგ. „თურქის ადგილი ყოფილა“. „აქ „პარახოდი“ ამოდიოდა. ნაქალაქარი ადგილია. აქ თურქები ვაჭრობდნენ, ტყვეებს ყიდიდნენ თურმე“ (რ. დავითაია).

გორტოფუ შარა. ძველი გზაა. ოფაჩაფუში გადის.

გორტოფუ. ტყე. „აქ გორტუების საჭრელი, ხშირსახმარი ტყე ყოფილა“.

დიდგორე (დიდი გორა). ადგ. დიხაგუძუბაა, მიწაზურგაა.

დიდი გოთე (ფართო ველი). ფართო თვალსაწიერი, ფართო, სწორი ველი.

დიდი ჭყონი (დიდი მუხა). ადგ. „აქ დიდი მუხა მდგარა, უძველესი საოხვამურო ყოფილა. მისი მიდამოების საყანე მასივები ჭყოინდრის მამული ყოფილა“.

დოხორე (სასახლე). დღეს ადგილია.

ზუგა (მიწაზურგაა). ადგ. „უძველესი საცხოვრისი ყოფილა, ზედ ხალხი ნაცხოვრება“.

თემუში ნოხორიი (თემუს ნასახლარი). ადგ.

თუნთიში (დათვისა). ადგ.

ისულა მიდორი (ისულას მინდორი). „აქ ჩქონი ყოფილა“ (ზ. ტორჩინა).

ისულა. ადგ. აქ ძველი ნასახლარია, ნაქალაქარია. აქ ყოფილა უძველესი ნაოხვამუ. „ბარბარეს ოხვამე (ეკლესია) მდგარა და წმინდა ბარბარობა ცოდნიათ. ხის ეკლესია მდგარა, ძალიან ლამაზი ეკლესია. ხალხი აქ თავს იყრიდა, ერთმანეთს ხვდებოდა, ერთმანეთს ულოცავდა დღესასწაულს“ (ჟ. ხოფერია). ისულა (ლათ. კუნძული), ბერძნები ნესოს (ბერძ. „კუნძული“) ეძახიან (ს. ყაუხჩიშვილი).

კითი (თითი). ადგ. ვერ განმარტავენ სახელწოდებას.

ლადნოხონი (ვლადიმერის ნაყანევი). ადგ.

მეკამგეჩეში შარა (მეკამებეჩეს გზა). „კამბეჩებს მიდენიდნენ ამ გზით წინათ“ (ზ. ტორჩინა).

მეკვათირი (მიჭრილი). ადგ.

მონგირი. ადგილი, ვრცელი ველობი. „ნაზღვავარი ადგილიაო, მიამბობდა ჩემი ბაბუა. აქამდე მოდიოდა თურმე შავი ზღვის ნაპირი. ეს ადგილი სულ ზღვის მონაგირა, მონარგინა, ზღვის ნაგორები ყოფილაო“. (ტანტო საჩინოს ძე ჩიტაია, 55 წ.).

ნადოხორუ (ნასახლარი). ადგ. „მებატონის სასახლე და კარ-მიდამო ყოფილა“.

ნადუქანი (ნადუქნევი). ადგ.

ნადუქანუ (ნადუქნევი). ადგ. „უძველესი დუქანი მდგარა ამ გზაგასაყარზე“.

ნათიფუ (ნათივარი). ადგ. სათიბი ადგილია.

ნაკლასუ (ნაკლასარი). ადგ. „აქ წინათ ძველი სკოლის შენობა მდგარა. შემდეგ იგი სოფლის ცენტრში გადაუტანიათ“.

ნანაში ჭალე (ნანავას ჭალა, ნანას ჭალა). ადგ.

ნაოსხაპუ, ნაჯარუ (ნასაცეკვარი, ნაჯარალი, საჯარო). ადგ. „უძველეს დროში ხალხი იკრიბებოდა, ეწყობოდა ჯარობა, ცეკვა-თამაში“.

ნაოჩუ (ნავაცარი). ადგ. „ადგილი ხშირტყიანი ყოფილა და აქ ვაცების ჯოგი ჰყოლიათ ხოფერიებს და სალიებს. აქ მაღლარ ხეებზე ჩეში ყოფილა მირგული. ჩეში ვაზის ძველი ჯიშია, თეთრი. მზადდებოდა ძალიან მაგარი და სასიამოვნო ღვინო. დღეს ეს ჯიში არ არის. ადგილი ოჩე ყოფილა, ძლიერმოსავლიანი, ნაყოფიერი. როცა ხალხს აქ ხვნა-თესვაზე ხელი აუღია, ნაოჩუ შეურქმევია“ (ჟ. ხოფერია); „ნაოჩარი-ოჩოკოჩის საბუდარი, ოჩე ადგილია – უხვმოსავლიანი“.

ნაოჩუ. ადგ.

ნაოჩღეე (ნაოჩარი ღელე). ღელე.

ნაოხვამგოთე (ნასალოცვარი მაღლობი). ადგ.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი). ადგ. უძველესი ნასალოცვარი ადგილია. „ხოფერიების ძირის ხატი ყოფილა, აქ, ძირის სალოცავი ყოფილა“.

ნაპარონუ (ნაპორომალი). ადგ.

ნასაპონუ (ნასაპონარი). ადგ. „აქ საპონის მსგავსად გამოსაყენებელი სარეცხი და თავსაბანი თეთრი მიწა ამოჰქონდათ მიწიდან და იყენებდნენ. არის გადმოცემა, რომ აქ საპონი დაცვენია ვაჭარს და საპნით მდიდარი გამხდარაო მიწა“.

ნასილუ (ნასილარი). ადგ. „მდინარეს ადგილი ჩაუსილავს, გადაუსილავს“ (რაჟდენ ალექსანდრეს ძე დავითაია, 81 წ.).

ნატებუ (ნატყევარი). ადგ. „აქ წინათ სულ გაუვალი ტყე, ტები ყოფილა. დღეს ტყე არ არის, ამიტომ ადგილს ნატებარს ეძახიან“.

ნატორჩინუ (ტორჩინავების ნასახლარი). ადგ.

ნატოჩუ. უბანი. „ტორჩინავების ძველი საცხოვრისი. შემდეგ ტორჩინები ამ ადგილიდან აყრილან შავი ჭირისა და უბედურების გამო (მირიან ნესტორის ძე ყურაშვილი, 56 წ.).

ნაფენჯგირუ (ნაცოცხარი). ადგ. „ფენჯგირე, ცოცხის თავთავი გამოიყენებოდა ზეთის საწურავად, ზეთს წურავდნენ მისგან“.

ნაფიცუ. ნაფუჩსაც ეტყვიან (ნაფიცარი). ადგ. და ჩამშრალი ღელე. „ნაფიცარი ღელეა, ფიცის წყალდანალევი“.

ნაღუმუ (ნაღომარი). ადგ. „აქ სულ ღომს თესდნენ წინათ“.

ნაჩხუბუ (ნაომარი). ადგილი. „ძლიერ ნაომარი, ნაჭირალი ადგილია. აქ ათასობით კაცი გაწყვეტილა ერთ ომში. ამიტომ ახლაც ხშირად მიწიდან ცვივა მათი ძვლები. მათთან ერთად მიწიდან ხშირად იღებენ ხანჯლებს, დანებს, რკინის პერანგის ნაკვეთებს და ა. შ. “.

ნაწისქვილუ (ნაწისქვილარი). ადგ.

ნაწისქვილუ (ნაწისქვილარი). ადგ.

ნაწისქვილუ (ნაწისქვილარი). ადგ.

ნაჭილუ (ნაჭილაუ). ადგ. „აქ უძველეს დროში ჭილები სახლებულან. ეს ადგილები სულ მათი ყოფილა. მათი მარნები და ვენახის დობერები ყოფილა. შემდეგ ჭილები ჭირს გაუწყვეტია, თურქთა ომებშიც გაწყვეტილან. ამიტომ ნაჭილუს ეძახიან დღეს“.

ნაჭირუ (ნაჭირალი). ადგ. „აქ ჭირს, შავ ჭირს გაუწყვეტია ხალხი“.

ნაჭკიდუ (ნამჭადარი). ადგ. „მჭადი ახლახანაც მოგვყავდა“.

ნახარდანუ (ნახარდნარი). ადგ.

ნახარდანუ (ნახარდნარი). ადგ. „აქ ხარდანზე ყოფილა მიშვებული ვაზი ხარდანის ჯიშისა. აქვე მახვატელიც ყოფილა“ (აპ. ხოფერია). ხარდანი ვაზის ჯიშია. ხარდანი ვაზის მაღლარიცაა, ტალავრად გადაყვანილი.

ნაწურსალუ (ნაყურსალი, ტყვეთა მსყიდველების ადგილი). „აქედან გაყავდათ ყურსალებს გასაყიდად ტყვეები. ძლიერ საშიშარი ადგილი იყო“. „ყურსალი-ქურცალი, ქურდი, დაუნდობელი“.

ნეძონა (ნიგვზნარი). ადგ. აქ სულ კაკლნარი ყოფილა.

ნოხორეი (ნასახლარი). ადგ. „აქ სულ ხოფერები, ხოფერიები სახლებულან. მათი ნასახლარია. დღეს ეს გვარი აქ არ სახლობს“.

ნოხორიი (ნასახლარი). ადგ.

ნოხორიი (ნასახლარი). ადგ. „აქ კუპრეიშვილები, კურპეისქუალეფი სახლებულან. წყალდიდობას მათი სახლი სულ წაულეკია. ნასახლარად ქცეულა“.

ნოხორობა (ნასახლარობა). ადგ. დიდი ველია, სოფლის უბანია. აქ ახალი სოფლის დიდი დასახლებული კუთხე იყო. აქ მაშინ სახლებულან გვაზავები, კუპრეისქუალები, ღვინჯილიები, ხარჩილავები და სხვანი“ (ჟორჟი მათეს ძე ხოფერია, 60 წ.).

ნოჭონიი არზიაში (არზიანის ნაყანარი). ადგ.

ოისირე (საისლე). ადგ. „ძველად სულ ისლნარი ყოფილა“.

ოკათაფუ (შესაყარი). ადგ. „მთელი სოფლის ნაღვარალი, ნიაღვარი აქ ერთდებოდა და აქ უერთდებოდა რიონს“ (ალიოშა ვლადმიმერის ძე ჟვანია, 51 წ.).

ონგერეში (სამგლო). ადგ. „მგლები იცოდა თურმე ამ ტყეში“.

ოსხაპური (საცეკვაო). ადგ.

ოტორი ჭიჭიკოში (ჭიჭიკოს ოტორი). ადგ. ტყეა, ამავე სახელწოდების ღელე ჩაუდის. იქნებ ჭიჭიკოს მცირე ღელეა? იქნებ ოტორი ღელეს ნიშნავს. აქ „ოტორს“ ვერ განმარტავენ.

ოტურეში (სატურო). ადგ.

ოფაჩაფუ (გასაშლელი). ადგ. „აქ უხსოვარ დროში აბაშა და ტეხური იყოფოდა და ვრცელ ჩქონს ქმნიდა, სადაც ძველი ქალაქი ყოფილა, მრავალრიცხოვანი მოსახლეობით. შემდეგ შეერთებული ერთად უერთდებოდა რიონს. „იქნებ ოკათაფუა, სადაც აბაშა ერთვის ტეხურს“ (ი. ბოჯგუა).

ოქართე (ქართა, საქონლის საჩიხე). ადგ. „მოწყობილი ყოფილა საქონლის უძველესი საზოგადო, სასოფლო საჩიხე, ქართა“.

ოლანჯე (საკოპიტო). ადგ. „სულ კოპიტები მდგარა აქ; მისი დიდი ტყიანი ყოფილა“.

ოჩე (დიდნაყოფიერი). ადგ. „დიდნაყოფიერი, დიდმოსავლიანი ადგილი ყოფილა წინათ“.

ოჩეში (სათეთრო). ადგ. „აქ წინათ სულ თეთრის ჯიშის ვაზი ყოფილა გაშენებული“.


გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ცხოვრების რაიონის ტოპონიმიკური ატლასი
ახალი სოფლის ხასოფლო საბჭო
მასშტაბი: 1:25 000
ძირითადი ნიშნები:
ხასოფლო საბჭოს საზღვრები
ქედნაკვეთები
გზები
ხასოფლო საბჭო

ოხვამე (ეკლესია). ადგ. დღეს ეკლესია არაა შემორჩენილი.

ოჯარე (საჯარო). ადგ.

ოჯარე (საჯარო). ადგ. თავშესაყრელი, საჯარო ადგილი.

ოყონომელე. ადგ.

რახვიი. ადგ. მდინარის დამრეცი პირია.

რიონჭალე (რიონჭალა). ჭალა.

საანგურო (სააგურე). ადგ. „აქ ძველ დროში სააგურე ყოფილა. აქ გამომწვარი აგურით უშენებიათ სახლები. შემდეგ, ჩვენს დროშიც აქაური წითელი მიწა სააგურე მასალად იყო გამოყენებული“.

საანგურო (სააგურე). ადგ. „კონსტანტინე ჯაშს აქ სააგურო ჰქონია“.

საკუპრეისძუო (საკუპრეიშვილო). უბანი.

საპაჭკორიო. პაჭკორიების (გვარია) უბანი.

სახუფერიო. ხუფერიების (გვარია) უბანი. ახლა არ სახლობენ.

სულელა. ღელეა. „პატარა მდინარეს ეძახიან“ (ი. ბოჯგუა).

ტეხირპიჯი (ტეხირპირი). ტეხურას ჭალა, ტეხურის პირი.

ტყა მალაზონიაში (მალაზონიას ტყე). ტყე.

ტყაშარა (ტყე-გზა). ადგ.

უჩა ღალფონი (შავღელეს ფონი). ადგ. „თავთხელია ამ ღელეზე“.

უჩაღელე (შავღელე). ღელე გადის ამ სოფელშიც.

ღაიჩა. ადგ. დაბალი, ჩაქცეული ადგილია. ღაიჩა ღელის დაბალი პირი.

ჩერტკარი (ჩელტკარი). ადგ. აქ ჩელტის კარით ყოფილა ადგილი გადაკეტილი.

ძონძირ დაბალი (დაბალი, ძონძირი). ჩაქცეული, დაბალი ადგილი.

ძონძირი (დაძენძილი). ადგ. „უძველესი დროიდან ეს ადგილი ძლიერ დაძენძილი, დაღარულ-დამეწყრილი იყო, მაგრამ თავისი უხვმოსავლიანობისა და ნაყოფიერი ნიადაგის გამო ხალხი მრავლად ესახლა. იგი ცენტრი იყო მტრის ხშირი თავდასხმისა, შიშიანობისა და უბედურებისა. ამ სოფელზე გადიოდა მოძალადეთა და ყურსალთა გზაც.

წიფურონი (წიფლნარი). ადგ. „წიფლის ტყე“.

ჭალე (ჭალა). ადგ.

ჭიჭე გოთე (პატარა სწორი ველი). ადგ.

ჭყონა (მუხნარი). ადგ. მუხნარის ტყე ყოფილა.

ჯაპანა (ბჟოლნარი). ადგ. „ეს ადგილები სულ ბჟოლის მაღალი, მრავალწლიანი ხეებით ყოფილა დაბურული. აბრეშუმის ჭიისათვის აქედან მიჰქონდა მთელს სოფელს თუთის ფოთოლი. შემდეგ გაიკაფა“.

ჯვეში ნოხორი (ძველი ნასახლარი). ადგ.


გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის
მუზეუმი
ცხაკაიას რაიონის ტობონიმიკური
ატლასი
გეჯეთის სახოფლო საბჭო
მასშტაბი: 1:25 000
პირობითი ნიშნები
სახოფლო საბჭოს საზღვრები
მდინარეები
გზები
სახოფლო საბჭო

გეჯეთი

სასოფლო საბჭო რაიონის შუა ზონის უკიდურეს აღმოსავლეთით მდებარე სოფელია. მას დასავლეთით მდინარე ტეხური ესაზღვრება, ჩრდილოეთით – ნოქალაქევის სას. საბჭო, სამხრეთ-დასავლეთით – ნოსირის სას. საბჭო, ხოლო აღმოსავლეთით – აბაშის რაიონი. ნიადაგი აქ მდ. ტეხურისა და აბაშის ნალექი ქვიშნარითაა დაფარული. ქვიშანაჭარბი ნიადაგი სიმინდის, ღომისა და ჭადაჭადას უხვი მოსავლის წყარო ხდება. აქ გაშლილია საძოვარი მასივები, დაფნისა და ხილისათვის გამოსაყენებელი სავარგულები. სოფელი მდიდარია ისტორიული ძეგლებითა და ადგილებით. იგი წინათ, ოქტომბრის რევოლუციამდე, სულ ტყით ყოფილა დაფარული. ამ უღრანი ტყის სიღრმეში, ველიანებზე უძველესი ნაოხვამუები, ჯეგემისარონის საკულტო ადგილები იყო. დღეს სოფელი საკმაოდ ღონიერია ეკონომიკურად და კულტურულად. აქ არის მეცხოველეობის კომპლექსები, რაც სოფლის მატერიალური კეთილდღეობის ერთ-ერთ მძლავრ წყაროს წარმოადგენს.

ბარგა. ადგ. გაშლილი საძოვარია. აქ ჯოგი ბარგდებოდა ხოლმე.

ბაღი. ადგ. „წინათ ბაღნარი, წალკოტი ყოფილა“.

ბაცხენი (ბარცხნარი). ადგ.

ბოგორონი (ბოგვერონი). ადგ. „ბოგვერა ბალახი ყოფილა აქ სულ“.

ბორკიღეე (ბორკი ღელე). ღელე.

გაბუნიხეში ნოხორიი (გაბუნიას ასულის ნასახლარი). ადგ.

გეგენაში ტყა (გეგენავას ტყე). ადგ.

გეჯეთი. ს/ს ცენტრია.

1. „გადმოცემით, ძველად, როცა გეჯეთის ტერიტორია მთლიანად ტყით იყო დაფარული, მონადირეებს ნადირობის დროს, იქ, სადაც ახლა დგას სამი ცაცხვის ხე და ადგილობრივი მკვიდრნი უწოდებენ „ჯეგემისარონს“, უნახავთ სეფი, სეიფი, ოქრო-ვერცხლის ნივთებით სავსე. ქონება გაინაწილეს, ამის შემდეგ ისინი ორ ჯგუფად გაიყვნენ. ერთმა გადაწყვიტა ადგილზე საცხოვრებლად დარჩენა, ხოლო მეორემ მდ. აბაშის გაღმა ტერიტორიაზე მოისურვა დასახლება. მეორე ჯგუფმა პირველ ჯგუფს უთხრა: „გეჯერდით“ (დაჯერდით) ამ ფართობსო, ტერიტორიას, სადაც დგახართ, ჩვენ ჩვენი წილი მოგვეცით, მდინარის გაღმა გავალთ და იქ დავსახლდებითო. პირველი ჯგუფი დათანხმდა. მეორე ჯგუფი მდინარის გაღმა გავიდა, იქ სოფელი გააშენა და სახელად სეფიეთი შეარქვა, ხოლო პირველი ჯგუფის დასახლებას სახელი „გეჯერთი“, „გეჯერდი“ შერჩა“;
2. სახელწოდება გეჯეთი წარმოიშვა ვიღაც დიდი კაცის – „გეჯეს“ სახელიდან, რომელიც აქ სახლობდა და დიდი „თი“ – ოჯახი ჰქონია. ამიტომ „გეჯეთი“ შეერქვა სოფელსო;
3. „გეჯეთი“ თათრული სიტყვაა, „გეჯე“ ნავს ნიშნავს, ხოლო „ეთი“ წასვლას. „გეჯეთი“ ნავით წასვლას ნიშნავს, ნავით გაქცევასო. ამ ტერიტორიას თათრები შემოსევიან, მაგრამ დამარცხებულან და ნავებით გაქცეულან მდ. ტეხურისა და აბაშის გზით, ზღვისაკენ“ (გედეონ ხუხუნის ნაამბობიდან).

გოჭვიროხვამე (გამწვარი ეკლესია). ადგ. „მაღალი ზუგაა. აქ წმინდა გიორგის ეკლესია მდგარა. მტრის შემოსევის დროს გადაუწვავთ“ (იმნაიშვილი სერაპიონ ანტონის ძე, 61 წ.).

გრიგოლიში ნოხორიი (გრიგოლის ნასახლარი). ადგ.

გუჯუში ნოხორიი (გუჯუს ნასახლარი). „გუჯუ კილასონიას სახლში იკრიბებოდნენ რევოლუციონერები, აქ ჰქონდათ შტაბი. აქ მოდიოდა საშა გეგეჭკორი. გეჯეთის ორგანიზაციის ცენტრი იყო. აქვე ცხოვრობდა ალექსანდრე ოჩიგავა. იგი როტშილდის ქარხანაში იყო მუშად. იქიდან მოჰქონდა პროკლამაციები და რევოლუციური ლიტერატურა“ (შულია მირიანის ასული ოჩიგავა, 45 წ.).

დაბალი ჭალე (დაბალი ჭალა). ადგ.

დიდღეეჲე (დიდი ღელე). ღელე, ნიაღვრის დროს იცის დიდად მომატება, სულ წალეკავს ყველაფერს. უერთდება მდ. აბაშას“.

დილახონი (ჩახნული). ადგ. ფერდობის პატარა სახვნელი ადგილი.

ეკა ცაახეში ნოხორიი (ეკა ცაავას ნასახლარი). ადგ.

ვერხონა (ვერხვნარი). ადგ.

ზუგე (ზურგა). ადგ.

თხომულონი (თხემლნარი). ადგ.

კაჟონა (კაჟნარი). ადგ.

კეკელაში ნოხორიი (კეკელას ნასახლარი). ადგ.

კვატალონი (საიხვე). ადგ.

კოსტაში ტყა (კოსტას ტყე). ადგ.

კუკანაში ნოხორიი (კუკანას ნასახლარი). ადგ.

ლაგახაში კარი (ჭოკის კარი). ადგ.

ლევანჭალე (ლევანის ჭალა). ადგ. „აქ ლევან დადიანს ჰქონია სანადირო ადგილი“.

ლეონტიაში ნოხორიი (ლეონტიას ნასახლარი). ადგ.

მანცხვაროხვამე (მაცხოვრის ეკლესია). ადგ. „ეკლესია არ დგას“.

მაღაი (მაღალი). ადგ. მიწაზურგა.

მაღაი ძუგუ (მაღალი ზუგა). ადგ.

მისარონი. ადგ. „აქ მითრას, მისრას სალოცავი იყო. მდგარა პატარა ეკლესია. აქვე სულ ცაცხვები მდგარა. ეს ხეები სახლის სიმსხოები ყოფილან. მათ ქვემოთ დიდი ქვა იდო. ამ ქვაზე ზემოთ მრგვალი, ნათალი ქვა იდო თურმე. მას მალაზონის ქვა რქმევია. თვალის ტკივილს შველოდა ლოცვა ამ ქვასთან. წვრილ ფულს სწირავდნენ“ (თურქია სამსონ ლუკას ძე, 80 წ.).

ნაისირუ (ნაისლარი). ადგ.

ნაკარუ (ნაკარვალი). ადგ.

ნაოსხაპუ (ნასაცეკვარი). ადგ.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი). ადგ.

ნაოხვამუ ჯეგემისარონი (ნასალოცვარი ჯეგემისარონისა). ადგ. „საკულტო ადგილია. მდ. აბაშის პირას, დგას ორი დიდ ცაცხვის ხე. მესამე ხე წაქცეული ლპება, მაგრამ კაცი არ ეკარება. იგი ღვთაების, ჯეგემისარონის კუთვნილი ხეაო. აქ ჯეგე მისარონის კულტი იყო დიდი სალოცავი. აქ ჩამოლოცვა ცოდნიათ. მახვეწრებს მოჰქონდათ შესაწირად: ფული, ნემსები, სანთელი, მოჰყავდათ მამლები, თიკნები და სხვ. მოდიოდნენ ფეხშიშველნი და შესთხოვდნენ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ყოველგვარ სიკეთეს“ (გ. ხუხუნი). ჯეგემისარონი, ჯეგემარონი მითრას სალოცავი ადგილი (გ. ხუხუნი).

ნარამუ (ნარამალი). ადგ.

ნარისუ. ადგ.

ნასილა (ნასილარი, დახილული). ადგ.

ნასუ (ნასელარი). ადგ. „სელს ვიყენებდით ბადის და ტილოს საქსოვად, ვგრეხდით ბაწარს“.

ნატაში ნოშქვიდუ (ნატას დასახრჩობი ადგილი). ადგ.

ნაფაცხე (ნაფაცხარი). ადგ. „აქ ფაცხა მდგარა ძველად, სოფლის დუდკოჩები – თავკაცები იკრიბებოდნენ და სოფლის საჭირო საქმეზე მსჯელობდნენ. ამ ფაცხაში კიდეც ლოცულობდნენ, კიდეც იკრიბებოდნენ და მღეროდნენ, მხიარულობდნენ. იგი თითქმის კლუბიც იყო და საკრებულოც“.

ნაფაცხუ (ნაფაცხარი). ადგ.

ნაქერუ (ნაქერალი). ადგ.

ნაქოგალუ (ნახორბლარი). ადგ.

ნაქოგალუ (ნახორბლარი). ადგ.

ნაწისქვილუ. „მდ. აბაშაზე ღვაბერიების და ფიჩხაიების საერთო წისქვილი იდგა. ხშირი დავა ჰქონდათ ამ წისქვილის გამო“.

ნაწურგელუ (ნაწურბელარი). ადგ. „ამ ჭაობში ბევრი წურბელა იყო, მათ იჭერდნენ და ყიდიდნენ“.

ნაჭვი (გადამწვარი). ადგ. „ოდესღაც ტყე ყოფილა, მტერს გადაუწვავს, დღეს მაღალი ადგილია“ (კუპრეიშვილი სერიოჟა რაჟდენის ძე). მის მიდამოებში ახლა გათხრები მიდის. 1974 წელს აქ გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა „პეტრეს ნაკარუს“ მიდამოებში იპოვა გვიანი ბრინჯაოს სამარხები. აქ ფუნდამენტური არქეოლოგიური გათხრები აწარმოა ექსპედიციამ დოც. ე. გოგაძის მეთაურობით. ახლა „ნაჭვზე“ წარმოებს ასეთი მუშაობა.

ნაჭილუ (ნაჭილავი). ადგ. „აქ ჭილაიები სახლებულან, ისინი გამწყდარან. დღეს ამ ადგილებში ქვევრებს და დოქებს პოულობენ“.

ნაჭკიდუ (ნამჭადარი). ადგ. (ვლადიმერ მოსეს ძე გოგია, 65 წ.).

ნახარდანუ (ნახარდნარი). ადგ. „აქ ჩეშონური ყოფილა მაღლარზე მიშვებული“.

ნახაჯუ (ნაცერცვალი). ადგ.

ნეძონა (ნიგზვნარი). ადგ.

ნოჭკერი (ნაჭერი). ადგ.

ნოხორიი (ნასახლარი). ადგ.

ოგერგული (სათოხნი). ადგ.

ოგერგული (სათოხნი). ადგ. „თოხით ამუშავებდნენ.

ოგურთე (საბურთაო). ადგ. „აქ იყო დიდი ველი, სადაც ბურთაობდნენ, ლელობურთს თამაშობდნენ“.

ოფუჯე (საფურო). ადგ.

ოღუმოლი (საღომო). ადგ.

ოხვამე (ეკლესია). ადგ. „მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია მდგარა“.

ოჯარე (საჯარო). ადგ.

ოჭკიდუ (სამჭადო). ადგ.

პატარაიაში ნოხორიი (პატარაიას ნასახლარი). ადგ.

რეკა. ადგ.

როკონა ჭალე (როკიანი ჭალა). ჭალა.

საანგურო (სააგურო). ადგ.

საგეგენო. გეგენავების (ადგილია) ნასახლარი.

საესანიო. ესანიების (გვარია) ნასახლარი.

სათურქიო (თურქიების). ადგ. „აქ თურქის ბანაკი მდგარა, აქედან, ამ ბანაკიდან იჭრებოდა თურქის ლაშქარი შიდა სამეგრელოში. ამიტომ ადგილს სათურქო დაერქვა“.

საკუპრეისქუო (საკუპრეიშვილო) უბანი. კუპრეიშვილები ესახლნენ.

საოჩიგო. ოჩიგავების (გვარია) უბანი.

საჩემიო. ჩემიების (გვარია) უბანი.

სიბაკარი (სიბას კარი, ლარტყებისაგან შეკრული კარი). ადგ.

სუმი ჯაში ლაჯონა (სამი ხის კოპიტნარი). ადგ.

სურანიაში ნოხორი (სურანიას ნასახლარი). ადგ.

ტები (ტყე). ადგ.

ტებიწვანა (ტები ყანა). ადგ.

ტები. ადგ.

უშანგიში ნოხორიი (უშანგის ნასახლარი). ადგ. „უშანგია გეგენავა იყო“.

უჩა ღეე (შავი ღელე). „ღელეა, სათავეს იღებს წყაროდან. მიედინება სამ კილომეტრზე, უერთდება მდ. აბაშას, სოფ. წყემის ტერიტორიაზე. ხალხს ღელესთვის შავი შეურქმევია, იმიტომ, რომ გეჯეთში ნასახლება ღვაბერიძეები და ფიჩხაიები“. „ჯეგემისარონი“ ამათი საზიარო ყოფილა, ორივე გვარი – ღვაბერია და ფიჩხაია მემამულეები ყოფილან. ამ ეკლესიის მღვდლისათვის ფიჩხაიას შეუთვლია, სანადიროდ მივდივარ და ჩემს დაბრუნებამდე წირვა არ დაიწყოო. მაგრამ ფიჩხაია რომ სანადიროდ წავიდა, ღვაბერია მოსულა ეკლესიაში, მღვდლისთვის უბრძანებია, ფიჩხაიას მოსვლამდე დაეწყო წირვა. მღვდელი ღვაბერიას ბრძანების შესრულებას შედგომია. წირვა დაუწყია. წირვის დამთავრებამდე ფიჩხაია მოსულა ეკლესიაში და რომ უნახავს, მღვდელი წირვაზე იდგა, გაბრაზებულა. წირვის შემდეგ მღვდლისათვის პასუხი მოუთხოვია, რატომ ჩემი ბრძანება არ შეასრულეო. მღვდელს ხმა ჩაუკმენდია, ღვაბერია გამოსარჩლებია. მაშინ ფიჩხაიები და ღვაბერიები ერთმანეთს დარევიან და ამოუჟლეტიათ, მღვდელიც მოუკლავთ და დიაკვანიც. ეს უბედურება სწორედ ამ ღელესთან მომხდარა. ამ უბედურების მოწმე ღელეს „შავი ღელე“ უწოდესო“ (გ. ხუხუნი).

ფირცხალჯაში ნოხორიი (ფირცხალავას ნასახლარი). ადგ.

ფიჩხერი (ფიჩხნარი). ადგ. „გადმოცემით, აქ 1. სულ ფიჩხნარი, ძეგვნარი ადგილი იყო, ამიტომ შეერქვა ფიჩხერი. ამ ფიჩხნარ ველობზე იყო მრავალნაირი სამკურნალო ბალახი, რომლისაგან აყენებდნენ წამლებს, იყვნენ სოფლის ექიმბაში ქალები, რომლებიც აქ აგროვებდნენ მედეას ბალახს, მედეას ვარდს და მისგან მალამოებს ხარშავდნენ; 2. ეს ადგილები ფიჩხაიებს ეკუთვნოდათ უძველესი დროიდან. აქ ფიჩხაიები ესახლნენ და ამიტომ ფიჩხაიების მამულს ფიჩხერი შეარქვეს“ (ჯღამაია ნიკანდრო კოწიას ძე).

ქუნიერი. ადგ. „აქ ვენახი იყო მაღლარზე მიშვებული, ქუნიორის ვაზი. მაღალი მოსავალი იცოდა და კარგი ღვინო დგებოდა. ამით დახურული იყო ეს ტყე – „დოქუნიიდუ“ (ჯღამაია ნიკანდრო კოწიას ძე, 69 წ., ხალხური მთქმელი, მელექსე).

ქუნიორი. ადგ.

ქუნიორი. ადგ. „აქ ვენახი ყოფილა. ვაზი ქუნიორი ყოფილა მაღლარზე მიშვებული“.

ღვადური. ადგ. „ღვაბერიების ნამოსახლარი“.

შოღა (შუაღელე). ღელე.

ჩექმაში ნახეკა (ჩექმის დანაფხეკი). ზურგა. ადგ. „თითქოს ზურგა თამარ დედოფლის ჯარის ფეხსაცმლის დანაფხეკისაგან აღიმართაო“.

ჩეშონა (თეთრსვანური) ადგ. „აქ ჩეშონური – თეთრი სვანური იყო მაღლობზე“.

ჩხირონა (ჩხირნარი). ადგ.

ჭალე (ჭალა). ჭალა.

ჭითა კოდე (წითელი კბოდე). ადგ.

ჭიჭე ღეჯე (პატარა ღელე). ღელე. „ორი კილომეტრის სიგრძისაა. სათავეს იღებს ფიჩხერში. უერთდება მდ. ტეხურს“.

ჭუბაბრიაში ტყა (ჭუბაბრიას ტყე). ადგ.

ჭყონჯინჯი (მუხისძირი). ადგ. „აქ ჭყონები, მუხები რომ იდგა, მეც მახსოვს“ (ს. თურქია).

ხატიში დიხა (ხატის მიწა). ადგ. „საეკლესიო მამული იყო“.

ჯაკუშ წყურგილი (ჯაკუს წყარო). წყარო.

ჯახათი. ადგ. „აქ თურქების ჯარი დაბანაკებულა, მდინარეს მოუმატნია და სულ წაულეკია“.

ჯახიაში ნოხორი (ჯახიას ნასახლარი). ადგ.

ჯვეში შარა (ძველი გზა). გზა. „იგი ძველ სენაკში გადიოდა“.

ჯიხა (ციხე). ადგ. ნანგრევებია მხოლოდ შემორჩენილი. „აქ ძველი ნასახლარი ყოფილა. აქვე მდგარა ჯარი“.

ჯიხირი (ნაწვალები, ნაჯახირალი). ადგ.

1. ნაბრძოლები, ნაჭირალი, უბედური ადგილია. სულ წვალება და ჯახირი ყოფილა ამ ადგილზეო“ (იმედაშვილი სერაპიონ ანტონის ძე, 63 წ.).

2. „ნაჯიხარი“. ბუნებით გამაგრებული ადგილი. ჯიხები.

ეკი

სოფლის საბჭო მდებარეობს მდ. ცივის აუზში, ქ. ცხაკაიას ჩრდილოეთით. მას სამხრეთით რაიონის ცენტრი ესაზღვრება, დასავლეთით – ხორშის სას. საბჭო, აღმოსავლეთით – ძველი სენაკის სას. საბჭო, ხოლო ჩრდილოეთით – უშაფათის სას. საბჭო. მდებარეობს გორა-ბორცვებიან ზეგანზე, რომელიც ჩრდილოეთისაკენ მაღლდება 100 მეტრიდან 250 მეტრამდე ზღვის დონიდან. მისი აღმოსავლეთი ნაწილი შეფენილია უნაგირას მთას.

ნიადაგი წითელმიწაა, ალუვიური და კარბონატული ხასიათისა. სოფელი უხვია ხილით, ვაზითა და ჩაის კულტურით. უძველესი დროიდან სოფელში კულტივირებულია დაფნა, სელი და კანაფი. მოჰყავდათ ხორბალი, ცერცვი, ჭადა-ჭადა, ღომი, ურიში, სოია, ხარობს ციტრუსოვნები. მდიდარია ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებით, წყაროს წყლებითა და ღელეთა მცირე, მაგრამ ლამაზი კანიონებით.

სოფელს დიდი ისტორიული წარსული აქვს. აქ მრავლადაა ისტორიული ძეგლები და ადგილები. შემორჩენილია სამეურნეო და კულტურული ცხოვრების პრაქტიკა და ტრადიციები. განსაკუთრებით საინტერესოა საფეიქრო ხელოსნობის მდიდარი ტრადიცია. აქ აბრეშუმის, სელისა და ბამბისაგან ქსოვდნენ დარაიას, ტილოს, ხამიანს, იყენებდნენ თავიანთი საჭიროებისათვის და ყიდდნენ კიდეც. აქ ტილოს შესაღებავად იყენებდნენ ეკის – ლეკის, მინერალურ საღებავს, რომელიც განსაკუთრებულ გამოსავლებში ამოჰქონდათ. ახლაც შემორჩენილია აქ მათი მცირე მაღარო.

სოფელში არის საინტერესო ისტორიული ძეგლები – ნაციცმელუს და ნათმელის ეკლესიები (იოანე ნათლისმცემლის სახელობის) და სასახლეები, რომლებიც XIII-XIV საუკუნეს მიეკუთვნებიან და ქართული არქიტექტურული ხელოვნების უნიკუმებს წარმოადგენენ. ძეგლი გაწმინდა, სათანადოდ აღწერა და სარესტავრაციოდ გაამზადა ამ სოფლის მკვიდრმა, შესანიშნავმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, დოც. ი. ადამიამ.

სოფელში არის შემორჩენილი დიდი მეცნიერ-გეოგრაფის, ქართული გეოგრაფიული მეცნიერების ერთ-ერთი კორიფის, აკადემიკოს თეოფანე დავითაიას კარ-მიდამო. სოფელმა ქვეყანას მრავალი მწერალი და მოღვაწე მისცა.

აბურჯანიაში ნოხორიი (აბურჯანიას ნასახლარი). ადგ.

არგვანი (ქვევრი, ჭური). ადგ.

არჩიაში გოლა (არჩიას მთა). მთა.

ატატი. ადგ.

აქვსენტიში ჭაე (აქვსენტის ჭალა). ჭალა.

ბაკიჩიაში ნოხორი (ბაკიჩიას ნასახლარი). ადგ.

ბანური. ადგ.

ბასილიკაში ნაწისქვილუ (ბასილიკას ნაწისქვილარი). ადგ.

ბენძეში ნოხორიი (ბენძეს ნასახლარი). ადგ. „კოტიანეთიდან გადმოსახლებულა ვიღაც ბენძე, იგი აჯანყების მონაწილე ყოფილა. ამიტომ ამ ტყისათვის შეუფარებია თავი“.

ბერაღი (დროშა). ადგ. „აქ ბატონიშვილების ადგილების მოსანიშნი დროშა იყო აღმართული ბატონყმობის დროს“.

ბერწყუ (ბერის წყარო). ადგ. „აქ უშვილო ბერი სახლებულა. მას მიწიდან წყალი ამოუყვანია. კარგი წყალია“.

ბიბიში (ბიბისა). ადგ.

ბიბიში ნოხორი (ბიბის ნასახლარი). ადგ.

ბორკილი (ბორკილი). ადგ. „აქ სტრაჟნიკების ცხენებს ბორკავდნენ. ცხენების ბორკილებით 1905 წელს რევოლუციის მონაწილენი დაუბორკავთ მათ ამ ადგილზე და დაუხოციათ“.

ბოშიათურეფი (ბოშიას მემკვიდრენი). უბანი. „ამ უბანში ბოშია ადამიას მემკვიდრენი, ნიცო ესახლა, ბოშია თურების დინო იყო. ადამიები ერთი გვარია, ერთი თურია. მას რამდენიმე ტოტი აქვს, რამდენიმე გმნარცი – დინო. ერთი დინო მათ შორის ბოშია „თურეფია“. ადამიებს კიდევ ჰქონდათ რამდენიმე დინო – პაპათურეფი, ხილოთურეფი (ილია ადამია ხილოთურებს ეკუთვნის), კუჭუ თურეფი, ზეიგა თურეფი (მწერალი ალიო ადამია ზეიგათურებიდანაა) და ა. შ.“ (დ. ადამია).

ბურდღუში (ბურდღუსი). ადგ.

გაგია წკვარამი (გაგიაუფსკრული). ადგ.

გითოკირილი (ქვითკირით გამოკრული). გამოქვაბულია და წყარო. ეს წყარო ხირზენში (გასახიზნში) თავშეფარებული ქალების და ბავშვების მისასვლელად იყო გაკეთებული. აქ მტერი ვერ ამჩნევდა მათ, მტერი ვერ დაესხმოდა თავს, საიმედოდ იყვნენ შეკრული“ (დ. ადამია).

გითოკირილი (ქვიტკირით ამოკავებული, შეკრული). გამოქვაბული. „იგი სიგრძით სამი კილომეტრია. თურქობის დროს აქ ხალხი იხიზნებოდა თურმე. არის გადმოცემა, რომ მონადირე შესულა ძაღლიანად. მონადირე ჩაკარგულა, ძაღლი საწულეისკიროში გამოსულა“ (კ. ადამია, ზ. გულუა).

გიძე ჭაე (გრძელი ჭალა). ჭალა.

გოგორიში. ადგ.

გოდორიანი. ადგ.

გორდიელი. ადგ.

გუჯაში ნოხორიი (გუჯას ნასახლარი). ადგ.

დადიაში ნატახტუ (დადიანის ნატახტარი). ადგ. „აქ დადიანის მოსასვენი ადგილი და აგარაკი ყოფილა. დღეს ჭაა მხოლოდ დარჩენილი“.

დადიაში ნატახტუ (დადიანის ნატახტარი). მთის თხემი. ადგ. „იგი გაჰყურებს ეკის მთასა და ნოქალაქევს. ზღვის დონიდან 500 მეტრზეა. გადმოცემით, აქ დადიანს თავის მცირე დარბაზი და კარ-მიდამო ჰქონია. როცა ამ გზით მიდიოდა, აქ ისვენებდა თურმე. აქვე ჰქონია სანადირო ადგილი“ (ადამია ბორისი კონდრატეს ძე, 66 წ.; გუნია ზურაბ კონსტანტინეს ძე, 41 წ.).

დიდცვანა (გრძელი ყანა). ჭალა.

დიდჭაე (დიდი ჭალა). ადგ. „ჭალა საპაჭკორიოსი“.

დობერა (მთის დობილო ფერდობი). ადგ. მსგავსი ტოპონიმი კიდევ ორ ადგილას გვხვდება.

დობერა. ადგ.

დობერა. ფერდობია. „ვაზნარიანი“.

დღურუ. ადგ.

ეჯაგირძე (ჩაგრძელებული). ადგ.

ეკი (მაღლა). ს/ს 1. „იტყოდნენ – სულ ეკიი-ეკიი, სულ აღმა და ამოღმაო. მართლაც ეს ადგილები სულ მაღლდება, მაღლა მიდის, ამიტომ შეერქვაო ეკიი“; 2. აქ ამოჰქონდათ ეკი, ლეკი, მინერალური საღებავი და ამიტომ შეერქვა სოფელს ეკი“ (ჟუჟუნა კოსტას ასული ჟვანია, 55 წ.).

ეკუსკური, ეკისკური (ეკის წყალი). ღელე.

ენწერნოცონილი (ენწერნაყანევი). ადგ.

ზანა. სოფლის ნაწილია, შემოდის ეკში.

თათარსქუაში ნოხორიი (თათარიშვილის ნასახლარი), ადგ.

თეოფანეში მახოროგა (თეოფანე დავითაიას ეზო, კარ-მიდამო). კარ-მიდამო. შემორჩენილია სახლი და ეზო. ეზო სულ დახუნძლულია ხეხილით და ვაზით, მაგრამ მოუვლელია.

თუთე წყუ (თუთეს წყარო). ადგ.

თხახიტონი (თხა ქერცლავს). ადგ.

ილარიონიში კარი (ილარიონის კარი). ადგ.

იმანიორი, მანცხვარიში ოხვამე (მაცხოვრის ეკლესია). „ეს ეკლესია აუშენებიათ ყმებს, რომლებიც ქვის სამტეხლოდან მწკრივად მდგარან და ერთმანეთს გადასცემდნენ ქვას, ასე აჰქონდათ მშენებლობის ადგილზეო“ (პეტრე ფაღავა, 91 წ.).

იმანიორი (ნანიორალია). ადგ.

კადარი. ადგ. მზისგული ადგილია, მთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ფერდობი. „მთელი დღე მზე ადგას“.

კაკოში კარი (კაკოს კარი). ადგ. „აქ ჯარობა და ცეკვა-თამაში სცოდნიათ ჩვენს ძველებს. თავშესაყრელი ადგილი ყოფილა“.

კალამონა. მთაა და ადგილი. „აქ იცოდნენ თურმე ძალიან ძველ დროს კალამონობა, ლოცვა. კალამონა დიდი სალოცავი იყოო, ამბობენ ჩვენი ძველები“ (სპირიდონ გახუს ძე ადამია, 75 წ.).

კაჟონა (კაჟნარი). ადგ.

კაროგა. ადგ. „აქ ძველი ხვამა (ლოცვა) იცოდნენ“.

კვარჩხღალი (უკუღმართი ღელე). ღელე. „კვარჩხად, უკუღმართად მიედინება. იგივე სახელი აქვს გაშლილ ჭალას, რომელზეც ყანა ითესება“.

კვარჩხღალი. წყარო და ღელე.

კინტირიაში ჭაე (კინტირიას ჭალა). ჭალა.

კირნაჭვი (კირნაწვავი). ადგ.

კლასი (სკოლა). ადგ. „აქ ხის სახლი მდგარა. მასში სოფლის პატარა სამრევლო სკოლა გაუხსნიათ. აქ 1905 წელს რევოლუციის მოქადაგეები კრებას მართავდნენ. 1918 წელს აჯანყების დროს რაზმელებს აქ შტაბი ჰქონდათ, ხოლო მენშევიკური გამოსვლების დროს ისინი აქედან გაუდევნიათ. ბრძოლა მომხდარა აქ“ (ჟ. ჟვანია).

ლაზაში ნოხორიი (ლაზას ნასახლარი). ადგ.

ლევაში ჭაე (ლევას ჭალა). ადგ.

მარიაში ნოხორი (მარიას ნასახლარი). ადგ.

მენათწყუ (მენათწყარო). წყარო.

მენათი. ადგ.

მენჯი (გაღმა მარილი). წყაროიანი მაღლობია. „მარილიანი, გოგირდიანი წყალი დის, ძლიერ უყვარს საქონელს“.

მერე. ადგ. „დობილოიანი. ვენახიანი ადგილი. მაღლარზე იყო ვაზი“.

მონგური. ადგ. „წინათ აქ ელიობა ვიცოდით, ახლაც იქ ღამეს ათევენ და დღესასწაულობენ“ (სპ. ადამია).

ნაჯაგვანუ (ნაქვევრალი). ადგ. ახლა საყანე მასივია.


მასშტაბი: 1:25 000

ნაბერალუ (ნაბაირაღალი, ნადროშალი). ადგ. „მთის კონცხია, ველობი. აქ ბერაღი ჰქონდა აღმართული დადიას, საკუთრების მისანიშნი“ (სპ. ადამია).

ნაბინეხუ (ნავენეხარი).

ნაგეჩუ. ადგ.

ნადოხორუ (ნასახლარი). ადგ. „აქ წინათ კოწია კოტია სახლებულა. დღეს კალი ფარღალაია სახლობს“.

ნადუქანუ (ნადუქნარი). ადგ. „ჩაგუ სიჭინავას ჰქონია დუქანი“.

ნადუქნუ (ნადუქნევი). ადგ. „უძველესი დუქანი მდგარა ამ ძველ გზაზე“.

ნათმელი (ნათლისმცემლის სახ. ეკლესია). ეკლესია. ესეც სამნავიანი ბაზილიკაა, სანათლავის ჭერი სხივისებურადაა სეგმენტებად დაყოფილი, ხობის ეკლესიისა და წალენჯიხის სტოას ჭერის მსგავსად. ძალიან მკვიდრად და საინტერესოდ ნაგებია, XIV საუკუნეზე გვიანი არ უნდა იყოს. გალავნის ეზოში კოშკის პირველი სართულიცაა შემორჩენილი.

ნათოფურენი (ნათოფურალი). ადგ. „თოფურიების ნასახლარია. თოფურია გვარია“.

ნათხოლუუ (ნამთხლევარი). ადგ.

ნაკაზაკუ (ნაკაზაკარი). მთელი სოფელი. „1905 წელს ალიხანოვ-ავარსკის ჯარს დაუკავებია ეს ადგილი, აქ დაბანაკებულა, თავისი ყაზარმები გაუმართავს. აქედან ულაშქრია სამეგრელოს ყველა კუთხეში. მაშინ დიდი რისხვა გუგუნავებს დატყდომიათ თავზე. ამ სოფლის ძირითადი მკვიდრი თური (გვარი) გუგუნავა ყოფილა; არის გადმოცემა, სანამ ალიხანოვ-ავარსკის ჯარი შემოვიდოდა, აქ მოსულა რუსი კაცი, მას ტყვიები ჩამოუსხამს, იგი მალხაზ გუნიას სახლში დამდგარა. მალხაზსაც უდვნია ტყვია. როცა ალიხანოვი შემოვიდა, იმ რუსს გაუცია სოფლის ახალი თაობის ხალხი. როცა რუსის ჯარი წასულა, ხალხს მალხაზისთვის პასუხი მოუთხოვია. მალხაზს უთქვამს:

„თიქ მორთუ დო თის ელავთხოზუდია,

თქვა ქომორთით დო თქვა ქელგათხოზუთია“.

(ის მოვიდა და იმას ავედევნე, თქვენ მოხვედით და თქვენ აგედევნებითო).

ამის შემდეგ მალხაზისათვის ხელი არ უხლიათ.

ნაკანცელარუ (ნაკანცელარალი). ადგ. „აქ ძველთაძველი კანცელარია მდგარა მამასახლისისა“.

ნაკეაში. ადგ.

ნაკეხუა (ნაკეხარი). ადგ.

ნაკიცუ (ნაკიცარი). ადგ. „აქ კეცის ქვებს თხრიდნენ წინათ“.

ნამაცხვარუ (მაცხოვრის ეკლესია). ეკლესია და სასახლე მთელი კომპლექსია, ირგვლივ შემორაგული, მაღალ, 5 მეტრის სიმაღლის გალავნით. გალავნის ფართობი 2000 კვ. მეტრზე მეტია. ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეზე დგას ორნავიანი ბაზილიკური ეკლესია. სანათლავი ეტყობა გვიან მიშენებულია. ეკლესია აგებულია მაღალი არქიტექტურული გემოვნებით. ამავე ეკლესიის დასავლეთის კიდურზე, გალავანთან, ჩრდილოეთ მხარეზე სასახლის ორსართულიანი კედელია, ხოლო სამხრეთის კიდურზე – ორსართულიანი დიდებული ეკლესია, შემკული ორნამენტებით. მისი არქიტექტურა და მხატვრობა შეიძლება XII-XIV სს. მიეწეროს. მისი გაწმენდა-გასუფთავება და ნაწილობრივ გამაგრება-აღდგენა იკისრეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა, დოც. ილია ადამიას მეთაურობით. ძეგლი გაწმენდილია, ნაწილი აღდგენილიცაა და შორიდან ლამაზად მოჩანს. ეს არის უდავოდ დიდად დასაფასებელი მამულიშვილური ღვაწლი.

ნამაცხვარუ. სოფელია, სადაც დღეს არავინ სახლობს. მაგრამ საკვირველად თვალსაჩინოდაა შემორჩენილი ეზოები, ხეხილნარი, ბაღნარი, საყანეები, საფუტკრეები. ისე, რომ გგონია, დღეს გადასახლებულა აქედან ხალხი. ძალიან გულდასაწყვეტია ასეთი ნაყოფიერი და საინტერესო ადგილის გაუკაცრიელება.

ნანდუ. ადგ. „ჭაობიანი, ნადევარი ადგილი“.

ნანესკუაში წყარი (ნანესკუას წყარო). წყარო.

ნანიორუ (ნანიორალი). ადგ.

ნაონთხოლი (სამეოთხედო). ადგ. „ეს ყანები სამეოთხოდ ჰქონდათ გლეხებს დასამუშავებლად მიჩენილი“ (ჯვებე ცხვიტარია).

ნაოსხაპუ (ნასაცეკვარი). ადგ. „აქ ჯარობა სცოდნიათ“.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი). ადგ. „უხსოვარი დროის ნასალოცვარი“.

ნარონუ (ნადგომი). ადგ. „აქ უძველეს დროში ხალხი მდგარა, დიდი დასახლება ყოფილა, ამიტომ ადგილს ნარონს ეძახიან“.

ნასახუ. ადგ.

ნაქართუ (ნაქართალი). ადგ. „ჩვენი ძველები დიდი ხალხი ყოფილა. მათ მამულში საქონელი რომ შემოვიდოდა, იჭერდნენ და აქ ამწყვდევდნენ თურმე“.

ნაქარუ (ნაქართალი, ქართა ყოფილა წინათ). ადგ. „წინათ აქ ქართა ჰქონია მოწყობილი მწყემსს. აქ შემდეგ სოფლის საერთო ქართა იყო, სადაც სოფლის საქონელს ღამე ამწყვდევდნენ, მხოლოდ „უხაფუს“, მოუგებელს, უშობლებს და ხარებს“.

ნაქერუ (ნაქერალი). ადგ. „ქერი ეთესათ ძველად“.

ნაქობალუ (ნახორბლარი). ადგ. „აქ ხორბალი ეთესა“.

ნაღეჯუ (ნაღორალი). ადგ. „აქ სულ ღორები ყოლიათ მოშენებული და ღორების ქართაც ჰქონიათ ჩვენს ძველებს. ამიტომ ჰქვია ნაღეჯუ“.

ნაღუმუ (ნაღომარი). ადგ.

ნაჩედიხუ (თეთრი მიწის ადგილი). ადგ. „აქ წინათ თეთრმიწას იღებდნენ და იყენებდნენ საპნის მაგივრად. ყიდიდნენ კიდეც. აქ ჭოროხსაც პოულობდნენ. ჭოროხი მინერალური საღებავია, ყვითელი ფერისა“.

ნაჭვი (ნაჭვავარი). ადგ.

ნაჭილუ (ნაჭილავი). უბანი. „აქ წინათ ჭილები სახლებულან. შემდეგ ეს ადგილები ცხვიტიებს დაუჭერიათ. შემდეგ ცხვიტიებიც ამოწყვეტილან“.

ნაჭილუ. ადგ. „ჭილები სახლებულან წინათ“.

ნაჭირუ (განაჭირალი). ადგ. „აქ ჭირსა და მტრის შემოსევას მოუსრავს ხალხი, განსაკუთრებით ქალები. ვინც გადარჩენილა, აქედან გადასახლებულა“ (ჯ. ცხვიტარია).

ნაჭკიდუ (ნამჭადარი). ადგ.

ნახურანი (ნახურნალი). ადგ.

ნახუტურუ (ნახუტურალი). ადგ.

ნახუხუნუ (ნახუხუნარი). ადგ.

ნაჯიხუ (ნაციხარი). ადგ.

ნესტორიში ნოხორიი (ნესტორის ნასახლარი). ადგ.

ნოიმერა (ნაომარი). ადგ. „ნაბრძოლი ადგილია“.

ნოჭყონა (ნამუხარი). ადგ. „მუხის ხშირი ტყე ყოფილა ოდესღაც“.

ნოხორიი (ნასახლარი). ადგ.

ზაზარიონი. ადგ. „სალოცავი უძველესი“.

ობამბუკე (საბამბუკო). ადგ. „სადაც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ბამბუკი იყო გაშენებული“.

ოთიფურე (სათიბი). ადგ.

ომუნჩქვე (სამაჩვო). ადგ.

ოსხაპური (საცეკვაო). ადგ.

ოფუცხოლი (ფუცხუნით გასავლელი). ადგ. „საშიშარი, საყაჩაღო ადგილია, ამიტომ გამვლელს უნდა ეჩქარა, ფუცხუნით, ფუცხოლით უნდა გაეარა ეს ადგილი“ (ჯ. ცხვიტარია).

ოქაჯე (საქაჯო). ადგ. „ქაჯების და ეშმაკების სამყოფი“.

ოქვაბეში (საქვაბო). ადგ.

ოშაყარგ (თავშესაყრელი). ადგ. „ჯარალუა სცოდნიათ აქ“.

ოჩე. ადგ.

ოჩე. ადგ. „ძლიერ ნოყიერი, უხვმოსავლიანი ყანა იყო. იტყვიან „ოჩე ცენდუა“, სიუხვე ციდან ცვიოდაო“. (დავით ერასტის ძე ჟვანია, 71 წ.).

ოჩხარჩხალეში (საწანწკარო). წყარო. „აქ წყალი მიწიდან ჩქერით ამოდის და შემდეგ ღელეში ჩაწკანწკარებს“.

ოძუბე. ადგ.

ოწარწაზაფუ (საწანწალო). ადგ. „აქ მოკლეს ყაჩაღი გუგუნავა“.

ოწურბელე (საწურბელე). „დამდგარი ტბაა, ლექიანი. აქ წურბელები იცის უამრავი“.

ოხარდანე (სახარდანო). ადგ.

ოხარდანე (სახარდანო). ადგ. „ხარდანის ვაზი ხარობდა წინათ.

ოხვამე (ეკლესია). ადგ.

ოხვამე (ეკლესია). ადგ. „მცირე ეკლესია მდგარა. იგი გიორგი ჩიჩუას კარის ეკლესია ყოფილა. 1924 წელს დაუნგრევიათ“.

ოხვამე (ეკლესია). ნაეკლესიარი. ადგ. „სტეფანწმინდას მცირე ეკლესია მდგარა“.

ოხვამე (მაცხოვრის ეკლესია და სასახლე).

ოხოჯე (სახარე). ადგილი.

ოჯარე (საჯარო). ადგ. „აქ ჯარობა, თავშეყრა იცოდნენ. დიდი დღესასწაული ტარდებოდა.

პროფკაში ჯა (კორპის ხე). ადგ. „აქ სულ კორპის ხეები იდგა“.

ჟვანიაში ტყა (ჟვანიას ტყე). ტყე. (ნინა კირილეს ასული ელიავა, 50 წ.).

რეჭი (კეჭნარი, რეჩხონა, ქვიანი). ადგ.

რეჭი. ადგ. „წინათ აქ სულ ზღვა მდგარა, შემდეგ ამომშრალა და რეჭი დარჩენილა“. (სპ. ადამია).

როკონა (როკნარი). ადგ.

საადამიო. ადამიების (გვარია) უბანი. სოფ.

საარჩიო. არჩიების (გვარია) უბანი.

საბაიაში ნოხორიი (საბაიას ნასახლარი). ადგ.

საგუნიო. გუნიების (გვარია) უბანი. სოფელია, დღეს სრულიად დაცლილი. სახლობს მარტო ერთი ოჯახი სამსონ კეკუასი.

საგუნიოში გოლა (საგუნიოს მთა). ადგ.

საკეკუო. კეკუების (გვარია) უბანი. „დღეს აქ ერთადერთი კეკუა, სამსონ გუდუნას ძე კეკუა სახლობს, 80 წლისა. სხვა არავინ არაა. ადგილი დაცარიელდა“.

საკინწირეისძუო (საკინწურეიშვილო). სოფ.

საკოლუო. სოფ. ამ სოფელში დღეს მხოლოდ 5 მოსახლეა შემორჩენილი. ძალიან საინტერესო ბუნებრივი პირობების სოფელია. მდიდარია ხილით, ვაზით, წყაროსწყლებით. ეკიდან მოწყვეტილია 5 კილომეტრით.

საკუჭა. კუჭავების (გვარია) უბანი.

საპაჭკორიო. პაჭკორიების (გვარია) უბანი.

საჟვანიო. ჟვანიების (გვარია) უბანი.

საფაღვო (საფაღავო). ადგ. „აქ კაცს 25 მანეთად ყიდდნენ თურმე ბატონყმობის დროს“.

საშურღაიო. შურღაიების (გვარია) უბანი.

საჩეხი. ადგ. „საჩეხი ყოფილა პატარა ლაბახით, ჯიხათი და ღობურით“.

საჩიქობო (საჩიქობაო). ადგ.

საცხვიტიო. ცხვიტიების (გვარი) უბანი.

საჯოლიო. ჯოლიების (გვარია) უბანი.

სისოში ორტვინი (სისოს ბოსტანი). ადგ.

სიხუ. ადგ. „გზის პირი იყო. ძველი გზის პირი. ეს ადგილი საბანაკო იყო. აქ მგზავრები ისვენებდნენ. მოსაცდელი ადგილი იყო“.

სიხუ. უბანი. ფიცხი, ზიგზაგოვანი ადგილია. ამიტომ ეძახიან სიხუს. საგუნიოს ცენტრია.

სტეფაში ოხვამე (სტეფას ეკლესია). ადგ. „აქ ხის ეკლესია იდგა“ (კოღუა ერასტი დიმიტრის ძე, 73 წ.).

სურანა. ღელე. ერთვის ეკუსკურს.

სხულონა (მსხალნარი). ადგ. „მსხლის ტყე ყოფილა ამ ადგილზე“.

ტები (ტყე). ადგ.

ტყაუჩა (შავი ტყე). ტყე. „ახლა კორპის ხის ტყეა. წინათ ძალიან ხშირი, უღრანი ტყე ყოფილა, ქაჯებით, დევებით სავსე. ამიტომ უჩა ტყეს ეძახდნენ“.

უნანგერეში (საუნანგერო). ადგ.

უნანგირეში, ონანგურეში (საუნაგირო). ადგ. „უნაგირის მსგავსად ჩაჭრილი“.

უტუში ნოყონი (უტუს ნაყანარი). ადგ.

უფალკარი (უფლის კარი). მთელი უბანია.

ფაკვაჭაე (ფაკვას ჭალა). ჭალა.

ფართო წყარი (ფართო წყარო). წყარო.

ფაქვა. ღელე.

ფერდი. ფერდობი. ადგ.

ფრიალე (ფრიალა ხე). ადგ. „აქ დიდი ფრიალა ხე იდგა, მას ყოველ მხრიდან ხედავდნენ, თვით ეკის ცენტრიდანაც და ცხაკაიადანაც“.

ქაჩხარი. ადგ.

ქვაბი (გამოქვაბული). ადგ. „ეს ქვაბი ქვითკირითაა პირაკრული. ის ეკლესიის ქვემოთაა, ღრმა ხევში. მანჩახირზენსაც ეძახიან. როცა მტერი თავს დაგვესხმოდა ხალხი აქ იმალებოდა, განსაკუთრებით ქალები და ბავშვები“ (დ. ადამია).

ქვაბი (გამოქვაბული). სამი გამოქვაბულია. „ძალიან ლამაზი და ღრმა“.

ქვარცოლი. ადგ.

ქუაში წყარი (ქვის წყარო). წყარო.

ღაბურზალა. ადგ.

ღარდა. ადგ. „ჩაქცეული ადგილია, შუაში ღარი მიდის და მასზე ღელეა ჩაწოლილი“.

ღარი. წყარო.

შქაეკი (შუა ეკი). უბანი.

შქაიფონი (შუა თავთხელი). ადგ.

ჩაბაკონი. ჩაბაქიონი – ჩაბაქი. ადგ.

ჩაბაძა. ადგ.

ჩეხვაში. ადგ.

ჩხარიღეე (ჩხარი ღელე). ადგ. „მთაში გამოდის, ცივი წყაროა“.

ჩხარი. ადგ.

ცანასქური. ღელეა. „იგი გამოდის საგუნიოდან. გამოსავალი გამოქვაბულში აქვს“.

ცაცხვჯინჯი (ცაცხვძირი). ადგ. „საჯარო ადგილია“.

ცაცხვი. ადგ. „ცაცხვი იდგა ათასწლოვანი. მის ქვემოთაც იცოდნენ თავშეყრა, ჯარალუა“.

ცაცხვი. ადგ. „წინათ ათასწლოვანი ცაცხვი მდგარა, აქვე ცოდნიათ ხვამა“.

ციი გოჭკადირი (ცივი გაჭედილი). ადგ. „აქ, ამ ხეობაში ხიდი გაუდგამთ და გაუჭედიათ, შეუერთებიათ. ამით გეგენავებს დღურუ და ნაქართუ გაუერთიანებიათ“.

ციი ჭაე (ცივის ჭალა). ჭალა.

ციცუერი (საადრეო). ადგ. „აქ სულ „ციცუა“ სიმინდს ვთესდით, იგი ადრე მოდის. ძალიან კარგი ნაფქვავი იცის. აქ ადამიები წინათ 63 ოჯახი ვესახლეთ. „ჩქინებურაც“ მოგვყავდა, მაგრამ ვთესდით „ციცუასაც“, ღომსაც და „ჭკიდის ჭკიდსაც“ (სპ. ადამია).

ციცქონა. ადგ.

ცხემურიში ჯინჯი (რცხმელის ძირი). ადგ.

ძუგა (მიწაზურგა). ადგ.

ძუგუ (მიწაზურგა). ადგ.

ძუგუ (მიწაზურგა). ადგ. „ოჯარე და ნაოსხაპური – საცეკვაო ადგილი იყო ძველთაგანვე. აქ ცაცხვის ხეები იდგა და მის ქვემოთ თავს იყრიდა ხალხი“.

ძუგუ (მიწაზურგა). ადგ. „უძველესი სალოცავია“.

წირღვაში წყუ (წირღვას წყარო). წყარო.

წისქვილკარი (წისქვილის კარი). ადგ.

წყაუთი (წყაროს თვალი). წყარო დღესაც გამოდის, ძალიან ცივი. ადგილი ბუნების ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს.

ჭაე (ჭალა). ჭალა.

ჭველა (მცირე ნერგი). ადგ. „აქ მუხის ჭველები ყოფილა, ადგილს ჭველამურსაც ეძახიან“.

ჭითაღეე (წითელი ღელე). ღელე.

ჭყონროკონა (ჭყონის როკები). ადგ. „აქ მუხნარი ყოფილა. იგი გაუჩეხიათ და მისი როკები დარჩენილა დიდხანს“ (ჯვებე მიხეილის ძე ცხვიტარია, 70 წ.).

ხაბო (ხრამი). ადგ.

ხილოთი (ხილოს თი). უბანი. „აქ ვიღაც დიდკაცს, ადამიების ძალიან შორეულ წინაპარს – ხილოს ჰქონია „თი“, დიდი ოჯახი“.

ხუხუში გიმნაჩემი (ხუხუს განაყიდი). ადგ.

ჯალამური. ადგ.

ჯგერილია. წყაროა. „ამოდის და იქვე იკარგება. აქ ლოცვა სცოდნიათ წინათ“ (დურუ დავითის ძე ადამია, 92 წ.).

ჯეგეეში კარი, ჯეიშიკარი (ჯეგეს კარი). ადგ. 1. „ჯეგეს სალოცავი ადგილი ყოფილა აქ“; 2. „ვიღაც ჯეგე სახლობდა და იმას ჰქონია წინ დიდი მოედანი“. (პ. ფაღავა).

ჯვეში შარა (ძველი გზა). გზა. „ამ გზით მიდიოდა ზუგდიდისაკენ დადიანების სოშე გზა. აქ გაუვლია კეკე დადიანს. იგი ძალიან მსუქანი ყოფილა და ერთი ეტლი ეკავა მთლიანად. მას მოჰყვებოდა თურმე ამალა 150 ეტლით. გლეხებს ქვემეხი უსვრიათ, ერთი კაცი მოუკლავთ კიდეც“.

ჯვეში შარა (ძველი გზა). დღეს ადგილია.

ჯვეშიკა. ადგ.

ჯიხა (ციხე). ადგ. XVI-XVIII საუკუნეების კოშკია. დღეს შემორჩენილია ორი სართულის ნანგრევი. ირგვლივ მცირე გალავანი ჰქონია. მას ხალხი „საყარაულო კოშკს“ ეძახის. „აქ „მაჯინე“ (მზირი) ყოველთვის მდგარა თურმე. ის, როდესაც აქეთკენ მტერს შენიშნავდა წამოსულს, კოშკის თავზე ცეცხლს დაანთებდა და ამით აცნობებდა ირგვლივ ყველა ციხეს და სოფელს მტრის მოახლოებას“ (შულაია ბონდო ჯონდოს ძე, 50 წ.).

ჯიხონა (ციხნარი). ადგ. „აქ ჯიხები ყოფილა აღმართული. დღეს მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი“.

ჯოლიაში გიმნაჩემი (ჯოლიას განაყიდი). ადგ.

ზანი

სასოფლო საბჭო მდებარეობს გორაკ-ბორცვიან ზეგანზე. ნიადაგი აქ წითელმიწა ალუვიური ხასიათისაა. სოფელს ჩრდილოეთით და დასავლეთით ესაზღვრება ჩხოროწყუს რაიონი, სამხრეთით – ხორშის სას. საბჭო, აღმოსავლეთით – უშაფათის სას. საბჭო. სოფელი მდებარეობს შუა სამეგრელოს გზაზე, სადაც მას ცენტრალური მდგომარეობა უჭირავს. აქ უძველესი დროიდან სამეურნეო საქმიანობის საინტერესო ტრადიცია არსებობდა. იყო განვითარებული მეთუნეობა, ქსოვა, სადურგლო საქმე, ხის ჯამ-ჭურჭლების გაკეთება, ხეზე და ქვაზე კვეთა.

სოფელი მხარის სააღებმიცემო საქმიანობაში გარკვეულ როლს ასრულებდა. აქ იყო დუქნები, სავაჭრო ფარდულები, იყო ბაზარიც. მოჰყავდათ ღომი, ჭადაჭადა, სიმინდი, ცერცვი. იყო განვითარებული მევენახეობა და მეხილეობა.

XIX ს. ბოლო წლებში აქ გაიხსნა სკოლა, სადაც სწავლა-განათლების საქმეს სათავეში ჩაუდგა მხარის ერთ-ერთი დიდად ცნობილი კაცი, განმანათლებელი, რევოლუციონერი ნესტორ ჭითავა. დღეს სოფელი თავისი ეკონომიკითა და კულტურით საკმაოდ დაწინაურებულია.

ზანის ტოპონიმებია:

ანტონიში ნოხორიი (ანტონის ნასახლარი). ადგ.

არჩაიაში კარი (არჩაიას კარი). ადგ. „ეს ადგილი“ ნაოჯარუა“, გასართობი, თავშეყრის ადგილი იყო. აქ შურღაიებმა ჯარალუა იცოდნენ“.

აფაქიაში ნადოხორუ (აფაქიას ნასახლარი). ადგ. „აფაქია აქაური ბატონი იყო, ეს მიწები მას ეკუთვნოდა. დიდი ბატონი ყოფილა, ძალიან მკაცრი, სასტიკი“ (ტ. ტყებუჩავა).

ბაბუში ყვანა (ბაბუს ყანა). ადგ. „ბაბუა გაუნთავისუფლებია ბატონს ყმობიდან და მიწა მიუცია. ამ მიწას ბაბუას ყანას ვეძახით“ (ზ. ჭითავა).

ბონდა. ადგ.

ბულელაი (ბალღელე). ღელე.

გაგუაში ნოყონი (გაგუას ნაყანარი). ადგ.

განაჭყვადუ (განაწყვეტი). ადგ. „ადგილი ჭირის გამო ამოწყვეტილა. გადარჩენილთა ნაწილი შიმშილს მოუსრავს. ვინც ცოცხალი დარჩენილა, სხვაგან გადასახლებულა“.

განგიაში ნოხორიი (განგიას ნასახლარი). ადგ.

გახათიაში რზენი (გახათიას ველი). ადგ.

გერიეში ნოხორი (გერიეს ნასასახლარი). ადგ.

გვიყარზენი (გვილავას ველობი). ადგ. გვილავას ველი.

გიგოში ნაფაცხუ (გიგოს ნაფაცხარი). ადგ.

გიგუიაში ნაფაცხუ (გიგუიას ნაფაცხარი). ადგ.

გოლუაფირი (შემოვლებული). ადგ. არსებობს გადმოცემა: „დედას შვილი უკვდებოდა, არაფერმა წამალმა არ უშველა. ღმერთს შეპირდა, ამ ადგილს შემოვავლებ მას და შენ შემოგწირავ, ოღონდ შვილი გადამირჩინეო. ეკლესიის წესით შემოავლო, სანთელი დაასო ოთხივე კუთხეზე და შემოვლება გამოაცხადა. ცოტა ხნის შემდეგ ბავშვი კარგად გახდა. მამული შემოვლებული და ხატისთვისაა შეწირული“ (კ. შურღაია).

გუგუსძუაში ნოხორიი (გუგუშვილის ნასახლარი). ადგ.

გუგუში შეკებული (გუგუს შემოკავებული). ადგ.

გუძაში ტყა (გუძას ტყე). ადგ. „გუძა შურღაიას ჰქონია აქ მუხის დიდი ტყე“.

დადიაში ტყა (დადიანის ტყე). ადგ.

დათარზენი (დათაველობი). ადგ.

დიდირზენი (დიდი ველობი). ადგ.

დილარზენა (ჩავაკება). ადგ. (ზინა ივანეს ასული ტყებუჩავა-ჭითავასი, 80 წ.).

დობერა (დობილო). ადგ.

დობერა (დობილო). ადგ. „საყანე ფერდობი“ (ი. ბოჯგუა).

დობერობა. ადგ „აქ სახლებულან ზარანდიები. დასახლებულა 4 კაცი, 4 ოჯახი, წალდის მეტი არაფერი ჰქონიათ. წალდით მოუჭრიათ მუხა. მისი ნაჭრები დაუხერგიათ ჯარგვალად და ხელით მოზელილი წითელი მიწით შეულესიათ. აქ, ამ დობეროზე მათი ჯარგვალა, შელესილი სახლი ყოფილა მარტო. მათ აქ მიწის ზელვა და მისგან ქოთნების გაკეთება დაუწყიათ. მათი გვარიც ზალანდია აქედან არის წარმომდგარი (პიანა ნიკოს ასული ტყებუჩავა, 80 წ.).

დომეში ნოხორიი (დომეს ნასახლარი). ადგ.

ედუკიაში ნოხორიი (ედუკიას სერი). ადგილი.

ენწერბეგი (ენწერ ბეგი). ადგ.

ენწერკუთხუ (ენწერკუთხე). ადგ. „ყველა ადგილი წყალს აქეთ აფაქიძეების ყოფილა“.

ენწერა (ენწერი). ადგ.

ენწერყვანა (ენწერ ყანა). ადგ.

ზანაძგა (ზანას ნაპირი). ღელეს პირებია. „ეს პატარა ღელე სათავიდან ნახევარ კილომეტრზე იწოდება ზანა-დ, ხოლო სას. საბჭოს ცენტრის შემდეგ –ზანაძგად.

ზანა. პატარა ღელეა. ამ სოფელში გადის.

ზანა. ს/ს ცენტრი. 1. აქ გზა გადიოდა. ამ გზით გადიოდა „მეკ ოტუე“, მექოთნე, ჩალვანდარებით. აქ ისვენებდნენ, ქოთნებსა და სხვა ჭურჭლებს ამზადებდნენ, მისთვის თიხას ზელდნენ („ზანდეს“). აქედან წარმოსდგა სახელწოდება „ზანა“; 2. „არის გადმოცემა, რომ აქ ზანები ნაცხოვრება, მათი ნასახლარია. ამიტომ სოფელს ზანა შემორჩაო სახელად; 3. ზანიები სახლებულან აქ მათს ნოხორიის ზანია, შემდეგ ზანა შეერქვაო; 4. აქ სულ ტალახიანი წითელმიწა იყო გზაზე და დადიანის ცხენები „ჭითადიხას ზანა“ – წითელ მიწას ზელავენო; 5. არის კიდევ ერთი ასეთი საინტერესო გადმოცემა, რომ დავით დადიანს, ხალხის სურვილით, ეკლესიის ეზოს ქვითკირით შემოკავება დაუწყია. კირს ქვითკირისათვის აქ ზელავდნენ. დავითს მოუნახულებია სამუშაო, უსაუბრია კალატოზებთან, მოსულა, სადაც ქვითკირს ზელავდნენ მუშები ხელით. აქ მას მათრახი დარჩენია. გზაში უკითხავს – მათრახი სად დამრჩაო? უპასუხიათ – იქ, სადაც ქვითკირს ზელენ („ზანა“). ამის შემდეგ სოფელს შეერქვა ზაანა“ (ოლია ონისიმეს ასული ბოჯგუა, 80 წ.).

ზედიდჭაე (ზედიდის ჭალა). ჭალა. „ამ ჭალაზე ხურმის, ვაშლისა და თხმელის ხეებზე მიშვებული ყოფილა ზედიდის ვაზი. ეს ზედიდის სავენახე ჭალა იყო“.

ზეიდი. ზედიდი. ადგ. „ყურძნის ჯიშია ზედიდი. ამ ყურძნის მაღლარი იყო აქ გაშენებული. შავი ყურძნის ჯიშია. დღეს ეს ჯიში არსად არ არის. ღვინო კარგი იცოდა, ისხამდა კარგად“ (ტ. ტყებუჩავა).

თხა ნაყიდერი (თხა ნაყიდი). ადგ. „თხის ფასად უყიდიათ“.

იაკობაში ნოხორიი (იაკობას ნასახლარი). ადგ.

ილიაში წიფურონი (ილიას წიფლნარი). ადგ.

კაკოში ჭაე (კაკოს ჭალა). ჭალა.

კიკაჩონა (კიკაჩე ნავენახარი). ადგ. „აქ მაღალი ხურმისა და თხმელის ხეებზე მიშვებული იყო კიკაჩეს ვაზი. კარგი მოსხმა იცის, კარგი ღვინო დგება. დღეს არსად არაა დარჩენილი“.

კიკოში ჭალე (კიკოს ჭალა). ჭალა.

კოლაში ნოხორიი (კოლას ნასახლარი). ადგ.

ლადიში ჭაე (ლადის ჭალა). ადგ.

ლაქაშონა (ლაქაშნარი). ადგ.

ლეჭყი (ჭენჭყი, ჭაობი). ადგ.

ლედადიანე (სადადიანო). უბანი.

მამულონი (მამული). ადგ.

მანცხვარი (მაცხოვარი). ადგ. „მაცხოვრის ეკლესია მდგარა. ადგილს მაცხოვარი-მანცხვარი შეერქვა“.

მატაში ნაფაცხუ (მატას ნაფაცხარი). ადგ.

მაძინიაში ნოხორიი (მაძინიას ნასახლარი). ადგ.

მეედანი (მოედანი). ადგ. „აქ ამ დიდ მოედანზე ხალხი „შაყარუას“ და „ჯარალუას“ აწყობდა. როდესაც სასოფლო საქმე ირჩეოდა – ხიდის აგება, გზის კეთილმოწყობა, უსახლკარო ოჯახისათვის დახმარება, სოფლის გადასახადის გადახდა, ეგზეკუციის გასტუმრება და სხვა, ხალხი „შაყარუაზე“ ირჩევდა. „სხუნიი კათაში სხუნუს“ – რჩეული ადამიანების საბჭოს, სადაც სოფლის თავკაცებს, „დუდკათას“ ირჩევდნენ. „დუდკათაში სხუნუ“ მეთაურად ირჩევდა დუდკოს, ყველაზე მენცარს“ (მეცნიერს), ყველაზე ბრძენს, „რჩქინელს“ (გამოჩენილს) და იგი ადგენდა „დუდკოჩის“ მეთაურობით სოფლის სასიკეთო და საზრუნავ საქმეს. ხალხი „სხუნუში ნასხუნას“ – სხუნუს ნარჩევს – უსიტყვოდ ასრულებდა. ასე ხდებოდა ეს აქ“ (ვალოდია შურღაია და თათუშა ლევანის ასული შურღაია, მოწინავე მეჩაიე, კრეფს წლიურად 12 ტონა ჩაის, 55 წ.).

მენჯი. ადგ. „აქ მინერალური წყალი, მარილიანი წყალი ამოდის. იგი ძალიან უყვარს საქონელს“.

მიხაში ნოხორიი (მიხას ნასახლარი). ადგ.

მონაგონი (მოგონილი). ადგ.

მოსულიერი. ადგ.

ნაბამბუ (ნაბამბარი). ადგ.

ნაბერალუ (ნადროშალი). ადგ. „აქ უტუ მიქავას და უტუ თოდუას ურდუმი მოსულა ზარით და ოცეთი. დაბანაკებულან აქ, შეკრებილა სამეგრელოს ყველა კუთხიდან ხალხი“. ამ ადგილს ოკათაფუსაც ეძახიან, აქ აკათუუდეს, ერთვოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა კუთხის ურდუმის წევრები“ (შ. ტყებუჩავა).

ნაბინეხუ (ნავენახარი). ადგ. „აქ გავრცელებული იყო ხარდანი, კაჭიჭი, ჭვიტილური, შონური, ზეიდი, ტობა, კიკაჩე, ადესა, ნოვა – ვაზის ჯიშები“ (ტყებუჩავა ჯურუ ბუხუს ძე).

ნადუქანუ (ნადუქნევი). ადგ.

ნადუქნუ (ნადუქნევი). ადგ.


გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ცხოვრების წიაღის ტოპონიმიკური ატლასი
ზანის სახოფლო საბჭო
მასშტაბი 1:25 000
პირობითი ნიშნები
სახოფლო საბჭოს საზღვრები
მდინარეები
გზები
სახოფლო საბჭო

ნადუქნუ (ნადუქნევი). ადგ. „აქ წინათ კერძო ვაჭრის დუქანი იყო. ყიდდა ყველაფერ საწვრილმანოს, ოჯახისათვის საჭიროს“.

ნაკაზარმუ (ნაყაზარმალი). ადგ. „აქ კერძო ვაჭარს ჰქონია ყაზარმა, აბრეშუმის პარკის საშრობი. იგი შინ აძლევდა გლეხებს აბრეშუმის ჭიის თესლს. მოწეულ პარკს ყიდულობდა და აქ აშრობდა, შემდეგ გაჰქონდა თურქეთში გასაყიდად. აბრეშუმის პარკს ფუთს 5 მანეთად ყიდულობდა. აქვე, დობერას მიდამოებში, იყო თუთის ხეები. აქ კრეფდნენ ფოთოლს. შემდეგ ყველა ოჯახმა ეზოებში გააშენა თუთა და დაიწყო შინ ფოთლის კრეფა, რამაც გააადვილა აბრეშუმის ჭიის გამოკვება. მახსოვს, ბებიაჩემს ჰქონდა ნაკელის ტეფია აბრეშუმის თესლის გამოსაყვანად. ახალი ნაკელის და ნაცრისაგან მოზელილი და გაფიცხებული ეს ოთხკუთხა ჯამი ცეცხლის პირას ჰქონდა ბებიას და ათბობდა. როცა კვერცხი დაიჩეკებოდა და ჭია გამოვიდოდა, შემდეგ მას გადაიყვანდა სუს (სელის) ღეროებისაგან მოწნულ „ჩაფარეში“. ეს იყო ოთხკუთხედი, გონიებამოყვანილი ლასტები. როცა გაიზრდებოდა, სიმინდის ღეროს დიდ ჩაფარებზე გადაიყვანდა და ზრდადამთავრებულს კი წკნელისაგან მოღობილ ჩელტზე გასვამდა; ჩელტი ორი არშინის სიფართისა და ერთი საჟენის სიგრძისა იყო. ასეთი ჩელტები ორ-სამნარად ეწყობოდა, ზედ რცხილის ფოთლიანი ტოტების „ცოცხებს“ გადებდა. „ცოცხებზე“გავიდოდა უკვე ზრდასრული ჭია და პარკს ქსოვდა მასზე“ (პ. ტყებუჩავა).

ნაკარუ (ნაკარვალი). ადგ.

ნაკლასუ (ნასკოლარი). ადგ. „აქ სოფლის სკოლის პირველი ხის შენობა ააგო სოფელმა“.

ნაოსხაპუ (ნასაცეკვარი). ადგ.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი). ადგ.

ნარწუფუ. ადგ.

ნასანგურე (ნასააგურალი). ადგ.

ნასანგური (სააგურო ყოფილა). ადგ. ახლა ყანაა.

ნაფოშტუ (ნაფოსტარი). ადგ. „აქ საფოსტო ცხენებს ასვენებდნენ და დილიჟანსებში ცხენებს ცვლიდნენ“ (ზ. ჭითავა).

ნაქოგალუ (ნახორბლალი). ადგ.

ნაწისქვილუ (ნაწისქვილარი). ადგ.

ნაჭირუ (განაჭირი). ადგ.

ნაჭკადუ (ნამჭადუ). ადგ. „აქ უძველესი სამჭედლო იყო“.

ნაჭკიდუ (ნამჭადარი). ადგ.

ნახარდანუ (ნახარდნარი) უბანი.

ნახუტურუ (ნახუტურალი). ადგ. „თავშესაყარი ადგილი“.

ნექიმუხური (ნიგვზის კუთხე). ადგ.

ნექონა დიდი (დიდი ნიგვზნარი). ადგ.

ნოისირუ (ნაისლარი). ადგ.

ნოღოსკური. ღელე.

ნოხორიი (ნასახლარი). ადგ.

ჲაგორაში კარი (იაგორას კარი). ადგ. ჲაგორა შურღაიას სახლის წინ დიდი მოედანი იყო; აქ ხალხი იკრიბებოდა, იყო „შაყარუა“ და „ჯარობა“ (თავშეყრა).

ოსხაპური (საცეკვაო). ადგ.

ოტოფუ (სატოფო). ადგ. „აქ ტოფუებს იჭერდნენ ხობწყარზე“.

ოფუცხოლი (ფუცხუნით, საჩქაროდ გასასვლელი). ადგ.

ოქაჯე (საქაჯო). ადგ. „საეშმაკო ადგილია, ძლიერ საშიში“.

ოღუმოლი (სალომო). ადგ.

ოშაყარეში (თავშესაყრელი). ადგ. „აქ შაყარუა იცოდნენ“.

ოჭკადურეში (სამჭედლო). ადგ. „აქ სოფლის სამჭედლო იყო მოწყობილი; აქ ნალებს აჭედნენ ხარებს, ცხენებს, აქ აკეთებდნენ ურმებს და სხვა“.

ოხვამე (ეკლესია). ადგ.

ოხვამე (ეკლესია). ადგ. ეკლესია დანგრეულია. სასაფლაოა მხოლოდ.

ოხვამე კარი (ეკლესიის კარი). ადგ. „აქ არავინ არ ესახლა. ისეთი ტყე იყო, რომ მამალი ხეებით გადიოდა სოფლამდე. მოვიდა 4 მოსახლე. ლევან II დადიანმა მისცა მათ ნება, აქ დასახლებულიყვნენ. შემდეგ აქ დასახლდა ქვეშელია ესებუა, ხახულია მირგატია, დოხვატი ბოჯგუა, გულისკაკა ტყებუჩავა; მთავარმა ისინი ყმებად მისცა აფაქიას“.

ოხვამე კარი (ეკლესიის კარი). ნაეკლესარის წინ მოედანი. ადგ.

ოხვამე ფერდი (ეკლესიის ფერდობი). ადგ.

ოხვამეკარალეფი (ეკლესიის ირგვლივ მოსახლეები). უბანი.

ოჯაპე (თუთნარი). ადგ. „თუთის ტყიანი ყოფილა. ახლა გაჩეხილია“.

ოჯარე (საჯარო). ადგ.

ოჯარე (საჯარო). ადგ. „აქ „ჯარობა“ სცოდნიათ ძველით 1 ივლისს. ეკლესიის ეზოში ხალხი თავს იყრიდა 29 ივნისს, ძველი სტილით. დაჩოქილები მამალს თავზე შემოივლებდნენ და ლოცულობდნენ, დღესასწაული 1 ივლისს მთავრდებოდა „ჯარალათი“ (ზეიმით, ცეკვა-სიმღერით) (ზ. ჭითავა).

პანწყური (პაპანაქცევი). ადგ. „მღვდელი ყოფილა ძალიან ბოროტი და ეშმაკი, მისი ოჯახი ყოფილა აქ. მთელი ოჯახი ჩაქცეულა ერთიანად“.

რგვალენწერი (მრგვალი ეწერი). ადგ. „სულ გამოწოვილი, გადაღლილი მიწა იყო. ერთ ქცევაზე ორი ფუთი სიმინდიც კი არ მოდიოდა“ (ტარიელ ანდრიას ძე ტყებუჩავა, 90 წ.).

როკონა (როკნარი). ადგ.

როსტოში ნაფაცხუ (როსტოს ნაფაცხარი). ადგ.

საფაქიოში ჭალე (აფაქიების ჭალა). ჭალა.

საგანგიო. განგიების (გვარია) უბანი.

საკვაშილაო. კვაშილავების (გვარია) უბანი.

საკვაშიო (საკვაშილაო). ადგ.

საკვერიო. ადგ.

სამირგატიო. მირგატიების (გვარია) უბანი.

საშურღაიო. შურღაიების (გვარია) უბანი.

საჩხეიძო. ჩხეიძეების (გვარია) უბანი.

საჯინჯიხატო (საძირისხატო). ადგ. „ადგილის სახელია, ნასალოცვარია. აქ იყო ტყებუჩავების ძირის ხატი“ (გ. ხუხუნი).

სულარზენი (სულა ველობი). ადგ.

ტეგი (ტყე). ადგ. „შემდეგ გაუჩეხიათ ეს გაუვალი ტყე“.

ტეგი. ადგ.

ტოგა. ადგ.

ტოგანიერი. ადგ. „ტობანიერი ვაზის ჯიშია, შავყურძნიანი. ძალიან კარგი მოსავალი იცოდა. არის დიდმტევნიანი, მსხვილმარცვლიანი. საშუალო ღვინო დგებოდა. ახლა არსად არ შემინიშნავს ეს ჯიში“ (ტ. ტყებუჩავა).

ტოტოში ნაკარუ (ტოტოს ნაკარვალი). ადგ. „ტოტია აფაქია თავადი იყო. მას ტყეში გაუშენებია უბრალო ფაცხა, მის წინ იყო დიდი მოედანი“ (ვალოდია ალექსის ძე შურღაია, 60 წ.).

ფოხვი. ადგ. ფოხვი, „თიხით შელესილ ფაცხას ჰქვია, აქ ასეთი ფაცხა მდგარა“.

ქუატახი (ქვანატეხი). „სააღმშენებლო მასალის ადგილია. აქ ტეხავდნენ ქვას“ (გ. ხუხუნი).

ქუჩეიში ღეჲე (ქუჩეის ღელე). ღელე.

ღაჩირე. ღელეა, უერთდება ხობიწყარს.

ღვაგუთი. ადგ.

ჩხოროწყუ ღელე (ცხრაწყაროს ღელე). ღელე.

ციიწყარი (ცივი მდინარე). მდინარე.

ციიჭალე (მდ. ცივის ჭალა). ჭალა.

ცხემურონა (რცხილნარი). ადგ.

წისქვიიკარი. ადგ.

წისქვილი (წისქვილი). ადგ.

წიფურონა (წიფლნარი). ადგ.

წიფურონა (წიფლნარი). ადგ. „აქ დიდი წიფლის ტყე იყო“. (შურღაია დუშა თომას ასული, 58 წ.).

ჭალე (ჭალა). ჭალა.

ჭყონა (მუხნარი). ადგ.

ხათაიერი. ადგ.

ხალერიში ნასახლარი (ხალერის ნასახლარი). ადგ.

ხარდანონი (ხარდნარი). ადგ. „აქ ხარდანის ვაზი იყო მიშვებული მაღლარზე. ხარდანის ვაზი შავია, დიდი, წოწოლა მტევნები აქვს. მარცვალი დიდი და მრგვალია. კარგად ისხამს, საშუალო ხარისხის ღვინო დგება. დღეს აქ არსად არ არის ამ ჯიშის ვაზი“ (ვ. შურღაია).

ხობიწყარი (ხობიწყალი). მდინარე ზანას უვლის.

ჯარუეში წყუ (ჯარუეს წყარო). ადგ.


მეგრელიის მხარეთმცოდნეობის
ძეგლები
ცხოვრების რაიონის ტოპონიმიკური ატლასი
მასშტაბი: 1:25 000
ზემო ჭალადიდის
სასოფლო საბჭო
სიმბოლური ნიშნები:
სას. საბჭოს საზღვრები
გზები
ბოდინარეები
სას. საბჭოს ცენტრი
ქვა-გზა

ზემო ჭალადიდი

სასოფლო საბჭო მდებარეობს რიონის ორივე ნაპირას, რაიონის სამხრეთ-დასავლეთის კიდურზე. მის შემადგენლობაში შედის სირიაჩქონის ნაწილი, საგვიჩიო. რიონის გაღმა არის ყველაზე შედარებით სრული დასახლება საგვიჩიო. დიდი ნაწილი ტყიანია, ხოლო რიონის გამოღმა, ე. ი. მისი მარჯვენა სანაპიროზე, გაშლილია კოლხიდის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობა. ნიადაგი აქ რიონის შლამითაა საკმაოდ ღრმად დაფენილი, თუმცა ძლიერ ტენიანი, მაგრამ საირიგაციო ღონისძიებების შემდეგ ძლიერ ნოყიერი და უხვმოსავლიანია. რიონის გაღმა მასიური საძოვრებია, სადაც იმერეთის, ლეჩხუმის, ცაგერის რაიონებსაც კი აქვთ ფართო საზამთრო საძოვრები.

ალპანაში ნაკარუ (ალპანას ნაკარვალი). ადგ. „აქ ალპანას ჯოგი დგას ხოლმე.

ანდიათი (ანდიას ნასახლარი) ადგ. „ვიღაც დიდკაცი ყოფილა ანდია და მას აქ ჰქონია თი“; „ეს მაღალი ადგილი ყოფილა მაშინ. იგი რიონს წაუღია, დღეს ადგილს ასე ეძახიან“.

ახალი სოფელი. სოფ. „აქ სულ ახალი დასახლებაა. ახალი სოფელი ამ უბნით იწყება. წინათ გაუვალი ტყიანი ყოფილა. შემდეგ დაუშვრიათ და ახალი სოფელი მოშენებულა“ (მ. ლუკავა).

ბოგვერონი. ადგ. „აქ სულ ბოგვერა, მაღალი, თავთავიანი ბალახი ყოფილა, ამიტომ ადგილს ბოგვერონს ეძახიან“ (მიშა იონას ძე ლუკავა, 74 წ.). „გველთა საბუდარი“.

გებენაჩქონი (გებანას კუნძული). ადგ. „აქ გებანას ჰქონია კარავი“.

გვალასუ (მთაზე). ადგ. სოფლის ნაწილია, რომელიც შემდეგ თეკლათში გრძელდება.

განოთხორი (განათხრი). ადგ. „გადაუთხრიათ, წყლისა და ჭყენჭყისაგან დაუწრეტიათ ჩვენს წინაპრებს და საყანედ გამოუყენებიათ. ეს ძალიან უხსოვარ დროში მომხდარა, ბაბუა მიამბობდა, ჩემი ძველების დროს ყოფილაო. დღეს საყანეა, კარგი სიმინდი იცის, ძლიერ მოსავლიანი ადგილია“.

გოჭყვადირი (გაწყვეტილი, ამოწყვეტილი). ადგ. „წინათ ეს ადგილი ძლიერ დასახლებული ყოფილა ხშირი მოსახლეობით. თურქობას და შავ ჭირს აქ მოსახლეობა ამოუწყვეტია. ადგილი გაწყვეტილა, მის შემდეგ ამ ადგილს ჭყერს (დაწყევლილს) და გოჭყვადირს (ამოწყვეტილს) ეძახიან“ (ჯ. მიქავა).

დაბლაციხე. ადგ. „აქ უძველესი ციხე და სიმაგრე მდგარა. იგი დაბალი ადგილია. ამიტომ ეძახიან ასე. დღეს ნანგრევების მცირე ნაშთია მხოლოდ“.

დათუიაშ ფონი (ღელეზე გადასასვლელი ფონი).

დათუიაში ღელე (დათუიას ღელე).

დასინე. ადგ.[1]

დიდ ტყა (დიდი ტყე). ტყე. „საგვიჩიოს სამხრეთ-აღმოსავლეთით არის დიდი ტყე“.

დიდჭადარი (დიდი ჭადარი). ადგ. „აქ სულ ჯარობა და თავშეყრა იცოდნენ“.

დიდჭალე (დიდჭალა). რიონპირის დიდი ჭალები.

დიდი ვერხი (დიდი ვერხვი). ადგ. „აქ დიდი ვერხვის ხე მდგარა. აქ იცოდნენ თავშეყრა, ჯარობა, ცეკვა-თამაში“ (ა. ცხადაია).

დიდი ჩქონი (დიდი კუნძული). ადგ.

დიხაზურგე (მიწაზურგა). ადგ. „ხელოვნური მიწაზვინულია. აქ ჯარი მდგარა და მათი ფეხის ნაფხეკი მიწისაგან დაზვინულია ეს გორაკი“ (შ. ლუკავა).

დუქანკარი (დუქნის კარი). ადგ.

ენწერი (ეწერი). ადგ. „აქ მცირე, მშრალი ჩირგვნარი მინდორია. იგი დღეს საძოვარია“.

ზუგა (მიწაზურგა). ადგ. „გადმოცემით, აქ ხალხი ნაცხოვრება, მიწა ფეხსაცმლის ნაფხეკისაგანაა ასე დაზვინული, – გვიამბობდა ბაბუა“ (ე. ხვიჩია). „მაღალი ადგილია, მუდამ მშრალი. აქ, ძველების გადმოცემით, ხალხს უცხოვრია. დღესაც პოულობენ ქვევრებს და ქოთნის და დოქების ნამტვრევებს“ (კ. თოლორდავა). გა მაღლობია, სერია. ზუგი გა, ზურგულა.

ზურგალეში (ნაზურგალი). ადგ. „მაღალი ადგილია. ნაზვინია ხელით. თურქობის დროს აქ ხალხი ბანაკებულა. მას მტერი ვერ უდგებოდა. ირგვლივ წყალი უვლიდა და ხალხის მტკიცე ბანაკი ყოფილა. ეს ნაჩხუბუ (ნაომარი) ადგილია“ (გ. თუნთია).

ზურგონა (ზურგნარი, ზურგა). ადგ. „ძმებს ფანცხავებს, კერძო მეჯოგეებს, შონები (სვანები) მოუყვანიათ და ეს ადგილი შონებს დაუზვინიათ, აუმაღლებიათ. შემდეგ მეჯოგეებს მათთვის ფული არ მიუციათ. სვანებს ძმები მოუკლავთ და ჯოგი გაუტაცნიათ. აქ ძველად ხალხი სახლებულა. დღესაც პოულობენ ქოთნებს, ქვევრებს და ა. შ.“.

ზღურზღულიღაი. ღელე. ზღვარზღვალი – წყალუხვი.

[1] ავტორს შეაქვს ნაშრომში აუხსნელი ტოპონიმები იმ მიზნით, რომ მათი ახსნა მომავალ მკვლევრებს მიანდოს.

თხომონა (თხმელნარი). ადგ. „ამ მიწის მოსახნავად კავს ოთხი კამეჩი ება ყევარად. აქ ტვირთის საზიდად ურემს ყევარად 4 კამეჩს უბამდნენ თურმე, ისეთი მძიმე ადგილი ყოფილა“.

იფონღეე (იფნის ღელე). ღელე. „სულ იფნის ჭალებში მიედინებოდა, ამიტომ შეერქვა იფონღეე“.

კვაზაფონი (კვაზას თავთხელი). ადგ. „აქ კვაზიაში გასასვლელი, კვაზას თავთხელი ყოფილა წინათ. მას კვაზიაში რჩქონსაც ეძახიან – კვაზიას კუნძულს. ამ თავთხელზე პატარა კუნძული ყოფილა, სადაც კვაზიას ჰქონია კარავი.

კიფშონე. ადგ. დღეს ტყეა. „კიფი-კენაფი ცოდნია ამ ადგილებში. შემდეგ ხშირი ტყე ყოფილა. ცნობილ რევოლუციონერ იპოლიტე ჭანტურიას თავისი კარავი ჰქონია. აქ შეუნახია ფოთიდან გადმოტანილი იარაღი. შემდეგ იგი აჯანყებული გლეხებისათვის დაურიგებიათ. აქვე იპოლიტეს არალეგარული სტამბაც ჰქონია მოწყობილი. ადგილს ხალხი დიდი პატივისცემით ეპყრობოდა და რევოლუციამდე შეუნახავთ და არ გაუციათ“.

კორზა. ადგ. „მას კორზას და კორძასაც ეძახიან“.

ლომური (ნაომარი). ადგ. „უძველესი ნაბრძოლი, თურქებთან ნაბრძოლი ადგილია“.

მიხაში ნაკარუ (მიხეილის ნაკარვალი). ადგ. „აქ ალპანას ჯოგი დგას ხოლმე“.

მუხური (კუთხე, უბანი). ადგ.

ნადუქანუ (ნადუქნარი). ადგ. „აქ თურქებს და ჩვენს ვაჭრებს დუქნები ჰქონიათ. აქვე სამიკიტნოებიც ყოფილა, სადაც მუშა ხალხი საჭმელს ჭამდა თურმე“.

ნადუქანუ (ნადუქნევი). ადგ. „ძველად აქ დუქანი მდგარა და წვრილმან საჭირო საქონელს ყიდიდა სოფლის ვაჭარი“. აქ დღეს სასოფლო საბჭოს შენობა დგას.

ნადუქანუ (ნადუქნევი). ადგილი.

ნაზავოდუ (ნაქარხნალი). ადგ. „აქ თათრებს სახერხი ქარხნები ჰქონიათ მოწყობილი“.

ნაზონა (დაზვინული). მიწაზურგაა დიდ მასივზე. „იგი ხელოვნურად დაუზვინიათ და ხალხს უცხოვრია უძველეს დროში“.

ნაკამბეჩუ (ნაკამბეჩარი). ადგ. „სულ ჭაობიანი ადგილი იყო და კამეჩები გორაობდნენ შიგ“ (პეტრე დოროთეს ძე თუნთია, 58 წ., საშა ბათუს ასული თუნთია, 76 წ.).

ნაკამბეჩუღეე (ნაკამეჩარი ღელე). ღელე.

ნაკარუ (ნაკარვალი). ადგ.

ნანდევუ (ნადევუ). ადგ. „მაღალი ადგილია. აქ დევების კარავი ყოფილა უხსოვარ დროში, საშიში და უბედური“.

ნაოსხაპუ (ნასაცეკვარი). ადგ. „ოშაყარუსაც ეძახიან, თავშესაყრელ ადგილს, საცეკვაოს, დროის გასატარებელს“.

ნაოხვამუ (ნაეკლესიარი, ნასალოცვარი). ადგ. „აქ უძველესი სალოცავი ყოფილა. მარღანიების ძირის ხატი აქ უნდა ყოფილიყო“.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი). ადგ. „უძველესი ნასალოცვარიაა. გარჩავების ძირის ხატი ყოფილა აქ“.

ნაოხვამურ კარი (ნასალოცვარი კარი). ადგ. „აქ ძველი ნაოხვამუ ყოფილა. მეც მახსოვს ძველი ნანგრევი“.

ნაპარონუ (ნაპარონალი). ადგ. „ეს უძველესი ნაპარონალია. კერძო პორომი ყოფილა“.

ნარიონუ (ნარიონალი). ადგ. „უძველესი ნარიონალია. წინაპრებისაგან გამიგონია ძველად გაღმა-გამოღმა საგვიჩიო ერთიანი სოფელი იყო, ხოლო რიონი ამ ადგილას მიედინებოდა. შემდეგ ამოვსებულა, ამოსილულა და სხვა მხრივ წასულა“.

ნარიონუ (ნარიონალი). ადგ. ასეთი ადგილები აქ მრავალია. აქ ძველად რიონი მოედინებოდა თურმე.

ნარნე (ნარიონალი). ადგ.

ნაქოგალუ (ნახორბლარი). ადგ. „შედარებით მშრალი ადგილია. აქ პურს თესავდნენ, თურმე, წინათ“.

ნაქოგალუ (ნახორბლარი). ადგ. „აქ პურს თესდნენ და ხარით მკიდნენ“.

ნაღუმელი. ღელე.

ნაღუმუ (ნაღომარი). ადგ. აქ ღომს თესდნენ. ღომი აქ ბევრ ადგილას ითესებოდა, შედარებით მაღალ და უწყლო ადგილას (პ. კარანაძე).

ნაჭკადური (ნასამჭედლარი). ადგ. „უძველესი ნასამჭედლარი ადგილია. აქ ძველად რკინას ჭედნენ (პ. კარანაძე).

ნაჭკიდუ (ნამჭადარი). ადგ. „მჭადს თესდნენ ამ ადგილებში“.

ნახაჯუ (ნაცერცვალი). ადგ. „აქ ცერცვი ეთესათ“.

ნეძონა (ნიგვზნარი). ადგ. „აქ სულ კაკლის ხეები მდგარა“.

ნიკო დგებიაში მამული (ნიკო დგებიას მამული). ადგ. „ეს ადგილები სულ თავად ნიკო დგებიასი ყოფილიყო. იგი ძალიან მკაცრი კაცი და ბატონი ყოფილა. ყმებს მისი ძლიერ შინებიათ თურმე, ძაღლს ეძახდნენ ამ ბა-

ტონს. „ღორონს დუჭყუუდას ნიკო პატონიშ სახელი“ (ღმერთსაც დაუწ-ყევლია ნიკო ბატონის სახელიო).

ნოცენი (ნაცვენი). ადგ. „არის გადმოცემა, რომ აქ სულ ღვთის თვალი მდგა-რა, მოსავალი ნაცვენარა, სულ უხვად ნაყარა. ამიტომ შეერქვაო ადგილს სახელი. არის კიდევ გადმოცემა, რომ ეს ადგილი ტყიანით და ბუჩქნარით ყოფილა სულ შემოსილი. იგი გაუცელიათ, გაუჩეხიათ, გადაუწვავთ და გამოუყენებიათ. არის გადმოცემა, რომ ნოცენი კი არა, ნოსენი ჰქვია, ე. ი. ნასილა, ნოსიენი. დასილული, დაქვიშული“ (კ. თოლორდავა).

ნოხორიი (ნასახლარი). მაღალი ადგილია. „პალიასტომი რომ ჩაძირულა, მა-შინ ხალხი აქ გადმოსახლებულა და აქ უცხოვრია“ (პ. კარანაძე).

ოგინია (ლოგინია). ადგ. გაშლილი ადგილია. საძოვარი.

ოისირეკარი (საისლო კარი). ადგ. „აქ წინათ სულ ისლნარი ყოფილა. იგი შემოკავებული ჰქონიათ და ამ ადგილას კარი ყოფილიყო“.

ორგელიში ნაკარუ (ორბელის ნაკარვალი). ადგ. „აქ ორბელის ჯოგი დგას“.

ორპოტიკას ღეე. „ოპორტიკაი, იკოპოტიკეი ღეერე“.

ოღორღონჯე (საბატე). „ღელეა, სადაც სულ ბატების საცურაო და საბანაო იყო. აქ ტყის ბატებიც და იხვებიც კი მოფრინდებოდნენ და ხალხი მათზე ნადირობდა“. ადგილი ფიჩორას პირასაა. მას შეერთვის.

ოშაყარგ (თავშესაყრელი). ადგ. „აქ ჯარობა იცოდნენ. ყოველ კუთხეს თა-ვისი ასეთი თავშესაყრელი, საჯარო ადგილი ჰქონდა. ესეც ამ კუთხის ასეთი უძველესი თავშესაკრები ადგილი იყო“.

ოჭეჭყე (ჭაობნარი, ჭეჭყნარი), „წინათ აქ სულ ჭაობიანი ადგილი ყოფილა, თხმელის ტყით დაფარული, ალაგ-ალაგ ძლიერ გაუვალი. დღეს დაშ-რობილია და ათვისებულია სახნავად და ეთერზეთოვანი კულტურების სათეს-სარგავად“ (ხვიჩია ეპიფანე დიმიტრის ძე. 77 წ.)2.

ოჯარე (საჯარო). ადგ. „აქ დიდი მსხალი მდგარა და მის ძირას სცოდნიათ თავშეყრა, ცეკვა-თამაში, რომელსაც სამეგრელოში „ჯარობას“ ეძახიან.

ოჯარე (საჯარო). ადგ. „პორომს გაღმა იცოდნენ ძველად. პირველ მაისს, ძველი სტილით, ამაღლების დღესასწაული. იგი იყო ამ დღესასწაულის სადღესასწაულო ადგილი“. აქ იკრიბებოდა სულ ჯინჯი მეზობელეფი (ძირის მეზობლები), რომლებიც ერთ დინოში შედიოდნენ. დინო თურის ერთი ტოტია. თური გვარია. მისი სხვადასხვა ტოტი სხვადასხვა დინოა. დინო თურიდან გუმნართი (გამონაყოფი) ადამიანები არიან (ჯ. მიქაია). შალვა მირგატიამ (საშ. სკოლის დირექტორი) გვიამბო, რომ გოჭყვადირში ყურსალების (კაცის გამყიდველთა) ბუნაგიც ყოფილა. ამიტომ მის ირგვ-ლივ ხალხს საყარაულო, „ოჯინე“ ადგილი ჰქონია, რომ ყურსალებისათ-ვის საშუალება არ მიეცათ, ტყვეები წაეყვანათ და გაეყიდათ.

პაპაში ნაკარუ (მღვდლის ნაკარვალი). ადგ. „აქ მღვდელს თავისი საქონ-ლის კარავი ჰქონია“. „აქ პაპავას, ძველ მწყემსს, ჰქონია თავისი საძოვარი და კარავიო“.

რიონპიჯი (რიონპირი). ჭალა.

რიონჭალე (რიონჭალა). ჭალა. ვრცელი ჭალაა საძოვარი და ზოგან სა-თესიც.

საგარჩა. ადგ. „გარჩების გვარის ნასახლარი“ (პატუშა ვასილის ძე კარანაძე. 74 წ.).

საგვიჩიო. სოფელი. „იგი გაღმაცაა და გამოღმაც. წინათ აქ სულ გვიჩიე-ბი (გვარია) სახლებულან, დღეს მხოლოდ 3-4 მოსახლეა შემორჩენილი“ (ლოლა პლატონის ასული კაკულია. 60 წ.).

საგულუო. გულუების (გვარია) უბანი. „დღესაც სახლობს აქ გულუას რამ-დენიმე ოჯახი“ (გივი დოროთეს ძე თუნთია, მეპორომე. 54 წ.).

საგულუოში რჩქონი (საგულუოს კუნძული). ადგ.

საზღვარღალუ (საზღვარღელე). ღელე. „ეს ღელე გურულებისა და მე-გრელების საზღვარი ყოფილა“.

საირმეში ნაკარუ (საირმის ნაკარვალი). ადგ. „აქ საირმეს ჯოგი დგას“.

საკარა (საკარავო). ადგ. „სადაც სულ კარვები იყო წინათ, დღესაც კარვები დგას“.

საკვინო. ადგ.

სამარღანო. სოფ. „მარღანიები ნასახლარა იმ უძველეს დროში, დღეს აქ ამ გვარის ხალხი არ სახლობს“ (არველოდ ილარიონის ძე ცხადაია, 53 წ.).

სამიქაძო (სამიქაძეო). ადგ.

საფაცერღელე (საფაცერო ღელე). ღელე. „ფაცერს მართავდნენ ამ ღელეზე და ღლავებს იჭერდნენ“.

საქოჩაკიო. უბანი. „წინათ აქ ქოჩაკიები სახლებულან. დღეს ამ უბანში არ-ავინ არ ცხოვრობს, სულ გასახლებულან“ (თოლორდავა კონსტანტინე პარმენისძე. 62 წ.).

საყურია. ადგ.

საჩეხი. ადგ.

საჭატურო (საჭატურიო). ჭატურია (გვარია). ადგ.

საჭოჭუო. ადგ. ჭოჭუების (გვარია) უბანი. „სულ ჭოჭუები სახლებულან. გვიან იგი წყალს წაუღია“ (ე. ხვიჩია).

სახვიჩიო უბანი. ხვიჩიებით (გვარია) დასახლებული უბანი. „წინათ აქ დიდი მოსახლეობა ყოფილა. დღეს ბევრი გასახლდა“.

საჯოლიო. ადგ. ჯოლიების (გვარია) ნასახლარი.

2 ავტორი იცავს მთხრობელის სტილს და მეგრულ სინტაქსს (რედ.).

საჯოლიო. ჯოლიების (გვარია) უბანი. „აქაც თითო-ოროლა ჯოლიები სახ-ლობენ“.

სირიაჩქონი (სირიას ნახევარკუნძული). აქ რიონი უხვევდა თურმე და ამ დიდ ადგილას გარს უვლიდა. აქ კუნძულს – რჩქონს ქმნიდა. შემდეგ რი-ონს აქეთ გადმოუნაცვლებია, რჩქონს მაინც სახელი შერჩენია. ეს სირიას, უძველესი მესაქონლე კაცის, გვარის (თურის) მეთაურის კუნძული, რჩ-ქონა ყოფილა“ (მ. უკლება).

სქური. ღელე. იგი ლანჩხუთის საზღვარზეა, ფიჩორას ერთვის.

ტურაკე. ადგ. სახელი განუმარტავია. იგი გაღმაც და გამოღმაც ვრცელდე-ბა.

ტურას აბანო. ღელე.

ურეკი. ადგ. „ძლიერ დაშლამული, ნოყიერი ადგილი“ (ი. ბოჯგუა).

უჩაღალგ (შავღელე). ღელე. „შავი, ლექიანი ღელეა, ქვაც კი შავია. შავი დღის მომსწრეა ეს ღელეო, – გვიამბობდნენ მოხუცები“ (კ. თოლორდავა).

ფართოწყუ (ფართო წყარო). წყაროს თვალი, საკმაოდ მძლავრი დებეტით, საიდანაც შემდეგ ამ სახელწოდების ღელე მოედინება.

ქვიშა მაღალი (მაღალი ქვიშა, ქვიშის ბექობი). ადგ. ქვიშის დიდი მიწაზურ-გაა. ადგილი მაღალია და მშრალია.

ქოჩაკიაში ნაპორონუ (ქოჩაკიას ნაპორომალი). ადგ.

ქუალონი (ქვიანი). ადგ. და სოფელია. ამ სოფელში იწყება მისი ერთი მხარე, აღმოსავლეთი მხარე.

ღანკულე. ღელე.

ღანჩერო. ღელე. „წინათ წკნელით გადაღობავდნენ და წისქვილის არხს ქმ-ნიდნენ“ (ი. ბოჯგუა).

ყორათი. ადგ. „მდორე წყალი და ჭენჭყი მდგარა. აქ მიედინება დღეს ბაქან ღელე. დღეს არხებით დაწრეტილი და სულ დამშრალი და გამოყენებუ-ლია“ (კ. თოლორდავა).

ჩაგანაჩქონი (ჩაგანავას კუნძული). ადგ. „ჩაგანავას კარავი ჰქონია აქ“.

ჩორბაქი. ღელეა.

ჩხუტერიში ნაკარუ (ჩხუტერის ნაკარვალი). ადგ. „აქ ჩხუტერის ჯოგი დგას“.

ციიდუდი (ციის თავი, ღელე ციისთავი). ადგ.

ცირუში ნომერი (ცირუს ნომერი). ადგ. „თავის ქალიშვილ ცირუსათვის მზითვად მიუცია ეს ადგილი ბატონს“.

წილაბერიში ნაკარუ (წილაბერის ნაკარვალი). ადგ.

წიფანა სკური. სახელწოდება განუმარტავია, ღელეა და ადგილი.

წიფანა. ადგ.

წიფურგელულა (გადახრილი, გადაღუნული წიფელი). ადგ. წინათ თავ-შესაყრელი ადგილი ყოფილა“.

წყურგილე (წყაროს წყალი). ადგ. „ეს ყოფილა საზიარო ტყე. ხალხს ფული შეუგროვებია, შეუძენიათ ბატონისაგან და საერთოდ თემს ჰქონია. ყვე-ლა ოჯახს თავისი წილი ჰქონია ამ ტყეში“ (პ. კარანაძე).

ჭაე (ჭალე). ადგ.

ჭალე. სქურღელეს ჭალებია.

ჭვირტყა (ნაწვი ტყე). ადგ. „დღესაც მცირე, არახშირი ტყიანი ადგილია. აქ სულ გადამწვარია ტყე“.

ჭიაიეფიში ნოხორიი (ჭილაიების ნასახლარი). ადგ. „ჭილაიები აქ უძველ-ესი მოსახლენი ყოფილან“.

ჭილორტი. ადგ. „ნაჭილაუ“.

ჭორკონა (ჭოკნარი). ადგ. „მოჭვარილი, ახოდ აღებული ადგილი“ (ი. ბოჯ-გუა).

ხორგიში (უხვმოსავლიანი). ადგ. „ძლიერ ნოყიერი მიწაა, უხვი მოსავალი იზვინებოდა“ (იხორგუუდუთაქ). (ჯიგუ კალისას ძე მიქავა, 86 წ.) („სორგუ ხორაგი“).

ხუტუში კარე (ხუტუს კარავი). ადგ. „მესაქონლე ხუტუს უდგას ჯოგი და აქვს საკუთარი კარავი. ხუტუ თაიადანაა“.

ჯალაღონიაში ნაკარუ (ჯალაღონიას ნაკარვალი). ადგ. „მწყემს ჯალაღო-ნიას ჰქონია აქ თავისი კარავი“.

ჯვეშ ნაშარუ (ძველი ნაგზაური). ადგ. „ძველ გზას“ ბერძენაში შარას“ უწოდებენ ძველები. აქ ძალიან უხსოვარ დროს დიდი „სოშე“ გზა ყოფილა, რომელზედაც ბერძნის ჯარი დადიოდა თურმე“ (კ. თოლორდავა).

ჯვეში სოფელი (ძველი სოფელი). ადგ. წინათ მშრალი და მზისგული ადგ-ილი ყოფილა და აქ ხალხი სახლებულა. ძველი სოფელი ყოფილა, შემდეგ რიონს გადაუსილია, ადგილი დაჭეჭყიანებულა და მოსახლეობას ადგილი მიუტოვებია. იგი ნასოფლარად ქცეულა“ (მ. ლუკავა).

თეკლათი

სასოფლო საბჭო მდებარეობს რაიონის ცენტრის სამხრეთ-დასავლეთით. მდინარე ცივის გაშლილ ჭალებში, მის ორივე მხარეზე, ვიდრე შესართავამდე. აქ ნიადაგი საკმაოდ მდიდარია ჰუმუსით. იგი დაფარულია ცივის და რიონის მრავალსაუკუნოვანი ქვიშიანი ნალექით. ადგილი შედარებით მშრალია და საკმაოდ უხვმოსავლიანი. იგი ადრეული დროიდან ცნობილია სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მრავალფეროვნებით, ხელოსნური საქმიანობის მდიდარი ტრადიციით, მესაქონლეობისა და მებაღეობის საუკუნეების წიაღიდან მომდინარე პრაქტიკით. დღეს აქ საკმაოდ სრულადაა განვითარებული მესაქონლეობა, არის მეცხოველეობის მსხვილი კომპლექსი. განვითარებულია მებაღჩეობა, ეთერზეთების კულტურა. ხარობს ვაზი და ხილიც.

ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘ (არსენას ნასახლარი). სას. საბჭოს ცენტრი. „აქ არსენ ჩემიას ჰქონდა „მახორობა“ (სახლ-კარი). მას აუგია საბჭოს შენობა“ (ტ. დვალი).

ᲑᲐᲗᲐᲠᲐ. ადგ. ეს დიდი ველია, სადაც რუსეთის ჯარს თავისი ბატალიონი დაუყენებია ქვემეხებით, თურქის ჯარისათვის ქვემეხის ცეცხლი გაუხსნია. ამიტომ ადგილს ბათარა დარქმევია“ (ს. და ა. გვაძაბიები).

ᲑᲐᲠᲒᲐ. ადგ. „აქ ძველ დროს ჯარს ბარგი შეუნახავს. ამიტომ ეძახიან ბარგას. გებარგუდუა-დაბარგებულიყოო“ (ანდრო ფარნას ძე გვაბაძია, 81 წ.); „საქონლის საბანაკო ადგილი. ქიანაში საქონელი გებარგუდუა“ (ი. ბოჯგუა).

ᲑᲔᲑᲣᲠᲘ. ადგ.

ᲑᲔᲡᲐ ᲒᲝᲒᲝᲚᲘᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (ბესა გოგოლის ნასახლარი). ადგ. „ასე ეძახდნენ ბესარიონ გოგოლის, მამაჩემის ნასახლარს. მამა მასწავლებელი კაცი იყო. სოფელში სკოლა დაუარსებია, ჯერ თავის სახლში გაუხსნია იგი, შემდეგ ხალხისაგან ფული შეუგროვებია და სკოლის შენობა აუშენებია. თვითონ ბესარიონი ასწავლიდა სკოლაში, ხელფასს არ იღებდა. სახელმძღვანელოებსაც თვითონ იძენდა, ნებართვაც თვითონ მიუღია. აქ სწავლობდნენ ბავშვები მენჯიდან, ქუალონიდან, თეკლათიდან. ვლადიმერ თორდუას მამა დიმიტრი იყო ერთ-ერთი მასწავლებელი. იგი დიდად განათლებული, სოფლის დიდი მოსიყვარულე და პატივისმცემელი კაცი ყოფილა“. 1905 წ. აქ ჩამოსულა რევოლუციონერი ზვამბაძე და იგი ბესას სახლში გაჩერებულა. აქ მოუწვევიათ მაშინ კრება. ეს ყოფილა რევოლუციონერთა შესაკრები ადგილი“ (პ. გოგოლი და თ. გოგოლი).

ᲑᲘᲜᲔᲮᲐᲛᲘ (ვენახიანი). ადგ. „თხმელის მაღლარზე მიშვებული ვენახიანი დობერა იყო. ჩვენს გვარკაცს იგი მაქაცარიასთვის მიუცია სანაშენოდ და მასაც აქ მაღლარზე ვენახი გაუშენებია. მაქაცარია ვალდებულებას არ ასრულებდა და მუდმივი დავა იყო ამ ადგილზე. აქ მაღლარზე ესხა შონური და ადესა“ (აკაკი გარუჩა).

ᲑᲣᲢᲙᲐ (კარავი, ქოხი). ადგ. „სიტყვა რუსული წარმოშობისაა, აქ რკინიგზის გაყვანისას პირველი „ბუტკა“, ქოხი აუგიათ. დღეს ბაქანს ვეძახით. მატარებლის გასაჩერებელი ადგილია“.

ᲒᲘᲗᲜᲐᲭᲕᲘ (გამონაწვი). ადგ. „გადმოგვცემენ, რომ ძველ დროში ეს ადგილები თურქებს სულ გადაუწვიათ და აუოხრებიათ. ჩვენი ძველებიდან გამიგონია ისიც, რომ ეს გადამწვარი ადგილი სულ გატყიურებულა, შემდეგ ადგილობრივ მკვიდრთ გადაუწვავთ (მუუჭვარუნა) და ახოდ აუღიათ“.

ᲒᲘᲜᲫᲔ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘ (გრძელი მინდორი). ადგ.

ᲒᲘᲜᲫᲔ ᲧᲕᲐᲜᲐ (გრძელი ყანა). ადგ. „იგი მდინარე ცივის ჭალებს მიუყვება და რკინიგზის ხაზის გასწვრივ გრძელდება. ვიწროა და გრძელი“.

ᲒᲘᲫᲔ ᲢᲧᲐ (გრძელი ტყე). ადგ.

ᲒᲝᲚᲐᲡᲙᲣᲠᲘ (მთის ნიავი). ადგ. „აქ ეკის მთიდან ქრის მთის ძალიან საამო ნიავი, მას გოლასკურს ეძახიან. ამ სახელს ატარებს აქვე წყაროც, ძალიან ცივი და საამო. ამ ნიავს „მასკურსაც“ ეძახიან. იგი ძალიან რგებს ვაზს, აშაქრებს და ამწიფებს მას. ასე იტყოდნენ ძველები“.

ᲒᲝᲭᲙᲐᲓᲘᲠᲘ (გაჭედილი). ადგ. ხიდი. „ეს ადგილი რკინიგზის გაყვანისას რკინის ხიდით შეუერთებიათ, გაუჭედიათ, მდინარე ცივის ორი ნაპირი ამით შეუკრავთ. ამიტომ ადგილს ასე დაერქვა“.

ᲒᲝᲭᲧᲕᲐᲓᲘᲠᲘ (ამოწყვეტილი) ადგ. „ხალხი დიდი ომიანობის დროს ამოწყვეტილა, ხალხის განაწყვეტი, ამოწყვეტილი ადგილია. დღესაც მწარედ ახსოვს ხალხს ეს ამბავი.

„თურქიში განაჭყვიდა კათა
გოჭყვადირს ცვარიემქ დოთალეს,
ძვალი გერენქ დოტახეს,
ზისხირით დიხა აკაფშეს“
(თურქთაგან ნაჟლეტი ხალხი
ყვავ-ყორნებმა დაჯიჯგნეს,
მგლებმა ძვლები დაამტვრიეს,
სისხლით მიწა აავსეს).
ასე მღერის ხალხი ხალხურ სიმღერაში (ა. წურწუმია).

ᲗᲔᲙᲚᲐᲗᲘ, ᲗᲔᲙᲐᲗᲘ (ეს კალთა). სოფ. ს/ს. „განმარტავენ – ეს კალთა, იმ გორაკის ეს კალთაო“. არსებობს ლეგენდა: „შორეული კუთხიდან აქ კაცი მოსულა, მოუყვანია თავისი ორი შვილი, აქ დაუსახლებია, ამ დაბლობ ადგილას და ერთი შვილისთვის უთქვამს: შენ გქონდეს ეკალი (მაღალი), ზემო მხარეო (ზემოთ ეკის მთაა). მეორესთვის ქვემო ადგილი მიუკუთვნებია „თეკართე ქედეკინია“ (ეს კალთა დაიკავეო). აქედან წარმოიშვაო სიტყვა ᲗᲔᲙᲐᲗᲘ-ᲗᲔᲙᲐᲠᲗᲘ-ᲗᲔᲙᲐᲠᲗᲔ“ (გვაძაბია სილიბისტრო ანდროს ძე, 75 წ., გვაძაბია აპალონი ფარნას ძე, 62 წ.). „თეკართი – თექ ქაიკართე, ამის შემდეგ ჭაობია და ჩოხა აიკალთავეო“.

ᲗᲔᲙᲛᲐᲠᲗᲣ (აქ გასაყოფი). ს/ს ცენტრი. „აქ თურმე გზაგასაყარი იყო. ერთი გზა აფხაზეთისაკენ მიდიოდა, მეორე – ზემო სამეგრელოსაკენ. ამიტომ ამისათვის თეკმართუ შეურქმევიათ“ (თამაზ დიმიტრის ძე კანკია, სას. საბჭოს თავმჯდომარე).

ᲗᲔᲚᲝᲜᲐ (თელნარი). ადგ.

ᲗᲝᲚᲘᲨᲘ ᲓᲣᲓᲘ (თვალის თავი). ადგ.

ᲗᲝᲠᲓᲣᲐᲨᲘ ᲑᲝᲒᲐ (თორდუას ბოგირი-მცირე ხიდი). ადგ. ეს ადგილი გაუვალი იყო. აქ დიმიტრი თორდუამ, სოფლის თავკაცმა (სწავლული კაცი იყო, სოფლის მოამაგე), გზა გააჭრევინა და ხის ხიდი ააგებინა, ამიტომ შეარქვეს „თორდუაშ ბოგა“. ეს მომხდარა XIX ს. დასასრულს“.

ᲗᲮᲝᲛᲑᲝᲒᲐ (თხმელის ხიდი, ბოგირი). ადგ.

ᲗᲮᲠᲘᲚᲘᲘ (თხრილი). ადგ. „აქ ძველი თხრილები, არხები ყოფილა, რითაც ნიადაგი დაუშვრიათ უძველეს დროში, ჭაობი ნაყოფიერ ველად უქცევიათ. ამ თხრილების მომსწრე კაცი არ არის. ამბობენ, რომ თხრილებს სხვა დანიშნულებაც ჰქონდათ. ამ არხებით ტყეები და ველები შემორაგული, შემოკავებული ყოფილა მტრისგან თავდაცვის მიზნით“ (ა. გარუჩა).

ᲙᲘᲙᲐᲩᲔ (კიკა თეთრი). ადგ. „კიკაჩე (კიკა თეთრი) ვაზის ჯიშია, თეთრყურძენაა. წვრილი მარცვალი, მჭიდრო მტევანი იცოდა. ღვინო დგებოდა საუკეთესო. აქ სულ მაღლარზე კიკაჩე იყო მიშვებული“ (აკაკი გარუჩა, სანდრო გარუჩა). „ადგილს კიკაჩონსაც ეძახიან“.

ᲛᲐᲛᲣᲚᲘ (მამული). ადგ. აქ რევოლუციის პირველ დღეებში ბატონიშვილების მიწა-მამულის ტერიტორიაზე სახალხო მამული შეიქმნა“.

ᲛᲔᲜᲯᲘ (გაღმა მარილი). ადგ. აქ ძალიან მლაშე წყალი გამოდის, საქონელს უყვარს დალევა.

ᲛᲘᲮᲔᲚᲘᲐᲨᲘ ᲜᲐᲙᲐᲠᲣ (მიხეილის ნაკარვალი). ადგ. „აქ მიხელია ლაშქარავას ჰქონია კარავი“.

ᲜᲐᲑᲣᲠᲭᲣᲚᲣ (ნაწალდარი). ადგ. „მეპატრონეებს დავა მოსვლიათ ამ მიწის თაობაზე. ისინი ბიძაშვილები ყოფილან და ერთმანეთისათვის თავი წალდით გაუჩეხიათ“ (აკაკი გარუჩა).

ᲜᲐᲒᲐᲠᲘᲩᲣ (გარუჩავების სამოსახლო), ეს გვიანი სამოსახლოა გარუჩავებისა. აქ გადმოსახლებულან ისინი საგარჩოდან რკინიგზის გაღმა-გამოღმა ადგილებში, რადგან გარუჩავებს სააფხაზოში კაცი მოუკლავთ და აქ გამოქცეულან, თავადებს, ხეციებს შეხიზვნიან და მათ დაუსახლებიათ. იქ ეკოხონში (აღმართში) თავადიც მოუკლავთ. ბერაიას ნასახლართან ხეები წაუქცევიათ (დუურტყუნა), შეუკრავთ და მდ. ცივს გამოყოლიან. წყალს აქ ჩამოუტანია ეს შეკვრა. აქ დასახლებულან და ახალი საგარჩო შეუქმნიათ. აქ ხეციას არ შეეძლო შური ეძია მათზე“ (ი. გარუჩა).

ᲜᲐᲒᲐᲠᲘᲩᲣ. ადგ. „გარიჩები (გვარია) სახლებულან. ახლა გარიჩა აქ არავინ სახლობს. ამიტომ ნაგარიჩუს (ნაგარიჩევს) ეძახიან“.

ᲜᲐᲓᲣᲥᲜᲣ (ნადუქნარი). ადგ. „უძველესი დუქანი მდგარა. აქ ყიდიდნენ თურმე მარილს, ნავთს და სხვა პირველ საჭირო ნივთებს. აქვე ყოფილა მცირე ბაზარიც“.

ᲜᲐᲘᲡᲘᲠᲣ (ნაისლარი). ადგ.

ᲜᲐᲜᲓᲔᲕᲘ (ნადევარი). ადგ. „დიდი ქვები იყო აქ, ხალხი მათ შიშით უვლიდა გვერდს. აქ დევები იდგნენ და მათი მოტანილია ეს ქვებიო“ (გული ისიდორეს ასული ჩიქვანი, 72 წ.).

ᲜᲐᲝᲮᲕᲐᲛᲣ (ნასალოცვარი) ადგ. „უძველესი სალოცავია. წმინდა ბარბალეს ხატი ესვენა, ძველით 4 ქრისტეშობისთვეს იცოდნენ აქ დღეობა. მომლოცველად პირველად ბატონები მოდიოდნენ. წესი ასეთი იყო, მაგრამ ერთხელ ეს წესი დაირღვა. ბატონებმა დაიგვიანეს. მათ მოსვლამდე ხალხმა ილოცა, ბატონებმა კი იუკადრისეს და საშინელი სისხლისღვრა მოხდა“ (სანდრო თეოფანეს ძე გარუჩავა, 60 წ.).

ᲜᲐᲝᲮᲕᲐᲛᲣ (ნასალოცვარი). ადგ. „გარუჩავების უძველესი სალოცავი ადგილია“.

ᲜᲐᲝᲮᲕᲐᲛᲣ (ნასალოცვარი). ადგ. „თარანგელოზიშ ოხვამე“ (მთავარანგელოზის ეკლესია) იდგა. დიდი დღეობა იმართებოდა „ᲗᲣᲗᲐᲨᲮᲐ ᲓᲦᲐᲡ“ (ორშაბათ დღეს), აღდგომის მეორე დღეს. ეს დღესასწაული თუთაშხობა, როგორც ძველებისაგან გამიგონია, აქ ძალიან ძველი „ოხვამური“ (სალოცავი) ყოფილა“ (ა. გვაბაძია).

ᲜᲐᲝᲮᲕᲐᲛᲣ (ნასალოცვარი). ადგ. „უძველესი ნაოხვამუა, მაღალი ადგილია. გადმოცემით აქ ძველ დროში ხვამა (ლოცვა) სცოდნიათ. არქეოლოგებმა აქ იპოვეს ქვევრები, ქოთნები, ბრინჯაოს თოხები, ნაჯახები და სხვ. ეტყობა, ხალხი ნაცხოვრება იმ უძველეს დროში“ (გ. ჩიქოვანი).

ᲜᲐᲝᲮᲕᲐᲛᲣ (ნასალოცვარი). ადგ. რეკას სამხრეთ-დასავლეთის ფერდობზე უძველესი ნაოხვამუა. აქ ბესარიონ გოგოლს და სერგი მაკალათიას გათხრები უწარმოებიათ და უპოვიათ ნივთები. ხალხმა ამ ადგილს ამიტომ „არქეოლოგია“ დაარქვა“.


მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ცხოვრების ზეიმის ტოპონიმიკური ატლასი
თეკლათის სახოფლო საბჭო
მასშტაბი: 1:25000
ძირითადი ნიშნები
სახოფლო საბჭოს საზღვრები
მდინარეები
გზები
სახოფლო საბჭო

ნარამუ (ნარამალი). ადგ. „რამი მოყავდათ წინათ“.

ნასუდუ (ნასელარი). ადგ. „აქ სელსა და კანაფს თესდნენ და მისგან ბაწარს, ბადეს და ტილოს ქსოვდნენ“.

ნატებუ (ნატყევარი), ადგ. გაუვალი ტყე ყოფილა, საშიში მხეცები ბუდობდნენ. ტყეში თუ ერთ კილომეტრზე გაივლიდა კაცი, მას უშიშარ კაცს ეძახდნენ“.

ნაქორო. ადგ.

ნაღუმუ (ნაღომარი). ადგ. „გაშლილ ფერდობზეა, მზისგულ ადგილზე ღომსა ვთესდით, იგი ახლახან გადავარდა, თორემ აქამდე სულ ვთესდით“ (პ. გოგოლი).

ნაჩორბაძუ (ორფრთიანი ხის გუთანი – ჩორბაქი, რომლითაც ჭაობიან ადგილს ამუშავებენ). ადგ. „ჩორბაქით ამოთხრილ ადგილზე რიონის წყალი მიუშვიათ“ (აკ. გარუჩა, ი. ბოჯგუა).

ნაცაცხვერა (ნაცაცხვარი). ადგ. „დიდი ცაცხვი მდგარა და იქ ძველად ხვამაც (ლოცვაც) სცოდნიათ“.

ნაწიარუ (ნამწევარი). ადგ. „სანადირო ადგილებია სულ, ბატონს აქ მწევართა საშენი ქოხი და ქართა ჰქონია“.

ნაწიარუ (ნამწევარი). ადგ. „სანადირო ადგილია სულ“.

ნაწისქვილუ (ნაწისქვილარი). ადგ. „ძველი ნაწისქვილარია“.

ნაჭვარა (ახოდ აღებული). ადგ. „აქ ჩვენს ძველებს მოუჭვარავთ ადგილი, ახოდ აუღიათ იგი. ძალიან ნოყიერი ადგილია, დიდი მოსავალი იცის“ (გ. ჩიქოვანი).

ნაჭვი (ნაცეცხლარი). ადგ. „ცეცხლით განადგურებული, ცეცხლით გადამწვარი ადგილი. აქ ჭვავსაც თესდნენ თურმე. ჩემი წინაპარი მიწის მზომელი ყოფილა. აქაურებს შეყვარებიათ ეს პატიოსანი და ალალ-მართალი კაცი. ერთ მათგანს – ფაჩულიას ჩაუსიძებია კიდეც. ახლა გოგოლები სულ მისი შთამომავალნი ვართ“ (პ. გოგოლი).

ნაჭკიდუ (ნამჭადარი). ადგ. ჭადა-ჭადა მოჰყავთ. მაგი ომის შემდეგაც ითესებოდა“.

ნაჭკირა (განაჭერი). ადგ. „ეს ადგილები გაუჭრიათ და გაუყვანიათ დიდი და სწორი გზა“.

ნახოჯუ (ნახარალი). ადგ. „ხარით დამუშავებული ადგილი“.

ნახუნდუ (ნახუნდარი). ადგ. „აქ ანდრო ხურცილავას ჰქონდა სახლ-კარი“.

ნაწვარა (დანაყვერი). ადგ.

ნაწაზარმუ (ნაყაზარმალი). ადგ. „რკინიგზის ბაქანის გვერდით აქ რუსის ჯარის ყაზარმები იყო თურმე გამართული. ისინი გზას და ადგილს იცავდნენ თურქი ყურსალებისაგან; ძალიან კეთილად იყვნენ განწყობილი ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის მიმართ. მათ „ჩვენს რუსებს ეძახდა ხალხი და ძლიერ უყვარდა. ერთი ივანე რუსიც ჩაესიძა აქაურ კაცს. აქვე იყო აბრეშუმის ყაზარმაც, სადაც ებრაელი კაცი აბრეშუმის პარკს აშრობდა და გაქონდა გასაყიდად სათათრეთში“ (სილიბისტრო და აპალონი გვარამიები).

ნოისირუ (ნაისრალი). ადგ. „აქ ალე ჭკადუას და თეიმურაზ გარუჩავას ჰქონიათ დიდი საისლო ნაკვეთი“.

ნოხორი (ნასახლარი). ადგ. „აქ იონა ყურუას ნასახლარია“.

ნოხორიი (ნასახლარი). ადგ.

ნოხოჯენი (ნახარალი). ადგ. „ბატონის საყანეები ყოფილა და აქ მიწას ხარითა და კავით ამუშავებდნენ თურმე. სხვაგან გლეხები მიწას თოხით ამუშავებდნენ“.

ოისირე (საისლო). ადგ. ამ ჭალებში სულ ისლი მოჰყავდა ხალხს, იგი იხმარებოდა სახლის სახურავად. გლეხები აგებდნენ ფაცხებს, თხმელის და თხილის წკნელისაგან ღობავდნენ, წითელი მიწით შემოტკეპნიდნენ და ისლით გადახურავდნენ. ასეთ სახლებში ცხოვრობდნენ წინათ. აბა, ოდა სახლები ვის ჰქონდა. იგი ბატონებს და ვაჭრებს ედგათ მარტო“.

ორზე. ადგ. „ორზამალი, ცეცხლის დასანთები და შესანახი ადგილი. აქ ცეცხლი არასოდეს ქრებოდა“.

ოღუმოლი (საღომო). ადგ. „ძველად აქ ღომი ეთესა“.

ოძიე (საძებნი). ადგ. „სათევზაო ადგილია. აქ ღლავებს იჭერდნენ ანკესებით. ოძილეში მრავალი თევზი იცის“.

ოწყარე (საწყალო). ადგ. „სულ წყლიანი, ჭაობიანი ადგილი იყო“.

ოჭვარე. ადგ. „ტყისმცველთ ვაცი, შველი მოუკლავთ აქ“.

ოხოჯური (სახარე). ადგ.

ოჯარე (საჯარო) ადგ. „აქ თავშეყრა იცოდნენ“.

ოჯარე (საჯარო). ადგ. „აქ „შაყარუა“ (თავშეყრა), ჯარობა იცოდნენ“.

პარკილი. ადგ.

პეტრეში ნაწისქვილუ (პეტრეს ნაწისქვილარი). ადგ. (ტიტიკო სოკრატეს ძე დვალი, 65 წ.).

რეკა. ადგ. მაღალი მიწაზურგა. „აქ ძველი დროიდან სახლებულან გოგოლი და ფაჩულია. ისინი ოჩამჩირის რაიონიდან, სოფ. რეკიდან მოსულან აქ. ფაჩულიებს ამ ადგილისთვისაც რეკა შეურქმევიათ. ეს ადგილები გადმოცემით ნაზღვავარია, რეკა კი კუნძული ყოფილა, მაღალი ადგილი და ასე დარჩენილა. გადმოცემით, აქ უძველეს დროშიც ცხოვრობდა თურმე ხალხი“ (გოგოლი პეტრე (უანიჩქა) ანდრიას ძე, 71 წ.).

საანგურო (სააგურო). ადგ. „აქ კერძო მეაგურეებს ჰქონდათ სააგურო. აკეთებდნენ აგურსა და კრამიტს“. (ტ. დვალი).

საბებიო ყვანა (ბებიების ყანა). ადგ. „აქ ბებიებს ეთესათ სიმინდი, მათი ყანა იყო. ბებია გვარია, დღესაც სახლობენ აქ ამ გვარის ოჯახები“ (დრიმი ნიკოს ძე ქვარცხავა, 80 წ.).

საბერალო (სადროშო). „ადგილი, სადაც ბატონების მიწის საზღვარს დროშით მოინიშნავდნენ“.

საგარჩო. გარჩავების ახალი დასახლება.

სადადიო (სადადიანო). ადგ. „პატონიში დიხა-ბატონის მიწა იყო, დადიებისა“ (წურწუმია აქვსენტი ბესარიონის ძე, 65 წ.).

საკაციო. კაციების (გვარია) უბანი. ადგ.

სალაშქრო (სალაშქრო). ადგ.

სალოლუო. ლოლუების (გვარია) უბანი.

საპენო. ადგ.

საყვანე (საყანე). ადგ. „ძველი საყანეებია“.

სახეციო. ხეციების (გვარია) უბანი.

სულელა. ღელე. უერთდებოდა ცივს.

ტაიაში ნოხორიი (ტაიას ნასახლარი). ადგ.

ტყირი. ადგ. „ამ ადგილს ტყირი დარქმევია იმიტომ, რომ: 1. ტყიის (ტყლიპი) მკურნალი ექიმბაში სახლებულა. 2. აქ კონია ბერიას 200 ქცევა მიწა ჰქონია“. ეს ადგილი რომ დაცარიელებულა, სულ „გეგნორტყე“ – ტყედ ქცეულა, ამიტომ შეერქვაო ადგილს „ტყირი“ (აკაკი იაკობის ძე გარუჩა. 80 წ.).

უშქურონა (ვაშლნარი). ადგ. „აქ ვაშლის ტყე იყო. მრავალი ათეულწლოვანი ვაშლის ხე იდგა. აქ მოწეული ვაშლის არაყს ადუღებდნენ გლეხები. ზოგი ოჯახი 20 ფუთამდე არაყსაც კი ადუღებდა“.

ქორონა (ქორებისა). ადგ. „საჩეხი ტყე ყოფილა. ტყეში სულ ქორი ბუდობდა თურმე“.

შქაში შარა (შუაზე გამავალი გზა). ადგ. „ძველი გზა, ძველი „შუა სამეგრელოს გზა“ გადიოდა აქ“ (აკაკი გარუჩა).

ჩედიხა (თეთრი მიწა – კაოლინი). ადგ. „აქ თეთრ მიწას თხრიდნენ და გასაყიდად გაქონდათ“.

ცაკვაში ნოხორი (ცაკვას ნასახლარი). ადგ.

ცაცხვჯინჯი (ცაცხვის ძირი). ადგ. „დიდი, უძველესი ცაცხვი მდგარა. იგი ძველი სალოცავი ყოფილა. გვიან აქ თავშეყრა (შაყარუა) იცოდნენ“.

ციიძგა (ცივის კიდე, ცივის ნაპირი). ადგ. „აქ გადიოდა თურმე ძველი გზა. სულ ამ კიდეს, კბოდეს მოუყვებოდა იგი. მას „ჯვეშ შარას“ ეძახდნენ“ (ა. გვაძაბია).

ციიპიჯი (ცივის პირები). ჭალები.

ძუგუ (მიწაზურგა) ადგ. „ამ ადგილებში იგი ყველაზე მაღალი ადგილია. აქ მწყემსს კარავი ჰქონია“.

წვიპღალი (ვიწრო ღელე). ღელე. „ვიწრო და ლექიანი ღელეა“.

ჭითა ღელე (წითელი ღელე). ღელე. აქ თურქებს ჩვენი ხალხის სისხლი დაუღვრიათ. ისე ბევრი ხალხი დახოცილა, რომ მდინარე და მისი ნაპირები სულ სისხლით იყო გაპოხილი. ღელე ამ წითელი, სისხლით გაპოხილი მიწიდან მოედინებოდა. წყალი წითლად იყო შეღებილი. ხალხი დღესაც პატივით ეპყრობა ამ ღელეს. მტრისგან დახოცილები საძმო სამარხში დაუმარხავთ, რომელზედაც მიწაზვინული აღუმართავთ და ეს გუძუბა ჭითა ღელეს ჭალაზე სწორედ ომის მსხვერპლთა სასაფლაოა“ (პ. გოგოლი).

ჭყონა (მუხნარი). ადგ. „მუხის ტყიანი ყოფილა“.

ჭყონღუდა (დახრილი, მოხრილი მუხა). ადგ. „აქ მდგარა დიდი მუხა, რომელიც გადახრილი იყო, მის ძირას იცოდნენ თურმე ლოცვა. ხალხის გადმოცემით, იგი ძალიან დიდი ხნის იყო. აქ გვიან ჯარობის ადგილი იყო“ (ა. გვაძაბია).

ხაიონი. ადგ. იქნებ ხიონია. ხილნარი. ხალხი ვერ განმარტავს.

ხორგიში. ადგ. „სულ გახერგილი, გადაკეტილი, შეკრული ადგილი ყოფილა, ძალიან ნაყოფიერი საყანე მიწებით“ (ა. გარუჩა).


მეგობრის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ცხოვრების რაიონის ტოპონიმიკური ატლასი
ოქტომბერი
სახოფლო საბჭო
მასშტაბი 1:25000
ნიშნები
სახოფლო საბჭოს საზღვრები
მდინარეები
გზები
სახოფლო საბჭო
ძველი გზა

ლეძაძამე

სასოფლო საბჭო მდებარეობს ცხაკაიას რაიონის ზედა ზონაში. იგი გაშლილია ტეხურისპირა ველსა და გორაკ-ბორცვიან ზეგანზე. მისი დიდი ნაწილი ტეხურის ხეობის გაშლილ ველიანსა და ტეხურის აღმოსავლეთ ნაპირზე, ბჟერის მთის შეფენაზეა. ამ მხარის სამხრეთის კიდურზე ზედა ნოქალაქენია. მას დასავლეთით ესაზღვრება ფოცხოს და უშაფათის სას. საბჭოები, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით – გეგეჭკორის რაიონი. სამხრეთით – ნოქალაქენის სას. საბჭო. იგი იყოფა ოთხ ნაწილად: ბერთემი, ზედა ნოქალაქენი, კვაუთი და ლესაჯე. ნიადაგი წითელმიწა ალუვიური ხასიათისაა. მდინარე ტეხურის ჭალა დაფენილია ტეხურის ქვიშით. ქვიშანაჭარბი ნიადაგი ძალიან ნაყოფიერია. კვაუთი უძველესი დროიდან განთქმული იყო ვაზით, ხილით, ბაღებითა და ბოსტნებით, დიდი კულტურული წარსულით, ისტორიული ძეგლებით. მასზე ჯოლევიდან ბჟერის გადმოვლით გადმოდიოდა სამეგრელოს გზა, რომელიც არგუეთიდან შემოდიოდა და ზუგდიდ-სამურზაყანოსაკენ მიემართებოდა.

ბერთემი დადიანთა უძველესი სამემკვიდრო სამფლობელოა. აქ დადიანთა უფლისწულების – ბატონიშვილების ოდითგანვე აღიარებული საცხოვრისი იყო. აქვე იყო მისარონის საკულტო კერები რამდენიმე ადგილას. მათ შორის, ცენტრალური ადგილი ჯეგემარიონს ეკუთვნოდა. იგი თავდაპირველად ოთხკუთხივ ღია თაღებით დამშვენებული შენობა ყოფილა. შემდეგ ბაზალიკურ ეკლესიად გადაუკეთებიათ და დიდი კულტი მისარონისა, წმინდა მარიამად, ჯეგემარიონად შეუცვლიათ. აქ დამარხულია საქართველოს ერთ-ერთი ბრძენკაცი, განმანათლებელი ნიკო დადიანი, თავისი მეუღლით. აქვე თავისი ცხოვრების გარკვეული პერიოდი გაატარა ჩვენმა სასიქადულო მწერალმა და დრამატურგმა შალვა დადიანმა.

კვაუთის ეკლესიის ეზოში მარხია სტეფანე ძიმისტარაშვილი, შესანიშნავი პოეტი, მწერალი, მოღვაწე. კვაუთის ეკლესიის მიდამოებში დაცულია მისი ნაოხვამუც. სოფელში არის გოგირდოვანი წყლის რამდენიმე გამოსავალი. არის შესანიშნავი ტრადიცია ხისა და ქვის კვეთის, ქსოვისა და მეთუნეობის.

ბუნებრივი სიკეთით ყოველმხრივ მდიდარი სას. საბჭო დღესაც ეკონომიკურად საკმაოდ ძლიერია. კვაუთში მასობრივადაა მანდარინის ბაღები, ვაშლისა და მსხლის, ვაზისა და ყვავილნარის წალკოტები. აქ ბევრგანაა დაცული ტოპონიმი წაკორტი-წალკოტი, რაც ამ სამეურნეო ერთეულის ისტორიულ წარსულში არსებობაზე მიუთითებს.

ლეძაძამეში 1905 წლის რევოლუციის ერთ-ერთი რევოლუციური კერა იყო. ასევე, საშა გეგეჭკორის რევოლუციურ ლაშქარს ავსებდა ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციის ბევრი გამორჩეული წევრი.

8 წლის აჯანყებაში სოფლის გლეხობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო.

სწავლა-განათლების საქმეშიც რევოლუციამდე სოფელმა თავისი სიტყვა თქვა. კვაუთის სასოფლო სკოლა, ბერთუმის სამრევლო სასწავლებელი და ა. შ., დიდ საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდნენ. აქ საქართველოს მრავალმა გამოჩენილმა შვილმა მიიღო პირველდაწყებითი განათლება.

მრავალფეროვანი და საინტერესოა სოფლის მიკროტოპონიმიაც:

აბანაში ტობა (აბანოს ტბა). ადგ. „აქ დადიებს აბანო ჰქონიათ მოწყობილი. აქ გამოდის წყარო, რომელიც ძალიან შველის ქავილს“. აქ ორი ნიში, ორი აუზია. XIX ს. მეორე ნახევარში გაკეთებული ყოფილა ქვითკირის სახლებიც, სადაც სამკურნალოდ ჩამოსული ხალხი ისვენებდა. ახლა უკვე დანგრეულია. აქ მრავლადაა პემზის ტუფი.

აბანოჭაე (აბანოს ჭალა). ჭალა.

ატამაჯინჯი (ატმის ძირი). ადგ.

ბეჭაშ ნაცვილა. „დროთა ვითარებაში, ე. ი. 1890-იან წლებიდან ლეძაძამეში ჩნდება მეორე ახალი გასართობი ადგილი – „ბეჭაშ ნაცვილაში“ მინდორი. ლეძაძამელებს დაწესებული ჰქონდათ თავიანთი ეკლესიის სახელობის პატივსაცემოდ რელიგიური დღესასწაული „ამაღლების დღე“. აღდგომიდან მეოცე დღეს ყოველწლიურად იმართებოდა დღესასწაული. ამ დღეს არ იყო ლეძაძამეში იმისთანა ოჯახი, რომ დაპატიჟებული სტუმარი არ ყოლოდა სხვა სოფლიდან – ეს მისი ნათესავი, მეგობარი იქნებოდა თუ სხვა ვინმე ნაცნობი. ამ დღეს მღვდელი დიდი ცერემონიით ჩაატარებდა წირვა-ლოცვას ეკლესიაში. წირვის შემდეგ ხალხი იშლებოდა თავ-თავიანთ ოჯახებში სტუმრებიანად, ოჯახებში იმართებოდა იმ დღის შესაბამისი განსხვავებული სუფრა, რომელიც დიდი მხიარულების ნიშნით სრულდებოდა. სადილობის შემდეგ მასპინძელი და სტუმარი გაემართებოდნენ „ბეჭაშ ნაცვილას“ მინდვრისაკენ გასართობად. აქ მათ წინ იშლებოდა მოჯირითე ცხენოსანთა, მოცეკვავე და მომღერალი ახალგაზრდობის ჯგუფების ცოცხალი სურათი, რაც მათ მხიარულების და სიამოვნების გრძნობას გვრიდა. მაგრამ ხანდახან იყო შემთხვევა, რომ ეს მხიარულებით დაწყებული გართობა მთავრდებოდა დიდი მწუხარებით. ასეთი შემთხვევა მოხდა 1895 წლის „ამაღლება“ დღეს. ერთ-ერთმა მხედარმა, გვარად კუბეციამ, ჯირითის დროს სრულიად უმიზეზოდ მათრახი ცხენ და ცხენ მაგრად გადაუჭირა ზურგზე ერთ-ერთი გლეხს, მიქავას. უკანასკნელმა ეს არ მოითმინა და სამაგიეროდ ჯოხი დაარტყა მხედარს. ამ ორ მოწინააღმდეგეს თავიანთი მომხრე ჯგუფები გაუჩნდათ და უკმაყოფილება ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. ვინ ვის სცემდა, არავინ იცოდა. ამ დროს კუბეციამ დრო იხელთა, ამოიღო რევოლვერი და ესროლა მიქავას. მიქავა იქვე გარდაიცვალა. ხშირი იყო ასეთი შემთხვევები ძველ დროში. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ იწყება უფრო მეტი კულტურული გასართობები. იმართება კვაუთის და ლეძაძამის დაწყებითი სკოლების ძალებით წარმოდგენები, ალეგრა, ყალიბდება მომღერალთა და მოცეკვავეთა გუნდები და ამ სანახაობებით ხალხი იკმაყოფილებს თავის ესთეტიკურ გრძნობებს და სულიერ მოთხოვნილებებს“ (გ. ხუხუნი).

ბერაღი (დროშა). ადგ. „აქ ბერაღი ჰქონდათ დადიებს, მათი მიწების მისანიშნად“.

ბერთემი, ბეთლემი (ბერის თემი). სოფ. „ბერი მოსულა აქ და დასახლებულა. აქ მას ბაღები გაუშენებია. წყაროსწყალი ამოუყვანია და ადგილი „წაკორტად“ – წალკოტად უქცევია. შემდეგ ეს წალკოტი ადგილი დადიანთა უფლისწულებს თავიანთ სამემკვიდრო სამფლობელოდ გაუხდიათ“ (გ. ხუხუნი).

ბერნოხორიი (ბერის ნასახლარი). ადგ. „მთის შეფენაზეა. აქ ყოფილან ბერები, ჰქონიათ თავიანთი სენაკები. ლოცულობდნენ. აქ მათი საცხოვრებლები მოშლილია. ადგილს ბერნოხორიი შერჩენია სახელწოდებად“ (გერასიმე კარტოზია).

ბერწყუ (ბერის წყარო). ადგ.

ბჟერიშ გოჯა. „არის გადმოცემა, რომ აქ მზეს, ბჟას სცემდნენ თაყვანს. მთის თხემზე ყოფილა მრგვალი ქვის ვარცლი, მზის გამოსახულებით და მასზე ლოცულობდნენ თურმე ჟაშხადღას (კვირა დღეს) მორწმუნეები“ (გულია არისტრახოს ასული შუშანია, 67 წ.).

ბუმბუერი (დაბუმბული). ადგ. „ქორს წიწილა დაუბრდღვნია და ბუმბული დაუყრია“.

ბურღონა. ადგ. „რბილი, ადვილად დასამუშავებლი ფერდობი მიწაა“.

გაბუნიაში ნოხორიი (გაბუნიას ნასახლარი). ადგ.

გარამი (უფსკრული). ადგ.

გარსია ნოხორიი (გარსიას ნასახლარი). ადგ.

გვერდაშე (გვერდული). ადგ.

გირძე ყვანა (გრძელი ყანა). ადგ.

გოგირდი. ადგ. „გოგირდის წყლები ამოდის და ამიტომ წინათ ადგილს „გოგირდი“ შეარქვეს“ (ექვთიმე ნიკოს ძე ხუნწელია, 88 წ.).

გოჭკადირი (გაჭედილი). ადგ. „აქ ხიდი გაუდგამთ, ხიდით გაუჭედიათ ნაპირი. მდ. გურძემიას ორივე ნაპირი გაუერთიანებიათ“.

გოხორგილი (გახერგილი). ადგ. „უნაგირა გზა გადიოდა ამ უნაგირზე“.

გუგური. ადგ.

გუგუში ნოხორიი (გუგუს ნასახლარი). ადგ.

გურძემია რზენი (გურძემიას ველობი). ადგ. „ვაკე ყოფილა და შემდეგ ჩაქცეულა“.

დგებიაში ნოხორიი (დგებიას ნასახლარი). ადგ.

დიდი მინდორი (დიდი მინდორი). ადგ.

დობერა (დობილო). ადგ.

დოხორე (სასახლე). ადგ. „აქ ჩიქვანებს ჰქონიათ სასახლე, კარ-მიდამო. ტეხურზე „ნიშით“, ნავით გადიოდნენ“.

ეგოგიე. გოგიების (გვარია) უბანი.

ემორცხვიე. მორცხვების (გვარია) უბანი.

ენარსიე. ნარსიების (გვარია) უბანი.

ერიში ნოხორიი (ერის ნასახლარი). ადგ.

ექადარე. ქადარიების (გვარია) ადგილი.

ეცეკვე. ცეკვების (გვარია) უბანი.

ეწერფონი (ეწერთავთხელი). ადგ.

ეჯოჯუე. ჯოჯუების (გვარია) უბანი.

ვიაგური. ადგ.

ზოსიმეში ნოხორიი (ზოსიმეს ნასახლარი). ადგ.

თხომულონი (თხმელნარი). ადგ.

ინჭირიე (საანწლე). ადგ. (მაკარი სამსონის ძე, 60 წ.).

კარტოზიაში ნოხორიი (კარტოზიას ნასახლარი). ადგ.

კარტოზიაში ჭაე (კარტოზიას ჭალა). ჭალა.

კვაუთი (კვაუსთი). სოფ. „გაშლილია მთის ფერდობზე. ძალიან ნაყოფიერია ვაზითა და ხილნარით, სიმინდითა და ღომით. კვაუ ყოფილა აქ ვიღაც დიდკაცი. დიდი ოჯახი, დიდი თი ჰქონია. ამიტომ შერქმევია ადგილს კვაუსთი – კვაუთი“.

კირცხა ფონი (კირცხა თავთხელი). ადგ.

კიცხერა. ადგ.

კოლოში (მწარესი). ადგ.

კულანა. ადგ.

ლაკადა. ადგ.

ლებარკალე. ბარკალაიების (გვარია) უბანი.

ლებარკალეშ ღელე (ლებარკალეს ღელე). ღელე.

ლედამენიე. დამენიების (გვარია) ნასახლარი.

ლეძაძამე. ძაძამიების (გვარია) სამოსახლო სოფელი, ს/საბჭოს ცენტრი.

ლომიაში სუკი (ლომიას სერი). ადგ.

მენჯი წყარი (მენჯის წყარო). წყარო. „მინერალური წყაროა“.

მენჯი. ადგ.

მესხიში გა (მესხის სერი). ადგ.

მიკონწყვიი (ჩამოქცეული). ადგ.

მისარონი. „კურკუცაა ჯეგემარიონის გადასახედზე – მთის კონცხზე. აქ მთელი სოფლის მოსახლეობა მისარიონობაზე იკრიბებოდა. იგი საერთო სასოფლო „საოხვამურო“ იყო“. ლესაჯეს თემსაბჭოში შემავალ პატარა სოფელ ლესაჯეს მაღალ სერზე მდებარეობს ადგილი „მისარონი“, რომელიც შემკობილია სამასწლოვანი ცაცხვის ჯიშის ხეებით. ამ ადგილზე ბატონყმობის ბოლო ხანებში მდგარა პატარა ფაცხა, რომელშიდაც მოთავსებული ყოფილა ეკლესია. აი, ამ ფაცხაში მღვდელი ასრულებდა წირვა-ლოცვას და სხვა ღვთისმსახურებას. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ეს ფაცხა საქართველოს საეგზარქოსო საბჭოს მითითებით და ინსტრუქციით სპეციალურად გამოყოფილ კომისიას დაურღვევია და მის ნაცვლად იქვე, ახლოს გაუშენებია ხის ფიცრული შენობა და მასში მოუთავსებიათ წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესია“.

„მისარონი“ წარმართობის დროიდან სალოცავ ადგილად ყოფილა მიჩნეული. მითრას კულტი – მითრაიზმი ქრისტიანულ რელიგიას წინ უძღოდა, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. იგი ბევრგან ითვლებოდა გაბატონებულ სარწმუნოებად. ის რიტუალური წესები (ჩამოლოცვა, შესაწირვის მიტანა, მახვეწარების მიერ სარიტუალო წესების შესრულება), რომელიც სრულდებოდა ამ ადგილას, ე. ი. „მისარონზე“ რევოლუციამდე, არის გადმონაშთი მითრაიზმის პერიოდიდან. სოფ. ლესაჯეს მცხოვრებნი, გვარად ქადარიები და პერტაიები ყოველ წელიწადს, თებერვლის თვეში „მირსობას“ დღესასწაულობდნენ, ამ დღეს ქადარიას გვარიდან გათხოვილი ქალები თავიანთი შვილებით და შვილიშვილებით მოდიოდნენ „მირსობა“ დღეს ჩამოსალოცავად. მხვეწარებს მოჰქონდათ ვერცხლცურვილი ორ-სამ არშინიანი ზონარი, ვერცხლის ფული, მოჰქონდათ ნემსები, ქინძისთავები, საყურეები, ბეჭდები, სანთელი, საკმეველი, მოჰყავდათ თიკნები, მამალი და სწირავდნენ „მირსას“ – „მითრას“. შეწირულ ნივთებს შეწირვის შემდეგ იქვე, ხის ძირში ამოთხრილ პატარა ორმოში ჩაყრიდნენ, ხოლო შეწირულ ცხოველებს თავისუფლად უშვებდნენ მინდორში. ამ ცხოველებს მნათე დაიჭერდა და თვითონ აგროვებდა თავის სასარგებლოდ. ორმოში ჩაყრილ ფულს და ნივთებს არავინ ხელს არ ახლებდა. იგი ითვლებოდა „მითრას“ საკუთრებად და ეშინოდათ ღვთის რისხვისა. ქადარიების გვარი თავს მოიყრიდა მისარონზე, „მირსობა“ დღეს, სალოცავად, ცერემონიალს ხნოვანობით გვარის უფროსი, უხუცესი ხელმძღვანელობდა. ხელმძღვანელად ირჩევდნენ კიკოია ქადარიას, მისი გარდაცვალების შემდეგ კი სტეფანე ქადარიას. „მირსობის“ დღისათვის ასუქებდნენ შესაწირავ ღორს და დღესასწაულის წინა ღამეს კლავდნენ, მოხარშავდნენ ცხოველის ყველა ნაწილს გულღვიძლიანად და გობზე დააწყობდნენ. ყველით გატენილ „კვერებს“ მოხარშავდნენ ქვაბში დიდი რაოდენობით, მიიტანდნენ „მისარონში“, დადგამდნენ ხის ძირას, დაბალ ტაბაკზე.

გვარის უფროსი აიღებდა სანთელს, საკმეველს, ლოცვას იტყოდა, პირჯვარს დაიწერდა და ღმერთს შესთხოვდა თავისი გვარის კეთილდღეობას, ჯანმრთელობას, გამრავლებას და თვალსინათლეს. საკმეველს შემოავლებდა მარჯვნიდან მარცხნივ ყველას და იქვე პატარა თიხის კეცზე დაყრილ ნაკვერჩხალზე ჩააგდებდა. მერე მოსვამდა პატარა სასმისით ღვინოს, აიღებდა ხორცს და კვერს, თვითონ შეჭამდა და შემდეგ ყველა წევრს დაურიგებდა მოხარშული ღორის ხორცს. ისე, რომ ხორციდან და კვერებიდან ნამცეცები არ უნდა დაცვენილიყო. შემდეგ გაიმართებოდა ცეკვა-თამაში და სიმღერა. „მირსობას“ მხვეწარები მღვდელს არ ისწრებდნენ, მხოლოდ მნათეს.

წმინდა ბარბარეს ეკლესიაში, რომელიც მისარონის გვერდით იყო გაშენებული, მხვეწარები დაიარებოდნენ „ბარბარობის დღეს“, ყოველ წელიწადს 4 დეკემბერს, და მოჰქონდათ შეპირებული შესაწირავი. თხოვდნენ წმინდა ბარბარეს ჯანსაღობას, თვალის სინათლეს, მხედველობის გამაგრებას. წმინდა ბარბარეს ხატის ნარეცხი, ნაკურთხი წყლით იპკურებდნენ მხვეწარები პირის სახეს და განსაკუთრებით თვალებს ინამავდნენ. წმინდა ბარბარეს შესახვეწად მოდიოდნენ ახლო-მახლო და შორეულ სოფლებიდანაც.

დღეს ეს ყოფილი საკულტო ადგილები „მისარონი“ და წმინდა ბარბარეს სახელობის ნაეკლესიარის ადგილები, გადაბერებულ ცაცხვის ხეებით შემკობილი, სასაფლაო ადგილებადაა მიჩნეული“ (გ. ხუხუნი).

მისარონი. ადგ. „მისარონის“ საოხვამურო (სალოცავი) ადგილი იყო“.

მიხა ბერძენიში კარი (მიხა ბერძენის კარი). ადგ.

მოსასვანჯი (მოსასვენებელი). ადგ. „ძველი გზა გადიოდა და აქ იყო ამ გზის პირას შესასვენებელი, ღამის გასათევი ადგილი“ (ექვთიმე ნიკოს ძე ხუნწელია, 88 წ.).

მოხირჭაე (ჭალა). ჭალა.

მოხუპირი (მოხუფული). ადგ. „ჩახურული ადგილია“.

მუკონწყვილი (ჩამოქცეული). ადგ.

მურზაში სუკი (მურზას სერი). ადგ.

ნაყებუ (ნალობიუ). ადგ. „ლობიოს ნათესები ყოფილა აქ“.

ნაბადა. ადგ.

ნაბიბლიუ. ადგ. „აქ ონოფრე შუშანიას მიერ შექმნილი ბიბლიოთეკა არსებობდა. იგი მას 1921 წელს დაუარსებია“.

ნადაჩუ (ნააგარაკევი). ადგ. „აქ დადიანებს“ „დაჩა“ ჰქონდათ მოწყობილი. აქ სტუმრები მოჰყავდათ. წყაროს წყლებით, ხილით და ვაზით მდიდარი ადგილია“ (გულია შუშანია).

ნადოხორუ (ნასასახლარი). ადგ.

ნადუქანუ (ნადუქნარი). ადგ.

ნაკანტორუ (ნაკანტორალი). ადგ. „აქ პირველი კოლმეურნეობა შექმნილა და მისი კანტორა მდგარა“.

ნაკანტორუ (ნაკანტორალი). ადგ. „ზედა ნოქალაქენში ერთი კოლმეურნეობა იყო. ეს პირველი კოლმეურნეობა შეიქმნა 1930 წელს. მისი კანტორა იდგა აქ“ (კ. ბაღათურია).

ნაკლასუ (ნასკოლარი). ადგ. „სტეფანე ყოფილა ამ სკოლაში მასწავლებლად პირველად“.

ნამარანუ (ნამარნევი). ადგ.

ნაობინეხუ (ნავენახარი). ადგ.

ნაოსხაპური (ნასაცეკვარი). ადგ.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი). ადგ.

ნაპერუ. ადგ.

ნარსიაში ნადუქნუ (ნარსიას ნადუქნევი). ადგ. „აქ დუქანიც ჰქონდათ და ნავიც. ვაჭრობდნენ კიდეც და ტეხურზე ნავით ხალხი გადაჰყავდათ“.

ნაფაცხუ (ნაფაცხარი). ადგ.

ნაფაცხუ (ნაფაცხარი). ადგ. „ეს ადგილი უძველესი სალოცავია. აქ სანთელს ანთებდნენ, ფულს სწირავდნენ“.

ნაფოშტუ (ნაფოსტარი). ადგ.

ნაქუჩულორი (ნაქუჩულორაალი). ადგ. „ქუჩულორია გვარია“.

ნაღუმუ (ნაღომარი). ადგ.

ნაშენი (ნაშენარი). ადგ. „მდებარეობს გურძემიას და ტეხურს შორის. გურძემიას რკინის ხიდიდან სახერხ ქარხნამდე გაშენებული ყოფილა ხეხილი და ვენახი“ (გ. ხუხუნი).

ნაჩეხა (განაჩეხი). ადგ.

ნაწისქვილუ (ნაწისქვილარი). ადგ.

ნაჭკადუ (ნამჭადლარი). ადგ.

ნაჭკიდუ (ნამჭადარი). ადგ.

ნაჯაპუ (ნათუთარი). ადგ.

ნეძიჯინჯი (ნიგვზის ძირი). ადგ.

ნეძონა (ნიგვზნარი). ადგ.

ნიკოში ნადოხორუ (ნიკოს ნასასახლარი). ადგ.

ნოყო (ნაყარი). ადგ.

ნოყონიი (ნაყანარი). ადგ.

ყანჯონა (კოპიტნარი) ადგ.

ობამბე (საბამბო). ადგ. „ბამბა ეთესათ წინათ“.

ოგიეში (საკომშო). ადგ.

ოგირეში (სასიმღერო). ადგ.

ოგირეში (სასიმღერო). ადგ. „აქ „ჯარალუა“ ვიცოდით“.

ოგორგოლეში (საგორაო). ადგ. „მაღალი ადგილია, ზუგაა. აქ ჯარობა ცოდნიათ“.

ოისირე (საისლო ადგილი). ადგ.

ოისირუ (საისლე). ადგ.

ოკალმახე (საკალმახო). ადგ.

ოლაკვეში (სალეკვო). ადგ.

ომანე (ბეჩო, სამალავი). ადგ.

ომენჯეში. ადგ.

ომენჯეში. ადგ.

ომუნჩქვეში (სამაჩვო). ადგ.

ოპურასკიე (საპრასო). ადგ. „ბოსტანი იყო პრასისა“.

ორთუმელა (სასასთუმალო). ადგ.

ოსხაპური (საცეკვაო). ადგ.

ოქაჯე (საქაჯაო). ადგ. „ძალიან საშიში, საეშმაკო ადგილი ყოფილა“.

ოქობალე (სახორბლო). ადგ.

ოქროკულეში (ოქროკულესი). ადგ. ზუგაა.

ოქროპირიში ნოხორიი (ოქროპირის ნასახლარი). ადგ.

ოღუმოლი (საღომო). ადგ.

ოყარყალ (საყიყინო). ადგ. „დამდგარი ტბა ყოფილა, სულ ბაყაყები ყიყინებდა თურმე“.

ᲝᲫᲘᲔᲨᲘ (საძებნი). ადგ. „სათევზაო. თევზის საჯდომი ადგილია“.

ᲝᲭᲐᲙᲘᲜᲔᲨᲘ. „ბატონყმობის ხანაში და ყმობიდან განთავისუფლების შემდეგ, პირველ ხანებში, მიუხედავად იმისა, რომ ხალხი ღარიბი და დაბეჩავებული იყო ეკონომიურად და პოლიტიკურად, მაინც მათ ხალისი ჰქონდათ გასართობი ადგილების მოწყობისა იმ მასშტაბით, რის შესაძლებლობას მათ მოცალეობა, გარემო, სოციალური მდგომარეობა და კულტურული დონე აძლევდა. ასეთ გასართობ ადგილს წარმოადგენდა ადგილი „ᲝᲭᲐᲙᲘᲜᲔᲨᲘ“. აქ იმართებოდა ბურთის თამაში მოკაუჭებული ჯოხით, რასაც მეგრულად „ᲭᲐᲙᲘᲜᲘ“ ეწოდებოდა. მობურთავენი ორ ჯგუფად იყოფოდნენ, ერთიმეორის საწინააღმდეგოდ. საქონლის ბალნისაგან შეგუნდულ ბურთს მაღლა აისროდნენ ხელით და ძირს დაცემულ ბურთს მხოლოდ ამ მოკაუჭებული ჯოხით – „ჭაკინით“ აგორებდნენ, ხელს და ფეხს ბურთს არ ახლებდნენ. ყველა მობურთალს ხელში ეკავა „ჭაკანი“. რომელი ჯგუფიც მოახერხებდა ლელოზე ბურთის გატანას, ის ითვლებოდა გამარჯვებულად. მობურთავეებს ჰყავდათ თავიანთი უფროსი, ხელმძღვანელი, რომლის მითითებას ყველანი ასრულებდნენ და ექვემდებარებოდნენ. აი, ამ „ჭაკინი“-დან წარმოიშვა სწორედ დღევანდელი ადგილის, მაღალ გორაკზე მდებარე ადგილის სახელწოდება „ᲝᲭᲐᲙᲘᲜᲔᲨᲘ“. აქ საყურებლად და გასართობად იკრიბებოდნენ ყოველ კვირა-უქმე დღეებში მკვიდრ მცხოვრებთაგან: დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ახალგაზრდა და მოხუცებული“.

ᲝᲮᲐᲠᲓᲐᲜᲔ (ნახარდნარი). ადგ.

ᲝᲮᲐᲠᲓᲐᲜᲔ (სახარდანო). ადგ.

ᲝᲮᲕᲐᲛᲔ (ეკლესია). ადგ. „მაცხოვრის ეკლესია იდგა“.

ᲝᲮᲕᲐᲛᲔ (ეკლესია). ადგ. „ხუხუნების ეკლესია მდგარა“.

ᲝᲮᲝᲙᲔᲨᲘ (საფხეკი). ადგ.

ᲝᲮᲝᲯᲣᲠᲘ (სახარე). ადგ.

ᲝᲯᲐᲞᲔ (სათუთე). ადგ.

ᲝᲯᲐᲠᲔ (საჯარო). ადგ.

ᲞᲐᲞᲐᲠᲖᲔᲜᲘ (მღვდლის ველი). ადგ.

ᲥᲘᲛᲝᲔᲜ ᲜᲝᲫᲐᲯᲐᲫᲔᲜᲘ (ზედა ნოქალაქევი). სოფ. ეკუთვნის ლეძაძამეს სას. საბჭოს (კაკა გიორგის ძე ბაღათურია, 80 წ.).

ᲠᲐᲭᲓᲔᲜᲘᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (რაჭდენის ნასახლარი). ადგ.

ᲡᲐᲐᲤᲨᲘᲚᲝ. აფშილავების (გვარია) უბანი.

ᲡᲐᲑᲠᲫᲔᲛᲐᲡᲫᲣᲝ (საბრძემაშვილო). უბანი. „აქ ბარძემაშვილების უძველესი ნასახლარია. ახლა აქ ბევრი არ ვსახლობთ“ (კალისა ზოსიმეს ძე ბარძემაშვილი, 90 წ.).

ᲡᲐᲩᲘᲫᲕᲐᲜᲝ. ჩიქვანების (გვარია) ნასახლარი.

ᲡᲐᲯᲕᲐᲠᲝ. ადგ.

ᲡᲘᲠᲘᲐᲩᲘᲫᲝᲜᲘ (სირიას კუნძული). ადგ. „ტეხურის ჭალებია“.

ᲡᲙᲣᲠᲓᲘ ᲭᲐᲔ. ადგ.

ᲡᲢᲔᲤᲐᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (სტეფა ძიმისტარაშვილის ნასახლარი). ადგ. „ეზოს და კარ-მიდამოს მიუთითებენ“.

ᲡᲢᲔᲤᲐᲨᲘ ᲬᲧᲣ (სტეფას წყარო). „ეკლესიის ქვემოთ ახლაც არის შემორჩენილი. კარგი წყალია. ამ ადგილებში ნასახლარები სრულიად ახალი მიტოვებულია, ყოველმხრივ უხვი და მდიდარი. ჰაერი და წყალი საუკეთესო. ადგილი კი თანდათანობით უკაცრიელია, რაც გულდასაწყვეტია.

ᲡᲣᲛᲝᲘᲐᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (სუმოიას ნასახლარი). ადგ.

ᲢᲔᲒᲘ (ტყე). ადგ.

ᲢᲔᲮᲘᲠᲭᲐᲔ (ტეხურჭალა). ადგ.

ᲢᲠᲝᲕᲐᲘᲜᲐ. ადგ.

ᲢᲧᲐᲨᲘ ᲒᲝᲚᲝ (ტყის ბოლო). ადგ.

ᲣᲩᲐᲨᲝᲜᲐ (შავი შონური). ადგ. „აქ მაღლარზე მიშვებული იყო შავი შონური. შონური ყურძნის ფერის მიხედვით ორი სახისაა: უჩაშონა და ჩეშონა – შავი შონა და თეთრი შონა“ (გ. შუშუნია).

ᲣᲩᲐᲨᲝᲜᲐ (შავშონური). ადგ.

ᲥᲕᲐᲩᲐᲗᲘ. ადგ.

ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲨᲝᲑᲐ (ქრისტეს შობის ეკლესია). ადგ. „ეკლესია მდგარა ქრისტეს შობის სახელობისა. მისი მედგამენი იყვნენ ბარკალაიები და კარტოზიები“.

ᲥᲣᲐᲚᲝᲜᲘ (ქვიანი). ადგ.

ᲧᲣᲠᲜᲐᲗᲘ. ადგ.

ᲨᲐᲕᲓᲘᲐᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (შავდიას ნასახლარი). ადგ.

ᲨᲐᲤᲐᲗᲘ. ადგ. „შაფასთის შაფას ოჯახად თვლიან, აქედან უნდა იყოს წარმომდგარი. გადმოცემა არსებობს, ვიღაც დიდი კაცი ნასახლება ძალიან უხსოვარ დროს შაფა და აქ მას „თი“ ჰქონია“ (ფილუ ეგნატეს ძე სართანია, 57 წ.).

ᲨᲥᲐ ᲗᲝᲙᲔ (შუა თავდაღმართი). ადგ. ვაკე ადგილია ბერთემის დასავლეთით.

ᲩᲔᲨᲝᲜᲐ (თეთრი სვანური). ადგ.

ᲩᲔᲨᲝᲜᲐ (თეთრი შონური). ადგ. „აქ ამ ჯიშის ვაზი იყო მაღლარზე მიშვებული“.

ᲩᲘᲥᲕᲐᲜᲘᲨᲘ ᲜᲐᲑᲘᲜᲔᲮᲣ (ჩიქვანის ნავენახარი). ადგ.

ᲩᲘᲥᲕᲐᲜᲘᲨᲘ ᲝᲓᲐᲤᲔ (ჩიქოვანის სადაფნო). ადგ.

ᲩᲘᲥᲕᲐᲜᲘᲨᲘ ᲝᲮᲕᲐᲛᲔ (ჩიქვანის ეკლესია). ადგ. „ეს ეკლესია ჩიქვანების კარის ეკლესია ყოფილა“.

ᲩᲝᲑᲣᲮᲘ. ადგ. (სარდიონ ზოსიმეს ძე რუსია, 64 წ.).

ᲪᲐᲪᲮᲕᲯᲘᲜᲯᲘ (ცაცხვძირი). ადგ.

ᲪᲮᲔᲛᲣᲠᲝᲜᲘ (რცხილნარი). ადგ.

ᲫᲣᲒᲣ (ზურგა). ადგ.

ᲬᲘᲓᲐ. ადგ.

ᲬᲘᲡᲥᲕᲘᲚᲭᲐᲔ (წისქვილ ჭალა). ჭალა.

ᲬᲘᲤᲣᲠᲝᲜᲘ (წიფლნარი). ადგ.

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲨᲘ ᲝᲮᲕᲐᲛᲔ (წმინდა გიორგის ეკლესია). ადგ.

ᲭᲐᲔ (ჭალე). ჭალა. ადგ.

ᲭᲐᲥᲐᲠᲐ. ადგ.

ᲭᲕᲔᲜᲘᲔᲠᲝᲑᲐ. „ამ ადგილზე იცოდნენ ჭვენიერობის დღესასწაული“.

ᲭᲘᲗᲐᲜᲣᲠᲘ (წითლური). ადგ. „აქ ჭითანური ვაზი ყოფილა მაღლარზე მიშვებული. შავყურძნიანი ჯიშია. ძალიან კარგი მოსხმა იცოდა. საშუალო ღვინო დგებოდა“ (გერასიმე კარტოზია).

ᲭᲘᲭᲔ ᲙᲝᲚᲝᲨᲝᲜᲐ (პატარა კოლოშონური). ადგ.

ᲭᲘᲭᲔ ᲯᲝᲚᲔ (პატარა ჯოლე). ადგ.

ᲭᲘᲭᲔ ᲧᲕᲐᲜᲐ (პატარა ყანა). ადგ.

ᲭᲙᲐᲓᲣᲠᲝᲑᲣ (მჭედელხევი). ადგ. „უძველესი ნასამჭედლარი, სამჭედლო ადგილია“.

ᲭᲙᲐᲓᲣᲔᲠᲘ (ნასამჭედლარი). ადგ.

ᲭᲝᲙᲝᲜᲐ (ჭოკნარი). ადგ.

ᲭᲧᲝᲜᲯᲘᲜᲯᲘ (ჭყონის ძირი). ადგ.

ᲮᲐᲛᲜᲔᲙᲐᲠᲘ. „ამ სამოსახლოს წინ მოედანი, სავაჭრო იყო და საჯაროც“ (გ. ხუხუნი).

ᲮᲐᲛᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (ხამ ნასახლარი). ადგ. „გადმოცემით, აქ ესახლა ოჯახი, რომელმაც იცოდა ბამბის ქსოვილის – ხამნელის ქსოვა. ამიტომ ამ ადგილს ეწოდა ხამნეხორი – ხამნელის მქსოველის სამოსახლო“ (გ. ხუხუნი).

ᲮᲐᲢᲛᲐᲛᲣᲚᲘ (ხატის მამული). ადგ. „ეს მამული ხატს აჩუქა გაბუჩიამ“.

ᲮᲐᲢᲛᲐᲛᲣᲚᲘ. ადგ.

ᲮᲝᲠᲒᲝᲜᲐ. ადგ. „სულ ივსებოდა ეს ადგილი მოსავლით, იხორგუდუ“.

ᲮᲝᲠᲝᲨᲝᲜᲐ (ხოროშონურნარი). ადგ.

ᲮᲝᲠᲝᲨᲝᲜᲐ (ხოროშონურნარი). ადგ. „ამ ადგილს ხოროშონას, ხორავას შონურის მაღლარი ყოფილა“.

ᲮᲣᲢᲣᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (ხუტუს ნასახლარი). ადგ.

ᲯᲐᲑᲐᲮᲔᲗᲘ. ადგ. „ჯიხას მიდამოებია. ძველი ნაქალაქარი, მას სულ ჯაბახეთი ქვია“.

ᲯᲐᲕᲐᲮᲔᲗᲘ. ადგ. „ჯავახიების ნასახლარია“.

ᲯᲐᲞᲝᲜᲐ (თუთნარი). ადგ.

ᲯᲐᲠᲝᲑᲐ. ადგ. „საჯარო ადგილია“.

ᲯᲔᲒᲔᲛᲐᲠᲘᲝᲜᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ. ადგ. „საკულტო ადგილია, მდ. გურძემიას ნაპირას, ლაძაძამის გზის პირას, მიკოტახილის ბოლოს, ჯიხას ქვემოთ. აქ უხსოვარი დროიდან ყოფილა ქვის შენობა. აქ ეზოში დამარხულნი არიან ნიკო დადიანი და მისი მეუღლე. ეკლესია წმინდათა წმინდა საოხვამურო იყო“ (კ. ბარძემაშვილი). „წმინდა მითრას, შემდეგ წმინდა მარიამის სალოცავი“.

ᲯᲘᲮᲐ (ციხე). ადგ. „აქ სულ ზღვა მდგარა უხსოვარ დროში და აქ ყოფილა გემის მისაბმელი რკინის ბოძი“ (გ. ბარძემაშვილი).

ᲯᲘᲮᲐ (ციხე). ადგ. „ბატონიშვილების კოწია და დავით დადიანების ჯიხა ყოფილა“.

ᲯᲝᲠᲦᲐ. ადგ.


მასშტაბი: 1:50000
ნიშნები:
ქალაქები
გზები

მენჯი

მენჯის სასოფლო საბჭო მდებარეობს რაიცენტრის დასავლეთით, მდინარე ცივის ხეობაში. ნიადაგი აქ წითელმიწა-კარბონატულია. ცენტრში ამოდის ცხელი წყლები და წარმოადგენს დიდი მნიშვნელობის საყოველთაოდ ცნობილ აგარაკს, სადაც ცხელი გოგირდოვანი წყლით მკურნალობენ. იგი XIX ს-ის მეორე ნახევრიდან უკვე საკმაოდ ცნობილი ადგილი იყო. სოფელი თავისი ისტორიული ძეგლებით, სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკითა და ტრადიციით უაღრესად საყურადღებოა.

აქ არის უძველესი ციხე-სიმაგრე, ძველი გზა და მისი ხიდი. არის მიწის ნაყოფიერების ღვთაების ძველი სალოცავი; ადგილი ცნობილია ვაზით, ხილითა და დაფნით. აქ ზოგან ციტრუსოვანთა მრავალწლიანი კორომებიც კია დაცული. დაფნის კულტურა აქ უძველესია. ასევე მეცხოველეობაც ძალიან ადრეული დროიდანაა განვითარებული. ბათარიას და რეკას მიდამოებში ფართო საძოვრები და უძველესი ნაჯოგუ და ნაკარუ ადგილები ყოფილა. მენჯში დაცული დედათა მონასტრის შემოგარენი ბუნების იშვიათობას წარმოადგენს, ყოველმხრივ დაცული ტყიანით, ხეხილ-ვაზნარით, მთის საუცხოო ლანდშაფტით. მენჯი უძველესი დროიდან სწავლა-განათლების ერთ-ერთი აღიარებული კერა იყო. აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი განმანათლებლები. აქვე, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მომღერალი და მოლექსე, ხალხური შემოქმედებითი კულტურის შესანიშნავი მოღვაწე ვლადიმერ სალაყაია, რომლის სიმღერები და ლექსები შეტანილია ქართული ხალხური შემოქმედების დიდებულ საუნჯეში. დღეს მენჯის სას. საბჭოში ცხოვრობს 3000-ზე მეტი კაცი, 1000-მდე კომლი. ყოველწლიურად მენჯის აგარაკზე ისვენებს 3000-4000 დამსვენებელი.

AINKEEBI. ადგ.

ANAKIEEBI (ანაკიესი). ადგ. „ანაკიეს კუთხე“.

ATAMANA. ადგ. ეს იყო ძველი საბალახო.

BADIONI. ადგ.

BATARIA (ბატარეია). ადგ. „რუსის ბატარეია მდგარა. ამიტომ ადგილს ბათარია შეერქვა“.

BARBAEBI (ბარბალესი). ადგ. „ბარბალობის დღესასწაული ცოდნიათ აქ ძალიან ძველ დროს“.

BARGA. ადგ.

BARCXENONI (ბარცხნარი, ჯაგნარი). ადგ.

BESABI NOXORII (ბესას ნასახლარი). ადგ.

BABISONA. ადგ. სახელი განუმრატავია.

BABUCIABI XABO (გაბუჩიას ხრამი). ადგ.

BEJVERETI. ადგ.

BIJE NOCONII (გრძელი ნაყანარი). ადგ.

BOTNAJVI (გამომწვარი). ადგ. „მონაჭვარარე“ (ახოდ დადებულია).

BOKIRILI. (შეკრული, გახერგილი). ადგ. „აქ წინათ წყალი გადიოდა და ეს ადგილი შეკრული იყო, გამაგრებული, თურქებს მოუნდომებიათ მისი აღება, მაგრამ „გოკირილი“ ვერ გადაულახავთ“ (მ. დუდუჩავა).

BOJKADIRI (გაჭედილი). ხიდი. „ეს ხიდი გაუჭედიათ თურქობის დროს. აქ ქვითკირის ბოძებზე ხის ხიდი დაუდგამთ. შემდეგ რუსის მთავრობის დროს რკინის ხიდით შეუცვლიათ. ძველი ხიდის ნანგრევი აქ დღესაცაა შემორჩენილი. ეს ორი ნაპირი ამით გაუერთიანებიათ, გაუჭედიათ. ამიტომ ადგილისათვის გაჭედილი უწოდებიათ“ (ა. სალაყაია).

DAMBARZENI. ადგ.

DEDATA MONASTERI. ადგილია, მოქმედი მონასტერი დგას.

DIXAUCAB (მიწაშავისა). ადგ. „შავმიწაა, ძლიერ ნაყოფიერი, უწინ ნაჭირალი და ნაბრძოლი“ (ლ. წულეისკირი).

DIXAJUGURO (მიწაზურგა). ადგ. „მაღალი ადგილია. ხელით დაზვინული ჰგონიათ“.

DIXAJUGURO (მიწაზურგა). ადგ. ნაოჩუში არის ეს მიწაზურგა. მას უძველეს NAOXVAMUSAC ეძახიან. აქ სალაყაიები ნაცხოვრება წინათ. სალაყაია ერთი „თურია“, ერთი გვარია. მის შიგნით არის ცალკეული (გგმნართი, გგმნარყი) განაყოფი, ტოტი, დინო. „ართ ბაბუში გგმნაჭყანქ გინირთ ახალ ნოცოთ, ახალი ნოციათ. ათენარე დინო“ (ერთი ბაბუას შთამომავლობა გადაიქცა ახალ ტოტად, ახალ განაყოფად. ეს არის დინო). „თაქ მოთეფი და მორთელეფი მიშმუნა“ (აქ შვილიშვილები და შვილთაშვილები შედიან) (ა. სალაყაია).

DOGERA UCA (შავი დობილი). ადგ.

EKI (მაღლა). საწულეისკიროს ცენტრი. „სულ მაღლდება ამის შემდეგ ადგილი. ამიტომ მას ეკალს ეძახიან“ (ლ. წულეისკირი).

ENCERI (ეწერი). ადგ.

ENCERI (ეწერი). ადგ. დღეს ჩაის პლანტაციაა.

VARDANE. ადგ.

ZAKALONI (ბზანარი). ადგ. „მაღლარი ადგილია, სულ ბზითაა შემოსილი“.

ZISXIRIBI GOJA (სისხლის მთა). მთა. „ნასისხლარი, წამებული და ნაბრძოლი მთაა, თურქობის დროინდელია“.

TORDU. ადგ. „აქ მოხუცების გადმოცემით თორდუის ჯიშის მაღლარი ვაზი იყო თურმე“.

TXABZONI. ადგ. „აქ თხაბზობაიას ლოცვა ცოდნიათ. თიხის და საერთოდ საქონლის ღვთაების ლოცვა“ (ბოჯგუა).

ILIABI KINOKUNTXU (ილიას კუთხე, მხარე). ადგ.

KAKABI MUXURI (კაკას კუთხე). უბანი. „აქ ძლიერი ქარი იცის“.

KAJONA (კაჟნარი). ადგ.

KARONA. ძველი გზაა. ახლაც გზა მიდის.

KVIRKVELURI. ადგ.

KIKACONA (საკიკაჩო). ადგ. „აქ კიკაჩეს (ვაზის ჯიშია) მაღლარი ყოფილა ხეზე მიშვებული“ (შოთა ეჯიბია, 65 წ.).

KOKI. „მას კოკითისაც ეტყვიან. აქ ვიღაც კოკის ჰქონია დიდი „თი“, დიდი სახლი, სადაც ოცამდე მელოგინე იყო თურმე. ეს ძალიან შორეული დროის ამბავია“ (შ. ეჯიბია).

LAXUTONA (სალახუტო, სალოცავი). ადგ. სალოცავი ადგილია. „მცირე ზომის ქვევრის ადგილი. „ხუტუნი“ – ჩახუტება, მოხვევა“.

MELENI SAXARBEDIO (გაღმა სახარბედიო). ადგ.

MENCI (გაღმა მარილი). ადგ. მას „მელენწყითეს“ ეძახდნენ, საქონელი ძლიერ ეტანებოდა. ხალხმა ამ წყალში დაიწყო ბანაობა, იგი ძალიან მარგებელი იყო. ეს თურქებმა სცადეს პირველად. შემდეგ ბატონებმა აკრძალეს აქ საერთო ბანაობა და თვითონ ქოხი დაიდგეს და თავისთვის იყენებდნენ. შემდეგ დაიწყეს ამ აბანოს გაქირავება. კაცზე 5 კაპიკს იღებდნენ. ეს მაშინ დიდი ფული იყო“ (ა. ლიპარტია).

MOLENI SAXARBEDIO (გამოღმა სახარბედიო). ადგ.

MUCJOLEBI (სამაჩვო). ადგილი.

NAGARECU (გარუჩების ნასახლარი). ადგ.

NADOXORU (ნასახლარი). ადგ. „ევგენი დადიანის სასახლე ყოფილა აქ“.

NADUJANU (ნადუქნევი). ადგ.

NAZAKUTU. ადგ.

NATGURU (სათიბი). ადგ.

NATURJU (ნათურქალი). ადგ. „ნაბრძოლი ადგილია. ტყვიები დღესაც ყვება მიწას გადახვნისას. იქ ძველი დამბა გადის. ძველი ნამოსახლევი ადგილია“ (შალვა ანტონის ძე დუდუჩავა, 75 წ.).

NAISIRU (ნაისლარი). ადგ.

NAKIRU (ნაკირალი). ადგ. „უძველესი საკირე ყოფილა“.

NANOXORU (ნასახლარი). ადგ.

NANOXORU (ნასახლარი). ადგ. უძველესი ნასახლარია.

NANCYVI (ჩანაქცევი). ადგ.

NANCYVI (ჩანაქცევი, ჩანანგრევი). ადგ.

NAOISIRU (ნაისლარი). ადგ.

NAOSXAPU (ნასაცეკვარი). ადგ.

NAOCU (ნავაცარი). ადგ. „ამ ტყეში სულ შვლები ბუდობდნენ თურმე. ამიტომ შეურქმევიათ ამ ადგილებისათვის ნავაცარი. აქ მაღლარზე მოდიოდა ოჯალეში. ძალიან კარგი ღვინო იცოდა თურმე“ (ა. სალაყაია).

NAOXVAMU (ნასალოცვარი). ადგ. „უძველესი ნაეკლესიარია. აქ მდგარა მთავარანგელოზის ეკლესია. ადგილი მაღალია, დიხაზურგაა. მოხუცები გადმოგვცემენ, რომ აქ უძველეს დროში ხალხი ნაცხოვრება“.

NARISU (ნარუსალი). ადგ. „აქ თურქობის დროს რუსის ჯარი მდგარა. გზაც გადიოდა. მას რუსის გზას ეძახიან“.

NARTYI (გადაფსკვნილი, გადახერგილი). ადგ. „ტყე იყო სულ გადაფსკვნილი, გადახურული. მის ირგვლივ ჩირგვნარის ღობე იყო შემორტყმული“.

NATEBU (ნატყევარი). ადგ. „დიდი გაუვალი ტყე ყოფილა წინათ. შემდეგ გაუჩეხიათ. დღესაც ტყეა, მაგრამ მცირე“.

NAJOBALU (ნახორბლარი). ადგ.

NALUMU (ნაღომარი). ადგ.

NACEXI (შეკრული, გაჩეხილი). ადგ. „აქ ადგილი გადაუღობიათ და ამოუვსიათ ხითა და ქვით. ამით წისქვილისათვის სათავე შეუქმნიათ“.

NACAKIRU (ნასაკირალი). ადგ. „უძველესი ნასაკირალია“.

NACMEI (ნათლისმცემელი). ადგ. „აქ ძველი სალოცავი ყოფილა, იოანე ნათლისმცემლის სახელობისა“.

NAWIARU (ნამწევარი). ადგ. „აქ მწევრებით ნადირობდნენ. აქვე ჰქონდათ მწევართა კარავიც“.

NAWISJVILU (ნაწისქვილარი). ადგ.

NAWISJVILU (ნაწისქვილარი). ადგ. „თურქობის დროინდელი წისქვილია.

ნაწისქვილუ (ნაწისქვილარი). ადგ. „აქ მამაჩემი, ცნობილი მომღერალი და მოლექსე ვლადიმერ სალაყაია სახლობდა. იგი ძალიან მახვილგონიერი კაცი იყო. მე მახსოვს მისი ერთი ლექსი, რომელიც ძალიან უყვარდა მამას.

სქვამი ცირა

სი ვარდის ვაუჯგუდე,
ვარდი ზოთონს ვავარდენს,
მუჭოთ ვარდის უჯგუქუნი,
მაფშალია ამართლენს.
თუთას უჯგუ სქან სისქვამა,
ქოთ უჯგუშო ანათენქ,
სქანი ცალი მაჭუალს
ღორონთ განგებ აბადენს.
სქან თოლეფი მაჭუალი
მუჭო ალერგინუნი,
ვაი, შური საყვარელი,
ირო ქუმოჯინუნი.
მა ვაფივქრენქ, თი სისქვამა
სი დღას მეგიდინუნი,
სონ ვარდი რექ, ქომიწიი,
ღვალემს ალგოფინუნი.
ტანი კოხტა, საგანგებოთ
ნაკეთებუ, წკიროწკილი,
ნიჩვი ჭვინტა,
ჩხვინდი ხვიმფა,
თუმა კუნტა, კიროკილი.
მით გოკონი, დეეკვირი,
ვაგაგორე შურო კილი,
მილიონ ფარაშა ქომისხუნუ
ქოპუნ თეში ცოროფილი“.
(ვარდს ჯობიხარ, რადგან ვარდი
ზამთარში არ ვარდობს,
ვარდის მჯობი შემიყვარდი,
ბულბულივით ვგალობ.
მთვარის მჯობნი ქალიც ხარ და
უფრო მეტად ბრწყინავ,
ღმერთმა განგებ გაგაჩინა,
ჩემს დამწველად, ცირა.
შენს მწველ თვალებს ვენაცვალე,
როგორ აციმციმებ,
ღმერთო, მომეც ლხენა მალე,
მუდამ მამზერინე.
ეგ სიტურფე მუდმივია,
აბა, რა დაკარგავს,
სად მოსულხარ სადაური,
მომიყევი აბა.
კოხტა ტანი საგანგებოდ
ჩამოქნილი, ჩამოსხმული,
ტუჩ-კბილ ტურფად მომღიმარე
ცხვირ-პაჭუა, თმა ხვეული.
დააკვირდი, ნაკლს ვერ ჰპოვებ,
უნაკლოა, სანატრელი,
მილიონ ფულს მირჩევნია
ვიყო მისი საყვარელი).

მამამ ძალიან ბევრი ლექსი დაწერა, იმღერა, ზეპირად თქვა, ბევრი მათგანი ჩაიწერეს. ბევრი გამოქვეყნებულია, ბევრს ახლაც მღერიან, ბევრი კი დაიკარგა. მე შემიძლია აღვადგინო რამდენიმე ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ლექსი“ (ვაჟა ვლადიმერის ძე სალაყაია, 50 წ.).

ნაჭკიდუ (ნამჭადარი). ადგ.

ნახარდანუ (ნახარდნარი). ადგ. „აქ ხარდანის ვაზი ყოფილა“.

ნახომუ (ნახურმალი). ადგ. „ხურმა მდგარა დიდი“.

ნახოჯენი (ნახარალი). ადგ.

ნახუტურუ (თავშესაფარი, მითოხუტოლუდეს). ადგ. დიდი ჭირის და შიშიანობის დროს ხალხს ადგილი ჩაუთხრია და იქ იცავდა თავს“ (ლავრენტი ბათუს ძე ცხვიტარია, 70 წ.).

ნოჭადენი (ნამჭედლარი). ადგ. „აქ უძველესი სამჭედლო ყოფილა“.

ნოხორიი (ნასახლარი). ადგ.

ოგჭალეში, ოგჭალუეში (სამზეო). ადგ. „მზიანი ფერდობია, იყო შონურის ჯიშის მაღლარით დამშვენებული“.

ოთიფურე (სათიბი, თიფი-თივა). ადგ. „უძველესი სათიბია“.

ოლეკეში (სალეკო). ადგ. „ამ ადგილებში ლექი, „ლეკი“ ამოჰქონდათ ქსოვილების საღებავად“ (ლ. წულეისკირი). „ცეცხლში გამოწვავდნენ აქაურ თიხას და ამზადებდნენ საღებავს. მას ჭოროხი ერქვა“.

ომუნჩქვეში (სამაჩვო). ადგ. „ტყე იყო და მაღალი ადგილი. აქ სულ მაჩვები ბუდობდნენ. ტყის ქვემოთ ყანებს ანადგურებდნენ“ (ამირან ალექსანდრეს ძე ლიპარტია, 75 წ.).

ონანთხეში (ჩასავარდნი). ადგ. ქვესკნელი.

ონექე (საკაკლე). ადგ. „აქ კაკლის ტყიანი ადგილი იყო“.

ოსხაპუეში (საცეკვაო). ადგ. „საჯარო და თავშეყრის ადგილია“.

ოსხაპუეში (საცეკვაო). ადგილი. „წინათ „ჯარობა“ იცოდნენ“.

ოფშალუეში. ადგ.

ოწოგურეში, ოწოფურეში (ნაყოფიერი). ადგ. „კარგი მიწა ყოფილა, შავი და უხვმოსავლიანი“ (შ. ეჯიბია).

ოჭილე (საჭილო). ადგ. „ჭოლიანი ადგილია, ჭაობიანი, ჭეჭყნარი“.

ოხვამე (ეკლესია). ადგ. დღეს ნანგრევიც არაა.

ოხვამე (ეკლესია). დღეს ნანგრევია.

ოხვამეფერდი (ეკლესიის ფერდობი). ადგ.

ოჯარე (საჯარო). ადგ.

პერტული. ადგ. „აქ პერტენა სახლებულა“ (გიორგი ჭანტურია).

რეჩხი. ადგ. ქვიანი ადგილი.

სააბშილო. აბშილავების (გვარია) უბანი.

საგეგენო. გეგენავების (გვარია) უბანი.

საგვასაიო. გვასაიების, გვასალიების (გვარია) უბანი.

საგრიგოლიო. გრიგოლიების (გვარია) უბანი.

საეჯიბიო. ეჯიბიების (გვარია) უბანი.

სათირქიო. თირქიების (გვარია) უბანი.

საკულავო. კულავების (გვარია) ნასახლარი.

სალაგვანო (საქვევრო). ადგ. აქ „ჭუბურდიხა, ანუ წაბლისფერი მიწაა და ქვევრების გამოსაძერწად იყენებდნენ.

სამატახერიო. მატახერიების (გვარია) უბანი.

საონდიარო (საძოვარი). ადგ.

საფილიო. ფილიების (გვარია) უბანი.

საღირსქუო (ღირსქუების უბანი). ადგ. „აქ ღირსქუები სახლებულან. დღეს ამ გვარის ხალხი აქ არ სახლობს“ (გ. ჭანტურია).

საჩეხი (გასაჩეხი). ადგ. „ტყე ყოფილა, ხშირსახმარი, ყოველდღიური საჭიროებისათვის გასაჩეხი“.

სახარბედიო. მთაა. „ამ მთის შეფენაზე ხარბედიები ესახლენ. ამიტომ სახარბედიოს ეძახიან“.

საჯიქიო. ჯიქიების (გვარია) უბანი.

სეხმინდორა (სეხის მინდორი). ადგ. „ვიღაც სეხი სახლებულა და მისი დიდი მინდორი და კარ-მიდამო ყოფილა“.

სურონი (სუროიანი). ადგ.

სქურია. ღელე. ადგილიც.

სქურიაში პიჯი (სქურია პირი). ჭალა.

სხუნელია. ადგ. მაღალი ადგილი. კურკუცა.

ტეგი (ტყე). ადგ. დღესაც ტყეა.

ტეგი (ტყე). დღესაც ტყეა.

ტიტიგური. წყაროა. „იგი მონასტრიდან მოედინება. კარგი წყაროა“.

ტოგეში (ტგა. ტობა, ღრმა ტობა – ტობეში).

ტოპჩა პიჯი (ტოპჩა პირი). ღელეს ჭალა.

ტოხირი (ამოთლილი, ამოღრუებული). ამოტეხილი. ადგ.

ფალალეში. ადგ.

ფერდი (ფერდობი). ადგ.

ქარდეფიში დიხა (ქარდავების მიწა). ადგ.

ქაცარი, ქარცარი (თიკანი). ადგ.

ქვაგი (გამოქვაბული). დღესაც გამოქვაბულია.

ქვაგი (გამოქვაბული). საინტერესო კარსტული წარმონაქმნია. ქვის ოთხი, საკმაოდ ვრცელი იარუსი კიბის მსგავსად მაღლდება ქვაბამდე. მეოთხე რეგისტრზე არის ერთტალანიანი, საკმაოდ ვრცელი გამოქვაბული.

ქირჩონა. ადგ.

ქოისი (იყოს შენი). ადგ.

შარყვაში ნოხორიი (შარყვას ნასახლარი). ადგ.

შეშანოხორიი (შეშას ნასახლარი). ადგ.

შქაღელე (შუაღელე). ღელე და ადგილი.

ჩედიხა (თეთრი მიწა). ადგ. „აქ თეთრი მიწის კარიერი დღესაცაა“.

ჩიტაიაში ნოწონიი (ჩიტაიას ნაყანარი). ადგ.

ჩხარი. ღელეა. გამოედინება გამოქვაბულიდან. ძალიან სუფთა და ცივი წყალი მოდის.

ჩხარნა. ადგ.

ჩხირი. ადგ.

ჩხირონა (ჩხირნარი). ადგ.

ჩხოროწყუ (ცხრაწყარო). ადგ. „ამ ფერდობზე ცხრა წყარო ჩამოდის. ძალიან ლამაზი ადგილია“ (ლუდიკო პეტრეს ძე წულეისკირი, 55 წ.).

ცაცხვი გეტახილი (ცაცხვი გადატეხილი). ადგ.

ციიპიჯი (ცის პირი). ჭალა.

ციი. მდინარე.

წალამონი. ადგ. შალაფა.

ჭაჷაგუნა. ადგ. „გადმოცემით აქ ხვამა (ლოცვა) ცოდნიათ. დიდი და ძლიერი ღვთაება ყოფილა ჭაჷაგუნა. მას თაყვანს სცემდნენ წულეისკირების წინაპრები“ (ლ. წულეისკირი). „იგი ჯგარაგუნა – ფუტკრის ღვთაება უნდა იყოს“ (ბოჯგუა).

ჭითალეე (წითელი ღელე). ღელე. „ღელე და მისი მიდამოები თურქობის დროს ნაბრძოლი ადგილია. იმდენი ხალხი დახოცილა, რომ ღელე და მისი ნაპირები სისხლით გაპოხილა. ახლაც წითელი წვეთები წვეთავს ნაპირებიდან და ღელეში ჩადის. ღელეს ნაპირებზე არის წითელი ყვავილი (ჭითაპირი), რომლისგან წამალს ამზადებდნენ თურმე ჩვენი ძველები“.

ჭითაწყარო (წითელი წყარო). ღელეა.

ჭილანდარი, ცილანდარი. ადგ. საძოვარია.

ჭოინა (საჭოლო, ჭილიანი). ადგ.

ხაბალიში. ადგ.

ხაბო (ჩანაქცევი). ადგ. „წყალს ჩაუხრამავს“, ჩაუქცევია, დღესაც ჩადის წყალი და აქცევს ადგილს“. კანიონის მსგავსი ხეობა იქმნება“.

ხინწკონა. ადგ. ქვიანი ადგილი.

ხოჯონა (ხარობა). ადგ. საყანე მასივი.

ჯაპხენი. ღელე. მოდის მდ. სკურიდან.

ჯვეში ნაშარუ (ძველი ნაგზაუ). ადგ. „ძველი გზა გადიოდა, მოხუცებს ახსოვთ მხოლოდ“ (ანდრო სალაყაია).

ჯვეში შოშე (ძველი სოშე). გზა.


მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
საქართველოს რაიონის ტოპონიმიკური ატლასი
ნოსირის სასოფლო საბჭო
მასშტაბი 1:25 000
პირობითი ნიშნები
სასოფლო საბჭოს საზღვრები
მდინარეები
გზები
სასოფლო საბჭო

ნოსირი

სასოფლო საბჭო მდებარეობს რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეზე, ქალაქ ცხაკაიას აღმოსავლეთით. აქ ნიადაგი წითელმიწა და ეწერია. სას. საბჭოს დასავლეთით საზღვარს მიუყვება მდინარე ტეხური. მისი ჭალები, იქით-აქეთა მხარეს, ამ სასოფლო საბჭოს ეკუთვნის. მდ. ტეხურს და მის ჭალებს ჩასდევს სას. საბჭოს ტერიტორია თვით რიონამდე, სადაც შესართავიდან ახალი სოფლის ტერიტორია იჭრება კუთხედ. მდინარის პირები აქ ტეხურის ნოყიერი შლამითაა დალექილი და უხვმოსავლიანია. მისი ცენტრალური ნაწილის წითელმიწა ნიადაგს ძველთაგანვე იყენებდნენ კერამიკულ წარმოებაში. საბჭოთა ხელისუფლების დროს აქ 70-იან წლებამდე არსებობდა აგურ-კრამიტის ქარხანა. სოფლის ჩრდილოეთი ნაწილის ნაყოფიერი ალუვიური ნიადაგი გამოყენებულია დაფნის, ეთერზეთოვანი კულტურებისათვის, განვითარებულია ვაზის კულტურაც. არის ხილეულიც და ბაღჩეულიც. სას. საბჭოს ტერიტორიაზე, მის ჩრდილოეთ ნაწილში, მდ. ტეხურის პირას არქეოლოგიური ძიებით მიკვლეულია უძველესი III-II ათასწლეულების საცხოვრისი, მდიდარი ენეოლითური და ბრინჯაოს კულტურა. მას თხრიდა დოც. დომენტი ქორიძე. თხრა ბოლომდე მიიყვანა და ძეგლი საფუძვლიანად შეისწავლა დოც. ელგუჯა გოგაძემ. აქ საცხოვრებლად იმ უძველეს დროში ადამიანებს გამოყენებული ჰქონიათ ჯარგვალა სახლები, რომლის მუხის ძელები გამოვლენილ და შესწავლილ იქნა სპეციალისტების მიერ. ამ სოფელში დაიბადა და აღიზარდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი პეტრე ქავთარაძე.

ბანძაში შარა (ბანძის გზა). ადგ. „აქ გადიოდა რიონის პირიდან ბანძისაკენ გზა. ამ გზით ვაჭრები ურმით და ეტლებით დადიოდნენ. ურმებით დაჰქონდათ საქონელი“.

ბარბალეკარი (წმინდა ბარბალეს ეკლესიის წინ მოედანი). ადგ. „აქ წმ. ბარბალეს ეკლესია მდგარა. დღეს არ დგას“.

ბელქანიაში ნოხორი (ბელქანიას ნასახლარი). ადგ.

ბერღალი (ბერის ღელე). ადგ. „აქ ბერს წყარო გაუთხრია და ღელედ მიუშვია. დღეს ჩამშრალია“.

ბერწულონა (ბროწეულნარი). ადგ. „ეს ადგილი სულ შემოკავებული იყო და გაშენებული იყო ბროწეული. ბროწეული დღესაც გვხვდება. იცოდა ძალიან მსხვილი, წითელი, ტკბილი ბროწეული“. ახლა საყანეა.

ბიჭიაში ნოხორი (ბიჭიას ნასახლარი). ადგ.

გიძე ტყა (გრძელი ტყე). ადგ. „ეს ადგილი სულ ნამდინარევია. აქ მაღალი კუნძული ყოფილა“ (შ. ოდიშარია).

გუდური. ადგ. „საყანე ჰქონიათ ალანიებს. ბატონიშვილებს უჩუქნიათ მათთვის. ყოფილა შემთხვევა, მასზე დავაც ატეხილა. გუდური სამ ფართობად იყოფა: ჭინეთი, ჭანუეთი, ჭანუდიდი“.

დიხაზურგა (მიწაზურგა). ადგ. „ძველი ნასალოცვარია. აქ დღესაც ვპოულობთ უძველეს ქოთნებს, დოქებს, ა. შ.“ (ლევან ტაგუს ძე შონია, 80 წ.).

ენწერგინძე (გრძელი ეწერი). ადგილი.

ენწერი (ეწერი). ადგ.

ეჯიბური. ადგ.

ზუგუ (მიწაზურგა). ადგ. მიწაზურგაა. „უხსოვარ დროიდან აქ ტეხური მიდიოდა თურმე. ყველგან წყალი იყო. ეს ადგილი კი ამაღლებული იყო და ზედ ხალხი ცხოვრობდა. 1914 წელსაც ტეხური ადიდდა, მაგრამ ზუგას ვერ გადაუარა“. ტოპონიმი ერთგანაც გვხვდება.

თელაში ჯინჯი (თელის ძირი). ადგილი.

თურძული. ადგ. „ნათურქ ადგილად თვლიან. წინათ ტყიანი ადგილი იყო. ახლა საყანე მასივია და საძოვარი“.

კარიეთი (საკარე). ადგ. „უბნის, ადგილის სახელწოდებაა. ამ ადგილზე ამჟამად რკინიგზის პატარა სადგურია, ნოსირის სას. საბჭოს ცენტრში. კარიეთი მისი უძველესი სახელწოდებაა. იგი ორი სიტყვისაგან შედგება. „კარი“ და „ერთი“. წინათ აქ ივანე დადიანის წინაპრებს სახლ-კარი ჰქონიათ. იგი ღობეთი იყო შემორაგული. მოურავი შეკითხვია ბატონს, რამდენი კარი გავაკეთოთო, და ბატონს უპასუხნია – კარი ერთიო. ამის შემდეგ ამ ადგილს ეს სახელი შემორჩენია“ (გ. ხუხუნი).

კირცხალიაში კარი (კირცხალიას კარი). ადგილი. „ოჯარე ადგილი“.

მარაგანი. ღელე.

მარიანანწყუ (მარია ჩანაქცევი). ადგ. „აქ და ძმას შეუცდენია. ამიტომ მიწა ჩაქცეულა და მარია და მისი ძმა ჩაუტანია. აქ ერთადერთი ცაცხვი მდგარა დიდხანს. დღესაც დგას და ჭაობია. მას ხალხი დღესაც შიშით გვერდს უვლის“ (შ. ოდიშარია).

მაღალია (მაღალი ადგილია). ადგ.

მორცხულა (მორცხვია). ადგ. „ყურძნის ჯიშია, აქ მაღლარზე ყოფილა ეს ჯიში მიშვებული“.

ნადოხორუ (ნასახლარი). ადგ. „დადიას სასახლე მდგარა აქ“.

ნადოხორუ (ნასახლარი). ადგ. „მას ჭილაში ნოხორუსაც (ჭილას ნასახლარსაც) ეძახიან. ჭილას გვარი გაწყვეტილა, მტერსა და ჭირს გაუწყვეტია. ჭილა და გოშუა ერთ აღდგომა დღეს ერთად უნდა მოსულიყვნენ სალოცავად. გოშუამ კაცი გააგზავნა, მაგრამ კაცი დაიბნა და ამბავი ვერ მიუტანა ჭილას. გოშუა ადრე მივიდა. ჭილამ დაიგვიანა. მაშინ ჭილამ შეურაცხყოფად მიიღო და ერთმანეთს დაესივნენ. ორსული ქალებიც კი ამოწყვიტეს. ამის შემდეგ ორივე გვარი ამოწყდა. აქ გვიან ოდიშარიები დასახლდნენ“ (ოდიშარია შალვა ანდროს ძე, 79 წ.).

ნადუქანუ (ნადუქნარი). ადგ.

ნაკარუ (ნაკარვალი). ადგილი.

ნაკლასუ (ნასკოლარი). ადგ. „ძველი სკოლა, ხის სასკოლო ნაგებობა იდგა აქ“.

ნანწყვი (ჩაქცეული). ადგ. „ადგილი ჩაქცეულია. იგი დაწყევლილ ადგილად მიაჩნდათ“.

ნაორტვილუ (ნაბოსტნარი). ადგ. „ბატონის დიდი ბოსტანი ჰქონიათ გაშენებული ყმებს. აქ მოწეულ ბოსტნეულს ზუგდიდში აგზავნიდნენ თურმე“.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი). ადგ. „დღეს ირგვლივ შემოზღუდული გორაკია. უძველეს „ნაოხვამუდ“ თვლიდა ჩვენი ძველები“.

ნაპატრუ (ნაპატრალი), ადგ. „აქ ვიღაც ბერძენ პატრის – პეტრეს ჰქონია კარავი და კარ-მიდამო. იგი ექიმი კაცი ყოფილა, ხალხს კურნავდა, გაჭირვებულს შველოდა, თანაც ფრანგულ ლოცვას ასწავლიდა. ძალიან კარგი კაცი ყოფილა, ბევრი მოწაფეც ყოლია. პატრი პეტრე აქვე მომკვდარა“.

ნასელუ (ნასელარი) ადგ. „აქ წინათ სელი მოჰყავდათ და მისგან სელის ტილოს ამზადებდნენ. სელის მარცვლისაგან ქუმუს აკეთებდნენ. ქუმუ რბილი და სასიამოვნო საჭმელი იყო. ქუმუს ნახარშიც სამკურნალო იყო. მას დიდი პატივით ეპყრობოდნენ. ხალხურ ლექსში მღერიან: „ქუმუ რექ დო ქუმუწყარი“ (სელი ხარ და სელის ნახარში). ასევე სელის ტილოსაგან კერავდნენ ტანსაცმელს, საცვლებს. ხალხურ ლექსში მღერიან: „სუში კურთა თინა ხოლო კუნტა“ (სელის ნიფხავი და ისიც მოკლეო). ვის ჰქონდა გლეხთაგან იმის შესაძლებლობა, რომ უკეთესი ნიფხავი ცმოდა. ხშირად ასეთს ერთმანეთისაგან ინათხოვრებდნენ ხოლმე, როცა სტუმრად მიდიოდნენ“ (ლევან შონია).

ნასერუ (ნაღამარი). ადგ. „აქ გადაუღამებია, გაუთენებია, ღამე გაუტარებია მთიდან წამოსულ ხალხს“.

ნასილაფუ (ნასილარი). ადგ.

ნასილუ (ნასილარი, დასილული). ადგ. „აქ ნოყიერი საყანე და ბაღი ყოფილა, წყალს მოუსილია. მდინარე ტეხურს არაერთხელ გადაუვლია ზედ“.

ნაფაცერუ (ნაფაცერალი, ფაცერ ნადგამი), ადგ. „აქ წინათ წყალი მიდიოდა და ფაცერს დგამდნენ. დღეს საყანეა“.

ნაფოშტუ (ნაფოსტარი). ადგ. „აქ იყო ძველი ფოსტა, აქ უცვლიდნენ დილიჟანს ცხენებს. აქ ასვენებდნენ მათ“.

ნაშანუ (ნაწყაროსწყალარი). ადგ. „ცუდად გასავლელი, ჭოჭყნარი, ჭაობიანი ადგილია“.

ნაჩხუბუ (ნაბრძოლარი). ადგ. „აქ თურქობის დროს დიდი ბრძოლა მომხდარა. ბევრი ხალხი გაწყვეტილა. ჩვენს ჯარს გაუმარჯვნია და თურქი გაურეკია. ჩვენი ჯარი თურქს გამოკიდებია და ხოფამდე უდევნია. ამას მღერიან კიდეც ხალხურ სიმღერაში: „აბა, ულა ხოფაშა, თურქიშ მახარობაშა“ (აბა, წასვლა ხოფაში, თურქის სახლობაში) (ლევან შონია).

ნაძილამუ. ადგ. ყამირი მიწა.

ნაწისქვილუ (ნაწისქვილარი). ადგ.

ნაწყურგილუ (ნაწყაროსწყალარი). ადგ. „წყაროსწყალი ყოფილა წინათ“.

ნაჭვუ (ნაჭვავარი). ადგ. „ჭვავი ეთესა წინათ“.

ნაჭირუ (ნაჭირალი). ადგ. „დიდი განაჭირი, შავი ჭირით განადგურებული ადგილია. შემდეგ ხალხი დიდხანს ზედ არც სახლობდა და არც არაფრისათვის იყენებდა მას“.

ნაჭკიდუ (ნამჭადარი). ადგ.

ნაჭოკუ (ნაჭოკარი). ადგ.

ნახარდანუ (ნახარდანი). ადგ. „აქ მაღლარზე ხარდნის ვაზი იყო მოშვებული. ხარდანი მაღალ, გადახრილ ხეებზე გადებულ ჭიგოებზე გაბმული ვაზია, ორი მეტრის და ხშირად მეტის სიმაღლეზე, მაგრამ არა ვერტიკალურ, არამედ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში. ისხამდა ძალზე ბევრს. ყურძენი ეკიდა ხარდანზე. შავი, გრძელი, წოწოლა ყურძენი იცოდა. კარგი ღვინო დგებოდა. მწიფდებოდა ოქტომბერში“ (შალვა ოდიშარია, სერგი მალანია).

ნახაჯუ (ნაცერცვალი). ადგ.

ნაჯარუ (საჯარო). ადგ. „აქ ჯარობა იცოდნენ. აქვე რუსის ჯარის ყაზარმაც მდგარა“.

ნაჯიხუ (ნაჯიხარი, ნაციხარი). ადგ. „ძველად აქ საყარაულო ციხე მდგარა“.

ნაჯოგუ (ნაჯოგარი). ადგ.

ნაჯოგუ (ნაჯოგარი). ადგ. „აქ სულ ბატონიშვილების ჯოგი მდგარა. აქ ჭყეშეფი, მწყემსები ყოლიათ და კარვები მდგარა“.

ნეძიჯინჯი (კაკალძირი). ადგ. „დიდი კაკალი მდგარა აქ, ჯარობა იცოდნენ“.

ნიძური. ადგ. დღეს დაფნის პლანტაციაა.

ნოსირი (ნაისლარი, დასილული). ადგ. 1. „ეს ადგილი მდ. რიონისა და ტეხურის მიერ არაერთხელ ადიდებით გადასილულა, ამიტომ ადგილს ნოს-

ირს, დასილულს ეძახიან“ (სერგი ვლადიმერის ძე ალანია, 59 წ.). 2. „ნოსირის ტერიტორიაზე ნასახლება სირიების გვარი. ისინი სხვაგან გადასახლებულან, ადგილს ნოსირი შერქმევია“ (გ. ხუხუნი). 3. „ნოსკირი, ნასაკირუა, ნაზაოდუა, ნასაკირავი ადგილიაო“.

ნოფუჩუ (ნაფიცარი). ადგ. „აქ ქალბატონს დაუფიცნია, რომ გლეხებს ამ მიწას მისცემდა. ამიტომ ადგილს ნაფუჩუ დარქმევია“ (მარო გაბუნია).

ნოქერი (ნაქერალი). ადგ. „აქ ქერსა თესდნენ წინათ“.

ნოყონიი (ნაყანარი). ადგ.

ნოჭკერი (ნაჭერი). ადგ. „გლეხების კუთვნილი მიწაა. ბატონყმობიდან განთავისუფლებული გლეხებისათვის ეს ადგილი ჩამოუჭრიათ“ (მარო კოხტას ასული გაბუნია, 82 წ.).

ნოხორი (ნასახლარი). ადგ.

ოგუმეში (გადასასხმელი). ადგ. „წყალი მდგარა აქ. უამრავი თევზი ყოფილა. წყალს აგუბებდნენ, დაწრეტდნენ, აასხამდნენ და თევზს იჭერდნენ. ახლა აქ ძირითადად დაფნაა გაშენებული“.

ოქოგალე (სახორბლე). ადგილი. „აქ სულ ხორბალს თესდნენ“.

ოლუმოლი (საღომო). ადგილი. თესდნენ ღომის ღომს.

ოხვამე (ეკლესია). „წმინდა გიორგის ეკლესია მდგარა. აქ ოდიშარიებს თავისი ძირის ხატი ჰქონდათ, „ჯინჯიში ხატი“.

ოხაჯე (საცერცვო). ადგ.

პაპაში ნოხორიი (მღვდლის ნასახლარი). ადგ.

რჩქონი (კუნძული). ადგ.

საანგურო (სააგურო). ადგ. „აქ აგურ-კრამიტის ქარხანა იდგა“.

საბოხუო. ბოხუების (გვარია) უბანი.

სალაყაიაში ნოხორიი (სალაყაიას ნასახლარი). ადგ. „აქ სალაყაიები სახლებულან, შემდეგ მათ ქორქია და კორძაია მიმატებიან. შემდეგ ქორქიხე (ქორქიას ქალი) გაყოლია კირცხალიას, იგიც შემომატებიათ“ (მიშულირი, მიშუირეფირე).

საონდიარო (საბალახო). დიდი მასივია. სულ საძოვარი ყოფილა. დღეს საყანე და ჩაის პლანტაციაა.

საჩეხი (საჩეხი) ადგ. „ტყე, რომელიც ყოველდღიური საჭიროებისათვის იჭრებოდა, იჩეხებოდა. იგი საუცაბედი საჭრელი იყო“.

სქუჩე. მდინარე.

ტეგი (ტყე). ადგ. აქ სულ გაუვალი ტყე ყოფილა.

ტეხირპიჯი (ტეხურის პირი). ადგ.

ქვიშონა (ქვიშნარი). ადგ.

ქვიშონა (ქვიშნარი). ადგ. „აქ ტეხური ქვიშას აგროვებდა, რაც აჰქონდათ ურმებით გზების მოსაკირწყლავად და სახლების ასაშენებლად. ასევე წვრილი ტალახა ქვიშა მიჰქონდათ ყანის მოსაქვიშად. იგი 15-20 წელიწადი უხვ მოსავალს იძლეოდა“.

ჩემური. ადგ. „ვაზის ჯიშად თვლიან. ჯიშს არავინ მოსწრებია“.

ჩერგვალონა (ჩერგვალის ადგილი). ადგ. „ყურძნის ჯიშია ჩერგვალი. აქ მაღლარზე გადიოდა თურმე. დღეს არ არის“.

ჩიჩუაში ნადოხორუ (ჩიჩუას ნასახლარი). ადგ.

ცაცხვჯინჯი (ცაცხვნარი). ადგ. „ოდესღაც ოჯარე (თავშესაყარი) ადგილი ყოფილა“.

ძიგირონა (ეკალბარდნარი). ადგ. დიდ ფართობზე ეკალ-ღიჭი ყოფილა. დიდი მუხები მდგარა. ეს ადგილი კოკი ბატონიშვილის საკუთრება ყოფილა. მუხის ტყე, ძლიერ საშიშარი და საყაჩაღო ყოფილა. „ეშმაკიში ადგირს“ (ეშმაკის ადგილს) ეძახდნენ“.

წყურგილი (წყაროსწყალი). წყაროა. „კარგი, მსუბუქი და ცივი წყალია“.

ჭალედიდი (დიდი ჭალა). ადგ.

ჭალეკიდე (ჭალა გვერდი). ადგ.

ჭანიეთი (ჭანიების ნასახლარი). ადგ. „წინათ აქ ჭანები სახლებულან“.

ჭანიორი (ჭანების ნასახლარი). ადგ. „აქ ჭანები სახლებულან“.

ჭერეხი (გგმოშულადირი – გამოწოვილი, გადაღლილი მიწა). ადგ. „უნაყოფო, მოუსავლიანი. დღეს დაშრობილი და გამოყენებული. ზედ დაფნის პლანტაციაა“.

ჭყონჯინჯი (მუხის ძირი). ადგ. „დიდი მუხა მდგარა“. აქ „შაყარუა“ (შეკრება) იცოდნენ და ხვამაც“ (ლოცვაც).

ჯაპონა (თუთნარი). ადგ. „თუთის ტყე ყოფილა წინათ“.

ჯვეშ ნაშარუ (ძველი გზა). ადგ. „აქ ძველი გზა გადიოდა უძველეს დროს. მოხუცებისაგან გამიგონია, რომ ძალიან ძველად უცხოელი მოგზაურები დადიოდნენ თურმე ამ გზით“.

ჯვეში ნასოშუ (ძველი ნასოშარი). ადგ. „ძველთაძველი გზა გადიოდა თურმე ამ ადგილას“.

ნოქალაქევი

ნოქალაქევი ნოქალაქევის სას. საბჭოს ცენტრია. სასოფლო საბჭო მდებარეობს ცხაკაიას რაიონის ზედა ზონის შუა წელზე. მისი რელიეფი მრავალფეროვანია. აქ არის ბარიც, მთისწინაცა და მთაც. ნიადაგი აქ წითელმიწა-ალუვიურია. უძველესი დროიდან სოფელი სამეურნეო კულტურის საინტერესო პრაქტიკით ხასიათდება. იგი ტრადიციად შემორჩა ამ სოფელს გვიანამდე.

ისტორიულად ეს სოფელი და, კერძოდ, მისი ცენტრი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ცენტრი იყო მთელი კოლხეთისა. აქ იყო ქუჯის ციხე ციხე-გოჯი, რომელსაც ბერძნული წყაროები არქეოპოლისს ეძახის. არქეოპოლისი ქართულად ნიშნავს ძველ ქალაქს. ამდენად, იქნებ იგი უძველესია ქუჯის მიერ აშენებული რეზიდენციაზე (IV საუკუნის დასასრული ჩვენს ერამდე).

ძეგლი იმითაა საინტერესო, რომ აქ უნდა იყოს წარმართული კულტის – მისარონის საკულტო კერა. იქნებ ის ოთხთაღიანი მცირე სათავსი უძველესი ნაოხვამუა, სალოცავია, როგორც ამაზე ხალხური გადმოცემები მიუთითებენ და რაზედაც მეტყველებს მსგავსი ნაგებობა ლეძაძამეში (ჯეგემარიონი). აქაც ასეთივე ოთხთაღიანი, კუთხური ნაგებობა გადაკეთებულია ორნავიან ბაზილიკად და გვიან ქრისტიანულ ეკლესიადაა მიღებული.

ქალაქში მიმდინარეობს გათხრები წლების განმავლობაში. მას ხელმძღვანელობს ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია, პროფ. პ. ზაქარაიას, ნ. ლომოურის და ვ. ლექვინაძის მეთაურობით.

პროფ. პ. ზაქარაიას ხელმძღვანელობით აღმოჩენილ იქნა მრავალი საინტერესო ძეგლი, მათ შორის, უძველესი ეკლესიის ნანგრევი, რომელიც თავისი არქეოლოგიური აღნაგობით ძალიან ძველი და საინტერესო ჩანს. ასევე, აქვე ნაპოვნია მეფეთა და მოქალაქეთა აბანო, ცენტრალური გათბობით, რამდენიმე სასახლე და სხვა დანიშნულების ნაგებობანი. გაწმენდილია მრავალი საინტერესო ერთეული. გამოჩნდა გორაკის თხემზე გაშენებული ქალაქი. გათხრილია მრავალი სამარხი, რომელიც თვალსაჩინო წარმოდგენას გვიქმნის გვიანი ბრინჯაოს ხანის დიდებულ ადგილობრივ კულტურაზე. ეს დიდებული ქალაქი და ციხე მურვან ყრუმ დაანგრია, ამის შემდეგ აქ უკვე ქალაქი არ არსებობს.

ნოქალაქევის სას. საბჭო, გარდა ამ ციხისა, მრავალი საინტერესო ძეგლითა და ადგილითაა ისტორიულად საინტერესო.

სას. საბჭო იყოფა სამ ძირითად უბნად: გახომილა, ძიგუდერი და ჯიხა. აქედან „ჯიხა“ სას. საბჭოს ისტორიული და ადმინისტრაციული ცენტრია. სოფელი ერთხანს დიდი ჭირიანობისა და უბედურების შემდეგ ეკონომიკურად გაღარიბდა.

ახლა სას. საბჭო ერთ-ერთი თვალსაჩინო საბჭოა ცხაკაიას რაიონის სას. საბჭოებს შორის. მისი ტოპონიმიური აღნაგობაც უაღრესად საყურადღებოა:

აბანო. „ეს ჯაბახეთის გაღმაა, ტეხურას ნაპირზე, ჭალაში. გადმოცემით, ეს აბანო ვინმე გვიშიანს გაუშენებია. ცოტა ხანს მას ჰქონია. შემდეგ დადიანებს წაურთმევიათ და მიუსაკუთრებიათ“ (გ. ხუხუნი). ადგ.

აბაშა ჭალე (აბაშა ჭალა). ჭალა.

არჩიაში გინნახორა (არჩიას გადანასახლარი). ადგ.

ბარკა. ღელეა.

ბარკაღელე (ბარკაღელე). ადგ.

ბედიაში ჩქონი (ბედიას კუნძული). ადგ.

გახომელა (გამხმარი სერი). პატარა სოფელია მდ. ტეხურას გაღმა, მის დასავლეთით. ამ სოფლის შუაში გადის ღელე გახომელა. „ხომია გადან“ – გამხმარი სერიდან ჩამომდინარეობს ეს ღელე, ამიტომ მიიღო ეს სახელი. ეს სერი უწყლოა, მშრალი. აქედან გამოდის ღელე, რომელიც გვალვიანობის დროს თითქმის შრება. იგი უერთდება მდ. ტეხურს.

გვაძაბიაში ნოხორი (გვაძაბიას ნასახლარი). ადგ.

გვიტიშური. ადგ.

გითოტახილი (გამოტეხილი). ადგ.

გიორინგ (დასადგომი). ადგ.

გუგერი. ადგ.

გუძური (ზუგა). ადგ.

დაგირებული (დაგირავებული). ადგ. აზნაურს არ ჰქონდა საშუალება, ვაჭრისათვის ვალი გადაეხადა და ეს მიწა დააგირავა“.

დადიაში ნოხორიი (დადიანის ნასახლარი). ადგ.

დავითიში ჯიხა (დავითის ციხე). ადგ. „დავით დადიანის ეს ციხე მდებარეობს გურძემიას ტეხურთან შეერთების კონცხზე. მაღალი ადგილია. ამ ადგილას ყოფილა ურდულიანი კარები, სათოფურიანი გალავნის ჩასაკეტად. ციხის ნანგრევია გორაკზე შემორჩენილი“.

დედამოკა (დედაორსული). ადგ. მდ. ტეხურის ერთი ადგილის სახელია. არის გადმოცემა, რომ როცა სამეგრელოში თათრები მძვინვარებდნენ, მცხოვრები ხალხი გახიზნული იყო მთებსა და ტყეებში. ასეთი გახიზნულებით სავსე იყო ნოქაჲაქენის მთები. გახიზნულებიდან ერთი ფეხმძიმე ქალი (მოკა-მეგრ.) მდინარე ტეხურიდან წყლის ამოსატანად კოკით მიდიოდა, მოულოდნელად მას თათარი შეეჩეხა. თათარმა ქალს ძალდატანება მოუნდომა. ქალი გაექცა თათარს. მიადგა იმ ადგილს, სადაც ეხლა „დედამოკას“ უწოდებენ. მაშინ „დედამოკას“ კლდეები ერთმანეთს ძლიერ იყო მიახლოვებული. ქალმა გადახტომის მიზნით იმ ადგილს მიაძახა, შენც მოკა და მეც მოკაო (შენც მძიმე და მეც ფეხმძიმეო), დამეხმარეო. კლდეები ერთმანეთს მიუახლოვდა და ქალი გადახტა მეორე მხარეს. თათარი დარჩა ერთ მხარეზე, ქალი კი მიიმალა. ამიტომ ეწოდაო ამ ადგილს „დედამოკა“. სხვა გადმოცემა განმარტავს, რომ დედა გადახტა, მაგრამ მეორე ნაპირამდე ვერ გააღწია წყალში, ქვაზე დახტა და ქვად გადაიქცაო. ახლაც სდგასო ის ქვა იქ. ამიტომ ეძახიან „დედამოკასო“.

დიხაზურგა (მიწაზურგა). ადგ. „უძველესი ნაოხვამუა“.

დიხაკურზე (მიწაზურგა). ადგ. „ეს მიწაზურგა უტუ მიქავას ჯარის ფეხსაცმლის ნაფხეკისაგან აშენებულა“.

დოხორე (სასახლე მდგარა). ადგ.

ებაღათური. ბაღათურიების (გვარია) უბანი.

ვერხია. ადგ.

ვერხონა (ვერხვნარი). ადგ.

თედოში ტყა (თედორეს ტყე). ადგ. (ბაგრატ სევერიანეს ძე ბესელია, 71 წ.).

თურქიში ნაჯარუ (თურქის ნაჯარალი). ადგ. „აქ თურქის ლაშქარი მდგარა“.

თურქიში წყურგილე (თურქის წყაროს წყალი). წყარო.

თურჭუმონი. ადგ. „გოჭი უჭამიათ ამ ადგილზე თავადებს“.

იოსეში ტყა (იოსეს ტყე). ადგ.

კახიანიში ფერდი (კახიანის ფერდობი). ადგ.

კვადაცონა. ადგ.

კვადაცონი (ეკლარის ტყიანი). ადგ.

კიმოთიაში ნოხორიი (კიმოთიას ნასახლარი). ადგ.

კიცონა. ადგ. „აქ ქვებს თხრიდნენ მიწიდან და კეცებს თლიდნენ“.

კლასი (სკოლა). ადგ. „აქ სოფლის სკოლა იდგა, ხის ნაგებობა“.

კომუნა. ადგ. „აქ პირველი კომუნა შეიქმნა. იარსება 1932 წლამდე“.

კორძახიაში კარი (კორძახიას კარი). ადგ. „მოედანია, კორძახიების სამი ოჯახი წამოსულა სვანეთიდან. აქ მოსულან. ერთი ძმა ნოქალაქევში დადიანს შეფარებია, მეორე ძმა – აბაშაში ბატონიშვილს, მესამე ძმა – ბანძელ ფაღავას. კორძახიების თური რამდენიმე დინოდ იყოფა. მათ შორის ჩემი მამა-პაპისაგან ვიცი, იყვნენ ქაქუჩიასქუალეფი, გუჩაკიასქუალეფი, მახუტიასქუალეფი, გიოტა სქუალეფი“ (ბ. კორძახია).

კორძახიაში ნოხორი (კორძახიას ნასახლარი). ადგ.

კოღოსქუაში ნოხორიი (კოღოშვილის ნასახლარი). ადგ.

კოწიაში მეედანი (კოწიას მოედანი). ადგ.

ლაკადა. ადგ. „მთელი მთის შეფენას, მთის ფერდობებს, რაც ჯოლევამდე ვრცელდება, ეწოდება ლაკადა ადგილი“ (ბ. კორძახია).

ლეგაგუე. გაგუების (გვარია) უბანი.

ლეზარძუე. ზარქუების (გვარია) უბანი.

ლელიანი (ელნარი, იელის ტყიანი). ადგ.

ლეფონა (ტალახიანი). ადგ. გადმოცემით აქ ხალხი სახლობდა. აქ ყოფილა დიდი ხე ლეფონი. საუკეთესო ადგილი იყო. შემდეგ ხალხი გაწყვეტილა, ადგილი ჭაობს დაუფარავს“.

მელენ გოლა (გაღმა მთა).

მიქვანაში დიხა (მიქვანას მიწა). ადგ.

მუკოტახილი (ჩამონგრეული, ჩამომსხვრეული). გზა. მიდის ტეხურას დასავლეთის მხარეზე. კლდის ქარაფები ჩამომსხვრეულია და გზაა გაყვანილი, რაც ნოქაჲაქენის ხიდის (ძველი ხიდის) თავიდან იწყება და თავდება მდ. გურძემის შესართავთან. დაახლოებით 3 კილომეტრია. გზა გაყვანილია XIX საუკუნის 90-იან წლებში. „მანამდე უბრალო საცხენო გზა გადიოდა, კიცხაფონიდან ლებაღათურიეს გავლით“.

ნაბერალუ (ნადროშალი). ადგ.

ნადოხორუ (ნასახლარი). ადგ.

ნადუქნუ (ნადუქნარი). ადგ.

ნადუქნუ (ნადუქნევი). ადგ. „აქ სავაჭრო რიგი იყო, დუქნებით და სახელოსნოებით. იყო ბაზარიც“.

ნაისირუ (ნაისლარი). ადგ.

ნაკანტორუ (ნაკანტორალი). ადგ. „კოლმეურნეობა „წინსვლის“ კანტორა იდგა“ (დავით ივანეს ძე ბესელია, 65 წ.).

ნაკანცელარუ (ნაკანცელარალი). ადგ. „ძველი სამამასახლისო კანცელარია მდგარა“.


გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ცხაკაიის რაიონის ტოპონიმიკური ატლასი
ნოქალაქევის სასოფლო საბჭო
მასშტაბი 1:25 000
პირობითი ნიშნები:
სასოფლო საბჭოს საზღვრები
მდინარეები
გზები
ძველი გზა
სასოფლო საბჭო

ნაკანცელარუ (ნაკანცელარი). ადგ.

ნაკლასუ (ნასკოლარი). ადგ. „ოთხწლედი იყო“.

ნაკომუნარუ (ნაკომუნარალი). ადგ. „ეს იყო ლებაღათურეს ცენტრის კომუნის ადგილსამყოფელი“.

ნალობუ (ნალობიუ). ადგ.

ნამაშინუ (ნამანქანარი). ადგ. „აქ იყო ხე-ტყის სახერხი ქარხანა“.

ნაოხვამუ (ნაეკლესიარი). ადგ. „ბატონიშვილების ეკლესია მდგარა“.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი). ადგ.

ნაფოშტუ (ნაფოსტარი). ადგ.

ნაქერუ (ნაქერალი). ადგ.

ნაქოგალუ (ნახორბლალი). ადგ.

ნაღომუ (ნაომარი). ადგ. „ნაომარი, ნაბრძოლი ადგილია“.

ნაჩხუგუ (ნაბრძოლალი). ადგ. „აქ უბრძოლიათ ბატონებს – ჯაიანებს და გრიგოლიებს“.

ნაჭვი. ადგ.

ნაჭვიტილარი (ნაჭვიტილურალი). ადგ. „აქ მაღლარზე სულ ჭვიტილურის ვაზი იყო მიშვებული“.

ნაჭკადუ (ნასამჭედლარი). ადგ. „უძველესი სამჭედლო ყოფილა. აქვე წურავდნენო რკინას“.

ნახარდანუ (ნახარდნალი). ადგ.

ნახაჯუ (ნაცერცვალი). ადგ.

ნაჯარუ (ნაჯარალი). ადგ.

ნაჯარუ. ადგ. „აქ ჯახუებს ჰქონდათ ძირის ხატი. მასზე ლოცულობდნენ ორშაბათობით. „თუთაშხიობის“ – ორშაბათობის სალოცავი იყო“ (ბესარიონ სამსონის ძე ჯავახია, 86 წ.).

ნაჯახუ. ადგ.

ნეძონა (ნიგვზნარი). ადგ.

ნინუაში ნოხორიი (ნინუას ნასახლარი). ადგ.

ნოქალაქევი (ნაქალაქარი). ადგ. ცენტრი ს/ს. ისტორიულ წყაროებში იგი არქეოპოლისის, ძუჯის ციხის და შემდეგ ნოქალაქევის სახელითაა ცნობილი. ქალაქის ქვედა ციხის ცენტრში, მის სარიტუალო ადგილზე დგას V საუკუნეში ნაგები ბაზილიკური ეკლესია; გვიან იგი გუმბათიან ნაგებობად გადაუკეთებიათ. არის გადმოცემა: აქ ყოველი წლის ივნისის თვეში მოდიოდა ჭანეთიდან ჭანი კაცი. იგი ჯდებოდა ეკლესიის ეზოში, უცდიდა შუადღეს, შუადღის მზე როცა ეკლესიის ჯვარის ჩრდილს დააყენებდა საფლავს, კაცი მის გაწმენდას იწყებდა, გაასუფთავებდა, ზედ მცირე ტრაპეზს გააწყობდა, ზედაშეს მოასხამდა, პურს გატეხდა და შემდეგ ისევ ჭანეთისაკენ გაუდგებოდა გზას. როცა მას ჰკითხეს, რატომ აკეთებ ამასო? უპასუხა, აქ ჩვენი წინაპრები სახლობდნენ, აქ მარხია ისინი. როცა მტერმა გვაიძულა გავსახლებულიყავით, საფლავი აქ დარჩა, ამიტომ ჩამოვდივართ, ყოველთვის ვწმენდთ, ვასუფთავებთ მას. შემდეგ ზედაშეს მოვასხამთ და ასე ვიხსენებთ და ვახსენებთ შთამომავლობას ჩვენს წინაპრებსო. ეს იცოდნენ ამ წინაპრის შვილებმა და შვილთაშვილებმაო. ახლა უკვე მათი უკანასკნელი წარმომადგენელი ვარ. ჩემს შემდეგ აქ არავინ მოვაო. ეს იყო 1927 წელს; ასე გვიამბო მღვდელმა მ. კალანდარიშვილმა.

ნოჭაბაკენი (დატკეპნილი). ადგ.

ნოხორიი (ნასახლარი). ადგ.

ოგურთე (საბურთაო). ადგ. „კოღოსქუაეფიში მიწაზე იყო“.

ოთუთუმე (სათამბაქო). ადგ.

ოისირე (საისლო). ადგ.

ოკიგოე (საკიბოო ღელე). ადგ.

ომინჯეში (საპატრონო). ადგ.

ოქროწყუ (ოქროს წყარო). ადგ. წყარო.

ოღუმოლი (საღომარი). ადგ.

ოჩარეში. ადგ.

ოძილე (საძებნი). ადგ. „მდინარეზე თევზის სამყოფს, ბეჩოს ასე ეძახდნენ“.

ოჭინახონა (სასაწნახელე). ადგ. „აქ საწნახელს თლიდნენ და იყენებდნენ, ყიდიდნენ კიდეც. აქ დიდი ბაღი ყოფილა, იგი წაქცეულა და ოჭინახუ, საწნახელი გაუთლიათ მისგან“ (გ. ხუხუნი).

ოხარდანე (სახარდანო). ადგ.

ოხვამე (ეკლესია). დღესაც დგას ეკლესია. იგი ორმოც მოწამეთა სახელობისაა, აგებულია V საუკუნეში. ეკლესია ბაზილიკური ყოფილა. შემდეგ, უფრო გვიან, გუმბათიანად გადაუკეთებიათ“.

პაპარზენი (მღვდლის ველობი). ადგ.

პერტიაში ნოხორიი (პერტიას ნასახლარი). ადგ.

პეტრეში ნაკარუ (პეტრეს ნაკარვალი). ადგ. აქ გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა იპოვა გვიანი ბრინჯაოს სამარხები. შემდეგ არქეოლოგიური ძიება განაგრძო და ბოლომდე მიიყვანა დოც. ე. გოგაძემ.

ჟვანური. ადგ. „აქ, ამ ფერდობზე ჟვანურის უძველესი, ჩვენებური ჯიშის ვაზი იყო მაღლარზე. კარგი ღვინო ცოდნია“ (ბუცუნა ბათის ასული ასათიანი, 78 წ.).

ჟიმოენი ჩქონი (ზემო კუნძული). ადგ.

რკინახინჯი (რკინის ხიდი). ხიდი. მდინარე ტეხურზეა, ორმოც მოწამეთა ეკლესიის პირდაპირ. ხიდი გაკეთებულია XIX საუკუნის დასასრულს, 1884-85 წლებში“ (გ. ხუხუნი).

როკია. ადგ.

როკონა (როკნარი). ადგ.

როხიღეე (როხი ღელე). ღელე.

როხონა. ადგ.

საავადმყოფო. დღეს აქ საექიმო პუნქტია. XIX საუკუნის ბოლოს აქ საავადმყოფო ყოფილა“.

საახალიო. ახალაიების (გვარია) უბანი.

საბესელიო. ბესელიების (გვარია) უბანი.

საკილასონიო. კილასონიების (გვარია) უბანი.

საკორძახიო. კორძახიების (გვარია) უბანი.

სანიკიძეში ნოხორიი (სანიკიძეს ნასახლარი). ადგ.

საორიო. ადგ.

საჩეხი. ადგ. „სადაო მიწა ყოფილა ჩიჩუებსა და არზიანებს შორის“.

საციო (საცილო). ადგ. „ამ ადგილზე დიდი ცილობა და ბრძოლა ჰქონიათ. ეს ადგილი „მონაჭვარაა“, ახოდ აღებულია, „ნაცალაა“ – მონაცელია“.

სივანა. ადგ.

ტარიელიში დიხა (ტარიელის მიწა). ადგ.

ტეგი (ტყე). ადგ.

ტეგი. ადგ.

ტეხირჭაე (ტეხურ-ჭალა).

ტოგაში. ადგ. „ტბებია დამშრალი“.

ტუნეი (გვირაბი). გვირაბია, ციხეში შესასვლელი.

ტყეგუჩაში ნოხორიი (ტყეგუჩავას ნასახლარი). ადგ.

უშქურონა (ვაშლნარი). ადგ.

ფონიღაი (თავთხელი ღელე). ღელე. კორძახია ბაგრატ კონსტანტინეს ძე, 78 წ.).

ქადარიაში ნოხორიი (ქადარიას ნასახლარი). ადგ.

ქეჯვარი (ქვის ჯვარი). ადგ. „უძველესი საოხვამურო ადგილია“.

ქუნიერი. ადგ.

ქუცონა (ქუცნარი). ადგ.

ღალუ (ღელე). ღელე.

ღუტუში ტყა (ღუტუს ტყე). ადგ.

შენგელაიაში ნადუქნუ (შენგელაიას ნადუქნევი). ადგ.

შუაღა (შუა ღელე). ღელეა. მართალია, ადგილი წყლიანი და ჭაობიანია, მაგრამ უხვმოსავლიანია დღესაც. ნაყოფიერი ნიადაგია“ (კოსტა ფინიურია, 70 წ.).

შურღაიაში გენაცვილა (შურღაიას დანაკლავი). ადგ.

შუტუში ნადოხორუ (შუტუს ნასახლარი). ადგ.

ჩეოხვამე (თეთრი ეკლესია). ადგ. „ახლა აქ ეკლესიის ნანგრევია მხოლოდ“.

ჩიქვანიში კარი (ჩიქვანის სკარი). ადგ.

ჩოჩხათი. ადგ.

ცაკვაში ნოხორიი (ცაკვას ნასახლარი). ადგ.

ძიგუდერი (საეკლო). სოფ. „ძიგუდერი“ – ეკლიანი, „ძიგირონა“ ეკლნარიდანაა წარმომდგარი. „ძიგირიდუ“ – ეკალი იყო სულ, – ასე განმარტავს ხალხი“.

წალამონი. ადგ.

წინსვლა. ადგ. „აქ ამ სახელობის პირველი კოლმეურნეობა იყო. უბანს შემორჩა სახელი“.

წყარპიჯი (წყლისპირი). ჭალა.

წყურგილე (ცივი წყარო). „მზარელუას ჰქონია „წყურგილი“ აქ. მათ საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი ტრაქტორებით და მანქანებით დაუმუშავებიათ მიწა“ (ფ. ასათიანი).

წყურგილი (წყაროს წყალი). ადგ.

ჭადარჯინჯი (ჭადრის ძირი). ადგ.

ჭაეპიჯი (ჭალის პირი). ადგ.

ჭუნიერი. ადგ. „ვაზნარი იყო“.

ჭყონჯინჯი (მუხის ძირი). ადგ.

ჭყონა (მუხნარი). ადგ.

ხაბუზონა. ადგ.

ხარჩიაში ნოხორიი (ხარჩილავას ნასახლარი). ადგ.

ჯაბახეთი. ადგ. „სადაც ახლა აბანოა, იმის პირდაპირ, ტეხურას გაღმა მდებარეობს. ადგილი საკმაოდ ჩავარდნილია. მისი გაღმა-გამოღმა ცხელი წყლები ამოდის და ცხელი აბანოებია; სახელის შინაარსია – ნიადაგიდან ხელოვნურად ამოხეთქილი, ძველი გამოთქმით, ჯამახეთი – ცხელი წყლის ადგილია. აქ მწყემსებს ჰყავდათ თხის რემა და თავიანთი კარვები ჰქონდათ მოწყობილი. ზამთრის პერიოდში საცხოვრებლად პირველად

ისინი იყენებდნენ ამ ცხელ წყაროებს, შემდეგ ყურადღება მიიქცია და სამკურნალოდ იქნა გამოყენებული“.

ჯავახეთი. ადგ. „მდინარე ტეხურზე ადგილის სახელია. ველობი იწყება მდ. ტეხურიდან, სადაც ამჟამინდელი სამკურნალო წყალია და აღწევს ციხეგოჯამდე. ადგილი ტყიანია. აქ ჯავახიების სამოსახლო ყოფილა. ამიტომ ჯავახეთი ეწოდება. მურვან ყრუს შემოსევის დროს აქ ჯავახიებს ჰქონიათ თავშესაფარი, სახიზარი (პეტრე ფართხუს ძე ზარქუა, 78 წ.).

ჯავახიაში ნოხორიი (ჯავახიას ნასახლარი). ადგ. „ჯავახია ერთი გვარია, ერთი თურია, იგი რამდენიმე შტოდ, რამდენიმე დინოდ იყოფა. რამდენიმე პაპისპაპის შვილებად. სამოხიოში მთელი თური არ შეიძლება შედიოდეს, მისი რამდენიმე დინო შედის, ამასთან, ამ სამოხიოში შეიძლება სხვა თურების კიდევ რამდენიმე დინო შედიოდეს. ეს არის დასახლების სიახლოვის მიხედვით მა-ხო-ენოგა, მახჷონოგა, მახლოგლოგა“ (ფ. ასათიანი).

ჯაპონა (თუთნარი). ადგ.

ჯარიეფიში ნოხორიი (ჯარიების ნასახლარი). ადგ.

ჯვეში ნაოხვამუ (ძველი ნაეკლესიარი). ადგ.

ჯვეში ნაშარუ (ძველი ნაგზური). ადგ.

ჯიქია ნაკარუ (ჯიქიას ნაკარვალი). ადგ.

ჯიქიაში ნოხორი (ჯიქიას ნასახლარი). ადგ.

ჯიხა (ციხე). ადგ. ეს სას. საბჭოს ცენტრია, ის უბანია, სადაც ციხე-ქალაქი დგას.

ჯიხაში კარი (ციხის კარი). ადგილია. ციხის წინ მოედანია.

უშაფათი

სასოფლო საბჭო ცხაკაიას რაიონის ზედა ზონის სოფელია. იგი გაშლილია გორაკ-ბორცვიან ზეგანზე. გორაკ-ბორცვიანი მდებარეობა ამ სოფელს რელიეფურ თავისებურებას უქმნის. არის ტყიანი მასივები, ვაზიანი და ხეხილიანი სამხრეთის მზისგული ფერდობები, ღელეთა პირების საყანე მასივები. ნიადაგი აქაც წითელმინა-კარბონატულია. უძველესი დროიდან სოფელი ვაზის, ხილისა და ბაღჩეულის კულტურას მისდევდა, თესდა ღომსა და ჭადაჭადას, მოჰყავდა სიმინდის უხვი მოსავალი. მასზე გადიოდა არგუეთიდან მომავალი ძველი გზა, ჯოლევი-ლეძაძამე-ფოცხოს გავლით ზუგდიდისაკენ და იქიდან კელასურისაკენ. ეს იყო ისტორიული „ARGUETI-CLISURIS“ გზა. ამ გზის ერთ-ერთი ცენტრი იყო სოფელი უშაფათი.

სოფელში უძველესი დროიდან განვითარებული იყო მესაქონლეობა, სამეურნეო საქმიანობის, ხელოსნური წარმოების საკმაოდ მტკიცე ტრადიცია. იგი მდიდარია ისტორიული ძეგლებითა და ადგილებით. ყოველი კუთხე, მცირე ადგილიც კი, დათაჯულია საინტერესო მიკროტოპონიმებით. უშაფათს სამხრეთით ეკის სას. საბჭო, ჩრდილოეთით – ჩხოროწყუს რაიონი, ჩრდილო-აღმოსავლეთით – ლეძაძამეს და ნოქალაქევის სას. საბჭოები ესაზღვრება.

სოფელში არსებობს რაიონში ერთ-ერთი მოწინავე, ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც თავმჯდომარეობს სოფლის უნარიანი თავკაცი – ვენედიქტე ხუბუა. სოფლის სამეურნეო საქმიანობას მრავალი თვალსაჩინო მშრომელი ადამიანი უდგას, მათ შორის – სოციალისტური შრომის გმირი თამარ სამსონის ასული გოგინავა.

ჩამოვთვლით ამ სოფლის ტოპონიმებს:

AINEJI NOXORI (აინეს ნასახლარი). ადგ.

APARTANIJI WYU (ამპარტავნის წყარო). ადგ. „ასე რატომ ეწოდა, ვერ განმარტავენ“.

BABNOXORI (ბაბნასახლარი). ადგ. „ამჟამად ამ ადგილზე უშაფათის ჩაის ფაბრიკაა. გადმოცემით, ორი ძმა ბოკუჩავა – ბაბუე და სეხნია, სუჯუნიდან უშაფათში გადმოსახლებულან. ბაბუე უშვილოდ გადაშენებულა, სეხნიას შთამომავლობა გამრავლებულა. უშაფათში მცხოვრები ბოკუჩავები ამ სეხნიას შთამომავალნი არიან. ბაბუე რაკი გადაშენებულა, მისი ნამოსახლარი ადგილისათვის უწოდებიათ „ბაბუე ნოხორი“, ბაბუეს ნასახლარი“ (გ. ხუხუნი).

BELEXETI. ადგ.

BULONA (ბალნარი). ადგ.

BABU (სერი). ადგ. „მაღალი ადგილია, სულ საყანე და სავენახე“.

BABU ZURGA (მაღალი ზურგა). ადგ. „ეს იყო სათემო თავყრილობის ადგილი. აქ უტუს კაცები მოსულან და ხალხი უტუს ურდუმში გაუწვევიათ. აქ 1905 წლის რევოლუციის დროს მქადაგებლები მოდიოდნენ თურმე და ქადაგებდნენ ერთობის საქმეს. აქ გულია ლორთქიფანიძის ქალიც კი მოსულა ერთხელ. ამბობენ, მას დაბალი, ჩოფურა, ნაყვავილარი ახალგაზრდა მოჰყოლია. მას გულია კობას ეძახდაო. ამ ახალგაზრდამ აქ ისე მგზნებარედ იქადაგა, რომ ყველა მოხიბლაო. 1918 წლის სამეგრელოს გლეხთა აჯანყების დროს საშა გეგეჭკორის რაზმის წევრებიც კი ყოფილან აქ. მათ აქ რაზმი შეუდგენიათ. ეს ადგილი ყოველთვის მნიშვნელოვანი მოვლენების ცენტრი იყო“ (გ. ძიმისტარაშვილი).

BANAWYU. წყარო. ადგ.

BAJIJI NOWONIJI (გაჯის ნაყანარი). ადგ.

BERUXONA (ქვაღორღდაყრილი). ადგ.

BIDAJI NOXORI (გვიდას ნასახლარი). ადგ.

BITIJI NOXORIJI (გვიტის ნასახლარი). ადგ. „ესეც არჯევანის-ძეა. ისიც და მისი შთამომავლობაც შემდეგ აქედან გადასახლებულან“.

BOCAJI NOXORIJI (გოჩას ნასახლარი). ადგ. „ისიც არჯევანის ძე იყო. ესახლა ამ ადგილას, მისი შვილიშვილები და შვილები აქედან გასახლებულან. ახლა ნასახლარია“.

DESIJI NOXORIJI (დესის ნასახლარი). ადგ.

DIDCYONJINJI (დიდი მუხის ძირი). ადგ. „სალოცავი და საჯარო ადგილი იყო“.

DOBERA (დობილო). ადგ.

DOBEROBA. ადგ.

DRVANA. უბანი.

EKUSKURI. მცირე მდინარეა.

EKUSKURIJI CALA (ეკუსკურის ჭალა). ჭალა.

ENWATI. ადგ.

ENWERI (ეწერი). ადგ.

VAKACONA (აკაციის ნატყევარი). ადგ. „აქ სულ აკაციის ტყე იყო“.

TXIRONA (თხილნარი). ადგ.

IOSIKAJI NOXORI (იოსიკას ნასახლარი). ადგ.

IOSKAJI NOXORIJI (იოსკას ნასახლარი). ადგ.

KADARI. მაღალი, ქვიანი ადგილია. აქ ცაცხვები მდგარა, გაშლილი ველი ყოფილა. აქ სცოდნიათ ჯარობა, ჯარობა სათემოც იყო და საუბნოც. იყო მცირე კუთხის ჯარობა. ყოველ საღამოს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, იკრიბებოდნენ კუთხის მოედანზე, ან რომელიმე მოსახლის სახლის წინ არსებულ გაშლილ ველზე და საუბრობდნენ, მღეროდნენ, ისვენებდნენ. ყოველ შაბათსა და კვირას უბნის თავშესაკრებში, საჯარო ადგილას, იკრიბებოდნენ და აქ ჰქონდათ ცეკვა-თამაში. მოხუცები საუბრობდნენ, არჩევდნენ სოფლის ამბებს. თვეში ან ორ თვეში ერთხელ კი თემი ან მათი დიდი უბანი იკრიბებოდა სათემო თავშესაყრელში და აქ ჰქონდათ „ჯარობა“. საინტერესო იყო ასეთი „ჯარობა“. აქ იმართებოდა ლელო-ბურთი, მარულა, ცეკვა-თამაში. მოხუცები ყვებოდნენ ზღაპრებს, ლექსებს, იქმნებოდა ახალი სიმღერები, სოფლის თავკაცები სოფლის საჭირო საქმეს არჩევდნენ. ზამთრობით ასეთი შეკრება ოჯახებში ჰქონდათ, ვისაც ყველაზე დიდი სახლი ედგა და თვითონაც საკმაოდ გონიერი და მიღებული გლეხკაცი იყო, მის სახლში ცეცხლისპირას იკრიბებოდა კუთხე-მეზობლები და კიდეც ერთობოდნენ და კიდეც სოფლის საჭირო საქმეს არჩევდნენ. ჩვენ ბავშვები ასეთი შეკრებიდან ბევრს ვსწავლობდით“ (გ. ძიმისტარაშვილი).

KADREBOSI KARI (კადრების კარი). ადგ.

KAJONA (კაჟნარი). ადგ.

KLASKARI (სკოლის კარი). ადგ.

KOLOSONA (მწარე სვანური). ადგ. „აქ სულ კოლოშონას ვაზი იყო მაღლარზე, კოლოშონა მწარე სვანურია. შავი ყურძნიანი ჯიშია. ისხამს კარგად. მაჭარი მწარეა, მარცვალიც მწარეა, ღვინდება საუკეთესოდ“.

KOLOSONURI (მწარე სვანური). ადგ.

KOSURI. ადგ. (ნორა გვათას ასული ხუბუტია, 60 წ.).

KUPETI. ადგ.

KURDRELGOYA (კურდღელა მთა). მთა.

LARE. ადგ.

LAJONA (კოპიტნარი). ადგ.

LEBOKUCE. ბოკუჩავების (გვარია) უბანი.

LEGABUNIJI OXVAME (საგაბუნიოს ეკლესია). ადგ.

LEGVESI. ადგ.

LEGOGINE. გოგინავების (გვარია) უბანი.

LEVASI NOXORIJI (ლევას ნასახლარი). ადგ.

LEKUCE. კუჭავების (გვარია) უბანი.

LEXABURZANIE. ხაბურზანიების (გვარია) უბანი.

LEXORE. ხორავების (გვარია) უბანი.

LEXORESI OXVAME (ხორავების ეკლესია). ადგ.

LEXURCILE. ხურცილავების (გვარია) უბანი. „ამ ოციოდე წლის წინათ ეს უბანი ან სოფელი ხშირი მოსახლეობით იყო დასახლებული. ადგილი მდიდარია ხილით და ვაზით, უხვმოსავლიანი ადგილებით, საბალახოებით, ტყითა და ყოველი სიკეთით, წყაროს წყლებით. აქ დაარსდა კოლმეურნეობა. ახლა კი სულ აიყარა ხალხი. სულ რაღაც ორი-სამი მოსახლე სახლობს“ (ჟულია მიხას ასული ხურცილავა, 70 წ.). ნაეზოვარები, ნაოჯახალები, შემოკავებულ-შემორაგული, შემორჩენილია. ბუნება, ჰაერი და წყალი საუკეთესო, ხალხი კი მიდის, ადგილი იცლება...

MACXVARI (მაცხოვარი). ადგ. „მდგარა მაცხოვრის ეკლესია, ახლა დანგრეულია“.

MAJULETI. ადგ. „სულ ნავენახარია“.

METERA. ღელე. ღელე მომდინარეობს სოფ. ნოღიდან, გაივლის სოფ. ფოცხოს და უერთდება მდ. ცივს. განმარტავენ, რომ „სოფელში ორი კაცი დადიოდა, დაჰქონდათ გასაყიდად საღებავი მასალა, მიადგნენ ამ ღელეს გასასვლელად. ერთმა უთხრა მეორეს: ეს ღელე მეტი არაა, მცირეა წყალი და ფეხით გავიდეთო. გადასვლის დროს ერთი დაიხრჩო, მეორე გადარჩა. აქედან დაერქვაო ამ ღელეს მეტი არაა – მეტერა“ (გ. ხუხუნი).

METERIASI JALE (მეტერიას ჭალა). ადგ.

MOXASURI. ღელე. „მოზრდილი ღელეა. მომდინარეობს სოფ. მოხაშიდან, გზაზე იერთებს ხანჯარაღელეს და უერთდება მდ. ცივს. რადგან იგი სოფ. მოხაშიდან მომდინარეობს, მოხაშურს ეძახიან“ (გ. ხუხუნი).

NABALU (ნაბაღარი). ადგ.

NABERALU (ნადროშალი). ადგ.

NABINEXU (ნავენახარი). მთა.

NADOXORU (ნასახლარი). ადგ.

NADUCNU (ნადუქნევი). ადგ.

NAINCU (ჭა ყოფილა). ადგ.

NAISIRU (ნაისლარი). ადგ.

NAKAZARMU (ნაყაზარმალი). ადგ. „აქ აბრეშუმის პარკის საშრობი კერძო ყაზარმა მდგარა“.

NAKANTORU (ნაკანტორალი). ადგ. „პირველი კოლმეურნეობის კანტორა იდგა აქ“.

ვეფვეჭყორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ცხოვრების ზაიონის ტოპონიმიკური ატლასი

უშაფათის სასოფლო საბჭო

ძირითადი ნიშნები:

- სასოფლო საბჭოს საზღვრები
- მდინარეები
- გზები
- სასოფლო საბჭოს

მასშტაბი: 1:20000

ნაკლასუ (ნასკოლარი). ადგ.

ნაკლასუ (ნასკოლარი). ადგ. „სოფლის სკოლის პირველი ხის შენობა აქ იდგა“.

ნანოხორი (ნასახლარი). ადგ. „აქ ლაკიების გვარი სახლებულა წინათ“.

ნაოგინეხუ (ნავენახარი). ადგ.

ნაოისირუ გა (ნაისლარი სერი). ადგ.

ნაოისირუ (ნაისლარი). ადგ.

ნაოსხაპუ (ნასაცეკვარი), „პატარა კუთხის საცეკვაო და თავშეყრის ადგილი იყო“. ტოპონიმი ერთგანაც გვხვდება.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი). ადგ.

ნასედუ. ადგ.

ნასიბგ (სიბაკარი ყოფილა). ადგ. „აქ სიბაკარით იყო გზა გადაკეტილი. სიბაკარი ლარტყებით შეკრული კარია. 3 ვერტიკალურ ლარტყაზე დაკრულია 5-6 ჰორიზონტალური ლარტყა. შემდეგ ჯვარედინად, კუთხიდან კუთხემდე, ორი ლარტყულაა გადაკრული და ამით შეკრული, გამაგრებულია. ასეთ კარს სიბაკარს ეძახიან, ეზოს, ყანის, საერთო კარს. კარები წინათ რამდენიმე სახის ვიცოდით: 1. ღობეკარი, მას ჩელტი კარს ეძახიან. იგი მოწნულია წკნელით და შეკრულია გირგატით; 2. სიბა კარი; 3. ფიცარკარი. ფიცრები შეკრულია ლარტყებით და ბოყვებით. ასეთი კარი კიდია ეზოს შესასვლელში. იგი სამი ცალია. ორი დიდია, სადაც ტრანსპორტი გადის, ერთი პატარა, კუტკარი, აქ ადამიანი გადის. ასეთ კარს ყოველთვის აქვს სახურავი. ორ ბოძზე ორფრთიანი სახურავია გაკეთებული, სახურავი შეკრულია ჭერით. ირგვლივ ლამაზი ჭრილებით დამშვენებული კარნიზი აქვს. ჩარხილკარი – ასეთი კარი დაჩარხულია და ჩარხული ღეროები ჩაკრულია ბოყვებში. ასეთი კარის ქვემო რეგისტრი ხშირად მასიური ფიცრითაა შეკრული. იგი ძალიან ლამაზია“ (შეროზია ტატიანა გრიგოლის ასული, 80 წ.).

ნასიპუ. ადგ.

ნაფაღუ. ფაღავების მამული. ფაღავები თავადები და ბატონები იყვნენ.

ნაფოშტუ (ნაფოსტარი). ადგ.

ნაღუმუ (ნაღომარი). ადგ.

ნაწიფუ (ნაწიფარი). ადგ. „ნაწიფუ სამკურნალო ბალახია“.

ნაწიფუ (ქრისტეს სისხლა). ადგ. „აქ სულ ქრისტესსისხლა ხარობდა. სოფლის მკურნალი ქალები მისგან აკეთებდნენ წამლებს“ (ვარლამ იულონის ძე შეროზია, 58 წ.).

ნაჭკიდუ (ნამჭადარი). ადგ.

ოგლეშანი (ობლე წყარო). წყაროა.

ოგჟათე (სამზეო). ადგ. „სოფლის ცენტრია. ამ ადგილს სამზეოს ეძახიან. აქ სულ ობჟა॥ე ვაზი ესხა მაღლარ თხმელის და ხურმის ხეებზეო“ (ვ. ტყებუჩავა).

ოისირე (საისლო). ადგ.

ოისირეში ფერდი (საისლეს ფერდობი). ადგ.

ომანდარინე (სამანდარინო). ადგ. „ბაღია მანდარინებისა. წინათ დიდი იყო, მაგრამ 1947 წელს გახმა“.

ომუნჩქვეში (სამაჩვო). ადგ.

ოსკალე (სასკო, საფუტკრე). ადგ.

ოშაყარე (თავშესაყრელი). ადგ. „აქ ჯარალუა“, „შაყარუა“ თავშეყრა იცოდნენ“.

ოჩე (სათეთრო). ადგ. „აქ დობილო იყო ჩეშის. თეთრყურძნიანი ჯიშია, ძალიან კარგად ისხამს, აქვს გრძელი, საკმაოდ მსხვილი მტევანი. მწიფდება კარგად. ისხამს ბევრს. დგება საუკეთესო თეთრი ღვინო“ (არისტრახ ნესტორის ძე ქვარცხავა, 50 წ.).

ოწარწაეში (საწანწალო). ადგ. „სულ ქარი ქროდა, სულ წანწალებდა სიცივე“.

ოხვამე (ეკლესია). ადგ.

ოხვამე (ეკლესია). ადგ. დღეს სასაფლაოა მხოლოდ.

ოხვამე (ეკლესია). ეკლესია „წმინდა გიორგის სახელობისა იყო. დღეს აქ მარტო სასაფლაო და ეკლესიის ნანგრევია დარჩენილი“.

ოხვამეფერდი (ეკლესიის ფერდობი). ადგ.

ოხვამეში ფერდი (ეკლესიის ფერდობი). ადგ.

ოხოჯენი (სახარე). ადგ.

ოხოჯური (სახარე). ადგ.

ოჯალეში. ადგ. „ამ ადგილს სულ ვენახი იყო მაღლარზე. განსაკუთრებით ამისათვის ხალხი იყენებდა ხურმის და ვაშლის ხეს. ამბობენ ამაზე უფრო კარგად მწიფდება ყურძენიო. ამასთან ხურმა და ვაზი, ვაშლი და ვაზი ერთმანეთს ეხმარებიან საზრდოობაშიო, „ართმაჟიას ორძღანანია“ – ერთმანეთს აძღებენო. აქ სულ სახეო ოჯალე ვაზი იყო. წინათ დაბალი თუ ხარდანი არავის ჰქონდა, არც იცოდნენ დაბლარი ვაზი. სულ სახეო ოჯალე ვაზი იყო. ყველა ჯიში ოჯალეში იყო. აქ რომ ვაზი ყოფილა, მამაჩემისაგან და ბაბუასაგან გამიგონია. იგი ოჯალეში ყოფილა, შონურის მსგავსი. იცის წვრილი მტევანი, წვრილი მარცვლები, მაგრამ მტევანში მარცვლები მჭიდროდ ასხია. ხშირად ისხამს, მწიფდება გვიან დეკემბერში და იცის ძალიან კარგი ღვინო. ახლა აქ ასეთი ვაზი არ არის. მგონია, იგი სალხინოში მარკოზ სურმავას ჰქონია“ (გ. ძიმისტარაშვილი).

ოჯაფაზე (საანწლე). ადგ. „ანწლნარი იყო“.

ოჯოღორე (საძაღლო). ადგ.

პაპაში გიოლაფუ (მღვდლის გადანავარდი). ადგ.

ჟვანოხორიი (ჟვანიას ნასახლარი). ადგ. „იქ ჩემი ჩაის პლანტაციაა. პლანტაცია მე გავაშენე, მე ვუვლი და კარგ მოსავალსაც მაძლევს. მე ღარიბი გლეხის შვილი ვიყავი, ძალიან ღარიბი და გაჭირვებული ცხოვრება მქონდა, მაგრამ შრომამ გამახარა, გამაბედნიერა, შრომამ ქვეყანა გამაცნო, უშრომელი კაცი მეცოდება“, – ამბობს სოციალისტური შრომის გმირი, მეჩაიე ქალი, თამარ სამსონის ასული გოგინავა, 52 წლის.

სამსოში ნოხორიი (სამსონას ნასახლარი). ადგ.

საჯაიაში ნოხორიი (საჯაიას ნასახლარი). ადგ.

სკვერმენჯი (შველ-მენჯი). ადგ. „გადმოცემით, ამ ადგილას ულრანი ტყე ყოფილა, სადაც შველები ბუდობდნენ. ღელე მენჯში ჩადიოდნენ და აქ სვამდნენ მარილიან წყალს, ამიტომ ამ ადგილს შვლის მარილიანი წყალი, „სკვერმენჯი“ შეერქვაო“ (გ. ხუხუნი).

ტაგუში ნოხორი (ტაგუს ნასახლარი). ადგ.

ტეგი (ტყე). ადგ.

ტეგი. ადგ.

უფაიკარი (უფალკარი). ადგ. „აქ უფალკარის ეკლესია მდგარა. მისი მომსწრე არავინაა“.

უშაფათი. ს/ს ცენტრი. „უშაფათი თემის სახელწოდებაა. ხალხურ გადმოცემებში ასე განმარტავენ ამ სახელწოდებას და მის წარმოქმნას: 1. „უშა-უშანგი კაცის სახელია, „თი“ სახლ-კარს ნიშნავს. ყოფილა ვიღაც დიდკაცი, დიდი ოჯახის პატრონი. მას „მახორობა“ სახლ-კარი ჰქონია იმ ადგილზე, სადაც დღეს უშაფათია. აქედან ადგილს უშას სახლ-კარი, უშას ოჯახი – „უშას თი“ დაერქვაო“; 2. უშა კაცის სახელია, ბათი თათრული სიტყვაა და ნიშნავს დაღუპვას, მოკვლას, ე. ი. უშა დაიღუპა, უშა მოკლესო. თურქებს მოუკლავთ ამ სოფლის ერთადერთი მცხოვრები დიდი უშა; 3. იქ, სადაც დღეს უშაფათია, იმ ადგილებში თათრობის დროს თათრის ჯარი უშას ხელმძღვანელობით შეებნენ მეგრელთა ჯარს. ომში უშა სარდალი მოკლეს მეგრელებმა, თათრის ჯარი დაიბნა და გაიფანტა ყვირილით: უშა მოკლეს ე. ი. უშაბათიო. ჯარი გაიფანტა, გაიქცა. ამის შემდეგ სოფელს ეს სახელი შემორჩა“ (გ. ხუხუნი).

უჩაშონა (შავი სვანური ადგილი). ადგ. „აქ ძველ დროში შავყურძენა სვანური ჯიშის ვაზი იყო მაღლარზე. მტევნები პატარაა, მარცვლებიც შედარებით წვრილი, მაგრამ მჭიდროდ ზის მტევანში. იცის ძალიან ხშირი მოსხმა. მწიფდება კარგად. ღვინო იცის საუკეთესო“ (ჯულია მიხას ასული ხურცილავა, 70 წ.).

ქაფანა. ადგ.

ყვარიათი (ყვავოჯახი). ადგ. „აქ მოსახლე კაცს ყვარია (ყვავი) ერქვა და მას ძალიან დიდი და გაკეთებული ოჯახი ჰქონია. ამ ადგილს მის გამო ყვარიათი (ყვარიას კარ-მიდამო – სახლ-კარი, ოჯახი შერქმევია“ (ტყებუჩავა ვალერიანე აქვსენტის ძე, 71 წ.).

შქადოგერა (შუა დობილო). ადგ.

ჩიჩუაში ჭაე (ჩიჩუას ჭალა). ჭალა.

ცაცხვჯინჯი (ცაცხვძირი). ადგ. „ოჯარე ყოფილა“.

ცაცხუჯინჯი (ცაცხვის ძირი). ადგ.

ციი. მდინარე.

ციიპიჯი (ცივის პირები). ჭალა.

ცხვიტიონი. ადგ. „საჯარო, თავშეყრის ადგილი იყო“.

ძიმისტარასძუაში ნოხორიი (ძიმისტარაშვილის ნასახლარი). ადგ.

ძუგა (მიწაზურგა). ადგ.

წიფურონ ფერდი (წიფლნარი ფერდობი). ადგ.

წიფურონა (წიფლნარი). ადგ.

წყუ (წყარო). ეს არჯევანიძეების წყაროა, ძველთაძველი წყარო, ძალიან რბილი და ცივი“.

წყუ (წყარო). წყაროს წყალი.

ჭახაში ნოხორი (ჭახას ნასახლარი). ადგ. „ძველთა ძველი სახელია. ეს ყოფილა არჯევანის – ძის ნასახლარი“ (შემდეგ ამომწყდარან) (გერმანე კირილეს ძე ძიმისტარაშვილი, 67 წ.).

ჭიფეშონა (წვრილი შონური). ადგ. „იმ ადგილებში მაღალ ხურმის, თხმელის, ვაშლის ხეებზე გაშვებული იყო ძველი ვაზი, წვრილი შონური: შავყურძნიანი ჯიშია, იცის კარგი მოსხმა. მწიფდება კარგად, წვრილი, ოდნავ წოწოლა მტევანი იცის, აქვს წვრილი მარცვალი. ღვინო დგება შონურივით კარგი“ (ვ. შეროზია).

ჭყონკვათირი (მუხა მოჭრილი). ადგ.

ჭყონა (მუხნარი). ადგ.

ხაგო (ხრამი). ადგ.

ხანჯარა. ღელე. პატარა ღელეა. უერთდება მოხაშურ ღელეს.

ხატმამული (ხატის მამული). ადგ. „ეს ხატის მიწა იყო. მას ხალხი უფასოდ ამუშავებდა და მთელ მოსავალს ეკლესიას აძლევდა ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე“ (ვ. ტყებუჩავა).

ხურციაში ჭაე (ხურცილავას ჭალა). ჭალა.

ჯაპონა (თუთნარი). ადგ.


გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ცხოვეიის რაიონის ტოპონიმიკური ატლასი
ფოცხოს სახოფლო საბჭო
მასშტაბი 1:25 000
ძირითადი ნიშნები:
სახოფლო საბჭოს საზღვრები
ძლიერი ტყეები
გზები
სახოფლო საბჭო

ფოცხო

სასოფლო საბჭო მდებარეობს ცხაკაიას რაიონის ჩრდილო-აღმოსავლეთით. მას ჩრდილოეთით გეგეჭკორის რაიონი ესაზღვრება, აღმოსავლეთით და სამხრეთით – ლეძაძამეს სას. საბჭო, დასავლეთით – უშაფათის სას. საბჭო და ჩხოროწყუს რაიონი. სასოფლო საბჭოს რელიეფი გორაკზეა გაშლილი. ნიადაგი წითელმიწა ალუვიური ხასიათისაა. გორაკის თხემებსა და ფერდობებზე კარბონატული ნიადაგია. სოფელი უძველესი დროიდან განთქმული იყო ვაზის, ხილის, ბოსტნეულისა და ბაღჩეულის სიუხვით. წარსულში თესდნენ ღომს, ჭადა-ჭადას, ქერს, ხორბალს, ცერცვს, ლობიოს. იყო სამეურნეო და კულტურული ცხოვრების უხსოვარი დროიდან მომდინარე საინტერესო ტრადიცია.

სოფელზე გადიოდა სამეგრელოს გულის – ზუგდიდისაკენ მიმავალი გზა. სოფლის მოსახლეობის სწავლა-განათლების საქმეს წლების განმავლობაში ემსახურებოდა მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე ᲘᲣᲚᲝᲜ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲨᲐᲛᲐᲗᲐᲕᲐ. დღეს სოფლის სამეურნეო ცხოვრება მრავალდარგოვანია. მათ შორის წამყვანია ჩაის, დაფნის კულტურა, მესაქონლეობა, რაც სოფლის მშრომელთა კეთილდღეობის მძლავრ ბაზას წარმოადგენს. საინტერესოა სოფლის ისტორიული წარსული. აქ მრავალი ისტორიული ძეგლი და ადგილია, რომელთანაც დაკავშირებულია უაღრესად საყურადღებო ტოპონიმი.

ᲐᲑᲐᲜᲐᲬᲧᲐᲠᲝ (აბანოს წყარო). ადგ. „გოგირდის წყალი ამოდის მიწიდან. დღეს საერთო გამოყენებაში არაა“.

ᲐᲑᲐᲜᲐᲨᲘ ᲔᲜᲬᲔᲠᲘ (აბანოს ეწერი). ადგ.

ᲐᲗᲐᲝᲖᲘᲨᲘ ᲭᲐᲔ (ათაოზის ჭალა). ადგ.

ᲐᲜᲢᲝᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (ანტონის ნასახლარი). ადგ.

ᲐᲠᲩᲘᲐᲨᲘ ᲬᲧᲣ (არჩვას წყარო). წყარო.

ᲐᲤᲐᲫᲣᲠᲝᲑᲐ. ადგ.

ᲑᲐᲩᲘᲐᲨᲘ ᲙᲐᲠᲘ (ბაჩიას კარი). ადგ.

ᲑᲐᲮᲕᲐᲨᲔᲚᲘ (ბახვასეული). ადგ.

ᲑᲔᲭᲐᲨᲘ ᲜᲐᲬᲕᲘᲚᲐ (ბეჟას ნაკლავი). ადგ.

ᲑᲔᲠᲙᲘᲐᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (ბერკიას ნასახლარი). ადგ.

ᲑᲔᲠᲯᲚᲐᲜᲘ (ბერი, ჯღლანის ოსტატი). ადგ. „აქ თურმე ბერი სახლობდა, იგი ხარაზიც ყოფილა და სოფლის ქვრივ-ობლებს და გაჭირვებულებს ჯღლანებს ურემონტებდა კიდეც. აქ ჰქონია კარ-მიდამო“ (ალე ბათუს ძე ტორჩინავა, 75 წ., კლიმენტი გიორგის ძე ჭაავა, 62 წ.).

ᲑᲔᲩᲣᲨᲘ ᲭᲐᲔ (ბეჩუს ჭალა). ჭალა. ადგ.

ᲑᲘᲙᲘᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (ბიკის ნასახლაარი). ადგ.

ᲒᲐᲑᲠᲘᲝᲨᲘ ᲤᲔᲠᲓᲘ (გაბრიოს ფერდი). ადგ.

ᲒᲕᲐᲓᲐᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (გვადას ნასახლარი). ადგ.

ᲒᲘᲒᲝᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (გიგოს ნასახლარი). ადგ.

ᲒᲘᲜᲝᲮᲝᲜ ᲜᲝᲬᲝᲜᲣ (გაღმა ნაყანარი). ადგ.

ᲒᲝᲒᲣᲚᲘᲔᲤᲘᲨᲘ ᲢᲔᲑᲘ (გოგულიების ტები). ადგ.

ᲒᲝᲓᲐᲗᲣᲠᲝᲜᲘ (გოდათურისა). ადგ. „აქ ვაზი ყოფილა გოდათური გაშენებული მაღლარზე. შავი ყურძნიანი ჯიშია“ (აკაკი გახუს ძე გოგინავა, 88 წ.).

ᲒᲝᲩᲐᲨᲔᲚᲘ (გოჩასეული). ადგ.

ᲒᲣᲗᲔᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (გუთეს ნასახლარი). ადგ.

ᲒᲣᲠᲫᲔᲛᲘᲐ ᲭᲐᲔ (გურძემიას ჭალა).

ᲒᲣᲠᲫᲔᲛᲘᲐ. მდინარე.

ᲒᲣᲫᲐᲨᲘ ᲢᲝᲑᲐ (გუძას ტბა). ადგ.

ᲓᲔᲨᲐᲛᲐᲗᲣ. ადგ.

ᲓᲘᲢᲝᲨᲘ ᲜᲐᲬᲕᲐᲜᲣ (დიტოს ნაყანარი). ადგ.

ᲓᲝᲑᲔᲠᲐᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (დობილო ნასახლარი). ადგ. „ეს ფერდობი უძველეს დროში დასახლებული იყო. აქ, ამ ფერდობზე მზისგულ ადგილზე, რომელსაც მთელი დღე მზე ანათებს, ვენახის საინტერესო დობილოები ყოფილა. მაღლარზე გაშენებული ყოფილა შონური, ჭვიტილური, ჩეშონური, კოლოშონური და სხვ.“ (შალვა ექვთიმეს ძე ტორჩინავა, 70 წ.).

ᲓᲝᲑᲔᲠᲐ. ადგ.

ᲓᲝᲑᲔᲠᲝᲑᲐ. ადგ.

ᲓᲠᲘᲛᲘᲨᲘ ᲨᲔᲙᲔᲑᲣᲘ (დრიმის შემოკავებული). ადგ.

ᲔᲬᲐᲑᲘᲠᲫᲔ (ჩამოგრძელებული). ადგ.

ᲔᲚᲘᲐᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (ელიას ნასახლარი). ადგ.

ᲔᲚᲝᲜᲐ (იელნარი). ადგ. „იელი იყო სულ“.

ᲔᲜᲬᲔᲠ ᲛᲘᲓᲝᲠᲘ (ეწერ მიდორი). ადგ.

ᲔᲜᲬᲔᲠᲘ (ეწერი). ადგ.

ᲔᲜᲬᲔᲠᲤᲐᲠᲗᲝ (ფართო ეწერი). ადგ. „დიდი მოედანია“.

ᲔᲚᲝᲜᲑᲐ (იელის სერი). ადგ.

ᲖᲘᲮᲐᲠᲓᲔᲜᲔ ᲤᲔᲠᲓᲘ (ზიხარდენე ფერდობი). ადგ.

ᲖᲝᲡᲘᲛᲔᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (ზოსიმეს ნასახლარი). ადგ.

ᲖᲣᲠᲔᲨᲘ. ადგ.

ᲗᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲬᲧᲣ (თარიას წყარო). ადგ.

ᲗᲣᲓᲝᲜᲘ ᲤᲝᲪᲮᲝ (ქვემო ფოცხო). ადგ.

ᲘᲡᲘᲓᲝᲠᲔᲨᲘ ᲭᲐᲔ (ისიდორეს ჭალა). ადგ.

ᲙᲐᲓᲐᲠᲘ. ადგ.

ᲙᲐᲭᲝᲜᲐ (კაჟნარი). ადგ.

ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲘᲐᲨᲘ ᲠᲝᲑᲣ (კვირიკიას ხრამი). ადგ.

ᲙᲘᲓᲐᲜᲔᲫᲘ (კედელ კაკალა). ადგ. „აქ ქვითკირის კედელზე ყოფილა ნიგოზი ამოსული“.

ᲙᲘᲢᲣᲜᲘᲐᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (კიტუნიას ნასახლარი). ადგ.

ᲙᲘᲦᲝᲑᲘᲐ. ადგ.

ᲙᲝᲙᲘᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (კოკის ნასახლარი).

ᲙᲝᲚᲝᲨᲐ (მწარესი). ადგ.

ᲙᲝᲠᲢᲔᲨᲘ ᲜᲐᲝᲡᲮᲐᲠᲣ (კორტეს ნასაცეკვარი). ადგ.

ᲙᲣᲠᲙᲣᲖᲐ (გუძუბა) გორაკი. ადგ. „აქ კვირაობით ჭარკინობა იცოდნენ“.

ᲚᲔᲐᲠᲖᲘᲐᲜᲔᲨᲘ ᲢᲔᲑᲘ (ლეარზიანეს ტები). ადგ.

ᲚᲔᲘᲜᲯᲒᲘᲔ. ინჯგიების (გვარია) უბანი.

ᲚᲔᲛᲐᲒᲐᲜᲔ. ადგ.

ᲚᲔᲛᲐᲜᲐᲠᲘᲔ (მანარიების ნასახლარი). ადგ.

ᲚᲔᲛᲝᲠᲪᲮᲣᲚᲔ (სამორცხულო). ადგ. „მორცხულები სახლებულან“.

ᲚᲔᲢᲝᲠᲩᲘᲜᲔ. ტორჩინავების (გვარია) უბანი.

ᲚᲔᲢᲧᲔᲑᲣᲩᲔ. ტყებუჩავების (გვარია) უბანი.

ᲚᲔᲥᲐᲓᲐᲠᲔ. ქადარიების (გვარია) უბანი.

ᲚᲔᲨᲝᲜᲘᲔ. შონიების (გვარია) უბანი.

ᲚᲔᲭᲔ. ლეჭიების (გვარია) უბანი.

ᲚᲔᲭᲧᲘ (ჭეჭყი, ჭაობიანი). ადგ.

ᲚᲔᲮᲐᲠᲩᲘᲚᲔ. ხარჩილავების (გვარია) უბანი.

ᲛᲐᲗᲣᲛᲣᲠᲘ. ადგ.

ᲛᲐᲘᲐᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (მაიას ნასახლარი). ადგ.

ᲛᲐᲙᲘᲐᲨᲘ ᲙᲐᲠᲘ (მაკიას კარი). ადგ.

ᲛᲐᲠᲘᲜᲔ. ადგ. „უძველესი ნასალოცვარია“.

ᲛᲐᲮᲐᲠᲣᲚᲘ (მახარობელი). ადგ.

ᲛᲔᲔᲓᲐᲜᲘ (მოედანი). ადგ.

ᲛᲔᲔᲓᲐᲜᲘ (მოედანი). ადგ. „აქ ბურთაობა, ლელობურთის თამაში, ჯარობა და „შაყარუა“ (თავშეყრა) იცოდნენ“ (ბერძენიშვილი თარასხან პეტრეს ძე, 78 წ.).

ᲛᲔᲔᲜᲘ ᲔᲜᲬᲔᲠᲘ (გაღმა ეწერი). ადგ.

ᲛᲔᲜᲯᲘ (გაღმა მარილი). ადგ. „მინერალური წყალი ამოდის. საქონელი ძლიერ ეტანება“.

ᲛᲔᲜᲯᲘ. ადგ.

ᲛᲔᲢᲔᲠᲐ. ღელე.

ᲛᲘᲡᲐᲠᲝᲜᲘ. ადგ. „მითრას, მისარონის სალოცავია“.

ᲛᲘᲡᲙᲣᲠᲘ. ადგ.

ᲛᲘᲮᲐᲛᲐᲛᲣᲘ. ადგ.

ᲛᲝᲮᲐᲨ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘ (მოხას ველობი). ადგ. „ტყეში მოკლავდნენ ნადირს და აქ ხარშავდნენ, „თაქ მოხაშუნდეს“. აქ მახას თესდნენ, ხორბალს. ამიტომ მახაში შეერქვა, მახაშ მინდორი“ (ჯოლოგუა ივანე დავითის ძე, 73 წ.).

ᲛᲝᲮᲐᲨᲘ. სოფელია. 1. „ამბობენ, აქ მოჰყავდათ მახას ჯიშის ხორბალი, ძალიან მოსავლიანი, მაგრამ მცვენარი. ამიტომ ადგილს მახაში რქმევია წინათ. შემდეგ მოხაშად გადაუკეთებიათ; 2. მონადირეები აქ მოკლულ ნადირს აქვე ქოცოთი მოხარშავდნენ და ისე ჭამდნენ. ამიტომ შეერქვა ქოცოთი მოხარშული, მოხაშიი“ (ა. ტორჩინავა).

ᲛᲣᲠᲖᲐᲨᲘ ᲙᲐᲠᲝᲑᲐ (მურზას კარობა). ადგ. „მურზა მწყემსი იყო და აქ მისი ჯოგის კარვები ყოფილა“.

ᲜᲐᲓᲝᲮᲝᲠᲣ (ნასასახლარი). ადგ. „ბატონის სასახლე მდგარა“.

ᲜᲐᲓᲝᲮᲝᲠᲣ (ნასახლარი). ადგ.

ᲜᲐᲓᲣᲫᲜᲣ (ნადუქნარი). ადგ.

ᲜᲐᲙᲐᲠᲣ (ნაკარვალი). ადგ.

ᲜᲐᲙᲣᲠᲗᲮᲚᲐᲘ (ნაკურთხი ღელე). ადგ.

ᲜᲐᲛᲣᲜᲩᲫᲕᲔᲠᲘ (ნამაჩვარი). ადგ.

ᲜᲐᲝᲡᲮᲐᲠᲣ (ნასაცეკვარი). ადგ.

ᲜᲐᲝᲮᲕᲐᲛᲤᲔᲠᲓᲘ (ნასალოცვარი ფერდობი). ადგ.

ᲜᲐᲝᲮᲕᲐᲛᲣ (ნასალოცვარი). ადგ. ეს ადგილი სულ დაუსახლებელი, ეწერი ყოფილა. შემდეგ ტორჩინავები ჩამოსახლებულან. აქ ტორჩინავებს ჰქონიათ ძირის სალოცავი“.

ნატკილა (ნატკილარი). ადგ. „ამ საყანე მასივს ტკილით ანოყიერებდნენ. ტკილს ტეხდნენ ღელეს პირას შიშველი კლდიდან, აფხვიერებდნენ და მას მოაყრიდნენ ერთი გოჯის სისქეზე მიწას, შემდეგ ჩახნავდნენ. მთელი 15-20 წლის განმავლობაში ნიადაგი იძლეოდა უხვ მოსავალს. ასევე ნიადაგს ვანოყიერებდით ნაკელით. ნაკელი 3-5 წლის განმავლობაში იძლეოდა უხვ მოსავალს და ისევ საჭირო იყო ნაკელის შეტანა. მოსილვაც ხდებოდა. წყალს მივუშვებდით ჭალაში, მოვასილიებდით ჭალას და შემდეგ ვთესავდით. ვიცოდით „დოსვანჯაფაც“. თუ ფერდობი ტკილამდე დავიდოდა, მიწა მოშორდებოდა, მივუშვებდით 3-5 წლის განმავლობაში. ჩირგვები, ხეები გაიზრდებოდა. მიწა მოიზრდებოდა, ნეშოები ჩალპებოდა, ისევ მოვჭვარავდით და ვთესდით. დასვენებული მიწა 5 წლის განმავლობაში იძლეოდა უხვ მოსავალს“ (ივლ. ჯოლოგუა).

ნაფოშტუ (ნაფოსტარი). ადგ.

ნაჩაგუ. ადგ.

ნაჩაჩანუ (ნაჩაჩანარი). ადგ. „ჩაჩნები ბანაკებულან“.

ნაჩვარუ (ნაჩვარალი). ადგ.

ნახარდანუ (ნახარდნალი). ადგ.

ნახარდანუ (ნახარდნალი). ადგ. „აქ ხარდანით (ვაზის ჯიშია) ისე დაბურული ტყე ყოფილა, რომ ხიდან ხეზე გადადიოდნენ ძირს ჩამოუსვლელად და ასე ჩადიოდნენ მოედნამდე“ (შ. გაბისონია).

ნახოჯური (ნახარალი). ადგ.

ნაჯარუ (ნაჯარალი). ადგ.

ნაჯუხურუ (ნაჯიხურალი). ადგ.

ნესტორიში ნოხორიი (ნესტორის ნასახლარი). ადგ.

ნიკოში ჭაე (ნიკოს ჭალა). ადგ.

ნოუღალუ (ნაუღლარი). ადგ.

ნოხოჯენი (ნახარალი). ადგ.

ნოჯახი (ნაჯახარი). ადგ. „საზღვარია გეგეჭკორსა და ფოცხოს შორის“.

ოგერე ფერდი (სამგლო ფერდობი). ადგ.

ოგუაში. ადგ.

ოკათაფური (შესაყარი, შესაერთი). ადგ. „აქ ღელეები – გურძემია და მეტერია იკრიბებიან და ერთად მოედინებიან ტეხურისაკენ“ (მ. ჟვანია).

ომუნჩქვეში (სამაჩვო). ადგ.

ონგერე (სამგლო). ადგ.

ოტურე (სატურო). ადგილი.

ოფუჯია (საფურე). ადგ. „საძოვარი იყო ფურების“.

ოხვამე (ეკლესია). ადგ.

ოხვამე (ეკლესია). ადგ. „მისარიონის სალოცავი იყო“.

ოხვამე (ეკლესია). ადგ. დღეს ნანგრევი.

ოხვამეკარი (ეკლესიის კარი). ადგ. „მოედანი ყოფილა საჯარო“.

ოხოჯური (სახარე). ადგ.

პავლეში ნოხორიი (პავლეს ნასახლარი). ადგ.

ჟინი ფიცარი (ზემოფიცარი). უბანი.

რუსაში დიხა (რუსას მიწა). ადგ.

საჯომეში ნოხორიი (სალომეს ნასახლარი). ადგ.

საბაწყუ (საბას წყარო). წყარო.

სადემურიო. დემურიების (გვარია) უბანი (ვლადიმერ პეტრეს ძე ჟვანია, 58 წ.).

საჯარო მინდორი (საჯარო მიდორი). ადგ.

საჯინჯელა (საძირკველა). ადგ.

სილიბისტროში ოჩხარჩხალე (სილიბისტროს საწანწკარო). ადგ. პატარა ჩანჩქერია ღელეზე.

სიმოიაში ნოხორიი (სიმოიას ნასახლარი). ადგ.

სირმაში ნოხორიი (სირმას ნასახლარი). ადგ.

სუწყუში (სუ წყაროსი). წყარო.

ტაგუიაში ჭაე (ტაგუიას ჭალა).

ტეგჭვარილი (ტები აღებული, გადამწვარი, გადაჭვარული). ადგ.

ტები (ტყე). ადგ.

ტები. ადგ.

ტეგხვანა (ტყე-ყანა). ადგ.

ტიტოში წისქვიი (ტიტოს წისქვილი). ადგ.

ტყირი. ადგ. „დემურიას ნასახლარია“.

უთუში ნოხორიი (უთუს ნასახლარი). ადგ.

ფირცხალური (ფირცხალავასეული). ადგ.

ფოქორი. ადგ. „ფაქარი, რბილი, ადვილად დასამუშავებელი ადგილია“.

ფოცხო. ს/ს ცენტრი. 1. გადმოცემით, ამ ადგილას ტყეში ფოცხვერი ბუდობდა თურმე, ამიტომ დაერქვაო ფოცხო; 2. ეს გაუვალი ტყიანი ჯაგნარით ყოფილა ამოფარცხული, „იშაფორცხიიდუ“ – ამოფარცხული იყოო. ამიტომ დაერქვაო ფოცხიი, ბარცხით-ჯაგით ამოფაცხული“ (ჯოლოგუა ივანე დავითის ძე, 65 წ.).

ფუნდუში ნოხორიი (ფუნდუს ნასახლარი). ადგ.

ქვიშა (ქვიშა-ჭალა). ჭალა. ადგ.

ქვიშაღეე (ქვიშა-ღელე). ღელე.

ქულიცი. ადგ.

ღაღანა. ადგ. „წინათ გაუვალი ტყე ყოფილა, ახლა ბაღია“ (შალვა კოსტას ძე გაბისონია, 73 წ.).

ყურული (დაყრუებული, ყრუებისა). ადგ. „ყრუ და გაუვალი ადგილი ყოფილა წინათ. ახლა სულ შიშველია“.

ჩაგანური. ჩაგანავებისა (გვარია). ადგ. „ნაოსხაპურია“ (ნასაცეკვარი).

ჩეგოლა (თეთრი მთა). გორაკი. ადგ. „ნაოსხაპუა“ (ნასაცეკვარი).

ცაცხვი. ადგ. „აქ ათასწლოვანი ცაცხვი მდგარა. აქ სცოდნიათ ხვამა და ჯარალუა“.

ცაცხვჯინჯი (ცაცხვის ძირი). ადგ. „აქ მე ვენახს ვაშენებდი და ვიპოვე დოქები, ქოთნები. არის გადმოცემა რომ აქ თურქებმა ოქრო დამარხესო“ (ტოგო პლატონის ძე შონია, 55 წ.).

ძოძოში ნოხორიი (ძოძოს ნასახლარი). ადგ.

ძუგუ (ზურგა). ადგ.

ძუგუ (ზურგა). ადგ. „მაღალი გუძუბაა, ნაოხვამუა“.

წიფანაღაი (წიფანა-ღელე). ადგ.

წიფონა. ადგ.

წიფურონა (წიფლნარი). ადგ.

წოწორიეფიში წყუ (წოწორიების წყარო). ადგ.

წყურგილი (წყარო ცივი). წყარო.

წყურიში (კვირისთვისა) ადგ.

ჭაე (ჭალა). ადგ.

ჭაე დაბაი (დაბალი ჭალა). ადგ. ჭალა.

ჭაე მაღაი (მაღალი ჭალა). ჭალა. ადგ.

ჭყონა (მუხნარი). ადგ.

ჭყონიში ჯინჯი (მუხის ძირი). ადგ. „საოხვამურო (სალოცავი) მუხა მდგარა უზარმაზარი“.

ხამუა. ადგ.

ხარჩიაში ნოხორიი (ხარჩილავას ნასახლარი). ადგ.

ხატმამული (ხატის მამული). ადგ.

ხვიჩარონი (ხვიჩნარი). ადგ.

ხირიში (დარღვეულისა). ადგ.

ხოროშონა (ხორო შონური). ადგ. „აქ ხორავა ნასახლება და იმას ჰქონია დობილო შონურისა. ამიტომ შეერქვა ადგილს ხორაში შონა, ხორა შონა ან ხოროშონა“.

ჯაიაში ნაჯიხურუ (ჯაიას ნაჯიხურალი). ადგ.

ჯეგემარიონი (ჯეგე მისარონი). ადგ. „უძველესი სალოცავი იყო ჯეგე მარიონისა. დიდ ღვთაებად მიაჩნდათ წმინდა მისარონი“ (გოგია სერგო ერასტის ძე, 55 წ.).

ჯეგოლა. ადგ „მაღალი გორაკია ჩირგვნარით და დაბალი ბუჩქებით დაფარული“.

ჯვეში შარა (ძველი გზა). ადგ. „აქ გადიოდა მარტვილიდან ზუგდიდისაკენ გზა. იგი დილიჟანის გზა იყო“.

ჯირჩე. ადგ. „სამკურნალო მცენარეა“.

ჯოლოწყუ (ჯოლო-წყარო). ადგ.

ქალაქი ცხაკაია (ახალი სენაკი)

ქ. ცხაკაია (ყოფილი ახალი სენაკი) ზღვის დონიდან 45 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ქალაქის ცენტრი ვაკე და გაშლილი ადგილია; ჩრდილოეთის მხარეზე ქალაქი, მთელ სიგრძეზე, შხეფიდან კურორტ მენჯამდე მიუყვება ეკის კალთებიდან მაღალ, სააგარაკო ფერდობებს და მცირე სიმაღლის სერებსა და ბორცვებს, რომლებზედაც შეფენილია მკვიდრ მცხოვრებთა კარ-მიდამოები. ჰაერი ამ ზონაზე დაბალ ადგილებთან შედარებით მსუბუქი, სუფთა და საღია.

კაპიტალიზმის განვითარების პერიოდში სოფ. თეკლათის ტერიტორიაზე წარმოიქმნა 1870 წელს ქალაქის ტიპის ახალი დასახლება „ახალი სენაკის“ სახელწოდებით.

ახალ სენაკს, ახალი ცხოვრების შესაბამისად, განვითარების და ტერიტორიულად გაფართოების ყოველგვარი პირობები ჰქონდა.

წარმოქმნის მომენტიდან ამ დრომდე ქალაქის ტერიტორია გაფართოვდა, აღმოსავლეთით მიუახლოვდა „ახალ-ხორს“ და მის მიდამოებს, დასავლეთით მდინარე ცივის ნაპირებს, ჩრდილოეთით – ეკის მთის კალთებს, სამხრეთით – ახალსოფლის მიდამოებს.

ამრიგად, ქალაქმა თავისი არსებობის პერიოდში შემოიმტკიცა არამცთუ მარტო თეკლათის, არამედ სხვა სოფლებისა და ადგილების ტერიტორიაც. ამ შემომტკიცებული ტერიტორიების შიგა საზღვრებისა და მიჯნების ზუსტად დადგენა ძნელია, მაგრამ ადგილობრივი ხანდაზმული მცხოვრებლების სიტყვიერი გადმოცემებით შესაძლებელი გახდა ზოგადად შიგა მიჯნების დადგენა. ხორავას სახ. ქუჩიდან მდინარე ცივის ნაპირებამდე ქალაქის ცენტრალური ნაწილი, კურორტი „მენჯი“, მისი შემოგარენი და საეჯიბიოს უბანი, განლაგებულია სოფ. თეკლათის ტერიტორიაზე. ხორავას და ხოფერიას ქუჩებს შორის არის „საკალანდარიშვილოს“ უბანი, ხოფერიას ქუჩა და ადგილი „ახალ-ხორი“. მათ შორის მდებარეობს „შხეფის“ უბანი; ა/კ რკ. გზის ტეხურის ხიდიდან ხალიჩების ფაბრიკამდე განლაგებულია ქალაქის სამხრეთი ნაწილი. ტერიტორია, რომელიც ამჟამად ქალაქის ცენტრალურ ნაწილს უკავია, ჭაობიანი, ნარ-ეკლიანი, წუმპეებიანი და ლაქაშიანი ყოფილა. ამ ჭაობს აჩენდა ეკის მთის კალთებიდან ჩამომდინარე ღელე „ფიცუ“. ეს უკანასკნელი მიუახლოვდებოდა თუ არა დავაკებულ ადგილას, ბუნებრივი ხეობის, ხევის ან ხელოვნური წყალსადენი არხის უქონლობის გამო იშლებოდა დავაკებული ადგილის მთელ არე-მარეზე, იგუბებოდა, შმორდებოდა და ადამიანისთვის მძიმე და მავნე ჰაერს აჩენდა. ეს ადგილი ნაწილი იყო სოფელ თეკლათის ტერიტორიისა და თავად ხეციების მამაპაპეულ მიწას შეადგენდა.

თავად ელიზბარ ხეციას სიტყვიერი გადმოცემით, ხეციები სოფ. ყულისკარში მცხოვრებ ხეციათა თურის – გვარის შტოთაგანი იყვნენ. მათ წინაპართ სამეგრელოს მთავარ დადიანებისაგან ერთგული სამსახურისთვის საჩუქრად მიუღიათ თეკლათის, ისულას, ძონძირის და სხვა, უკაცრიელი, ტევრიანი ადგილები. ამ ადგილების მოსავლელად და მეთვალყურედ ყულისკარის ხეციებს თავისი წრიდან გამოუყვიათ უმრწმესი წევრი და დაუსახლებიათ ზემოხსენებული ჭაობიანი ადგილის მახლობლად, შედარებით მშრალ ადგილზე.

დროთა განმავლობაში ახლად დასახლებულ ხეციას შთამომავალნი გამრავლდნენ და რუსეთის მთავრობის დახმარებით და ხელშეწყობით სამხედრო სწავლა-განათლებას ეზიარნენ, შეიქმნენ სამეგრელოს მაღალი რანგის ფეოდალ-თავადაზნაურთა რუსოფილური ჯგუფის აქტიური მონაწილენი. რუსოფილური ჯგუფი სამეგრელოს სამთავროში წარმოიშვა ცარიზმის მაღალი რანგის მოხელეთა მიერ, ადგილობრივ პრივილეგიურ წოდებათა წარმომადგენლებთან ლმობიერი, მშვიდობიანი და კეთილშობილური მოპყრობის ნიადაგზე. ასეთი საქციელით მათ უნდოდათ, რაც შეიძლებოდა დიდი რაოდენობით მიემხროთ სამთავროს თავადაზნაურობა და ნიადაგი მოემზადებინათ თავიანთი ადმინისტრაციული ძალაუფლების და მმართველობის დასამყარებლად. ამასთან ერთად, ისინი თავდადებით მუშაობდნენ იმაზე, რომ უვნებლად, მშვიდობიანი მიდგომით, თავიდან მოეშორებინათ სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე. მიზანს მიაღწიეს: იგი 1858 წლის 25 ოქტომბერს, რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე ნიკოლოზის ძის უზენაესი რესკრიპტის შესაბამისად, თავისი შვილებით პეტერბურგს გადასახლდა საცხოვრებლად. ამ აქტთან დაკავშირებით რუსის მთავრობას საშუალება მიეცა, სამეგრელოში მთავარ დადიანების მართვა-გამგებლობისათვის, ფაქტობრივად, სრული ლიკვიდაცია გაეკეთებინა და სამეგრელოს მართვა-გამგეობის საქმეს თვითონ ჩადგომოდა სათავეში. ამრიგად, მთელ სამეგრელოში რუსეთის მმართველობა დამკვიდრდა და დაიწყო მხარის რუსული კანონებით მართვა-გამგებლობა.

ნამდვილი სტატმრჩევლის – იპოლიტე დუკრუასის მიერ 1857 წელს შედგენილ სამეგრელოს მართვა-გამგეობის სტრუქტურის პროექტის შესაბამისად სამეგრელოს ყოფილი სამთავრო სამ ოლქად გაიყო: ზუგდიდის, სენაკის (იგულისხმება ამჟამინდელი ძველი სენაკი) და ლეჩხუმის.

სენაკის ოლქის რუსული მმართველობა, სანამ საოლქო სამმართველოს მუდმივი სარეზიდენციო ადგილი გამოინახებოდა, დაბინავდა სენაკის (იგულისხმება ძველი სენაკი) მახლობლად მდებარე „ქვაშიხორში“ და „ახალხორში“, ელიზბარ და მენიკი დადიანების სასახლეებში; ხოლო ოლქის უფროსი – კორნელი ბოროზდინი სოფ. თეკლათში, ივანე, იგივე კინტირია ხეციას მრავალთვალიან ხის სახლში.

ბოროზდინს ოლქის გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით და ისტორიული მნიშვნელობის თვალსაზრისით, გათვალისწინებული ჰქონდა ოლქის სამმართველოს მუდმივ რეზიდენციად სოფ. ნოქალაქევი გამოეცხადებინა. ეს აზრი მან ნოქალაქევის ბატონიშვილებს გაუზიარა და ითხოვა ოლქის სამმართველოს დასაბინავებლად, ქვის კაპიტალური შენობის გასაშენებლად დაეთმოთ ადგილი თავიანთი მამულიდან; უკანასკნელნი უარზე დადგნენ, „მამული დაგვიქუცმაცდება, ხალხით გაივსება და ჩვენ გავღატაკდებითო“. ბოროზდინმა თავი გაანება ბატონიშვილებს; სენაკის ოლქის ხელმძღვანელობა დარჩა დროებით ბინებში, ფოთი-თბილისის რკინგზის გაყვანამდე.

8-1869 წლებში სენაკის ოლქის სამმართველოს ხელმძღვანელობა შეუდგა ოლქის სამამასახლისოებად დაყოფის საქმეს. „სენაკის ოლქში ჩამოყალიბდა 28 სამამასახლისო; ერთი ამათგან დაწესდა „თეკლათის სამამასახლისოს“ სახელწოდებით, ქ. ცხაკაიას რკინიგზის აწინდელი სადგურის მახლობლად, ხუციას მამულში. ამავე წელს სენაკის ოლქს გადაერქვა სახელი, ნაცვლად ოლქისა, ეწოდა მაზრა.

რუსული მმართველობის დროს სამეგრელოს არამცთუ მშრომელ გლეხობას, არამედ მთელ მოსახლეობას ცხოვრების კარები ფართოდ გაუღო ერთმა ისტორიული მნიშვნელობის შესანიშნავმა მოვლენამ: 1867 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე ნიკოლოზის ძემ ხელი მოაწერა და დაამტკიცა ინგლისელი კაპიტალისტების პარკინსის და გრედერი ბრაუერის პროექტი ფოთიდან თბილისამდე რკინიგზის გაყვანის შესახებ.

ხსენებული კაპიტალისტების სააქციო საზოგადოებამ რკინიგზის მშენებლობა ფოთიდან დაიწყო. მშრომელი გლეხობა რკინიგზის გაყვანის სამუშაოებში ჩაება.

სააქციო საზოგადოებას რკინიგზის სადგურის გაშენება, პროექტის შესაბამისად, ნოსირის ტერიტორიაზე ჰქონდა განზრახული, მაგრამ ამ ტერიტორიის მფლობელმა ბატონიშვილებმა უარი განუცხადეს სადგურის გასაშენებლად ადგილის დათმობაზე. საზოგადოების მთავარ ინჟინერს ეს არ მოეწონა და უკმაყოფილო დარჩა. ეს თეკლათელმა ხეციებმა რომ გაიგეს, მთავარ ინჟინერს შესთავაზეს თავიანთ მამულზე სადგურის გასაშენებლად საჭირო რაოდენობის ტერიტორია. ინჟინერი დათანხმდა. სადგურის გასაშენებელი ჭაობიანი ადგილი ამოაშრეს, ხრეშითა და ქვებით ამოავსეს, ღელე ფიცუს სადინებლად გათხარეს დიდი ტევადობის არხი. ამ არხს მიმართულება მისცეს ჯერ აღმოსავლეთის მხარისაკენ, შემდეგ მიმართეს სამხრეთისაკენ, დაბოლოს, ძონძირის ტერიტორიისაკენ გაუკეთეს გზა.

რკინიგზის სადგურის გაშენებამ განაპირობა ახალსენაკის, როგორც სამაზრო ადმინისტრაციული ცენტრის, წარმოქმნა. სენაკის (იგულისხმება აწინდელი ძველი სენაკი) სამაზრო ხელმძღვანელობამ თავის მუდმივ რეზიდენციად აირჩია ეს ახალი პუნქტი და „ქვაშიხორი“ და „ახალ-ხორიდან“ თავისი კანცელარიით, მთელი არქივით და მოსამსახურე პერსონალით გადავიდა ახალსენაკში, მუდმივ სამყოფლად. ამ მომენტიდან ამ ახალ სამაზრო პუნქტს შეერქვა სახელწოდება „ახალსენაკი“, განსასხვავებლად ძველი სენაკისაგან.

ამრიგად, ძველ სენაკს წაერთვა ყველა პრივილეგია, რაც მანამდე გააჩნდა და გადაეცა სამაზრო ცენტრს – ახალსენაკს; ძველი ცენტრის სახელწოდებას მიემატა ეპითეტი „ძველი“ და შერჩა დღემდე სახელწოდება „ძველსენაკი“.

დაბინავდა თუ არა ახალსენაკში რუსის სამაზრო ხელმძღვანელობა, მაშინათვე შეუდგა ჭაობიანი ადგილის ამოშრობის დამთავრებას და მის დაგეგმარებას. გაიყვანეს განიერი ქუჩები, სახელმწიფო დაწესებულებათა მოსათავსებლად გაშენდა შესაფერი ბინები; ხალხმა იწყო დასახლება დაგეგმილ ადგილზე და 1870 წლიდან ჩნდება უკვე ქალაქისებური ტიპის დასახლება, რასაც მაზრის ხელმძღვანელობა ოფიციალურად „დაბას“ უწოდებდა.

ზემოხსენებულმა სააქციო საზოგადოებამ 1871 წლისათვის დაამთავრა ფოთიდან ყვირილამდე რკ. გზის ლიანდაგის დაგება, ხოლო მომდევნო წლისათვის ლიანდაგი თბილისამდე მივიდა.

1 წლის 14 აგვისტოს ფოთიდან ყვირილას მიმავალი პირველი მატარებელი ახალი სენაკის სადგურთან ჩამოდგა; სადგურში ზარმა ჩამორეკა. ამ ახალი სახის ტრანსპორტმა მნახველები გააკვირვა.

ამ პირველმა მატარებელმა მხარის მთელ მოსახლეობას ამცნო ახალი დროის დადგომა; ახალი სენაკი სამეგრელოს მთელი მხარისათვის შეიქნა ვაჭრობის, აღებ-მიცემობის მთავარი პუნქტი; პროგრესულ გზაზე დამდგარმა, შრომის უნარით დაჯილდოებულმა ადამიანებმა მიაშურეს ახალსენაკს და სხვადასხვა დარგში, სხვადასხვა სამუშაოებში ჩაებნენ და დაბაში სახლ-კარიც გაიჩინეს.

ახალსენაკში სამაზრო ადმინისტრაციის დამკვიდრებასთან დაკავშირებით აუცილებელი შეიქნა ისეთი სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე დაწესებულებათა დაარსება, როგორიცაა: ხაზინა, ფოსტა-ტელეგრაფი, სასამართლო, ნოტარიუსის კანტორა, საპატიმრო და სხვ.; ამას მოითხოვდა ცხოვრების პირობები და მაზრის მართვა-გამგეობა. სახელმწიფო დაწესებულებათა გვერდით ჩნდება მცხოვრებთათვის ბაზარი, საექიმო პუნქტი, აფთიაქი, სასტუმრო და სავაჭრო დუქნები.


მასშტაბი 1 : 25000
ნაგებობა
მდინარეები
გზები

კულტურული საქმიანობის განვითარებას და გაფართოებას მთავრობა ხელს არ უწყობდა; იგი დაჯერდა იმას, რომ მარტვილის მონასტერში 1830 წ. დაარსებული მარტვილის სასულიერო სასწავლებელი გადმოატანინა დაბა ახალსენაკში 1882 წელს და 1885 წლიდან დააარსა ორკლასიანი სკოლა, რომელსაც დააკისრა ადგილობრივი ახალგაზრდობის აღზრდა გამარუსებელი მეთოდით. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა კულტურული საქმიანობის განვითარებას ხელს არ უწყობდა, როგორც სამაზრო დაბის, ისე მთელი სამეგრელოს მოსახლეობამ ისარგებლა ამ სასულიერო სასწავლებლის მომსახურებით. ამ სასწავლებლის ნიადაგზე განვითარდა მხარის მოსახლეობის საგანმანათლებლო კულტურა 1830 წლიდან 1917 წლამდე.

კაპიტალიზმის პერიოდში წარმოქმნილი დაბა ახალსენაკის ტერიტორია ფართოვდებოდა, მცხოვრებთა რაოდენობა ნელი ტემპით მატულობდა, ვაჭრობა და აღებ-მიცემობა იზრდებოდა. 1905 წელს რუსეთის იმპერიაში იფეთქა დიდმა რევოლუციამ, რამაც მძლავრი გამოძახილი ჰპოვა მხარეში. რევოლუციის დამარცხების შემდეგ რეაქციამ ამ პატარა სამაზრო დაბა სენაკს მოაწვდინა ცარიზმის ულმობელი და მკაცრი მათრახი. თვითმპყრობელ ნიკოლოზ მეორის ერთგულმა და მისი ტახტის დამცველმა ალიხანოვმა კაზაკების ჯარი ახალსენაკს გარს შემოარტყა და რამდენიმე საათს მთელი ქალაქი და მცხოვრებთა სახლ-კარი ნაცარ-ტუტად აქცია. ხალხი დაიჭირა, ზოგი ფიზიკურად გაანადგურა, უმრავლესობა ციხეში ჩაყარა, ზოგი გადაასახლა. რეაქციამ გაიმარჯვა. ქალაქი დიდხანს იკრეფდა ძალას.

მენშევიკური მთავრობის პერიოდში ახალსენაკს არაფერი მომატებია, წარმატება არ ჰქონია, არავინ იყო მასზე მზრუნველი.

აყვავების ხანა ახალსენაკს დაუდგა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღიდან. საბჭოთა ხელისუფლებამ ცარიზმის დროს დაწყებული შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობა განაახლა და მისი მშენებლობა ბრწყინვალედ დაამთავრა. ახალი სენაკის მცხოვრებთა რაოდენობა გამრავლდა, მთელი დაბა კოოპერატიული ხასიათის წარმოება-დაწესებულებათა ქსელით მოიფინა. დაარსდა და გაშენდა ფაბრიკა-ქარხნები, ხალიჩების, ხაოიანი ქსოვილების, საკონსერვო ქარხნები, ღვინის კომბინატი, ჩაის ფაბრიკა, ტუნგოს გადასამუშავებელი ქარხანა, კირის ქარხანა, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ავტომანქანების შესაკეთებელი ქარხანა-სახელოსნოები. გაშენდა საკავშირო მნიშვნელობის კურორტი „მენჯი“, დაარსდა საავადმყოფოები, გაიხსნა რამდენიმე აფთიაქი და სააფთიაქო მაღაზიები. 1890 წლისათვის დაბის მოსახლეობა 1500-მდე იყო. ხოლო 1900 წლისათვის იგი უკვე 3000 კაცს შეადგენს. 1930 წლისათვის მაზრის ცენტრი 5 ათას კაცს ითვლიდა. გაიშალა კულტდაწესებულებათა ქსელი, გაშენდა სახალხო თეატრის და კინოთეატრისათვის კაპიტალური თვალსაჩინო შენობები, დაარსდა მიხა ცხაკაიას სახელობის მემორიალური მუზეუმი. ქალაქში გამოყვანილი იქნა სუფთა სასმელი წყალი ნოსირიდან, რომლის ქსელით მოიფინა მთელი ქალაქი. ქალაქი მთლიანად ელექტროფიცირებულია. ყველა მოქალაქის ოჯახში ანთია ცისფერი ეკრანი.

დღეს ქალაქი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური და კულტურული ცენტრია. ახლა ქალაქში 27 300 კაცი ცხოვრობს. არის 21 მსხვილი სამრეწველო საწარმო, სადაც 3154-ზე მეტი მუშა მუშაობს. მარტო 1984 წელს ამ საწარმოებმა 77100000 მანეთის სამრეწველო პროდუქცია გამოუშვეს. მარტო ხალიჩების კომბინატმა 1984 წელს 31280000 მანეთის სამრეწველო პროდუქცია გამოუშვა. ქალაქი 1930 წლამდე მაზრის სოციალისტური გარდაქმნის საქმეს ედგა სათავეში. 1930 წლიდან იგი სენაკის, შემდეგ ცხაკაიას რაიონის ცენტრი ხდება. მიუხედავად ამისა, მისი როლი მხარის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების დაწინაურების საქმეში უდავოდ დიდია და წამყვანი. მისი „მტსი“ დიდხანს მხარის ერთადერთი სას.-სამ. მექანიზმებით მომარაგების და მექანიზაციის ტრადიციის დანერგვის ცენტრი იყო. მისი პედაგოგიური და სას.- სამ. სასწავლებლები დიდხანს ამ სპეციალობის კადრებით მხარის აღჭურვის საქმეს ემსახურებოდა. მხარეს აწვდიდა კვალიფიციურ, საშუალო სპეციალური განათლების კადრებს. დღესაც სას.-სამ. ტექნიკუმი მხარეში წამყვანი ეკონომიკური და კულტურული ცენტრია.

საინტერესოა ქალაქის ისტორიისათვის მისი ტოპონიმები.

ბერალი (დროშა). ადგ. „აქ მხეიძეს ჰქონდა დასმული თავისი დროშა, ადგილის მისანიშნად. შემდეგ, რევოლუციის დღეებში, აქ იკრიბებოდნენ ფრონტიდან დემობილიზებული ჯარისკაცები. აქ ჰქონდათ კრებები. მენშევიკები თავს დაესხნენ ერთ-ერთ ასეთ შეკრებას. ბოლშევიკებმა თავი შეაფარეს ქვითკირს და მოკლეს მენშევიკების რამდენიმე მილიციელი. ზარბაზანი, რომელიც მათ ჰქონდათ აქ, მოსპეს“.

ბიტუში ნადუქანუ (ბიტუს ნადუქნევი). ადგ.

ბულონი (ბალნარი). ადგ. „ბალის მაღალ ხეებზე მიშვებული ყოფილა ვენახი“.

გვარჯიელაში ნახაჯუ (გვარჯიელას ნაცერცვალი). ადგ.

გითოკირილი (გადახერგილი). ადგ. „ქვითკირით ყოფილა შეკრული და ზედ ჯიხა მდგარა“.

გიოში ნოხორიი (გიოს ნასახლარი). ადგ.

დადიაში ნატახტუ (დადიანის ნატახტარი). ადგ. „აქ დადიანს შეუსვენია და უბრძანებია ქვის ტახტი გაეკეთებიათ; როცა ამ გზაზე გამოივლიდა, სულ ამ ტახტზე ისვენებდა“ (მ. შალამბერიძე).

დობერა (დობილო). ადგ.

ვანიაში ნოხორიი (ვანიას ნასახლარი). ადგ.

ზისხირგოლა (სისხლ მთა). მთა. „აქეთაც ვრცელდება. იგი ნათურქალი, ნაომარი და ნასისხლარი მთაა“.

კონჩხი (კონცხი). ადგ. მთის კონცხია.

კუჭაში დიხა (კუჭავას მიწა). ადგ.

მიხაში ჭაე (მიხას ჭალა). ჭალა.

მუკონწყვილი (ჩამოქცეული). ადგ.

ნადოხორუ (ნასახლარი). ადგ.

ნადოხორუ I (ნასახლარი). ადგ. „აქ თავად ბესარიონ მხეიძის სასახლე ყოფილა. იგი თავისი სისასტიკით და სიმკაცრით გამოირჩეოდა“ (შალვა სისოს-ძე ქაჩიბაია, 84 წ.).

ნადოხორუ II (ნასახლარი). ადგ. „სადაც სასახლე და კარ-მიდამო ჰქონია ფარნაოზ მხეიძეს. მის სახლში ყოფილა ალიხანოვ-ავარსკის ჯარის შტაბი“.

ნადოხორუ ელიზბარიში (ელიზბარის ნასახლარი). ადგ. „ეს ადგილი ელიზბარ დადიანის ნასახლარია. არის გადმოცემა, რომ ელიზბარის სასახლეში მოსულა მახუია სახოკია. მას ძაღლი მოჰყოლია და იგიც შეჰყოლია სასახლეში, რომელიც ბატონის ძაღლს გადაბმია. როცა უკითხავთ, ვისია ეს ძაღლიო, მახუიასიო, უთქვამთ. ბატონს უბრძანებია, სახოკია გაეროზგათ. 25 როზგი დაურტყიათ. მახუია „ჭყონის“ (მუხის) ჭველას მიყრდნობია და გადაუზნექია. როზგი თურმე ჭყონს ხვდებოდა. მასხარას გაუცინია. მასხარა მიქელაძე ყოფილა. უკითხავთ მისთვის – „რა გაცინებსო“. მას ბატონისთვის უპასუხნია:

„ძაღლი ძაღლთან რომ მივიდა,
მახუია რა შუაშია,
ამისთანა სამართლისთვის
შენ რა გითხრა, მახარია“.

ბატონს გაუცინია და სახოკია აუშვია. ნინუებს „ჯინჯის“ ხატი გვქონია კულაშში, სამტრედიაში. მამასახლისს უკითხავს ერთხელ სამგზავროდ გამოწყობილ ბაბუაჩემისთვის – „სად მიდიხარო?“ და, „სამტრედიაშიო, გამოსალოცადო“.

კინწურაშვილები აქ სხვა მხრიდან მოსულან, სამი ძმა ელიზბარ დადიანს შეუხიზნია. მისთვის დადიანს ნოსირში მიუცია სამოსახლო. როცა მოურავი მივიდა ღალის ასაკრეფად, მათ უარი უთხრეს, ჩვენ ახლა მოვედით და რა გვაქვსო. მოურავმა იუკადრისა და ბატონთან იჩივლა:

„ახავაი, ახითუ,
მუშენი გამაბახითუ,
ნინუაში ქოთომი დო
ჩემიაში კეში თუ,
კინწურესქუაშა ქიმევრთინი
მინუ᾽აშა დამითხუ“ (ა. ნინუა).

„ახ, ბატონო, ახ, ე,
რატომ გამაბახე,
ჰა, ნინუას ქათამი და
ჩემიას გოჭი ნახე.
კინწურაშვილებმა
არ შემიშვეს შინა“.

ნაკლასუ (ნასკოლარი). ადგ. „ორკლასიანი სასულიერო სასწავლებლის შენობა მდგარა. აქ სწავლობდა აბელი ენუქიძე“.

ნაოჩუ. ადგ.

ნაოჩუ. ადგ. „ყანები იყო უხვმოსავლიანი. „ოჩე ცენსია“ – ოჩე ცვივაო. ნაყოფი ცვივაო, – იტყვიან“. დღეს ქალაქის დასახლებაა.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი). ადგ. „უძველესი ნასალოცვარი ადგილია. ჩიქობავებს აქ ჰქონიათ ძირის ხატი“, ოდუდიაში“ ოხვამური. მთელი გვარი აქ იკრიბებოდა „ომარაშონეთ“ (სამარაშონოდ) და აქ იხდიდა „ოდუდიას ოხვამურს“. ეს საგვარო „სათურო ოხვამური“ იყო. ცალ-ცალკე დინოსაც, დინოს ცენტრში, თავისი ოდუდია ჰქონდა. იგი დინოს ოდუდია იყო. ოჯახსაც ჰქონდა თავისი ძირის სალოცავი, თავისი „ოდუდია“ (ა. ნინუა).

ნაოხვამუ (ნასალოცვარი). ადგ. „უძველესი ნასალოცვარი“.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი). ადგ. უძველესი ნაოხვამუა.

ნასილუ (დანასილი). ადგ.

ნატეგუ (ნატყევარი). ადგ.

ნატეგუ (ნატყევარი). ადგ. „აქ ჰქონდა სამსონ მამულიას ზუგდიდის ბოლშევიკებთან ერთად სამაზრო კრება, სადაც შეიქმნა სამაზრო კომიტეტის შექმნისათვის საორგანიზაციო კომიტეტი. შეთანხმებულ იქნა I სამაზრო კონფერენციის მოწვევის თარიღი. არჩეულ იქნა გამოსვლების შტაბი. აქვე შეიკრიბა I სამაზრო კონფერენცია“.

ნატეგუ (ნატყევარი). ადგ. „აქ ხეები დაუჭრიათ. კაცი ხე და ხე გადადიოდა თურმე, ტეხურზე. ამ ჯიხასა და ნოქალაქევს შორის გვირაბი ყოფილა, ამ გვირაბით უკავშირდებოდნენო ერთმანეთს, – გადმოგვცემენ მოხუცები წინაპრებისაგან გაგონილს“ (მ. შალამბერიძე).

ნატეხურუ (ნატეხურალი). ადგ. „აქ უვლია ტეხურს ძველი კალაპოტით“.

ნატოჩაო. „მდ. ტეხურას მეტად ნაყოფიერი პირებია. ახლა ქალაქის უბანია. ნატოჩაოზე ამბობენ, რომ აქ ტოჩიები ცხოვრობდნენო წინათ. ტოჩია გვარი ყოფილა. დღეს ასეთი გვარის აქ არავინ ცხოვრობს“.

ნაქოგალუ (ნახორბლარი). ადგ. „მხეიძეების ყანები იყო. პური ითესებოდა. პეტრე დგებიამ სალეწი მანქანა საზღვარგარეთიდან გამოიწერა და

აქ პურს ლეწავდა, ღებულობდა ნატურით გამოსაღებს ერთ მეათედს, ან ერთ მეხუთედამდე“ (შ. ქაჩიბაია).

ნაღუმუ (ნაღომარი). ადგ. „აქ სულ ღომსა ვთესდით. ღომი იყო მაშინ ჩვენი ძირითადი საკვები. ღომი აქ ძალიან კარგი იცოდა. განსაკუთრებით „ჩქინებურა“ (ჩვენებური). მას დიდი ყუბერები ჰქონდა, მსხვილი, ყვითელი მარცვლებით“ (ა. ნინუა).

ნაცხედუ. ადგ.

ნაჭკიდუ (ნამჭადარი). ადგ.

ნაჯოგუ (ნაჯოგარი). ადგ.

ნაჯღერუ (დანარეკი). ადგ. „აქ თავი შეუფარებიათ მონობიდან თავდახსნილ ვაჟს და დედას, ისინი რკინის ჟღარუნით აცნობდნენ, რომ აქ იმალებოდნენ“.

ნექონა (ნიგვზნარი). ადგ. „ნიგვზის ძველი ტყე ყოფილა“.

ნოხორიი (ნასახლაარი). ადგ.

ნოხორიი (ნასახლარი). ადგ. „ანტონ ბატონიშვილის ნასახლარი“.

ნოყონიი (ნაყანარი). ადგ. ახლა იპოდრომია.

ოდაფე (დაფნარი). ადგ. „უძველესი კერძო მესაკუთრის დაფნარი ყოფილა“.

ოისირე (საისლო). ადგ.

ომუნჩქვე (სამაჩვო). ადგ.

ომუნჩქვეში (სამაჩვო). ადგ.

ოპურასკიე (საპრასო). ადგ. „პრასა მოდიოდა კარგი“.

ორეკეში (სარეკი). ადგ. „აქ გამოლოცვა ხდებოდა, აქ რეკვით ლოცულობდნენ“.

ოფშალუეში. ადგ.

ოჩალური. ადგ.

ოჩუალე (სამალავი). მთაა და გამოქვაბული. „აქ ყაჩაღები იმალებოდნენ. ამიტომ ოჩუალე ეწოდება“. აქ დიდი გამოქვაბულია, სადაც გეგეჭკორის და ცხაკაიას მუზეუმების ექსპედიციებმა იპოვეს ზედა პალეოლითისა და ნეოლითის ხანის ადამიანთა საცხოვრისისეული მასალა, რომელიც ინახება გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ოხვამე (ეკლესია). „წმინდა გიორგის ეკლესია. დღეს ნანგრევია“.

ოხვამე (ეკლესია). ადგ. „სობორი“, ქალაქის მმართველის სალოცავი.

ოჯარე (საჯარო). ადგ. „ახალი სენაკის კულტურული საზოგადოების თავშეყრის ადგილი, ცენტრი“.

ოჯარეში (საჯარო). ადგ. „ამ ადგილას ყოველი აღდგომის მომყოლ დღეს იცოდნენ „შხეფალა“, „ჯარაღუა“, „დიდი დღეობა“.

ოყოფურეში (ნაყოფიერი). ადგ. „ნაყოფიერი საყანეა“.

პაპანწყვიი (მღვდელ ჩაქცეული). ადგ.

პაპაში ნოხორიი (მღვდლის ნასახლარი). ადგ.

ჟირღეე (ორღელე). ღელე. ერთვის ფიცუს.

როსტომაში ნოხორიი (როსტომას ნასახლარი). ადგ.

როსტომიკაში ყვანა (როსტომიკას ყანა). ადგ.

რუსეფიში ნანთხორა (რუსების განათხარი). ადგ. რუსებს გაუთხრიათ სანგრები.

სააგურო (სააგურე). ადგ. „ძველი სააგურეა“.

საანგურო (სააგურო). ადგ. „უძველესი სააგურე ყოფილა“.

სადგური. „რკინიგზის ძველი სადგური. ახალი სადგურის ქვემოთ, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით ტერიტორია მხეიძეებმა დათმეს სადგურის ასაშენებლად“.

სათულაძე. ადგ.

საკალანდარიშვილო. უბანი. „კალანდარიშვილების დასახლებაა. „კალანდასქუალეფი“ მოსულან გურიიდან და აქ დასახლებულან. ჩვენ მისი მემკვიდრეები ვართ“ (გ. კალანდარიშვილი).

საკალანდარიშვილოს ჯიხა (საკალანდარიშვილოს ციხე). ციხე კალანდარიშვილების უბანში, მთის შეფენაზე დგას. ეს კიდევ ერთი საკმაოდ დაცული ციხეა. იგი ნათალი ქვითაა მოპირკეთებული, ირგვლივ მაღალი გალავანი უვლის. გალავანს შიგნით, სამხრეთით და ჩრდილოეთით დგას ოთხკუთხა კოშკები. გალავანს ირგვლივ გარედან უვლის ღრმა თხრილი და მიწაზურგა. ციხეც მაღალ ბორცვზე დგას. იგი უფრო კეთილნაშენია, ვიდრე შხეფისა.

საკინწურეისძუალოში გოჯა (საკინწურაშვილოს მთა). მთა.

საკირე. ადგ. „ძველი საკირეა“.

სალომიო ზედა (ზედა სალომიო). ლომია გვარია. უბანი.

სალომიო ქვედა (ქვედა სალომიო). უბანი.

სანინუო. ნინუების (გვარი) ნასახლარი.

სასახოკიო. სახოკიების (გვარია) უბანი. „აქ ესახლნენ სახოკიები, ჩიქობავები, ნინუები“.

საქაჩიბაიო. ქაჩიბაიების (გვარია) უბანი.

საჩიქობაოში გოჯა (საჩიქობაოს მთა). მთა.

სახელაიო. ხელაიების (გვარია) უბანი.

სტეფაში ნოხორიი (სტეფას ნასახლარი). ადგ. „ეს არის სტეფა ჩიქობავას (არნოლდ ჩიქობავას) მამის ნასახლარი“.

სხულონი (მსხალნარი). ადგ. „აქ ჭანური მსხალი ხარობდა. დღეს ეს მსხალი გადაშენებულია“.

ტასოში დიხა (ტასოს მიწა). ადგ. (გიორგი ყარამანის ძე ქაჯაია, 83 წ.).

ტეხირპიჯი (ტეხურის პირი). ჭალა.

ტოტიაში დიხა (ტოტიას მიწა). ადგ.

ფიცუ. ღელე.

ქაქუჩაში ნოხორიი (ქაქუჩას ნასახლარი). ადგ.

ქოქირიაში გინანთხეფი (ქოქირიას გადანავარდნი). ადგ. „აქ ქოქირია ნინუა გადავარდნილა“ (არტემი დოროთეს ძე ნინუა, სახალხო მთქმელი, შხეფის ძეგლთა მცველი, 74 წ.).

ქუაშხორი (ქვის ნაზვინი). ადგ. „აქ სოფლის მავნე კაცი ჩაუქოლიათ და მის გვამზე აღუმართიათ წყევლით ეს „ქუაშხორი“.

ღეგჩა. ადგ.

ღეე. ღელე.

ცაში ოგინეხე (ცაავას სავენახე). ადგ. „თეიმურაზ ცაავას ჰქონია სავენახე“.

ცაცხვჯინჯი (ცაცხვის ძირი). ადგ. „აქ უძველესი თავშეყრის ადგილია, სცოდნიათ ხვამაც“ (ლოცვა) (მაკარი ალექსანდრეს ძე შალამბერიძე, 72 წ.).

ცქუმუტურჯინჯი (ზღმარტლის ძირი). ადგ. „დიდი ზღმარტლის ხე მდგარა წინათ“.

ძმათა სასაფლაო. ადგ. „ძველი საერთო სასაფლაოა“.

ძონძირიში შარა (ძონძირის გზა). გზა.

ჭითა ღელე (წითელი ღელე). ადგ.

ჭორთონი (ჭორთნარი, ჭველნარი). ადგ.

ხირზენი (სახიზარი). გამოქვაბულია. „იგი შიგნით საკმაოდ ვრცელია. პირველ ტალანში ვპოულობთ კერამიკულ მასალას. აქვე ნაპოვნია გიორგი ბრწყინვალის მონეტა. არის გადმოცემა, რომ შიშიანობის დროს ხალხი თავს აფარებდა ამ გამოქვაბულს. იგი ქვითკირით მოპირკეთებულია. აქვს სარკმელი, კარი და სათოფურები. აქ თავშეფარებული ხალხი ღამე თავს ესხმოდა მტერს და ანადგურებდა. მას ხალხი დღესაც ხირზენს ეძახის“ (ა. ნინუა).

ხომონი (ხურმნარი). ადგ. „აქ სულ ხურმის მაღალი ხეები ყოფილა, რომელზეც მიშვებული იყო შონურის მაღლარი ვაზი. აქვე იყო აგრეთვე შხუჩეში, ჭვიტილური და სხვ.“.

ჯგერაიაში ცაცხუ (ჯგერაიას ცაცხვი). ადგ. „ეს საოხვამურო (სალოცავი) ცაცხვი ყოფილა, „ჯგერაიაშ საოხვამურო ცაცხვი“.

ჯიხა (ციხე). დღეს ნანგრევია დარჩენილი.

ჯიხაფერდი (კოშკის ფერდობი). ადგ.

ჯიხა შხეფისა (ციხე შხეფისა). ციხეა. საერთოდ, კარგადაა შემორჩენილი. ნაგებია XVI საუკუნეში. XIX ს. II ნახევრის დასაწყისშიაც მოქმედი იყო. ომერფაშას ლაშქრობის დროს აქ თავი შეუფარებია ეკატერინე ჭავჭავაძეს თავისი შვილებით. ციხე დგას მაღალ ბორცვზე. ირგვლივ 5 მეტრი სიმაღლის გალავანი უვლის, გალავნის ჩრდილო-დასავლეთ მხარეზე დგას თავწაკვეთილი პირამიდის ფორმის სამსართულიანი კოშკი. მის პირდაპირ, ჩრდილო-აღმოსავლეთით მრგვალი, ორსართულიანი კოშკია, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით ოთხკუთხა სამსართულიანი კოშკი. მის ქვემოთ გადის ციხეში შესავალი კარი. ამ კოშკის აღმოსავლეთით ყოფილა კიდევ ერთი ოთხკუთხა კოშკი, იგი დანგრეულია. კოშკში დაცულია წყლის აუზი, ქვითკირით ამოშენებული. გალავანს ქონგურები არა აქვს შემორჩენილი. ნაგებობის ირგვლივ, ეტყობა, იყო ღრმა თხრილი, სადაც ალბათ მუდმივ იდგა წყალი, რაც ხელოვნურ ბარიერს წარმოადგენდა ციხეში მისადგომად. ციხე შორიდან ძალიან ლამაზია.

შხეფი. ადგ. და სოფელია. „აქ ცოდნიათ შხეფალა, დიდი სახალხო დღესასწაული. ამიტომ ამ სოფელს ეს სახელი შერჩენია. რიტუალი აღუწერელია. გ. ხუხუნი თავის ნარკვევში წერს: „შხეფის სახელწოდების შესახებ ადგილობრივი მკვიდრნი ორნაირ განმარტებას იძლევიან:

„შხეფის სახელწოდება მჩქეფარე ნაკადულებიდანაა წარმოშობილი, რაც უამრავია შხეფის მთის სამხრეთ მხარეზეო. ამ ნაკადულების შეერთებით ოთხი ღელე ჩამოდის მთიდან და მდ. ტეხურას უერთდება“.

„შხეფი ნიშნავს „შხაფას“, სიტყვა „შხაფა“-დან წარმოსდგა სახელწოდება შხეფიო. შხაფა ქართულად შფოთვას ნიშნავს. როცა მტერი მოადგებოდა ამ მხარეს, მოსახლეობა იწყებდა გოდებას, მტრის წინააღმდეგ ირაზმებოდა ყველა, თავგანწირვით იბრძოდა. მყუდრო ცხოვრება დარღვეული იყო, ხალხი „იშხანდუ“, „იშხაფუდუ“, „მუკილმუკილი“, „შფოთი იყო ირგვლივო“. ამიტომ დაერქვაო შხეფი. თავდაპირველად ალბათ შხაფი“. „შხაფალა“ დიდი სამადლობელი დღესასწაული იყო მტერზე გამარჯვების აღსანიშნავად – გამარჯვების დღესასწაული და გამარჯვების სალოცავიო“. ეს განმარტებაც, უდავოდ, საყურადღებოა.

ძველი სენაკი

სასოფლო საბჭო ცხაკაიას რაიონული ცენტრის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. მას დასავლეთით ეკის სას. საბჭო, აღმოსავლეთით – გეჯეთის სასოფლო საბჭო, ჩრდილოეთით – ნოქალაქევის სას. საბჭო და სამხრეთით კი ქ. ცხაკაია და ნოსირის სას. საბჭო ესაზღვრება. მისი ცენტრი ძველი სენაკია – ისტორიულად ამ ტერიტორიული რეგიონის ცენტრი. იგი XIX საუკუნის II ნახევრამდე ერთ-ერთ წამყვან ეკონომიკურ და კულტურულ დაბას წარმოადგენდა აღმოსავლეთ სამეგრელოს მოსახლეობის ყოფასა და ცხოვრებაში. აქ იყო სავაჭროებიც და ბაზარიც. იყო ხელოსნური წარმოების კერები. იყო სამეურნეო და კულტურული ცხოვრების მდიდარი ტრადიცია. აქაური მეუნაგირეები, ჩოხის და ჭედური ხელოვნების ოსტატები, საყოველთაოდ სახელგანთქმული იყვნენ. ძველი სენაკის სასწავლებელი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, დაწინაურებული სასწავლებელი ყოფილა, სადაც მასწავლებლობდნენ ნიკო ჯანაშია, ს. გამყრელიძე, პ. ლორთქიფანიძე, დ. ოყრეშიძე, ს. მამულია. აქ სწავლა-განათლება მიუღიათ ისეთ ცნობილ ქართველ მეცნიერებს და მოღვაწეებს, როგორებიც არიან აკადემიკოსები: ს. ჯანაშია, კ. გამსახურდია, არნ. ჩიქობავა, კ. თოფურია, პ. ქავთარაძე, პროფესორები: ი. ბჟალავა, ვ. ნორაკიძე, ვ. გაგუა და სხვ. ამ სოფლის საჩიქობავოს უბანში დაიბადა და აღიზარდა არნოლდ ჩიქობავა. ეს ცენტრი დიდი ხნის წინათ მდებარეობდა სამეგრელოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე, სადაც ერთმანეთს კვეთდა არგუეთიდან კლისორისაკენ და ფოთიდან მარტვილისაკენ მომავალი გზები. აქ ჯერ კიდევ XIII-XV საუკუნეებშიც ალბათ იყო სენაკი, მგზავრთა მოსასვენი ჯიხური და ნაგებობანი. იგი იყო ამ გზაზე ერთ-ერთი საფორტიფიკაციო ცენტრი. გვიან, XVII-XVIII საუკუნეებშიც ამ ცენტრს არ დაუკარგავს მნიშვნელობა. აქ XVII საუკუნეშიც მისიონერთა სამყოფი ბინებიც და კარ-მიდამოებიც კია აღნიშნული კასტელის რუკაზე. ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით, ამ ადგილას ძველი სენაკია; საშუალო საუკუნეებში ბერებს ეკლესიასთან მცირე ქოხები, სამარტვილო ოთახები, სენაკები მოუწყვიტათ და შიგ ცხოვრობდნენ თურმე. აქვე მათ ჰქონდათ სტუმართა მოსასვენებელი ასეთივე ქოხები, აქედან დაერქვაო „სენაკი“. სულ სხვა აზრს გამოთქვამს თეათინელი ბერი, იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, როდესაც სამეგრელოში არსებულ მდინარეებზე წერს: „ტეხური შეიძლება იყოს არიანეს „სიგამე“, თუმცა იმის სიტყვით ეს მდინარე მეოთხეაო ხობის შემდეგ. ეს უკვე უზუსტობაა. მეოთხე მდინარე ცხენისწყალია, ამიტომ ამბობს, რომ ეს მდინარე ჩაუდის ერთ ადგილს, რომელსაც მდინარის გამო ეწოდება „სიგამე“. ამის მსგავსი სახელი მართლა ჰქვია იმ ადგილს, რომელსაც ჩაუდის ტეხური. იმ ადგილის სახელია სენაკი. ადვილი შესაძლებელია, რომ ენის განუვითარებლობის გამო „სიგამე“ გადაიქცა სენაკად და მდინარემ თავისი სახელი მისცა ამ ადგილს; ადგილმა შეინახა ეს სახელი და მხოლოდ მდინარემ შეიცვალა“.[1] ეს შენიშვნა იქნებ სარწმუნო იყოს, მაგრამ ასეა თუ ისე, XVI-XVIII საუკუნეებში ადგილი საკმაოდ ცნობილი და აღიარებულია. მას იცნობს და თავის სიაში შეაქვს ვახუშტისაც. ეტყობა ამ დროს სოფელი ან დაბა თავისი ადმინისტრაციული და ეკონომიკური ცენტრის როლსაც ასრულებდა. ამაზე მიუთითებდა და ყურადღებას ამახვილებდა თავის ნარკვევში გედეონ ხუხუნიც. XIX საუკუნის დასასრულს ახალი სენაკის წარმოქმნისა და დაწინაურების დროსაც ძველ სენაკს მნიშვნელობა არ დაუკარგავს. აქ ბაზრობა, „დიდი იარმაკობაც“ იმართებოდა თურმე. დღეს ეს სოფელი ეკონომიკურად და კულტურულად ერთ-ერთი დაწინაურებული დაბაა. აქ ნიადაგი წითელმიწა ალუვიური ხასიათისაა. ჭალები ტეხურის ქვიშითაა დაფენილი. მთის ფერდობები კარბონატული ნიადაგითაა შემოსილი და სულ ვაზნარის, ხილნარის, სუბტროპიკული კულტურების უძველეს ბაღნარად და სავარგულებადაა მიჩნეული. მეცხოველეობით, დაფნის კულტურით, მევენახეობის მეურნეობით დღეს სოფელი გამორჩეულია, მისი შემოსავლის წყარო სწორედ ამ მეურნეობითაა ყოველწლიურად მზარდი. აქ გლეხი 18 მანეთს ღებულობს საშუალოდ კაცდღეზე. საშუალო წლიური შემოსავალი ერთი კოლმეურნისა 1800-2000 მანეთს აღემატება. მხოლოდ ამ სოფელში 150 უმაღლესი განათლების სპეციალისტი საქმიანობს და ცხოვრობს. მოსახლეობის 70%-ს საშუალო განათლება აქვს.

აბანა (აბანო). ადგ. „მთის ძირასაა, სოფ. სორტაში. აქ მდინარეზე საბანაო ყოფილა მოწყობილი“.

ახალი ხორი. ადგ. „აქ ელიზბარ დადიანის სასახლე იყო. აქ დროებით დაბანაკებულა სამეგრელოს მმართველი ნ. კოლუბიაკინი“ (გ. ხუხუნი).

ბარბაეჭაე (ბარბალე ჭალა). ადგ. „აქ ბარბალეს ოხვამე ყოფილა და ბარბალობა იცოდნენ“.

ბაძუში ნადოხორუ (ბაძუს ნასახლარი). ადგ.

ბეჭაში ნოტეხი (ბეჟას გატეხილი ყამირი). ადგ.

ბოგაში. ადგ.

ბულჯინჯი (ბაღის ძირი). ადგ.

ბულონა (ბაღნარი). ადგ.

გამსახურდიაში ნოხორი (გამსახურდიას ნასახლაარი). ადგ.

გეგიაში მუხური (გეგიას კუთხე, უბანი). უბანი. გეგია (გვარია) სახლებულა.

[1] იხ. ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 175.

გინძე ღვანა (გრძელი ყანა). ადგ.

დადიაში ნოხორი (დადიანის ნასახლარი). ადგ.

დობერა (დობილო). ადგ. „მთის ველობი“.

დომნური. ადგ.

დოხორე (სასახლე). ადგ.

დუქანკარი (დუქნის კარი). ადგ. „კიზირიები თურქებს გამოუყენებიათ ტვირთის მზიდავად. შემდეგ შეურეკიათ და დაუბამთ ლაბახაში. გაუხდიათ და თაფლი წაუცხიათ, საჭმელს და სასმელს არ აძლევდნენ. ბატონიშვილებს ისინი უხსნიათ, თათრის დუქანი მოუშლიათ და ჩვენებს დაუწყიათ ვაჭრობა“.

ეკურეთი. ადგ.

ენწერი (ეწერი). ადგ.

ენწერი (ეწერი). ადგ. „შემდეგ ქარხანა ააგეს“.

ზუგა (მიწაზურგა). ადგ.

თეკადარი (ეს კადარი). ადგ.

თელონჯინჯი (თელნარძირი). ადგ.

თხომონა (თხმელნარი). ადგ.

თხომჯინჯი (თხმელაძირი). ადგ.

იულოში ნოხორიი (იულონის ნასახლარი). ადგ.

კადარი (ქვიანი ფერდობი). ადგ.

კვარჩხღალი (საწინააღმდეგოდ მომდინარე ღელე). იგი არა ჩრდილოეთიდან, არამედ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიედინება. პატარა ღელეა.

კიზირიაში ნოხორი (კიზირიას ნასახლარი). ადგ.

კირდე (კლდე). ადგ.

კოლოშონა (მწარე შონური). ადგ. „ამ ვაზის მაღლარი ყოფილა აქაც“ (ჩიქობავა მიხეილ უშანგის ძე. 62 წ.).

კოლოშონა (მწარე შონური). ადგ. „აქ კოლოშონას ვაზი იყო მაღლარზე. ახლა ამ ჯიშის ვაზი აქ არ არის“.

კოტიანეთი. სოფ. 1. „აქ სახლებულა ვიღაც კოტია და მისი თი ყოფილა, მისი დიდი ოჯახი“; 2. „ვიღაც დიდი და ძლიერი მეფე ყოფილა კოტატი და მის გამო დარქმევია ადგილს კოტიანეთი“ (მიხეილ პლატონის ძე ბელექანია, 71 წ.); 3. „აქ კოტოებს – ქოთნებს აკეთებდნენ“.

ლაუში სუკი (ლაუს სერი). ადგ.

ლანჯონა (კოპიტნარი). ადგ.

ლეკუხონა (ლეკის ხის ტყიანი). ადგ.

მაგდაზა. ადგ.

მენჯიში ნოხონი (მენჯის ნაყანევი). ადგ.

მირსიოღე დუდი (მოატრიალე თავი). ღელე.

მურზაში ნოხორიი (მურზას ნასახლარი). ადგ. „მურზა ჩიქოვანის ნასახლარი“.

ნააფშილუ (აფშილავების ნამყოფი). უბანი. „აქ გამსახურდიები ამოწყვეტილან და აფშილები ჩამოსახლებულან. ერთ-ერთ გამსახურდიას ჩხეტია უშვილებია და მიწა-მამული მისთვის დაუტოვებია. იგი ყოფილა მისი გამდელის შვილი. აფშილას ეს შეურაცხყოფად მიუღია, ჩვენ ჩხეტიას ვერ ვიგუებთო და სხვა პატრონს მინდობიან“.

ნაბარგგ (ნაბანაკარი), ადგ. „რუსის ჯარის ნაბანაკარია“.

ნაბაღუ (ნაბაღარი). ადგ. „უდაბური ტყე ყოფილა“. იქ თათრების დროს ყურსალებისაგან ქალებსა და ბავშვებს მალავდა ხალხი. ამასთან, ჰქონდათ ბეღლები, სადაც ინახავდნენ სიმიდს. თათრები ვერც ქალებს და ბავშვებს აგნებდნენ, ვერც სიმინდს და ასე გადარჩებოდა განადგურებას. ამიტომ ამ ადგილს ხალხი ნაბაღუს ეძახის, ნაბეღლარს“ (კ. გამსახურდია).

ნაბაღუ (ნაბეღლარი). ადგ.

ნაბერალუ (ნადროშალი). ადგ.

ნაბურჭულუ (ნაწალდარი). ადგ. „დავა მოსვლიათ. წალდით ერთმანეთი აუჩეხიათ მოდავეებს ამ ადგილის გამო“.

ნაგდაზენი. ადგ. „მაღალი ადგილია, ზურგაა“.

ნადეცუ. ადგ.

ნადოხორუ (ნასახლარი). ადგ. „ჩვენ ვართ ხონიდან, მელქაძეები. ჩვენს წინაპარს იქ რაღაც დაუშავებია და გამოპარულა. მგონია, ბატონი მოუკლავს. ერთი ნაწილი ნოქალაქევში დარჩენილა და იქ არიან. მეორენი კაცია დადიას ჯვარიდან აქ გამოუსახლებია და მათთვის ბელქანია შეურქმევია“.

ნადუქნუ (ნადუქნევი). ადგ.

ნაეზვარი (ნაეზოვარი). ადგ.

ნაზღვუ (ნაზღვავარი). ადგ. „გადმოცემით, თითქოს ეს ადგილი ნაზღვაუა. აქ თითქოს გემის მისადგომი იყო და რკინის ღერძი და ჯაჭვი იყო კლდეზე მიმაგრებულიო“ (მ. ჩიქობავა).

ნათიფურუ (ნათიბი). ადგ.


მეგრელიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ცხაკაიის რაიონის ტოპონიმიკური ატლასი
ძველი ხენაკის ხახოფლი ხიბერ
მასშტაბი 1:25 000

ნათუნთერა (ნადათვარი). ადგ.

ნაკანტორუ (ნაკანტორალი). ადგ. „ძველი ნაკანტორალია ეს ადგილი“.

ნაკარტოფილუ (ნაკარტოფილარი). ადგ. „პირველად აქ დაუთესიათ და მოუყვანიათ კარტოფილი“.

ნაკლასუ (ნასკოლარი). ადგ. „აქ სკოლა გაუხსნია ვლადიმერ გაგუას. იგი ყულევში იყო მასწავლებლად და შემდეგ აქ გადმოსულა და აქ დაუარსებია სკოლა. მისი შვილი პროფესორია, ვალერი გაგუა. ვლადიმერ გაგუა დიდად განათლებული და მოღვაწე კაცი იყო“ (მიხეილ ბელქანია).

ნალევანჭაე (ნალევანჭალა). ადგ. „ლევან II დადიანის ჯარი ბანაკებულა. ბრძოლაც მომხდარა. აქ გამსახურდიები – აზნაურები სახლებულან“ (კოკი ალექსის ძე გამსახურდია, 80 წ.).

ნამაშინუ (ნამანქანევი). ადგ. „წინათ ქარხანა ყოფილა, საზღვარგარეთიდან მოუტანიათ „მაშინები“ – მანქანები და მით მუშაობდა ქარხანა. კერძო პირების ქარხანა ყოფილა. აქ ქსოვდნენ ხამს და ტილოს“.

ნაოსხაპუ (ნასაცეკვარი). უბანი.

ნაოსხაპური (ნასაცეკვარი). ადგ.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი). ადგ. „არავის არ ახსოვს, აქ რომ ხვამა (ლოცვა) იყო. ამბობენ, რომ ძველად აქ ხვამა ყოფილა“.

ნარამუ (ნარამალი). ადგ.

ნატეგუ (ნატყევარი). ადგ.

ნაუბრეში. ადგ. „ძველი საჯარო ადგილია“.

ნაუნაგირუ (ნაუნაგირალი). ადგ. „უნაგირა გადასასვლელია“.

ნაფაცხუ (ნაფაცხარი). ადგ. „აქ ფაცხა იდგა და გზაზე მიმავალი კაცი ამ ფაცხაში ისვენებდა, გადაიღამებდა და შემდეგ გზას გაუდგებოდა“ (თედორე კოსტას ძე სახოკია, 78 წ.).

ნაქოგალუ (ნახორბლარი). ადგ.

ნაქორთუ (ნაქართველარი). ადგ. „აქ ქართლიდან მოსული კაცი სახლებულა“ (კონსტანტინე დიომიდეს ძე ნორაკიძე, 68 წ.).

ნაქერუ (ნაქერალი). ადგ. „ჭურჭლების გამოსაწვავი ქურა ყოფილა აქ“.

ნაღუმუ (ნაღომარი). ადგ. „ღომს ინახავდნენ ბეღელში“.

ნაჩეხუ (განაჩეხი). ადგ. „ნაომარი, ნაბრძოლი ადგილია“.

ნაჩხუგუ (ნაბრძოლი), ადგ. „ბრძოლა მომხდარა ნოსირისათვის. ორი გოგონაც ყოფილან ბრძოლაში. ისინიც იბრძოდნენ თურმე. მათ დიდი გმირობა გამოუჩენიათ“.

ნაწისქვილუ (ნაწისქვილარი). ადგ.

ნაჭკიდუ (ნამჭადარი). ადგ.

ნაჭკიდუ (ნამჭადარი). ადგ. „მჭადი და ღომი ერთადერთი მარცვლეული კულტურა იყო მაშინ, უფრო მეტად ამათ ვთესავდით“.

ნახური. მოზრდილი ღელეა. სათავეს იღებს ეკის მთიდან, უერთდება მდ. ტეხურს, მარჯვენა მხარეზე. ღელეს წყალი თბილია. ამიტომ მას „ხურის“ უწოდებენ. ე. ი. მხურვალეა, თბილია“ (გ. ხუხუნი). ტოპონიმი ერთგანაც გვხვდება.

ნაჯარუ (ნაჯარალი). ადგ.

ნაჯიხუ (ნაციხარი). ადგ.

ნაჯოგუ (ნაჯოგარი). ადგ. „ჯოგის სადგომი ადგილი იყო ძველად“.

ნეძონა (ნიგვზნარი). ადგ.

ნირსიოლე. ღელე. უერთდება კვარჩხღალს, მასთან ერთად ნახურღელეს.

ნოსირი (დაშრობილი). სოფ. III ნოსირი. „ადგილი ჭაობიანი ყოფილა და „ნოსკირურე“ – დანაშრობია აქედან ნოსირი“.

ნოხორიი (ნასახლარი). ადგ.

ოდაგვანე (საქვევრო). ადგ.

ობირეში (სასიმღერო). ადგ.

ოდაფე (დაფნარი). ადგ. „ძველი დაფნარი ყოფილა“.

ოთიფური (სათიბი). ადგ.

ოისირე (საისლო). ადგ.

ოტორონჯე (სამტრედო). ადგილი.

ოქტომბერი. სოფ. „ამ სოფელს ან ამ უბანს ოქტომბერს ეძახიან. აქ ოქტომბრის სახელობის პატარა კოლმეურნეობა იყო შექმნილი პირველად და ამიტომ“.

ოღონტყეში (საგორაო, სატალახო). ადგ.

ოღუმოლი (საღამო). ადგ.

ოშაყარგ (თავშესაყრელი). ადგ.

ოჩე (ნაყოფიერი). ადგ.

ოჩვამე. ადგ.

ოჭყონე (სამუხო). ადგ. „მუხის ტყე ყოფილა წინათ“.

ოხვამე (ეკლესია). ადგ. „წმინდა კვირიკეს ეკლესია მდგარა. აქ კვირიკობა შუა ივლისში ვიცოდით. აქ, ამ ოხვამურზე გოგონა ვერ წავიდოდა. საერთოდ, გოგონები ეკლესიაში არ დადიოდნენ. წმინდა კვირიკე უშვილო ქალთა ღვთაებად და სალოცავად ითვლებოდა. აკვანს გააწყობდნენ, ქვას ჩააწვენდნენ მასში და თხოვდნენ შვილიანობას. აქვე ხდებოდა გადაცემა. ამ ეკლესიის მფარველები გამსახურდიები იყვნენ. „ნოსირი საგამსახურდიორე დო ირიფეი სიკეთე თეურე მურსია“. საგამსახურდიოა ეს ნოსირი და ყველა სიკეთე იქიდან მოდისო, – იტყოდნენ წინათ“.

ოხოჯე (სახარე). ადგ.

რეენაშქვიდუ (რევიას ნახრჩობი). ადგ. „აქ რევია დამხრჩვალა“.

რევიაში გინნათხეფი (რევიას გადანავარდნი). ადგ. „აქ ერთი რევია ბადეთი თევზაობდა თურმე, იგი ხუნწელი ყოფილა. როცა ბადე არ ახსნილა, რევიას ჩაუყვინთავს, იგი ჩაბორკილა და იქ ჩამხრჩვალა“.

როკონა (როკნარი). ადგ. „მუხის ტყე მოუჭრიათ და როკონა დარჩენილა“.

რჩქონი (კუნძული). ადგ.

საბაჭო. ადგ. „აქ ყარაულები იდგნენ და ბაჟს იღებდნენ“.

საბედიო. ბედიების (გვარია) უბანი.

საგიგიბერიო. გიგიბერიების (გვარია) უბანი.

საესებუო. ესებუების (გვარია) ნასახლარი.

სამიქაძო. მიქაძეების (გვარია) უბანი.

საქანთარიო. ქანთარიების (გვარია) უბანი.

საშაფათო. შაფათების (გვარია) უბანი.

საჩიქობაოში ჯიხა (საჩიქობაოს ციხე). ადგ. „აქაც, საჩიქობაოშიც მდგარა საყარაულო ჯიხა. დღეს ნანგრევია“.

საჩიქობო (საჩიქობაო). უბანი. „აქ არის არნოლდ ჩიქობავას ეზო და კარ-მიდამო. შიგ სახლი არ დგას“ (გოროზია ანდრო არტემის ძე, 67 წ.).

საჯანჯღა. ჯანჯღავების (გვარია) ნასახლარი, ადგ. დღეს აქ ჩაის პლანტაციაა.

სენაკჭაე (სენაკის ჭალა), ტეხურისპირეთის ამ მონაკვეთს სენაკჭაეს უწოდებდნენ.

სოონანგურეში (სააგურო). ადგ. „უძველესი სააგურო ყოფილა“.

სორტა. სოფ. „გადმოცემით: თურქეფი მოვთხოზუნა დო სოვირტათია“ (თურქები მოგვსდევენ და სად გავიქცეთო). ამიტომ დაერქვა შემცირებით: სორტა-სორტინა. „თაქ ჯა დოსორტი, სორტო ქგდაანწყილია – აქ ხე წყება-წყებით დააწყეო“. „დალაგება, დახარისხება, დოსორტუა“. აქედან წარმოსდგა სოფლის სახელი სორტა (დიანოზ ექვთიმეს ძე ბაღათურია, 76 წ.). გედეონ ხუხუნი თავის ნაკვლევში ამ სახელწოდების წარმოშობის შესახებ ბოროზდინის დასკვნას გვთავაზობს: „სოფ. სორტა ვაკე ადგილზეა გაშენებული ძველ სენაკთან ახლოს“. უვლის მდ. ტეხური. ს. სორტა იყოფა ორ ნაწილად: ზემო და ქვემო. სორტას ვაკე ადგილი უკავია და მდ. ტეხური ესაზღვრება. მის პირას, გაშლილ ველზე, გენერალ-მაიორ – თავად ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონს 1854 წელს თავისი ჯარი ეყენა თათრებთან ომის დროს. თვით ბანაკს, „სორტიანე“ დაარქვეს, სიტყვების, „სორტა“ თუ „როტა“ და მუხრანბატონის სახელის – იოანეს გაერთიანებით“2.

ტაიაში ძუგუ (ტაიას მიწაზურგა). ადგ.

ტეგი (ტყე). ადგ.

ტეგი (ტყე). ადგ. „დიდი და გაუვალი ტყე ყოფილა, შემდეგ გაუჩეხიათ“.

ტეხირპიჯი (ტეხურ პირი). ჭალა.

ტეხირჩქონი (ტეხურის კუნძული). ადგ.

ტობაწყარი (ტბა-წყარო). ადგ. „იგი მთაზე დამდგარი წყალია, სუფთაა და ცივი. 300 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან“.

ტყაუჩა (შავი ტყე), ადგ.

უჩა ღეე (შავი ღელე). ადგ.

ფანჩქილონი (მსუბუქი მიწა). ადგ. „ფაქარდიხა – ფაქარმიწა“.

ფარცხინოლი. ადგ.

ფშალონა. ადგ.

ფშალონა. ადგ. ნაყოფიერი ადგილია.

ქვაბი (გამოქვაბული). გამოქვაბული.

ქორქიაში ნოხორიი (ქორქიას ნასახლარი). ადგ.

ქუაშხორ-დოხორე (ქუაშხორის სასახლე). ადგ. „აქ ნიკოლოზ დადიანის სასახლე მდგარა. მისი ქალიშვილი – მენიკი აფხაზეთის მთავრის – აბუთბეი-მიხეილ შერვაშიძის მეუღლე ყოფილა, მაგრამ ერთმანეთს განშორებიან. ამ სასახლეში დაბინავდა დუკრუასი თავისი სამი თანამოღვაწით: ბარანოვსკით, ულცინსკითა და შერმეტიევით. ესენი იყვნენ რუსეთის მეფის წარმომადგენელნი სამეგრელოში რუსული მართვა-გამგებლობისს წესების დამყარების საქმეში. ამ სასახლეში კარგა ხანს უცხოვრია ეკატერინე ჭავჭავაძეს თავის ნათესავ მენიკთან. ამ სასახლეში იყო მოთავსებული სამეგრელოს მართვა-გამგებლობის საბჭო“ (გედეონ ხუხუნი).

ღალგ (ღელე). ღელეა.

შარვანიში ფერდი (შარვანის ფერდობი). ადგ.

შკაღა (შუაღელე). ჭაობი ადგილია.

შუაღა (შუაღელე). ღელე.

ჩაკაგური. ადგ.

ჩეჩონა. ადგ.

ჩიქობაში გინარჩქილუ (ჩიქობავას გადასახედი). ადგ. „ჩიქობავები იყოფოდნენ შემდეგ დინოებად: ლევანიაში თური, ხონკაში თური, ნიკო-

2 ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, გვ. 11.

ШИ ТУРИ, ЛУКАИАШИ ТУРИ. ბატონი არნოლდი ჩიქობავა ხონკაში თურს, ხონკას დინოს ეკუთვნის“.

ЦАЦХВАЖИНАЖИ (ცაცხვის ძირი). ადგ. „ტეხური გადასულა, ეს ადგილი წაულეკია. ორი ცაცხვის ნერგი მოუტანია წყალს. ერთი აქ დაურგავთ, მეორე ეკლესიაში“.

ЦАЦХВАЖИНАЖИ (ცაცხვის ძირი). ადგ. (ზაურ შეროზია).

ЦИФУРОНА (წიფლნარი). ადგ.

ЦЫЕМИ. ადგ. „ნადაჩუა. აქ ბატონიშვილებს ჰქონიათ დაჩა“.

ЧАДАРАЖИНАЖИ (ჭადრის ძირი). ადგ. „იგი უძველესი სალოცავი ადგილი და თავშესაყრელი, საჯარო და სადღეობო ყოფილა“.

ЧАЕ. ჭალა.

ЧИЧЕ ШХЕФИ (პატარა შხეფი), უბანი. ეს შხეფის ჩრდილოეთის მხარეზეა.

ЧОРТОНА (წვრილი ნერგის ტყიანი). ადგ.

ЧУБАБРИЕФИШИ НОХОРИ (ჭუბაბრიების ნასახლარი). ადგ.

ЧУБУРОНИ (წაბლნარი). ადგ.

ЧЫОНА (მუხნარი). ადგ.

ХАТИШИ ДИХА (ხატის მამული). ადგ. „იგი წმინდა გიორგის ეკლესიის საკუთრებას შეადგენდა“.

ЖАРОБА (ჯარობა, თავშეყრა). ადგ. „აქ ჯარობა ცოდნიათ“.

ЖВЕШИ НАДУЧНУ (ძველი ნადუქნევი). ადგ.

ЖВЕШИ СЕНАКИ (ძველი სენაკი). სოფ. ცენტრი. „სენაკი წინათ მხოლოდ ერთი ყოფილა. რკინიგზის გაყვანის შემდეგ ცენტრი ახალ სენაკში გადაუტანიათ. სენაკი მაინც დარჩენილა დასახლებულ ადგილად და მისთვის ЖВЕШИ СЕНАКИ (ძველი სენაკი) უწოდებიათ“ (სპირიდონ მაქსიმეს ძე ტაბაღუა, 85 წ.).

ЖВЕШИ ШАРА (ძველი გზა). ადგ. „აქედან სვანეთისაკენ მიდიოდა ეკის გავლით ძველი გზა“.

ЖИХА (ციხე). ადგ. „ნაომარი ადგილია. ეს და შხეფის ჯიხა ერთ სწორ ხაზზე იყვნენ და ერთმანეთს გაჰყურებდნენ“.

ხორში

სასოფლო საბჭო მდებარეობს ცხაკაიას რაიონის დასავლეთის მხარეზე. მას სამხრეთით მენჯის სას. საბჭო, ჩრდილოეთით – ზანის საბჭო, ხოლო აღმოსავლეთით ძველი სენაკის სასოფლო საბჭო ესაზღვრება. მისი რელიეფი გორაკ-ბორცვიანი ზეგანია. ნიადაგი ალუვიური ხასიათისაა. წითელმიწა კარბონატული ნიადაგი აპირობებს სას. საბჭოს ტერიტორიაზე ვაზის, ხილის, ბოსტნეულის სიუხვეს. ეწერ ველებსა და ფერდობებდზე შეფენილია ჩაის პლანტაცია. არის ეთერზეთოვანი კულტურის ვრცელი მასივები. ნაყოფიერი ნიადაგი ოდითგანვე მარცვლეულ კულტურათა მდიდარ ასორტიმენტს განაპირობებდა. აქ ითესებოდა პურიც, სიმინდიც, ღომიც, ჭადაჭადაც. ცერცვისა და ლობიოს უხვი მოსავალი მოჰყავდათ. თესდნენ ურიშს. ტექნიკური მცენარეებიდან ფართოდ მოჰყავდათ და იყენებდნენ ბამბას, სელსა და კანაფს, ქსოვდნენ დარაიას და სელის ტილოს, ჯვალოსა და ხამიანს, აყენებდნენ მაღალხარისხოვან ღვინოებს.

სოფელი ისტორიული წარსულითა და სამეურნეო კულტურის მდიდარი ტრადიციითაა გამორჩეული. მოჭვარულა (ახოს აღება), ნიადაგის განოყიერება ტკილითა და ქვიშით, მოსილვა და მოქვიშვა ძალიან შორეული წარსულიდან ჩანს აქ სამეურნეო პრაქტიკაში. დღეს სოფელი მეურნეობრივად უაღრესად განვითარებულია. აქ თუნდაც ხორშის გამარჯვების სახ. კოლმეურნეობაში ახლა შრომადღეზე 8 მანეთამდე ნაწილდება, სოფლის მშრომელი კაცის საშუალო წლიური შემოსავალი ახლა 1700-1800 მანეთს აღემატება. უაღრესად მდიდარი და საყურადღებოა სოფლის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილი მიკროტოპონომია.

არგვანი (ქვევრი). ადგ.

არტემიში კარი (არტემის კარი). ადგ. „აქ „შაყარუა“ (შეკრება) იცოდნენ“. სიმღერაც არის ასეთი: „აბა, მივშვათ ჯარიშა, ჩქინ არტეში კარიშა“ (წავიდეთ ჯარზე, არტემის კარზე).

ახაიაში ნოხორი (ახაიას ნასახლარი). ადგ.

ბანკიში ტყა (ბანკის ტყე). ადგ. „წინათ იგი ბანკს კუთვნებია. სახაზინო ყოფილა“ (ნ. გარუჩავა).

ბარგა. ადგ. „ძალიან ნოყიერი ნიადაგი იცის. გაშლილი ველია.

ბენნაკვათაში დოხორე (ბენაკვათას სასახლე). ადგ.

ბესოში ღალ (ბესოს ღელე). ღელე.

ბუნნაკვათა (ბუნგადანაჭერი). ადგ. „ბუნეხი ნაკვათა“, გადანაჭერი ვენახი, მტერს ვენახი დაუჭრია ერთიანად“.

გიგუთი. ადგ.

გირძე მამული (გრძელი მამული). ადგ.

გურგინე (მგრგვინავია). ადგ.

დაბაი ნიშა. ღელე.

დაბაი ჭალ (დაბალი ჭალა). ჭალა.

დარიკოში ნოხორი (დარიკოს ნასახლარი). ადგ.

დოგერა (დობილო). ადგ.

დოგერა (დობილო). ადგ. „აქ ვენახიანი დობილო იყო. გავრცელებული იყო შონური ჭვიტილური და სხვა ჯიში“.

დოგერა (დობილო). ადგ. ფერდობია.

დორიანე. ადგ.

დღურუ. ღელე.

ენწერი (ეწერი). ადგ.

ენწერიში დოხორე (ეწერის სასახლე). ადგ. „ეს ადგილები დადიანებს ეკუთვნოდა და ბატონიშვილები ესახლნენ, მათი სასახლეები იყო იქ მოწყობილი“ (ნანა გვასალია, 61 წ.).

ენწერტყა (ეწერტყე). ადგ. ახლაც ტყეა.

ზანა. სოფელია. აქვეა მდინარეც.

ზემოკარი (ზემოკარი). ადგ. „მაცხოვრის ეკლესიის მიდამოები“.

თედოში ნოხორი (თედოს ნასახლარი). ადგ.

თურუში ნოხორი (თურუს ნასახლარი). ადგ.

თხაბზობა. ადგ. ჩაქცეული, დაჭაობებული, ჩაოხრებული ადგილია. წყალი დღესაც დგას.

ივანიათი (ივანეს ოჯახი). ადგ. „თი მუხურიში კოჩი ივანერდ, თინა ივანეში თირდ-იმ მუხურის კაცი ივანე იყო. ის ოჯახი ივანესი იყო. ივანეს აქ დიდი ოჯახი ჰქონია“ (მარიამ გერასიმეს ასული სიგუა, 78 წ.).

კაჟონა (კაჟნარი). ადგ.

კაცია დოხორიში დოხორე (კაცია დოხორის სასახლე). ადგ.

კლასი. ადგ. სადაც სკოლა დგას.

ლაქაშონა (ლაქაშნარი) ადგ.

ლომური (ნაომი, ნაომარი). ადგ. „აქ თურქობის დროს დიდი ომი მომხდარა. ამ ბრძოლას მრავალი ადამიანი შეწირვია. მოსახლეობა გადაუწვავთ. ველი სულ დაჭრილთა და მოკლულთა გვამებით ყოფილა დაფარული“ (ნ. გვასალია).

ლომური (ნაბრძოლი, ნაომარი). ადგ.

მანცხვარკარი (მაცხოვრის კარი). ადგ. „ეკლესია იდგა მაცხოვრისა. მის წინ იყო მოედანი. მას ეძახდნენ ასე“.

მაღლოკი. ღელეა, უერთდება ხობის წყალს.

მეედანი (მოედანი). ადგ. „საბურთაო და საჯარო ადგილი იყო“.

მენჯი ეკოხე (გაღმა მარილი ზემოთკენ). ადგ. „მჟავე წყალი გამოდის.

მეხკალონი. ადგ.

მოდესი ჩიქვანიში ნადოხორუ (მოდეს ჩიქვანის ნასასახლარი). ადგ. (ნოკოშა ბარდღას ასული გაბუჩავა, 50 წ.).

მურზაყანიში ნოხორიი (მურზაყანის ნასახლარი). ადგ.

ნაბოსელუ (ნაბოსელარი). ადგ. „აქ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ბოსელი აუგიათ, სასოფლო ბოსელი“.

ნადოხორუ (ნასასახლარი). ადგ.

ნადოხორუ (ნასასახლარი). ადგ. „ხუხიების ნასახლარი იყო“.

ნადუქნუ (ნადუქნევი). ადგ.

ნაისირუ (ნაისლარი). ადგ.

ნაკლასუ (ნასკოლარი). ადგ. „აქ ფუცუ დგებუაძე – ფულარიას გაუხსნია პირველი სკოლა“.

ნაკლასუ (ნასკოლარი). ადგ. „აქ ძველი სკოლის შენობა იდგა“.

ნამაღაზუ (ნასასიმინდარი). ადგ.

ნანაში, ნანმამუში (ნანას მამული). ადგ. „ეს ადგილი ნანავების მამული იყო. მერე გვასალიები დაუფლებიან.

ნაოჩვამუ. ადგ. (ჩვამა – ყანჩის მსგავსი ფრინველია).

ნაოხვამუ (ნასალოცვარი) ადგ. უძველესი ადგილია. აქაც მაცხოვრის ეკლესია მდგარა. ამ ხატის პატივსაცემად მას „მანცხვარი“ და „მანცხვარ ოხვამე“ ეწოდა. ძეგლი ნანგრევია, მაგრამ ძალიან ძველია. მისი ქვები მოხატულია“ (ა. ჟვანია). იგი, ბაზილიკაა, XII-XIV ს. ნაგები უნდა იყოს. კედლის მხატვრობა, სარკმლისა და კარის ორნამენტოვანი არშიები სწორედ ამ პერიოდზე მეტყველებს. ეკლესიის ქვების დიდი ნაწილი სხვა დანიშნულებისათვის მოუხმარიათ. ამხ. რ. ფაჩულია აყენებს წინადადებას, ეს ქვები ადგილზე დაბრუნდეს და მით აღდგეს ეკლესია თავისი პირვანდელი სახით. ეს აზრი სავსებით სწორია. ამ ადგილს – „მაცხოვრის კარსაც“ ეძახიან.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი). ადგ.

ნარაკიაში ღალი (ნარაკიას ღელე). ადგ.

ნასელუ (ნასელარი). ადგ. „სელს თესდნენ წინათ. სელის, ჭვავის და პურის წუს (ნამჯას) შეკრავდნენ, გამოქნიდნენ, გამოიყვანდნენ (დოგიმუნდეს), გაახმობდნენ და ჩაჩაბეს აკეთებდნენ. ჩაჩაბე ბავშვის საწოლია. მას ტეფიასაც უწოდებენ. ამის შემდეგ ბავშვი გადაყავდათ „ოკიოწე ონწეში“, შემდეგ „არკვანიშა“ (აკვანში) (გუგუ შურღაია).

ნაფოშტუ (ნაფოსტარი). ადგ. „აქ ძველი ფოსტა იყო. ძველი გზის პირას“.

ნაქერუ (ნაქერალი). ადგ. „აქ ქერს თესდნენ წინათ“.

ნალაბახუ. ადგ.

ნაღუმუ (ნაღომარი). ადგ.

ნაჭვარა (ახოსაღება). ადგ. „ეს ადგილები აჩეხილი, გადამწვარი და მოჭვარულია. არის ანდაზა: „ირიკოჩი მუშიოთ ჭვარუნსია“ (ყველა კაცი თავისთვის ჭავრავს, თავისთვის იღებს ახოსო) (ზინა კემულარია).

ნაჭკიდუ (ნამჭადარი). ადგ.

ნახაზაში ნოხორი (ნახაზას ნასახლარი). ადგ.

ნახაჯუ (ნაცერცვალი). ადგ.

ნახვეტა (მოხვეტილი). ადგ.

ნახურანუ. ადგ. აქ ციება, ხურება ცოდნია. გაახურა – სიცხე მისცა, გააცივა“ (ფაჩულია).

ნახუტურუ. ადგ.

ნაჯოღორუ. „საკურზაულო ადგილი“ (ფაჩულია).

ნაწონა დიხა (დამყნობილი მიწა). ადგ. „განოყიერებული ლექითა და მერგელით. ისე ძლიერ განოყივრებული, რომ დღესაც ძლიერ უხვ მოსავალს იძლევა“ (ა. ჭითავა).

ნაწოფერე (ნაყოფიერი). ადგ. „ნაყოფიერი, ძლიერ ნაყოფიერი ადგილია“.

ნიშია. სოფ. „ღელეც ჩადის ამ სახელწოდების, წყალისათვის ამოთლილი ღარი ჩაუდგამთ. აქედანაა სახელწოდება ნიშია“. არის გადმოცემა, აქამდე ნიშები (ნიში-ნავი) „ამოვიდნენო“.

ნოხორიი (ნასახლარი). ადგ.

ოზაფანე (საპილპილო, პილპილის სათესი ადგილი). ადგ. „აქ პილპილს თესდნენ და მოჰყავდათ ძალიან ბევრი“.

ოისირე (საისლო). ადგ.

ომანდარინე (სამანდარინო). ადგ. „აქ მანდარინის ბაღი იყო, შემდეგ გახმა და აყარეს. დღესაც არის რამდენიმე დიდი ძირი შემორჩენილი“ (ბ. გვასალია).


გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ცხოვრების რაიონის ტოპონიმიკური ატლასი
ხორშის სახოფლო საბჭო
მასშტაბი 1:25000
პირობითი ნიშნები
სახოფლო საბჭოს საზღვრები
გზები
მდინარეები
სახოფლო საბჭო
ქვა გზა

ორტოფანე. ადგ.

ოტობაია. ადგ. დიდი უბანია ჭაობნარიც არის და გაშლილი ნაყოფიერი საყანე ველობიც.

ოტურე. სატურო (ადგ).

ოღებე (საღებო). ადგ. „ღები მინერალური ლექი, საღებავი ამოჰქონდათ. აქვეა მჟავე წყალი“.

ოღუეში (საბუე). ადგ. „აქ ტყეში სულ ბუები ბუდობდნენ“.

ოღუმუ (საღომო). ადგ.

ოჩე (სათეთრო). ადგ. „აქ ამ ჯიშის ვაზი იყო მაღლარზე გაშენებული“.

ოჭანდიეში დოხორე (ოჭანდიეს სასახლე). ადგ.

ოხვამე (ეკლესია). ეკლესიის ნანგრევია.

როკია. საძოვარია.

როკონა (როკნარი). ადგ. „სულ როკები ყოფილა წალმის, ახლა ჩაის პლანტ-აციაა“ (ოლიფანტე ტაიას ძე გუგუნავა, 73 წ.).

როკფერდი (როკების ფერდობი). ადგ.

რუსიაში ნოხორიი (რუსიას ნასახლარი). ადგ.

საჯაგვანო (საქვევრო). ადგ. „წინათ „ოჯარე“ და „ოსხაპური“ (გასართობი საცეკვაო, ადგილი) იყო“ (ბიჭუნა ევგენის ძე გვასალია, 50 წ.).

სააფშეიო. აფიშების (გვარია) უბანი.

საბუკიო. ბუკიების (გვარია) უბანი.

საგაბისკირიო. გაბისკირიების (გვარია) უბანი.

საგეგელიო. გეგელიების (გვარია) უბანი.

საგიგენო (საგიგენაო). უბანი. გეგენები სახლობდნენ.

საგუგუნო. გუგუნიების (გვარია) უბანი.

სადადიანო. უბანია. „აქ გრიგოლ დადიანი ცხოვრობდა. იყო მისი დოხორე. აქვე ასაფლავია“.

საეში. ადგ.

სათაო. ორთემს შორის სადაო მიწა. ადგ.

სალოლუო. ლოლუების (გვარია) უბანი.

სანორაკიო. ადგ. ნორაკიები (ნორაკიძეები) ცხოვრობდნენ.

საპარკაიო. პარკაიების (გვარია) უბანი.

სარეკვა. რეკვავების (გვარია) უბანი.

სატაბალუო. ტაბალუების (გვარია) უბანი.

საფაჩულიო. ფაჩულიების (გვარია) უბანი.

საშურღაიო. შურღაიების (გვარია) უბანი.

საცხომარიო. ცხომარიების (გვარია) უბანი.

საჭითაო. ჭითაიების (გვარია) უბანი.

სახარბედიო. ხარბედიების (გვარია) უბანი.

სახვიჩიო. ხვიჩიების (გვარია) უბანი.

საჯიძიო. ჯიქიების (გვარია) უბანი.

სკურია. წყაროს წყალი. ახლა დამშრალია.

სკურიაძგა (სკურიას პირები). ჭალა.

სოლომოში ოისირე (სოლომონის საისლო). ადგ.

სორო (ხევი, ხვრელი). ადგ.

სურონი (სუროიანი). ადგ.

სულირი. ღელეა.

სქურმენჯი (სქურგაღმა მარილი). ადგ.

ტაიაში ნოხორიი (ტაიას ნასახლარი). ადგ.

ტარასიში ნოხორიი (ტარასის ნასახლარი). ადგ.

ტარიეში სუკი (ტარიელის სერი). ადგ.

ტები (ტყე). ადგ. წინათ უსიერი ტყე ყოფილა.

ტები (ტყე). ადგილი. „დღეს ტყე არ არის აქ“.

ურა. ადგ. მაღალი ადგილია. ზუგაა.

ფარნაში ნოხორიი (ფარნას ნასახლარი). ადგ.

ფუშუიაშ ნაყონუ (ფუშუიას ნაყანარი). ადგ.

ქოიში. ადგ.

ქორცხა. ადგ.

ქუჩუიაშ იშეკეგული (ქუჩუიას შემოღობილი). ადგ.

ღაი (ღელე). ღელე.

ღარწყუ (ღარის წყალი). ადგ. წყაროა.

ღვინკილური. ადგ. „ღვინკალურს თვლიან ვაზის ჯიშად“.

ღორჯოლი. ადგ. „პატარა ღელე ჩამოდის. ღორჯოები იცის“ (ფაჩულია).

შარა პიჯი (გზის პირი). ადგილი.

შარტაში ჭაე (შარტავას ჭალა). ჭალა.

შუშინოხორიი (შუშის ნასახლარი). ადგ.

შქაში მამული (შუა მამული). ადგ.

ჩახუში ნოხორიი (ჩახუს ნასასახლარი). ადგ.

ჩემნავაშ ნოხორიი (ჩემნავას ნასახლარი). ადგ.

ჩერგვალი (თეთრი მრგვალი). ადგ. „აქ ამ ჯიშის ვაზი ყოფილა გავრცელე-ბული“ (ჭითავა ალიოშა ეფრემის ძე, 60 წ.).

ჩოჩხეშ ნაკარუ (ჩოჩიას ქალის ნაკარვალი). ადგ.

ცაცხვჯინჯი (ცაცხვის ძირი). ადგ. წინათ ათასწლოვანი ცაცხვი იდგა. აქ ჰქონდა ამ კუთხით ყველა ახალგაზრდას თავშესაყრელი, საჯარო და საცეკვაო ადგილი“ (გუგუ დიმიტრის ძე შურღაია. 70 წ.).

ციზეთი (ცისზეთი). ადგ. „ძველი გადმოცემით, დიდმოსავლიანი ადგილი იყო. იგი უხვად ინამებოდა ნამით. სულ ყველგან გვალვა რომ ყოფილი-ყო, აქ მიწა სულ ნამნაპკური იყო, დანამული. ამიტომ არასოდეს გვალვა არ უდგებოდა. ციდან ზეთი ასხამსო, იტყოდნენ. ადგილს ამიტომ ციზეთი შეერქვა“ (ალექსანდრე ლავრენტის ძე ჟვანია, 68 წ.).

ძიკაში ჭაე (ძიკას ჭალა). ჭალა.

ძუგუ (მიწაზურგა). ადგ. „ძველ ნაოხვამუდ“ მიაჩნდათ ჩვენს ძველებს“ (ნინა გიორგის ასული გვასალია, 62 წ.).

ძუგუ (მიწაზურგა). ადგ. „ძუძუსავით ამაღლებული ბორცვი. უძველესი „ნაოხვამუა“ (ნაეკლესიარი).

ძღირკისკუალეფი (ძღირკიშვილების) უბანი. „აქ ხარბედიების ერთი დინო სახლობს“.

წიფურონა (წიფლნარი). ადგ.

წყვირი (ჩაქცეული). ადგ.

წყურგილი (წყაროს წყალი). წყარო (ცივი წყალი).

ჭაბურცხონა. ჭანურსხულონა (ჭანურ მსხალნარი). ადგ.

ჭაე. ჭალა.

ჭითაუშძური (წითელი ვაშლი). ადგ.

ჭიჭიში ნოხორიი (ჭიჭის ნასახლარი). ადგ.

ჭუგურონა (წაბლნარი). ადგ.

ხაპია. ადგ.

ხაფაკა. ადგ.

ხვიჩაიათურეფი (ხვიჩაშვილები, ხვიჩას გვარ-კაცები). უბანი „ჯიქიების თურის“ (გვარის) ერთ-ერთი განაყარია, ერთ-ერთი დინოა. ხვიჩაია ჯიქია იყო მისი მოდგმა, მისი ტოტი, ამგვარში, „ხვიჩიათურეფი“ ჯიქიას თურის ერთი დინოა“ (ზ. გვასალია).

ხინწკონა. ადგ. „სულ ტყე ყოფილა, ხშირი და გაუვალი. აქ ძველი გზა გა-დიოდა თურმე“ (ზინა ფილიპეს ასული კემულარია).

ხორშა (დასახლებაზე). ადგ. „ვიღაც ხელოსანი მოგზაური მოდიოდა თურმე, შეხვდა მგზავრი და შეეკითხა, სად მიდიხარო? მან უპასუხა „ოხორუშა“ (დასახლებულ ადგილზეო), შემოხიზნული კაცი ვარ და იქ მინდა დავსახ-ლდეო და აქედან დარქმევია ამ სოფელს ოხორში, შემდეგ გადაკეთებუ-ლი ხორუაშა, ხორშა და ხორში. ძველ საეკლესიო და საკანცელარიო საბ-უთებში ადგილს ოხორშა ქვია“ (ალექსანდრე ჟვანია).

ხუნოხორი (ხუნას ნასახლარი). ადგ.

ხუხულორიში დოხორე (ხუხულორის სასახლე). ადგ.

ჯეგაში ნოხორიი (ჯეგას ნასახლარი). ადგ.

ჯვარიში (ჯვარისა). ადგ. ძველი ნასოფლარია. ჯვარის ლოცვა სცოდნიათ აქ. მოხუცები გვიამბობენ, აქ ქვის ჯვარი ჰქონიათ ჩვენს წინაპრებს და იმაზე ლოცულობდნენო. შემდეგ ეს მიწა ჯვარის, ხატის მამული გამხ-დარა“ (მ. სიგუა).

ჯვარკარიში ოხვამე (ჯვარკარის ეკლესია). ადგ. „აქაც ჯვარის სალოცავი ყოფილა და მის მოედანზე ჯვარის ეკლესია მდგარა. დღეს აქ არაფერი არაა“ (ო. გუგუნავა).

ჯოლოგუაში ნოხონიი (ჯოლოგუას ნაყანარი). ადგ.

ყომურჯინჯი (ტყემლის ძირი). ადგ.

ԳՐԱԿԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆ
ԱՌԱՋԻՆ ՀԱՅԿԱԿԱՆ ԳՐԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ
ԱՐՔԱՅԱԿԱՆ ԳՐԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

ჩხოროწყუ

მუნიციპალიტეტის ტოპონიმია

შესავალი

ჩრდილოეთი სამეგრელო, ეგრისის მთაგრეხილის სამხრეთი კალთები – უხსოვარი დროიდან კოლხეთის ერთ-ერთი დაწინაურებული რეგიონი იყო სამეურნეო კულტურითა და მშრომელი ხალხის ყოფა-ცხოვრებით. აქ მთის წიაღის სიუხვე და ბუნების მრავალფეროვანი სიკეთე აპირობებდა ლითონის მეტალურგიის მტკიცე და შორეული დროიდან მომდინარე ტრადიციას, მესაქონლეობის, მიწათმოქმედების, მეფუტკრეობის, მევენახეობის და ხელოსნური წარმოების მაღალ დონეს. ამიტომ ეს მხარე უხსოვარი დროიდან ცნობილი და აღიარებული იყო. ტოპონიმიკა მდიდარ ცნობებს შეიცავს ადგილის ბუნებრივი პირობების და ღირსშესანიშნაობების, აქ მცხოვრები მოსახლეობის სამეურნეო ტრადიციებისა და ისტორიული თუ თანამედროვე ყოფის შესახებ.

ტოპონიმიკური მასალა: ტოპონიმები, მათთან დაკავშირებული გადმოცემები, ლეგენდები, ხალხური ეტიმოლოგიის ნიმუშები მდიდარ ფონდს ქმნის, რაც ერთიან კორპუსში გაერთიანებული ქვეყნის ისტორიისა და კულტურის შესწავლის საქმეში უნიკალური შენაძენია. გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კოლექტივმა 1957 წლიდან მიზნად დაისახა სამეგრელოს ტოპონიმიკურ მასალათა კორპუსის შექმნა და ჩანაფიქრს თანდათანობით ახორციელებს. დგება ცალკეული რაიონების ტოპონიმიკური რუკები, ტოპონიმთა ნუსხები, ფონოჩანაწერები, გადმოცემების და ლეგენდების კრებულები; შესწავლილია აბაშისა და გეგეჭკორის რაიონები, გამოიცა სათანადო კრებულიც. ახლა ჩვენ ხელთა გვაქვს ჩხოროწყუსა და ცხაკაიას რაიონების ტოპონიმიკური მასალაც. იგი გაერთიანდება სამეგრელოს ტოპონიმიკის II ტომში, რომელიც ორ წიგნად გამოიცემა. I წიგნში შევა ხობისწყლისა და ოჩხამურის ხეობის, საკუთრივ ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმია.

ჩხოროწყუს რაიონი რელიეფური აღნაგობით სამ ზონად იყოფა: მთა, მთისწინა და ბარი. ბარი კოლხეთის ჩრდილოეთი დაბლობის ზეგანური მონაკვეთია, რომელიც ხაბუმედან დაწყებული მთის წინა ბორცვებს ერწყმის. მუხური-თაიას ზონა მთის კალთაა, ხოლო ოსინდალეს ზემოთ წიწვიანი ტყეებია. ლეკუნე სუბალპებით იწყება და შიშველი მწვერვალებით მთავრდება. რაიონის რელიეფური გადასვლები ზღვის დონიდან 150 მეტრით დაწყებული 2800 მეტრის სიმაღლეზე ვრცელდება. ლეკუნეშდუდი 3010 მეტრზე მდებარეობს. ოჩხამურისა და ხობისწყლის ხეობები ორ ვრცელ მასივად ჰყოფს რაიონის მთელს ტერიტორიას. აღმოსავლეთით მის საზღვარს ჭანისწყლის ხეობა ჩასდევს. აქაური ტყე ცნობილია მრავალფეროვანი ხე-მცენარეებით. აქ დგას მუხისა და თელის, წიფლისა და წაბლის, ურთხელისა და ბზის, ნაძვისა და სოჭის მრავალწლიანი კორომები. ნიადაგი წითელმიწა-ალუვიურია, მთებში მთა-ტყის ყომრალი ნიადაგებია, ხოლო სუბალპური ზონა გაეწერებული ყომრალი ნიადაგებით ხასიათდება, რაც მთა-მდელოს ნიადაგებში გადადის. რაიონის ტერიტორიაზე საშუალო წლიური ტემპერატურა 150-ია, ხოლო ნალექების წლიური რაოდენობა 1800-1900 მმ აღემატება. ორივე ხეობაში ზღვის ჰაერი იჭრება და მთის წინა ზონაში შეერწყმის მთის ჰაერს, რითაც მთისა და ზღვის ჰაერის სასიამოვნო ნაზავი იქმნება. აქ მუდამ ქრის მთიდან მონაბერი ნელთბილი სიო „მასკური“, რაც უძველესი დროიდან ვაზისა და ხილის სიუხვის წყაროდ ითვლება. მთა და მთის წინა ზონა დაფენილია ცარცის, მიოცენის, ოლიგოცენის და პლიოცენის ქანებით. მთები მდიდარია მრავალფეროვანი გრანიტით, ფერადი კირქვებით, მარმარილოს, მარგანეცის და რკინის გამოსავლებით, ბარიტით და ხლენიტით. მთის შერეულ და წიწვიანი ტყით დაფარულ იწროებში მრავლად მოედინება მინერალური წყლები. მუხურის მინერალური წყლის სიკეთე XIX საუკუნის დასასრულიდან იყო ცნობილი და აღიარებული. მუხური და ლუგელა სამედიცინო პრაქტიკაშიც კი გამოიყენება. რაიონის ბარი და მთისწინა ზონა მეჩაიეობისა და მეხილეობა-მევენახეობის ქვესარტყელში შედის, ხოლო მთა „მთის სათიბ-საძოვრების სარტყელს მიეკუთვნება“[1]. რაიონის ადგილმდებარეობა ხელსაყრელ პირობებს ქმნის მიწათმოქმედების, მეჩაიეობის, მეხილეობის, მევენახეობის, მეფუტკრეობისა და მესაქონლეობის ინტენსიური განვითარებისათვის. აქ 1930 წლიდან მუშაობს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ხანსრული ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობა. დღეს რაიონში 3500 ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს ჩაის პლანტაციას. კირცხი, ხაბუმე, მუხური, თაია და ნაფიჩხაო ხილის წალკოტს წარმოადგენს. ახუთში უძველესი დროიდან მისდევენ მევენახეობას. აქაური ყურძენი გამოირჩევა მაღალი შაქრიანობით, დამახასიათებელი ბუკეტით. ახუთის ღვინო დღესაც დიდი მოწონებით სარგებლობს სამეგრელოსა და აფხაზეთის მცხოვრებთა შორის. მუხურის ხეობაში კი არის კოლხური ფუტკრის სანაშენე მეურნეობა, რომელსაც მსოფლიოს 85 ქვეყანასთან აქვს ურთიერთობა. კოლხური რუხი ფუტკარი, გრძელი ხორთუმით, მუშა-ღალიანობით მსოფლიოშია აღიარებული. იგი „ოსკალეებში“ იყო შემორჩენილი, აქედან შემდეგ საჯიშე მეურნეობაში დააფუძნეს და გაავრცელეს. მიწათმოქმედების ტერასული მეურნეობა ტრადიციული ჩანს მუხურში, თაიასა და ნაფიჩხაოს მთის წინა ბორცვებსა და ფერდობებზე. აქ, მთებში, კვარაცხელიების, დარსალიებისა და თოდუების მიერ გამოყვანილი წმინდა მეგრული ჯიშის საქონელი ძოვდა. დარსალიებს დაუცავთ მეგრული შავი ძროხა და მის შემდეგ სელექციაზე უმუშავიათ. რაიონს მნიშვნელოვანი ისტორიული წარსული აქვს. კირცხში, სარაქონში, ყალიჩონაში, ოსინდალეში, მუხურში, ჭოღაში, ხაბუმესა და გარახაში მრავლადაა ნაპოვნი პალეოლითის, ნეოლითის, ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანის კულტურული დანაშრევები. პრეისტორიული და გვიანი საცხოვრისები ამ ადგილებში კოლხი ხალხის წინაპართა საკმაოდ განვითარებულ კულტურაზე მიუთითებს. თუნდაც ნაკიანის ენეოლითურ საცხოვრისში ნაპოვნი ძვლის ტაბულები იდეოგრამული დამწერლობის შესანიშნავ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. ჯგერაგუნას2 და აგუნას, ბარბარის და ბჟის (მზის) კულტი და კულტმსახურების ადგილები წარმართული ღვთაებრივი პანთეონის უძველეს სარიტუალო კერებზე მიუთითებს. ტოპონიმიკური მასალა ძალიან საინტერესო და სარწმუნო ცნობებს გვაწვდის მარცვლეულ კულტურათა ასორტიმენტის მრავალფეროვნებაზე, გავრცელების სიხშირესა და მასშტაბებზე. თუნდაც მახასა და ზანდურის, ქერისა და ჭვავის, ღომისა და ჭადას, ურიშისა და ცერცვის ჯიშობრივი და სახეობრივი დახასიათება უდავოდ საინტერესოა მეცნიერული თვალსაზრისით. ამ კულტურათა დიდი ნაწილი დღეს უკვე საბოლოოდ ამორიცხულია ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკიდან. იქნებ მოხერხდეს სოფლის მეურნეობაში მათი აღდგენა. აქ მევენახეობაც ისტორიულად განვითარებული დარგია: მორცხვინა, პანეშონა, ჩეშონა, ჩერგვალი, ჭვიტილური, კოლოშონა, ხოჯიში თოლი, პაპასკირი, ჩეჭიფეში, ჩეხარდანი, ხარდანი და უამრავი სხვა, უხსოვარი დროიდან კულტივირებული ვაზის ჯიშები იყო, – უკეთესი იზაბელასა და სხვა, უცხოური თუ ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხიდან შემოტანილ ჯიშებზე. სწორედ ამ სიკეთეს დაეფუძნა აქ ტოპონიმი „შიოს მარანი“. ეს ხატოვანი გამონათქვამი საერთოქართველურია და საქართველოს ყველა კუთხეში საკუთრივ აქვთ მინიშნული. იგი კონკრეტული მოვლენა არაა, ზოგადია, ხალხის მეურნეობრივი ფენომენის – ვაზისა და ღვინის სიუხვის, გულუხვობის და სიკეთის მაჩვენებელი და ამიტომ აქაც ამ ტერმინის და ტოპონიმის არსებობა უცხო და უცნაური არ უნდა ჩანდეს.

ტოპონიმიამ შემოგვინახა ცნობები ძველი სამიმოსვლო მაგისტრალების, მნიშვნელოვანი არტერიების შესახებ. მთის წინა სოფლებში გამავალი „ერისტეში შარა“, რომელიც გადმოცემებსა და ლეგენდებში უცხოელი, – ბერძენი, თუ რომაელი სარდლის მიერ გაკაფულ და გავლილ გზად მოიხსენიება, უძველესი სამიმოსვლო მაგისტრალი უნდა ყოფილიყო ჯარისა თუ სამოხელეო ამალისათვის. „შძა სამარგალოში შარა“ (შუა სამეგრელოს გზა) ამ რაიონის გულში გადიოდა; იგი გორდიდან ზუგდიდამდე და იქითაც, სამურზაყანომდეც იყო გაჭრილი. ეს გზა სამეგრელოს ძირითად არტერიას წარმოადგენდა. ასევე დიდი და მრავალმხრივ მნიშვნელოვანი არტერიები იყო: „ჯვეში შარეები“, „ყურსალეფიში შარა“, „მექაჯაქეში შარა“. აქ იყო ხალხის ძირითადი საცხოვრისები: „ხორუეები“, „ოხორუეები“, „გუროხორუეები“ და სხვ. მის ტერიტორიაზე იყო სტრატეგიული დანიშნულების ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები, როგორიცაა გარახას გალავანი და ციხე-სიმაგრეთა ჯაჭვი, სარიტუალო კერები – „ჯერაგუნა“, „ომარტე“ და „ბარბალეში ოხვამე“, დაბოლოს, საქართველოს ეკონომიკური და კულტურული აყვავების ხანის ისეთი ძეგლი, როგორიც ოსინდალეა. იგი XIII საუკუნეში ნაგები უნიკალური ორნავიანი ბაზილიკაა. მისი არქიტექტურული ანსამბლი ქართული სამშენებლო ხელოვნების ერთ-ერთ თვალსაჩინო ძეგლად უნდა ჩაითვალოს. თვით სახელწოდება „ოსინდალე“ ნიშნავს სასიძო, სავაჟკაცო, სარაინდო ადგილს. ესეც ამ ადგილის დიდი და შორეული დროიდან მომდინარე მნიშვნელობაზე მიუთითებს.

ლევან II დადიანის სასახლისა და რეზიდენციის აქ არსებობა უდავოდ მრავლისმეტყველი ფაქტია. ეს ადგილი, თავისი ბუნებრივი ცხელი და მჟავე წყლებით, ხალხს შორეული დროიდან ექნებოდა მინიშნებული სააგარაკო ადგილად.

სამეგრელო ქართველი ხალხის სოციალური ბრძოლისა და ღვაწლის ავანგარდში იდგა ყოველთვის. ამ მხრივ ეს რაიონიც ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი კერა უნდა ყოფილიყო. ამიტომ არის, რომ „უტუშ ოშაყარ“ ასე თვალსაჩინო ადგილზეა დათქმული და დღესაც სიყვარულით და პატივით ატარებს ამ ტოპონიმს. უტუს „ურდუმს“ აქ მოუყრია თავი, ამ გზით უვლია, აქ შეუფიცავს ხალხის საერთო საქმისადმი ერთგულება. XIX საუკუნის დასასრულს ლესიჭინეში ცხოვრობდა და აქვე ეწეოდა პირველ რევოლუციურ პროპაგანდას საერთაშორისო მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე მიხა გრიგოლის ძე ცხაკაია. ჩხოროწყუს რაიონის მშრომელები 1918 წელს სამეგრელოს გლეხთა აჯანყების დროს წალენჯიხის დიდ ბრძოლაში წითელპარტიზანული რაზმის წინა რიგებში იდგნენ. აქედან ისინი საშა გეგეჭკორს გამოჰყვნენ მარტვილ-გორდისაკენ. ხაბუმეში, „დადიანიში წყუსთან“ ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგი, სადაც საშა გეგეჭკორი სიტყვით გამოვიდა.

რევკომმა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ დღეებშივე ბატონიშვილთა საუფლისწულო ქონება სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა და მათ კუთვნილ მიწებზე პირველი საბჭოთა მამული შეიქმნა. 1928 წელს რაიონის ტერიტორიაზე დაიწყო ჩაის კულტურის გაშენება. საბჭოთა ხელისუფლების წლებში რაიონი ძლიერ დაწინაურდა ეკონომიკურად და კულტურულად. პირველი კოლმეურნეობები ამ გარდაქმნის მძლავრი ბერკეტები იყო. ამიტომ ამ კოლმეურნეობათა ცენტრების ადგილსამყოფელმა, ამ კოლმეურნეობების მიერ დაკავებულმა უბნებმა ძველი, მანამდე არსებული ტოპონიმები დაფარა სრულიად ახალი, სოციალისტური ცხოვრების შესაბამისი სახელებით: „კომუნაში შარა“, „განათლება“, „კეთილ ხანდა“ და სხვ. ასე ტოვებს ახალი სოციალური ყოფა თავის კვალს ტოპონიმიკურ ფონდში. ახალი ტოპონიმების წარმოქმნა კვლავაც გრძელდება. ისპობა ძველი და მკვიდრდება ახალი. ამიტომ საშურია ტოპონიმების მასობრივი აღნუსხვა, ჩაწერა და გამოქვეყნება. მაგრამ საჭიროა არა უბრალო სიების შედგენა და მათი ვარაუდით განმარტება, არამედ მათთან დაკავშირებული ყოველგვარი მასალის კორპუსის შექმნა,

[1] ნ. კეცხოველი, კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, 1952, გვ. 198.

[2] ი. ქობალია, „Из мифической Колхиды, СМОМПК XXXII, стр. 107.

რაც გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მიერ ჯერ კიდევ 1957 წლიდან გაიკვალა და წარმატებით გრძელდება დღემდე. წინამდებარე ნაშრომში მიზნად არ ვისახავთ ტოპონიმების მეცნიერულ კვლევა-ძიებას. ჩვენ მხოლოდ ფონდსა და კორპუსს ვქმნით, ვაგროვებთ ტოპონიმებს და მათ გარშემო არსებულ მასალებს.

ეს წიგნი იყოფა სამ ნაწილად: 1. შესავალი, 2. ტოპონიმების დეტალური ნუსხა ხალხური ეტიმოლოგიით და თანმხლები ზეპირსიტყვიერი მასალით და 3. ანბანური საძიებელი. წიგნს რუსულ ენაზე დართული აქვს მცირე რეზიუმეც, რუსი მკითხველის მეგზურად.

წიგნზე მუშაობდა მეცნიერ-მუშაკთა კოლექტივი: Გ. ᲔᲚᲘᲐᲕᲐ – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი (ხელმძღვანელი), ᲒᲠ. ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ – ჩხოროწყუს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი (ხელმძღვანელის მოადგილე), Გ. ᲤᲐᲠᲣᲚᲐᲕᲐ – გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი, Ა. ᲛᲝᲠᲒᲝᲨᲘᲐ – ჩხოროწყუს მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, Კ. ᲮᲣᲜᲢᲣᲐ – ჩხოროწყუს მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი, Ა. ᲪᲘᲪᲮᲕᲐᲘᲐ – გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი და Ბ. ᲐᲤᲮᲐᲖᲐᲕᲐ – ჩხოროწყუს მუზეუმის შტატგარეშე მუშაკი, ფოტოკორესპონდენტი. გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ ცნობილ მოღვაწეს, ᲛᲐᲛᲐᲜᲢᲘ ᲙᲕᲘᲠᲢᲘᲐᲡ, რომლის წერილებმა და ტოპონიმიკურმა საქმიანობამ დიდად შეგვიწყო ხელი მუშაობაში. ასევე უაღრესად დავალებულად ვგრძნობთ თავს გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შტატგარეშე მეცნიერ-მუშაკის, აწ განსვენებულ ᲒᲔᲓᲔᲝᲜ ᲮᲣᲮᲣᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ, რომელმაც დაგვიტოვა პირველი ტოპონიმიკური ჩანაწერები და რასაც ექსპედიცია თავის მუშაობაში ემყარებოდა. არ შეიძლება გულწრფელი მადლობით არ აღვნიშნოთ საქართველოს კპ ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივნის, ამხ. კ. ქაჯაიას დიდი ყურადღება და მეგობრული დახმარება ავტორებისა და, საერთოდ, ორივე მუზეუმის საქმიანობის მიმართ.

ᲔᲥᲡᲞᲔᲓᲘᲪᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ Გ. ᲔᲚᲘᲐᲕᲐ


1:25 000
1980 წ.
ძირითადი ნიშნები
1
2
3
4
5
6

ᲐᲮᲣᲗᲘ

სოფელი ახუთი დაბა ჩხოროწყუს აღმოსავლეთით მდებარეობს, მდინარე ზანასა და ოწყარეს ხეობებში. მას დასავლეთით ესაზღვრება ქვედა ჩხოროწყუსა და ლესიჭინეს სასოფლო საბჭოები, ჩრდილოეთით – დაბა ჩხოროწყუ და ნაკიანი, ხოლო აღმოსავლეთით – გეგეჭკორის რაიონი. აღმოსავლეთი საზღვარი მდინარე ცივზე გადის, ხოლო სამხრეთით მდებარეობს ლესიჭინე და ცხაკაიას რაიონის სოფ. ფოცხო. ახუთი ორ უბნად იყოფა: ᲛᲝᲜᲒᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲣᲗᲘ. აქ სულ 656 კომლია, 2426 მოსახლით. სოფელი უძველესი დროიდან ცნობილია ვაზისა და ხილის სიუხვით. ყურძენი აქ მაღალი შაქრიანობით ხასიათდება. აქაური ღვინო დიდი მოწონებით სარგებლობს სამეგრელოსა და აფხაზეთის მშრომელებში. მდინარისპირა ჭალები ნაყოფიერი და უხვმოსავლიანია. მთების ფერდობებზე დღესაც დაცულია მუხის, წიფლისა და წაბლის მასიური ტყეები. გორაკების ფერდობებზე ჩაის პლანტაციებია შეფენილი. მდ. ზანას ხეობის ჩრდილოეთი ნაწილი საძოვრებით და სათიბებით იყო უძველესი დროიდან გამორჩეული. სოფელს საინტერესო ისტორიული წარსული აქვს.

ᲐᲮᲣᲗᲘ, სოფ. 1. „ხუთი ძმა ჯაიანი მოსულა აქ, ამ ადგილას მაშინ არსებულ უსიერ ტყეში. გზაში ერთმანეთს ჩამოშორებულან, ამცდარან გზას და ბოლოს ყვირილით მოუძებნიათ ერთმანეთი. ამ ადგილას ისევ შეკრებილან. ეს მაშინ ტყის ცენტრი ყოფილა. აქ სულ მუხის, წაბლის, თელის ტყე ყოფილა. ძმებს ერთმანეთი დაუთვლიათ. აი, ხუთი ისევ ერთად ვართო. აქ ტყე გაუკაფიათ და თავიანთი კარმიდამოები შემოუკავებიათ; 2. ვიღაც ჯაიანების თურის დიდკაცი ყოფილა ახუ, რომელიც ხამუას გამოყოლია თავისი ოჯახით. აქ, ამ ტყის ცენტრში მოსულა, აქ ტყე გაუჩეხია და თავისი დიდი ოჯახის-თის კარ-მიდამო შეუქმნია. ამ ადგილისათვის მეზობლად მცხოვრებლებს ᲐᲮᲣᲡᲗᲘ, ახუთი უწოდებიათ. ახუსთიში მრავალი მელოგინე ყოფილა. მის ვაჟიშვილებს თავიანთ გვარად ახუიები ან ახაიები დაუთქვიათ, აქედან წარმომდგარა ახუიები ან ახაიები“ (გუია გერსამია).

ᲑᲐᲢᲣᲜᲘᲐᲨ ᲦᲐᲚ (ბატუნიას ღელე), ღელე.

ᲑᲔᲠᲓᲦᲔᲨᲘ ᲜᲐᲓᲝᲮᲝᲠᲣ (ბერდღეს ნასახლარი), ადგ. „ბერდღე ჯალაღონიას ნასახლარია“.

ᲒᲐᲨ ᲕᲔᲙᲣᲐ (გას ვეკუა – სერის ვეკუა), ადგ. „ამ სერზე სახლებულან წინათ ვეკუები და მათ გაშ-სერის ვეკუებს ეძახდნენ“ (მამია ილარიონის ძე ვეკუა, 54 წლისა, კაცია, პეტრე და ჟორა ჩიტაიები).

ᲒᲘᲐᲠᲖᲔᲜᲐ (ჩავაკება), ადგ. ჩავაკებული ადგილია. ფერდობის კალთა ფართო ველად იშლება.

ᲒᲝᲒᲝᲚᲔᲗᲘ, ადგ. დღესაც დგას XVIII საუკუნის ბაზილიკური ეკლესია. „გოგოლეთი გოგოლეს, – დიდკაცის ოჯახია, მისი თია, – ასე განმარტავს ხალხი“ (გ. ხუხუნი). გოგოლეთის ეკლესიის მიდამოებში, მოხუცების გადმოცემით, ხვნისას მიწიდან ყრიან ბრინჯაოს ცულებს, ისრის წვერებს, დანებს, ხანჯლებს და სხვ. „ხვამა აქ უხსოვარი დროიდან იცოდნენ. აქაური წმინდა გიორგის ხატი დიდი და სასწაულმოქმედი ყოფილა. იგი მოუპარავთ და აქ მოუტანიათ სხვა ეკლესიიდან, სადაც იგი რამდენჯერმე წაასვენეს, მაგრამ ისევ უკან დაბრუნებულა თავისით. ამიტომ აქ დატოვესო“ (ა. ხარებავა).

ᲓᲝᲑᲔᲠᲐ (დობილო), ადგ.

ᲓᲝᲑᲔᲠᲐᲠᲖᲔᲜᲘ (ველობი დობილო), ადგ. „აქ მაღალ ხეებზე მიშვებული ყოფილა ჭვიტილურის და ჩეშის მაღლარი“ (გუია თომას ძე გოგია, 77 წლისა).

ᲓᲝᲮᲝᲠᲔ (სასახლე), ადგ.

ᲓᲣᲓᲜᲝᲮᲝᲠᲘ, თავნასახლარი. დღეს საყანეა, ადგ.

ᲔᲚᲝᲜᲐ (ელნარი), ადგ. „იელის ჩირგვნარი ყოფილა სულ“.

ᲔᲜᲬᲔᲠᲘ (ეწერი), ადგ. დღეს ჩაის პლანტაციაა.

ᲖᲐᲙᲐᲚᲝᲜᲘ, ᲒᲖᲘᲐᲜᲘ, ადგ. „სულ ბზის ხშირი ბუჩქები და ასწლოვანი მსხვილი, მაღალი კორომებია აქ“.

ᲖᲐᲜᲐᲭᲐᲚᲔ (ზანის ჭალა), ზანასპირა ჭალა, ადგ.

ᲖᲐᲜᲐ, მდინარეა, უერთდება მდინარე ხობწყარს.

ᲙᲐᲙᲐᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (კაკას ნასახლარი), ადგ. „აქ კაკავები ნასახლება წინათ, ახლა კაკავები აქ არ სახლობენ“.

ᲙᲐᲙᲐᲠᲐ (გუძუბა), გორა, ადგ.

ᲙᲕᲐᲢᲘᲐᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘ (კვატიას ნასახლარი), ადგ.

ᲙᲝᲭᲝ, ადგ. „თავშესაყრელი, ოშაყარ ადგილი ყოფილა. ამ მაღალი ადგილიდან კარგ ამინდში ზღვა ჩანს“.

ᲙᲣᲠᲙᲣᲪᲐ, გორაკია, ადგ. „ძალიან მაღალი ადგილია, აქედან ზღვა ჩანს“.

ᲚᲐᲓᲘᲐᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘ (ლადიას ნასახლარი), ადგ.

ᲚᲐᲮᲐᲠᲮᲐ (გახერხილი), ადგ. „ვიწრო გზა ყოფილა და ხალხს იგი გაუჭრია და გაუფართოვებია, გაუხერხია – „გოხორხეს“ (აკ. დემურია).

ᲚᲔᲑᲜᲝᲬᲣᲜᲘ (ლებნამყოფი), ადგ. „ლობიოს ხე, ლებას ხე ყოფილა აქ“.

ᲚᲔᲒᲔᲠᲡᲐᲛᲘᲔ, გერსამიების (გვარია) უბანი.

ᲚᲔᲖᲝᲓᲔᲚᲔ, ზოდელავების (გვარია) უბანი.

ᲚᲔᲙᲐᲪᲘᲔ, კაციების (გვარია) ნასახლარია. დღეს აქ კაციები არ სახლობენ.

ᲚᲔᲥᲐᲠᲩᲔ, ქარჩავების (გვარია) უბანი.

ᲚᲔᲮᲐᲠᲔᲑᲔ, ხარებავების (გვარია) უბანი.

ᲚᲔᲯᲘᲥᲔ, ჯიქიების (გვარია) უბანი.

ᲛᲝᲜᲒᲘᲠᲘ, ადგ.

ᲜᲐᲑᲐᲠᲗᲔᲜᲘ, ადგ. „უძველესი ნაოხვამუ ადგილია, დიდ ტერიტორიას ჰქვია ეს სახელი. ეტყობა ნასახლარის მიხედვით ყოფილა ეს სახელი შერქმეული“ (გ. გერსამია).

ᲜᲐᲑᲐᲦ (ნაბეღლარი), ადგ. „ბაღ-ერთი ბეღელის გადასახურავი ყავარი, დღეს 200 ფურცელია. ნანიასაც ერთი ბაღ ყავარი ეყოფოდა. ბეღელზე ან ნანიაზე კიბით – ტკვით შედიოდნენ. ბეღელის წინ იყო ფაცხა. ფაცხის ცენტრში, კერიის – კებურის – ცებურის პირად ხდებოდა ორსული ქალის მოლოგინება. მოგვყავდა დედმანია. იგი მოლოგინების შემდეგ ჩელტს აფერთხდა და მოლოგინების ადგილზე ლოცულობდა, ზედ ზედაშეს მოასხამდა და დალოცავდა ახალ დაბადებულს. ეს წესი რევოლუციამდე იცოდნენ“ (გ. გოგუა).

ᲜᲐᲑᲔᲠᲐᲦᲣ (ნადროშალი), ადგ. „არის გადმოცემა, რომ აქ სულ ზღვა იდგა უხსოვარ დროში, აქამდე შემოდიოდა გემები, აქ კი ნავსაყუდარი ყოფილა. ამ გორაკზე დროშა ყოფილა აღმართული“.

ᲜᲐᲓᲝᲮᲝᲠᲣ (ნასახლარი), ადგ. 1. „დადიანების სასახლე მდგარა აქ. აქ გადიოდა შუა სამეგრელოს გზა. აქ ოხვამეში (ეკლესიაში) ყოფილა მღვდელი, რომელსაც რაღაც ცუდი შეამჩნიეს და „ᲡᲫᲘᲠᲣᲝ ᲛᲔᲙᲕᲐᲗᲔᲡ ᲓᲣᲓᲘ“, – მშრალად მოკვეთეს თავი. ამ პაპას შვილებს, – მის მემკვიდრეებს ᲞᲐᲞᲐᲡᲫᲘᲠᲔᲑᲘ უწოდეს (პაპასქირი – პაპას, მღვდლის შვილები), და ან კიდევ – ᲞᲐᲞᲐ ᲡᲫᲘᲠᲣᲝ ᲓᲣᲓ ᲙᲕᲐᲗᲘᲚᲘ. შემდეგ უკანასკნელი ორი სიტყვაა ჩამოშორებული; 2. აქ მომსახურე მღვდლის შვილები გამრავლებულან, აქ დასახლებულან. მისი შვილებისათვის პაპასქირები, – პაპასშვილები, მღვდლის შვილები შეურქმევიათ“ (აკ. დემურია).

ᲜᲐᲓᲝᲮᲝᲠᲣ, ადგ. „ბატონიშვილის, დადიანის სასახლე მდგარა. ამ კუთხის ბატონი ყოფილა“ (ანტონ ზოსიმეს ძე ჯალაღონია, 80 წლის).

ᲜᲐᲕᲔᲙᲣ, ვეკუების უძველესი ნასახლარი.

ᲜᲐᲖᲝᲓᲔᲚᲣ (ნაზოდელარი), ზოდელავების (გვარია) ნასახლარი, უბანი. „აქ მღვიმეა, საინტერესო კარსტული წარმონაქმნი. არის ნაშენის კვალიც. ეტყობა, შუა საუკუნეებში სახიზრად ყოფილა გამოყენებული“ (ა. ჯალაღონია).

ᲜᲐᲖᲝᲓᲔᲚᲣᲨᲘ ᲢᲧᲐ (ნაზოდელაოს ტყე), ადგ. „გადმოგვცემენ, რომ აქ ოჩოკოჩი დასდევდაო ტყაშმაფას. აქ ტყაშმაფა იტყუებდა თურმე კაცს და აჯადოებდა მას“ (გ. გოგია).

ᲜᲐᲘᲡᲘᲠᲣ (ნაისლარი), ადგ.

ᲜᲐᲙᲐᲛᲪᲔᲚᲐᲠᲣ (ნაკანცელარალი), ადგ. „პირველი კოლმეურნეობის კანცელარია მდგარა აქ“.

ᲜᲐᲙᲝᲚᲣ (ნაკოლარი), 1. „კოლი (კალია) ყოფილა აქ ბევრი. ერთიანად გადაძოვდა თურმე მთელ ყანებს, ამიტომ ყოველთვის ყანა აქ გადაჭმული იყო კოლის მიერ; 2. კოლოშის ჯიშის ვაზი ყოფილა აქ გავრცელებული, ამიტომ ადგილს ნაკოლოშს ეძახიან; 3. კოლაიები (კოლაია) გვარი ყოფილა და ისინი სახლებულან ამ ადგილებში; 4. კოლაიები მეთუნეები ყოფილან. ისინი კოლოებს (პატარა ზომის სურებს) აკეთებდნენ თურმე, ამიტომ შეერქვაო ამ ადგილს ნაკოლუ“ (ა. ჯალაღონია).

ᲜᲐᲜᲯᲐᲤᲐᲠᲣ (ანჯაფარიების), ადგ. „აქ ანჯაფარიები სახლებულან. დღეს ეკლესიაც არის შემორჩენილი“. XIX საუკუნის დასაწყისის ბაზილიკური ნაგებობა.

ᲜᲐᲜᲯᲐᲤᲐᲠᲣ, ჯაფარიების (გვარია) ნასახლარი, ადგ.

ᲜᲐᲝᲡᲮᲐᲠᲣ (ნასაცეკვარი), ადგ. „არის გადმოცემა, რომ ამ ცაცხვის ძირას, გაშლილ ველობზე, პირველ ჯარალუაზე ნანას უცეკვია, – ნანაქ სხაპუა, შემდეგ ოშაყარ, საჯარო ადგილად დარჩენილა. აქ მთელი ამ კუთხის ხალხი იკრიბებოდა და ცეკვავდა, ერთობოდა“ (გუია შარუს ძე გერსამია, 75 წლისა).

ᲜᲐᲝᲡᲮᲐᲠᲣ (ნასაცეკვარი), ადგ. საჯარო.

ᲜᲐᲝᲮᲕᲐᲛᲣ (ნასალოცვარი), ადგ. „უძველესი სალოცავი ადგილია“.

ᲜᲐᲢᲔᲑᲣ (ნატყევარი), ᲐᲓᲒ.

ᲜᲐᲢᲙᲘᲚᲐ (ნატკილარი), ადგ. „ამ ფერდობსა და მთის კალთებს ანოყიერებდნენ ცივის პირიდან მოტანილი ტკილით. იგი 20-25 წელს ძალიან მოსავალს იძლეოდა. მიწაზე ყრიდნენ ერთი გოჯის, ხან მეტის სისქეზე ტკილს, შემდეგ ჩახნავდნენ და ამ ჩანახნავს ერთხანს შეაჩერებდნენ, მოიყვანდნენ და შემდეგ მეორე ხვნით გააფხვიერებდნენ და ჩათესავდნენ“ (გ. გოგია).

ᲜᲐᲤᲘᲩᲮᲣᲠᲘ, ადგ.

ᲜᲐᲥᲕᲘᲨᲐ (ნაქვიშარი), ადგ. „აქ ყანას ქვიშით ანოყიერებდნენ“.

ᲜᲐᲩᲮᲣᲞᲣ (ნაომარი), ადგ. „აქ თურქის ჯარს ჩვენი ხალხი შებრძოლებია და დაუმარცხებია კიდეც“.

ᲜᲐᲭᲘᲠᲣ (ნაჭირალი), ადგ. „აქ ჭირს გაუწყვეტია ხალხი, ნაჭირალი ადგილია“ (მიშა ანთია).

ᲜᲐᲮᲐᲯᲣ (ნაცერცვალი), ადგ. „წინათ ხაჯი, – ცერცვი ეთესა“.

ᲜᲐᲯᲘᲮᲣᲠᲣ (ნაციხარი), ადგ. „სულ კეცები ცვივა მიწიდან“.

ნეძონა (კაკლნარი), ადგ. „კაკლის ტყიანი ყოფილა“.

ნოხორი (ნასახლარი), ადგ.

ნოხორუ (ნასახლარი), ადგ.

ოგურთე (საბურთაო), ადგ. „ნაროუშვილების ნასახლართან მოედანი, სადაც ნაროუშვილებმა ბურთაობა იცოდნენ“.

ომადანე (სამადნო), ადგ. „აქ მარგანეცის ფენა ჩანს. მრავალია კონკრეციაც“.

ომანდარინე (სამანდარინო), აქ მანდარინის ბაღი იყო, მერე სულ გადახმა“.

ოქაჯე (საქაჯო) ადგ. „წინათ საშიშარი, დაბურული ტყიანი“.

ოქაჯე (საქაჯო), ადგ. „ძალიან საშიშარი, გაუვალი, მიუდგომი ადგილი ყოფილა, აქ ქაჯები და ტყაშმაფები ბუდობდნენ თურმე. ამ ტყეში იკრიბებოდნენ ეშმაკები ტაბაკოლაშა, – ტაბაკონაზე ასვლის წინ“ (აკაკი ბეჩუს ძე დემურია, 65 წლისა).

ოჩე (საჩეო, ჩეშის მაღლარის დობილო), ადგ. (აქ ჩეშის მაღლარი ყოფილა“.

ოჩე (უხვნოყიერი), ადგ. „აქ სულ იხორგებოდა, იზვინებოდა მოსავალი. მაღალმოსავლიანი ადგილი იყო, დალოცვილი, ღვთის თვალი ადგას ამ ოჩე ადგილსაო, – იტყოდა ხალხი“.

ოჩხირე (საჩხირე), ადგ. „დაბალი ტყიანი იყო, სადაც ჩხირებს ვამზადებდით ვენახისა და ბაღისათვის“.

ოწურბელე (საწურბელე), „წურბელი ცოდნია ბევრი აქ, დამდგარ წყალში. აქ იჭერდნენ და ყიდდნენ თურმე სოფლის ექიმბაშები წურბელებს“.

ოწყარეპიჯი (ღელეს პირი), ადგ.

ოწყარე ჭალე (წყლიანი, ჭაობიანი), ჭალა, ადგ.

ოწყარე, ოწყარიე ღალ, ღელე.

ოწყარე, ღელე.

ოხარდანე (სახარდანო), ადგ. „ხარდანის ჯიშის ვაზი ყოფილა აქ გავრცელებული. დღეს ჩაის პლანტაციაა“.

ოხვამე (ეკლესია), ახუთის საოხვამურო, ძირის ხატი აქ ყოფილა“.

ოხვამე, ადგ. „ჯაიანების ეკლესიაა. დღეს ნანგრევებია მხოლოდ სოფლის ცენტრის ჩრდილოეთ მხარეზე. აქ ჯაიანები სულ ამოწყვეტილან. ერთი ბავშვი დარჩენილა მარტო. ობოლი ჩიტაიას აღუზრდია, დაუქორწინებია და დაუსახლებია. მას ხუთი შვილი შეძენია. ისინი ხუთ სხვადასხვა ადგილას დაუსახლებია. ერთი – კიწიაში, ალერტში, მეორე – ცივის სათავეში, ლეგერსამიეში, მესამე – საკაკულიოში, მეოთხე – საჯაიანოში, ეკლესია რომაა, იქ, და მეხუთე ხორგაში წასულა და იქ დასახლებულა. აქედან წარმოიქმნა ჯაიანების ხუთი დინო“ (აკ. კაკულია).

ოხოჯუ (სახარე), ადგ. „ხარებით ხნავდნენ“.

ოჯალეში (ოჯალეშის სავენახე), ადგ. „აქ ოდესღაც ოჯალეშის დობილო ყოფილა“.

ოჯარე (საჯარო), ადგ.

რავანოხორი (რავას ნასახლარი), ადგ. „ორი ძმა ყოფილა – რავები. ერთი აქ სახლებულა, მეორე – გაღმა“.

როხანა (ქვიანი), ადგ.

სააბაშიო, აბაშიების (გვარია) ნასახლარი, ადგ.

საანგურო (სააგურო), ადგ. „გადმოცემით, უხსოვარ დროს აქ სააგურო ყოფილა. დღეს მიწიდან ცვივა აგურები და კეცები“.

საგამსახურდიო, გამსახურდიების (გვარია) უბანი.

სავეკუო, ვეკუების (გვარია) უბანი. „ამ უბნიდანაა გადასახლებული აკადემიკოს ილია ვეკუას მშობლები. ახლაც არის დარჩენილი მისი სამოსახლო, კარ-მიდამო. ჰყვარებია ბატონ ილიას აქ ხშირი მობრძანება, მშობლიურ გარემოში დასვენება. ღამეებს ათევდა თურმე აქ თავის დებთან და ნათესავებთან ერთად. მას ნავეკუს ეძახიან, იმიტომ, რომ ბევრი ამ გვარის კაცი გასახლებულია აქედან“.

სანარუსძუო (სანაროუშვილო), უბანი. ნაროუშვილების (ნარუსქუა გვარია) უბანი.

სანაფითონი, ადგ.

სასაჯაიო (სასაჯაიო), საჯაიების (გვარია) უბანი.

საქარჩო, ქარჩავების (გვარია) უბანი.

საღებო – სარღებო (სამღებრო), ადგ. „ახუთის ცენტრის შესასვლელთან ყოფილა უძველესი სამღებრო, სადაც ჭურიათი და ეკით ღებავდნენ თურმე ჩოხებს და ხამნელებს მღებავები და გასაყიდად გაჰქონდათ. ისინი დადიას მოუყვანია აქ“ (ტერენტი ვლადიმერის ძე სანაია, 75 წლისა).

საჩიტიო (საჩიტაიო), უბანი, ჩიტაიების (გვარია) ნასახლარი. „ამჟამადაც ჩიტაიები სახლობენ“ (გ. ჩიტაია).

სახუბუნიო. ხუბუნიების (გვარია) უბანი.

საჯაიანო ოხვამე (ჯაიანების ეკლესია), ეკლესია და მისი მიდამოები. დღესაც დგას XVIII საუკუნის დასასრულის ეკლესია. „ჯაიანების ეკლესიის ეზოში დიდი ცაცხვი დგას. ამ ხის ძირას იცოდნენ ცხვრის დაკვლა. ხეს სწირავდნენ ქათმებს, ფულს. მასთან ხდებოდა გადაცემა, დაფიცება და ა. შ.“ (არჩილ ხარებავა).

საჯაიანო, ჯაიანების (გვარია) უბანი.

საჯალაღანიო, ჯალაღონიების (გვარია) უბანი.

საჯალაღონიო (ჯალაღონიების ნასახლარი), ადგ.

საჯიქიო, ჯიქიების (გვარია) უბანი.

საჯიჯელო, ჯიჯელავების (გვარია) უბანი.

საჯოჯუო, ჯოჯუების (გვარია) უბანი.

სურონა (უსურვაზნარი), ადგ. „სუროიანი მაღალი ხეების ტყიანი“.

ტები (ტყე), ადგ.

უხაფუ (დაუმაკებელთა საძოვარი), ადგ. „აქ დაუმაკებელ, უშობელ საქონელს აძოვებდნენ. „ეს ოღრო-ჩოღრო ადგილები უფრო უხაფუსათვის იყო მიჩენილი. იგი შედარებით ცქვიტი, მოძრავი, რელიეფური წინააღმდეგობების ადვილად ამტანი საქონელია“.

ფეუშ ნოხორი (ფეუს ნასახლარი), ადგ.

ქვაბი (გამოქვაბული), გამოქვაბული. კარსტული წარმონაქმნი; საინტერესო პირველი ტალანით. მის პირს ეტყობა შეკრული იყო ქვითკირით.

ყირიმიში დიხა (ყირიმის მიწა), ადგ. „ყირიმ ჯაიანის მიწა“.

შიოში მარანი (შიოს მარანი), ადგ. „ძველი კაცი ყოფილა შიო. აქ ჰქონია თავისი კარ-მიდამო და დიდი მარანიც. 30-40 კოკიანი ქვევრები ყოფილა აქ ჩაფლული. სულ სავსე და დაუცლელი იყო თურმე შიოს მარანი. ისე გულუხვი ყოფილა შიო, რომ აქ გამვლელ არც ერთ კაცს არ გაუშვებდა, თავის მარანში არ შეეყვანა და არ გამასპინძლებოდა. ასეთ უხვ კაცს ღვინო და პურმარილი არ აკლდებოდა და ამიტომ შიოს მარანი სამაგალითოდ ჰქონიათ. „შიოს მარანიცალო ეგოფშასია“, – შიოს მარანივით აგავსოსო, – იტყოდნენ და იტყვიან დღესაც. შიოს 120 წელს უცხოვრია და უწვალებლად, ჩიტივით მომკვდარა. შვილებისათვის დაუბარებია – სულ კეთილები, უხვები იყავით, როცა თქვენს სახლში ლხინი იქნება, მე ჩიტად გადავიქცევი, მოვფრინდები და თქვენს ლხინს მივესალმებიო. ასე სწამდათ მის შვილებს, სწამს ხალხს“ (გ. გოგუა).

ჩეღალ (თეთრი ღელე), ღელე.

ჩხვირკნოხორიი (ჩხიკვნასახლარი), ადგ.

ციშ პიჯი (ციის პირი), ჭალა.

წისქვილჭალე (წისქვილის ჭალა), ადგ.

ჭალე, ჭალა.

ჭამიორი, იქნებ ჭანიორი, ჭანნასახლარი, ადგილი (გრიგოლ გერასიმეს ძე კოხია, 60 წლისა).

ჭკადუერ როგუ (ნასამჭედლარი ხევი), ადგ. „აქ ყოფილა ჯალაღონიების წინაპარი მჭედლები. მათ დიდი სამჭედლოები ჰქონიათ. აქ ისინი „ჭახუნდეს“ – წურავდნენ რკინასაც. დღეს აქ უამრავ წიდებს და ნასამჭედლარ მასალას ვპოულობთ“ (ა. ჯალაღონია).

ჭუკმამული (ჭუკიას მამული), ადგ.

ჭყონტობა (მუხატბა), ადგ. „აქ დიდი მუხა მდგარა და მის ძირას ძალიან ღრმა ტბა ყოფილა. ამიტომ ხალხს მისთვის ჭყონტობა შეურქმევია“.

ხამუა, ღელე. უერთდება ოწყარეს ღელეს.

ხუტანოხორი (ხუტას ნასახლარი), ადგ. „ხუტა პაპასქირის ნასახლარი“.

ჯამუში ნოხორი (ჯამუს ნასახლარი), ადგ.

ჯოღორღალ (ძაღლ ღელე), ღელე.

ჯოხთაბერიძეში ნაოზუ (ჯოხთაბერიძის ნაეზოვარი), ადგ.

ზუმი

სოფელი ორი მდინარის – სქურჩესა და ხობისწყლის ვრცელ ჭალაზეა გაშლილი. მას შედარებით ვაკე ადგილი უკავია, მხოლოდ მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილია ზეგანური. სოფელი ორ ნაწილად იყოფა: II ჯუმითი და საკუთრივ ზუმი. ნიადაგი ნამდინარევი შლამითაა მოფენილი. მდინარე ხობისწყლის მარჯვენა სანაპირო ჰუმუსით მდიდარი სილანაჭარბი, ყვითელ და წითელმიწა ნიადაგია. სოფლის დასავლეთით პატარა სერია (გა), სადაც კარბონატული ნიადაგის გამო კარგად ხარობს ვაზი, ჩაი, ხილი, სიმინდი, ცერცვი, ლობიო. ოდესღაც სოფელი ღომისა და ჭადაჭადას სიუხვით იყო ცნობილი. აქ თესდნენ, მოჰყავდათ სელი, კენაფი და ტილოს ქსოვილს ამზადებდნენ.

აგუძერა, ადგ.

ბარცხენი (ბარცხნარი), ადგ.

ბარცხონა (ბარცხნარი), ადგ. ჩირგვნარი ველია. „აქ ნიადაგი კირქვიანია და შედარებით მწირი“.

გა (სერი), გორაკი.

გითნახვამა (გამონალოცი), ადგ.

დავითიაში ჭალე (დავითის ჭალა), ადგ.

დობერა (დობილო), ადგ. აქ ჭვიტილურის და პანეშის მაღლარი ჰქონდათ გაშენებული“.

დობერონი (დობილნარი), ადგ. „დიდი დობერა, აქ სულ ვაზნარი იყო. წაკორტი ადგილი“.

დღვეგუში, ადგ. „ძლიერ ჭაობიანი და გაუვალი“.

ენწერი (ეწერი), ადგ. „დღეს ჩაის პლანტაციაა. საკმაოდ დიდი ნაკვეთია, წითელმიწა ნიადაგით. საფუძვლად „მეიჭვილი“ უდევს, წყალგაუმტარი ქანი, უნაყოფო“.

ენწერი (ეწერი), ადგ. დიდი ფართობია. დღეს ჩაის პლანტაციაა.

ზუმი, ზმი (ზომა, ზომვა), სოფ. „არის თქმა: მაზუმალქ მიშეჲუადო ათაში ქშადინუა, ზუმუა ვაჭიშუა“, – მეჟავანის გავლის დროს აქ მიწის მზომელები სოფელში ჩაკარგულან ისე, რომ აზომვა ვერ მოუსწრიათო“ (ვასილ კოსტას ძე ჩიქოვანი, 70 წლისა). „სომეურქია? ზუმიშავა, ზუმს კოჩქ ქშადინუა“. სად მიხვალ? ზუმშიო, ზუმში კაცი ჩაიკარგაო“ (სოლომონ ალექსანდრეს ძე ლემონჯავა).

თხომურონი (თხემლნარი), ადგ. „აქ სულ თხემლის ტყე ყოფილა“.

კადუში ნოხორიი (კადუს ნასახლარი), სოფლის ცენტრი.

კეჭნარი (ქვიანი), ადგ. „ხშირ კეჭნარი ადგილია, მხოლოდ ჭილი ხარობდა წინათ“.

კვარაცხელიაში ტობა (კვარაცხელიას ტბა), ტბა. „შვიდი ძმა კვარაცხელიას სამოსახლო წალენჯიხაში თოვლის ზვავს წაულეკია. იქიდან აყრილან ძმები და აქ მოსულან. ამ ტბის ნაპირას დასახლებულან“.

კიწიშ ნადიხუ (კიწის ნაყანევი), ადგ.

ლოშძუა, ადგ.

მაქსიმეში ნოხორიი (მაქსიმეს ნასახლარი), ადგ.

ნაგიდუ, ადგ. „აქ უძველესი ნაოხვამუა. ლემონჯავების ძირის ხატი იყო აქ. ლემონჯავები აქ თერდობას იხდიდნენ დიდ დღეობას. ლემონჯავას ყველა ოჯახის წევრი იკრიბებოდა ამ ზეიმზე. კლავდნენ ხარს, ინაწილებდნენ მის ხორცს“.

ნადიხუ (ნამიწარი), ადგ.

ნადუქანუ (ნადუქნარი), ადგ. „აქ ძველი ცენტრი იყო, – სავაჭრო უბანი. აქ ჰქონდათ ფართლეულის, საწვრილმანოს, პურის და სხვ. დუქნები. აქვე ჰქონდათ ფურნეც. იყო სადურგლოც“.

ნაისირუ (ნაისლარი), ადგ.

ნაკლასუ (ნასკოლარი), ადგ. „აქ აუგიათ პირველი ხის ნაგებობა ერთკლასიანი სასწავლებლისათვის“.

ნანდუ (ნადევარი), ადგ. „დევების და ეშმაკების ადგილია. აქ დევებს შავი ქვები უსვრიათ. ამიტომაა აქ შავი ქვები ამდენიო“.

ნანწარუ (ნამწარები), ადგ. „განამწარები, ბატონის მიერ აოხრებული ადგილი“.

ნაოსხაპუ (ნასაცეკვარი), ადგ.

ნაოსხაპუ (ნასაცეკვარი), ადგ.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ადგ. „ლემონჯავების უძველესი ძირის ხატია, ძირის სალოცავია“.

ნატებარი (ნატყევარი), ადგ.

ნატურუ (ნატურალი), ადგ.

ნაურიაში ტობა (ნაურიას ტბა), ადგ. „ნაურია გახარიას ტბა მდინარე ხობისწყალზე. დღეს არ არის, ამოვსებულია შლამით. ნაურია გახარიას მიდამო, ძლიერ საშიშარი, საყაჩაღო, დაწყევლილი და უბედური ადგილი იყო. ამიტომ იყო წყევლა „ნაურიას ქდგოხუნუნია“ – ნაურიაში დაგსვაო. ყველაზე დაწყევლილ და საშიშარ ადგილას დაგსვაო“.

ნაქირონა (ნაქირავები), ადგ. „ქირით ამუშავებდნენ ამ მიწას პატრონები. ხშირად ქირის გამო დავაც მომხდარა, მსხვერპლიც ყოფილა“.

ნაქოგალი (ნახორბლალი), ადგ. „აქ პურსა თესდნენ, ზანდური და მახა ეთესათ ჩვენს ძველებს. ქერიც მოჰყავდათ“ (ი. ლემონჯავა).

ნაღუმუ (ნაღომარი), ადგ.

ნაშენი (განაშენიანებული), ადგ. „აქ ბატონების განკარგულებით ლემონჯავებს ვენახი და ხილი გაუშენებიათ. ლემონჯავები ბატონს აქ მოწეულ მოსავალს მთლიანად აძლევდნენ. სამაგიეროდ ბატონები ტყეში ყურძნის კრეფის ნებას რთავდნენ თურმე“.

ნაჩხვერუ (ნაღომარი), ადგ. „მდინარის დანალექ ადგილებში ითესებოდა“.

ნაცაცხვუ (ნაცაცხვარი), ადგ. „აქ ლემონჯავებმა ამაღლების ლოცვა იცოდნენ“.

ნაცაცხვუ (ნაცაცხვარი), ადგ. უძველესი ცაცხვი მდგარა. „გზაზე, მაღალ ადგილას იდგა ცაცხვი, სადაც ლოცვა მიმდინარეობდა. მოჰქონდათ შესაწირი. აქ ხვამა იცოდნენ. მთელი სოფელი იკრიბებოდა შაყარუაზე“.

ნაჭკიდუ (ნამჭადარი), ადგ.

ნახარდანუ (ნახარდნარი), ადგ.

ნახაჯუ (ნაცერცვალი), ადგ.

ნაჯიხუ (ნაციხარი), ადგ. „სერგიების ჯიხა ყოფილა. სერგიაქ ქგშადინუა ზუმიშ ტყას, ტყა იზუმინუნდუა“ (გ. ლემონჯავა).

ნოხორი (ნასახლარი), ადგ.

ნოხორიი (ნასახლარი), ადგ. დღეს ჩაის პლანტაციებია.

ობრული, ადგ.

ოლეგე (ლების ხის, ლობიოს ხის ადგილი), ადგ. „ჭუჭყიანი ადგილია, უძველესი ტყიანი. „უხსოვარ დროიდან აქ ტალახს – ლეკს იღებდნენ ტყავის შესაღებად“.

ოფერებენე, ადგ.

ოყარყალე (საყიყინო), ადგ. „დამდგარი წყალი იდგა, ბაყაყებით სავსე, საყიყინო იყო“.

ოშაყარ (თავშესაყრელი), ადგ. „ჯარალუა იცოდნენ აქ“.

ოხვამე (ეკლესია), ადგ. დღეს ეკლესია არ დგას.

ოხვამეში მართუ (ეკლესიის მისასვლელი, ეკლესიის გადასახვევი), ადგ. „მდინარე ხობისწყალზეა. დღეს ეკლესია არ არის, მართუ დღეს არ არის, მდინარემ კალაპოტი იცვალა“.

საბეკი, ადგ. „აქ მარულა იცოდნენ. იყო ცხენების სარბენი ადგილი, ცხენების საშემოდგომო და საგაზაფხულო სადგომი“.

საგელანტიო, გელანტიების (გვარია) უბანი.

საგელანტიო, გელანტიების (გვარია) უბანი.

საკაკარი, ადგ.

საკვარაცხელიო, კვარაცხელიების (გვარია) უბანი.

საკირცხალაო, კირცხალიების (გვარია) ნასახლარი.

სალემონჯიო, ლემონჯავების (გვარია) უბანი. „ლემონჯავები მოსულან სვანეთიდან“.

სანაჭყეპიო, ნაჭყეპიების (გვარია) უბანი.

საშოგრადო, ადგ.

საშორგაიო, შორგაიების დასახლება, უბანი. წინათ შორგაიები იყვნენ, დღეს – შორგაძეები.

ტები (ტყე), ადგ. „ხშირი ტყიანი, ჭაობიანი ყოფილა წინათ“.

უჩა გა (შავი სერი), ადგ.

ფათუშიგა (ფათუს სერი), სერი. ადგ. „წინათ აქ ვიღაც ფათუ სახლებულა“.

ფიჩხონა (ფიჩხნარი), ადგ.

ცირამუაში ნადოხორუ (ცირამუას ნასახლარი), ადგ. ცირამუას (გვარია) ძველი ნასახლარი უბანი. დღეს არ სახლობენ.

ცხვარკალი, ადგ. „წინათ ბარდნარი იყო, დღეს ჩაის პლანტაციაა“.

ძაკაშ ნოხორიი (ძაკას ნასახლარი), „ძაკა ხვადაგიანის ნასახლარი. ჩასიძებული ყოფილა სვანეთიდან“.

ძაძუში ტობა (ძაძუს ტბა), ტბა. „მდინარე ხობისწყალზე ეს ადგილი ძაძუ ფირცხალავას ეკუთვნოდა“.

წისქვილკარი (წისქვილის კარი), ადგ.

ჭალე, ჭალა.

ჭითა ტკილი (წითელი ტკილი, წითელი მერგელი), ადგ. „აქ წითელ ტკილს თხრიდნენ და ყანებში გაჰქონდათ. გადმოცემით, თურქობის დროს დაღუპული ადამიანთა სისხლითაა გაჟღენთილი ეს ტკილიო“.

ჭუბიში, ადგ. „იღებენ ქვევრების თავსახურ აყალო მიწას“.

ჭყონა (მუხნარი), ადგ.

ჭყონარი (მუხნარი), ადგ. „აქ უძველესი სალოცავიც იყო“.

ხობწყარპიჯი (ხობწყარპირი), ადგ. ჭალა.

ჯანაშური, ადგ. „აქ ჯანაშურის ჯიშის ვაზი იყო მიშვებული მაღლარზე. ნათელი ტყიანი იყო თხმელის, ხურმისა და ჭუტა ვაშლისა. ჯანაშურის ჯიშის ვაზი შავყურძენაა. კარგი ღვინო დგებოდა მისგან“ (ალექსანდრე ლემონჯავა).

ყვანაღალ (ყანაღელე), ღელე. დღეს დამშრალი ადგილია.

ყურუი, ადგ.


გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკური ატლასი
ზუმის
სახოფლო საბჭო
1980 წ.
ნიშნები:
სახოფლო საბჭოს საზღვრები
მდინარეები
გზები
სახოფლო საბჭოს ცენტრი
და უნის ცენტრები
მასშტაბი: 1:10000

თაიას სასოფლო საბჭო

სოფლის დიდი ნაწილი, მთელი ჩრდილოეთი უბანი, შეფენილია ოსინდალეს მთის კალთებზე. რელიეფური გადასვლები, გორაკ-ბორცვები თანდათანობით დაბლდება და ოჩხამურის ჭალაში ვრცელ ველიანში გადადის, თუმცა აქაც ხშირია კურკუზა ბორცვები. სოფელი მთის სამხრეთის მზისგული კალთაა. დიდ ფართობზე ალუვიური ნიადაგია, რაც ვაზისა და ხილის უხვი მოსავლის ძირითადი საფუძველია. გორაკები მოხატულია ჩაის პლანტაციებით, სიმინდის ყანებით, სათიბი და საძოვარი მასივებით, ვენახებითა და ხეხილის ბაღებით. სოფელში გადის ძველი გზა, – „ერისტეს გზა“, რომელსაც ხალხი უცხოელ სარდალს მიაწერს. იგი უძველესი დროიდან ნაყოფიერების, ვაჟკაცების, სიძეების დაწინდვისა და დალოცვის ადგილად იყო აღიარებული. სოფელში როგორც წარსულში, ისე დღესაც, უაღრესად განვითარებულია მესაქონლეობა. აქაური ძროხა და თხა მთელ სამეგრელოშია ცნობილი. სოფელს ჩრდილოეთით ოსინდალეს მთიანი მასივი გადმოჰყურებს, აღმოსავლეთით ესაზღვრება ნაფიჩხაოს, სამხრეთით – ჭოღის, დასავლეთით – მუხურის სასოფლო საბჭოები.

არგუნა, ოსინდალეს ცენტრში „უძველესი ნაოხვამუა – ნასალოცვარი, სადაც არგუანას თუ აგუნას ღვთაებას სცემდნენ თაყვანს. აქ თოდუების ძირის სალოცავი ყოფილა“. „არგუნა, აგუნა“ სალოცავი მაგიური სიტყვებია. აგუნა ეს მევენახეობა-მეღვინეობის ქართული წარმართული ღვთაებაა. იგი ეტყობა სამეგრელოში გურიასთან ერთად საკმაოდ გავრცელებული იყო“[1]. სწორედ ამ ტოპონიმით მინიშნულია უდავოდ ამ კულტის მსახურების ცენტრი.

ბათიარონი, ადგ.

ბახვაში ნაშძვიდუ (ბახვას ნახრჩობი), ადგ. „აქ ბახვა დამხრჩვალა“.

ბეგა, ადგ. აქ ეს სახელი ჰქვია ღელეს და ჭალებს.

ბჟანოური (მზიური), ადგ. „აქ, ოსინდალეში სულ ბჟანოურის ჯიშის ვაზი იყო. ძალიან კარგი ღვინო დგებოდა. ასევე გავრცელებული იყო მაღლარზე ჩერგვალი და ფიჩხოური“.

გარამ წყარი (ქვესკნელის წყალი), ადგ. „აქ ღრმა უფსკრულოში გადმოსჩქეფს მთის წყალი და ქმნის მცირე ჩანჩქერს და მღვიმეში ეშვება“.

გაში ოჩაიე (სერის საჩაიო), ადგ. „მაღალი ბორცვის ორივე მხარეზე პირველი ჩაის პლანტაციაა გაშენებული. მას იმ დროიდან „გაში ოჩაიეს“ ეძახიან, რამაც რამდენიმე ძველი სახელი დაფარა. დღეს ეს სახელები არავის არ ახსოვს, გარდა კურკუცასი. ამ სერს კურკუცასაც ეტყვიან“.

გედინი, ადგ. 1. „ამ მიწის გამო კაცი დაკარგულა, – ქიგიოდინუ, ზედ გადაჰყვა, დაიკარგა“; 2. „აქ გედენაიები სახლებულან. ახლა ასეთი გვარი აქ არ სახლობს“ (ს. ფიჩხაია); 3. „სოფლის ცენტრში, ამ ადგილას ექვსი გზა იყრის თავს, ცენტრიდან ხშირად გზას ვერ იგნებს, იბნევა კაცი, იკარგება – ქიგედინ“ (მ. შენგელია).

გიოში ნაკარუ (გიოს ნაკარვალი), ადგ. „მას გიოს კარსაც ეძახიან“.

გუგულური, ადგ.

დოგერა (დობილო), ადგ.

დოგერა (დობილო), ადგ. „მაღლარი ვაზი ყოფილა ხეებზე მიშვებული“.

დიცხონა, ადგ. ოსინდალეს ჩრდილო-დასავლეთით.

ენწერი (ეწერი), ადგ.

ერისტეში შარა (ერისტეს გზა), ადგ. 1. „მთის გაყოლებით ახლა ბილიკია. წინათ, უხსოვარ დროში სოშე ყოფილა, აქ უვლია ბერძენ სარდალს ერისტეს, როცა იგი ამ კუთხეს დაეცა თავს“; 2. „თაიაში მთის ძირას მიუყვება გზა-ჯვეში შარა, რომელსაც ხალხი, პომპიაში შარას უწოდებს. მოხუცების გადმოცემით, აქ გაუვლია რომაელ სარდალს – პომპეუსს. იგი თაიას მაღალ ბორცვზე, ოსინდალეს გადმოსახედთან დაბანაკებულა და ერთავად მოუსრია იქაურობა. ამიტომ შეერქვაო ამ ადგილებს „ნაჭილუ“, გზას – პომპიას გზა, ე. ი. პომპეუსის გზაო“ (მ. კვირტია, 72 წლისა).

თაია რზენი (თაიას ველობი), „გაშლილი ველობია, ძალიან ნაყოფიერი და მდიდარი“.

თაია, ს/ს. „მის ცენტრში იყო წმინდა გიორგის ეკლესია. იციან დღეობა ყოველი წლის 10 ნოემბერს, ძველი სტილით 23 ნოემბერს“.

თაია, სოფ. 1. „მას ეს სახელი უძველესი დროიდან რქმევია. აქ ვიღაც ლამაზი ქალიშვილი თაია ნაცხოვრება, რომელიც თურქებს გაუტაცნიათ, ამიტომ შეერქვაო თაია მის მშობლიურ სოფელს“ (მირიანე გერასიმეს ძე შენგელია, 50 წლისა); 2. „1928 წელს, აქ, თაიაში, მის ერთ ნაწილში, პირველი მიწის საზოგადოებრივი დამუშავების ამხანაგობა შექმნილა, რომლისთვისაც თაია – გოკურ-ცხინაფა შეურქმევიათ. შემდეგ თაია მთელს სასოფლო საბჭოზე გავრცელებულა“ (ფიჩხაია სერგო ლევანის ძე, 58 წლისა).

თემუში ნაკარუ (თემუს ნაკარვალი), ადგ.

ინოხონი, გინოხონი (ჩავარდნილი, ან გადაღმა ყანა), ადგ. „ჩაწეული ადგილია, ნაყოფიერი და უხვი“.

კადარი (ქვიანი), ადგ. „კეჭნარი და კადარი ადგილი. ძნელად დასამუშავებელი. აქ ალერტობა იციან. აქ და მუხურში ალერტობა ეწყობა პირველად 23 აპრილს, ძველი სტილით. ხოლო შემოდგომაზე ნოემბრის თვეში იცოდნენ ალერტობა. ეს მთელი სოფლის საერთო დღესასწაულია“.

კვირკვალი (მიწაზურგა), ადგ. „ნაოხვამუა ოსინდალეში“.

კურკუცა (მიწაზურგა), ადგ. „უძველესი ნაოხვამუა ეს კურკუცა“.

ლადიში ოჩაიე (ლადის საჩაიო), ადგ. პირველად ლადის გადაუბრუნებია და ჩაუყრია ჩაი, ამიტომ შეერქვა ლადიშ ოჩაიე“.

ლეთოდუე (სათოდუო), თოდუების (გვარია) უბანი ოსინდალეში და სოფლის ჩრდილოეთ მხარეში“.

ლემორგოშიე, მორგოშიების (გვარია) უბანი, „აქ სულ მორგოშიები სახლობენ. ეს მათი უბანია“.

ლემოქაცარე (საბატკნო), ქაცარავები ცხოვრობენ.

ლექარე (საქარო), ადგ. „ამ ადგილას მესაქონლეთა კარავები იდგა. აქ მოსახლე ოჯახები სულ მესაქონლეები იყვნენ. აქაური სულუგუნი ძალიან ფასობდა თურმე მუხურის ბაზარზე“.

ლეჭყოჭყო (ჭაობიანი), ადგ. „სულ ჭაობიანი, ჭყოჭყო, წყლიანი ადგილი ყოფილა წინათ. შემდეგ ნაწილი დაუშრიათ, ნაწილი დღესაც დაუშრობელია“ (გ. შენგელია).

მოზართუ – მორძგვი დართუ (მარჯვე მოსაბრუნი), ადგ. „ოსინდალედან მომავალი კაცი მარჯვნივ ბრუნდება, როცა თაიასაკენ მიდის“ (მ. შენგელია).

მორცხვინა, ადგ. „სამხრეთის მზის გული ფერდობია, სადაც მორცხვინას ჯიშის ვაზი იყო მაღლარზე. აქ რცვილაიები სახლობდნენ წინათ. ახლა ასეთი გვარი აქ არ სახლობს“.

მუხურეფშა (კუთხე სავსე), უბანი. მდიდარი და ნაყოფიერი ადგილია. საინტერესოა წყაროს წყლებით. აქ სამხრეთის მზისგულ ფერდობზე ახლაც მაღლარი ვაზი ძლიერ ხარობს. განსაკუთრებით შონური, ხოჯიში თოლი, ჩეში, უჩანეში, ჩეჭიფეში, ჭვიტილური. თუმცა ახლა აქ კოლმეურნეებს ყველგან მხოლოდ ცოლიკოურის დაბლარი აქვთ გაშენებული“.

ნადუქანუ (ნადუქნევი), ადგ. „ძველად აქ დუქნები იდგა და სოფლის ვაჭრები ვაჭრობდნენ“.

ნამარანუ (ნამარნევი), ადგ.

ნოსხაპუ (ნასაცეკვარი), ადგ.

ნოჭკადუ (ნასამჭედლარი), ადგ. „კვირკვალის ქვემოთ, ოსინდალეში, აქ უძველესი სამჭედლო ყოფილა. დღეს წიდებს პოულობენ. მას ცაკვაში ნაწუდუსაც ეძახიან“ (მ. შენგელია).

ნოხვამუ (ნასალოცვარი), ადგ. „აქ გიორგობა იცოდა მთელმა სოფელმა“.

ნაპალუ, ადგ. დღეს ხილნარის ბაღია.

ნასელუ (ნასელარი, ადგ. „სადაც სელსა და კანაფს იწევდნენ და მისგან ტილოს, ბაწარსა და ბადეს ქსოვდნენ“.

ნასულუ, სულიების (გვარია) ნასახლარი, ადგ. „სულიერი ნაცხოვრება ამ ადგილებში წინათ. აქ სელი მოჰყავდათ ბლომად“.

ნაფაცხუ (ნაფაცხარი), ადგ.

ნაქუთელუ, ქუთელიების (გვარია) ნასახლარი, ადგ. „ქუთეია, ქუთელია გვარია. ეს ადგილები სულ მათი ნასახლარია. დღეს აქ ეს გვარი არ სახლობს, ძველი გვარია; გამიგონია, ქუთეია ქუთას, თუთას ღვთაების თაყვანისმცემლები იყვნენ. ქუთათურები, ქუთას თურები ახლა აქ არ სახლობენ“ (ს. ფიჩხაია).

ნაღალუ (წაღებული), ადგ. „წინათ დიდი ღელე ყოფილა, ეს ღელე ამჟამად პატარაა“.

ნაღუმუ (ნაღომარი), ადგ. ტოპონიმი ერთგანაც გვხვდება.

ნაჭვუ (ნაჭვავარი), ადგ. ოსინდალეს მიდამოებში.

ნაჭკადუერფერდი (ნასამჭედლარი ფერდობი), ადგ.

ნაჭკადუერი (ნასამჭედლარი), ადგ. ბორცვია, რომლის მთელს შეფენაზე არის წიდები და მეტალურგიული წარმოების საინტერესო ნაშთები.

ნაჭკიდუ (ნამჭადარი), ადგ. „ოსინდალეს მიდამოებში. მჭადს ამ ოცი წლის წინათაც თესდნენ აქ“. ტოპონიმი ერთგანაც გვხვდება.

ნახარდანუ (ნახარდნარი), ადგ. „ვაზის სახელწოდებაა“.

ნაჯარგვალუ (ნაჯარგვალარი ადგილი), ადგ. „წინათ აქ მესაქონლეთა დიდი ჯარგვალი მდგარა. მთაზე საქონლის არეკვისას და ჩამორეკვისას მესაქონლეები აქ ჩერდებოდნენ. აქ ჯალონაში მოაძოვებდნენ საქონელს და შემდეგ ლაკადაში ადიოდნენ“.

ოგერგე (სათოხნი), ადგ. „სულ ობერგული ადგილები იყო ოსინდალეს მთის ფერდობები“.

ოგერგე (სათოხნი), ადგ.

ოგერგული (თოხით დასამუშავებელი), ადგ. მთის შეფენაზე, ოსინდალეს ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეზე არის თოხით დასამუშავებელი ადგილები. აქ, ამ ორი ათეული წლის წინათაც კი, თოხით ამუშავებდნენ მიწას.

ოგერე (სამგლო), ადგ.

ოგინე (სახბორე), ადგ. „აქ ხბორებს აძოვებდნენ. გაშლილი და შუში (მშვიდი) ადგილია“.

ოთიფური (სათიბი), ადგ. ოსინდალეს მიდამოებია.

1 ვ. ბარდაველიძე, „ძეგლის მეგობარი“, 1968, №16, გვ. 12.


გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკური ატლასი
თაიას
სასოფლო საბჭო
1980 წ.
მასშტაბი
1:10000
ძირითადი ნიშნები:
სასოფლო საბჭოს საზღვრები
მდინარეები
გზები
სასოფლო საბჭოს და უბნების ცენტრები

ოთხირონგ (თხილნარი), ადგ.

ოისირე (საისლო), ადგ. „ისლის პატარ-პატარა ნაკვეთები ყველა ოჯახს ჰქონდა წინათ“ (მიშა ფილიპეს ძე თოდუა, 67 წლისა).

ოისირე (საისლო), ადგ. ოსინდალეში.

ოკირეში (საკირე), ადგ. „აქ ჩვენს ძველებს კირი გამოუწვავთ. ახლაც არის აქ კირის ორმოები“ (ისიდორე ქუთარის ძე საჯაია, 85 წლისა).

ომენჯე, ადგ. ამ ადგილზე გამოდის მჟავე გემოს წყალი, რომელსაც საქონელი ძლიერ ეტანება“ (მ. შენგელია).

ონტყოლე (ოლონტყეში, ტალახში საგორაო), ადგ.

ოსკალე (საფუტკრე), „ადგ. „მის სამხრეთით, მზისგულ შეფენაზე, ოსინდალეში არის ფუტკრის ბუკების ადგილი, აქ ცაცხვნარია, იელის ბუჩქებია. მინდვრები სულ ყვავილებით იფარება“.

ოქირეში (საქორო), ადგ. დღეს ჩაის პლანტაციაა. „აქ სულ ქორები სცოდნია. მაღალ ხის კენწეროზე ჰქონიათ ბუდე. მათი შიშით ხალხი გარეთ წიწილებს ვერ უშვებდა. მაღალი ადგილია“.

ოღუმოლი (საღომო), ადგ. ოსინდალეს მიდამოებში.

ოყორანე (საყორნე), ადგ.

ოშაყარგ (თავშესაკრები), „ოსინდალეს ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით გაშლილ ველიანს ხალხი ოშაყარს ეძახის. აქ ჯარალუაზე იკრიბებოდა ხალხი“.

ოცინდალე, ოსინდალე (საკატო, სასიძო), მთა და სოფელი მთაში.

„ისე მიუვალი და მაღალი ადგილი იყო, რომ ხალხი იტყოდა, ცინდალს ვეკაართენია, – კატის კნუტი ვერ ავაო. ამიტომ ოცინდალე – საკატისკნუტო დაერქვა“; 2. „ოსინდალე, ჩვენი ძველები გადმოგვცემენ, რომ ჯანსაღი, მიუდგომი და მდიდარი სოფელი ყოფილა. ძველად აქ 100-150 კომლი თოდუები და სხვა გვარის ხალხი სახლებულა, დღეს მხოლოდ 5 კომლი დარჩა. მაშინ კი ამ სოფელში ახალგაზრდობის ტევა არ იყო. აქ სულ ვაჟები, ვაჟკაცები იბადებოდნენ. სასიძო ადგილი იყო. მეზობელი სოფლებიდან აქ მოჰყავდათ რძლები, აქაური სიძეები თავისი ვაჟკაცობით, კარგი ფიზიკური აღნაგობით, სიმდიდრით აფხაზეთშიც კი ყოფილან განთქმული. ამიტომ ამ სავაჟკაცო ადგილს სასიძოს – ოსინდალეს ეძახდა ხალხი. ოცინდალე მხოლოდ გვიანი და დაცინვითი გამონათქვამია“ (მ. თოდუა). ოცინდალე განთქმულია მევენახეობით. დღესაც შემორჩენილია შონურის, ჭვიტილურის, პანეშის, ჩერგვალის მაღლარი. სოფლის მრავალ ადგილას წმინდა და უხვი წყაროს თვალი ამოდის. სოფლის ირგვლივ, მთის ფერდობებზე, გაშლილი ველიანები საუკეთესო საძოვრებია. ამიტომ აქ ოჯახებს მრავლად ჰყავდათ ცხვრის ფარა. არის მეგრული უდუმო შავი ცხვარი, ამასთან, დუმიანი თეთრი, ქართული ცხვარიც. სოფელი ზღვის დონიდან 550 მეტრზე მდებარეობს. იგი მდიდარია ვაშლის, მსხლის და სხვა ხილის იშვიათი კორომებით. ყოველ ოჯახს წინათ 50-100 ბუკი სკა ჰყავდა. ამდენად, თაფლით და ცვილით იგი მთელს გარშემო მდებარე სოფლებს ამარაგებდა. აქ დღესაც ხდიან თაფლის არაყს, რომელიც არაყთა შორის ყველაზე მაღალი ხარისხისაა, სურნელოვანი და სასიამოვნო გემოსია. აქ დღემდე არის კოლხური რუხი ფუტკარი, რომლის ბაზაზე შემდეგ კოლხური ფუტკრის – მუხურის საჯიშე მეურნეობა შეიქმნა. როგორც ბელგიელი პროფესორი მ. გერიო წერს: „კოლხური ფუტკარი მსოფლიოში ყველაზე ძვირფასია“. ოსინდალე ისტორიულადაც ძალიან მდიდარი და თვალსაჩინო ადგილია. სოფელში, ნაჭკადურის მიდამოებში, ანტიკური ხანის საცხოვრისის საინტერესო დანაშრევების მდიდარი კულტურული ფენა ვიპოვეთ; 3. „გადმოცემით, ოცინდალეს ეკლესია სპეციალურად ჯვრისწერისათვის იყო აშენებული, რომ აქ ჯვარისწერის შემდეგ სიძე ვალდებული იყო, ერთ კვირას გაჩერებულიყო ეკლესიაში, შემდეგ ბარში ჩასულიყო. ამიტომაა იგი სასიძო – ოსინდალე. აქ უხსოვარ დროში მამაკაცის სასქესო ორგანოს გამოსახულება მდგარა, რომელზედაც ეწინდებოდა პატარძალი, დაიწინდებოდა, რის შემდეგაც ქორწინება კანონიერად ითვლებოდა. ამიტომ შეერქვაო ადგილს ოწინდაი (დასაწინდი). შემდეგ იგი ოცინდალეთი გადაკეთდაო, გვიამბობს სხვა გადმოცემა. ოსინდალეს კი მრავალი ვარიანტი აღიარებს, რადგან აქ სინდა-სინჯა-სიძე რჩებოდა ერთ კვირას“ (გ. ხუხუნი); 4. „გამიგონია, რომ მას ოწინდანესაც ეძახდნენ. ისეთი ლამაზი, ყოველმხრივ დაცული და პატიოსანი ადგილი ყოფილა ეს სოფელი, თანაც ეკლესიაც იმდენად სახელგანთქმული და მშვენიერი ყოფილა, რომ აქ წმინდანებიც კი ცხოვრობდნენ. მათს ნარჩევ საცხოვრისს შეადგენდა იგი. ამიტომ ხალხს ოწინდანე, ე. ი. საწმინდანე ადგილი შეურქმევიათ. ოსინდალეს ჯიხა თამარის დროისაა, თამარს როცა ამ კუთხეში უმოგზაურია, იმ ჯიხაში ჰქონია ბინა. ეკლესიაც იმ სულკურთხეულის აშენებულიაო, მიამბობდა ბაბუა“ (თეკლე ნაროუშვილი, 99 წლისა); 5. „გამიგონია, რომ აქ სულ ნარჩევი ვაჟკაცები იბადებოდნენ ხოლმე. ოჯახში ძეობა მეტი იყო, ვიდრე ასულობა. ქალიშვილების სინაკლების გამო, აქაურ ქალიშვილებს იქით არ უშვებდნენ, ხოლო აქაურ ნარჩევ სიძეებს (სინდა-სიძე) სხვა სოფლებიდან აქ მოჰყავდათ ქალიშვილები. აქაური ვაჟკაცები ძალიან მამაცები ყოფილან. ომშიც, ბურთაობაშიც, ცეკვა-თამაშშიც და სიმღერებშიც ბადალი არ ჰყოლიათ. ჩემი ქმრის ბაბუამ იცოდა: „არწივის მართვესავით ბიჭები იბადება ამ დალოცვილ ოსინდალეშიო“. სოფლის ერთ უბანსაც დღეს ოსინდალეს ეძახიან. ეკლესია წმინდა გიორგის ხატის სასვენი იყო. ძლიერ წმინდა და საღვთო ადგილი ყოფილა ეკლესიის მიდამოები. გამიგონია, აქ ძალიან ძველი დროიდან ყოფილა ხვამა. მღვდლები თოდუები იყვნენ. ეკლესიის ეზოში ჯიხა რომაა, ძველთაძველი ეკლესია ყოფილა. ეკლესიის პირდაპირ კვირკვალი რომაა, მას ხალხი ჯვეშ ნაოხვამუს ეძახის. თუმცა აქ ხვამას არავინ მოსწრებია. ჩვენს სოფელში დიდი დღესასწაული – ელიობა იცოდნენ. დღესასწაულზე ამ სოფლიდან წასული ყველა ოჯახი აქ მოდიოდა და აქ იხვამანდუ, – ლოცულობდა“ (ჭაჭუ აფშილავა, 86 წლისა); 6. „თაიაში 1882 წელს ოსინდალედან ჩამოუტანიათ წმინდა გიორგის ხატი და დაუარსებიათ ეკლესია. მასთან ერთად, აქ ორკლასიანი სკოლა გაუხსნიათ. ამ დროიდან დაარსდა აქ რელიგიური დღესასწაული „გიორგობა“, რომელსაც ძველები შემდეგაც დღესასწაულობდნენ. ამ დღესასწაულთან დაკავშირებით ეწყობოდა „ჯარალუა“, იმართებოდა ჯირითი, ცეკვა, თამაში, ცხენბურთი და ლელო ბურთი“ (გ. შენგელია).

ოხაჩქუეში (სათოხნი), ადგ. „აქ მიწას თოხით ამუშავებდნენ, – ხაჩქუნდეს“.

ოხვამე (ეკლესია), ეკლესია ოსინდალეს გადასახედთან.

ოხვამეკარი, ეკლესიის კარი. „მოედანი, ეკლესიის წინ, ოშაყარ ადგილი“.

ოხონალი (სახნავი), ადგ.

ოხოჯე (სახარე), ადგ. „წინათ ჩვენთან გაშლილ ჭალებს და მთის ფერდობებს ხარით ამუშავებდნენ, ხოლო მთის ციცაბო ფერდობებს და მთის მცირე ველიანებს – თოხით. გაშლილ ჭალებს და ველიანებს ოხონალს, ოხოჯეს ეძახდნენ, ხოლო თოხით დასამუშავებელ ადგილებს – საბერგოს, ობერგულს“.

ოჯარე (საჯარო), ადგ. „აქ ჯარალუაზე იკრიბებოდა ხალხი და ცეკვითა და თამაშით ირთობდა თავს“.

პაპაში სუკი (მღვდლის სერი), სერი. ადგ.

როდინი (საროდინო), ადგ. „აქ სილქვის ფილებს იღებდნენ და როდინის ქვებს ამუშავებდნენ თურმე ქორთუები“.

როკონა (როკნარი), ადგ.

საჯაგო, ადგ.

ტაბაკონა (ტაბაკივით სწორი), ადგ. „სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მთაში“.

ტეგი (ტყე), ადგ.

ტეგღალ (ტყე ღელე), ღელე. დღეს ჩამშრალია.

უტუში ნაჭკადუ (უტუს ნასამჭედლარი), ადგ.

უხაფუ (ხბოების და უშობლების საძოვარი), ადგ.

ფუთქურონი (ხავსნარი), ადგ. „სადაც ადგილები, ქვები და კლდეები დაფარულია სქელი, თივთიკივით რბილი და ხასხასა მწვანე ხავსით, ხეებიც კი ამ ხავსითაა დაფარული“.

ქვაბიში (გამოქვაბული), ადგ. „კარსტული მღვიმეა კირქვისა და მერგელის ფენაში, შიგ არავის უვლია. ამბობენ მრავალი ასეთი ქვაბიაო აქ“.

ქუა ტაბაცა (ქვა გადასუფთავებული), ადგ.

ქუჩუში ნაწუდუ (ქუჩუს ნასახლარი), ადგ.

შიქშა, კარსტული მღვიმეა.

შქერონა (შქერნარი), ადგ. ოსინდალეს მთის შეფენაზე.

ცაცხვნარი (ცაცხვის ტყე), ტყე. სულ ცაცხვისა და წიფლის, წაბლისა და თელის იშვიათი კორომებითაა შემოსილი.

ცეკაში, ადგ. „აქ ცეკებს ღობავდნენ, სულ თხილის ჩირგვები იყო და აქვე ხსნიდნენ თხილის ტკეჩებს, საგირგატო ლარტყეებსაც აქვე ამზადებდნენ ცეკების თავგადასაღობად. ცეკა ოთხკუთხა, ხშირად ძირამოღებული ღობურია, ურმების ფარდებად, თხების, ბატების და სხვა წვრილფეხების დასამწყვდევად, სატარებლად ან ხილისა და ყურძნის გადასატანად, გადასატვირთავად. აქვე ამზადებდნენ გიდელებს – ყურძნის საკრეფ ინვენტარს“.

წიდა, ადგილი მთის ფერდობზე, სოფლის ჩრდილოეთით. იგი საინტერესო კულტურული ფენის შემცველია.

წიფონა (წიფლნარი), ადგ. 1. წინათ სულ წიფლის ტყე ყოფილა, წიფლის მრავალასეულწლიანი კორომებით. 30-იან წლებში აუყრიათ, გაუჩეხიათ“ (ს. ფიჩხაია); 2. „წიფონა ამ ადგილს იმიტომ დაერქვა, რომ აქ წინათ გაუვალი ტყე და ჯაგნარი ყოფილა ეკალ-ბარდნარით, სადაც ბლომად ყოფილა ტურები და მათი კივილის – წიფინის გამო დარქმევია ასე: – ტყეში კიოდნენო – აშაწიფანდესია“ (გ. შენგელია).

წიფურია (წიფლნარი), ადგ.

ჭყონა (მუხნარი), ადგ. შქერონას ზემოთ სულ მუხნარია. დღესაც დაცულია ათასწლოვანი მუხის კორომები.

ხაბაერი, ადგ. „ხაბა პურის სახეობა ყოფილა. ხაბა ხორბლის პური საუკეთესო იყო. აქ ალერტობის დღესასწაული იცოდნენ გაზაფხულსა და შემოდგომაზე“ (ს. ფიჩხაია).

ხაფილი (მოგებული ძროხის საძოვარი), ადგ.

ხაშაჭალე (ხაშა ჭალა), ჭალა.

ხაშა, ადგ. „ხა – ქვაა, ხაშა, ე. ი. ქვამდე დასული, ჩარეცხილია“.

ხაშა, ღელე. „უერთდება შიშა ღელეს, სათავეს იღებს ოსინდალეში“.

ხურუ, მდინარე.

ჯვეში სკურია, ღელე და ადგილია.


გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკური ატლასი
კირცხის
სახოფლო საბჭო
1980 წ.
ძირითადი ნიშნები
სახოფლო საბჭოს საზღვრები
მდინარეები
გზები
სახოფლო საბჭოს ცენტრი და უბნის ცენტრები
მასშტაბი:
1:25 000

კირცხი

სოფელი რაიონის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. სამხრეთ-დასავლეთით საზღვრავს ხობის რაიონი, აღმოსავლეთით – ლესიჭინის და ქვედა ჩხოროწყუს სასოფლო საბჭოები. საზღვარი, ძირითადად, მდ. ხობისწყალზე გადის. ჩრდილოეთით – ლეწურწუმეს სას. საბჭოა, ხოლო დასავლეთით – მდ. ჭანწყარი (წენწყარი) და ზუგდიდის რაიონი. იგი სამ უბნად იყოფა: სარაქონი, ნაშელუ და ჩამითი. კირცხის ცენტრში, კურკუზაზე (უთუთის ფერდი); არის გვიანი ბრინჯაოს საცხოვრისეული კულტურული ფენა. თვითონ კურკუზა ყორღანული ტიპის სამარხად და შემდგომი ხანის გვიან გორა-საცხოვრისად შეიძლება ვივარაუდოთ. მის სამხრეთ კალთაზე კონდრატე თათარაშვილის მიერ აგებული სკოლის შენობა დგას, სადაც თვით კონდრატეს უმოღვაწია მასწავლებლად. ნაოხვამუც მაღალი გორაკია. დღეს აქ ძველი ხის ეკლესიის კლუბად გადაკეთებული ნაგებობა დგას. სოფელი მდიდარია ვაზით და ხილით. განსაკუთრებით კარგად ხარობს მანდარინი და ლიმონი. ეწერ ნიადაგებზე, მდინარისპირა ველებსა და ფერდობებზე ჩაის პლანტაციები და სიმინდის ყანებია. სოფელში არის მეცხოველეობის დიდი კომპლექსი. ნაშელუში დღესაც შემორჩენილია აბანოს ნაშალი და უტუს ოკათურეში. აქვე არის უძველესი ციხის ნანგრევიც. სოფელში 636 კომლია, 2360 კაცით.

ბიტუში წყურგილი (ბიტუს წყაროს წყალი), წყაროს თვალი „აქ ბიტუ ზაქარაიას ნასახლარი ყოფილა“.

გაბარი (მაღალი სერი), ადგ.

გაბნოხორიი (გაბის ნასახლარი), ადგილი. „გაბი ჯალაღონიას ნასახლარი“.

გინძეცვანა (გრძელი ყანა), ადგ.

გოშუაში წისქვილი (გოშუას წისქვილი), „ხობწყალზეა წისქვილი. იგი გოშუებს აუგიათ“.

გურნოხორიი, გულნასახლარი, ადგ. 1. „გურიელი ნასახლება აქ მრავალრიცხოვანი ოჯახით, ამიტომ ადგილს გურიეიში ნოხორიი შეერქვა; 2. ამ მიდამოების ცენტრალური ადგილი ყოფილა, სადაც გულდასახლება, დასახლებული გული ადგილი, ცენტრი, შქადიხა, გური იყო, ამიტომ გურნოხორიის ეძახიან“.

დოგერა (დობილო), ადგ.

დოგერა, ადგ. „სულ ვაზნარი ადგილი ყოფილა“ (კოლია დუტუს ძე ჯინჯოლავა, 70 წლისა).

ენწერი (ეწერი), ადგ.

თხომურონი (თხმელნარი), უბანი. „სულ თხმელნარი ადგილი ყოფილა წინათ“ (ნ. ვეკუა).

კვირტიაში დუქანი (კვირტიას დუქანი), ადგილი. „აქ უძველესი დუქანი ყოფილა ვინმე ვაჭარ კვირტიასი, რომელიც სოფლის ვაჭარი, ძლიერ ქველმოქმედი კაცი ყოფილა. მას სოფლისათვის ბევრი რამ გაუკეთებია თურმე“ (აკ. ჯინჯოლავა).

კირცხი, ს/ს. 1. „ნაკირცხუა. ჭალა რომაა ახლა სასოფლო საბჭოს ქვემოთ, იქ ძველი გზა სულ მოკირცხლული იყო ქვით, მოკენჭილი და შოსე გზა, ძველი გზა გადიოდა, შქა სამარგალოში შარა“ (აკ. ჯინჯოლავა); 2. „კირცხი ნიშნავს სეტყვას. ოდესღაც ამ მიდამოებში მწყემსს კირცხმა, ე. ი. სეტყვამ ჯოგი გაუნადგურა და აქედან დაერქვა ამ ადგილს კირცხი“ (იპოლიტე ლევანის ძე ბერულავა, ჩაწერილი გ. ხუხუნის მიერ); 3. „კირცხი-კირჩხი ნიშნავს კირქვის ნამცეცს, რითაც აქ ნიადაგი მოფენილია, წვიმიან ამინდში კირქვა იფშვნება. ასეთი ნიადაგის გამო ადგილს კირჩხი ან კირცხი ეწოდა, – კირჩხი – კირნამცეცი. არის ლეგენდა: დადიას ჰყავდა ყმა კიპია ფაქვა, იგი დაყვებოდა დადიას. დადიას უკითხავს, რა ვუწოდოთ ამ ადგილსო? კიპიას უპასუხნია: კირჩხიო, ამის შემდეგ ასე უწოდებენ ადგილს, რადგან ადგილი კირჩხიანი – კირ-ჩხოლა იყო“ (მ. კვირტია; გ. ხუხუნის მიერ ჩაწერილი).

კლასკარი (სკოლის კარი), „აქ „უიარაღოს“ – კონდრატე თათარაშვილს შეუქმნია სოფლის ერთკლასიანი სასწავლებელი, აუგია ეს ქვითკირის შენობა და უსწავლებია თვითონ. ძლიერ უყვარდათ და აფასებდნენ ჩვენი მოხუცები. ოქროპირი იყო ჩვენი კონდრატე, პერანგს გაიხდიდა და სკოლას და სოფლის გაჭირვებულ ხალხს ახმარდაო. 1976 წელს მის ქვემოთ, კურკუზას ჩავაკებაზე ააგეს სკოლის ეს ახალი შენობა. მაგრამ სოფელს გადაწყვეტილი აქვს, ქვითკირის ის ძველი შენობა შეინარჩუნოს სოფლის ისტორიულ ღირსშესანიშნაობად. მასწავლებელმა ვალია ბეჭვაიამ აქ შექმნა თავისი სასკოლო მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. სკოლის დირექციას გადაწყვეტილი აქვს ეს შენობა კაპიტალურად შეარემონტოს და იქ გამართოს ამ მუზეუმის სტაციონარული ექსპოზიცია, რაც სოფლის ისტორიას გადმოსცემს, ნივთიერი მასალებით დამოწმებულს, უძველესი დროიდან ჩვენს დიდებულ სოციალისტურ სინამდვილემდე“ (ნოდარ იონას ძე ვეკუა, 58 წლისა).

კლასი კარი (სკოლის კარი), ადგ. „სკოლის უძველესი შენობა მდგარა და მის წინ დიდი მოედანი ყოფილა, სადაც ცეკვა-თამაშიც იმართებოდა“.

კოზმა-წყურგილე (კოზმას წყაროს წყალი), „კოზმავების წყარო სარაქონში. კოზმავა გვარია“.

კოკნოხორიი (კოკის ნასახლარი), ადგ. „კოკი გოშუას სამურზაყანოში მოუკლავს მარღანია და აქ გამოქცეულა. ამ ადგილებში დასახლებულა, აქ შეუქმნია თავისი დიდი თი – ოჯახი. ამ ადგილებს კოკიშთის, კოკისთისაც ეძახიან“ (ი. საბეკია).

კოჩანაჭყვიდა (კაცი ამონაწყვეტი), ადგ. „აქ ხალხი ამომწყდარა ჭირით და უბედურებით.

კოჩგენაცვია (კაცდანაკლავი), ადგ. „აქ 1905 წელს, რევოლუციის დროს, მეფის კაზაკებმა რევოლუციონერი დიმიტრი გეთია მოკლეს“.

კურკუზა (გუძუბა), ადგ. მაღალი ბორცვია. მის მიდამოებში ენეოლითური კულტურული ფენის შესანიშნავი კვალია ჩვენს მიერ მიკვლეული.

კურკუცა (მიწაზურგა), ადგ.

კურკუცია, მიწაზურგა, ადგ. „უძველესი სალოცავი ყოფილა, დღეს უკაცრიელია“.

ლანჯონი (კოპიტნარი), ადგ. „ვაკე ადგილია, ოდესღაც ტყე ყოფილა. დღეს ხალხი ცხოვრობს“. კოპიტი მეგრულად ლანჯია.

ლეჟერი, ადგ.

ლეტეში (ტალახიანი), ადგ. „მთელი უბანია“ (ნოდარ იონას ძე ვეკუა, 58 წლისა).

მაჭარა, „მაჭარისაც ეძახიან“, ადგ.

მენჯი (მენჯირე – გაღმა მარილი, ფერდობის მარილი), ადგ. „აქ მარილიანი წყალი ამოდიოდა და საქონელს ძლიერ უყვარდა მისი დალევა, აქ ძოვა“.

მენჯიში დუდი (მენჯის თავი), ადგ.

მიკორთელი (მოხვეული), ადგ.

ნაგინეხუ (ნავენახარი), ადგ. „უძველესი ნავენახარია, ხარდანის ვენახი ყოფილა“.

ნაგჟალ (ნამზევარი), ადგ. „აქ უძველესი ნაოხვამუ ყოფილა მზის ღვთაების. ბჟაღორონთს სცემდა ხალხი თაყვანს. აქვე ყოფილა ობჟალე ვაზი, შონურის მსგავსი, მაღლარზე. აქ სახლებულან ბჟალავები“ (ა. ჯინჯოლავა).

ნაკაზარმუ (ნაკაზარმალი), ადგ. „უძველესი საპარკოა. კერძო ვაჭარს ჰქონია საპარკო“.

ნაკათუ (ნაერთი), ადგ.

ნაკაკა, ადგ. ვაკე ადგილია. 1. „მდინარე ხობისწყლის ნაპირას მდებარეობს. ნაკაკა ღომისღომის ნაცეხვარი ადგილია. აქ ოჩამურე ჰქონია პატონსქუას და ყმები მის ღომს ცეხვავდნენ“ (ი. ბერულავა, გ. ხუხუნი); 2. ნაკაკა ნაკაფია. აქ დიდი ტყე ყოფილა. იგი გაუკაფიათ და ხალხი დასახლებულა“ (მ. კვირტია, გ. ხუხუნი).

ნაკამცელარუ (ყოფილი კანცელარიის ადგილი), ადგ. „აქ პირველი კოლმეურნეობის კანცელარია მდგარა, სამთვალიანი ხის სახლი“.

ნაკარუ (ნაკარვალი), ადგ.

ნანდუ, ადგ. „ქაჯებისა და ეშმაკთა საბუდარი ყოფილა“.

ნაოსხაპუ (საცეკვაო), ადგ. „უძველესი თავშეყრისა და გართობის ადგილი“.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ადგ. „უძველესი საოხვამურო ადგილია. აქ ოშაყარუც იყო, ჯარალუაც იცოდნენ. ცაცხვია ათასწლოვანი და მის ძირას იკრიბებოდა ხალხი. ამ ცაცხვთან გადაცემაც (გინოჩამაც) კი ხდებოდა“.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი), სასაფლაო, საკულტო ადგილი. „ღვთისმშობლის ეკლესია მდგარა. დღეს სასაფლაოა“.

ნაოხვამუ, ძველი სალოცავი, ადგ. „უძველესი ნაოხვამუა აქ. ქვის სამლოცველო მდგარა უძველეს დროს. ამ სამლოცველოს ქვეშ ოცდახუთ სტუმარ ქალს გაუვლია და გაწყვეტილა სულ, ამიტომ „ოსურ ოხვამესაც“ ეძახიან. ძველებისაგან გამიგონია: „ოსური ოჯახიში ოსხირირენია – ქალი ოჯახის საძირკველიაო, რომელზედაც სახლია დაშენებული. ამიტომ ოსხირი ოსურად გადაკეთდა და ქალის აღმნიშვნელი ტერმინი გამხდარა“ (ი. საბეკია).

ნაფაცუ, ადგ.

ნაფაცხუ (ნაფაცხარი), ადგ. უძველესი ნაფაცხარია. თავადებს აქ ფაცხა ჰქონიათ, ამ სერზე დროის გასატარებლად“.

ნაფოშტუ (ნაფოსტარი), ადგ. „უძველესი ფოსტა იყო გზისპირას, ამ გზის ცენტრში, აქ ცხენებს ასვენებდნენ. თვითონაც ისვენებდნენ, აქ მოჰქონდათ ფოსტა და აქედან ანაწილებდნენ თურმე შემდეგ“ (ნ. ვეკუა).

ნაშელუ, შელიების (გვარია) უბანი.

ნაშენუ (განაშენებული), ადგ. „სულ ვაზნარი და ხეხილიანი დობერა ყოფილა. ერთ-ერთი უბანია სოფლისა“ (ნ. ვეკუა).

ნაძაერი (ნაძალარი), ადგ. „იგი ძალით წაურთმევიათ ყმისათვის. აუყრიათ და გაუსახლებიათ თვითონ ყმა. ხალხი სიძულვილით ამ ადგილს ნაძაერს და ნაჭყუას, ნაწყევლარს ეძახის“.

ნაჭკიდუ (ნამჭადარი), ადგ.

ნახარდანუ (ნახარდნარი), ადგ. „აქ მაღალ ხეებზე დადიას მიშვებული ჰქონია ოჯალეშის მაღლარი. მაშინ არ ყოფილა დაბალი, სულ მაღლარი ვენახი იყო თურმე. აქ გავრცელებული ყოფილა: ხარდანი – შავიც და თეთრიც, ჭვიტილური, ოჯალეში, შონური, ჩეჭიფეში, ხოჯიში თოლი, პანეში, ჩერგვალი, დადიაშური, მორცხული. იგი ტყიური ვაზია; თეთრი, წოწოლა ყურძენი იცის, ტყეში ხეებზეა გაშლილი. კარგი მსხომიარობა იცის. მეც მოვსწრებივარ; მის საკრეფად ტყეში დავდიოდით. ამიტომ ვეძახდით

მორცხვს. მას დაბურულ ტყეში უყვარს ხეებზე გაშლა. ღვინო კარგი დგებოდა. ამ ათეული წლის წინათ იგი კიდევ შემხვდა ტყეში; თუ სადმე ვნახე, ვიპოვი და მოგართმევთ, მაგრამ მას ძალიან დაბურული ტყიანი უყვარს. ვიტყოდით „ძღაბცალი მორცხვირე“ – ქალიშვილივით მორცხვია. თეთრია, უხვად ისხამს. ერთი კვირტიდან 7-8 მტევანი იზრდება, ოღონდ წვრილმარცვლიანია. ჩემს მეძობლობაში (ჩვენ მეზობელს მეძობელს ვეძახით) იგი ცნობილი იყო ძველ დროში“ (ი. საბეკია).

ნაჯიხუ (ნაციხარი), ადგ. სარაქონის უბანში ნანგრევებია მხოლოდ შემორჩენილი.

ნაჯოლოგუ, ჯოლოგუების (გვარია) ნასახლარი, ადგ.

ნეიწყარი (ნელწყალი), წყაროს წყალია. „ძალიან მსუბუქი და სუფთა წყალი“.

ოგუჯი-ოგურჯი (საბრძოლო), სოფელი.

ოკარკალაია (მორაკრაკე), მდინარე. წმინდა წყაროს თვალი.

ოღუმოლი (ღომის სათესია), ადგ.

ოყანჩე (საყანჩაო), ადგ.

ოყარყალე (ბაყაყების საყიყინო), ადგ. „ჭაობიანი და ლექიანი. დღეს დამშრალია და ყანაა“.

ოჩიტოლი (საჩიტაო), ჩიტაიას (გვარია) უბანი.

ოწყურგილე (საწყაროსთვალო), ადგ. „წყაროს თვალი ყოფილა. დღეს ამომშრალია“.

ოხარჩალაია (სარაკრაკო), წყაროს წყალია კირცხის ცენტრში.

ოხვამე (ეკლესია), ადგ. დღესაც დგას ხის უძველესი ეკლესია. ეკლესიის მიდამოებში შემორჩენილია უძველესი ნანგრევების ნაშთები და ჩამორღვეულ ფლატეზე შეინიშნება ანტიკური ხანის კულტურული ფენის კვალი.

ოხოჯე ღალი (სახარე ღელე), სათავეს იღებს სარაქონის ტერიტორიაზე და სოფელ ხიბულას საზღვარზე ჭანისწყალს უერთდება. „ამ ღელეში იცის დიდი კიბოები. მას ხოჯკიბოს ეძახიან. ამიტომ ღელეს „ოხოჯეღალი“ შერქმევია“ (გ. ხუხუნი).

ოჯარე (საჯარო), ადგ. „აქ ხალხი იკრიბებოდა ჯარობაზე, შაყარუაზე და ერთობოდა ცეკვა-თამაშით, მარულათი და ლელობურთით. აქვე უტუს ურდუმიც მდგარა. თავისი ურდუმის შაყარუა-შეკრება აქ დაუთქვამს მას“ (აკაკი ჯინჯოლავა).

როკონა (როკნარი), ადგ. „ტყე ყოფილა წაბლისა და მუხის. გაუჩეხიათ და როკები დარჩენილა. აქ უძველესი ნამოსახლარიაო, ამბობდნენ ჩვენი ძველები. დღესაც მიწიდან ხვნის დროს ქვევრების და ქოთნების ნამტვრევები ცვივა“.

საადონიო, ადონიების (გვარია) ნასახლარი. უბანი.

საბეგარო (საბეგარო), ადგ. „წინათ ყმები აქ იხდიდნენ ბატონის ბეგარას, დიდ ქვევრებში ინახავდნენ საბეგარო ღვინოს. ამიტომ მას საბეგარო შერჩა იმ დროიდან სახელად“ (ნ. ვეკუა).

სადადიო საგეთიო (დადიანების საგეთიო), უბანი. „გეთიები სახლობდნენ. ისინი დადიების კაცები ყოფილან“.

საზაქარაიო, ზაქარაიების (გვარია) უბანი.

საიზორიო, იზორიების (გვარია) უბანი.

საიზორიო, იზორიების (გვარია) უბანი.

საკვირტიო, კვირტიების (გვარია) უბანი.

საკოზმა ჭალე (კოზმავების ჭალა), ადგ. „წინათ იგი კოზმავების (გვარია) კუთვნილი ყოფილა“.

საკოზმაო, კოზმავების უბანი. „აქ სულ კოზმავები სახლებულან წინათ. კოზმავა გვარია. ჩვენ მას კოზმას ვეძახდით. გვატი კოზმია, ან მოკლედ – გვატი კოზმა, ვიტყოდით“.

სალაგვიო, ლაგვილავების (გვარია) უბანი.

სალათათიო, თათიების (გვარია) ნასახლარი, ადგ. ამბობენ, უთუთის მემკვიდრეები არიანო“ (აკ. ჯინჯოლავა).

სამალანიო. მალანიების (გვარია) უბანი.

სანარსიო, ნარსიების (გვარია) უბანი.

სარაქონი (სარას განი), სოფ. 1. „გადმოცემით, სარა ჩიტაიას უბანი, მისი განი. მისი განია – სარაშგანი – სარაქონი, – ასე იტყოდნენ ძველები. აქ სულ სარას მემკვიდრეები, სულ ჩიტაიები სახლებულან. სარა ყველაზე გამორჩეული კაცი ყოფილა. ეს მაღალი ადგილია. მას უძველესი დროიდან წმინდა ადგილად თვლიან ჩიტაიები, ჩიტაიების ძირის, ფუძის ხატის ადგილად. მოლაშქრეს აქ არ შეეძლო შესვლა, ვერც შესულა, ისეთი გამაგრებული უბანი ყოფილა. ამის იქით, დასავლეთით არის ჯაღრა-ჯაქოქა. ჯაქოქათი-ჯაქოქებისთი – ჯაქოქების ოჯახი. მის დასავლეთით არის ობუჯი, ობურჯი ადგილი – საომარი, საბრძოლო ადგილი, სალიმო ადგილი, საომარი ადგილი. იქით წალენჯიხა ჭან-ჯიხა-ჭანების ციხე“ (ივანე პავლეს ძე საბეკია, 80 წლისა); 2. „სარა კაცის სახელია, ქონი ქონებაა, ე. ი. სარას ქონება, სარას საკუთარი კარ-მიდამო, მამული (იპ. ბერულავა); 3. სირი ჩიტს ჰქვია, ქონი ბევრს, ე. ი. ბევრი ჩიტი. სარაქონი, ე. ი. ოჩიტალე, სადაც უამრავი ჩიტია. შემდეგ მეტყველებაში სირი სარად შეიცვალა. ასე შეერქვა სოფელს“ (მამანტი კვირტია); 4. „არა სარაქონი, არამედ სალაქონია. აქ ნიადაგი სალაქონია, ოღროჩოღროა. ამიტომ შეერქვა ადგილს ასე“ (ლამარა პაპასკირი, გედეონ ხუხუნი).

სასაბეკიო, საბეკიების (გვარია) უბანია. „აქ საბეკიები სახლებულან. გადმოცემით, ეს გაშლილი ველი მაშინ ცხენების სადგომი, მათი ქართა – საბეკი ყოფილა. საბეკი განსაკუთრებით ცხენების სადგომია. მათ გაშლილ ადგილზე ბეკვა, ხტუნვა უყვართ. საბეკიები სამურზაყანოდან მოსულან აქ. ჩვენი ძირის ხატი იქ იყო“. (ი. საბეკია).

სასტეფანიო, სტეფანიების (გვარია) უბანი. „სტეფანიები ცხოვრობდნენ წინათ“.

საფარულო, ფარულავების (გვარია) უბანი.

საშულაიო, შულაიების (გვარია) უბანი.

სახეციო, ხეციების (გვარია) უბანი. „აქ კიტ ხეციამ იხსნა თავადისაგან პირველად თავი და თავის ოჯახით წავიდა აქედან“.

საჯალაღონიო, ჯალაღანიების (გვარია) უბანი.

ტეგი (ტყე), ადგ. „წინათ ტყე ყოფილა, გაუვალი ტყე“.

ტეგი, ადგ. „აქ წიფლის მაღალი ტყიანი ყოფილა. წიფლის წვეროებზე ყანჩებს ჰქონიათ ბუდეები“ (აკ. ჯინჯოლავა).

უთუთი (უთუშითი), ადგ. „მაღალი ადგილია. აქ უთუ გოშუას დიდი ოჯახი სახლებულა“ (ე. ბეჭვაია).

უთუთიში ფერდი (უთუთის ფერდობი), ადგ. „აქ უთუთი გოთუას ჰქონია ციხე. ახლა მისი ნანგრევია შემორჩენილი“ (ი. ჯინჯოლავა).

უჩატობა (შავი ტბა), ადგ.

უჩატობა (შავი ტბა), ადგ. ლეტეშის ტერიტორიაზე.

უჩაღალ (შავღელე), ღელე.

უჩაღალჭალე (შავი ღელეს ჭალა), ჭალა.

ფალაზონი, ფალორზენი, სულ ველობი, ადგ. 1. „ფალაზონი, ე. ი. ფოთლოვანი. ფალონი ნიშნავს ფოთლოვანს, ფოთლოვან ტყიანს“ (მამანტი კვირტია); 2. „ფალორზენი მარტო ველობია სულ. ამიტომ ჰქვია ადგილს ეს სახელი“ (ე. საბეკია).

ფეხვეშ ნოხორიი (ფეხვეს ნასახლარი), ადგ. „ფეხვე საბეკიას მეუღლე ყოფილა ძლიერ მაღალი და ვაჟკაცი ქალი. მისი შიშით ყაჩაღებიც კი ვერ ბედავდნენ ამ ადგილების აოხრებას თურმე. მას ორი ქალიშვილი ჰყოლია. ერთი აბაშელ ხოშტარიას უთხოვია, მეორე ლოგუას გაყოლია“.

ქვაბი (გამოქვაბული), კარსტული გამოქვაბული. „ამბობდნენ, ქაჯები ზიან შიგო. მე შესული ვარ შიგ. სანთელი მიმქონდა. ასი მეტრის იქით სანთელი ჩამიქრა და უკან გამოვბრუნდი. აქ ნახეს კერია, ნახშირი, ქვის იარაღები და ქოთნის ნამტვრევები“ (ი. საბეკია).

ქვაბღალი (გამოქვაბულის ღელე), ღელე. „ქუამ ღალია, დიდრონი ქვებითაა მისი ფსკერი მოფენილი“.

შაურკარი, ადგ. „მაღალი ბორცვია, ზედ დიდი წიფელი მდგარა. წესად იყო, სტუმრად მოსული გგმოჭყუდურეფი – სხვაგან გათხოვილი ქალები აქ, ამ სალოცავზე შაურიანებს წირავდნენ. ამ ფულს არავინ აკარებდა ხელს. იგი შესაწირავი იყო და მისი აღება ვაშინერდუ – მას ტაბუ ედო“ (აკ. ჯინჯოლავა).

შოთაში წყურგილე (შოთას წყარო), „შოთა გოშუას წყარო“.

ჩაიში სუკი (ჩაის სერი), ადგ.

ჩამათი (ჩამას თი, ჩამას ოჯახი), უბანი. „1. ზაქარაიების ერთ-ერთ ოჯახს სათავეში ედგა დიდპაპა ჩამა, რომელსაც ძლიერი თი – ოჯახი ჰქონია. მისი ოჯახი ისე მრავალრიცხოვანი ყოფილა, რომ ჩამა მხოლოდ მელოგინეთა მიხედვით ითვლიდა ოჯახის შემადგენლობასო, გამიგონია მოხუცებისაგან“ (ი. საბეკია); 2. „ადგილს ჩამაჩისაც ეტყვიან. აქ ჩამაჩის ოჯახი ჰქონია. მის სახელზე ადგილისათვის ჩამათი უწოდებიათ“ (გ. ხუხუნი).

ჩეღალ (თეთრი ღელე), ღელე. „მისი ფსკერი თეთრი ქვებითაა მოფენილი, ამიტომ მას თეთრღელეს უწოდებენ“.

ძალგური, ძამგური (ძლიერი გული), ადგ.

წისქვილი (წისქვილი), ადგ.

წიფურონა (წიფლნარი), ადგ.

წიფურონი (წიფლნარი), ადგ.

ჭადარჯინჯი (ჭადრის ძირი), ადგ. „უძველესი ოშაყარ ადგილი, ნაოსხაპუ, შესაკრები, გასართობი, საჯარო ადგილი. აქ უძველესი ჭადარი მდგარა, ჩემს ბავშვობაშიც იყო ეს ხე“ (აკ. ჯინჯოლავა).

ჭალე, ჭალა. „ძლიერ ნაყოფიერი ჭალა. მისი ქვიშა გააქვთ ნიადაგის გასანოყიერებლად. მით მოქვიშული ნიადაგი 10-15 წელიწადს ძლიერ უხვ მოსავალს იძლევა“ (აკ. ჯინჯოლავა).

ჭანეწერი (ჭანეწერი), ადგ. დღეს პლანტაციაა. გვერდით ჩამოუდის მდინარე ჭანწყალი.

ჭანწყარი (ჭანწყალი), მდინარე.

ხაპიაში წისქვილი (ხაპიას წისქვილი), ადგ.

ხობწყარი (ხობწყალი), მდინარე. „არის გადმოცემა, რომ უხსოვარ დროში, სამხრეთ საქართველოდან, ლაზეთიდან, ხოფიდან გადმოსახლებულან ხოფელები და დასახლებულან ამ მდინარის პირას. ამიტომ დაერქვა მდინარეს ხობისწყალი“ (გ. ხუხუნი).

ხობწყარპიჯი (ხობისწყლისპირის ჭალა).

ხოჯარა ღელე, ღელე.

ჯაღრა – ჯაქოქა, ჯაქოქათი. სოფელი (ხეღრუ-ჯაქოქა), დიდპაპა ყოფილა ჯაქოქა, რომელსაც თავისი თი ჰქონია“.

ჯაღრაღალ (ფუღურო, ღრუ ხე) ღელე, ადგ.

ლესიჭინე

სოფელი მდებარეობს რაიონის სამხრეთ-დასავლეთით, მდინარეების – ხობისწყლის, ოჩხამურის, ზანისა და ცივის ხეობათა გაშლილ ველიანში, რომელიც ამ მდინარეთა ქვიშითაა დაფარული. წითელმიწა ალევიური ნიადაგი ძლიერ ნოყიერია. ბევრია ოჩე და ხორგონა ადგილები. ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო სოფელი ოდითგანვე ცნობილია სიმინდის, ღომის, ჭადისჭადის უხვი მოსავლით, ვაზისა და ხილის წალკოტებით. ვაზი ოდითგანვე მიშვებული იყო ხურმისა და ვაშლის მაღალ ხეებზე. მდინარეთა ხეობები და სოფლის განაპირა ადგილები ამ ვაზნარის დობერებით იყო მოფენილი, დღეს კი გაჩეხილია და სოფლის ტერიტორიის მთელი 2/3 ნაწილი ჩაის პლანტაციებს უჭირავს. მრავალ ადგილას ამოჩქეფს წმინდა და ანკარა წყაროები. სოფელს სამხრეთით ესაზღვრება ცხაკაიას რაიონი, სამხრეთ-დასავლეთით – ხობის რაიონი, დასავლეთით – ხობწყარი, ჩრდილოეთით – ქვედა ჩხოროწყუს და ახუთის სასოფლო საბჭოები და აღმოსავლეთით – ცხაკაიას რაიონი. 1930 წელს აქ საფუძველი ჩაეყარა ჩაის საბჭოთა მეურნეობას. სოფელში 1065 კომლია, 4400 მცხოვრებით.

აბანო, ადგ. „აქ დღესაც არის შემორჩენილი ციხის კედლები. აქ უტუ მიქავას ლაშქარს გამოუვლია და ურდუმის შაყარუა ჰქონია. ერთ კვირას მდგარა მისი ურდუმი, რომელსაც შეერთებია ხობიდან ჩამოსული ყმა გლეხთა რაზმები. აქ უტუს უქადაგნია კიდეც. დადიანებს აბანო ჰქონიათ მოწყობილი; წყარო თურმე ჯიხის ქვაბში თბებოდა და შემდეგ თიხის მილებით მოდიოდა საბანაო ოთახებისაკენ. დღეს მისი ნანგრევია აქ შემორჩენილი. აქ ცივი წყლის აბანოებიც იყო, რაც ძალიან მარგებლად ითვლებოდა, მალარიით დაავადებულების განსაკურნავად“ (ალექსანდრე ბაგრატის ძე ხორავა, 58 წლისა).

ბაბკოთი, ადგ. „ბაბკოჩის გამონაყოფი ადგილია“ (კ. სიჭინავა).

ბაბუესქუალეფიში კუნთხუ, ე. ი. დინო ბაბუეშვილებისა. ბაბუაშვილებისა, იქნებ ბაბალეშვილებისა. „აქ სიჭინავეების ამ ერთი ტოტის, დინოს სამოსახლო კუთხეა. სიჭინავები იყოფა დინოებად. წაკუთურეფი, ბაბკოთურეფი, ხახუათურეფი, გოგელათურეფი, მირდათურეფი, გერიათურეფი, ძაღიათურეფი, გურიშიათური, ლაკვიშათურეფი, ჯაჯელათურეფი, მაჭვიტათურეფი, გოლიათურეფი და ა. შ. ესენი ცალკე დიდი პაპის, დიდბაბუას შვილები იყვნენ სიჭინავა საერთო თურში. იგი დინო იყო, – ერთი ტოტი დიდი თურისა, მაგრამ პაპის თუ ბაბუას სახელით გამოყოფილი და გავრცელებული თური. ამიტომ ეძახიან თურებს. ესენი თურები, ცალკე გვარები არ ყოფილან“ (კ. მ. სიჭინავა).

ბახვაში ნოხორიი (ბახვას ნასახლარი), ადგ.

ბეგი (კბოდე), ადგ.

ბუდუთური, უბანი. „ბუდუს მემკვიდრეთა უბანია. ეს დინო ესახლა წინათ, დღეს ადგილს ჰქვია. ბუდუთურების გარდა აქ სხვა გვარებიც სახლობენ“.

გაღითი, ადგ. „აქ გაღითურები სახლებულან. გაღი ყოფილა დიდკაცი და მისი თი ყოფილა აქ“ (თ. კაცია).

გაშარეფი (გაში მახორეფი – სერზე მოსახლენი), ადგ. „აქ, ამ სერზე 30 მოსახლე კაცი სახლებულა“.

გგმოხონ ჭალე (გაღმა ჭალა), ადგ.

გომდოხონ ჭალე (გადახნული ჭალა), „აქ უტუს ლაშქრის ურდუმის ბანაკი ყოფილა“.

გოჯოში ნოხორიი (გოჯოს ნასახლარი), ადგ.

გუმარონი (გვიმრნარი), ადგ.

დგებიაში ტყა (დგებიას ტყე), ადგ. (დგებია გვარია). დღეს ჩაის პლანტაციაა.

დიტეფიში ღელე (დიტების ღელე), ადგ. „დიტები ყოფილან გვარად. ისინი სახლებულან აქ“.

დოგერა (დობილო), ადგ. დღეს აქ ჩაის პლანტაცია და საყანე მასივია.

დოგერა, ადგ. „რზენი (დაბალი) ადგილია. აქ მაღლარი ვენახი ყოფილა მიშვებული ხურმისა და ვაშლის ხეებზე. აქ ყოფილა ჭვიტილურის, ხარდანის, დღუნდღუშის ჯიშის ვაზი. დობერას, ვაზნარის განაპირას ყოფილა ნაჭკიდუ, სადაც ჭადაჭადას თესდნენ. მას „კიტაიას“ ეძახდნენ. უფრო წვრილი, ხშირად წელამდე შიშველი მარცვლიანი ყუბერები (თავთავის ტოტები) ჰქონია“ (ვლ. სიჭინავა).

დღვეგუ, ადგ. „ჭაობიანი და წყლიანი ადგილი ყოფილა. დღეს დამშრალია და საყანედაა გამოყენებული“.

დღუნდღუშონა ადგ. ვაზია დღუნდღუში. მისი დობილო ყოფილა).

ენწერი (ეწერი მიწა), ადგ. დღეს ჩაის პლანტაციაა.

ზაკალონი (ბზანარი), ადგ. „ოდესღაც ბზის ტყე ყოფილა“.

ზეგანი (სერი), ადგ. დღეს ჩაის პლანტაციაა.

ზუბი, ადგ. ცენტრი სახორაოსი.

ზურემი, ადგ. ტყე. „წინათ გაუვალი ტყე ყოფილა. დღესაც ტყეა“.

თამაზეთი, ადგ. „თამაზია გვარი ყოფილა და ისინი სახლებულან ამ ადგილას“ (კ. მ. სიჭინავა).

კოლოშონა (ვაზის ჯიშია), ადგ. „ოდესღაც კოლოშის ჯიშის ვაზი ხარობდა აქ. კოლოში მწარეა, მწარეა მარცვალი, მაჭარიც მწარე დგებოდა, ღვინო იცოდა კარგი“.

ლევაში წყურგილი (ლევას წყაროს წყალი), ადგ.

ლესიჭინე, სოფ. სიჭინავების (გვარია) უბანი. 1. „აქ სულ სიჭინავეები სახლობდნენ. წინათ ეს გაუვალი ტყიანი ყოფილა. თურქებმა ნაჯარუში, ენწერის მიდამოებში დაიბანაკეს თურმე და ამ მიდამოებში სულ ამოწყვიტეს, გაიტაცეს და გაყიდეს მოსახლეობა. ერთი ორსული ქალი დარჩენილა, რომელსაც ტყეში პატარა ბიჭი დაბადებია. ეს ბავშვი კათალიკოსს აუყვანია. თურქებს მოუთხოვიათ მისთვის ეს ბიჭი, მაგრამ კათალიკოსს უარი უთქვამს. ძალიან ცოცხალი ბავშვი ყოფილა, ამიტომ სქვიჭა, სქვინჩა ბიჭი შეურქმევია. სქვინჩა რენია – სქვინჩაო. იგი მოსავლელად ქუჩულორიებისათვის ჩაუბარებია. ქუჩულორიებს ბავშვი მიუთვისებიათ, ხოლო სასაფლაოზე ჯირკო დაუმარხავთ, ტილოში გახვეული. კათალიკოსისათვის შეუთვლიათ, ბავშვი მოკვდა და დავმარხეთო. კათალიკოსი გაბრაზებულა, მოსულა, საფლავი გაუთხრია, როცა ტილოში გახვეული ჯირკი უნახავს, ბავშვი მოუთხოვია. იგი ხაბურზანიებს მიაბარა. ხაბურზანიებმა გაზარდეს. კათალიკოსს ქუჩულორიები დაუწყევლია, (თქვანი საშველი ვაცუას ღორონთქია, თქვენი საშველი არ ქნას ღმერთმაო), ამიტომ ქუჩულორიები არ მრავლდებიან. მათი გვარეულობა მხოლოდ თითო-ოროლაა დარჩენილი, ხოლო ხაბურზანიები დალოცა და ამიტომ ხაბურზანიების გვარი იზრდება. კათალიკოსს ეს ადგილი სკვიჭია, სიჭინა, სიჭინავასათვის, იმ ბიჭისათვის მიუცია საცხოვრებლად. აქ მაშინ უღრანი ტყე ყოფილა, გაუვალი და უსიერი. აქ დასახლებულა, ცოლი მოუყვანია და გამრავლებულა სიჭინა. აქედან სიჭინავას შვილებს გვარად იმ სიჭინას სახელი დარქმევიათ“ (იონა ბახვას ძე სიჭინავა, 89 წლისა); 2. „ეს ადგილი გაუვალი ტყიანი ყოფილა. თურქი აზნაური ვიღაც ჭიჭინა მოსულა აქ. ის გამოქცეული, – ნარტებუ ყოფილა. იგი ჭიჭინაძე გამხდარა. ჭიჭინაძე თავადიშვილია. ეს გამოქცეული ჭიჭინა თუ ჭიჭინაძე, აქ მოსულა და ქალი დაუორსულებია. ეს ქალი ხაბურზანიებმა შეიფარეს. მისი შვილი გაზარდეს. ის ამბავი დაფარეს და სიჭინა სქიჭინაში (ჭიჭინას შვილი) უწოდეს. აქ შემდეგ მისი ნაშიერები მომრავლდნენ“; 3. „სიჭინა ერთადერთი გვარი ყოფილა ამ ადგილებში, ბატონი არ ყოლია, არავის არ ეყმობოდა, ყმა არ იყო, მაგრამ არც აზნაური ყოფილა. დადიანს ემსახურებოდა ერთგულად. ერთგული სამსახურისათვის დადიანს უკითხავს მისთვის: „რა მოგცეო“ – „სქან ტიბინი პატონი“ (შენი გულის სითბო ბატონო, შენი გავლენა, შენი სითბო, შენი ყურადღება, ბატონო). ასე ჰკითხა მეორეჯერ, მესამეჯერ. სიჭინამ ასე უპასუხა სულ. მაშინ სიგელი დაუწერია, სადაც მისი ტიბინი (სითბო) მისცა. ამის შემდეგ ეს შეუვალი უბატონობა სიჭინავებს არ მოშლიათ, ისინი დადიანის კაცები იყვნენ“ (ვლადიმერ სამსონის ძე სიჭინავა, 57 წლისა); 4. „სიჭინავებს ეძახიან „რგვალი ჭკიდიში მატოხალს“ (მრგვალი მჭადის ხარბად მჭამელს). ნამღვდელარი, შემდეგ მასწავლებელი ჭიჭინაძე კალისტრატე რომანოზის ძე იტყოდა: ჩვენ ან ყველა ჭიჭინავები ვართ, ან ყველა სიჭინავებიო. არის ლეგენდა: გელათიდან მოდიოდა ეპისკოპოსი თუ კათალიკოსი, გზაში ბიჭი უპოვია, სულ პატარა, მას უნაგირზე შეუსვამს და წამოუყვანია. გზაში ბიჭი ავად გამხდარა, ამიტომ ეპისკოპოსს იგი ქუჩულორიებისათვის მიუბარებია. ქუჩულორიებს ბავშვი მოსწონებიათ, მის მაგივრად ჯირკო დაუმარხავთ, ბავშვი კი გადაუმალიათ. ეპისკოპოსს ბავშვი მოუკითხავს, მაგრამ უთქვამთ, მოკვდა და დავმარხეთო, თანაც საფლავი უჩვენებიათ. ვიღაცას ქუჩულორიები გაუთქვია. მაშინ ეპისკოპოსს საფლავი გაუთხრევინებია და ჯირკო უნახავს. ბავშვი მოუთხოვია და წაუყვანია. ბავშვს სკვინჭა, კვინჩა რქმევია. მას სკვინჭა ბიჭი დაულოცია: „ეს ადგილი სულ შენთვის მიჩუქნია, ნისქურიდან ოჩხომურამდე შენია, ისე გამრავლებულიყავ, რომ ყველგან იყოს გაფანტული შენი გვარი, შენ სიჭინა ხარ. შენ კი ქუჩულორიავ, რაც ხარ ის ყოფილიყავ, არც გამრავლებულიყავ, ნურც ამოწყდებიო“. ასე მომრავლებულან სიჭინავები, ქუჩულორიები კი ძალზე შემცირებულან“ (ეზიკო პეტრეს ძე სიჭინავა, 58 წლისა).

მასკური ღელე, ღელე. მის მიდამოებს ღალუპიჯს უწოდებენ.

მაქსიმეში დიხა (მაქსიმეს მიწა), ადგ.

მენჯი, ადგ. „მარილიანი, მლაშე წყალი ამოდის. საქონელს უყვარს აქ ძოვა“ (კ. სიჭინავა).

მეტერია, ადგ.

მეტერია, ღელე.

ნაგერაღ (ნადროშალი), ადგ. ბეგის აღმოსავლეთითაა.

ნაგერაღუ (ნაბაირაღალი), ადგ. შუასამეგრელოს გზაზე. „ამ ადგილას დადიანის დროშა ყოფილა აღმართული. მისი საბატონო ადგილი იყო მონიშნული“.

ნადუ (ნახნავი, ნათესი), ადგ. 1. „გინნაზიმა“. როცა ხურგი (მიჯნა) მიწისა მოიშალა, გლეხებს მოჭრით მისცეს მიწა (отруб) ჩამონაჭერები, ნადელები. ასეთ ადგილებს ნადუ“ შეერქვა“; 2. „ადგილი ნადუ, ნათესი, ნახნავი, გამოყენებული, ათვისებული, გატეხილი ყამირი. ამიტომ ნადეი, ნადუ შეერქვა“ (კონდრატე კუჭუჭის ძე სიჭინავა, 53 წლისა). ნოყიერი მიწა, სახნავი, საყანე. დღესაც მისი დიდი ნაწილი გამოყენებულია საყანედ.

ნაისირუ (ნაისლარი), ადგ.

ნაისირუ (ნაისლარი), ადგ.


გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკური ატლასი
ლესიჭინის სახოფლო საბჭო
1980 წ.
მასშტაბი: 1:25000
პირობითი ნიშნები:
სახოფლო საბჭოს საზღვრები
გზები
მდინარეები
სახოფლო საბჭოს ცენტრები და ჯნის ყუნტრები

ნაკაზარმუ, ადგ. „ნაოხვამურია, აქ ბასაია სიჭინავას ჰქონია აბრეშუმის პირველი საპარკო კაზარმა და პარკის პირველი საამქრო“ (კუჭუჭი მელიტონის ძე სიჭინავა).

ნაკამცელარუ, ადგ. ნაოხვამუსთან. „აქ სოფლის ძველი კანცელარია მდგარა. ჩვენს ძველებს ახსოვთ, რომ იგი რევოლუციამდეც იქ არ ყოფილა“ (კ. მ. სიჭინავა).

ნანწყვჭალე (ჩანაქცევი ჭალა), ადგ. „ღმერთის მიერ დაწყევლილი და დაქცეული ადგილია“.

ნაონთხუ (ნაოთხარი), ადგ. „ყანა მიწის პატრონისაგან სანაონთხოდ, ე. ი. მეოთხედად დამუშავების პირობით აღებული და დამუშავებული მიწა, ხიტუსა და მისი შვილებისა“ (ა. ხორავა).

ნაოსხაპუ (ნასაცეკვარი), ადგ. „აქ, სოფლის მოედანზე ხალხი იკრიბებოდა და ცეკვავდა და თამაშობდა ყოველ შაბათსა და კვირა საღამოს“ (ა. ხორავა).

ნაოხვამუ (ნაეკლესიარი), ადგ. „აქ ყოფილა სიჭინავების ძირის ხატი. შემდეგ აქ ეკლესია აუგიათ. ამ ეკლესიას მოსწრებია ჩვენი ძველები. მათ ძირის ხატის ლოცვა ყოველ აღდგომის მომდევნო სამშაბათს იცოდნენ. ორშაბათს კი აქვე ლოცვა ხორავებს ჰქონდათ. ისინი ხარს კლავდნენ“ (კუჭუჭი მელიტონის ძე სიჭინავა).

ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ადგ. დღეს ნანგრევია შემორჩენილი. „აქაც უტუს ლაშქარი მდგარა. აქ უნახავთ მიწის ხვნისას ადგილობრივ მხვნელ-მთესველებს ქოთნები, ქვევრები და სხვა“.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ადგ. მდებარეობს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ცენტრში, კანტორის წინ, „შქა სამარგალოში შარას“ პირას.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი). „ხორავების ეკლესია მდგარა აქ“.

ნაოხვამუ, ადგ. წმინდა ბარბალეს სახელობისაა. „აქ ბარბალობის დღესასწაული იცოდნენ. ბარბალობა ხორავების თავსალოცავი და თავდღესასწაული იყო – „დუდი დღახუ, დუდი ოხვამური“. ეს დღახუ დიდი დღესასწაული, დიდი დღეობის დღე ყოფილა“ (ა. ხორავა).

ნაფოშტუ (ნაფოშტარი, ნაფოსტარი). შუა სამეგრელოს გზის ცენტრში „უძველესი ფოსტა მდგარა. აქ დასასვენებელი სახლიც ჰქონდათ, ცხენებსაც ცვლიდნენ. ისვენებდნენ და შემდეგ გზას განაგრძობდნენ“ (ვლადიმერ სამსონის ძე სიჭინავა, 67 წლისა).

ნაღუმუ (ნაღომარი), ადგ.

ნაღუმუ (ნაღომარი), ადგ. „ამ ადგილებში სულ ღომის ღომს ვთესავდით. ღომი სამი სახისა იყო: ჩქინებურა, – მსხვილი მარცვლები ჰქონდა, საკმაოდ დატოტვილი, მრავალყუბერიანი (ტოტიანი). მარცვლებიც საკმაოდ მსხვილი და ფეროვანი, ოქროსფერი. ციცუა კი უფრო წვრილთავთავიანი და წვრილმარცვლიანია. იგი ადრე შემოდის. კანიც ადვილად სცილდება. ჩამურში კაკუტით მხოლოდ მცირე დამუშავებაა საჭირო, რომ მარცვალი ადვილად დაცვივდეს, გახმობაც უფრო ადრე იცის. ადვილად და კარგად შრება, ხმება. კიტაია კი შედარებით თავისებური ჯიშია. მისი მარცვლები შედარებით დიდია და საფარველი თითქმის ნახევარზე იხსნება. წელსზემოთ შიშვლდება მარცვალი. ამ სიშიშვლის გამო ვეძახით კიტაიას. იგიც ადვილად იფშვნება. ღომის თავთავებს ვკრავდით კვაკვებად, ვინახავდით ნალიაში, სასიმინდეში. ჩვენთან ღობურ ნალიებს წინად სწორედ ღომისათვის, მის გასახმობად აკეთებდნენ. მას ორფრთიანი სახურავი ჰქონდა. ირგვლივ შემოღობილი იყო და ოთხ, მაღალ, ხის ბოკონზე იდგა. მას ჩვენი ძველები ფარონს ეძახდნენ. ფარონი უფრო ღია სათავსია, ჰაერი უფრო მოძრაობს, ამიტომ ადვილად შრება მასში ჩალაგებული თავთავი. ნალიაც, რომელსაც სასიმინდეს ვეძახით, ამ ტიპისაა. როცა საცეხვად გვინდოდა გაგვემზადებინა თავთავი, მას მზეზე გავშლიდით, ან ოლეში (ესეც ღობურია, ოთხმხრივ გონიოამოღობილი ჩელტი, რომელსაც მცირე გონიოს ზემოდან წკნელი თავისუფალია და შეკრულია), რომლითაც ობერტეშზე ვკიდებდით, ქვემოდან ცეცხლს შევუნთებდით ოლეს, და ასე, ცეცხლზე ვაშრობდით თავთავს. შემდეგ ქვის ან ხის მაღალ, გულამოღებულ ჯირკოზე, ოჩამურეში, ან ჩამურში ვყრიდით და კაკუტეგით – თავმსხვილი, წახრილი, გრძელტარიანი საცეხვით ვცეხვავდით. კაკუტი უფრო ქალებს ეჭირათ. ერთ ჩამურს ორი-სამი ქალი მორიგეობით ურტყამდა კაკუტს და ცეხვავდა, გაცეხვილ მარცვალს ვყრიდით ხის ტყავის შედარებით ფართოთვლებიან საცერში და ვცრიდით. შემდეგ გობით ვანიავებდით და ასე დარჩეულ მარცვალს ვინახავდით ბეღელში – ხულაში, ბაღუში და საჭიროების დროს ვიყენებდით, ვხარშავდით, ღომს ვამზადებდით, ან ელარჯს, ან კიდევ რძის ფაფას. მისგან და ოჯალეშის ღვინისაგან ვადუღებდით ტიბუს, საოფლე და სამკურნალო საშუალებას“ (ი. სიჭინავა).

ნაჭირუ (ნაჭირალი), ადგ. „განაჭირი ადგილია, სადაც ჭირსა და უბედურებას მოუსრავს ხალხი“.

ნაჭკიდუ (ნამჭადარი), ადგ.

ნაჭკიდუ (ნამჭადარი), ადგ. „მჭადს ვთესდით და უხვ მოსავალს ვიწევდით. მჭადს ვცეხვავდით და მარცვალს ან ვხარშავდით და რძის ფაფას ვაკეთებდით, ან ვფქვავდით და მჭადს ვაცხობდით. მისი მჭადი ოდნავ მოწითალო, ოქროსფერი იყო, ძლიერ სასიამოვნო სუნისა და გემოსი. მჭადის კვერებსაც ვაცხობდით, საოხვამურ კვერებს. მჭადის მარცვლებს ბეღელში ვინახავდით. მჭადი და ღომი, ჩემი ბაბუას გადმოცემით, ერთადერთი საკვები ყოფილა ჩვენი წინაპრებისა. მჭადი და ღომი სიმინდზე და პურზე ნაკლები არ იყო“ (თ. კაცია).

ნახარდანუ (ნახარდნარი), ადგ. „აქ წინათ ხურმის მაღალ ხეებზე ხარდანის ჯიშის შავყურძნიანი ვაზი ყოფილა მიშვებული. შემდეგ გაუჩეხიათ“.

ნაჯიხუ, „ადგილი ხვიჩარონის მიდამოებში. ნაჯიხუ ადგილია“.

ნოხორიი (ნასახლარი), ადგ. „უძველეს დროში ნასახლარია, შემდეგ ამოწყვეტილი, ხალხი აყრილა და განსახლებულა“ (ვლ. სიჭინავა).

ოეკეში (სალეკო), ლეკი მინერალური თიხაა, „საღებავად იყენებენ, მისი ამოსაღები ადგილი ყოფილა“; „აქ საღები მიწა – ლეკი ამოჰქონდათ“.

ოკიწიე (ჭალა ადგილია), დღეს საყანეა; მდებარეობს აბანოს სამხრეთით, მდინარე ხობისწყლის მარცხენა ნაპირზე, უჩაღალის აღმოსავლეთით. „აკნაწყვი ადგილია, ჩაქცეული ადგილი“.

ოქაჯე (საქაჯო), ადგ. „წინათ გაუვალი და საშიშარი, ქაჯების და ეშმაკების საბუდარი იყო“.

ოშაყარგ (თავშესაყარი), ადგ. ნაოხვამუს მიდამოებში. დიდ მოედანზე ცაცხვისა და მუხის ხით დაჩრდილული მოედანი. „აქ ეწყობოდა „ჯარალუა“, „შაყარუა“. აქ, ასეთ თავყრილობაზე იმართებოდა მარულა, დოღი, ეწყობოდა ხალხურ მთქმელთა შეჯიბრი, სიმღერა, ცეკვა; ხალხი ერთობოდა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ეს შაყარუა განიხილავდა სოფლის, ხშირად თურის საერთო საწუხარს და საჭიროს“ (კ. სიჭინავა); „ეს ნაოხვამუ უძველესია, წმინდა ბარბალეს სახელობისა. ბარბალეს ქალწულის ბედსა და ბედნიერებას შესთხოვდნენ თურმე. აქ მთელი სამეგრელოდან მოდიოდნენ მლოცველები, ილორიდანაც კი. თუ ქალიშვილი დაებადებოდა ოჯახს, აქ გამოსალოცავად მოჰყავდათ. მეც მოვსწრებივარ ერთ ფაქტს: მარტვილიდანაც მოვიდა ერთი ქალი და მოიყვანა გოგო, ამ გოგოს უნდა გამოვულოცოვო“ (ნინა აკაკის ასული სიჭინავა, 53 წლისა). აღწერილი რიტუალი და სარიტუალო კერა გვაფიქრებინებს, რომ აქ წარმართული ღვთაების – ბარბარის საკულტო, მთელს სამეგრელოში ამ ღვთაების საზოგადო ცენტრი უნდა ყოფილიყო, წაჩხურასა და ჟინანთარის მსგავსად. ეს ღვთაებებიც ხომ ასევე უძველესი, წარმართული პანთეონის მნიშვნელოვანი ღვთაებებია და მათი სარიტუალო ცენტრები ჟინოთა და მოსქე წაჩხურაა (სალხინო, გეგეჭკორის რაიონი). ბარბარსაც ასევე, ალბათ სვანების მსგავსად, სამეგრელოში ამ კერაზე ჰქონდა ცენტრი. ბარბარ და ამ ღვთაების კულტმსახურების წესები კი საკმაოდ აქვს შესწავლილი პროფ. ვ. ბარდაველიძეს[1]. „აქ უტუ თოდუას და მართალი თოდუას ურდუმს თავი მოუყრია. ბარბალობა 4 დეკემბერს იცოდნენ. მეგრელები იტყვიან: „ბარბალობა დღას თუნთი ინჯირუუ ომანეს დო გაზარხულიშახ ვედირთუ“. ამ დღის შემდეგ დღე არ კლებულობსო, ამბობდნენ მოხუცები“ (მ. კვირტია).

ოჩე. უხვი, ნაყოფიერი უბანი. „ჩიტიათურების სამოსახლო უბანი იყო“.

ოჩხარჩხალე, ადგ. სადაც არის მუდმივი ანკარა წყარო.

ოხვამე (ნაოხვამუ), ეკლესია, დღეს ნაეკლესიარი. ადგ. მდგარა წმიდა ბარბალეს ეკლესია. აქ გვიანაც იცოდნენ ხორავებმა ხვამა. ხორავები წმინდა ბარბალეს საოხვამუროდ ღორს კლავდნენ, ხოლო სიჭინავები – ხარს. მლოცველები ხორცს ინაწილებენ და სახლში მიაქვთ. ამ პირუტყვს ისინი „საოხვამურო შურდგმურს (სალოცავი ცხოველი) ეძახიან“.

ოხვამე (სამლოცველო), დღეს ნანგრევია. ამ ბაზილიკური ნაგებობის კარსა და ფანჯრებს ამშვენებს ორნამენტი. ორნამენტის კვეთა და ეკლესიის არქიტექტურული სტილი XVI-XVII საუკუნეებს შეიძლება მიეკუთვნოს. ეკლესიის ეზო ცაცხვის მრავალწლიანი კორომებითაა დაფარული. „აქ გადაცემა ხდებოდა. ხალხი დამნაშავეს ხეზე ლურსმნის მიჭედვით გადასცემდა, დაწყევლიდა ხოლმე“ (ა. ხორავა).

პაპათურეფი, უბანი. „პაპათურების, პაპის მემკვიდრეთა სამოსახლო ყოფილა, ეს დინო აქ ესახლა. დღეს ეს უბანი მხოლოდ პაპათურებს არ ეკუთვნის. აქ სხვა გვარიშვილები უფრო სახლობს“.

პაჭაკურჭალე, პაჭაკურასპირა ჭალა.

პაჭაკური, ადგ. საყანე მასივი ღელეს ნაპირებზე.

პაჭაკური, ღელე.

როსტომიკაში ტობა (როსტომიკას ტბა), ადგ.

სავეკუო, ვეკუების (გვარი) სამოსახლო უბანი.

საკაკასძუო (საკაკაშვილო), უბანი. კაკაშვილები სახლობენ.

საკაციო, კაციების (გვარია) უბანია. „კაციები დადიების გლეხები იყვნენ“ (თედორე შარუს ძე კაცია, 82 წლისა). დღეს აქ კაცია ბევრი არ სახლობს.

საკიზირიო, კიზირიების (გვარია) დასახლება, ადგ.

სალაშხიო, ლაშხიების (გვარია) სამოსახლო, ადგ. „ისინი დადიანების გლეხები იყვნენ“.

სატყებუჩო, ტყებუჩავების უბანი. ტყებუჩა, ტყებუჩავა გვარია.

სახვარა (სახორაო, ხორა, ხორავა გვარია), ადგ. „აქ სულ ხორავები სახლებულან წინათ. აქ ზღვისპირეთიდან ექვსი ძმა ჩამოსულა. ერთი პატარა ბიჭი ხის ფულუროში უპოვიათ, იგი ძმად მიუღიათ და გამოუზრდიათ. მათ დაუფიციათ, – ვინც ამ ბიჭს ძმად არ იგულებს, იგი დაწყევლილი იყოსო. შემდეგ ეს 7 ძმა გამრავლებულა. ამ შვიდი ძმისაგან ხორავების გვარის შვიდი დინო წამოსულა: ოჯაკუთური, ბაკიჩიათური, ბაბშელათური, კოჩარდიათური, გულუნთური, მორდელთური, პაპათური. ხორავას ყოველი ოჯახი ერთ-ერთი ამ დინოს მემკვიდრეა, ხორავების თურის ერთ-ერთი ამ ტოტის ნოცოა, ნაყარია“ (ა. ხორავა).

---

1 ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარ-ბარ-ბარ), 1941.

სახვარო, „ხვარეფიში კუნთხუ, ხორაში კუნთხუ (სახორაო, ხორავების (გვარია) უბანი“.

სახორო (ხორავებისა), ადგ. „აქ ხორავების ეკლესია მდგარა. იგი მათი ძირის სალოცავი უნდა ყოფილიყო“ (თ. კაცია).

სქურჩა, ღელე.

ტები (ტყე), ადგ. „ჩემი ძველებისგან გამიგონია ლეგენდა, რომ ალექსანდრე თურქი ესახლა ზღვისპირას, იქ, სადაც დღეს ანაკლიას ვეძახით. ალექსანდრემ ცოლი შეირთო, რომელსაც ქალიშვილი მოჰყვა. ალექსანდრემ ქალიშვილს თავი მოსთხოვა. იგი გაექცა მას, გზაში სანდრო ლიპარტია შეხვდა, ქალი მოეწონა, მან უარი უთხრა. ქალი ტყეში გაიქცა. ალექსანდრეს ჰყავდა სანდო ბიჭები, რომლებიც ამ ქალიშვილის საძებნელად გაუშვა, წაიყვანეთ და ტყეში მოკალითო. ბიჭებს გოგო შეეცოდათ და ტყეში გაუშვეს. გოგო ხეზე ავიდა და კივის. ამ დროს სანდრო ლიპარტიას მორდუს შვილები, ძიძის შვილები მოდიან. გაიგეს ქალის კივილი, ხიდან ჩამოიყვანეს და ამბავი გამოჰკითხეს, მან ყველაფერი დამალა და, – დაკარგული ვარო, თქვა. ბიჭებს მოეწონათ. შუა სამეგრელოს გზაზე გავიდნენ და ერთ-ერთ მათგანს გაჰყვა იგი ცოლად და ისევ გურიაში გაბრუნდნენ. ამ გოგოს ანა ერქვა. მას ორი ბავშვი შეეძინა. რამდენიმე წლის შემდეგ ისინი სამეგრელოში წამოვიდნენ ნათესავების სანახავად. მორდილს, რომელმაც ქალი შეირთო, ძიძესქუა (ძიძაშვილი) მოჰყვება. ტყეში რომ შემოვიდნენ, ამ ტების ტყეში, მორდილი, ქმარი იმ ქალისა, მოსაშარდავად წავიდა. ამ დროს ქალს ბიძაშვილმა თავი მოსთხოვა. ქალმა უარი უთხრა. რომ გაემწარებინა, ძიძიშვილმა ერთი ბავშვი ჩაუგდო წყალში, მერე მეორეც, მაშინ ქალიც გადახტა წყალში. წყალმა ქალი გამორიყა ნაპირზე, ხოლო ბავშვები წაიღო. ქალი თურმე ეკალ-ბარდს ჩახვეოდა და ამან გადაარჩინა. ამოვიდა ნაპირზე, ნახა, ოჯახებია, სამი-ოთხი სახლი დგას. რამდენიმე კაციცაა აქვე. მათთან მივიდა ქალი. ჰკითხეს: ვინა ხარო და – დაკარგული ვარო. სთხოვა, თქვენთან დამტოვეთ, ოჯახს მოვუვლიო. ესენი მეფის მეღორეები ყოფილან. მათ ქალს ჩააცვეს, აჭამეს და ნება დართეს, აქ დარჩენილიყო. ქალი კარგი მეოჯახე გამოდგა. სულ დაწმინდა, დაასუფთავა ყველაფერი. ამ დროს მეფის შვილმა ჩამოიარა ეს ადგილები. ნახა ქალი, მოეწონა. მეფეს უამბო თავისი არჩევანის შესახებ. მეფემ ნახა ქალი, ჰკითხა, ვისი ხარო და, – არ ვიციო. მეფემ რძლად წაიყვანა იგი, ისე ლამაზი და კარგი ქალი იყო. ერთხელ მეფეს სთხოვა დედოფალმა, ნათესავები მომენატრა და მაჩვენეთო. მეფემ დაიბარა ყველა: ალექსანდრე, სანდრო ლიპარტია, მისი ქმარი, ძიძაშვილები და ის ორი ბიჭი, რომელმაც ტყეში დატოვეს ეს გოგო. აქ ქალმა მათი თანდასწრებით მეფეს ყველაფერი უამბო. მეფემ ალექსანდრე და ერთ-ერთი ძიძიშვილი მოაკვლევინა. ბიჭები, რომელმაც ქალი დაინდეს და ტყეში დატოვეს, დაიახლოვა და კარისკაცებად გახადა, ხოლო ძიძაშვილი და მორდილი, – ქალის ქმარი, განდევნა. იმ ზღვისპირა ტყეს, სადაც ანა დატოვეს და კივილით გადაირჩინა თავი, ანაკლია შეარქვეს; ამ ტებს კი, სადაც ძიძიშვილმა თავი მოსთხოვა და ქალმა თავი დაიცვა, დღესაც ანაშ ტების უწოდებენ“ (ი. სიჭინავა).

ტები (ტყე), ადგ. ფერდობი ადგილია. „გაუვალი ტყე ყოფილა. დღეს ჩაის პლანტაციაა“.

უჩაღალ (შავღელე), ღელე.

ფოხვი, ადგ.

ღაჩერე (თეთრი ღელე), ღელე. დიდი ღელე.

ღორჯოია, ადგ.

შქა სამარგალოში შარა (შუა სამეგრელოს გზა), „ეს გზა სამეგრელოს შუაზე ყოფდა. იგი ზუგდიდს აერთებდა გორდთან, ფოცხოთი-ზანათი-ლესიჭინეთი გადიოდა ხობსა და ზუგდიდში. ამ გზით დადიოდა ეტლები, დილიჟნები, ამ გზით მიმოდიოდა ჯარის ხალხი, საქმის კაცები, ქარავანი, ვაჭართა ურმები. ეს გზა მთელი სამეგრელოს სასიცოცხლო ძარღვი იყო“ (იონა ბახვას ძე სიჭინავა, 89 წლისა).

შქაკარი (შუაკარი), ადგ. „შუა სამეგრელოს გზის კარი იყო ამ ადგილას“.

შქატყა (შუატყე), ადგ. „გაუვალი ტყე ყოფილა. დღეს გაჩეხილია და ჩაის პლანტაციაა გაშენებული“.

ცაცხვჯინჯი (ცაცხვძირი), ადგ. გაშლილ ველზე კონუსურად ამაღლებული, მაღალი მიწაზურგაა, დაახლოებით 10 მეტრის სიმაღლისა. კონუსის ცენტრში დიდი, ათასწლოვანი ცაცხვი დგას. შემდეგ ჩრდილოეთით უნაგირაა. ვრცელი ბორცვის ცენტრში დგას ოხვამე – ეკლესია. „ცაცხვჯინჯი ხორავების უძველესი სალოცავია. ამ ადგილის სამხრეთით, გაშლილ ჭალაზე გადიოდა „შქა შარა“. ამ გზით უვლია უტუს ურდუმს. ამ ადგილს **ოკათაფუსაც** უწოდებენ“.

ჭვიტილონი (ვაზია ჭვიტილური. მისი დობილო ყოფილა), ადგ.

ჭოლოკა კარი, ადგ. ჭოლოკავების კარი. დადიანს კარგ სამსახურს უწევდა ვინმე ჭოლოკა. ამ სამსახურის გამო დადიანს აზნაურად გაუხდია იგი და ეს ადგილი მიუცია“ (ვლ. სიჭინავა).

ხვიჩარონი, ადგ. „დღეს საყანე. დიდ ნაწილზე ჩირგვნარი, ნაწილზე ჩაის პლანტაციაა“. ხვიჩარიაში ნარონია, ხვიჩარიების თურის ნადგომი“ (კ. სიჭინავა).

ხორგონა (დაზვინული, ნაყოფით ავსებული), ადგ. საყანე. „აქ ისეთი მოსავალი იცოდა, რომ ხალხი ამბობდა: „მუნაწილი იხორგუუ“, – მოწეული, ჭირნახული იზვინებაო“ (კ. სიჭინავა, 53 წლისა).

ხორგონა, ადგ.

ლეწურწუმე

სოფელი ლეწურწუმე რაიონის ცენტრის დასავლეთით მდებარეობს, ხობწყარის მარჯვენა სანაპიროზე, რომელიც მას დაბა ჩხოროწყუსა და ქვედა ჩხოროწყუსაგან გამოყოფს. სამხრეთით მას სარაქონი ესაზღვრება, დასავლეთით კი – წალენჯიხის რაიონის ჯუმათისა და ხაბუმეს სასოფლო საბჭოები. სოფელი გორაკ-ბორცვებზეა შეფენილი და ოთხ უბნად იყოფა: ლეწურწუმე ცენტრია, ნაგვაზუ – სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, ნაკათი – სამხრეთ-აღმოსავლეთი, ხოლო ჯუმათი ჩრდილოეთის უბანია. ლეწურწუმეზე გადის ძველი გზა. ამ გზით იარა 1918 წელს საშა გეგეჭკორის ლაშქარმა. ბორცვთა ფერდობების წითელმიწა ალუვიური ნიადაგი მევენახეობისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. მრავალფეროვანი ხეხილნარით მოფენილი დობერები, თელის, მუხისა და წაბლის ტყეებით შემოსილი თხემები მომხიბლავს ხდიდა სოფელს. ტყეთა შორის, ველიანზე, საქონლის საგაზაფხულო და საშემოდგომო საძოვრები ყოფილა. სოფელში 398 კომლია, 1581 მცხოვრებით.

ბატურაშ ნოხორი (ბატურას ნასახლარი), ადგ.

ბიტუშ წყარი (ბიტუს წყალი), ღელე.

გინოხონდიხა (გადახნული, გაღმა მიწა), ადგ.

გოგიაში ნოხორიი (გოგიას ნასახლარი), ადგ.

გოშირილი (გავაკებული, ხანგრძლივი სიარულით ჩავაკებული, გალეული), ადგ. „უნაგირა. „აქ გზა გადიოდა და გადის დღესაც. ამიტომ ეს სუკი შემდეგ, ხანგრძლივი სიარულის გამო ჩალეულა, ჩავაკებულა“.

გულიეში სუკი (გულიეს სერი), ადგ. „აქ წინათ გაუვალი ტყე ყოფილა. სერზე გულია სახლებულა. მის ორივე ჩავაკებაზე თელნარი და ცაცხვნარი ყოფილა“.

გუჯაში ნოხორიი (გუჯას ნასახლარი), ადგ.

დანიწყუ, წყაროს წყალი. „სულ ჩამოქცეული ადგილია. დანანწყვი – ჩამონაქცევი“.

დიდნოხორი (დიდ ნასახლარი), ადგ. „აქ სულ ყმები ესახლნენ. ამ ადგილებიდან მიღებულ ჭირნახულს სულ ბატონს აბარებდნენ და რადგან სულ ყველაფერს ართმევდნენ, გლეხები აიყარნენ და ტყისკენ გადასახლდნენ. ასე იქცა XIX ს. 60-იან წლებამდე ეს ადგილები ნაფუზვრად, ნაეზვარად, ნაპარტახლად, ნადოხორად“ (ილია თევდორეს ძე წურწუმია, 70 წლისა).

დოგერა (დობილო), ადგ.

დოგერა (დობილო), ადგ. „წინათ სულ მსხალნარი ყოფილა აქ. ჯოღოსხული, კისერა სხული – ჯოღო მსხალი, კისერა მსხალი მოდიოდა აქ. დღეს ჩაის პლანტაციაა“.

დოგერა (დობილო), ადგ. დღეს საყანეა.

ეგიარზენი (ჩამოვაკებული), მთელი უბანი.

ეგიაში რზენი (ეგიას ველობი), ადგ. ახლა საყანეა. „ეგია თავადიშვილი ყოფილა. მისი საბატონო ყოფილა ეს მიწა“.

ენწერი (ეწერი), ადგ.

ენწერი (ეწერი), ადგ. საყანე.

თხინა (თხილნარი), ადგ. „სულ თხილნარი ყოფილა“.

კიკოში ნოხორიი (კიკოს ნასახლარი), ადგ. დღეს ყანაა.

კოსტაში ძვაბი (კოსტას ქვაბი), გამოქვაბული. „ერთი შესასვლელიანი ქვაბია. ძალიან ღრმა და გრძელი, ერთი კილომეტრის სიგრძით, იქნებ მეტიც. ჩვენ იქით არ წავსულვართ“.

კოტოწყარიში წყარი (ქოთნის წყლის წყალი), ღელე და წყაროსთვალი.

ლანჯონა (კოპიტნარი), ადგ. დღეს საყანეა.

ლეგინე (სახბორე), „აქ, ამ ფართო ველობზე მოწყობილი ყოფილა სახბორეები. აქ მშვიდად და მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ძოვდნენ ხბოები“.

ლეგღალი (ლების ღელე), ადგ. „აქ ლების ხე, – ლობიოს ხე ხარობდა. ფოთლები და ლებნები სულ ლობიოსი აქვს. ამ ხისაგან ჩონგურებს და ფანდურებს აკეთებდნენ“.

ლეცანე (ლეცანავე), ადგ. ცანავების (გვარია) უბანი. დღეს არავინ არ ცხოვრობს.

ლეჯოგე (საჯობო), ადგ. „ჯობა გვარი ყოფილა. 21 დინო სახლებულა აქ. დღეს ამ გვარის არავინ არ სახლობს“.

მამიდაში ნოხორიი (მამიდას ნასახლარი), ადგ.

ნაცამუზუ, ადგ. „იტყვიან: ცვანა მუძუ – ყანა უდევს გვერდითო, მაგრამ ეს ვერ ხსნის ამ სიტყვას. იგი გამოუცნობია, იქნებ ნაცამუზუ – ნაუბედურალი, ნაჭირალი, განაჭირვები ადგილია“ (ღ. ესართია, ი. წურწუმია).

ნაბამგუ, „ადგილი, სადაც მოჰყავდათ ბამბა ხუნტუებს“.

ნაგვაზუ, ადგილის სახელი აუხსნელია. მთელი უბანია: „ნა-გვაზუ – ფიქრობდნენ ძველები, ნაგვაძუ – ნაბრძოლი ადგილი“ (ი. წურწუმია).

ნაგოგეჩუ, ადგ. „გობეჩიებს ეკუთვნოდა და მიყიდეს ხუნტუებს. ამჟამად ხუნტუების დასახლების ქვემოთაა“.

ნაისირუ (ნაისლარი), ადგ. „ეს დიდი მასივი სულ ნაისლარია“.

ნაკათი (შენაერთი), სოფელი. 1. „ხალხი სხვადასხვა კუთხიდან აქ მოსულა, შეერთებულა და აქ დასახლებულა. აქ ნაკათი მოსახლეობაა, – შენაერთი მოსახლეობაა, – ასე გამიგონია ძველებისგან; 2. ნაკათი შესაკრები, ოკათაი, თავშესაკრები ადგილია, სადაც ხალხი იკრიბებოდა ყოველ საჭიროების ჟამს ჯარალუაზე, ცხოდზე, შაყარუაზე; 3. აქ პატარა ღელეები იკრიბებოდა, ერთმანეთს ერთვოდა, ამიტომ ადგილს ნაკათუს ეძახიან. სოფლის ეს უბანი, ან სოფელი სწორედ მთის ჩავაკებასა და მდინარის ჭალაზე, ველიანზე მდებარეობს“ (ტარასი თეიმურაზის ძე წურწუმია, 72 წლისა).

ნაკაკა, ადგ.

ნაკარუ (ნაკარვალი), ადგ. „ამ გაშლილ სერსა და მის ფერდობზე მესაქონლეებს ჰქონიათ კარავები, ჰყავდათ საქონელი და აქ აძოვებდნენ მათ“ (ი. წურწუმია).

ნაკარუ (ნაკარვალი), ადგ. „წინათ აქ კარვები მდგარა“.

ნაკლასუ (სკოლის ადგილი), ადგ. „ნაოხვამუს წინ, მოედანზე მდგარა ოთხკლასიანი სკოლის ძველი შენობა“ (ტ. წურწუმია).

ნამაღაზუ (ნასასიმიდარი), ადგ. „ოკირეშის დიდ ნაწილს ნამაღაზუს ეძახიან. მას ჭოჭუაში ნამაღაზუს ეძახდნენ. ექვსი მაღაზა იდგა. მათ გვერდით ჯარუს ნამაღაზუა, იქაც ერთი მაღაზა მდგარა. მაღაზა-ნანია ჩხვერის (ღომის ღომი) შესანახად ჰქონდათ. აქ მოწეულ ჩხვერს აქვე მაღაზაში ინახავდნენ. შემდეგ ჩამურით ცეხვავდნენ. მაღაზას ფარონსაც ეძახდნენ. ფარონს, აგრეთვე, ხშირ, დაბურულ ტყიანსაც ეტყვიან“ (ტ. წურწუმია).

ნანძერუ (ნაძერალი), ადგ. „ძერები ყოფილა სულ ამ ადგილებში, ხეებზე ჰქონიათ ბუდეები. აქ ნიადაგი შავმიწაა, ნოყიერი, ძლიერ ნაყოფიერი, ეფშა დიხა, მონკა დიხა“.

ნაოსხაპუ (ნასაცეკვარი), ადგ. „სოფ. ჯუმათშია. აქ წინათ ეკლესია იდგა, წმინდა გიორგის ხატი ესვენა. აქვე იყო დაწყებითი სკოლა. მის წინ, მინდორზე, იცოდნენ ჯარალუა – ცეკვა-თამაში“.

ნაოსხაპუ (საცეკვაო), ადგ. „ნაკარკალუს გვერდით იდგა დიდი ცაცხვი, რომლის ქვეშ ყოველ შაბათს და კვირა საღამოს ხალხი იკრიბებოდა და ერთობოდა ცეკვითა და თამაშით“.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ადგ.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ადგ.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ნაეკლესიარი, ადგ. „აქ იდგა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. აქ ლოცულობდა ჯუმათის, ნაკათის, ეგიარზენის, ლეწურწუმეს მოსახლეობა. იგი ცენტრად ითვლებოდა“ (ტ. წურწუმია).

ნარზენუ (ნაზვინარი, ან ხელოვნურად ჩავაკებული), ადგ.

ნასართუ, ადგ. მაღალი ბორცვია.

ნაურემუ (ნაურმალი), ადგ.

ნაფარფალუ (ნაპეპლარი. პეპელასაც ეტყვიან), ადგ. „აქ გროვდებოდა პეპელა და შემდეგ მაღლა, მთისკენ მიდიოდა“.

ნაღუმუ (ნაღომარი), ადგ.

ნაჩალიკუ, ადგ. „აქ წინათ ოჭკადური ყოფილა. ახლაც პოულობენ აქ რკინა-წიდას. მჭედელი ხალხი ნაცხოვრება აქ“ (ვლადიმერ გიორგის ძე უბირია, 81 წლისა); „საწახნაკიოს უბანია, აქ გვიან მოსე წახნაკიას სამჭედლო მდგარა“.

ნაჩამურუ (ნაოჩამურუ), ადგ. „აქ სოფლის საერთო ჩამური იდგა, დიდი და საზოგადო. აქ ნანიებიც მდგარა ღომის შესანახად და მრავალი მცირე ჩამურიც ყოფილა მოწყობილი. ერთი სოფლის, ერთი თურის საერთო საკუთრება ყოფილა იგი, სათურო, საგვარო სასაჩამურე“ (ტ. წურწუმია).

ნაწისქვილუ (ნაწისქვილარი), ადგ.

ნაწისქვილუ (ნაწისქვილარი), ადგ. „ამ პატარა ღელეზე, ერთმანეთის მიყოლებით, სულ წისქვილები მდგარა“ (ვლ. უბირია).

ნაწყურგილ (ნაწყაროსწყალარი), ადგ. „წინათ წყაროს წყალი ყოფილა. ახლა ამომშრალია.

ნაჭვუ (ნაჭვავარი), ადგ.

ნაჭკადუ (ნასამჭედლარი), ადგ. „გადმოცემით, აქ უძველესი სამჭედლო ყოფილა. დღესაც ვპოულობთ რკინის წიდებს, სხმულებს, სამჭედლო ინვენტარს და ა. შ.“ (ტ. წურწუმია).

ნაჭკიდუ (ნამჭადარი), ადგ.

ნახაჯუ (ნაცერცვალი), ადგ.

ნოხორიი (ნასახლარი), უძველესი ნასახლარია, ადგ.

ოკირეში (საკირე), ადგ. „აქ ნაკიფუდან კვარაცხელიებს ჰქონიათ მიწა. ეს მიწა მორჩილი, ფურცუ, შედარებით მწირი მიწა ყოფილა. უძველესი საკირეაო, იტყოდნენ“.

ოკიფუ (კენაფის), ადგ.

ოქაჯე (საქაჯო), ადგ. „გაუვალი ტყიანი და გამოქვაბულიანი ადგილი ყოფილა. გადმოცემით აქ სულ ეშმაკები და ქაჯები ბუდობდნენ თურმე წინათ. ამიტომ ძლიერ საშიშარი ადგილი ყოფილა“.

ოყარყალე (საყიყინო), ადგ. „აქ წინათ პატარა, დამდგარი ღელე ყოფილა“.

ოშაყარ (თავშესაყარი), ადგ.


გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკური ატლასი
ლეწურწუმეს სასოფლო საბჭო
1980 წ.
მასშტაბი: 1: 25 000
პიროსანი ნიშნები
სასოფლო საბჭოს საზღვრები
მდინარეები
გზები
სასოფლო საბჭოს ცენტრი
და უბნის ცენტრები

ოშაყარ (თავშესაყარი), ადგ. „მას ჯალალონიაში გას ეტყვიან. აქ იცოდნენ თავშეყრა – კათუა, შაყარუა. იცოდნენ ჭარკუნობა, – ჭარკუნის თამაში“.

ოშაყარ (შესაკრები), ადგ. „აქ უტუს ლაშქარს, მის ურდუმს მოუყრია თავი. უტუს აქ უქადაგნია თავისი ურდუმისთვის თურმე“.

პანეშონა (პანეშონა ვაზის დობილო), ადგ. დღეს აქ ჩაის პლანტაციაა. „პანეშის ვაზი შავყურძნიანი ჯიშია. საკმაოდ მჭიდრო, გრძელი მტევანი იცის. ისხამს ბევრს, იცის კარგი ღვინო. მას ეკლესიაში მღვდლები საზედაშედ იყენებდნენ. ოჯახში ვისაც პანეშის ღვინო ჰქონდა, ძლიერ იწონებდა თავს ამ ღვინითა და ყურძნით. დღეს სრულიად გადაშენდა, აქა-იქ თუ აქვს ვინმეს, ისიც ძალიან იშვიათად“ (ი. წურწუმია).

რეყე, ადგ. ხობისწყლის ჭალაში ქვიანი ადგილი.

რზენი (ვაკე), ხობისწყლის ჭალა.

რზეონა (მიდვრობა), ვრცელი ველია, ადგ.

საესართიო, ესართიების (გვარია) უბანი. „იგი ორ ნაწილად იყოფა: ქვემო საესართიო და ზემო საესართიო“.

საკვინჩიო, კვინჩიების (გვარია) უბანი.

სანაჭყეპიო, ნაჭყეპიების (გვარია) უბანი.

საპერტიო, პერტაიების (გვარია) უბანი.

საუბირიო, უბირიების (გვარია) უბანი.

საწახნაკიო, ადგ. მდინარე სქურჩეს ნაპირი, სადაც წახნაკიები ცხოვრობენ.

სახელაიო, ადგ.

სახუნტუო, ხუნტუების (გვარია) უბანი.

სქურჩე, ღელე.

ტოტიაში ნოხორიი (ტოტიას ნასახლარი), ადგ. „ტოტია წურწუმია სახლებულა აქ. ახლა სატყეო უბანია“.

უბადო მოხონი (უბედური გადასასვლელი), ადგ. „ცუდი აღმართი, ცუდი გასასვლელი ადგილი, ციცაბო და ოღრო-ჩოღრო“.

ულაყური, ადგ. „ულაყუჯისაც იტყვიან. ისე „ყურსალეფიში ოულარი შარას“ ამბობენ, – ყურსალების – კაცის გამყიდველთა სავალ გზას. სულ ჩახრამული და ციცაბო ტყის ბილიკი“ (ღ. ესართია).

უშქურონი (ვაშლნარი), ადგ.

ფოქვა, ადგ. „აქ წურწუმიები სახლებულან. ისინი გამოქცეული ყოფილან. უბადომოხანით მოსულან და აქ დასახლებულან. თავდაპირველად წულუკიძენი ყოფილან ისინი. გვარი შეუცვლიათ. პირველი გამოქცეული წულუკიძე აქ ღრმა ბალახებში ჩაწოლილა. ღამე ბალახი გაზრდილა და ჩაუმალავს წულუკიძე და მისი თოფი. ქუთელიამ მოკლა წულუკიძე. მას ცოლი ორსული დარჩა. შვილი დაბადებულა, მისგან გამრავლებულა ხალხი. ქუთელია დაუწყევლიათ; წულუკიძის მკვლელობის გამო ქუთელიას აზნაურობა მიუღია, ხოლო წულუკიძის ვაჟი დალოცვილი გაზრდილა. მისგან მომრავლებულან წურწუმიები (იაკობ წურწუმია, 50 წლისა).

ქორთუა ღალ (ქართველის ღელე), ადგილი და ღელე. „აქ ქორთუ (ქართველი) ნასახლება და ეს ღელე მისი ეზოდან იღებდა სათავეს“.

ქუთუში ნოხორი (ქუთუს ნასახლარი), ადგ.

ღულუნიაში სუკი (ღულუნის სერი), ადგ. აქ სახლობს ღულუნი პართენის ძე ესართია, 58 წლისა, მისი დაკვირვებით, „ამ ეზოში თუ კაცი დაწვა, სხეულზე დააყრის და დააწითლებს, შემდეგ საშინელ ფხანას იწვევს. მხოლოდ ამ ადგილს, სხვაგან ასეთი რამ არ შეინიშნება. ამ ადგილისთვისაა ეს დამახასიათებელი. მაგრამ ერთიცაა შესანიშნავი, რომ ზოგი კაცი თუნდაც დაწვეს, თუნდაც იკოტრიალოს დღეობით, არ მოქმედებს. რაღაც საინტერესო ამბავია, მე ბალახი მეგონა ამის მიზეზი, მაგრამ ბალახი არ აღმოჩნდა. არც ცალკე მიწაა მიზეზი, მიწაც ცალკე გავსინჯეთ, ტანზე წავისვით, მაგრამ იგიც არაა. რაღაც სხვა ამბავია“ (ღ. ესართია).

შავაიაში კიდობანი (შავაიას კიდობანი). „დიდი ტყე ყოფილა და ეს ტყიანი სულ შავაიასი ყოფილა. აქ მას ცხვარი და თხები ეყენა თურმე“.

შქერონა (შქერნარი), ადგ.

ჩე ღალი (თეთრი ღელე), ღელე.

ჩეშონა, ადგ.

ჩიტხვანა (ჩიტყანა), ადგ.

ჩოთოშ ღელე (ჩოთოს ღელე), ღელე. აქვე იწყება და ერთ კილომეტრზე თავდება.

ძიგირგა (ეკლნარი სერი), ადგ. სერი, გორაკი.

ძიკიაში წყუ (ძიკიას წყარო), წყაროს წყალი.

წიდა, ადგ.

ჭალე, ჭალა.

ჭუბურონი (წაბლნარი), ადგ. „ამ ადგილზე ჯერ უტუს ურდუმი მდგარა, შემდეგ, 1918 წელს საშას მეთაურობით მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ლაშქრის კრება გაიმართა. ამ კრებას ევგე უბირია მეთაურობდა. ამ რაზმმა გაიარა მუხური, ნაფიჩხუ, ომარტე, სალხინო, გაჭედილი, მარტვილი და გორდში გადავიდა. აქედან კი ჩრდილოეთ კავკასიაში წავედით მამისონის უღელტეხილით“ (ვლ. უბირია). „ეს ადგილი საგობეჩიოშია“.

ჭყონა (მუხნარი), ადგ. ტოპონიმი ერთგანაც გვხვდება.

ხახულაში ნოხორი (ხახულას ნასახლარი), ადგ.

ჯაგაშ წყუ (ჯაგას წყარო), ადგ. წყარო.

ჯარგვალი (ჯარგვალა სახლი), ადგ. „აქ ჯარგვალა სახლი მდგარა“.

ჯუმათი, სოფ.


ივანეკოვის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკური ატლასი
მუხურის სასოფლო საბჭო
1980 წ.
ძირითადი ნიშნები:
სასოფლო საბჭის საზღვრები
მდინარეები
გზები
სასოფლო საბჭის და უბნების ცენტრები
მასშტაბი: 1:25 000

მუხური

სოფელი ხობისწყლის ხეობის ზედაწელშია გაშლილი. მისი ჩრდილოეთი ნაწილი წიფურონისა და ოსინდალეს მთებს შორის არის შეჭრილი. აქ, მთების ფერდობებზე და მცირე, მაგრამ ნაყოფიერ ჭალებში უძველესი ნოხორუები – ნასახლარებია, ნახარდნარი დობერები და ოსკალე მასივები. ვაზი და ფუტკარი დღესაც ამ სოფლის მშვენებას წარმოადგენს. სოფელს ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით გოიარზენისა და ოსინდალეს მთები ადგას, რაც ღრმა, თვალწარმტაცი კარსტებით და მთის ლამაზი კორდებითაა დამშვენებული. ხობისწყალი კალმახითაა სავსე. მისი შუა ნაწილი შემდეგ უფრო გაშლილ ხეობაში გადადის. სოფელს სამხრეთითა და აღმოსავლეთით ესაზღვრება ხაბუმეს, ზუმისა და თაიას სასოფლო საბჭოები, ხოლო დასავლეთით – წალენჯიხის რაიონი. ხობისწყალი ამ სოფლის ტერიტორიაზე თვალწარმტაც სანახობებს ქმნის. აქვეა კოლხური ფუტკრის საჯიშე მეურნეობა. სოფლის ცენტრი XIX საუკუნის დასასრულს მთელი ამ მხარის სავაჭრო, ეკონომიკურ კერას წარმოადგენდა. აქ იყო ვაჭართა და ხელოსანთა უბნები. იყო აგარაკები, ტერასული მასივები. გადიოდა ძველი გზა წალენჯიხასა და ზუგდიდისაკენ. სოფელი დღეს მთელი სამეგრელოს მშვენებაა.

აბანო, ადგ. „უძველესი ნააბანოვარია. აქ შენობაც მდგარა. ახლაც კვ. მეტრ ფართობზე სულ სიმშრალეა, სულ თოვლი რომ იდოს ირგვლივ, აქ თოვლი არ დევს, ზამთარშიც ასეა“ (გ. ხუხუნი).

არონია, ადგ. არონო. ღელეც არის აქვე ამ სახელწოდების.

ბელერი, ადგ.

გაღიკარა, ღელე.

გვალო შარა (სულ გზა), ღელე.

გვამარდა ფერდი, ადგ.

გვამარდა, ადგ.

გოგიაში რზენი, ადგ.

გულურ რზენი (მთის ველობი), ადგ. „მთაში ჩავაკებული ველობია რამდენიმე ჰექტარამდე. იგი საყანედ ჰქონდათ გამოყენებული“ (სანდრო ცირდავა).

დიდ ბოგაში წყარი (დიდი ბოგირის წყალი), ღელე. უერთდება ხობწყალს.

დიდ დღვეგაში, ადგ.

დიდვე, ადგ. მთა.

დიდღალი (დიდი ხევი), ადგ.

დიდძახი, მდინარე. „მღვიმიდან გამოდის. წვიმიან ამინდში დიდდება და ხმაურობს, დიდს იძახის“.

დურცხონა (ეკლნარ-ბუჩქნარი), ადგ. „უძველესი ვაზნარი ყოფილა. მაღალ ხეებზე მიშვებული ყოფილა დცხუს ჯიშის მაღლარი ვაზი, რომლის ყურძენი და ღვინო ძალიან კარგი ყოფილა. ადესა და სხვა დღეს ცნობილი ჯიშის ვაზი მას ვერ მიუდგებოდა თავის ღირსებით. ასე გამიგონია ჩემი წინაპრებისგან“ (ჟუჟუნა პეტრეს ასული შენგელია, 59 წლისა).

დღვეგუში (ჭაობნარი), ადგ. „მთის ველობი, ჭაობიანი“.

ენწერი (ეწერი), ადგ. ტოპონიმი რამდენიმე ადგილას გვხვდება.

ენწერი (ეწერი), ადგ. დღეს ჩაის პლანტაციაა.

ზინდი ანუ გოზინდილი (რზენდიდი – ველდიდი), ადგ. 1. „იგი მთის მკერდზეა გაშლილი, ვრცელი ველია, რზენი დიდია, ზენდი ან ზინდია“; 2. „ზინრე – მოსასვენებელი, საწოლი ადგილია. სახლობენ გაბედავები“ (გ. ხუხუნი). მთარზენსა და უჩა ხურუს მთებს შორის გაჭიმული ველი.

ზურგა (მიწაზურგა), ადგ. „უძველესი ნასალოცვარია“.

თარზენი, გოლარზენი (მთაველობი), ადგ. „მთის შეფენაზე და მის ძირას, მდინარე ხობისწყლის ჭალაზე, არის ეს მთავარი რზენი, მთავარი ველობი. აქ სიმინდის და ღომის უხვი მოსავალი მოდიოდა თურმე“.

თიქნოხორიი (თიქნასახლარი), ადგ.

თხირიში (თხილისა), უბანი. ამავე სახელწოდების მდინარეცაა. ხობისწყლის შენაკადია.

კალაშ დუდი (კალას თავი), მთაა.

კალაში (ლერწამი), ადგ. „აქ სულ ლარჭემი (ლერწამი) ყოფილა. მისგან მწყემსები ლარჭემს აკეთებდნენ.

კალაში, ადგ.

კაპუნია, ადგ. „უძველესი სალოცავი ყოფილა. აქ კაპუნიობა სცოდნიათ“.

კირზული, ადგ. „აქაც გაშლილი ოსკალებია. ზაფხულში აქ დაჰქონდათ სკის ბუკები და ჰყავდათ სკა. ჩვენი სოფლის ღირსებას ფუტკარი და თაფლი წარმოადგენდა. გარდა თაფლისა, ჩვენი მხარის მშრომელებს ბაზარში გაჰქონდათ ცვილი და თაფლის არაყი. თაფლის არაყი ყველაზე საუკეთესო არაყია“.

კრზალა (მწევარ ძაღლთა სანაშენო), ადგ. „აქ დადიანებს კურზვალი – მწევარ ძაღლთა სანაშენო ჰქონიათ. აქვე ყოფილა ძაღლით სანადირო ადგილები კურდღელზე და მელაზე“ (ნიკოლოზ ალექსის ძე გახარია, წლისა). „მთა ჰგავს ღომის მოსაზელ კირზას“.

კუჭუხურა, ადგ.

ლაკადა (მთისწინა), მთისწინა ფერდობები და ველობი. „სულ ეს დაბალი ადგილები, მთის კალთები, ბორცვები და გორაკები მთისწინა, ძველებიდან ლაკადა ადგილებადაა დასახელებული“.

ლაკადა, ადგ. „მთის ფერდობია, იქნებ „ლაკადა?“

ლანჯერი (ლანჯობა – კოპიტნარი), ადგ.

ლარიდია, ადგ. „თოლორდავების ნასახლარია“.

ლებარბალე, ადგ. „მეორე მუხურში ბაძაღუების სალოცავი ადგილია. აქ მათ ბარბალობა იცოდნენ“.

ლებაძაღუე (საბაძაღუო), უბანი. „ბაძაღუების (გვარია) სამოსახლო აქ“.

ლებაბედე, გაბედავების (გვარია) უბანი.

ლებახარე (საგახარო), უბანი. გახარიების (გვარია) უბანი.

ლებახარე, უბანი მეორე მუხურში. „გახარიები (გვარია) სახლობენ“.

ლევან ჩიჩუაში ყვანა (ლევან ჩიჩუას ყანა), ადგ. „ლევანის ყმა სახლებულა აქ. იგი მოხუცი ყოფილა, ლევანს მისთვის ახალგაზრდა ცოლის შერთვა ურჩევია. ყმას ცოლი შეურთავს, რომელთანაც შემდეგ ლევანი ატარებდა თურმე დროს“.

ლეთოლორდე (სათოლორდაო), უბანი. „თოლორდავები სახლობენ“.

ლეთორდე (სათოლორდაო), უბანი. თოლორდავების (გვარია) უბანი.

ლეკი, ადგ. „მინერალური საღებავი – ეკი ან ლეკი ამოჰქონდათ წინათ“.

ლეკი, უბანი. დასახლება ხობისწყლის პირას.

ლეკუნე (უკუნეთი ადგილი), ადგ. „უკუნა (გვარია) სახლებულა აქ“. არის მაღლარი ვაზი. დღეს ნასახლარია“.

ლენჭეხა (საწურავი ადგილი), ადგ. „აქ უძველეს დროში რკინას წურავდნენ თურმე“ (გ. ხუხუნი).

ლეროგე (ლეროგავე), უბანი. „როგავები (გვარია) ესახლნენ წინათ. მათი უბანია“.

ლესოსელე, სოსელიების (გვარია) უბანი.

ლეტალიკე, ადგ.

ლეფაცაცე (საფაცაციო, უბანი. ფაცაციები (გვარია) სახლებულან აქ“.

ლექომეთიანო (საქომეთიანო), უბანი. „ქომეთიანები (გვარია) სახლობენ აქ“.

ლეჩიქვანე (საჩიქვანო), უბანი. „ჩიქოვანები სახლობენ“.

ლეცირდე, ცირდავების (გვარია) უბანი, „ამ უბანზე გადის მთის გზა. სოფლის ცენტრში ოხვამეა, – ეკლესია“.

ლუგელა, ადგ. „ხეობა ჩაკვეთილია ლამაზი იწროხით და მოედინება წყაროს წყალი. მას შეერთვის მწარე, მჟავე წყალი, რომელიც უძველესი დროიდან მეცხოველეებს სამკურნალოდ მიაჩნდათ. ახლა იგი გამოყენებულია ფართოდ. აქაც მოდიან და ისვენებენ ავადმყოფები,იქითაც გააქვს მთავრობას დაბეჭდილი და აფთიაქებში ყიდის. მისი ხეობა ბუნების ღირსშესანიშნაობით ძალიან მდიდარია. აქ წიფლისა და წაბლის მაღალი კორომები, კლდეები და ქვები შემოსილია ფაფუკი, ხაოიანი, გამჭვირვალე მწვანე ხავსით. მთაში მრავალ ადგილასაა კარსტული ქვაბები. ეს მდინარე ხობისწყლის ხეობაა ქოცოდან ვიდრე მიხეილ თოლორდავას ნასახლარამდე“.

ლუხარი, პიტალო კლდე, მთის ზღუდარი.

მაფელღელე (მაფელი წყარო და ღელე), წყარო და ღელე. „მას მაფა წყარსა, – მეფე წყალსაც ეტყვიან, წყლების მეფეს. უერთდება ხობწყალს“.

მახუტელა, „ადგილი და გამოქვაბული. მახუტელა გახარიას სახელთანაა დაკავშირებული“ (გ. ხუხუნი).

მენჯი, ადგ. „მინერალური წყალი გამოდის“.

მიტოში ნოხორიი (მიტოს ნასახლარი), ადგ.

მიხაში კარე (მიხას კარავი), ადგ. „ისიც მესაქონლე მიხა როგავას კარავი ყოფილა“.

მიხელაში კარე (მიხელას კარავი), ადგ. „მესაქონლის სადგომი, კარავი, ჯიხური. აქვე ჰქონდა აგვარა“.

მუმულონი სუკი, გორაკი, ადგ.

მუხური (კუთხე), სასოფლო საბჭოს ცენტრი. მთელ სასოფლო საბჭოს ასე ეწოდება. მუხური უძველესი დროიდან ამ ადგილის სტრატეგიული, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი ყოფილა. XIX საუკუნის ბოლოს უკვე არსებობდა მამასახლისის კანცელარია, ფოსტა. აქ, წალენჯიხისკენ მიმავალი გზის ამ ჯვარედინზე იყო ეტლების და დილიჟანების გასაჩერებელი და ცხენების გამოსაცვლელი, მცირე სასტუმრო სახლიც. მისი სავაჭრო ურთიერთობა ზუგდიდს, ქუთაისს და იქითაც ვრცელდებოდა. XIX საუკუნის დასასრულისთვის აქ არსებობდა სადურგლო სახელოსნოები, ფართლეულის, გალანტერიის, წვრილმანი სამეურნეო საქონლის სავაჭრო დუქნები, არსებობდა ფურნე, სამიკიტნოები. სოფელს ემსახურებოდა ერთი ბიბლიოთეკა და ერთი ერთკლასიანი სასწავლებელიც (1896 წლიდან ორკლასიანი). აქვე იყო აფთიაქი, აქ ცხოვრობდა და საქმიანობდა ერთი ფერშალიც. სოფლის ღირსებას წარმოადგენდა ხობისწყლის ხეობის შესანიშნავი ჰაერი, რომელიც ზღვისა და მთის ჰაერის ნაზავს წარმოადგენს და სააგარაკო მნიშვნელობას აძლევს ამ ადგილს. აქვე იყო მინერალური წყლები, უძველესი მინერალური გამოსავლები. აქვე,

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეზე ძველთაგანვე ტერასული ტიპის მიწათმოქმედება იყო განვითარებული. მცირე, ქვის ღორღით და ღობურით გამაგრებული ტერასული ტრანშეები კიბისებურად მიუყვებოდა ფერდობებს და ჭადაჭადას, ღომის და სიმინდის ნათესებით, ხილითა და ყურძნით იყო დამშვენებული. **მუხური** კუთხეს ნიშნავს, ერთ კუთხეს, კუთხისაგან გამორჩეულ, შედარებით ვრცელ უბანს“ (ნიკოლოზ ალექსის ძე გახარია, 64 წლისა).

ნააეროდრომალი (ნაჰაეროდრომალი), ადგ. „ჰაეროდრომისათვის მოუწყვიათ მინდორი. ერთი-ორჯერ კიდეც დაფრენილა თვითმფრინავი. ახლა ყანა და ბაღია“.

ნადოხორუ (ნასახლარი), ადგ. „დადიანს ზანაში არ მოსწონებია ადგილი. აქ მოსულა, ძლიერ მოსწონებია და სასახლე და კარ-მიდამო შეუქმნია აქ“.

ნადუქანუ (ნადუქნევი), ადგ. „ამ უბანშიც იდგა ძველი დუქანი“.

ნათიფურუ (ნათიბარი), ადგ. ადგილი, სადაც საქონელს აძოვებდნენ.

ნათიფურუ (სათიბი), ადგ. „ძალიან მსუყე და მაღალი ბალახი იცის. აქ თიბავდნენ წინათ თივას მესაქონლეები და ინახავდნენ ზამთრისთვის“ (სანდრო ცირდავა).

ნალისმარღელე (ნალურსმანი ღელე), ღელე.

ნამაშინ (ნამანქანარი), ადგ. „ XIX ს. პირველ ნახევარში უცხო ვაჭრებს მანქანები ჰქონიათ წყლის ენერგიაზე მოწყობილი“.

ნანწყუ (ნამეწყრალი), ადგ.

ნაოსხაპუ (ნასაცეკვარი), ადგ.

ნაოჭკადუ (ნასამჭედლარი), ადგ. „უძველესი სამჭედლო ყოფილა, აქვე ჭახუნდეს, – წურავდნენ თურმე რკინასაც“ (რომან შალიკოს ძე ქომეთიანი, წლისა).

ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ადგ. „უძველესი ნასალოცვარია, ადგილობრივ მკვიდრთა სალოცავი“.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ადგ. „უძველესი ნასალოცვარია“.

ნაფოშტუ (ნაფოსტარი), ადგ. „უძველესი ნაფოსტარია“.

ნაცხა (ნაჭვარა, გადამწვარი, ახო), ადგ. „აქ ადგილი გეგნუნცხალუნა, გეგნუჭუნა, გადაუწვიათ და დაუმუშავებიათ. თამარ მეფეს უჩუქნია და ამიტომ ნახვამა ადგილია“.

ნახარდანუ (ნახარდნალი), ადგ.

ნახუერი, ღელე.

ნობაღუერი (ნაბეღლარი), მთა.

ნოხორი (ნასახლარი), ადგ. „ბეროკიას გვარის ხალხი სახლებულა. დღეს ნასახლარია“.

ნოხორიი (ნასახლარი), ადგ.

ნუზმიკატახუ (ნაძვის მოსატეხი), ადგ.

ნუხა, ხიდი. „აქ, მდინარე ხობისწყალზე, სოფელ მუხურის ცენტრში ადრე, ძალიან შორეულ დროს, თამარის დროს აგებული ოვალური ერთთაღიანი, აგურისა და ქვის ბურჯებზე დაყრდნობილი ხიდი ყოფილა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აქ ცემენტის ორ ოვალურ თაღზე დაყრდნობილი რკინა-ბეტონის ხიდი აუგიათ. მის მიდამოებს და ხიდს ასე ეძახიან“ (გრ. შენგელია).

ოთიფურე (სათიბი), ადგ. „ამბობენ ოთფ-დუა-თფ-დუა, ე. ი. ჯოგის დასასვენებელი იყოო“.

ოკვარიე (საყორნე), ადგ.

ოკირეში (საკირე), ადგ. „უძველეს საკირე ორმოებს ახლაც ვთხრით ხოლმე“.

ოლეტე ღალი, ღელე.

ონტკილე (სატკილო), ადგ.

ოროგე, ადგ.

ოსინდალე (სასიძო), მთაა. „ლაკადას ზემოთ, ხობისწყლის მარცხენა ნაპირზე, თაიას ზემოთ, ადგილია და მთაა. იგი თაიადან მუხურის სასოფლო საბჭოში ვრცელდება. გზა მუხურიდან ადის. ძალიან სააგარაკო და მდიდარი ადგილია. სულ ჭყონა და წიფურონა ტყეებია, – სულ მუხნარი და წიფლნარი ტყეებია“.

ოსკალე (საფუტკრე), ადგ. მელეთშია.

ოსკალე სანაშენო (ფუტკრის სანაშენე მეურნეობა), მეურნეობის ცენტრი, მცირე დაბა. ამ მეურნეობას მსოფლიოს 85 ქვეყანასთან აქვს კავშირი. აქედან ვრცელდება კოლხური რუხი ფუტკარი. ჩვენ ხელთ გვაქვს წერილი პოლონელი პროფესორისა, სადაც იგი თხოვს მეურნეობის დირექციას, რომ ერთი დედაფუტკარი გადაუგზავნონ მას. იგი წერს, რომ კოლხური ფუტკარი მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო ჯიშისაა.

ოტორონჯე (სამტრედო), ადგ. მენჯის მიდამოებში.

ოტურე (სატურე), ადგ. დღეს ჩაის პლანტაციაა.

ოყორანე (საყორნე), ადგ. „მთის ფერდობია წაბლის, მუხის, ცაცხვის და წიფლის ხშირი ტყით დაფარული. მისი ფერდობი დამშვენებული ყოფილა კაკლის მრავალწლიანი ხეებით. აქ სულ ყორნები ბუდობდა“.

ოშარდენე, კლდე უჩარუხუს თავზე. „შევარდენის საბუდარი ყოფილა“.

ოცხენე (საცხენო), გზა. იგი გადადის წალენჯიხაში.

ოძილე (საძებნი, თევზსაჭერი), ადგ. „აქ, ხობისწყლის ამ მცირე ფონთან ჩვენი ძველები დგამდნენ ფაცერებს, ბადეთი იჭერდნენ კალმახს. ეს ოძიე ადგილი დადიანებმაც კი იცოდნენ და ხშირად კრძალავდნენ აქ თევზჭერას, თვითონ მოდიოდნენ და თევზის ჭერით ირთობდნენ თავს“ (გრიშა მიხეილის ძე ქებურია, წლის).

ოხარკალუ, „უფსკრულიანი ადგილი, საიდანაც აქ ქვები ცვივა“.

ოხვამე (ეკლესია), ადგ. „აქ დიდი დღეობა იცოდნენ – წაკურთხობა. აქვე იცოდნენ ალერტობა გაზაფხულსა და შემოდგომაზე“.

ოხვამე (ეკლესია), ეკლესია. XIX ს. ბაზილიკური ნაგებობის ნანგრევია.

ოხვამე კარი (ეკლესიის კარი) მოედანია, ადგ. „აქ შაყარუა – თავშეყრა იცოდნენ გასართობად და საცეკვაოდ, სალხენად. ასევე, დღესასწაულებს ატარებდნენ აქვე, იცოდნენ ალერტობა, თერდობა. თოლორდავების ნამოსახლარია“.

ოხოჯე (სახარე), მთაა. „აქ სულ ხარებს აძოვებდნენ. ამ ბორცვიან ხეობებში ხარების ლაღი რბენა და ძოვა უფრო უხიფათო იყო“.

ოჯაპე (სათუთე), ადგ.

ოყუნვარი, მთა. „ფრინველთა ღამით დასაბუდებელი ადგილია“.

პაპასქირიში გინალურა (პაპასქირის დანაძინები), ადგ. „აქ პაპასქირს დაუძინია და ვერც ამდგარა“.

პაპასქირიში წყარი, ღელე. მჟავე წყალია.

საბაძაღუო, უბანი. „ბაძაღუები (გვარია) სახლობენ“.

სამარჭიხოლო (სამერცხლე), ადგ.

საცირამუო, უბანი. ცირამუების (ცირამუა გვარია), დასახლება.

საჯარო (საჯარო), ადგ. „აქ ჯარალუა და შაყარუა ხდებოდა. აქ იმართებოდა ცეკვა-თამაში; ახალგაზრდები სწავლობდნენ ცხენოსნობას, ეჯიბრებოდნენ; ერთმანეთს ხვდებოდნენ ახალგაზრდები; სასიძო საპატარძლოს აქ ეცნობოდა“.

სკური, „ადგილი და წყაროა. წყარო მინერალურია, მუხურის წყლის მსგავსი. ადგილიც გაშლილი ადგილია, ნაყოფიერი, ტყიანი და ვაზიანი დობერო ღელეც ჩამოუდის“.

სძურჩა, ღელე და ადგილი.

სძურჩა. მდინარე.

ტეხირი (ტეხილი), მთა, მთაზე გადასასვლელი უნაგირი.

ტოტიაში ნოხორი (ტოტიას ნასახლარი), ადგ.

ტოჩიში ღალი (ტოჩის ღელე), ღელე.

ურთხელონი (ურთხლნარი), ადგ. „აქ სულ ურთხელები ყოფილა, მრავალწლიანი ხეები. დღეს ბევრი გაჩეხეს, მაგრამ ახლაცაა შემორჩენილი საკმაოდ სქელი ტყიანი ურთხელისა“.

უჩარუხუ (შავი ხევი), ადგ. „უჩა, რუმე, რუხურე, ხურურე, შავი, ბნელი ხეობაა. ძლიერ საშიშარი. შავი ქვის გროვა“.

ფეხნოხორი (ფეხნასახლარი), ადგ. „ფეხუ ფიფია ნასახლება აქ ოდესღაც“.

ფუქი, ადგ. „ფუქი (ბალახია) იცოდა აქ“.

ქარჩახეში ღალ (ქარჩავას ასულის ღელე), ადგ. „ქვრივი ქალი ყოფილა, ძალიან მამაცი და შრომისმოყვარე. აქ მას მიწები ჰქონია და ამ ღელესთვის მისი სახელი უწოდებიათ“.

ქვაბი (გამოქვაბული), გამოქვაბული ხობწყარის აღმოსავლეთ ნაპირზე, ოსინდალეს მთაზე, თარზენის ჩრდილოეთით, ბზისა და წიფლის ტევრში ქვები და ხეები შემოსილია მწვანე თივთიკივით რბილი ხავსით. აქ, მთის სიღრმეში იჭრება კარსტული მღვიმე, საინტერესო კარსტული წარმონაქმნებით – სტალაქტიდებით და სტალაგმიტებით. პირველი დარბაზი მოფენილია ხავსით. ძალიან საინტერესო ბუნებრივი წარმონაქმნია. რაიონის ახალგაზრდობას უცდია მისი კეთილმოწყობა, დამთვალიერებელთათვის მისადგომად გაუხდიათ იგი“.

ქოხო, ქოხო, (ნაყოფიერი) უბანი, პატარა სოფელი. „ეს ადგილი ძველთაგანვე ცნობილია თავისი დიდი ნაყოფიერებით. მიწა აქ შავია, საფანტივით შავი და ადვილად დასამუშავებელი, ეფშა, დალოცვილი. ხილიან-ვაზიან-ვენახიანი, დადიანების დასამუშავებელი ადგილი“ (გრიშა შოთას ძე ქებურია, 63 წლისა). მთიანი სოფელია, მდებარეობს მდ. ხობისწყლის ზედა წელზე. სახლობს 37 ოჯახი.

ღალიში წყარი, ღელე. მჟავე წყალია, რკინის შემცველი.

ღუნჯი, ადგ.

ღუნჯი, ღელე.

ღუნჯიში წყარი, ღელე.

შავაში ნაკარუ (შავას ნაკარვალი), ადგ. შელეთის ბოლოსაა, ნამოსახლარი ადგილი. „აქ შავა თოდუას, მწყემსს ჰქონია კარავი, არის ვენახი მაღლარზე“.

შაშაში წყარი (შაშას წყალი), წყარო.

შელეთფერდი (შელეთის ფერდობი), ადგ.

შელეთი, ადგ. „მდ. ხობისწყლის ზემოწელზე, მუხურის ზევით. სახელწოდება წარმომდგარია შელიების ნასახლარიდან. აქ სახლებულან, შემდეგ განსახლებულან. შელიათი, შელიას თი, შელიას სახლ-კარი“ (გ. ხუხუნი).

შიქშაღალ (შიქშა ღელე), ღელე.

შიქშაში დუდი (შიქშასთავი), ადგ. „არის გადმოცემა, რომ აქ ყოფილა თბილი წყალი, სამკურნალო. აშენებული ყოფილა აბანო. აქ ქალები მოდიოდნენ, რეცხავდნენ სარეცხს და აშრობდნენ. ავადმყოფები მოდიოდნენ, ტანს იბანდნენ და მკურნალობდნენ. როცა ოსინდალეს ტყე გაიჩეხა, წყალმა იკლო. მეწყერმა აავსო შიქშასთავი. ცივი წყალი შეერია და გააცივა თბილი წყალი. ჩვენ ერთხელ გავთხარეთ, ძველ ნაგებობამდე მივედით. მაგრამ ცაცხვი მოჭრეს და მეწყერმა ისევ დაფარა ეს ადგილი. საჭიროა გაბურღვა. გვალვის დროს თოლორდავები ხარს იყიდიდნენ, მოდიოდნენ აქ, ამ წყლით ხარშავდნენ და იქვე ლოცულობდნენ“ (ნ. გახარია).

შურუბუმ (ულაპარაკო, უხმაურო), ადგ. „აქ ქალი დამალულა, რომელიც გამოქცევია მდევრებს და სული გაუკმენდია, ხმა არ ამოუღია, შემალულა ქვაბში და თავი გადაურჩენია“.

შუშელი (ტიტველი, ალპური ზონა), მთა. „ოსინდალეს და წელამის დუდი სულ შიშველია. ძალიან მდიდარი საზაფხულო საძოვარი“.

ჩე გვალა (თეთრი მთა), მთა.

ჩიჩუაში ნოხორიი (ჩიჩუას ნასახლარი), ადგ.

ცაშიკიბელი (ცაზე ჩამოკიდებული, ცამდე კიბე), ადგ. „ყველაზე მაღალი მწვერვალი ამ ადგილზე, მთა გვამარდასთან. არის გადმოცემა, რომ ამ ციცაბო კლდეზე ნოეს კიდობანი იყო დამდგარი, მიბმული რკინის პალოზე, ჯაჭვით. ახლაც არის აქ რკინის პალო. აქ შემდეგ ქაჯები ბუდობდნენ. ქაჯებისა და ეშმაკების საბუდარია. არის გადმოცემა, რომ აქ მხოლოდ გუჯუ გახარია ნადირობდა ჯიხვებზე. ერთ-ერთი მონადირე აქ ჯიხვს გამოკიდებია. ჯიხვი გაქცეულა. იგი გამოკიდებია მას, გადაჩეხილა უფსკრულში (ნ. გახარია).

წელამი, მთის ფერდობია, ადგ. „წელამონა, შალაფონა ყოფილა, ამიტომ შერქმევია ადგილს ეს სახელი. ნამოსახლარია“ (გ. ხუხუნი).

წიფონა (წიფლნარი), ადგ.

წყარიში ოშუმუ (წყლის დასალევი), წყარო. „ამ ხეობაში ეს ყველაზე სუფთა და ცივი წყალია. ამ ადგილას ჩერდებოდნენ მთისკენ მიმავალი მწყემსები და წყალს სვამდნენ. აქ უყვარდათ მოსვლა დადიანებს. სანადიროდ რომ გადიოდნენ, აქ წყალს სვამდნენ“ (კუკური გახარია).

ჭალე, ჭალა.

ჭალე, ხობისწყლის ჭალა.

ჭითაწყარი, მდინარე ხობწყალის შენაკადი.

ჭიფანაშ ღელე (ღელეა), უერთდება შიქშას.

ჭუჭელონი (ჭინჭრიანი), ადგ. „სულ ჭინჭარი სცოდნია და იცის ახლაც, მაღალი და ძლიერ მსუსხავი“.

ჭყონა (მუხნარი), ადგ. „სულ ჭყონა იყო ლებარდეს ზემოთ. დღეს მუხნარი გაჩეხილია“.

ხაბლერი, ადგ. ოღრო-ჩოღრო ორწოხი. სახლობენ გახარიები.

ხამა, ადგ.

ხასაბუ (ხეზე ჩამოსაკიდი, კაკვზე ჩამოსაკიდი), ადგ. „აქ ისეთი ციცაბო ბილიკები იყო, რომ კაცი მხოლოდ ხის ტოტს, – ხას უნდა ჩამოკიდებოდა და ისე გაევლო, ამიტომ ეძახიან ადგილს ხასაბუს – ხას აბუნი რე“.

ხეილი (მორღვეული, ფლატე), ადგ. „ჩახსნილი, გამორღვეული ადგილია“.

ხვიმალონი, მთა. ლეგელას ხეობის ნაწილი.

ხობწყარიში დუდი (ხობისწყლისთავი), ადგ. „აქ, ამ ვიწრო, მაღალ და ლამაზ ხეობაში ხავსით დაფარულ ქვაბში ჩანჩქერად გადმოსჩქეფს ხობწყარისთავი“.

ჯვეში შარა (ძველი გზა), გზა. „აქ გადიოდა შქა სამარგალოში შარა. იგი წალენჯიხის გავლით ზუგდიდში გადიოდა“.

ბეგეჟკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკური ატლასი

ნაკიანის სასოფლო საბჭო

1980 წ.



პირობითი ნიშნები:

- სასოფლო საბჭოს საზღვრები
- ● სასოფლო საბჭოს და უბნების ცენტრები
- ქედნიშნები
- გზები

მასშტაბი: 1:25 000

ნაკიანი

სოფელი რელიეფურად მთაგორიანია. მისი ცენტრი მდებარეობს ბიტ-ნაცუდუს და ნატებუს მაღალ სერზე. აქედან რამდენიმე ტოტად იშლება სერი. სოფელს დასავლეთით გარახა საზღვრავს, – სადაბო საბჭოში შემავალი მაღალი, უწყვეტი სერი, სამხრეთ-აღმოსავლეთით – ᲐᲮᲣᲗᲘᲡ სასოფლო საბჭო, ჩრდილო-დასავლეთით – ᲭᲝᲦᲘᲡ სასოფლო საბჭო და ჩრდილო-აღმოსავლეთით – ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘᲡ რაიონი. სოფელი შეფენილია მთის კალთებსა და გორაკ-ბორცვებზე. ნიადაგი აქ წითელმიწა-ალუვიური და ყვითელმიწა-კარბონატული ხასიათისაა. ამიტომ ვაზისა და ხილის ბაღნარებითაა შემოსილი. ჩაის კულტურა აქ მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. ასეთივე მნიშვნელობისაა ტუნგოს კულტურაც. ოდესღაც ეს სოფელი ყურძნის და ხილის სიუხვით, ჭადაჭადას და ღომის ღომის მაღალი მოსავლით ყოფილა გამორჩეული. სოფელში მრავლადაა ᲝᲡᲙᲐᲚᲔ და ᲜᲐᲝᲡᲙᲐᲚᲣ ადგილები, სადაც წინათ ფუტკრის უამრავი სკები იდგა. თითოეულ ოჯახს 200-დან 500 ბუკამდე სკა ჰყავდა. როგორც რ. ყალიჩავა გადმოგვცემს, იყო ოჯახი, რომელიც სენაკის და ზუგდიდის ბაზრებში 100-150 ფუთ თაფლს, სანთელსა და თაფლის არაყს ყიდდა. ამიტომ აქ ყოფილა ფუტკრის ღვთაებრივი რიტუალის კერა „ᲯᲔᲠᲐᲒᲣᲜᲐ-ᲯᲒᲔᲠᲐᲒᲣᲜᲐ“.

ᲐᲑᲐᲜᲐᲙᲐᲠᲘ (აბანოს კარი), ადგ. „აბანოს წინ ველი“.

ᲐᲑᲐᲜᲝ (აბანო), ადგ. „აქ კარსტული ქვაბურიდან გადმოდის წყალი. მის ქვემოთ კირქვის, წყლის მიერ ამოღრუებული ავზების მსგავსი ღრმულებია. აქ ძველად აბანო ჰქონდათ მოწყობილი, ამჟამად ამ წყაროს ბაზაზე შექმნილია თევზის მოსაშენებელი აუზი ნახევარ ჰექტარზე“ (შ. ყალიჩავა).

ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲨᲘ ᲠᲖᲔᲜᲘ (ალექსის ველი), ადგ.

ᲑᲐᲬᲐᲜᲐ, ადგ.

ᲑᲘᲢᲜᲐᲬᲣᲓᲣ (ბიტის ნასახლარი), ადგ.

ᲑᲘᲢᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (ბიტის ნასახლარი), ადგ.

ᲑᲝᲮᲗᲣᲠᲘ (ბოხთური), ადგ. „ამ ადგილზე ადრე ნაცხოვრება ბოხუას გვარი. ბოხუას თურის (გვარის) ნასახლარი“.

ᲑᲣᲚᲔᲙᲣᲠᲘ, ადგ.

ᲑᲣᲛᲔ ᲬᲧᲐᲠᲘ (ბუმე ღელე), ღელე.

ᲑᲐᲠᲐᲮᲐ, სერი, „აქ გრძელდება ის სერი. არის კედლის ნაშთი“.

ᲑᲣᲓᲐᲐᲡᲘ (გუდას ყანა), ადგ.

ᲑᲣᲘᲐᲨ ᲠᲖᲔᲜᲘ (გუიას ველი), ადგ. დღეს ტუნგოა გაშენებული, ტუნგოს პლანტაციაა.

ᲑᲣᲠᲐᲗᲘ (გურას თი, გურას ოჯახი), ადგ. „გურა ყოფილა ვიღაც ძლიერი კაცი, მას დიდი თი, – დიდი სახლი, ოჯახი, კარ-მიდამო ჰქონია“ (რ. ყალიჩავა).

ᲓᲘᲓᲘ ᲑᲐ (დიდი სერი), ადგ.

ᲓᲝᲑᲔᲠᲐ (დობილო), ადგ.

ᲓᲦᲣᲜᲓᲦᲣᲨᲝᲜᲐ (დღუნდღუშის დობილო ყოფილა), ადგ. „აქ დღუნდღუშის ჯიშის ვაზი იყო მაღლარზე მიშვებული. იცის მსხვილი მარცვლები. მწიფდება ხორცისფრად, იცის ხორცისფერი ღვინო. ღვინოს ადესის გემო აქვს. იყენებენ სასუფრედაც და საღვინედაც. ღვინო საშუალო ხარისხისაა“.

ᲔᲜᲬᲔᲠᲘ (ეწერი), ადგ. „დღეს ჩაის პლანტაციაა“.

ᲗᲔᲑᲠᲝᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘ (თებროს ნასახლარი), ადგ.

ᲙᲐᲓᲐᲠᲘ (ქვიანი, კაჟონა), ადგ.

ᲙᲐᲓᲐᲠᲘ, ადგ. „დიდი გაზე (სერზე) გაშლილი ქვიანი ადგილია“.

ᲙᲘᲠᲜᲐᲢᲐᲮᲐ (კირნამტვრევი), ადგ. „უძველესი საკირე“.

ᲙᲘᲢᲜᲝᲮᲝᲠᲣ (კიტის ნასახლარი), ადგ.

ᲙᲝᲛᲣᲜᲐᲨᲘ ᲨᲐᲠᲐ (კომუნას გზა), ადგ. „აქ პირველ კოლმეურნეობას „კომუნაშ შარა“, – „კომუნის გზა“ შეერქვა. მისი სამეურნეო ეზო და კანცელარია იყო აქ“.

ᲙᲣᲠᲙᲣᲪᲐ (მიწაზუგა), ადგ. „უძველესი ნასალოცვარია. აქ იცოდნენ 20 კვირკვობის თვეს ელიობის, ჭეჭეთობის დღესასწაული. ცეცხლს ანთებდნენ და მთელ ღამეს ათენებდნენ“.

ᲙᲣᲠᲙᲣᲪᲐ (მიწაზურგა), ადგ.

ᲚᲔᲐᲮᲐᲚᲔ (ახალაიების უბანი), უბანი. „ახალაიები (გვარია) სახლობენ“.

ᲚᲔᲐᲮᲐᲚᲔᲨᲘ ᲝᲮᲕᲐᲛᲔ (ლეახალეს ეკლესია), ნაეკლესიარი ადგილი.

ᲚᲔᲓᲝᲚᲑᲐᲘᲔ, დოლბაიების (გვარია) უბანი. „წინათ მრავალი მოსახლე იყო აქ. ახლა მხოლოდ რამდენიმე კომლი დავრჩით“ (ვაჟა რაჟდენის ძე დოლბაია, 50 წლისა).

ᲚᲔᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲔ (საკვარაცხელიო), კვარაცხელიების (გვარია) უბანი.

ᲚᲔᲥᲐᲠᲩᲔᲨᲘ ᲝᲮᲕᲐᲛᲔ (ლექარჩეს ეკლესია), დღეს ბაზილიკური ნაგებობის ნანგრევებია შემორჩენილი.

ᲚᲔᲥᲐᲠᲩᲔᲨᲘ ᲝᲮᲕᲐᲛᲔ (ლექარჩეს ეკლესია), ეკლესია. დღესაც დგას ბაზილიკური ერთნავიანი ეკლესია, XIX ს. პირველი ნახევრის ნაგებობა.

ᲚᲔᲩᲝᲙᲝᲠᲔ (ჩოკორაიების ნასახლარი), უბანი. „ჩოკორაიები (გვარია) ახლაც სახლობენ აქ“.

ᲚᲔᲭᲔᲭᲘᲔ (ჭეჭიების უბანი), უბანი. „ჭეჭიების (გვარია) სამოსახლო“.

ᲚᲔᲯᲝᲛᲘᲓᲔ (ჯომიდავების ნასახლარი), ადგ. „ჯომიდას (გვარია) ნასახლარი“.

ᲛᲐᲚᲐᲥᲘᲐᲨᲘ ᲜᲐᲬᲕᲐᲜᲣ (მალაქიას ნაყანარი), ადგ.

ᲜᲐᲑᲔᲠᲐᲚᲣ (ნადროშალი), ადგ.

ᲜᲐᲙᲐᲜᲢᲝᲠᲣ (ნაკანტორალი), ადგ. „პირველი კოლმეურნეობის კანცელარია მდგარა. კოლმეურნეობის სამეურნეო ეზო იყო“.

ᲜᲐᲙᲐᲠᲣ (ნაკარვალი), ადგ.

ᲜᲐᲙᲐᲠᲣ (ნაკარვალი), ადგ. „იტყვიან – ტოტიას ნაკარუაო. მესაქონლე ყოფილა“.

ᲜᲐᲙᲘᲐᲜᲘ, ს/ს ცენტრი. „დოლბაიები, სამი ძმა, იმერეთიდან გამოქცეულა, ჩხოროწყუში გუბერნატორთან მისულან და უთხოვიათ, ტყე ადგილი მიგვასწავლეთო, იმას მოვჭვარავთ და ვიცხოვრებთო. მას აქ ჯორღალის მიდამოებში უსწავლებია. აქ წინათ კიკიანები სახლებულან. კიკიანები ჭირს გაუწყვეტია. ვინც გადარჩენილა, ამ ადგილებიდან გადასახლებულან. ადგილს ᲜᲐᲙᲘᲙᲘᲐᲜᲣ, – კიკიანების ნასახლარი შერქმევია. ეს ადგილი დაბურულ ტყედ ქცეულა. ის სამი ძმა აქ მოსულა, ადგილი გაუწმენდიათ და სამ სერზე, სამ სუკზე დასახლებულან. შემდეგ მომრავლებულან“ (ვაჟა დოლბაძე).

ᲜᲐᲙᲚᲐᲡᲣ (ნასკოლარი), ადგ. „აქ ნაკიანის ერთკლასიანი სკოლის შენობა მდგარა. ეს სკოლა პირველი სასწავლებელი ყოფილა ამ კუთხეში.

ᲜᲐᲚᲔᲙᲣ (ნალეკარი), ადგ. „აქ მინერალური საღებავი – ეკი ამოჰქონდათ და მით ჩოხას ღებავდნენ. იგი შავად ღებავდა თურმე.

ᲜᲐᲚᲔᲩᲮᲣ, ადგ.

ᲜᲐᲚᲔᲩᲮᲣᲣ, ადგ.

ᲜᲐᲜᲐᲗᲘ (ნანას სახლი), ადგ. „აქ ნანა სახლებულა, დიდი კაცი, მას დიდი ოჯახი ჰქონია აქ“.

ᲜᲐᲝᲡᲮᲐᲞᲣ (ნასაცეკვარი), ადგ. „სადაც ჯარობა იმართებოდა. ხალხი ყოველ შაბათს და კვირას იკრიბებოდა აქ“.

ᲜᲐᲝᲩᲐᲦᲣᲠᲣ, ადგ. „ეძახიან ნაჩაღურუსაც“.

ᲜᲐᲝᲮᲕᲐᲛᲣ (ნასალოცვარი), ადგ. „უძველესი ნაოხვამუა. აქ ნახნავზე ცვივა ძველი ნივთები. ეს სალოცავი ყალიჩების (ყალიჩავა გვარია) ყოფილა. არის გადმოცემა, რომ აქ მოსახლე ხალხი გადმოსახლებულა სვანეთიდან (ალანეთიდან). აქ მათ ერთი ცაცხვი დაურგავთ და მის ძირას დაუთქვამთ თავიანთი ძირის ხატი. აქ შეგროვებულ შესაწირავ ფულს ისინი ალანეთში აგზავნიდნენ. აქ ისინი ვაცს (ყოჩს), ოჩს კლავდნენ, იქვე ხარშავდნენ და ჭამდნენ“.

ᲜᲐᲝᲮᲕᲐᲛᲣ (ნასალოცვარი), სასაფლაო. „აქ იმარხებიან დოლბაიები, ჩოკორაიები და ყალიჩავები. ყალიჩავებს აქ აქვთ მიოხვამური, – მისალოცი“.

ᲜᲐᲠᲐᲓᲝᲜᲣ, როდონაიების (გვარია) ნასახლარი, ადგ. „დღეს რადონაიები ან როდონაიები აქ არ სახლობენ“.

ᲜᲐᲠᲓᲐᲜᲘ, ადგ.

ᲜᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲨᲘ ᲒᲘᲜᲐᲢᲙᲘᲚᲐ (ნარდიანის მოტკილული), ადგ. „აქ ტკილით გაუნოყიერებიათ ეს მიწა, ამიტომ ძლიერ კარგი მოსავალი იცოდა“.

ᲜᲐᲡᲙᲐᲚᲒ (ნაფუტკრალი), ადგ. „აქ სულ ოსკალე, საფუტკრე ადგილი ყოფილა, ამ ფერდობის გაშლილ ველობზე მრავალი სკის ბუკები იდგა გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე. იყო შემთხვევა, თითო კომლს 200-დან 500 ბუკამდე სკა ჰყავდა. თაფლით და თაფლის არაყით ცნობილია ჩვენი მხარე“ (რ. ყალიჩავა).

ᲜᲐᲢᲔᲑᲣ (ნატყევარი), ადგ.

ᲜᲐᲥᲐᲠᲩᲣ (საქარჩავო), უბანი. „ქარჩავები (გვარია) ნასახლება წინათ“.

ᲜᲐᲥᲝᲑᲐᲚᲣ (ნახორბლალი), ადგ. „წინათ აქ პურს თესდნენ. კარგი მოსავალი იცოდა“.

ᲜᲐᲦᲣᲛᲣ (ნაღომარი), ადგ.

ᲜᲐᲩᲮᲔᲢᲣ (ჩხეტიების ნასახლარი), ადგ. „აქ სულ ჩხეტიები სახლობდნენ“.

ᲜᲐᲬᲘᲐ (დანაკრეფი), ადგ.

ᲜᲐᲬᲘᲐᲠᲒ (ნამწევარი), ადგ.

ᲜᲐᲭᲐᲚᲣ, ადგ.

ᲜᲐᲭᲙᲐᲓᲣᲠᲣ ᲙᲣᲗᲮᲣ (ნასამჭედლარი კუთხე), უბანი. „აქ სულ სამჭედლოები ყოფილა, უძველესი სამჭედლოები. აქვე ჭახავდნენ, – წურავდნენ რკინას“.

ᲜᲐᲭᲙᲘᲓᲣ (ნამჭადარი), ადგ.

ᲜᲐᲮᲐᲯᲣ (ნაცერცვალი), ადგ. ტოპონიმი ერთგანაც გვხვდება.

ᲜᲐᲯᲐᲒᲘᲠᲣ (ნაწვალები, ნაჯახირალი), ადგ. „დიდი გაჭირვების, ომისა და ჭირის მომსწრეა ეს ადგილი“ (რაჟდენ მაქსიმეს ძე ყალიჩავა, 75 წლისა).

ᲜᲐᲯᲐᲠᲣ (ნაჯარალი), ადგ. „აქ იმართებოდა Აარმუკობა, დიდი ბაზრობა, აქვე იყო ჯარალუას ადგილიც“.

ᲜᲐᲬᲘᲓᲔᲠᲘ (ნაყიდი), ადგ. „ქარჩავას, ვაჭარს ეს მიწა უყიდია ბატონისგან“.

ᲜᲔᲡᲢᲝᲨᲘ ᲓᲘᲮᲐ (ნესტოს მიწა), ადგ.

ᲜᲝᲯᲘᲮᲣ (ნაციხარი), ადგ. „ციხის ნანგრევია დღესაც დარჩენილი. მას ᲙᲘᲙᲘᲐᲜᲘᲨᲘ ᲯᲘᲮᲐᲡᲐᲪ ეტყვიან. კიკიანებს აქ გამაგრებული ციხესიმაგრე ჰქონიათ. მათი გადასახლების შემდეგ ეს ციხე დანგრეულა“.

ოგარდიე, ადგ.

ოისირე (ნაისლარი), ადგ.

ოისირე (საისლე), ადგ.

ოკარდამე, ადგ.

ოკუნთე (სადათვო), ადგ.

ომუნჩძვე (სამაჩვო), ადგ.

ოქორესე (ქორიების ნასახლარი, ან საქორე ადგილი). 1. „ქორიები სახლებულან. ქორია გვარია, ახლა ისინი იქ არ სახლობენ“; 2. „ოქორე ადგილი ყოფილა, წინათ ქერს თესავდნენ“; 3. საქორო ადგილი ყოფილა. აქ სულ ქორები ბუდობდა თურმე“ (შ. ყალიჩავა).

ოჭარკინე (საჭარკუნო), ადგ. „აქ, ცაცხვების ძირას, ამ გაშლილ მოედანზე, ჭარკუმს თამაშობდნენ თურმე ჩვენი ძველები“.

ოხვამეში კადარი (ეკლესიის კადარი), ადგ. „ეკლესიის წინ გაშლილი მოედანი“ (პეტრე მარკოზის ძე ქარჩავა, 72 წლისა).

ოხოჯური (სახარე), ადგ.

ოჯარე (საჯარო), ადგ.

პანეშონა (პანეშის დობილო), ადგ. „აქ მაღლარზე პანეშის ჯიშის ვაზი იყო მიშვებული. პანეშის ღვინო საუკეთესოა. იცის გრძელი, მსხვილმარცვლიანი, მჭიდროდ განლაგებული მტევნები. კარგი მსხომიარობა ახასიათებს“ (რ. ყალიჩავა).

პაპასქირიში ნოხორი (პაპასქირის ნასახლარი), ადგ. აქ დღეს კერამიკულ ჭურჭელთა ნამსხვრევებს და ქვის იარაღებს პოულობენ.

პაპაში ნოხორი (მღვდლის ნასახლარი), ადგ.

პახუში ნაცვანუ (პახუს ნაყანარი), ადგ.

რზენი ნოცუდუ (ველი ნასახლარი), ადგ.

რძღია (რძღია მცენარეა, იმისი ტყიანი ყოფილა), ადგ.

ტები (ტყე), ადგ.

უშქურონა (ვაშლნარი), ადგ.

ფაქარი (მსუბუქი მიწა), ადგ. „ადვილად დასამუშავებელი მიწა“.

ქუაცუდე (ქვა სახლი), გამოქვაბულია.

ღვიაპიჯი (ღვიას პირი), ჭალა.

ღვია, ღელე.

შარუში ნოხორი (შარუს ნასახლარი), ადგ.

შეკებული (შემოკავებული), ადგ.

შქედი, ადგ. „აქ, ამ ადგილს მზე ძალიან გვიან ადგება“.

ჩაღუუ (ჩა მკვდარი), ადგილი. „ჩა ერქვა კაცს, იგი მარტო ნაცხოვრება და ამ ადგილებში მომკვდარა – „ჩა ქელაღურელე“ (სევერიან ისმაილის ძე დარსალია, 65 წლისა).

ჩერგვალონი (ჩერგვალის ადგილი), ადგ. „აქ მაღლარზე იყო მიშვებული ჩერგვალის ვაზი. ჩერგვალი თეთრია, მტევანი მჭიდრო იცის, საკმაოდ მსხვილი მარცვლებით, მწიფდება კარგად. იცის კარგი ღვინო“ (რ. ყალიჩავა).

ჩეღალი (თეთრი ღელე), ღელე.

ცაცხვჯინჯი (ცაცხვძირი), ადგ. „უძველესი ნაოხვამუა“.

ძეგვარი, ადგ.

ძეგვარი, ადგ.

ძურგუში ნოხორიი (ძურგუს ნასახლარი), ადგ.

წელამონი რზენი (შალაფნარი), ადგ.

წყურგილი (წყარო ცივი), წყაროსთვალი.

ჭალაცვანა (ჭალაყანის ღელე), ღელე.

ჭალეცვანა (ჭალა ყანა), ადგ. „მდინარე ჭალაცვანაც არის სახელწოდება“ (შ. ყალიჩავა).

ჭაპანია როგუ (ჭაპანია უფსკრული, ჩანაქცევი ხევი), ადგ.

ჭკადუერი (ნასამჭედლარი), ადგ. „უძველესი სამჭედლო ყოფილა. დღეს ახალ ნახნავზე მიწიდან უამრავი რკინაწიდა ცვივა“.

ჭყონაში კადარი (მუხნარის კადარი), ადგ.

ხოჯიში თოლი (ხარისთვალა), ადგ. „აქ, მაღლარზე ხოჯიში თოიში ვაზი ყოფილა მიშვებული. ძალიან დიდი, გრძელი და მსხვილი მტევნები იცის, მსხვილი, ზოგჯერ ჭუტა ვაშლის ტოლა მარცვლები. იტკვირება. სასუფრე ყურძენია. ღვინოც დგება საშუალო. ახლა არსად არაა შემორჩენილი“.

ხურცენწყუ, „წყაროს სახელია. ლეგენდა არსებობს: ვითომ ამ ადგილას სახლობდა ვიღაც თურქი ჰუსენი და წყაროს დაერქვა ხურცენწყუ“ (შ. ყალიჩავა).

ჯარაგუნა, ადგ. „უძველესი ნაოხვამუ. აქ იცოდნენ ჯარაგუნობა. მაღალი შიშველი კლდეა. კლდის შუა ადგილას მრავალი ხვრელია. ამ ხვრელში ზის ფუტკარი, გარეული ფუტკარი. ხვრელებიდან თაფლი წვეთავს. იყო შემთხვევა, ზემოდან სვანი ჩამოშვებულა ძღირკით (ღობურით), მაგრამ ფუტკრებს სულ დაუკბენიათ. ასეთი შემთხვევა აქ მრავალი ყოფილა. ამბობენ, აქ თაფლის და ფუტკრის ღვთაება – ჯარაგუნა ბუდობსო. ხალხს კლდის ძირას ჰქონდა მაღალი ქვის სვეტი, სადაც ლოცულობდნენ, მიჰქონდათ შესაწირავი. ახლაც პოულობენ ამ მიდამოებში ფულს და სხვა შესაწირავად მიტანილ ნივთებს. დღესაც მოხუცებს სწამთ და ლოცულობენ ამ ღვთაებაზე“ (რ. ყალიჩავა).

ჯაღრაში გინაცვილა (ჯაღრას დანაკლავი), ადგ.

ჯვეში შარა (ძველი გზა), ადგ. „ამ სერზე ძველი გზა გადიოდა. იგი სალხინოდან ამ სერებით გადმოდიოდა, ჩხოროწყუს და წალენჯიხის გავლით ზუგდიდში ჩადიოდა“.

ჯიხა ფურეში (ციხე ცხელი), ადგ. „უძველესი ნაციხარია“.

ნაფიჩხაო

სოფელი ნაფიჩხაო მთების – მინგარიეს და წელამის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს. მდინარე ოჩხამურის ჭალებამდე სერებადაა გაჭრილი, ხოლო წელამის მთიდან ლექოგალემდე უწყვეტი სერი ჩასდევს. სერები სამხრეთის მზისგული კალთებია. ამიტომ აქ ვაზისა და ხილის ნაყოფიერი დობერები ყოფილა ოდესღაც. დღესაც ხეხილის და ვაზის ბაღნარია. სოფლის ცენტრი ქალაქური ტიპის დასახლებადაა გაშლილი, კეთილმოწყობილი ქუჩებით, საცხოვრებელი სახლებით, პარკებითა და კულტურის კერებით. სოფელი მთის ერთ-ერთი მდიდარი მატერიალური და კულტურული სიკეთით სავსე სოფელია. აქ მოსახლეობის 80%-ს ტელევიზორი უდგას და გაზი აქვს შეყვანილი. სოფლის მოსახლეობის ფულადი შემოსავალი 2 მილიონზე მეტია. კაცდღის ღირებულება აქ 9 მანეთია. სოფელი მრავალდარგოვანი მეურნეობით უაღრესად დაწინაურებულია. ამითაა განპირობებული მისი მეურნეობრივი და კულტურული სიკეთე. ნაფიჩხაოს ცენტრში XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან არსებობდა მეორეკლასიანი სასწავლებელი, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა და დიდხანს თვითონვე მეთაურობდა კუთხის განმანათლებელი დიმიტრი ბერულავა.

სოფელში დღესაც ცხოვრობს ხანსრული მწყემსი მახუ დარსალია, რომელიც ჯერ მამასთან ერთად კვარაცხელიას წითელ ჯოგს ავრცელებდა, შემდეგ თვითონაც ეწეოდა მეგრული შავი ხარებისა და ძროხების სელექციას. სოფელს სამხრეთით ჭოღა და ნაკიანის სასოფლო საბჭო ეკვრის, დასავლეთით – თაიას სასოფლო საბჭო, აღმოსავლეთით – გეგეჭკორის რაიონი. ნიადაგი აქ წითელმიწა-ალუვიური და ყვითელმიწა-კარბონატული ხასიათისაა.

არგვანი (ქვევრი), ადგ.

ატაბუნა, ადგ.

ატამანა, ღელე. უერთდება ოჩხამურს.

ბეგა. ღელე.

ბერიაში წელამი (ბერიას წელამი), მთაა.

ბილუიაში სუკი (ბილუიას სერი), ადგ.

გოგიაში ნაბინეხუ (გოგიას ნავენახარი), ადგ.

დიჭყე, ადგ.

დოგერა (დობილო), ადგ.

დოგერა (დობილო), ადგ. დღეს ტყეა.

დოგერა, ადგ.

დოგერაში დიხა (დობილოს მიწა), ადგ.

ვახუ, ღელე. უერთდება ოჩხამურს.

ვაწუ (ნუქნა), ადგ. „დაწყევლილია. ღორონთქ თექ მუთუნი ვაცუ-ღმერთმა იქ არაფერი ქნაო, არავითარი მოსავალი არ მისცაო“.

ვაწუ, ღელე. უერთდება მდინარე ოჩხამურს.

თემუშ ნაკარუ (თემუს ნაკარვალი), ადგ. „თემუ დარსალიას კარავი მდგარა. თემუ ცნობილი მესაქონლე ყოფილა“.

თხომლონი (თხმელნარი), მთაა.

კაგო, ღელე.

კათაჭვირი (დამწვარი ხალხი), ადგ. „აქ მტერს მთელი მოსახლეობა დაუწვავს ერთად“.

კამა ღელე. უერთდება ოჩხამურს.

კამა, ღელე. უერთდება ოჩხამურს.

კვარცხული, ადგ.

კიბეში (კიბესი), ადგ.

კირთხი მა (გკითხე მე), ღელე.

კოლოში (მწარესი), ადგ. „კოლოშის ჯიშის ვაზი – კოლოშონა იყო აქ მაღლარზე მიშვებული“.

კოლოშონა (კოლოშონურის ნავენახარი), ადგ.

კოსტაში სუკი (კოსტას სერი), ადგ.

ლაგვიაში სუკი (ლაგვილავას სერი), ადგ.

ლადიაში როგუ (ლადიას უფსკრული), ადგ.

ლაკადა (მთისწინა, მთისძირა ადგილები) მთელი ეგრისის მთიანეთის სამხრეთი კალთების ძირი.

ლანდი, ადგ.

ლაყანჩარია (საყანჩო), ადგ. „ყანჩები იცოდა უამრავი ამ ადგილებში“.

ლებერიე, ბერიების (გვარია) სამოსახლო, უბანი.

ლებერულე, ბერულავების (გვარია) უბანი.

ლეგოგიე, გოგიების (გვარია) უბანი.

ლეგოგუე (გოგუების ნასახლარი), გოგუების (გვარია) უბანი.

ლედარსალე, დარსალიების (გვარია) უბანი.

ლეპაპე, პაპავების (გვარია) უბანი.

ლეფიჩხაიე, ფიჩხაიების (გვარია) სამოსახლო, უბანი.

ლექარე, ადგ. „ოდნავ ქარის დროსაც კი ძლიერი ქარი უბერავს“.

ლექოგალე, ქობალიების (გვარია) უბანი. „მთელი სოფელია“ (ლადო სტეფანეს ძე ქობალია, 72 წლისა).

ლეშონე, შონიების (გვარია) უბანი.

ლეხასუე, ხასიების (გვარია) უბანი, ადგ. „დღეს არცერთი ხასია არ სახლობს“.

ლეჯაგუ, ადგ.

ლეჯაფარე, ჯაფარიას (გვარია) ნასახლარი, ადგ.

ლუფონა (ლუფნარი, ლიფნარი), ადგ. „აქ ლიფანი ხარობდა ბევრი. დღესაც ლიფნარია იგი“.

მარკოზიაში ნაკარუ (მარკოზიას ნაკარვალი), ადგ.

მაქსიმეში გა (მაქსიმეს სერი), ადგ.

მაღლოკი, ადგ.

მაღლოკი, ღელე.

მერიდიაში გა (მერდიას სერი), ადგ.

მინგარიე (მტირალა), მთაა. „არის გადმოცემა, რომ აქ სულ ნისლი და ღრუბელი დგას, სულ ცრის და წვიმს. აქ ძალიან ნოყიერი ბალახი იცის. ამიტომ მინგარიეს მთის მასივზე ჰქონდათ თავისი საძოვარი ადგილი კვარაცხელიებს. აქ გამოუყვანიათ მათ თავიანთი წითელი ჯიშის საქონელი“.

მუკოსკიდუ (გარჩა), ადგ. 1. „ეს ადგილი საყაჩაღო და საშიშარი ყოფილა. აქ ყაჩაღს ერთი მგზავრისთვის ხელი უჯიკნია და ხევში გადაუგდია, იგი კლდეს გამოდებია და გადარჩენილა. ამიტომ ადგილს ქუმკოსკიდუ, ან მუკოსკიდუ შეერქვა“; 2. „ბაბუას შვილიშვილი მიყვებოდა, ბაბუა გადავარდნილა ხრამში. ბავშვი ტყეში დარჩენილა. იგი მგზავრებს გადაურჩენიათ. ტყეში გარჩენის გამო მუკოსკიდუ შეურქმევიათ ადგილისთვის“ (გ. ხუხუნი).

ნაბაღუ (ნაბაღარი), ადგ.

ნაბერალუ (ნადროშალი), ადგ.

ნადოხორუ (ნასახლარი), ადგ.

ნადუქანუ (ნადუქნარი), ადგ. „აქ გადიოდა ჯვეში შარა. ამ შარას, ან შოსე გზის ცენტრში ყოფილა უძველესი დუქანი და სავაჭრო ადგილი. აქ მოჰქონდათ იმერელ ვაჭრებს სავაჭრო საქონელი“.

ნადუქნუ (ნადუქნარი), ადგ.

ნათოდუ, თოდუების (გვარია) ნასახლარი, ადგ.

ნაოსხაპუ (ნასაცეკვარი), ადგ.

ნაოჩენი (ნაოჩარი), ადგ. „სადაც ოჩებს – ვაცებს აძოვებდნენ. არის გადმოცემა, რომ ეს ადგილი ძლიერ ნაყოფიერი ადგილი ყოფილა. აქ ყოფილა ჩეშის ჯიშის მაღლარიც“.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ადგ. სასფალაო. „აქ ბერულავების ძირის ხატი სვენებულა, აქ მოდიოდა სალოცავად ბერულავების ყველა ოჯახი“.

ნასაჯუ (განამიჯნი), ადგ. 1. „აქ ადგილი გადამიჯნული, გადაზომილი და საზღვარდასმულია“; 2. „საჯაიების (გვარია) სამოსახლო უბანი. აქ დღეს ეს გვარი არ სახლობს“.

ნაფიჩხუ (ფიჩხაიების ნასახლარი), სოფ. „აქ პირველად ფიჩხაიები დასახლებულან. ფიჩხაიები აზნაურები იყვნენ და აქ, კურზუში მთელი მიწების დიდი ნაწილი მათს საკუთრებას შეადგენდა. ასევე, დიდი მიწები ჰქონდათ მათ მთაშიც. მათს ყმებს იქ ჰყავდათ ფიჩხაიების ჯოგი და აძოვებდნენ მთის დიდ და საუკეთესო საძოვრებზე“.

ნაფუჩუ (ნაფიცარი), ადგ. „აქ გინაჩამალიც, გადასაცემი ადგილიც იყო“.

ნალუმუ (ნაღომარი), ადგ.

ნაჭარხალუ (ნაჭარხალი), მთაა.

ნაჭკადუ (ნასამჭედლარი), ადგ. „უძველესი სამჭედლო ყოფილა“. აქ მრავლად პოულობენ მეტალურგიული წარმოების მასალებს.

ნაჭკიდუ (ნამჭადარი), ადგ. ტოპონიმი ერთგანაც გვხვდება.

ნაჭკიდუ (ნასამჭედლარი), ადგ.

ნახარდანუ (ნახარდნალი), ადგ.

ნახაჯუ (ნაცერცვალი), ადგ.

ნახაჯუ (ნაცერცვალი), ადგ.

ნაჯიხუ (ნაციხარი), ადგ. „აქ ჩვენს ძველებს ჰქონიათ მძლავრი ციხე და სიმაგრე. ციხის თავზე ყოველთვის მდგარა მაჯინგ, რომელიც მტრის მოახლოებისას ანთებდა ცეცხლს. ამით აცნობებდა მეზობელ ციხეებს და სოფლის მცხოვრებლებს მტრის მოახლოებას და აფრთხილებდა მათ. ამ ციხეს „ნათურქუ“ ციხეს ეძახდნენ. ჩვენთან ყველა მტერს ხალხი „თურქს“ ეძახის. თურქი საშინელი, გულქვა, ბოროტი კაცის აღმნიშვნელია. ხშირად იტყვიან: „თურქიცაი კოჩირე“ – თურქივით კაციაო. ასეთ კაცს კაცი არ ენანება. იგი ყველას კლავს, ყველაფერს ჩაიდენს. ასეთი თქმა შემორჩენილია თურქების, ამ ახლო მეზობლების ხშირი შემოსევის დროიდან. მე ამ ციხის მიდამოებში მქონდა ჩემი საშემოდგომო და საგაზაფხულო სადგომი. ჩემს ჯოგში მე კვარაცხელიას წითელიც მყავდა. ჩვენ ისე მოგვწონდა და გვიყვარდა ეს საქონელი, რომ სიმღერაც გვქონდა მის შესახებ. მახსენდება ერთი კუპლეტი:


ვეფხვეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკური ატლასი
ნაფიჩხაოს
სახოფლო საბჭო
1980 წ.
ძირითადი ნიშნები:
სახოფლო საბჭოს საზღვრები
ძირითადი
გზები
სახოფლო საბჭოს და უბნების ცენტრები
მასშტაბი: 1:25000

კვარაცხელიაში ჭითაშია
ღორონც მარდი ქეგუხვამუ,
ირ სიკეთე, ირი ჯგირი
იკუკათუ დო ქაგუკართუ.

მე ჩემი განსაკუთრებული ჯოგიც კი მყავდა. ეს წმინდა მეგრული, შავი, უნიშნო შავი საქონელი იყო. იგიც ძალიან საინტერესო ჯიში იყო და ძლიერ მოსწონდათ, წითელთან ერთად, ჩემი ეს ჯიშიც, გურულებს და ლეჩხუმელებს, სადაც მე ხშირად საგაზაფხულო საძოვარი მქონდა. ჩვენ საგაზაფხულო საძოვართან (ასხთან და მინგარიესთან) ერთად იქაც მიგვყავდა საქონელი“ (მახუ დარსალია).

ნაჯიხური (ნაჯიხარი), ადგ. „აქ პეხუ დარსალიას სამწყემსო ჯიხური ჰქონია“.

ნოჯიხენი (ნაციხარი), ადგ.

ოგურღე (საბურღო), ადგ. „აქ იზრდებოდა ბურღა – მაღალი, ფართოფოთლოვანი მცენარე“.

ომარტე, უბანი. „ძირითადად ფიჩხაიები და ბერულავები სახლობდნენ. მის ცენტრშია ომარტეს ოხვამე, ბერულავების ძირის სალოცავი“.

ონწარე (ჭაობნარი), ადგ.

ოტოგაია, ადგ. „გაშლილი, ჭეჭყობიანი ადგილია“.

ოტურე (სატურო), ადგ. „წინათ სათიბი იყო. დღეს ჩაის პლანტაციაა“.

ოტურეღალგ (სატურე ღელე), ადგ.

ოღვაგე, ადგ.

ოღუე (საბუე), ადგ.

ოხვარხვალე (სატრიალო), ადგ. „მაღალი ადგილია, ოდნავ წამოხრილი ფერდობით, სადაც საქონელი სულ ტრიალ-ტრიალით, ხვარხვალით ადიოდა“.

ოხოჯური (სახარე), ადგ. ტოპონიმი ორგან კიდევ გვხვდება.

ოხოჯური (სახარე), ადგ. დღეს ყანაა.

პაპანანწყვი (მღვდლის ჩანაქცევი), ადგ. „არის გადმოცემა, მღვდელი ნოდს – ნადს აძლევდა თურმე ძაღლის ხორცს. მოინალეს, – შინაყმა მოსამსახურეს ნადისთვის უთქვამს: საქონლის ფეხები მოითხოვეთ, რომლის ხორცსაც თქვენ გაძლევენო. ნადს მოუთხოვია ფეხები და უნახავთ, რომ ძაღლისა იყო, მიუტოვებიათ სამუშაო და დაუწყევლიათ. მღვდლის მთელი კარ-მიდამო ჩაქცეულა“.

საადრო ხვანა (საადრეო ყანა), ადგ.

საგინეხო (სავენახე), ადგ.

საჯაგო ღელე, „კარგი წყალია. ლექსიცაა: „თაქ წყარი ვაპუმენს დო ენა (საჯაგო) პუმენსია“. – აქ (სხვაგან) არ მწყურია, აქ კი, საჯაგოში მწყურია“.

საჯაგო, მთაა.

სიმონიერი, ღელე.

ტეგი (ნატყევარი), ადგ.

ტეგი (ტყე), ადგ. დღესაც ტყეა.

ტოგახე (ტობას ასული), ადგ. „აქაც ვიღაც ტობას ასული ყოფილა მიწის პატრონი. იგი ძალიან ძუნწი ყოფილა, ღმერთს დაუწყევლია და მისი კარ-მიდამო ჩაქცეულა. დღეს იქ შავი ჭაობია“.

ურთხა, ღელე. უერთდება ღელე ვახუს.

ურცხა (მორცხვი, მოკრძალებული ღელე), ღელე.

ფეუში წყურგილი (ფეუს წყარო), ადგ.

ქვაგიში (ქვაბისა), ადგ. „ჩავარდნილი, ქვევრივით ჩავარდნილი ადგილი, ჭენჭყო, დამდგარი ტბა“.

ქვაგიში, ადგ. „ქვაბივით ჩავარდნილი ადგილია“ (გ. ხუხუნი).

ქობალური (ქობალიებისა); უბანი. „არის გადმოცემა: შონები, სვანები ჩამოსულან აქ. ქობალიას კარავზე გაჩერებულან და იქ გაყრილან. ერთი ნაწილი იქ დარჩენილა. ამიტომ ამის შემდეგ იქ სულ ქობალიების მთის დასახლება ყოფილა. შემდეგ ბარში ჩამოსულან, მაგრამ კარავი დაუტოვებიათ და ზაფხულზე ამ კარავში ადიოდნენ და ცხოვრობდნენ თურმე. ისინი ქობალიანები ყოფილან. აქ დასახლების შემდეგ მათი გვარი ქობალიად გადაკეთებულა. აქ მოუტანიათ ამათ თავიანთი ძირის ხატი. ხანწკში, ლემორგოშიეში ოხვამე აუგიათ. იქ შემოსული შესაწირავი ფული მიჰქონდათ სვანეთში წმინდა კვირიკეს ეკლესიაში. ხანწკის ეკლესიაც წმინდა კვირიკესი ყოფილა“.

ღალჭიჭე (პატარა ღელე), ღელე.

შეგე, ადგ.

შეკეგული (შემორაგული), ადგ. „30 ჰექტარი ფართობი შემოკავებული და შემორაგულია. მისი დიდი ნაწილი სათიბია, ნაწილი ტყეა“ (ლავრენტი გრიგოლის ძე ნაჭყებია).

შენგელიაში (შენგელიასი), ადგ. „შენგელიას მამული ყოფილა. ვენახიანი დობილო“.

შქედი, ადგ.

ცელერი, ადგ. დღეს ყანაა.

ცხენიში (ცხენისა), ადგ.

წელამი (მცენარე წელამის ადგილი), ადგ. მთაა.

წითიერი, ადგ.

წიფურა (წიფლნარი), ადგ.

ჭაპანია როგუ (შავი უფსკრული), ადგ. ხევი.

ჭველონი (ნორჩი თხმელას ტყე), ადგ.

ჭითაღალგ (წითელი ღელე), ღელე.

ჭოღა ღელე, ღელე.

ჭუკიში ნასილუ (თაგვის ნასილარი), ადგ. „აქ თაგვი სიმინდს ჭამდა თურმე და მოვარდნილ წყალს დაუსილავს“.

ჭყონა (მუხნარი), ადგ.

ხანწკი, უბანი.

ხაშა, მთაა, სათიბია.

ხოჯონა (სახარე), ადგ.

ხურუ (ხეობა), მთის ხევია.

ხურუ, მდინარე. საკმაოდ დიდი ღელეა.

ხურუში დუდი (ხევის თავი), მთაა.

ხუჯიში ოსხაპური (მხარით საცეკვაო, მხარული), ადგ. „ეს ადგილი ნაოსხაპურია. აქ ჯარალუა ეწყობოდა, ცეკვავდნენ ფერხულს, მხარულს – ხუჯიში ოსხაპურს“. ეს საცეკვაო მასობრივია, ოდნავ თეატრალიზირებული.

ჯაკონური, ადგ.

ჯვარიში (ჯვრისა), მთაა. „ჯვარის მსგავსია. ზედ ოთხმხრივ გადასასვლელი უნაგირაა“ (მახუ ჩათუს ძე დარსალია, 79 წლისა).


გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკური ატლასი
ქვედა ჩხოროწყუს სასოფლო საბჭო
1980 წ.
ნიშნები:
სასოფლო საბჭოს საზღვრები
მდინარეები
გზები
სასოფლო საბჭოს ცენტრი და უბნის ცენტრები
მასშტაბი:
1:10 000

ქვედა ჩხოროწყუ

იგი ჩხოროწყუს სადაბო საბჭოს სამხრეთ-დასავლეთით, ოჩხამურისა და ხობიწყარის გაშლილ ველიანზე მდებარეობს. მას სამხრეთით ესაზღვრება ლესიჭინეს, ხოლო დასავლეთით – ახუთის სასოფლო საბჭოები. რელიეფი სწორია. ნიადაგი ამ მდინარეთა მიერ ათასწლობით ჩამოტანილი მასითაა დალექილი და ძლიერ ნაყოფიერი წითელმიწა-ალუვიური ხასიათისაა. ამიტომ აქ ოდითგანვე სიმინდის, ღომის და ჭადის-ჭადას უხვ მოსავალს იღებდნენ. ადგილის დიდ ნაწილს ოჩე და ხორგონა ჰქვია. ტყეები მასიურად იყო შემოსილი კოლოშის, პანეშის, ჭვიტილურის, ჩეშისა და პაპასკირის ვაზით. აყენებდნენ კარგ ღვინოს. ადგილი გადამთიელ მოძალადეთა მიერ არაერთხელ ყოფილა გადამწვარი და აოხრებული. გადმოცემით, თათრებს აქ ჩხოროწყუდან (ცხრაწყაროდან) ოთხი თვალი, ოთხი წყარო ამოუვსიათ და დაუშრიათ. ჭვილიში, ნაეზვარი, ნახანგირუ და სხვა ადგილები იმ საშინელი დროის უსიამოვნო, მაგრამ მეტყველ მოწმეებს წარმოადგენენ. სოფელი საკმაოდ მოზრდილია. აქ 423 კომლი სახლობს 1596 კაცით.

ᲐᲮᲐᲘᲐᲨᲘ ᲜᲐᲬᲘᲡᲥᲕᲘᲚᲣ (ახაიას ნაწისქვილარი), ადგ.

ᲐᲮᲐᲘᲐᲨᲘ ᲜᲐᲯᲐᲠᲣ (ახაიას ნაჯარალი), ადგ. „აქ ახალაიას დიდი ოჯახის, დიდპაპის, ახალაიების თურის მეთაურის საჯარო, ოშაყარგ, ჯარალუას ადგილი ყოფილა“ (ს. ახალაია). დღეს აქ ჩაის პლანტაციაა.

ᲑᲔᲑᲘ (სერი), ბექობი, ადგ.

ᲒᲘᲝᲨᲘ ᲜᲐᲚᲣᲛᲣ, გიო პაპასკირის ნაღომარი, ადგ.

ᲒᲝᲩᲐ ᲤᲐᲜᲤᲘᲐᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (გოჩა ფამფიას ნასახლარი), ადგ. ეს კაცი ბუნებით ძლიერ დაკვირვებული კაცი ყოფილა, მხვნელ-მთესველი კაცი, ძლიერ შეძლებული, გაკეთებული გლეხი. იგი შეუმცდარად გამოიცნობდა საავდრო ღრუბელს. ხალხი ამ ღრუბელს ᲒᲝᲩᲐᲨᲘ ᲛᲣᲜᲐᲤᲐᲡ (გოჩას ღრუბელს) ეძახდა. თვითონაც იტყოდა, ამ ღრუბელს ვაკვირდები, ცას ცხვარივით რომ დაეკიდება, ის ძლიერ საავდრო ღრუბელიაო. ამიტომ ხალხი ამ ღრუბლის გამოჩენისთანავე ავდარს, ხანგრძლივ ავდარს ვარაუდობდა“ (ს. ახალაია).

ᲒᲣᲓᲣᲠᲘ, ადგ. „აქ გუდური, თეთრი ვაზი სულ ხურმის, თხმელის, ვაშლისა და ჭუტა მსხლის მაღალ ხეებზე ყოფილა მიშვებული“ (ნ. გვარამია).

ᲓᲘᲓᲧᲕᲐᲜᲐ (დიდყანა), ადგ. ნაყოფიერი ადგილი, საყანე.

ᲔᲒᲘᲐᲠᲖᲔᲜᲘ (დავაკება), ადგ. მიწაზურგას ვრცელი ჩავაკებაა.

ᲔᲜᲬᲔᲠᲘ (ეწერი), ადგ. „ონწარე, წყლიანი, ჭაობიანი ადგილი“.

ᲔᲜᲬᲔᲠᲘ (ეწერი), ადგ. „წინათ ჩირგვნარი, სატურო და სამგლო ადგილი ყოფილა. დღეს სულ ჩაის პლანტაციებია გადაშლილი“.

ᲗᲣᲠᲥᲘᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (თათრის ნასახლარი), ადგ. „ეს თურქი აქ დიდი ხნის წინათ მოსულა, აქ დასახლებულა. ჩვენს ხალხს ძლიერ მეგობრობდა, მეგრულად ლაპარაკობდა, კიდეც დანათესავებულა. „მე თქვენი სისხლის კაცი ვარო, – იტყოდა თურმე ხშირად“ (ს. ახალაია).

ᲙᲐᲚᲐᲛᲣᲠᲐ, ადგ. „კალამი, ლერწამი ყოფილა აქ სულ. ამიტომ შეერქვაო ეს სახელი ადგილს. ახლა საყანეა. აქ კვირკველიები ცხოვრობენ“ (ს. კვარაცხელია).

ᲙᲘᲙᲣᲠᲘ, ადგ. „როხიანი, ქვიანი ადგილი. ამბობენ, აქ დიდი ხურმის ხეებზე კიკურის ჯიშის ვაზი იყო მიშვებულიო. კიკური აღწერილი არაა“ (ს. კვარაცხელია).

ᲙᲣᲠᲙᲣᲖᲐ (მიწაზურგა), ადგ. „უძველესი ნასალოცვარია“.

ᲛᲝᲜᲒᲘᲠᲘ, ადგ. „გვიმრიანი, ეწერი მიწა იყო. დღეს ჩაის პლანტაციაა“.

ᲜᲐᲐᲒᲣᲠᲣ (ნააგურალი), ადგ. „აქ უძველესი სააგურო ყოფილა. დღესაც ჩანს აგურის ქურისა და ძველი აგურის ფენა. დღეს ჩაის პლანტაციაა“ (ს. ახალაია).

ᲜᲐᲓᲝᲮᲝᲠᲣ (ნასახლარი), ადგ. „დადიანის ნასახლარია“ (სევერიანე ფართხუს ძე ახალაია, 65 წლისა).

ᲜᲐᲓᲣᲥᲐᲜᲣ (ნადუქნარი), ადგ. „აქ ყოფილა ძველი დუქანი, ვაჭარ გოგუას ამ გზაჯვარედინზე დიდი ვაჭრობა ჰქონდა თურმე“ (სერაპიონ კოსტას ძე კვარცხელია, 70 წლისა).

ᲜᲐᲓᲣᲥᲐᲜᲣ (ნადუქნევი), ადგ. „უძველესი დუქანი ყოფილა აქ“ (კოსტა ვასილის ძე პაპავა, 62 წლისა).

ᲜᲐᲔᲖᲕᲐᲠᲘ (ნასახლარი), ადგ. „დათიკო კვარაცხელიას ნასახლარი. დათიკიას ოჯახი ჭირს მოუსრავს და ერთხანს ხალხი არ სახლდებოდა მის მიდამოებში. საშიშარს და დაწყევლილს ეძახდა. ასე გამიგონია ჩემი ძველებისგან“ (ს. კვარაცხელია).

ᲜᲐᲘᲡᲘᲠᲣ (ნაისლარი), ადგ.

ᲜᲐᲘᲡᲘᲠᲣ (ნაისლარი), ადგ.

ᲜᲐᲙᲐᲠᲣ (ნაკარვალი), ადგ. „უძველესი მესაქონლის კარავი ყოფილა აქ“.

ᲜᲐᲛᲣᲠᲣᲪᲮᲣ (ნავარსკვლავარი), ადგ. „მიწაზურგა, მაღალი ადგილი. ჩვენი ძველები გვიამბობდნენ, რომ აქ ვარსკვლავი ჩამოვარდნილა. წმინდა ადგილია, სალოცავი ადგილი. აქვე იცოდნენ ღრუბლების გამორჩევა, განსაკუთრებით იცოდნენ „ინგირიშდუდიშ მუნაფა“. იგი ძლიერ საშიში არაა, მცირედ ჩამოიწვიმებს და გადაიღებს, ხოლო ᲞᲐᲚᲘᲐᲡᲢᲝᲛᲘᲨᲘ ᲛᲣᲜᲐᲤᲐ-პალიასტომიდან მომავალი ღრუბელი, ძლიერ საშიშარია. იგი ხანგრძლივი წვიმის და ავდრის მეუწყეა, ხშირად სეტყვაც ჰყვება თან“ (ს. პაპავა).

ᲜᲐᲝᲠᲗᲕᲘᲜᲣ (ნაბოსტნარი), ადგ. „ძველად აქ დადიების დიდი ბოსტანი ყოფილა. აქ მოჰყავდათ ჭარხალი და სხვა ბოსტნეული“.

ᲜᲐᲝᲡᲮᲐᲪᲣ (ნასაცეკვარი), ადგ.

ᲜᲐᲝᲡᲮᲐᲪᲣ (საცეკვაო, სათამაშო), ადგ. „წინათ აქ შაყარუა იცოდნენ, გართობა, ცეკვა-თამაში“.

ᲜᲐᲠᲗᲔᲑᲘ (განაქცევარი), ადგ. „წინათ ტყე ყოფილა. აქ ტყვეები დაუმწყვდევიათ, ღამით მაჯინს დაძინებია, მაშინ ტყვეები გაქცეულან და აფხაზეთში გადასულან“.

ᲜᲐᲤᲐᲪᲮᲣ (ნაფაცხარი), ადგ. „ამაღლებული, ზურგა ადგილია; დღეს აქ, ახალ ნახნავზე, ხვნის დროს ძველი კეცები და ქოთნის ნამტვრევები ცვივა მიწიდან. აქ ძველად კვარაცხელიები სახლებულან. გამიგონია: კვარაცხელია უძველესი გვარია, ამ გვარის ხალხი ძალიან ცოცხალი, მოძრავი, კვარცხალია ყოფილა, ამიტომ შერქმევია ამათ ასეთი გვარი“ (ს. ახალაია).

ᲜᲐᲤᲐᲪᲮᲣ (ნაფაცხარი), ადგ. „თავადებს აქ თავისი ფაცხები და ბეღლები ჰქონდა, ჭირნახულის შესანახად და მოსავლელად (კ. პაპავა).

ᲜᲐᲚᲣᲛᲣ (ნაღომარი), ადგ. ტოპონიმი ერთგანაც გვხვდება.

ᲜᲐᲭᲙᲐᲓᲣ (ნასამჭედლარი), ადგ.

ᲜᲐᲭᲙᲐᲓᲣ (ნასამჭედლარი), ადგ. „აქ ყოფილა უძველესი სამჭედლო“.

ᲜᲐᲭᲙᲘᲓᲣ (ნამჭადარი), ადგ. ტოპონიმი ერთგანაც გვხვდება.

ᲜᲐᲮᲐᲜᲒᲘᲠᲣ (გაჭირვებით ნაცხოვრები ადგილი), ადგ. „ბატონყმობის დროს აქ გლეხების ღატაკური კარმიდამოები ყოფილა. ადგილი მწირი და უმოსავლო იყო თურმე, ამიტომ აქ მცხოვრებ ყმა-გლეხს სრულ სიღატაკეში უხდებოდა ცხოვრება. ასეთ მძიმე პირობებში მცხოვრებ ხალხს ჭირიც დარევია და სულ გაუპარტახებია. ამიტომ ადგილს ᲜᲐᲞᲐᲠᲢᲐᲮᲣᲡᲐᲪ ეტყვიან“ (ს. კვარაცხელია).

ᲜᲝᲭᲙᲐᲓᲣᲠᲘ (ნასამჭედლარი), ადგ. „უძველესი სამჭედლო ყოფილა. აქ დღესაც პოულობენ წიდებს და სამჭედლოს ინვენტარს“ (დ. ხორავა).

ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (ნასახლარი), ადგ. „ძველად ამ ადგილებში ჯოჯუები სახლებულან, ახლა არავინ სახლობს აქ ამ გვარისა“ (ს. კვარაცხელია).

ᲝᲘᲡᲘᲠᲔ (საისლო), ადგ.

ᲝᲠᲘᲠᲡᲔ, ჭალა, ადგ.

ᲝᲥᲐᲯᲔ (საქაჯო), ადგ. „გაუვალი, საშიშარი, საქაჯო და საეშმაკო ადგილი ყოფილა“ (ნორა აქვსენტის ასული გვარამია, 54 წლისა).

ᲝᲥᲝᲗᲝᲛᲔ (საქათმე), ადგ.

ᲝᲚᲝᲠᲚᲝᲜᲯᲔ (საბატე), ადგ. ჭაობიანი ჭალაა, გაშლილი ველიანია.

ᲝᲩᲔ (ნაყოფიერი, უხვი მიწა), ადგ. „კაბეტი, უხვი, ნაყოფიერი, დალოცვილი მიწა ყოფილა“ (ს. კვარაცხელია).

ᲝᲩᲮᲝᲛᲣᲠᲘ, მდინარე ოჩხომურის ჭალა.

ᲝᲮᲕᲐᲛᲔ (ეკლესია), ადგ. დღეს ეკლესია აღარ არის. ოდნავ ამაღლებული ადგილია ჩხოროწყუს ცენტრში. „ჯიქიების უძველესი სალოცავი ყოფილა. ისინი 30-იან წლებამდეც აქ ლოცულობდნენ ძირის ხატზე“ (ს. კვარაცხელია).

ᲝᲮᲕᲐᲛᲔᲙᲐᲠᲘ (ეკლესიის კარი), ადგ. „მოედანია ეკლესიის წინ. მას ᲝᲨᲐᲧᲐᲠᲡ ვეძახდით. აქ ხალხი თავს იყრიდა და ერთობოდა შაბათსა და კვირას“ (ს. კვარაცხელია).

ᲝᲮᲝᲯᲔ (სახარე), ადგ.

ᲠᲐᲢᲘᲐᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (რატიანის ნასახლარი), ადგ.

ᲠᲝᲙᲝᲜᲐ (ბუკნარი), ადგ. „თელის, წაბლისა და მუხის ტყიანი ყოფილა. შემდეგ ძირზე გადაუჭრიათ და მთლიანად როკონა-ბუკნარ ადგილად დარჩენილა დიდხანს“ (დ. ხორავა).

ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲐᲘᲝ, ახალაიების (გვარია) უბანი.

ᲡᲐᲑᲔᲑᲘᲝ, ბებიების (გვარია) უბანი. „ბებიები დღესაც სახლობენ ამ უბანში“.

ᲡᲐᲑᲔᲚᲥᲐᲜᲝ, ადგ.

ᲡᲐᲑᲝᲙᲣᲩᲝ, ბოკუჩავების უბანი. ბოკუჩავების (გვარია) უბანია დღესაც.

ᲡᲐᲑᲝᲑᲣᲝ, გოგოუების (გვარია) უბანი.

ᲡᲐᲖᲔᲓᲐᲜᲘᲝ, ზედანიების (გვარია) უბანი. „ზედანიები დღესაც სახლობენ, მაგრამ მცირე რაოდენობით“.

ᲡᲐᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲝ, კვარაცხელიების (გვარია) უბანი.

ᲡᲐᲞᲐᲞᲐᲝ, პაპავების (გვარია) უბანი.

ᲡᲐᲞᲐᲞᲐᲡᲙᲘᲠᲝ, პაპასკირების (გვარია) უბანი.

ᲡᲐᲟᲕᲐᲜᲘᲝ, ჟვანიების (გვარია) უბანი.

ᲡᲐᲧᲐᲚᲘᲩᲝ, ყალიჩავების (გვარია) უბანი.

ᲡᲐᲨᲐᲛᲐᲗᲝ, შამათავების (გვარია) უბანი.

ᲡᲘᲡᲝᲠᲓᲘᲐᲨᲘ ᲤᲝᲜᲘ, სისორდიას ჭალა.

ᲡᲣᲠᲝᲜᲐ (სუროიანი), ადგ. „სუროებიანი ხეებით იყო სულ ეს ადგილი დაფარული“ (დ. ხორავა).

ᲤᲔᲑᲘ (ტყე), ადგ. „ძველად მუხის გაუვალი ტყე ყოფილა“.

ქერქელია, ქერქიების (გვარია) ნასახლარი, ადგ. „აქ ოდესღაც ქერქები და ქერქიები სახლებულან, დღეს ამ გვარის კაცი არავინ არ სახლობს. საჩაიე მასივია“ (ს. კვარაცხელია).

ქვედა ჩხოროწყუ (ქვემო ჩხოროწყუ), სოფელი. იგი საერთოდ ჩხოროწყუს ერთი, სამხრეთ-დასავლეთი დიდი ნაწილია.

ჩეღალი (თეთრი ღელე), ღელე.

ჩეშონური (თეთრსვანური), ადგ. „ამ ადგილას გაშენებული ყოფილა თეთრი სვანური ვაზი მაღლარზე. აქვე ჩეჭიფეშიც ყოფილა. ვაზია, მაღლარი ვაზი“ (კ. პაპავა).

ჩეჯა, ჩეჯალონი (თეთრი ხე, ალვისხიანი), ადგ. აქ „თეთრი ხის – ჩეჯას დიდი ტყიანი იყო. შემდეგ გაიჩეხა“ (დიანოზ იაკობის ძე ხორავა, 59 წლისა).

ჭალე (ჭალა), ადგ.

ჭალე (ჭალა), ადგ. მდინარის გაშლილი ველიანი.

ჭვილიში (დამწვრისა), ადგ. 1. „გინნაჭვირენია – გადამწვარიაო. ჭვირი დიხა – დამწვარი მიწა. თურქობის დროს სულ გადაუწვიათ და აუოხრებიათ“ (დ. ხორავა); 2. არის გადმოცემა, რომ ადგილი მონაჭვარარე, გადამწვარი და ახოდ აღებულია“ (დ. ხორავა).

ჭვიტილონი (ჭვიტილურის დობილო), ადგ. „აქ ჭვიტილურის მაღლარი ყოფილა. ამ ადგილას მისი დობერა ყოფილა სულ. ჩვენ ამას არ მოვსწრებივართ“.

ჭუბურონი (წაბლნარი), ადგ.

ჭყონა (მუხნარი), ადგ. „სულ ჭყონის, მუხის ტყიანი ყოფილა. დღეს გაჩეხილია და საყანე და ჩაის მასივია“ (დ. ხორავა).

ხობუტიაში ნაწისქვილუ (ხობუტიას ნაწისქვილარი), ადგ.

ხომაკირდე (ხურმა კლდე), ადგ. „აქ ძველი ჯიხებია, რომელსაც გალავანი აერთებდა თურმე. ეს ჯიხები – ციხეები ნათურქალია. თურქების შემოსევის დროს თავის დასაცავად აუგია ხალხს“ (ს. კვარაცხელია).

ჯვეში შარა (ძველი გზა), ადგ.

ჩხოროწყუ

დაბა ჩხოროწყუ რაიონის ცენტრში მდებარეობს. მას აღმოსავლეთით, მდინარე ოჩხომურის გაღმა, გარახას მაღალი სერი ესაზღვრება, რაც ამ სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში შედის. სადაბო საბჭო ოჩხამურისა და ხობისწყლის გაშლილ ჭალაზეა გაშენებული და მდიდარია ხილითა და ვაზით. ნიადაგი წითელმიწა ალუვიური ხასიათისაა. ვაკე მზისგულის მდებარეობა სოფელს ხილისა და ვაზის წალკოტის ყოველი ღირსებით მოსავს. დღეს სადაბო საბჭოში 1500 კომლზე მეტია, 3800 მცხოვრებით. აქ თავმოყრილია ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები, ღვინის ქარხანა, ჩაის ფაბრიკა, ჰიდროელექტროსადგური და მრავალი სამრეწველო სახელოსნო. ჩხოროწყუ ქალაქური ტიპის დასახლებაა. იგი განსაკუთრებით 1978-1980 წლებში დამშვენდა. აიგო მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, გაშენდა პარკები და სკვერები. კულტურის კერები კეთილმოწყობილ შენობებშია მოთავსებული. 1975 წელს დაარსდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ყველა ოჯახი სარგებლობს ბუნებრივი გაზით. დაბა ჩხოროწყუს 1500 უმაღლესი განათლების სპეციალისტი ჰყავს.

აბანოშ წყარი (აბანოს წყალი), წყარო.

არახამიაში ნაყვანუ (არახამიას ნაყანევი), ადგ.

ახალაიაში ოხვამე (ახალაიების ეკლესია), „დღეს სასაფლაოა“.

ბაღი (ხეხილის ბაღნარი), ადგ. „აქ პირველ კოლმეურნეობას ბაღი გაუშენებია დიდ მასივზე. დღესაც ბაღია ნაწილზე, ნაწილი საყანეა“.

ბერძენიში ნოხორი (ბერძენის ნასახლარი), ადგ. „ბერძენი სახლებულა აქ, თურქეთიდან მოსული. მჭედელი და ხელოსანი კაცი ყოფილა“.

ბუმეწყარი (ბუმეწყალი), დიდი ღელე, ოჩხომურის მარცხენა შენაკადი.

ბუმე, ადგ.

გაკებული (გაკავებული, გახერგილი), ადგ. „ეს ადგილი ქვითკირით ყოფილა გამაგრებული, გაკავებული, გახერგილი. მტრის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ეს ხერგილი ჩაიკეტებოდა თურმე. მასაც „ნათურქუს“ ეტყვიან“.

გარახა, უბანი. მაღალი სერია მდ. ოჩხამურის აღმოსავლეთით. იგი მდინარის ვიწრო ჭალებს გადაჰყურებს. სერის თხემს გარახას გალავნის რკალი მიუყვება, რომელშიც სამი ციხის ნანგრევია ჩართული. მათ შორის ცენტრალური ციხე-ჯიხა ოთხკუთხა, პირამიდული ფორმის, მკვიდრად ნაგები კოშკია. ეტყობა, მას საკუთარი ეზოც ჰქონდა, სადაც, აღმოსავლეთით კიდევ ერთი ოთხკუთხა ციხეც მდგარა. 1. „ამ ციხე-გალავანს მიუყვებოდა ადრე რომაელი სარდლის ჯარის გზა, ხოლო შემდეგ – ყურსალების, – ტყვეთა მსყიდველების გზა. იგი თურქობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ძლიერ გამაგრებული სიმაგრე ყოფილა. ამ ციხეში თავშეფარებული ხალხი დიდხანს და წარმატებით უმკლავდებოდა მტერს. მას ნათურქუსაც ეტყვიან. სიტყვა გარახა გამიგონია: „გარამ ხურუა“ – უფსკრულიანი, კლდიანი ხეობა. ასე ხსნიდნენ მას ჩვენი ძველები: „გარამ ხაბორე“. მართლაც, ძლიერ ფლატეზე, ჩამოქცეული უფსკრულის პირას დგას ეს ციხეები და, საერთოდ, მთელი გალავნის ხაზი. ახლა ამ გალავნის ხაზის გაყოლებით უძველეს კრამიტს, ქვევრებს და ქოთნებს პოულობენ“ (სამსონ ბახვას ძე მამფორია, 76 წლისა); 2. „სულ გოროხი ქვებითაა მოფენილი, ამიტომ ეპისკოპოს ლეონიდეს განმარტებით, „გარახა“ სწორედ ამის გამო უნდა შერქმეოდაო ამ სოფელს. ძველად მას „ნაჯაგუ“ რქმევია“ (გ. ხუხუნი); 3. „გარახას გორაკზე ქედი-ქედ უძველესი გალავანი გადიოდა თურმე. ამ გალავანში ჩაშენებული ყოფილა სამი ციხე, რომელიც თურქების დროს აუგიათ. თურქების შიშით ხალხი ამ ციხეს და გალავანს აფარებდა თავს. თათრების ერთ-ერთ რაზმს გარახას ციხის ძირამდე მიუღწევია. აქ პატარა ქოხში მოხუცი ყოფილა დარჩენილი, მოხუცს დავალებული ჰქონია, სოფელში მომხდარი ამბავი ეცნობებინა მეციხოვნეებისთვის. თათართა სარდალს მოუთხოვია მოხუცისთვის, ციხეში მიეტანა ამბავი: თუ არ დაგვნებდებით, სოფელს გადავწვავთ, თქვენს ციხე-კოშკსაც დავანგრევთ და თქვენც დაგხოცავთო. ვადას აძლევდა ერთ დღეს, თანაც საშინლად იგინებოდა თურმე. მოხუცი გაბრაზებულა და თათრისთვის სიტყვა შეუბრუნებია. თათარს ხმალი დაურტყამს. მოხუცს ხანჯლით სარდალი განუგმირავს. თვითონაც თავი მოუკლავს“ (ბაბუცა ვეკუა).

გობეჩიაში მამული (გობეჩიას მამული), ადგ.

გოდაცურონი, ადგ. „აქ, იტყოდნენ წინათ, მაღლარზე მიშვებული ყოფილა დაცურის ჯიშის ვაზი. დაცურს ეძახდნენ ვაზს. მე არ მოვსწრებივარ“ (ნესტორ თეოფანეს ძე მამფორია, 74 წლისა).

გოჭკადილი (გაჭედილი), „ოჩხამურზე საკვარაცხელიოში გადასასვლელი ხიდი და მისი მიდამოები“.

გოჭკადირი (გაჭედილი), ხიდი. „ხობწყარზე გადასასვლელი გაუჭედიათ, ხიდი გაუდგამთ“.

გუდაყვანა (გუდაყანა), ადგ. დღეს საყანეა. „იქიდან ჭირნახული გუდით ჩამოჰქონდათ“.

გუჯაში ნოხორი (გუჯას ნასახლარი), ადგ.

გუჯუში გენაყვილა (გუჯუს დანაკლავი), ადგ.

დობერა (დობილო), ადგ.

დობერა (დობილო), ადგ.

დობერარზენი (ველობი დობილო), ადგილი მდინარე ოჩხამურის ჭალაში.

ენწერი (ეწერი), ადგ.

ზერდენერი, ადგ.

თომაში ნოხორიი (თომას ნასახლარი), ადგ.

თუდონგარახა (ქვედა გარახა), ადგ. „მოხუცების გადმოცემით, ეს ადგილები ნაზღვავარი ყოფილა. აქ ყოფილა გემების მისაბმელი რკინის ძელიც კი“ (ნ. მამფორია).

კადარა (ქვიანი), ადგ. „სულ კეჭნარი, ქვიანი გორაკი“.

კათელი ხანდა (კეთილი შრომა), უბანი. „ეს უბანი პირველი კოლმეურნეობის ცენტრი იყო, რომელიც 1929 წელს შექმნილა. მისთვის „კათელი ხანდა“ (კეთილი შრომა) უწოდებიათ. დღესაც ამ უბანს ამ სახელს ეძახიან. სხვა წინანდელი სახელი ხალხს დაავიწყდა“ (ერ. ახალაია).

კვარაცხელიაში სუკი (კვარაცხელიების სერი), ადგ.

კიკური, ადგ. „ოჩხამურის პირას. ეს პაპასკირების უბანია“.

კირნატახა (კირნამსხვრევი), ადგ. „უძველესი საკირე ყოფილა. აქ კირისთვის ქვას ამტვრევდნენ თურმე ძველად“ (ნ. მამფორია).

კურკუზა (მიწაზურგა), ადგ. „როდონაიების ეზოში, 1959 წელს, მიწის ხვნისას ამოცვივდა ბრინჯაოს იარაღები და მონეტები. ნაწილი ამ მასალებისა გაიბნა, ნაწილი კი დაცული იყო ჩხოროწყუს საშუალო სკოლაში“ (მამანტი კვირტია).

ლეახალე (საახალაიო), ახალაიების (გვარია) უბანი, სოფელი. „აქ სულ ახალაიები სახლებულან და სახლობენ დღესაც“ (ერასტი ანტონის ძე ახალაია, 71 წლისა).

ლეკუცე (საკუციო), კუციების (გვარია) უბანი.

ლეპაპე, პაპავების (გვარია) უბანი, ადგ.

ლეფირცხალე, ფირცხელავების (გვარია) უბანი. მთელი სოფელი, სულ ფირცხელავები სახლობენ აქ“.

ლეცირგაიე (საცირგაიო), ცირგაიების (გვარია) უბანი.

ლეცირგაიე, ცირგაიების (გვარია) უბანი.

ლეჯიქიე, ჯიქიების (გვარია) სამოსახლო უბანი.

მამფორიაში სუკი (მამფორიას სერი), ადგ. გორაკი.

მეედანი (მოედანი), ადგ. „ზეგანი – ლეფირცხალავეს ცენტრში. აქ ოშაყარგ – თავშესაყრელი, საჯარო ადგილი იყო“.

მელენი ყვანა (გაღმა ყანა), ადგ. დღეს ყანაა.

მოიდანახე (მოდი და ნახე), ადგ. „ამ სახელწოდების ადგილები აქ სამია. ერთი ამ ადგილას, მეორე ქვედა ხაბუმეს ცენტრში და მესამე ოჩხამურგაღმა. ისე მდიდარი, ლამაზი ადგილი ყოფილა, რომ გურიიდან წამოსულ ვაჭრებს ძლიერ მოსწონებიათ, „მოი და ნახე, რა ლამაზიაო“, და აქ დუქნები გაუხსნიათ“ (გ. ხუხუნი).

მუნოხონი ყვანა (გამოღმა ყანა), ადგ. „აქ ხვამაც იცოდნენ და ჯარალუაც. თურქობის, შიშიანობის დროს ხალხი აქ იყრიდა თავს, იშაყარუდ“ (თ. სიორდია).

ნადოხორუ (ნასახლარი), ადგ.

ნადოხორუ, ადგ.

ნადუქანუ (ნადუქნარი), ადგ.

ნადუქანუ (ნადუქნარი), ადგ. „აქ, სოფლის შესასვლელში უძველესი ნაყაფანარი და ნადუქანარი ადგილია. აქ ბაზრობა იმართებოდა“.

ნათურქუ ჯიხა (ნათურქალი ციხე), ციხე. „იგი ერთ-ერთი ციხე, სამხრეთის ციხეა გარახას იმ სამი ციხიდან, გალავანში ჩართული. ოთხკუთხა ციხის მხოლოდ პირველი სართულია შემორჩენილი. მტერი რომ წამოვიდოდა, აქ ყარაული – ჯეჯებური მდგარა. ციხის თავზე ხალხს ფიჩხი ჰქონდა მოგროვილი და როცა მტერს შენიშნავდა, ცეცხლს დაანთებდა. ასე გადასცემდნენ ერთმანეთს მტრის შემოსევების ამბავს“ (ნ. მამფორია).

ნაკამცეარუ (ნაკანცელარი), ადგ. „აქ მამასახლისის კანცელარია მდგარა“.

ნაკლასუ (ნასკოლარი), ადგ. „უძველესი ხის შენობა იდგა, სადაც ერთკლასიანი სკოლა ყოფილა. შემდეგ ცენტრში გადაუტანიათ“.

ნაოსხაპუ (ნასაცეკვარი), ადგ. „აქ ახალაიების ოშაყარ-შესაკრები, საჯარო და გასართობი, დროის გასატარებელი ადგილი იყო“.

ნაოსხაპუ (ნასაცეკვარი), ადგ. „აქ დიდი ცაცხვი იდგა. ხალხი თავს იყრიდა და ცეკვით და სიმღერით ერთობოდა. აქ სისო ბებიამ მოიტაცა მამფორიას გოგო. ერთ თვეს ჰყავდა და შემდეგ გააგდო, რის გამო სისო ბებიას მთელი ოჯახი ამოწყვიტეს მამფორიებმა. ამის შემდეგ მამფორიებსა და ბებიებს შორის ინტერესი ჩამოვარდა. ამ ნაოსხაპუში ბებიები ვერ მოდიოდნენ. ამ ადგილს ცაცხვკარსაც ეძახიან“.

ნაოსხაპუ (ნასაცეკვარი), ადგ. მეედანის თავში დიდი ცაცხვი მდგარა და მის ქვეშ იცოდნენ ჯარალუა“ (თამარ თედოს ასული სიორდია, 75 წლისა).

ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ადგ. „უძველესი ნასალოცვარია. საბებიოში ოხვამესაც ეტყვიან, ახლა სასაფლაოა“.

გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკური ატლასი

ჩხოროწყუს სადაბო საბჭო

1980 წ.



პირობითი ნიშნები:

სად. საბჭოს საზღვრები

მდინარეები

გზები

სად. საბჭოს ცენტრი
და უბნის ცენტრები

მასშტაბი: 1:25 000

ნაფაცხუ (ნაფაცხარი), ადგ.

ნაქერუ (ნაქერალი), ადგ. „აქ წინათ ჩვენს ძველებს ქერი უთესიათ“.

ნაღუმუ (ნაღომარი), ადგ. „ასეთი ადგილები ყველგან იყო. ჩვენთან წინათ უმეტესად ღომს თესავდნენ და მოჰყავდათ, ოღონდ უფრო გოთე, მაღალ ადგილებში“.

ნაჭვი (გადანაწვი), ადგ. „მონაჭვარა ადგილია. გადაუწვავთ ახალაიებს და ყანა დაუთესიათ. ყამირი გაუტეხიათ, ახოდ დაუდვიათ“.

ნაჭკიდუ (ნამჭადარი), ადგ. „ნამჭადარი ადგილებიც მრავალია“.

ნახაჯუ (ნაცერცვალი), ადგ. ცერცვი მოჰყავდათ ამ ადგილებში ჩვენს ძველებს“.

ნახელუუ, ადგ.

ნაჯაგუ (ნაჯაგარი), ადგ. „განაჭირი და დიდი სიძნელე და შიშნანახი ადგილი; ნასაჯაგუც ეწოდებოდა – ჯაგუნავების ნასახლარი“.

ნაჯარგვალუ, ჯარგვალი მდგარა, ადგ.

ნაჯარუ (ნაჯარალი) ნაომარი, ადგ. „აქ დიდი ომი მომხდარა, ბევრი ხალხი დახოცილა“ (ერ. ახალაია).

ნოხორიი (ნასახლარი), ადგ.

ნოხორიი (ნასახლარი), ადგ. ახლა საყანეა.

ნოხორიი (ნასახლარი), ადგ. დღეს სიმინდის ყანაა.

ოთუნთე (სადათვო), ადგ. დღეს ჩაის პლანტაციაა.

ოისირე (საისლე), ადგ. „ჩემი ეზოს უკანაც დღეს ნაისირუს ვეძახით. ყველა გლეხს ჰქონდა ასეთი საისლე ადგილი“.

ოქაჯე (საქაჯო), ადგ. „საქაჯო, საშიშარი ადგილი“.

ოჩხომურპიჯი (ოჩხამურ პირი), ჭალა.

ოხვამეკარი (ეკლესიის კარი), ადგ. „აქ ეკლესია მდგარა ქვის, შემდეგ დაანგრიეს. იგი სოფლის ცენტრი იყო. ეკლესიის წინ მოედანი, – თავშესაყრელი, ოშაყარგ და ნაოსხაპუ იყო. აქ ჯარალუა იცოდნენ“.

პალიაშ ღალი (პალიას ღელე), ღელე. „მას პალოღალსაც ეტყვიან“.

პანეშონა (პანეშისა), ადგ. „აქ მაღლარზე პანეშის ვაზი იყო მიშვებული, შავყურძნიანი ჯიში. მისგან კარგი ღვინო დგებოდა“.

პაპასქირიში ნოხორი, პაპასქირის (გვარია) ნასახლარი ადგილი.

პატონსქუაში ნაჩვანუ (ბატონიშვილის ნაყანევი), ადგ. „აქ ბატონიშვილის საყანე დიდი მასივი ყოფილა, სადაც ყმები ამუშავებდნენ მიწას“.

როკისკური (როკიღელე), ღელე.

საბებიო, ბებიების (გვარია) უბანი. „სულ ბებიები სახლებულან წინათ ამ ადგილებში“.

სავეკუო, ვეკუების (გვარია) უბანი, ადგ. დღეს აქ ვეკუები არ ცხოვრობენ.

საოდიარო (საბალახო), ადგ.

საპერტიო, პერტიების (გვარია) უბანი.

სასორდიო, სიორდიების (გვარია) უბანი.

საქებურიო, ქებურიების (გვარია) უბანი, სადაც ქებურიები ესახლნენ წინათ. „გარახაში ძველი დროიდან სახლობდნენ: მამფორიები, ბებიები, სიორდიები, ქებურიები, კვირკველიები, პაპასკირები, ფირცხალავები, ვეკუები, პაპავები“ (ნ. მამფორია).

სირული, ადგ. „ქვედა ხობწყლისპირი სულ დასილულია. ამიტომ ამ ადგილისთვის უწოდებიათ ასე“.

სორდიაში საოდიარო, სორდიას (გვარია) საბალახო, ადგ.

სტეფაში ნოხორიი (სტეფას ნასახლარი), ადგ.

სულერი, ადგ. „აქ სელი ითესებოდა“ (მ. კვირტია).

ტები, ტყე. დღეს ველია.

ტოტიაში ნოხორი (ტოტიას ნასახლარი), ამჟამად ჩაის ფაბრიკა დგას.

ურტყა (გაუვალი, ბნელი ტყე, ყრუ ტყე), ადგ. „ულრანი, გაუვალი, ცურუტყე ყოფილა წინათ“.

ქვაბდუდი (გამოქვაბულისთავი), ადგ. დღეს საყანეა;

ქვაბი (კარსტული გამოქვაბული), გამოქვაბული. „ლეფირცხალეში ქვაბს უწოდებენ“.

ქვაბი, გამოქვაბული. „გარახას კლდეში მრავალი გამოქვაბულია. მათ შორის სამი გამოქვაბული ქვითკირით პირაკრულია. მას „ნათურქუ ქვაბის“ ეძახიან. აქ თურქობის დროს ხალხი შეხიზნულა“.

ქვაბი, გამოქვაბული. „ლეფირცხალავეს უბანში, გარახას ქედის გადასახედთან, არის ღრმა ქვაბი. ამბობენ, რომ მისი მეორე ბოლო დოშაყეში გადისო. გამოქვაბულის პირი ქვითკირითაა ამოშენებული. მასაც ნათურქუს ეძახიან. თურქობის დროს ხალხი აქ აფარებდა თურმე თავს. იგი ხირზენი იყო. გამოქვაბულში დღესაც პოულობენ ქოთნებს, კეცებს, ნახშირს, ნაცარს. მას „ნარინსაც“ ეძახიან“ (ბაბუცა ვეკუა).

ქუაწუდე (ქვასახლი), კარსტული გამოქვაბული. „ქვა გამოხრულია სახლის მსგავსად. ქვაბის პირს ქვითკირით გამაგრების კვალი ამჩნევია“.

ყალიჩეფიში საოდიარო (ყალიჩავების საძოვარი), ადგ.

ყალიჩეფიში სუკი, ყალიჩავების (გვარია) სერი, ადგ. სერი.

ყალიჩონა, გამოქვაბული. „კარსტული მღვიმეა განტოტებული. პირველი ტალანის სიმაღლე 5 მეტრზე მეტია. აქ ნაპოვნი იქნა ამხ. გრ. შენგელიას მიერ კერამიკული მასალა, ქვის იარაღები, ხოლო ქვაბის წინ ენეოლითური საცხოვრისისეული მასალა: ბრინჯაოს იარაღები, მძივები, ქვის იარაღები. იგი ინახებოდა ჭოღის საშუალო სკოლის მუზეუმში. ახლა ჩხოროწყუს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდშია დაცული“ (გ. ხუხუნი).

შაქროში ხაბლა (შაქროს ქვიანი), ადგ.

შქედიწვანა (ჩრდილო ყანა), ადგ.

ჩეღალი (თეთრი ღელე), ღელე.

ჩეშონა (თეთრსვანური), ადგ. „აქ ჩეშონური ვაზი იყო მაღლარზე. ამასთან, აქ ჩეჭიფეშიც კი იყო გაშენებული“.

ჩეშონური (თეთრი სვანური), ადგ. „აქ მაღლარზე თეთრი სვანური – ჩეშონური იყო მიშვებული. კარგი მოსავალი იცოდა იმ დალოცვილმა, ჯგირი მონაწილი უჩქუდუ თი ხვამირს, ჯგირი ღვინი რდითუდუ თიში ყურძენიშე“, – კარგი ღვინო დგებოდა მისი ყურძნისაგან“ (ნ. მამფორია).

ჩეჯა (თეთრი ხე), ჭალაა მდ. ოჩხამურის პირას. „ამჟამად თევზის სატბორო აუზია. მის ნაპირას პაპასქირების წისქვილი დგას“.

ჩხოროწყუ (ცხრაწყარო), სოფელი, ს/ს ცენტრი. გადმოცემით აქ ცხრა წყაროს წყალი ამოდიოდა თურმე. ამათ შორის ერთი ცხელი ყოფილა, ერთი მარილიანი, ერთი მჟავე, ხოლო ექვსი ცივი, ანკარა წყაროს წყალი. ამ წყაროების მიდამოებში ძველ მესაქონლეებს თავიანთი კარვები დაუდგამთ, შემდეგ აქ დასახლებულან. ამ ადგილისთვის „ჩხოროწყუ“ უწოდებიათ“ (გ. ხუხუნი).

წყურგილი (წყაროს წყალი, ცივი წყარო), წყაროსთვალი. „ეს სულ უძველესი დროიდან ყოფილა ცნობილი. ცივი და ძალიან სუფთა წყაროა. დიდი წვიმების დროსაც არ იმღვრევა“.

ჭალე, ჭალა.

ჭუბურონა (წაბლნარი), ტყე. დღესაც წაბლნარია.

ხაკო, ადგ. დიდი უბანი (შემოკლებით „ხაბუმეს კოლექტივი“). „იყო მიწის კოლექტიურად დამმუშავებელი საზოგადოება“.

ხამე, ადგ.

ხომაკირდე (ხურმა კლდე), ადგ. „ეს კლდე ყოფილა უძველესი ნავსაყუდი. აქ რკინის ძელი ყოფილა კლდეზე მიჭედილი, – ასე ამბობდნენ ჩვენი ძველები. ხომა-ხვამარდი ნიშნავს ხომალდს, კირდე – კლდეს. ხომალდის მისაბმელი კლდე. გადმოცემით აქ ზღვა ყოფილა, ამ კლდესთან კი ნავმისადგომი“ (გ. ხუხუნი).

ხოჯიში თოლი (ხარისთვალა), ადგ. „აქ მაღლარზე იყო ხოჯიში თოის – ხარისთვალის ჯიშის ყურძენი. მან დიდი მტევნები იცოდა, შავი ფერისა“.

ჯგემარიონი (ჯგემარიამი), უძველესი ნაოხვამუ. „აქ ჩვენი ძველები მისარონის სალოცავს ლოცულობდნენ. აქ ღვთისმშობლის ეკლესია იდგა“.

ჯვეში შარა (ძველი გზა). გზა. „ჩვენი ძველები ამ გზას ძველ გზას უწოდებდნენ“.

ჯოღორღალ (ძაღლის ღელე), ღელე.


გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ხხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკური ატლასი
ჭოლის სასოფლო საბჭო
1980 წ.
პირობითი ნიშნები:
სასოფლო საბჭოს საზღვრები
სასოფლო საბჭოს და უბნების ცენტრები
მდინარეები
გზები
მასშტაბი: 1:25000

ჭოღა

სოფელი მდებარეობს ზეგანური ხასიათის სერებითა და ბორცვებით დაფარულ მასივზე. ნიადაგი აქ წითელმიწა-ალუვიური ხასიათისაა. სოფელს დასავლეთით ესაზღვრება ხაბუმეს, ჩრდილოეთით – თაიასა და ნაფიჩხოვოს და სამხრეთ-აღმოსავლეთით – ნაკიანის სასოფლო საბჭოები. მის ცენტრში დგას XIX საუკუნის 80-იან წლებში შექმნილი სასწავლებელი. ამ სკოლის შექმნის 100 წლისთავზე აიგო სამსართულიანი, მრავალკორპუსიანი სკოლა. მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის სიმდიდრის წყაროს წარმოადგენს ჩაისა და ტუნგოს კულტურები, მესაქონლეობა და სხვ. ჭოღის ტერიტორიაზე ამხ. გრ. შენგელიამ შეისწავლა გვიანი ბრინჯაოს ხანის საცხოვრისი. იქ ნაპოვნ უამრავ ნივთიერ მასალათა შორის აღსანიშნავია კოლხური ცულები, სეგმენტები, სამკაულები, თიხისა და პასტის მძივები, რკინის მრავალი სახის იარაღი და ინვენტარი. მანვე შეისწავლა ყალიჩონას უაღრესად საინტერესო კარსტული ქვაბი და აღმოაჩინა პალეოლითური ადამიანის საცხოვრისეული მასალა; ქვისა და ობსიდიანის იარაღები, კულტურული ფენის ნაშალი და სხვ. მის მიდამოებში იპოვა ნეოლითური საცხოვრისის კვალიც.

ᲐᲑᲐᲜᲐ, იქვეა აბანო. „აქ 5 მეტრის სიმაღლიდან გადმოდის ჩანჩქერი, რომელიც წვრილ-წვრილ ჩქეფებად ესხმევა კირქვის ამოღრუებულ ნიშებს და თავისებურ ავზებს წარმოადგენს. ეს ადგილი ამ ხეობის მშვენებაა“.

ᲐᲗᲐᲜᲐᲨᲘ ᲜᲐᲬᲣᲓᲣ (ათანას ნასახლარი), ადგ.

ᲐᲚᲔᲘᲐᲨᲘ ᲒᲐ (ალეიას სერი), ადგ.

ᲐᲜᲓᲠᲘᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (ანდრიას ნასახლარი), ადგ.

ᲑᲐᲙᲣᲠᲔᲗᲘ (ბაკურას თი) უბანი. 1. „ბაკურას შვილების ნასახლარი. უბანი. ბაკურა ყოფილა ვიღაც დიდკაცი, აქ მას დიდი ოჯახი ჰქონია, ეს მისი ოჯახის მამულია, მისი სამოსახლოა“; 2. ბაᲪᲣრეთი „ბაᲪᲣრას თი, მისი ოჯახი, შემდეგ ბაკურები ნასახლება“ (გ. ხუხუნი).

ᲑᲔᲑᲣᲠᲘᲐᲨ ᲦᲐᲚᲒ (ბებურიას ღელე), ადგ.

ᲑᲔᲠᲣᲙᲘᲐᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (ბერუკიას ნასახლარი), ადგ.

ᲑᲔᲠᲣᲙᲘᲐᲨᲘ ᲦᲐᲚᲒ (ბერუკიას ღელე), ღელე.

ᲑᲘᲢᲣᲨ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (ბიტუს ნასახლარი), ადგ.

ᲑᲘᲯᲒᲒᲕᲐᲨᲘ ᲬᲘᲡᲥᲕᲘᲚᲘ (ბიჯგვას წისქვილი), ადგ. „ბიჯგვა სახელია“.

ᲑᲣᲛᲔ, ღელე.

ᲑᲣᲛᲔ, ღელის ჭალები, ნაყოფიერი საყანე მასივებია.

ᲒᲐ (სერი), ადგ.

ᲒᲐᲠᲐᲛᲘ (უფსკრული), ადგ.

ᲒᲐᲡᲮᲐᲞᲣ (გასახტომი), ადგ. „ორი ნაპირი ისე ვიწროა, კირქვის ლოდებით მიახლოვებული, რომ ზედ კაცს შეუძლია გახტომა“...

ᲒᲐᲣᲠᲘᲨᲘ (სერიურიში), ადგ. „აქ ურიშს თესდნენ ჩვენი ძველები. ამბობდნენ, – უძველესი ნაოხვამუაო. მე არ შევსწრებივარ აქ ხვამას (ლოცვას). ურიშს კი მოვსწრებივარ პატარობისას. ამბობდნენ, ეს კურკუცა ხელითაა დაზვინული და ამაღლებული“ (დათა მარკოზია).

ᲒᲔᲠᲣᲚᲘ (სამგლო), მგლის ადგილია, საშიშარი. მგელი სოფელსაც კი ესხმოდა თავს აქედან, იტაცებდა საქონელს.

ᲒᲕᲘᲢᲘᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (გვიტის ნასახლარი), ადგ.

ᲒᲘᲜᲝᲮᲝᲜᲘ (გაღმა), ადგ. ფერდობია სერის იქით, გაღმა, გადაღმა.

ᲒᲝᲨᲘᲠᲘᲚᲘ (გაცვეთილი), ადგ. „გზა გადადის და ადგილი ჩაცვეთილია, ჩაწეულია ხანგრძლივი მოძრაობის გამო“.

ᲒᲝᲭᲘᲤᲔ (ვიწრო), ადგ. ხეობის ვიწრო ადგილი.

ᲒᲣᲠᲣᲠᲘᲨᲘ (გულურიში), „აქ, ამ სერზე ურიში ეთესათ ადგილობრივ მკვიდრთ. ამიტომ ეწოდებოდა ადგილს გუგურიში ან გურურიში“.

ᲓᲐᲓᲘᲐᲨᲘ ᲨᲐᲠᲐ (დადიანის გზა), გზა. „ამ გზით დადიოდნენ დადიანები გორდი – სალხინო – კურზუ – ჭოღა – ჩხოროწყუ – კირცხი – ჯიხაშკარი – ჭკადუაშის მიმართულებით“.

ᲓᲐᲓᲘᲐᲨᲘ ᲬᲧᲣ (დადიანის წყარო), წყარო. „ზუგდიდიდან ცხენით მომავალი დადიანები აქ ისვენებდნენ. აქ შხუ, შქუკორა (ღარა) წყალი მოდის, ამიტომ ეძახიან დიდ ღალისაც“ (დათა მარკოზია).

ᲓᲔᲭᲔᲠᲘ, ადგ.

ᲓᲘᲓᲦᲐᲚᲘ (დიდი ღელე), ღელეა შქედის იქით.

ᲓᲘᲓᲘ ᲠᲖᲔᲜᲘ (დიდი ველი), ადგ. „ნიკო აფხაზავას რზენს ეძახიან. მისი საყანე ყოფილა“.

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲨᲘ ᲢᲝᲑᲐ, დიმიტრის ტბა.

ᲓᲘᲭᲧᲔᲞᲘᲯᲘ (დიჭყე ღელეს ჭალები), ადგ.

ᲓᲘᲭᲧᲔᲦᲐᲚ (დაიწყევლე, ან დაიწყე ღელე), ღელე.

ᲓᲝᲑᲔᲠᲐ (დობილო), ადგ.

ᲔᲜᲬᲔᲠᲘ (ეწერი), ადგ.

ᲙᲐᲘᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ (კაის ნასახლარი), ადგ. „კაი ხობელია სახლებულა აქ“.

ᲙᲐᲙᲣᲪᲐ, მაღალი ადგილია. ნიკო შენგელიას ნასახლარი.

ᲙᲐᲜᲙᲘᲐᲨᲘ ᲦᲐᲚ (კანკიას ღელე), ღელე.

ᲙᲘᲠᲗᲮᲘᲛᲐ (გკითხე მე?), ღელე. „ამ სოფელშიც გაედინება“.

ᲙᲚᲐᲡᲘ (სკოლა), ადგ. „ეს სკოლა უძველესია, მას 100 წლის ისტორია აქვს. დღეს მის მიდამოებს ᲙᲚᲐᲡᲡ და ᲙᲚᲐᲡᲙᲐᲠᲡ ეძახიან“.

ᲙᲝᲬᲘᲐᲨᲘ ᲒᲐ (კოწიას სერი), ადგ.

ᲙᲣᲭᲣᲠᲣᲐᲨᲘ ᲜᲐᲬᲣᲓᲣ (კუჭურუას ნასახლარი), ადგ.

ᲚᲔᲐᲑᲮᲐᲖᲔ, აბხაზავების (გვარია), უბანი.

ᲚᲔᲐᲤᲨᲘᲚᲔ (სააფშილაო), უბანი. „აფშილავები (გვარია) სახლობენ“.

ᲚᲔᲑᲘ, ადგ. 1. სადაც ლები ხარობს, ლებნიანი მცენარეა, ფართოფოთლიანი, მაღალი ხე; 2. „მერგელი, ლები მინერალურ სასუქად იხმარება“.

ᲚᲔᲒᲐᲑᲔᲓᲔ, გაბედავების (გვარია) უბანი.

ᲚᲔᲓᲘᲮᲐᲛᲘᲜᲯᲔ, დიხამინჯიების (გვარია) უბანი.

ᲚᲔᲗᲝᲓᲣᲔ (სათოდუო), თოდუების (გვარია) უბანი, ადგ.

ᲚᲔᲚᲐᲒᲕᲘᲚᲔ, ლაგვილავების (გვარია) უბანი.

ᲚᲔᲛᲐᲠᲙᲝᲖᲔ, მარკოზიების (გვარია) უბანი, სამოსახლო.

ᲚᲔᲤᲐᲪᲐᲪᲔ (საფაცაციო), უბანი, ფაცაცია გვარია.

ᲚᲔᲤᲐᲪᲐᲪᲘᲔ, ფაცაციებს (გვარია) უბანი.

ᲚᲔᲥᲐᲠᲩᲔ (ლექარჩავე), უბანი. ქარჩავების (გვარია) დასახლება.

ᲚᲔᲥᲝᲑᲐᲚᲔ (ქობალიების დასახლება), უბანი. ქობალია გვარია.

ᲚᲔᲭᲔᲭᲘᲔ, ჭეჟიების (გვარია) უბანი.

ᲚᲔᲮᲝᲑᲔᲚᲔ, ადგ.

ᲚᲔᲯᲝᲛᲘᲓᲔ, ჯომიდავების (გვარია) უბანი.

ᲚᲝᲛᲘᲐᲨᲘ ᲜᲝᲮᲝᲠᲘᲘ, ლომიას (გვარია) ნასახლარი, ადგ.

ᲛᲐᲘᲐᲨᲘ ᲦᲐᲚ (მაიას ღელე), ღელე.

ᲛᲝᲚᲐᲠᲘ, ადგ.

ᲜᲐᲒᲕᲐᲠᲐᲛᲣ (გვარამიების ნასახლარი), უბანი. „გვარამიები (გვარია) სახლებულან აქ. მეორე ჭოღის ზემოთ. დინოხონ ადგილას (ჩავარდნილ ადგილას), კურკუცას ქვემოთ, არის ეს ნაგვარამუ. აქ ხალხი თავს იყრიდა და დღეობას იხდიდა. აქ გვარამიების და ფაცაციების ძირის ხატი ყოფილა. თუმცა ეკლესია არ იდგა. ამ ადგილას ხდებოდა ჯვრისწერა, ლოცვა და სხვ“.

ᲜᲐᲓᲣᲥᲐᲜᲣ (ნადუქნარი), ადგ. „აქ დუქანი ჰქონია ადგილობრივ სოფლის ვაჭარს, საწვრილმანო დუქანი“.

ᲜᲐᲙᲐᲠᲣ (ნაკარვალი), ადგ.

ᲜᲐᲙᲐᲠᲣ (ნაკარვალი), ადგ. „მესაქონლის კარავი მდგარა, ჯაᲰონაზე ასვლის წინ აქ ეყენა მას საქონელი. აქვე ჰქონდა აგვარა მოწყობილი. აგვარა დიდი იყო, რომლის ცენტრალური ნაწილი საქონლის სახეობის მიხედვით თᲒფᲒ-ებად იყო დაყოფილი. ყველას თავისი ღამის სადგომი თᲒფᲒ ჰქონდა. ცხენი თავის თᲒფᲒ-ზე, ძროხა თავისაზე, თხა თავისაზე და ა. შ.“ (მახუ დარსალია). მთელი უბანია.

ᲜᲐᲚᲔᲑᲘ, „ადგილის სახელია“ (გ. ხუხუნი).

ᲜᲐᲚᲔᲙᲣ (ნალებარი), ადგ. „სადაც წინათ სულ ლებნარი ყოფილა“.

ᲜᲐᲛᲐᲚᲐᲖᲝᲜᲣ (ნამალაზონარი), ადგ. „სადაც მონაზონთა სახლი იდგა. შემდეგ მომკვდარან, სახლი დანგრეულა. ადგილს ასე ეძახიან“.

ᲜᲐᲝᲡᲮᲐᲞᲣ (ნასაცეკვარი), ადგ.

ᲜᲐᲝᲩᲕᲐᲛᲣ, ადგ.

ᲜᲐᲝᲭᲙᲐᲓᲣ (ნასამჭედლარი), ადგ.

ᲜᲐᲝᲮᲕᲐᲛᲣ (ნასალოცვარი), ადგ. „უძველესი ნასალოცვარი ადგილია“. ახლა ეკლესიის ნანგრევები დგას. ერთნავიანი ბაზილიკაა, XIX ს. დასაწყისის ნაგებობა.

ᲜᲐᲤᲐᲪᲮᲣ (ნაფაცხარი), ადგ. „აქ ძველად თავადებს ფაცხა ჰქონიათ მოწყობილი და ნადირობისა და თევზაობის დროს ისვენებდნენ თურმე“.

ᲜᲐᲨᲐᲚᲐᲤᲣ, ადგ.

ᲜᲐᲭᲕᲣ (ნაჭვავარი), ადგ. 1. „წინათ ჭვავს თესდნენ თურმე“; 2. „ნამწვარი ადგილი“.

ᲜᲐᲭᲙᲐᲓᲣ (ნასამჭედლარი), ადგ. უძველესი სამჭედლო ყოფილა. არავის არ ახსოვს, აქ სამჭედლო რომ ყოფილიყო, გადმოცემით ამბობენ მხოლოდ“. ადგილზე ხვნისას მეტალურგიული წარმოების მასალა: წიდები, სხმულები და სხვა ცვივა მიწიდან.

ᲜᲐᲭᲙᲐᲓᲣ ᲙᲣᲜᲗᲮᲣ (ნასამჭედლარი კუთხე), უბანი. „აქ ძველ დროში სულ სამჭედლოები ყოფილა. რკინას აქვე წურავდნენ – „ჭახუნდესია“.

ᲜᲐᲯᲐᲑᲣᲜᲣ (ნამწარები, ნაჭირალი), ადგ. 1. „აქ ჭირსა და უბედურებას მოუსრავს ხალხი“; 2. „ლეჯაგუნესაც ეძახიან, ჯაგუნების (გვარია) უბანი, ნასახლარი.

ᲜᲐᲯᲘᲮᲣᲠᲣ (ნაჯიხურალი), ადგ. „აქ მესაქონლეს ჯიხური და ქართა ჰქონია“.

ᲜᲘᲙᲝᲘᲐᲨᲘ ᲬᲧᲣᲠᲒᲘᲚᲘ (ნიკოიას წყაროს წყალი), ადგ.

ᲜᲝᲘᲡᲘᲠᲣ (ნაისლარი), ადგ.

ᲝᲒᲘᲜᲔ (სახბორე), აგ.

ᲝᲘᲡᲘᲠᲔ (საისლე), ადგ.

ოკარკალე, ადგილი და ღელე.

ოკიფე (საკანაფო), ადგ. არის ლექსი: „ახაში ოკიფეს ქისეია დო კვაწიქ დოგიმეს კიფი, დოსულეს დო დოკიფესია“.

ომუნჩქვე (სამაჩვო), ადგ.

ორესტიში ნოხორიი (ორესტის ნასახლარი), ადგ.

ორუმე ღალგ (ბრმა ღელე), ადგ.

ოფუცხოლუ (ფუცხუნით გასავლელი უბანი), ადგ. „აქ ღრმა ტყე ყოფილა, სადაც გადიოდა გზა. გზაზე ამ ადგილის გასვლა ძლიერ საშიში იყო. აქ ყაჩაღების ბუნაგი ყოფილა, რომლებიც დაუზოგავად ძარცვავდნენ თურმე მგზავრებს“.

ოღვაბე, ღელე და ადგილი.

ოშაყარგ (თავშესაკრები), ადგ.

ოჩხომური (სათევზაო), მდინარე. „მდიდარია თევზით, განსაკუთრებით წვერათი, უგვაროთი, ზემო წელზე – კალმახით. თევზი – „ჩხომი“, „ოჩხომური“ ქართულად – სათევზაო. ოჩხომური სათავეს იღებს მინგარიეს ქედიდან“ (გ. ხუხუნი).

ოჭაკინე (საჭარკუნო), ადგ. „აქ ჯარალუა იცოდნენ. ნაოსხაპუ ადგილია, სადაც ხალხი იკრიბებოდა და ცეკვა-თამაშით ირთობდა თავს. ჭარკუმი მოკაკული, მსხვილკაუჭიანი თავით დასრულებული ჯოხია, რომლითაც ქვის მრგვალ კენჭს აგორებენ, ან ძუის, თექის ბურთს თამაშობენ“.

ოხარხაფუ-ოძილე (თევზის საჭერი), ადგ. „აქ თევზს გამორეკავდნენ და იჭერდნენ. იგი თევზის ოძიე ადგილია“.

პავლე გაბელიაში ნოხორიი (პავლე გაბელიას ნასახლარი), ადგ.

პალეშონა (პალესვანური), ადგ. „აქ პალეშონურის ჯიშის ვაზის მაღლარი ყოფილა, სულ მისი დობერა ყოფილა“.

პატარაიაში სუკი (პატარაიას სერი), ადგ.

ჟიპიჯი (ზედაპირი), ადგ.

ჟუღუ, ადგ. მდინარე ოჩხამურის პირასაა. ნაყოფიერი, მოსავლიანი ადგილია. „ჟუღუ შედგება სიტყვებისაგან: „ჟ“ – ზევით და „უღუ“ „აქვს“, ე. ი. ნოყიერი ზევით აქვს“ (გ. ხუხუნი).

რატიაში გენაცვილა (რატიას დანაკლავი), ადგ.

საბაში ნოხორიი (საბას ნასახლარი), ადგ.

საჯვარო (საჯვარე), ადგ. „დიხაზურგა. აქაც უძველესი ნაოხვამუა. იცოდნენ თავშეყრა და ლოცვა“. ახალ ნახნავზე და ჩამონაქცევ ფლატეზე შეინიშნება რკინაწიდა და გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურული ფენა“ (დათა ძიბლას ძე მარკოზია, 85 წლისა).

საჯვარო (საჯვარო), ადგ. „ბორცვია, სადაც ჯვარის სალოცავი მდგარა და მასზე ლოცულობდა თურმე ხალხი. ეს ძალიან ადრეული და ძალიან დიდი ღვთაებაა და ამ ღვთაების სალოცავად ითვლებოდა წინათ ეს ადგილი“.

სვიმოში ტოგა, სვიმოს ტბა.

ტეგი (ნატყევარი), ადგ.

ტოგაონწე (აკვანი ტბა), ტბა. „ძალიან საინტერესო ადგილია ოჩხამურის ხეობაში. აქ ჭორომიანი ხერგილია, სადაც მცირე, მაგრამ ცივი, ლამაზმიდამოებიანი ტბაა. იგი ლაჟვარდივით სუფთა და კამკამაა. ეს ამ სოფლის ახალგაზრდობის თავშესაკრები და დასასვენებელი ადგილია“.

ტოჩაში თხინა (ტოჩას თხილნარი), ადგ. „აქ სულ თხილის ტყე ყოფილა წინათ“.

ტოხილია, ადგ.

ტულა, ადგ.

ფართხუში კადარი (ფართხუს კადარი), ადგ.

ფართხუში ნაკადარი (ფართხუს ნაკადარი), ადგ.

ფუცერი (საფაცერო), ადგ. „სათევზო ადგილია, ფაცერს ვმართავდით აქ“.

ღადიდი, ღელეა, უერთდება ოჩხამურს.

ღალდიდი (ღელედიდი), ღელე.

შეგღალი (შებეღელე), ღელე.

შკედი, უბანი. ჩრდილოეთი ფერდობი.

შონიათი, შონიეთი (შონიას თი, შონიას სახლი), უბანი. „შონიას დიდი ოჯახის სამოსახლოა. შონია შონი (სვანი) ყოფილა. იქიდან გადმოსახლებულა დიდი კაცი, რომელსაც აქ დიდი ოჯახი ჰქონია. შემდეგ შონიები გამრავლებულან და დღეს ყველა შონია (გვარია) ამ ძირიდანაა ამოსული, მისი „ნოცორე“, – მისი ნაყარია. თუმცა, დღეს აქ გვარად შონიები არ სახლობენ, ძირითადად შენგელიები ცხოვრობენ“.

შქა გა (შუა სერი), ადგ.

შქა გა (შუა სერი), ადგ. აქ პოულობენ ცივსაბერი ქურის ფრაგმენტებს. ძალიან საინტერესო კულტურული ფენაა, გვიანი ბრინჯაოს, ადრე რკინის ხანა, XIII-IX სს. ჩვენს ერამდე, პირველი ათასწლეულის დასაწყისი.

ჩაიშ ტოგა (ჩაის ტბა), „ჩაი თოდუა სახლებულა აქ. მის ნასახლართან ახლოსაა ეს ტბა“.

ძღორელი, ადგ.

წახნაგიაში სუკი (წახნაგიას სერი), ადგ.

ჭაპანიაში როგუ (ჭანიას ან ჭაპანიას უფსკრული), ადგ.

ჭვიტილური (ჭვიტილურის ჯიშის ვაზის ადგილი), ადგ. „ეს ადგილი სულ სავენახე ყოფილა, მაღლარი, დობილო, სადაც მაღლარზე ყოფილა მიშვებული ჭვიტილურის ჯიშის ვაზი, პატარა მტევნებით, წვრილი მარცვლებით, მაგრამ ხშირი მსხმოიარობა იცოდა. ღვინო დგებოდა ძალზე კარგი. დღეს კი ეს ჯიში აქა-იქ გვხვდება ოჯახებში“.

ჭოღა (ჭოის ღელე, ჭილის ღელე), ღელე, სოფელი. „აქ სულ ჭოი (ჭილი) ყოფილა, ამიტომ ამ ჭოით დაკავებულ მიდამოებს ჭოღა შერქმევია“.

ჭოღაღალგ (ჭოღა ღელე), ღელე. 1. „ჭოით გადამწვანებულ ჩირგვნართა შორის, ჭოის ჭალებში მოედინება. ამიტომ შეერქვა მას ჭყონას ტყეში მიედინებოდა ეს ღელე, ჭყონა ღელე; 2. ჭყონ ან ჭოღალ ადგილს – ჭყონას ან ჭყონგას (მუხის სერს) ეძახდნენ ძველად. მართლაც ეს სერები სულ ჭყონით (მუხით) დაბურული სერები ყოფილა ოდესღაც“.

ჭუჭაში გა (ჭუჭას სერი), ადგ.

ჭყონა (მუხნარი), ადგ. „აქ ყოფილა მუხნარი. იცოდა მრავალი ნადირი, ამიტომ აქ სანადიროდ დადიოდა თურმე დავით დადიანი, ხშირად თან ახლდა ეკატერინე დედოფალი“.

ხაბალერი, უბანი. ამ საბჭოშიც გრძელდება იგი.

ხანწკი, უბანი.

ხვარცამიაში ნაცუდუ (მუნიანის ნასახლარი), იქნებ ხვარცამია გვარი იყო. ადგილზე ამის შესახებ არაფერი იციან.

ხველაფა, ხოლაფა (ხველება ან შეკრება, ერთმანეთში არევა), ადგ.

ჯავშილ, „ადგილის სახელია“ (გ. ხუხუნი).

ჯამლეში ნოხორი (ჯამლეს ნასახლარი), ადგ.

ჯარუაში ნოხორიი (ჯარუას ნასახლარი), ადგ.

ჯვარიში (ჯვარისა), ადგ. „ესეც უძველესი ნასალოცვარია“.

ჯიხიაში კირდე (ჯიხიას კბოდე), ადგ. „ჯიქიაში კირდესაც ეტყვიან“.

ჯომიდაში ნოხორიი (ჯომიდას ნასახლარი), ადგ.

ჯურუში ნანოხორუ (ჯურუს ნასახლარი), ადგ.

ჯურუში ნოხორიი (ჯურუს ნასახლაარი), ადგ.

ხაბუმე

სოფელი ხაბუმე მდებარეობს ხობისწყლისა და ოჩხამურის ხეობათა ვრცელ ჭალაზე. სილანაჭარბი წითელმიწა – ალუვიური ნიადაგი ძალიან ნაყოფიერია და ხელსაყრელ პირობებს ქმნის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობისათვის. სოფელი ისტორიულად ცნობილი იყო ვაზისა და ხილის, აგრეთვე, ღომის, ჭადის, სელის, ხორბლის, ცერცვის, ლობიოსა და სიმინდის უხვი მოსავლით. დღეს გაშლილი ველიანის დიდი ნაწილი ჩაის პლანტაციებს უჭირავს. გარკვეული ნაწილი დათმობილი აქვს ვაზსა და ხილს. სოფელი სამ უბნად იყოფა: ჯუმითი, ხაბუმე, მოიდანახე. სოფელი წარსულში დადიანთა რეზიდენციას წარმოადგენდა. აქ საზაფხულო აგარაკი და სააგარაკო კარ-მიდამოები ჰქონდათ უფლისწულებს და დიდ თავადებს. სოფელი ხაბუმე „შძა სამარგალოში შარას“ (შუა სამეგრელოს გზის) ცენტრში ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებული ეკონომიკური და კულტურული ცენტრი ყოფილა შორეულ წარსულსა და XIX საუკუნეშიც. აქ, მოიდანახეში, დღესაც შემორჩენილია ერთნავიანი ბაზილიკა, რომელიც რაღაც უფრო ადრეული ნაგებობის პიედისტალზე უნდა იყოს დაშენებული. ეს ბაზილიკა XIX საუკუნის დასაწყისშია ნაგები, მაგრამ ეკლესიის კედელში ჩართული ორნამენტოვანი ფრაგმენტები XIII-XIV საუკუნეების ნაგებობიდან უნდა იყოს აღებული.

აბანო, ადგ. „აქ ცივი წყალი გამოდის. ზაფხულში აქ ტანს იბანდნენ. მოწყობილი იყო ბუნებრივი აუზები, ტკილის და კირქვის ლოდების წყლის მიერ ამოღრუეებული ნიშები, სადაც შესულ კაცს ცივი წყალი შხეფებად ესხმებოდა თავზე. მის იქით კი გაშლილია ძალიან ლამაზი აკვანტობა, სადაც ბანაობა ძლიერ სასიამოვნოა. აბანოს წყალი მიწისქვეშა ხვრელიდან გადმოსჩქეფს და 5 მეტრი სიმაღლიდან, მრავალ ტოტად დაყოფილი ჩანჩქერების წვრილ ნაკადებად გადმოდის, სწორედ ამ კირქვის ამოღრუებულ ნიშებში. ეს ადგილი მთელი სოფლის მშვენებაცაა. ხაბუმისა და ჭოღის ახალგაზრდობა ზაფხულის დღეებში სულ აქ იკრიბება, ისვენებს და ერთობა“ (გრიგოლ შენგელია).

ბარცხონა (ბარცხნარი), ადგ. საყანე და ჩაის პლანტაციაა.

ბედინერღალგ (ბედნიერი ღელე), ღელე.

ბერიკიაში ნოხორიი (ბერიკიას ნასახლარი), ადგ.

ბეჩუკიაში ნოხორიი (ბეჩუკიას ნასახლარი), ადგ.

ბორკისქვილი (ფეხებშეკრული), ადგ.

ბორკისქვილი ღელე (ფეხებშეკრული ღელე),

გა (სერი), სერი.

დადიაში ნოხორიი (დადიანის ნასახლარი), ადგ. „ასეთი ადგილი მეორეცაა. აქ წინათ დადიანს თავისი სასახლე და საშემოდგომო რეზიდენცია ჰქონია. სასახლე, – ხის ნაგებობა, – და ხეივანი დღესაცაა დარჩენილი“. აქ რევოლუციონერებს შტაბი ჰქონიათ. 1918 წელს აქ მოსულა საშა გეგეჭკორი რაზმით.

ენწერი (ენერი), ადგ.

ენწერი (ენერი), ადგ. დღეს ჩაის პლანტაციაა.

ენწერი (ენერი), ადგ. ოჩხამურის პირას მაღალი ადგილი.

ეწერი, ადგ.

კადარი (ქვიანი), ადგ. „ქვიანი, კეჭეხი, კეჭნარი ადგილი“.

კეთილ ხანდა (კეთილი შრომა), ადგ. „პირველი კოლმეურნეობის უბანია. აქ შეიქმნა 1929 წელს კოლმეურნეობა „კეთილ ხანდას“ სახელწოდებით. მისი წევრები იყვნენ ამ ადგილის მცხოვრებლები. ადგილის ძველი სახელწოდებები დაივიწყეს და ამ სახელით აღნიშნავენ დღეს“.

კომუნაში შარა (კომუნის გზა), ადგ. „აქ პირველი კოლმეურნეობა შექმნეს „კომუნაში შარას“ სახელწოდებით. აქ იყო მისი პირველი კანცელარია და საწყობები. აქ შეიქმნა ამ კოლმეურნეობის პირველი ჩაის პლანტაცია. ეს პლანტაცია რაიონშიც პირველი პლანტაციაა. აქ სანამ კოლექტივი შეიქმნებოდა, 1928 წელს სოზი შეიქმნა და მან დაიწყო ამ პლანტაციის გაშენება“.

ლეაბხაზე, აფხაზავების (გვარია) უბანი. „აქ, ამ უბანში თავიდანვე სულ აფხაზავები სახლობენ“ (ბესარიონ აფხაზავა).

ლებერიე, საბერიო, ადგ. „დადიანები და ბერიები წაიჩხუბნენ ამ ადგილების გამო. აქ სულ ბერიები (გვარია) სახლებულან. ეს მათ საკუთარ ადგილებად ჩაუთვლიათ. თუმცა იგი დადიანების მამულს წარმოადგენდა. ამიტომ მომხდარა დავა, რაც ხანგრძლივ გაგრძელებულა დადიანებსა და ბერიებს შორის. იგი ლაბა ადგილია, დაბალი ადგილია“.

ლეგაბელე, გაბელიების (გვარია) უბანი. „აქ გაბელიები სახლებულან“.

ლევახანე (სავახანიო), ვახანიების (გვარია) უბანი.

ლეჩალიგე, ჩალიგავების (გვარია) უბანი.

ლეჩხარჩხალე, ადგ. ჩხარხჩალიების გვარის სამოსახლო.

ლეცირგაიე, ცირგაიების (გვარია) უბანი, ადგ. „ცირგაიების დასახლების უბანი“.

ლეცულუნე (უსაქმური, უქნარა, მატყუარა კაცის ადგილი), ადგ. „აქ კაცი სახლებულა ცულუნია, ცუხი, მატყუარა, უსაქმური, ბოროტი. მისი ნაშიერები სულ ცულუნიები ყოფილან, ამიტომ მათ ნასახლებ უბანს ლეცულუნეს ეძახის ხალხი“.

ლოშძუა, ადგ. „ქვიანი, კეჭნარი ადგილი. მრავალი პრიალა სილქვებითაა მოფენილი ეს ველი. აქ კრეფენ ქვასანაყის ფილთაქვებს“.

მანცხვარი (მაცხოვარი), ადგ. „უძველესი ნაოხვამუა. აქ ჩიქოვანები ლოცულობდნენ თავიანთ ხატზე. მათი ძირის ხატი, მაცხოვრის ხატი იყო“.

მარანი (მარანი), ადგ. „ძველი მარანი, დადიანების მარანი ყოფილა აქ. სულ შონურისა და პანეშონას ყურძენს წურავდნენო დადიების ყმები ამ მარანში“.

მოიდანახე (მოდი და ნახე), უბანი. „კურზუში ერთი თური მეორე თურკათას (თურხალხს – გვარხალხს, მოგვარე ხალხს), გადაკიდებია და სულ გაუწყვეტიათ ერთმანეთი. ერთი ქალი გამოქცეულა და აქ ქვევრში ჩასულა. ქალი ორსული ყოფილა და აქ მოულოგინებია, ვაჟიშვილი შეძენია. მშობლებს მოუძებნიათ, ვაჟი გაუზრდიათ, აქ დაუსახლებიათ. მისთვის თამკოჩი შეურქმევიათ. მას ნათესავები ყოლია გურიაში და შეუთვლიათ, მოდი და ნახეო. ამიტომ ამ ადგილს მოიდანახე შერქმევია. თამკოჩის შვილები ორ სხვა ადგილას დასახლებულან და მათაც „მოიდანახეს“ ეძახიან“ (ანდრო პეპუს ძე ჩარჩხალია).

მოიდანახეს ოხვამე (მოდი და ნახეს ეკლესია), ეკლესია დღესაც დგას სახურავმორღვეული. ეკლესია ბაზილიკაა, ერთნავიანი, 7X10 მ. XIX ს. დასაწყისის ნაგებობა, ოვალური ფორმის აღმოსავლეთის ფასადით. გადახურვა ოვალურია, კედლებში ჩაშენებულ სამ სვეტზე დაყრდნობილი თაღედებით. საინტერესოა თაღედების დასაყრდნობი სვეტის კაპიტელების არქიტექტურული ფორმები. სადა, მაგრამ ლამაზი ნაგებობაა. „იგი დადიანების კარის ეკლესია ყოფილა. ეტყობა, აქ მათი საძვალეც იყო. ეს მეორე მოდი და ნახეა. თასიკოჩის სალოცავია. მისი ძირის ხატი სწორედ აქ ყოფილა. აქ გინოჩამაც ცოდნიათ, – გადაცემა“.

ნაბერალუ (ნადროშალი), ბორცვი. „დღესაც ხალხი აქ სალოცავად ადის. უძველესი ნაოხვამუა იგი“.

ნადოხორუ (ნასასახლარი), ადგ. „დადიანის სასახლე და კარ-მიდამო ყოფილა აქ. მისი კურზვალები აქ მონადირე ძაღლებს უვლიდნენ“.

ნადუქანუ (ნადუქნარი), ადგ.

ნაკარუ (ნაკარვალი), ადგ. „მესაქონლეებს აქ კარავი და ქართა (ქალტა) ჰქონიათ საქონლისა. შემოდგომით ჩამოდიოდნენ, ხოლო ზაფხულში მთაში მიერეკებოდნენ საქონელს“.

ნალიმა (ნაომარი), ადგ. „ნაომარი, ნაბრძოლი ადგილია. აქ თათრების დიდ ჯარს გაუმკლავდა თურმე დადიას ჯარი. ეს ადგილები სულ ჩვენი ხალხის სისხლითაა მორწყული. მაგრამ ხალხს ეს ადგილები მტრისათვის არ დაუთმია. დადიას გაუმარჯვია“.

ნაოსხაპუ (ნასაცეკვარი), ადგ.

ნაოჭკადუ (ნასამჭედლარი), ადგ. „უძველესი ნასამჭედლარია. ჩემი ძველებისაგან გამიგონია, რომ აქ ძველთაძველი სამჭედლოები და ლეჭეხები ყოფილა. რკინას ჭახუნდესია, წურავდნენო, გამიგონია (გ. შენგელია). დღეს აქ პოულობენ ბრინჯაოს ზოდებს, სამჭედლო ინვენტარს, წიდებს და ა. შ.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ადგ.

ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ადგ. ბორცვი, გუძუბა. „შენგელიების უძველესი ნასალოცვარია“ (იროდი იონას ძე შენგელია, 56 წლისა).

ნაფაცხუ (ნაფაცხარი), „აქ შენგელიებმა, ივანიამ, პაპუიამ, გიოიამ, ხახუიამ და შაქარიამ, 5 ძმამ შექმნეს ფაცხა და ოჯახი. შემდეგ ცალკ-ცალკე დაიდგეს ფაცხები. ეს ადგილი შენგელიების პირველი ნაფაცხუა. აქედან ერთი ძმა ქართიშა (თბილისში) წავიდა, მაშინ იგი 50 წლის ყოფილა. გზად ნაფიჩხუში გაიარა. აქ მას მეგიდელესათვის სალამი უთქვამს, მეგიდელეს უყვირია – შაქარა შენგელიაო და ხიდან ჩამოვარდნილა და მომკვდარა. შაქარიას იგი დაუტირია, მისი ოჯახისათვის პატივი უცია, აქ თავის ფაცხები გაუმართავს. შაქარიას აქ ჰყოლია ძმები: ბაბულია, ქაქუჩია, სვიმონია“ (ვალიკო სილიბისტროს ძე ჩიქოვანი, 52 წლისა).

ნაქერუ (ნაქერალი), ადგ. „აქ წინათ ქერს თესდნენ თურმე“.

ნაქობალუ (ნახორბლარი), ადგ.

ნაღუმუ (ნაღომარი), ადგ.

ნაღუმუ (ნაღომარი), ადგ. „დადიებს აქ ღუმუში ოფურჩე – ღომის ნაქუჩალის შესანახი ნაგებობა ჰქონდათ თურმე – ფარონი. ფარონში ღომსაც ინახავდნენ. იგი ორფრთიანი, სახურავიანი ღობური ნალია იყო, იდგა ოთხ ბოძზე. მისი ცხვინი – რცხვენი, ჭერი ღობური ყოფილა, ჩელტისა“.

ნაშენი, „ბაღია, ადრე გაშენებული ხეხილისა და ვენახისა“.

ნაწისქვილუ (ნაწისქვილარი), ადგ.

ნაჭვი (ნაჭვავარი), ადგ. „ჭვავს თესდნენ წინათ“.

ნაჭკიდუ (ნამჭადარი), ადგ. ტოპონიმი ერთგანაც გვხვდება.

ნახაკუ (ნახაკარი), ადგ. „ხაკოიები სახლებულან აქ. შემდეგ აქედან გასახლებულან. ამიტომ ეძახიან ნახაკუს“.

ნახარდანუ (ნახარდნარი), ადგ.

ოგერაღე (სადროშო), ადგ. „დადიანებს აქ თავიანთი მიწის მისანიშნად დროშა ჰქონდათ აღმართული“.


გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკური ატლასი
ხაჩუმეს
სახოფლო საბჭო
1980 წ.
პირობითი ნიშნები:
სახოფლო საბჭოს საზღვრები
მდინარეები
გზები
სახოფლო საბჭოს ცენტრი
და უბნის ცენტრები
მასშტაბი: 1:25 000

ოთიფურე (სათიბი), ადგ.

ოკარკალე, ადგ. ხეობაში. „წყალი ხმაურით, კარკალით ჩადის ამ ხევში. ამიტომ ოკარკალეს ეძახიან“.

ოკისკურე, ადგ.

ონწარე (ჭაობი), ადგ.

ონწარე (ჭეჭყნარი), ადგ. „ჭაობიანი, ჭეჭყნარი ადგილი“.

ოსკოსკური, წყარო და მდინარე.

ოფერებენე, ადგ. ოფერე ბინეხი (ვაზი ყოფილა)“.

ოღუმოლი (ნაღომარი), ადგ.

ოღურღულე (ცრემლსაღვრელი, სატირალი), ადგ. „ჭირს ამოუწყვეტია ხალხი. ხალხი ტიროდაო – ღურღულანდუა“.

ოშაყარგ (თავშესაკრები), ადგ.

ოჩხომური (სათევზაო), მდინარე.

ოხარჩალე (საჩხრიალო), ღელე.

პლატონ დადიანიში მამული (პლატონ დადიანის მამული), ადგ. „პლატონ დადიანი ყველაზე საზიზღარი ბატონი ყოფილა უფლისწულებს შორის. იგი საშინლად უსწორდებოდა ნაყმევ გლეხებს. აწვალებდა, ჭირნახულს სტაცებდა, სასამართლოთი მიწებს და ჭირნახულს ედავებოდა. მოუსვენარი და სასტიკი იყო. 1905 წელს, რევოლუციის დღეებში ეგზეკუციაც კი ჩააყენეს ამ ადგილებში. აჯანყებულმა გლეხებმა იგი დაიჭირეს ჩუმად, ტყეში, მოკლეს და ზედ ძაღლი დააკლეს. „ჯოღორქ ქეგგოღურუა, პლატო დადია“, – ძაღლი დაგაკვდაო, პლატონ დადიანო, – უთქვამს ხალხს“.

ჟიპიჯი (ზედაპირი), ადგ. „მაღალი ადგილია, ჭალის ზედა ნაწილი ძლიერ ნაყოფიერია“.

ჟულუ, ადგ. „ჟი ულუ – ზემოთ აქვს შავმიწა“.

საბაში ნადოხორუ (საბას ნასახლარი), ადგ. „აქ ვიღაც დიდკაცი საბა სახლებულა. იგი ძალიან კეთილი და დიდკაცი ყოფილა, მას ძალიან დიდი ოჯახი ჰქონია“ (ვასა გრიგოლის ასული ჩიქოვანი, 85 წლისა).

საროდონაიო, როდონაიების (გვარია) უბანი.

საცქვიტისქუალო (საცქვიტიშვილო, ცქვიტიშვილების (გვარია) უბანი, ადგ. „ცქვიტისქუა გვარია, მისი სამოსახლო უბანი ყოფილა ეს“.

სტეფაში წყურგილი (სტეფას წყაროს წყალი), წყარო.

სქურჩაღელე, „უერთდება ღელე შიშას. აქ დავით თოლორდავას წისქვილი გაუშენებია. მას დავითიას წისქვილს უწოდებენ“.

ტები (ტყე), ადგ.

ტკილონა (ტკილნარი), ადგ. „მიწა სულ ტკილიანი და მძიმედ დასამუშავებელი. აქ თხრიან ტკილს და გააქვთ სხვა ადგილებში მიწის გასანოყიერებლად“.

ურატეფიში ჭალე (უროტავების ჭალა), ადგ. „აქ უროტავები, ურუტაძეები ნასახლება. მათი უბანი ყოფილა ეს ჭალა“.

უჩაქუა (შავი ქვა), ადგ. „არის გადმოცემა, რომ აქ დევებს შავი ქვები უსვრიათ, სულ შავი ქვების სეტყვა ყოფილა ციდანაც და მიწიდანაც. ამიტომ, დღემდე სულ მოფენილია ეს ადგილები შავი ქვებით: დევების საბეკსაც ეძახიან მას“ (ანდრო ჩარჩხალია).

ფართო ენწერი (ფართო ეწერი), ადგ.

ღადიდი (ღელედიდი, ღალდიდი), ღელე.

ღალი, ღელე. „არის თქმა: „მუ ძირია დო ჩქიმ მტერს, მა მუთ ვძირიანგ“, – რა ვნახეო, და, – ჩემს მტერს, რაც მე ვნახეო და „მა მიქ ვამშინუანგ დო დოფშინაფედასია“, – ვინც მე არ მახსენოს, იგი დასიებულ იყოსო“.

ღუთაიაში ნაშენი (ღუთაიას ნაშენი), ადგ. „აქ ღუთაია ნასახლარა და მას ჰქონია ხილის და ვაზის ნაშენი, ხელოვნურად გაშენებული წაკორტი“.

შეგნება, ადგ. „აქ პირველი არტელი შექმნეს „შეგნების“ სახელწოდებით. დღესაც ამ ადგილს შეგნების უბანს ეძახიან“.

შიშა, ღელე. „უერთდება ოჩხამურს (მარჯვენა შენაკადი). აქ დადიანებს აბანო ჰქონიათ მოწყობილი. ყმებს უფლება არ ჰქონდათ ებანავათ, ამიტომ დაერქვა შიშა“ (გ. ხუხუნი).

ცირგაიაში ღალი (ცირგაიას ღელე), ღელე.

ცხვირია, ადგ. ცხვირივით წაგრძელებული უბანია მდინარეთა შორის.

წყურგილი (წყაროს წყალი), წყარო. „ლევან დადიანის სასახლის გადასახედთან, ჩრდილო-დასავლეთით, მდ. ხობისწყლის პირზე. იგი ქვით ყოფილა ამოშენებული. არსებობს გადმოცემა, რომ 1918 წელს გლეხთა აჯანყების დღეებში წალენჯიხის გზით აქ მოვიდა საშა გეგეჭკორის ლაშქარი. საშა თეთრ ცხენზე იჯდა, თეთრ ჩოხაში გამოწყობილი. მას ასეთივე თეთრ ჩოხებში გამოწყობილი, თეთრ ცხენებზე ამხედრებული, მასავით ლამაზი ვაჟკაცების დიდი ლაშქარი მოჰყვებოდა. ისინი გრიგალივით მოაქროლებდნენ თეთრ რაშებს, რომელთა თავზე ფრიალებდა წითელი დროშა. საშამ წყურგილთან შეაყენა თავისი ლაშქარი, ჩამოფრინდა ცხენიდან, გადააწვა წყურგილს და მოწყურებით დაეწაფა მას. ისე ხარბად მოსვა წყალი, ერთხანს კიდეც დააშრო წყარო. შემდეგ იქვე, წყურგილის თავის ბორცვზე ავიდა და სიტყვა თქვა“ (გ. ხუხუნი).

ჭალე (ჭალა), მდინარე ოჩხამურის პირას.

ჭალე (ჭალა), მდინარე ხობისწყლის ჭალა.

ჭალე (ჭალა), ხობისწყლის ჭალა.

ჭკადუ ნოხორიი (მჭედლის ნასახლარი), ადგ. „ძალიან შორეულ დროში აქ მჭედელი კაცი ნასხალება. მას ძალიან დიდი ოჯახი ჰქონია. აქ მას ჰქონია წმინდა სოლომოს სალოცავიც“.

ჭკადუერროგუ (სამჭედლო ხევი), ადგ.

ჭკადუერი (ნასამჭედლარი), ადგ.

ჭუჭუში გა (ჭუჭუს სერი) სერი, ადგ.

ხაბუმე, 1. „ხაბო რუმე – ბნელი, ჩაქცეული, უფსკრულიანი ადგილი“; 2. ხაბა ქვა. ხაბოიანი – ქვიანი ადგილი. ქუაშხიბუა, სოფელი“ (მ. კვირტია); 3. „სოფლის ცენტრში გაუვალი ტყე ყოფილა, მის ცენტრში ღრმად ჩაქცეული იწროხით, ყაჩაღებისა და მხეცების საბუდარი. ამიტომ მისთვის „ხაბორუმე“ შეურქმევიათ“; 4. „ხაბუმე“ ბალახი ყოფილა, რომლითაც მოფენილი იყო თურმე ეს ადგილი, ამიტომ შეერქვა ამ ადგილებს ეს სახელი – ხაბუმე“.

ხაკო, ხარებავების (გვარია) უბანი. „აქ მათ პირველი კოლმეურნეობა შეუქმნიათ. „ხაბუმეში კოლექტივი“ – ასე ეწოდებოდა პირველ სას. სამ. ამხანაგობას“ (მ. კვირტია).

ხალერი, ადგ.

ხობწყარი, მდინარე ხობი.

ჯამუში ფერდი (ჯამუს ფერდობი), ადგ.

ჯანაშური, ჯანაშიების (გვარია) უბანი. „აქ სულ ჯანაშურის ჯიშის ვაზი იყო მაღლარზე. ადგილი ჯანაშიების ნასახლარია“.

ჯუმათი (ჯუმას თი, ჯუმას სახლი), უბანი. „ვიღაც დიდკაცი ჯუმა ყოფილა, მას აქ დიდი ოჯახი – თი ჰქონია და ამიტომ ამ ადგილს მისი მემკვიდრეები ჯუმათის უწოდებენ“ (გ. ხუხუნი).


საგეოლოგიო მმართველობის მუზეუმი
ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკური ატლასი
მთა, მთის ზონა
1980 წ.
ქვითარი ნიშნები:
ხიდები
გზები
ბილიარდები
ქვეთის ცენტრი
მასშტაბი:
1:50000

ტყე და მთა – რაიონის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე

ჩხოროწყუს რაიონის ტერიტორიის 40%-ზე მეტი ტყესა და მთებს უჭირავს. აქ ფოთლოვანი ტყის მასივებს ნელ-ნელა ენაცვლება შერეული და შემდეგ წიწვიანი ტყის ზონები, რომელიც ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე სუბალპებში გადადის. 2200 მეტრზე – ალპური კორდები, ხოლო 2800 მეტრის სიმაღლეზე უკვე შიშველი მწვერვალებია. ეს ადგილები მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. მოიპოვება რკინისა და მარგანეცის გამოსავლები, თეთრი მარმარილო, ფერადი გრანიტი, ბაზალტის, ხლენიტისა და ბარიტის ქანები. ტყის ზონაში მრავალგან გადმოსჩქეფს მინერალური წყაროები, ხშირად ვხვდებით წიფელის, ურთხელის, მუხის, წაბლის, ნაძვისა და სოჭის მასივებს. აქ დღეს გეგმაზომიერად ჭრიან ხეებს. მუხურში, თაიასა და ნაფიჩხაოში ხის ნაკეთობათა ოსტატები, დურგლები, ხელოსნები და გობის, ხის ჯამ-ჭურჭლის, ჭრის, წვნისა და ღობვის იშვიათ ნიმუშებს ქმნიან. მთის ვრცელი სათიბი და საძოვარი ადგილები მესაქონლეობის განვითარებისათვის იშვიათ ბაზას წარმოადგენს.

მთისა და ტყის მასივებში მრავლად გვხვდება ისტორიული ძეგლები და საკულტო-სარიტუალო ადგილები, რომელთა შესწავლას დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს.

ბურღონა (ბურღნარი), მთა. აქ სულ მცენარე ბურღათი (მაღალი ტანის, წვრილფოთლება, თავთავიანი მცენარეა) ყოფილა შემოსილი.

ბურღონი (ბურღნარი), მთა და მთის ფერდობი, – სუბალპური ზონა 1800-2000 მეტრზე ზღვის დონიდან.

გვალაშარა (მთის გზა), ღელე. სათავეს იღებს ფართო წიფურონში. მიუყვება გვალაშარას ხეობას.

გვალაში კუჩხი (მთის ფეხი), მთა.

გვალაში შარა (მთის გზა), გზა. მიუყვება ხობწყალს და შემდეგ მთის ვიწრო ხეობას.

გინაჯინუში სუკი (გადასახედის სერი), დიდი სერია ალპურ ზონაში.

გოდირაკილი (გადრეკილი, უნაგირა), „მთა და მთის ყელი გადასასვლელი უნაგირა „კვირკვალების“ (კურკუცების) გორაკებს შორის. იწყება შერეული ტყით და ალპებში გადადის. მდებარეობს ზღვის დონიდან 1800-დან 2500 მეტრამდე“.

დიდვე (დიდი ველი), გოდირაკილის ზემოთ მთის ზეგანია, ბორცვიანი, ტალღოვანი, ალპური კორდებით, სულ საძოვარია.

დგცხონა, მთა მდინარე ხობისწყლის აღმოსავლეთ ნაპირზე, ფოთლოვანი ტყის ზონაში.

თხირიში (თხილისა), ღელე. სათავეს იღებს ბურღონაში. უერთდება ხობწყალს. წინათ მის ხეობას გარეული თხილის ტყიანი მიუყვებოდა.

თხომულონი (თხმელნარი), ფერდობი. მთის ფერდობიდან დაბლა, მდინარის ნაპირებამდე თხმელის ტყეა. ურევია სხვა ფოთლოვანი ხე-მცენარეებიც.

კალამი, ღელე. მოედინება მთა კალაშიდან.

კალაში. მთა. ფოთლოვანი და შერეული ტყის ზონა.

კვარკვალია (მრგვალი), მთა. ესეც ალპური საძოვარია.

კვარკვალია გვალა (მრგვალი მთა), მთა. მთა სუბალპური საძოვარია, მწვერვალები შიშვლდება.

ლეუკუნე, მთა. ფოთლოვანი ტყით შემოსილი.

ლეუკუნეში დუდი (ლეუკუნეს თავი), ადგ. მთა ალპური საძოვრებით 20000-2200 მეტრ სიმაღლეზე.

ლუკუნე, მთა შერეული ტყის ზონაში.

მახიკონა, ღელე. სათავეს იღებს წიფურონში. უერთდება ხობწყალს.

მინგარიე (მტირალა), მთა. მისი ფერდობები შემოსილია შერეული ტყით, ხოლო თხემი – ალპური კორდებით. ტყის ზემოთ, აქა-იქ გვხვდება არყის ჩია ხეები. შემდეგ 2200 მეტრის სიმღალეზე ალპებში გადადის, ხოლო უკიდურესი ნაწილი სულ შიშველი კლდეებია, დაახლოებით 2600 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

ნათიფური (ნასათიბარი), მთის ველობი, წიფურას აღმოსავლეთით სუბალპური ზონაა.

ნაისმერგ, ადგ. ხობისწყლის ხეობაში.

ნაკარუ (ნაკარვალი), ადგ. საძოვარი.

ნაოხვამუ (ნაეკლესიარი), ადგ. მელეთს ქვემოთ.

ნატოლოფუ, მთა ლეჭეხას ზემოთ.

ნაღეჯ (ნაღორალი). მთის ფერდობია შერეულ ტყის ზონაში. არის წაბლნარი.

ნაჭკადუ (ნასამჭედლარი), მთა ოსინდალეს დასავლეთით.

ნოხვერი, ღელე ოირემეს მიდამოებში. უერთდება ხობწყალს.

ოგორიე (საქარო), საბორიო – ბორია – ქარი ჩრდილოეთიდან უბერავს. სულ შიშველი ქედებია 2200-2500 მეტრის სიმაღლეზე.

ოთიფურე (სათიბი), მთა ლეჭეხას ზემოთ.

ოირემე (საირმე), მთა. იგი იწყება ფოთლოვანით, გადადის წიწვიან ზონაში და სრულდება სუბალპური შიშველი კლდეებით.

ოლაშე, ღელე. წიფურადან გამოდის, უერთდება ხობწყალს.

ოსინდალე (სასიძო), მთა. შერეული ტყით.

ოწუნვარი, მთა და მთის ფერდობი, შერეულ ტყის ზონაში, მდინარე ხობისწყლის გაყოლებით, ზღვის დონიდან 1000-1500 მეტრ სიმაღლეზე.

სამარჭიხოლე (სამერცხლო). მთა. სულ ალპური საძოვრებია.

საცხენო (ცხენისა), აქ გაშლილი ველიანია მთის იწროებში. საცხენო სადგომს და გასასვლელს ეძახიან.

უწყარე (უწყლო), მთა.

ფაზონი, მთა. ხობის წყლის ხეობის ზემოთ, ლეჭეხას თავზე.

ფანიაში ნაკარუ (ფანიას ნაკარვალი), ადგ. გაშლილი ადგილია, სადაც საქონლის აგვარაა მოწყობილი. ეს სახელწოდება მთის დიდ მონაკვეთზე ვრცელდება.

ფართო წიფურონი, მთის ფერდობი. შერეული ტყის ზონა, საკმაოდ ვრცელი მასივი დაფარულია წიფლნარით.

ფაციეფიში ხინჯი (ფაციების ხიდი), ხობწყალზე და მისი მიმდებარე ტერიტორიის – ლუკუნეს ქვემოთ, შერეული ტყის ზონაში გადასასვლელი ადგილი.

ღერღია, მთა.

ღუნჯი, ღელე. ოირემეს მიდამოებში. უერთდება ხობწყალს.

შელეთი, მთა. ბურღონას სამხრეთით. შერეული ტყით იწყება და წიწვიანით სრულდება ზღვის დონიდან 1500-1700 მეტრის სიმაღლეზე.

შქამიშალი (შუა შესასვლელი), ხობისწყლის ხეობაში მთის ფერდობთა ვიწრო ხეობა.

ჩეგვალა (თეთრი მთა), მთა. იწყება წიწვიანით და სრულდება ალპებით და შიშველი მწვერვალებით, ზღვის დონიდან 1800-2800 მეტრზე.

წიფურონი (წიფლნარი) მთა, ოსინდალეს აღმოსავლეთით. ფოთლოვანი ტყეა.

წიფურონი (წიფლნარი), მთა. ფოთლოვანიდან შერეულ ტყის ზონაში გადადის.

წიფურონი (წიფლნარი), მთის ფერდობი.

ჭითა წყარი (წითელი წყალი), ღელე, უერთდება ხობწყალს, მიედინება დიდვედან.

ჭითაწყარი (წითელი წყალი), მინერალური წყალია, შემდეგ ღელედ ჩამოდის.

ჭოკაში წვანჯი (ჭოკის წვერი), მთა. შერეული ტყით შემოსილი.

ჭუჭელონი (ჭინჭრიანი), მთის ფერდობის ველიანია. იგი სულ ჯინჭრის მაღალი ნაზარდითაა მოფენილი. აქა-იქ ნათელ ტყიანში წიფლის ასწლოვანი კორომები დგას.

ხიბილი (გახერგილი), მთა ხობისწყლის თავთან.

ხოგწყარიში დუდი (ხობისწყლის თავი), ადგ. მთის ვიწრო ხეობის კარსტული ღრმულებით.

GIVI ELIAVA

SAMEGRELO

A TOPONYMIC ATLAS

Abasha, Martvili, Senaki and Chkhorotsku Municipalities

ARTANUJI PUBLISHING
2022

გამომცემლობა **არტანუჯი**

✉ თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 5.
☎ 2-25-05-22, 2-91-22-83, 5(93) 25-05-22.
www.artanuji.ge info@artanuji.ge
f გამომცემლობა არტანუჯი / Artanuji Publishing